ბატრად -- „ლამაზმა (კაცმა)“

ბატრად || ბატრადღ <- ბატრად=ღღ „ლამაზისა (კაცისა)“

ბატრან=ჴ=ს <- ბატრანა=ჴ=ს „ლამაზს (კაცს)“

ბატრანა=ჴ=ლა „ლამაზით (კაცით)“

შდრ. ბატრად -- „ლამაზი (ქალი, ცხენი, სახლი...)“

ბატრად -- „ლამაზმა (ქალმა, ცხენმა, სახლმა...)“

ბატრადღ -- ბატრად=ღღ „ლამაზისა (ქალის, ცხენის, სახლის...)“

ბატრან=ჴ=ს <- ბატრანა=ჴ=ს -- „ლამაზს (ქალს, ცხენს, სახლს...)“

I. იხ. ქვემ. რიცხვითი სახელი.

2. ეს ვარიანტი მოწმდება დროულ ადამიანთა მეტყველებასში.

ბატრანი=აჲლა „ლამაზით (ქალით, ცხენით, სახლით...)"

ბოლო ფორმები (ზედსართავი სახელისა) მოწმდება აულ იხრეკის მეტყველებაში. სხვა აულთა მეტყველებაში ამის ნაცვლად იხმარება უნიფიცირებული უკლასნიშნო ფორმები:

1) აულ რუთულის მეტყველებაში: ბატრად (ლამაზი, ლამაზმა,), ბატრადდე (ლამაზისა), ბატრანძს (ლამაზს), ბატრანძლა (ლამაზით)...; 2) აულ შინაზის მეტყველებაში (შესაბამისად) — ბატრალ, ბატრადდე || ბატრადძა, ბატრადანას, ბატრადანალა...; 3) აულ ბორჩის მეტყველებაში (შესაბამისად) — ბატრად, ბატრად, ბატრანას, ბატრანალა...

უფრო ზემოთ კი სხვა მაგალითები და საილუსტრაციო ნიმუშები დასახელებულია აულ რუთულის მეტყველების მიხედვით; დანარჩენ აულთა მეტყველებაში პრინციპული სხვაობა არ არის; შეინიშნება მხოლოდ კლას=კატეგორიის ნიშნებში მომხდარი ზოგი ფონეტიკური ცვლილება (იხ. ქვემ.)

ზემოთ ნარჩენები ყველა ფორმის კვალობაზე გრ. კლასები და მათი მაწარმოებლები სქემების სახით ასე განლაგდებიან:

1.		2.
I კლ. $\underline{\text{ა}}\underline{\text{ნ}}^{\text{ა}} =$ II კლ. $\underline{\text{რ}}^{\text{ა}}\underline{\text{ნ}}^{\text{ა}} =$ III კლ. $\underline{\text{ც}}^{\text{ა}}\underline{\text{ნ}}^{\text{ა}} =$ IV კლ. $\underline{\text{ა}}^{\text{ა}}\underline{\text{ნ}}^{\text{ა}} =$	}	მრ. დრ.
		— (უნიშნო) რ= ტ -> გ — (უნიშნო)
		}
		მრ. უნიშნო

3.

1) $\underline{\text{ბ}} =$ $\underline{\text{ნ}} =$ $\underline{\text{ც}} =$ $\underline{\text{ბ}} =$		2) $\underline{\text{ბ}} =$ $\underline{\text{ნ}} =$ $\underline{\text{ც}} =$ $\underline{\text{ბ}} =$
}	მრ.: უნიშნო (იშვიათად) $\underline{\text{ბ}}$	}
		მრ. დ=

4.

I ცვ. — (უნიშნო)
 II ცვ. $\overline{\text{რ}'} =$
 III ცვ. $\overline{\text{ვ}'} =$
 IV ცვ. $\overline{\text{წ}'} =$

} მრ.
 უნიშნო

5.

I ცვ. —
 II ცვ. —
 III ცვ. $[-> \text{ბ}]$
 IV ცვ. $[-> \text{ტ}]$

} მრ. :
 უნიშნო $(-> \text{ტ})$

6.

I ცვ. =
 II ცვ. =
 III ცვ. $(-> \text{ბ})$
 IV ცვ. $(-> \text{ბ})$

} მრ.
 უნიშნო $(-> \text{ტ})$

7.

I ცვ. $\overline{\text{ქ}'} =$
 II ცვ. $\overline{\text{ჩ}'} =$
 III ცვ. $\overline{\text{ც}'} = (-> \text{ფ})$
 IV ცვ. $\overline{\text{ც}'} = (-> \text{ფ})$

} მრ.
 უნიშნო $(-> \text{ფ})$

8.

I ცვ. —
 II ცვ. —
 III ცვ. —
 IV ცვ. —

[რიცხვით და =
 ზოგ სხვა =
 მსაზღვრ.სა- =
 ხელში-სუფიქ- =
 სად]

9.

10.

I ცვ. $\overline{\text{წ}'} = (-> \text{ფ})$
 II ცვ. $\overline{\text{რ}'} =$
 III ცვ. $\overline{\text{ვ}'} = [-> \text{ტ}] = [-> \text{ტ}]$
 IV ცვ. $\overline{\text{წ}'} =$

11.

I ცვ. $\overline{\text{წ}'} \rightarrow$ [ნული]
 II ცვ. $\overline{\text{წ}'} \rightarrow$ [ნული]

ეს სქემები და საილუსტრაციო ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ მუხალურში (და წახურში — იხ. ზემ.) კლას=კატეგორიის ნიშნად გამოიყენება ხან ოდენ თანხ-მოვანი, ხან კი — მარცვალი: თანხმოვანი + ხმოვანი. თუმცა ხმოვნის საკითხი, — გრ. კლასის ნიშნისაა იგი თუ საწარმოებელი ფუძე=ძირის კუთვნილება, — ცალკეა

1. გარდა ბოლოს აღნიშნული ზედსართავი სახელის ფორმებისა.

სარკვევი, ამასთან — თვისტომ ენათა სათანადო მონაცემების შედარების გზით.

ვიდრე მუხადურის მიხედვით აქ აღძრული საკითხის თაობაზე განვაგრძობდეთ განმარტებებს, საჭირო იქნება საერთო ხასიათის ერთი ასეთი (წინასწარი) შენიშვნა: ივარაუდება, რომ იბერიულ-კავკასიური წრის ენებში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ორი გრ. კლასი: პიროვნებისა, ე.ი. მამრობითი და მდედრობითი სქესის აღმნიშნა ერთიანი კლასი (კლასი იმისა, რასაც შეესაბამება კითხვა „ვინ“?) და არაპიროვნებისა, რომელიც მოიცავს ყველაფერს იმას, რასაც შეესაბამება კითხვა „რა“ — ე.ი. ცხოველთა, საგან-ნივთთა და მოვლენათა კლასი. შემდეგ ეს კლასები და ყოვლის უადრეს „რა“ კლასი დაჯგუფდა (ან თავიდანვე იყო დაჯგუფებული) რამდენიმე კლასად (ქვეკლასად). ისიც ივარაუდება, რომ ამა თუ იმ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, სადაც კი ახლა სამი, ხუთი ან მეტი გრ. კლასია, წინ უსწრებდა ოთხკლასიანი სისტემა ამ კატეგორიისა. ამის ნიმუშად მიჩნეულია ხუნძურ-ანდიურ-დიღორ ენათა მონაცემები, კერძოდ კი — ანდიურისა, სადაც ამჟამადაც ოთხი კლასია „თავ-თავისი“ ნიშნით: ვ-ნიშნიანი პირველი კლასი (მამაკაცისა), ჟ = ნიშნიანი მეორე კლასი (ქალისა); ბ-ნიშნიანი მესამე კლასი (ცხოველთა და ზოგ საგან-ნივთთა) და რ = ნიშნიანი მეოთხე კლასი (უმრავლესობა საგან-ნივთთა...). ამგვარივე ვითარება უნდა ყოფილიყო ხუნძურშიცა და ახლო = თუ შორეულ = მონათესავე ენებშიც (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე — 1962; ილ. ცერცვაძე - 1965; ნ. ანდლუაძე — 1954).

ამ სქემათა მრავალფეროვნება — ერთი და იმავე გრ. კლასისთვის გამოყენებულ ნიშანთა სიჭრელე და, მაშასადამე, არამწყობრი და არასტაბილური ხასიათი კლას-კატეგორიის გამოხატვისა გვიჩვენებს, რომ მუხადურში (ისევე, როგორც წახურში) მოხდა ამ კატე-

გორიის ფორმათა აღრევა და იგი მოშლის გზას დაადგა.

მუხადურ=წახურის ასეთი ვითარება თავის მხრივ სარწმუნოს ხდის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „გრა-მატიკული სქესი (resp. კლასი - ე.ჯ.) ერთერთი ყველაზე ნაკლებად ლოგიკური და ძნელად გასათვალისწინებელი კატეგორიაა“ (ა. მ. ე. ი. ე -- 1921).

ამგვარად: ზემოთ ნაჩვენები პირველი რვა სქემა იმის მაუწყებელია, რომ მუხადურში კლას=კატეგორიის პირვანდელი სისტემა დარღვეულია, მისი აფიქსაციის ხასიათი თითქმის შეცვლილია, მორფოლოგიური „ნორმები“ - შერყევი. აღნიშნული სქემიდან თვალნათლივ ჩანს ამ კატეგორიის ფორმათა გამარტივება=გაიგივებისა თუ უნიფიკაციის ტენდენცია. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას: „ვინ“ კლასისთვის გამოიყენება „რა“ კლასის ნიშნები და ზოგჯერ პირშებრუნებითაც; ამასთან: მრავლობით რიცხვში ყველა გრ. კლასი დაყვანილია ერთ, საერთო, ნიშნიან კლასამდე და ეს ერთი (გამაერთიანებელი) ნიშანი „რა“ კლასის არეალიდან გადმოღებული მორფემაა: ღ (+ხმ.), ¹ ზოგჯერ ესეც არ იხმარება, დაიყვანება ნულოვან წარმოებამდე, უნიშნობამდე (იხ. ზემ. ნიმუშები).

შედარებით ადრინდელი მდგომარეობაა ასახული მეცხრე და მეათე სქემებში. მეცხრე სქემის მიხედვით ერთმანეთს სტრუქტურულად უპირისპირდებიან მამაკაცის გ <- ჭ ნიშნით გამოხატული კლასი და ჯ ნიშნით გაერთიანებულ=დაჯგუფებული ყველა დანარჩენი — ქალის, ცხოველის, საგან=ნივთთა და მოვლენათა — კლასები. მეათე სქემა კი გვიჩვენებს იმას, რომ ოთხივე კლასი

1. ისევე, როგორც — ხუნძურში, სადაც ისტორიულად არსებული მეოთხე გრ. კლასის რ ნიშანი ამჟამად რეინტერპრეტირებულია და თანაბრად აღნიშნავს ყველა კლასს მრავლობით რიცხვში (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე — 1962).

ერთმანეთს უპირისპირდება „თავთავისი“ ნიშნით, სახელ-
ლობრ ასე: პირველი (მამაკაცის) კლასი გამოიხატება
ჟი -> ვ (+ ხმ.) ნიშნით, მეორე (ქალის) კლასი — რ
(+ ხმ.) ნიშნით, მესამე (ცხოველის ...;) კლასი ვ<-
<- ჟი <- ბ (+ ხმ.) ნიშნითა და მეოთხე (საგან=ნივთის)
კლასი — ჯ (+ ხმ.) ნიშნით.

ამ(მეცხრე და მეათე) სქემების მიხედვით მა-
მაკაცის ვ <- ჟი (+ ხმ.) ნიშნიან კლასს ჯ ნიშნით ან-
და ჯ, რ, ბ (+ ხმ.) ნიშნებით უპირისპირდება ყველა
დანარჩენი კლასი; ეს კი იძლევა საფუძველს ამნაირად
ასახული კლასები დავყოთ ორჯგუფად, ამასთან — ორვა-
რიანტიანი კლასიფიკაციით:

ა) მე=9 სქემის მიხედვით

I კლასი (მამაკაცისა) — ვ <- ჟი ნიშნიანი

II კლასი (ქალისა, ცხოველისა, საგან=ნივთისა...) -
ჯ ნიშნიანი,

ბ) მე=10 სქემის მიხედვით

I კლასი (მამაკაცისა) — ვ <- ჟი (+ ხმ.) ნიშნიანი.

II კლასი: I ქვეკლასი (ქვეჯგუფი) — ქალისა: რ (+ ხმ.)
ნიშნიანი;

II ქვეკლასი (ქვეჯგუფი) — ცხოველისა და
ზოგი საგან=ნივთისა: ვ <- ჟი (+ ხმ.)
<- ბ (+ ხმ.) ნიშნიანი

III ქვეკლასი (ქვეჯგუფი) — საგან=ნივთისა,
მოვლენათა და ზოგი ცხოველისა — ჯ
(+ ხმ.) ნიშნიანი

საკურადღებოა, რომ ჩამოთვლილ ნიშანთაგან ჯ
(ან ჯ + ხმოვანი) მთის იბერიულ=კავკასიურ ენათა
უმრავლესობაში, მაგალითად, ხუნძურ=ანდიურ ენებში,
ყუბაჩურში, ბაცბიურში — მეორე კლასს, მდებდობითი
სქემის ადამიანს (უპირატესად — სრულასაკოვანს) აღ-
ნიშნავს (პ.უსლარი — 1889; რ. გაგუა — 1948: არნ.
ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე — 1962, ი. დეშერევი — 1953,

აღ. მაჰომეტოვი — 1963; ილ. ცერცვაძე — 1965).
ფორმათა ერთი ნაწილის მიხედვით ასეა ეს მუხადღურშიც
(იხ. მე-9 სქემა), აგრეთვე — წახურშიც (იხ. ზემ.).

იბერიულ-კავკასიური წრის სხვა ენათა მონა-
ცემებზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძ
ნიშანი რ-ს დუბლეტია. აღნიშნულია ისიც, რომ ორგარიან-
ტიანი ეს ფორმა თავდაპირველად არაპიროვნების („რა“)
კლასის გამომხატველი იყო, ხოლო შემდეგ იგი (ძ-რ)
გამოყენებულ იქნა პიროვნების („ვინ“) კლასის, resp.
ქალის კლასის აღსანიშნავადაც; ეს კი მომხდარა ამ
უკანასკნელის (ქალის) დისკრიმინაციის, სოციალურად
დამდაბლების გამო, ე.ი. მას შემდეგ, რაც იგი გაუ-
თანაბრდა საგანწინეთსა და ენობრივი ანაბეცებათაანა-
ღ“ ჰპოვა: მოექცა ამის („რა“ კლასის) ფორმათა ფარგ-
ლებში (არნ. ჩიქობავა — 1937; — 1942) ხოლო შემ-
დეგ ზოგჯერ მამაკაცის კლასიც გაუთანაბრდა ფორმით
საგანწინეთის („რა“) კლასს, — მეოთხე თუ მესამე
ბ, დ, რ, ჟ, ანდა ნულწინიანი კლასს. ეს უნდა მომხ-
დარიყო ქალის კლასის მეშვეობით (გ. როგავა — 1950;
— 1953). ეს გაიგება ამგვარად: ქალის კლასიც ხომ
არსებითად პიროვნების („ვინ“) კლასია და იგი ოდით-
გან მამაკაცთან ერთად ქმნიდა ერთიან (ადამიანის,
პიროვნების) კლასს; შემდეგ ეს კლასი ორად გაიყო --
მამაკაცის სქესის (სრულასაკოვან) ადამიანთა და ქა-
ლის სქესის (სრულასაკოვან) ადამიანთა კლასებად. შემ-
დეგ ქალის ეს კლასი - როგორც საზოგადოებრივი იერარქიის
თვალსაზრისით დამდაბლებული კლასი — თანდათან „შეიჭ-
რა“ საგანწინეთის („რა“) კლასის ფარგლებში და მორ-
ფოლოგიურად გაუთანაბრდა მას. შემდეგ და შემდეგ კლას=
კატეგორიის განვითარების პროცესი კვლავ წარიმართა
უნიფიკაციის გზით და მამაკაცის კლასიც მოექცა ამ
(„რა“) კლასის არეალში.

სამეცნ. ლიტერატურაში აღნიშნულია ასეც: „II

კლასი მეორეული მოვლენაა. იგი გამოყოფილია სხვა კლასისაგან და თავისი სოციალური მდგომარეობის გამო მიკუთვნებულია IV კლასს“ (ვ. თაფურია — 1942).¹ არსებობს სხვა მოსაზრებაც: „მდედრობითი სქესის“ ნიშანი ჟ არის; დ — სადაც კი გვხვდება, მეოთხე სქეს=კატეგორიიდან არის გადმოსული ისევე, როგორც ზოგს შემთხვევაში — „უხასაკობისა“ და „უსქესობის“²გამომხატველი ბ ნიშანი. ეს აზრი გამოთქმულია ასეც: „ლილური და ლეკური ენების (ე.ი. ნახური და დაღესტნური ენების — ე.ჯ.) მდედრ. სქესის ერთადერთ ნიშნად ნახვეარხმოვანი რჩება, დანარჩენი ბ, დ და რ თანხმონები კი შემდეგში უნდა იყოს ამ სქესის ნიშნად ქცეული“ (ივ. ჯავახიშვილი — 1937).² ამ კონცეფციის გათვალისწინებით გასაგები ხდება, თუ რატომ არ არის დასმული მე=2 გრამატიკული კლასის გენეზისისა, ან თუნდაც სხვა კატეგორიასთან მისი მიმართების საკითხი: ამგვარი კვალეფიკაციის ამოსავალი ცნება სქესის ცნებაა — ასეთ პირობებში თანმიმდევრულია მე=2 გრამატიკული კლასის („მდედრობითი სქესის“) თავისთავადობის აღიარება (ნ. ანდლულაძე — 1968). შემდეგ, აღძრულია=რა კლას=კატეგორიის ჟ, რ, დ ნიშანთა ურთიერთობისა და გენეზისის საკითხი, დასკვნილია: ეს ნიშნები ისტორიულად უკავშირდებიან ერთმანეთს; ამასთან: „ნივთთა გრამატიკული კლასის ექსპონენტის არქეტიპად

-
1. იქვე ნათქვამია ისიც, რომ „არნ. ჩიქობავამ... წამოაყენა დებულება“ I კლასის მეორეული წარმოშობის შესახებ კავკასიურ ენებში.
 2. საგულისხმოა, რომ ა. დირმა ჯერ კიდევ 1907 წელს გამოქვეყნებულ შრომაში („კავკასიურ ენებში კლასების (სქესების) არსებობის შესახებ“) — „სქესის“ ნაცვლად შემოიღო ტერმინი „გრ. კლასი“ და განმარტა როგორც ისეთი კატეგორია, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი მოვლენის ღირებულებას (მათს რანგზე) ადამიანთა თვალსაზრისს.

დ ფორმანტი უნდა ცნოთ“. ამ ნიშანთა განვითარების დინამიკა თუ ფონეტიკური ცვლილების ხაზი კი წარმოდგენილია ასე: $ღ \rightarrow რ$ (ან $ლ$) \rightarrow $ა$ (იქვე). საგან=ნივთის კლასისა თუ ქვეკლასების $ღ$, $რ$, $ა$ ნიშნები ერთი რომელიმე (ძირითადი) ვარიანტიდან ფონეტიკური ტრანსფორმაციის გზით წარმოიქმნენ და სხვადასხვაგვარად გააზრიანდნენ თუ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდნენ, - ამის კვლევა, რა თქმა უნდა, იბერიულ=კავკასიურ ენათა შედარებითი ანალიზის საქმეა, ამისთვის საჭიროა, მოზიდულ იქნეს ამ წრის ყველა ან თითქმის ყველა ენის მასალა.¹ ერთი კი ამ თავითვე უნდა შევიველი იყოს: ყველა დასახელებული ნიშანი ოდითგან არაპიროვნების („რა“) კლასის ექსპონენტი — სულ ერთია, როგორი წარმომავლობისაც არ უნდა იყოს თითოეული მათგანი. კერძოდ, $ა$ (ან $ღ$ $+ ხ$ მოვანი) „თავდაპირველად“ საგან=ნივთის („რა“) კლასის ექსპონენტი რომ იყო, ამის დამოწმება შეიძლება ა) ცალკე მუხადურისავე რეალიებითაც — იმით, რომ ამჟამად მეოთხე („რა“) კლასის ნიშანთაგანია სწორედ $ა$ (იხ. I, 9, 10 სქემები) და ბ) მუხადური და თვისტომი ენების ერთი ჯგუფის საერთო სახელთა შედარებითაც—იმით, რომ თავკიდურ ელემენტად გამოყენებული $ა$ ($+ ხ$ მ), — ფუძე=ძირთან შეზრდილ=გაქცევებული, — გამოიყოფა სწორედ ამ („რა“) კლასის სახელებში, თანაც ისე, რომ მას ($ა$ ელემენტს) უჭირავს ხან $რ$ ($+ ხ$ მ.), ხან კი $ღ$ ($+ ხ$ მ) პრეფიქსული ელემენტის ადგილი; შდრ., მაგალითად: I) „გულის“ აღმნიშვნელ სახელთა ფუძეები: $ა$ ი კ (მუხად., წახ.), $ა$ ი კ (ჯიკ), $ა$ შიკ (თაბას.) — $რ$ ი კ (ღეზგ.) $რ$ აკ (ხუნძ.)

-
1. მსგავსად ამავე („რა“) კლასის ბ' ნიშნისა, ანდა პირველი (მამაკაცის) $ბ$ \rightarrow $გ$ ნიშნისა.
 2. ამის ცდა მოცემულია კიდევ შემოთ მოხსენებულ გამოკვლევებში.

— ფაც (ლაც.), დუგ (ჩარ.), ღაც (ბაცბ); ¹ 2) „დღის“ აღმნიშვნელი: ჰღ, ჰღღ, (მუხად., წახ.), ჰღღ (თაბას), ჰღღ (აღღღ.) — ღი <- ჰღღ (უღ) — ღღა <- ღღღა (ყაბარღ.), ტჰღღ <- დღღღ (ადღღ.), ღღა <- ღღღა (უბიხ), ლა=ღღღ (სვან.) და თავად ქართ. ღღღ; 3) „გზის“ აღმნიშვნელი: ჰაჰჰ (წახ.), ჰაჰ, ჰაჰ (უღ.) — რაჰჰ (მუხად.), რაჰჰ (თაბას), რეჰჰ (აღღღ.), რიხ (ბუღღ.) — ღეჰჰ (არჩ.); 4) „ნაცრის“ აღმნიშვნელი: ჰაჰ, ჰაჰ (წახ.), ჰაჰ* -> იჰ (უღ.) — რაჰ, რაჰჰ (მუხად.), რაჰჰ (ღეზგ.), რაჰჰ (აღღღ.) — ღეჰ (არჩ.); 5) „ხარის“ აღმნიშვნელი: ჰაჰ, ჰას (მუხად), ჰაჰ (წახ.), ჰაჰ (ღეზგ), რეჰ <- ჰეჰ (აღღღ.); 6) „ხორცის“ აღმნიშვნელი: ჰაჰ (მუხად.), ჰაჰ (ღეზგ., თაბას), ჰაჰ (ჯეჰ.), ჰაჰ (ბუღღ.), ჰეჰ (უღ.—ნიჯური დიალ.)²... .

მუხადურ მონაცემთა მიხედვით თავს იჩენს ზოგი ასეთი საკითხიც: როგორ მოხდა, რომ მაინცდამაინც ღ - რ - ჰ, აგრეთვე ბ ნიშნიანმა („რა“) კლასმა „სძლია“ და „თავისკენ გადაჰხარა“, ხოლო ზოგ შემთხვევაში „შთანთქა“ კიდევ რ -> გ ნიშნიანი („გინ“) კლასი? — იხ. I. — 8. სქემები. რატომ არ გახდა შესაძლებელი უკუპროცესი? — უნდა საგულისხმებელი იყოს რამდენიმე ფაქტორი. პირველი ის, რომ საგანწინგთის („რა“) კლასი მოიცავს საკლასიფიკაციო ობიექტის უმრავლესობას (საგანწინგთს, ცხოველს, ფრინველს, მწერებს, ბუნებრივსა თუ საზოგადოებრივ მოვლენებს... და ყველაფერ ამასთან მიერთებულ მდებარეობით სქესის აღმნიშვნელს); მეორეც: ამ („რა“) კლასის ექსპონენტები მრავალფეროვანია და ბევრად უფრო პროდუქტული; მესამეც ის, რომ ამ („რა“) კლასის რ, ჰ და მეტადრე ღ და ბ მაწარმოებლები მა-

1. „გულის აღმნიშვნელი ეს ფუძეები ერთმანეთთან შედარებული და ჰ=, რ=, ღ= პროდუქტული ელემენტები გამოყოფილი აქვს შ. უსლარს [1890].“

2. უდიური ენის ვართაშულ დიალექტშია ეჰ (<- ჰეჰ).

ტერიალურ=ფონეტიკურად უფრო ენერგიული და გამძლეა, წარმოსათქმელად უფრო მკაფიო, ვიდრე პირველი („ვინ“) კლასის ვ <- ჭი ნიშანი. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს („რა“) კლასი, resp. მეოთხე (ნივთის) კლასი ნეიტრალურია თავისი ხასიათით [კერძოდ — სქესის თვალსაზრისით] და, მაშასადამე, მისი რომელიმე ნიშანი უფრო შეიძლებოდა გამომდგარიყო გრ. კლასთა გენერალიზაციის საშუალებად.

მაგრამ: თუ ეს ასეა, როგორღა მოხდა, რომ მესამე და მეოთხე („რა“) კლასს მაწარმოებლად აქვს სწორედ პირველი, მამრობითი სქესის ადამიანის, კლასის ვ <- ჭი (ვი <- ჭი) ნიშანი? — საქმე ის არის, რომ, კერძოდ მე=3 გრ. კლასის ფორმათა წარმოებისას მუხადურზე მოლაპარაკე აულთა მეტყველებაში ერთმანეთს სისტემატურად, მწყობრად ენაცვლებიან ვ (ჭი) და ბ აგრეთვე — ფ (<- ბ) ბ (<- ბ) ნიშნები; შდრ., მაგალითად: ლა=ჭი=წვდ (შინაზ.) — რუწვდ (რუთულ.) — ლა=ბ=წვიდ<- ლა=ბ=წვიდ (მუხრეკ.) — ლა=ბ=წვდღ <- ლა=ბ=წვდღ (იხრეკი) „სავსე (რამე, მაგალ., ქვაბი...); ქე=ვ=ხარა (რუთულ.) — ქი=ფ= ხარცა <- ქი=ბ=ხარცა (მუხრეკ.) „ადვიძებს (მაგალ., ძაღლს, კატას...); ა=ვ=ლურა <- ა=ჭი=ლურა (რუთულ.) — ა=ბ=ლურა (იხრეკ.) „შედის (მაგალ., ცხენი, ფური...); სა=ვ=ხეს <- სა=ჭი=ხეს (რუთულ.) — სა=ფ=ხეს <- სა=ბ=ხეს (შინაზ.) — სე=ბ=ხეს (მუხრეკ.) „ჩადება“, „ჩაფვლა“, „ჩარგვა“, „ჩამარხვა“ (ობ. მე=3 კლას. მხოლ. რ.); ქი=ვ=ყური (რუთულ.) — ქი=ბ=ყური (მუხრეკ.) „იპყრა <- იბყრა“, „დაიჭირა“, „ჩაავლო“ (ობ. მე=3 კლ. მხოლ. რ.); კი=ვ=შინ (რუთულ.) — კი=ფ=შინ <- კი=ბ=შინ (მუხრეკ.) „გამოჯანმრთელება“, „მოლონიერება“ (სუბ. მე=3 კლ. მხოლ. რ.); კი=ვ=შირი (რუთ.) — კი=ფ=შირი <- კი=ბ=შირი (მუხრ.) „გამოჯანმრთელდა“, „მოლონიერდა“ (ცხოველი...)"...

ფორმათა ამ ვარიანტების შეფარდებით სარწმუნო ხდება, ექსპონენტად გამოყენებული $\psi \rightarrow \varphi$ (ანდა — $\varphi + \chi$) ელემენტი პირველი გრ. კლასიდან რენტერპრეტაციით გადმოღებული ნიშანი კი არ არის, არამედ — ამ „რა“ კლასის ოდინდელი და კანონიერი ξ ნიშნის ნაცვალი, მიღებული სუბსტიტუციის, ანდა სპირანტიზაციის შედეგად. χ ერ კიდევ ადრე ჩაჩნურ=ლეზგიურ (ნახურ=დაღესტნურ) ენათა მასალის ანალიზზე დაყრდნობით ნ. ტრუბეცკოი აღადგენდა სპირანტიოილული (ნახევრადზულის? - ე. χ .) ბუნების ბაგისმიერ ξ თანხმოვანს, რასაც მიიჩნევდა ჩაჩნურ=ლეზგიურ საერთო ფონემად, რომელსაც შეეძლო მოეცა $\psi \rightarrow \varphi$ თანხმოვანი სამურის (ლეზგიური)ჯგუფის ენებში და ξ თანხმოვანი — ყველა დანარჩენ ენაში“ (ნ. ტრუბეცკოი — 1929): ზმნათა და სახელზმნათა ზემოთ ურთიერთშედარებული მუხადური ფორმები საილუსტრაციო ნიმუშებია სწორედ ასეთი პირობებისა, სულ ერთია: ψ (φ) — ξ თანხმოვანთა შენაცვლება (სუბსტიტუცია) იქნება ეს, თუ სპირანტიზაციის გზით წარმოქმნილი ფარდობა.

საგულისხმოა, რომ თვისტომ ენათა საერთო ლექსიკის ერთ ნაწილში თავკიდურ ელემენტად მუხადურში გამოყენებული ψ (φ)=ს ადგილს იჭერს ან ξ (ზოგჯერ φ), ანდა ისევე საგანზივის („რა“) კლასისათვის ნიშანდობლივი დ, რ, ჯ. შდრ., მაგალითად: 1) „მთვარის“ აღმნიშვნელი სახელი“ ვაზ <- ჭაზ (მუხად., წახ.) — ბარზ (ლაკ.), ბად, ბაც (დარგ.), ბუცი (დიდ.), ბორწი (ანდ.), — მოწ (ხუნდ.)... 2) „მუყელის“ აღმნიშვნელი: უჰუნ <- ჭუჰუნ -> ვუჰუნ (მუხად., წახ.) — ბუქუნ (უდ.) — რუჰუნ (ლეზგ.) — შდრ., აგრეთვე ბოქვენი (ქართ.). — ჭუნ (აღულ. ტაბას), ჭან (ჯეკ.)... 3) „ლორის“ აღმნიშვნელი; ვოქ <- ჭოქ <- ჭაქ (მუხადური, წახური), ვაქ (ლეზგ.) — ბოხყ (უდ.), ბურქ (ლაკ.), ბოტზ (არჩ.), ბოლ‘ონ (ხუნდ.)... 4) „მზის“ აღმნიშვნელი: ვირიდ, ვირჯდ, ვგრჯდ, ვირად (მუხადურ-

რი — დიალექტი. ვარიანტებით), — აგრეთვე წახური: ვირილ, ვერჯღ. — ვირალ (ბუღუხ.), ვურალ (ჯიკ.). — ბეხლ (უღ.), ბარკ (არჩ.), ბოკ (კაპუჭ.), ბაყ(ხუნძ); — რად (ლეზგ., ალულ.), რედ (ტაბასა)... 5) „ასის“ აღმნიშვნელი: ვაშ, ვეშ (მუხადური; წახური)ვაშ, ვწშ (ალულ.), ვიშ (ლეზგ.), — ბაშ (არჩ.), ბეშონწუ(ანდ.), ბარშ, ბაშშ (უღ.); — თურშ <- ღურშ (ლაცა)...

ამ ჯგუფის სახელთა ურთიერთშედარებითაც თვალნათ-
ლივ ჩანს ე <- ჭ და ჳ თანხმოვანთა კორელაცია; ეს კი
თავის მხრივ ცხადყოფს, რომ ე <- ჭ (+ ხმ) ხელახალი
ინტერპრეტაციით: პირველი (მამაკაცის, resp. ადამიან-
ნის, პიროვნების) კლასიდან გადმოღებული ნიშანი კი
არ არის, არამედ მიღებულია ფონეტიკური ცვლილების(ე
<- ჭ <- ჳ) შედეგად და, მაშასადამე, იგი ისტორიულად,
წარმომავლობით, კანონიერი მაწარმოებელია არაპიროვ-
ნების („რა“) კლასისა.

დასასრულ, დაისმის ასეთი საკითხიც: როგორ გავი-
გოთ საგან=ნიეთის („რა“) კლასის აღმნიშვნელად ერთსა
და იმავე დროს, ამასთან - ერთსა და იმავე ენაში თუ
დიალექტში რამდენიმე, — სახელდობრ: ბ, დ, რ, ჳ(+ხმ.)
— ნიშნის ერთმანეთის გვერდით არსებობა? ა <- რ <-დ
პროცესის (იხ. ზემ.) სარწმუნოდ მიჩნევის შემთხვევაში
ამ კლას=კატეგორიის ძირითად მაწარმოებლად რჩება ორი
ნიშანი: ბ, დ (+ხმ.). ამის კვალობაზე კი კეთდება
დასკვნა: ეს („რა“) კლასი ადრე დაყოფილი იყო ორ კლას-
სად, უფრო სწორედ — ორ ქვეკლასად: დ=ნიშნიან და
ბ=ნიშნიან კლასად. ხოლო თუ ასეთ (დ -> რ -> ა)პროცესს
უგულებელვყოფთ და გრ. კლასის ყველა დასახელებულ ნი-
შანს დამოუკიდებელივ განვითარებულად ჩავთვლით, მაშინ
უნდა ვიგულისხმოთ, რომ კლას=კატეგორიის ამ ზონაში
შედოდა იმდენი კლასი, resp. ქვეკლასი, რამდენიც
ნიშანია: დ=ნიშნიანი, რ=ნიშნიანი, ა=ნიშნიანი; ბ=

ნიშნიანი — სულ: ოთხი კლასი (ქვეკლასი)¹. ხოლო თუ ამას მიემატება ისიც, რომ მუხადურში არსებობს ოგრეთვე მამრობითი სქესის ადამიანის (resp. პიროვნების) ვ <- ჭ ნიშნიანი კლასი, რომელშიც ისტორიულად შედიოდა მდედრობითი სქესის ადამიანიც,² ამ ენაში კლას = კატეგორიის განვითარების სურათი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ასეთი კლასიფიკაციით:

პირველი („ვინ“) კლასი: ადამიანი, პიროვნება — ასახული ჭ -> ვ [ანდა: ჭ + ხმ. -> ვ + ხმ.] ნიშნიან; მეორე („რა“) კლასი: ა) პირველი ქვეკლასი: ზოგი საგანნივითი — ასახული ბ [შემდეგ აგრეთვე ბ -> ჭ -> ვ] ნიშნიან; ბ) მეორე ქვეკლასი: საგანნივითი, ზოგი ცხოველი, მოვლენა — ასახული დ (ანდა: დ + ხმ) ნიშნიან; გ) მესამე ქვეკლასი: საგანნივითი, მოვლენები (-> მოგვიანებით + ქალი) — ასახული რ [ანდა რ + ხმ.] ნიშნიან; დ) მეოთხე

1. შდრ. ხუნძურ მონაცემთა შესახებ განმარტებები: „... ამჟამად ხუნძურში სამი გრამატიკული კლასია გარჩეული: ვ -, ჰ -, ბ. წარსულში საქმის ვითარება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, სახელდობრ ა) ადამიანთა ორი კლასის ნაცვლად ერთი უნდა გვექონოდა, — გაუდიფერენცირებელი კლასი ადამიანისა და ანუ პიროვნებისა, ბ) ნივთის კლასში, პირუკუ, ორი კლასი უნდა ყოფილიყო გარჩეული ახლანდელი ერთი კლასის ნაცვლად. აქ დიფერენციაცია წინა საფეხურს ახასიათებდა, შემდეგლად მომხდარი ორი კლასის სახელთა გაერთიანება ერთ ბ კლასში, ნივთის ახლანდელი ბ კლასის კარდა წინადა უნდა გვექონოდა რ კლასიც; ეს ის რ არედიქსია, ამჟამად მრავლობითში რომ იხმარება: ვ = აჭუნა „მოდის“... რ = აჭუნა „მოდინ“ [არნ. ჩიქობავა; ილ. ცერცვაძე-1962].

2. ამის დამოწმება შეიძლება თუნდაც მუხადურთან ყველაზე ახლოს მდგომი წახური ენის მონაცემებით: იხ. ზემ. გრ. კლასები წახურში (კერძოდ: კლას = კატეგორიის გამოხატვა მრავლობით რიცხვში).

ქვეკლასი: საგან=ნივთი, მოვლენები (-> მოგვიანებით +ქალი; — უფრო მოგვიანებით + მამაკაცი) — ასახული ჟ (ანდა ჟ +ხმ) ნიშნით.

უფუნქციო თავკიდური ელემენტები მუხადურ

სახელებში. კლას=კატეგორიის გაქვავებულ

პრეფიქსთა საკითხი

მუხადური სახელები (წახურ სახელთა მსგავსად — იხ. ზემ.) თავკიდური ელემენტის ხასიათის მიხედვით შეიძლება დავაჯგუფოთ ასე:

1. სახელები, რომელთაც თავკიდურ ელემენტად აქვთ ბ (+ ხმოვანი): ბაქ — საფრთხობელა, ბეგ — გვირგვინი, ფერდი; ბიჩილ (რუთულ), ბიჩალ (მუხრეკ.) — მერცხალი; ბეჭ (ქვ.რუთული), ბუჭ (ზემო რუთ.) — ყვავილი; ბიწაჭი (რუთულ.), ბიწოჭი (შინაზ.), ბიწო (მუხრეკ.) — გრძელბეწვიანი, ხაოიანი ნოხი.

2. სახელები, რომელთაც თავკიდურ ელემენტად აქვთ ვ <- ჭი (+ხმოვანი); ვდუშელ — კაცი, ქმარი; ვდუშელდ — მამალი, ქმარი ...

3. სახელები, რომელთაც თავკიდურ ელემენტად აქვთ გ <- ჭი <- *ბ (+ხმოვანი): ვიჰ — გომური, ბოსელი; ვაზ — მთვარე; ვათ — რუ, არხი; ვუმ <- ჭუმ — ღამე, ვირილ — მზე ...

4. სახელები, რომელთაც თავკიდურ ელემენტად მოუღიოთ დ (+ხმ.): დახუ — კისერი; დაყ — ხსენი; დიკაჟ, დიკაჟ, — ქოთანნი; ღუხულ — ქვა; ღუჰ — ფიჭვი; ღქქ — მჭლე ...

5. სახელები, რომელთაც თავკიდურ ელემენტად

აქვთ ტ (+ხმ.) <- ფ (+ხმ.) ო ტეხ <- დეხ — დედალი
ცხვარი, ნერბი; ტაზხ <- დაზხ — სიმსივნე;

6. სახელები, რომლებსაც თავკიდურ ელემენტად
აქვთ რ (+ხმ.): რაქ — კარი, რაზვ — გზა; რაზღ —
სავარცხელი; რაზთ — კაღი; რიღნა — კვერი; რიში —
და; რეშ — ქალიშვილი, გოგო; რუგ — მტვერი; რეზხ <-
<- რეზვ — ნაცარი; რუხუზ — ნიორი; რულუდ — მრგვა-
ლი ...

7. სახელები, რომლებსაც თავკიდურ ელემენტად
მოუდით ჟ (+ხმ.): ჟაც — ხარი; ჟაქ — ხორცი; ჟაქი
— შუქი, ბრწყინვალეობა; ჟაზვ — სიცილი; ჟაშ — თავ-
თავი, ჯეჯილი; ჟიდ — დღე; ჟიზ — თოვლი; ჟიკ — გუ-
ლი; ჟიდზ — გასალეწი პურეული; ჟეყ — ზურგი, წელი;
ჟიმაზღ — ვირი; ჟიზვ — ნაცარი; ჟიხენ — ჭრილობა;
ჟიცან — სახნავი, ხნული:.. ჟიწხ = (ჟიწხდღ, ჟიწხებ
— კლას=კატეგ. მიხ.) — ათი; ჟიდ=, ჟიდზ= (ჟიდზდღ,
ჟიდზებ .) — შვიდი, ჟუყტღ <- ჟუყდღ -- მძიმე...

ჩამოთვლილი ინციპალური ელემენტები ამა თუ იმ
სახელის ფუძე=ძირთანაა შეზრდილ=გაქვეყნებული და, მა-
შასადადამე, ამჟამად უფუნქციოა; ეტიმოლოგიურ ძიებას კი
მივყავართ მათი პრეფიქსებად გამოყოფამდე. ზოგ ამგვარ
ელემენტზე უკვე ითქვა ზემოთ. სახელდობრ, ვ <- ჟ და
ამის ფარდი ზ ელემენტის გამო აღინიშნა, რომ პირ-
ველი (ჟი -> ვ) მეორის (ზ) დივერგენტია, ხოლო წარ-
მომავლობით ერთიცა და მეორეც კლას=კატეგორიის („რა“
კლასის) ნიშანია. ამის ანალოგიით ყველა სხვა ზემოთ
ჩამოთვლილი თავკიდური ელემენტი (დ+ხმ., რ+ხმ. ჟ+ხმ. და
სხვ.) უნდა გამოიყოს პრეფიქსად და დახასიათდეს რო-
გორც კლას =კატეგორიის ნიშანი — ზოგი „ვინ“ კლასის
ნიშნად, სახელდობრ, ვ + ხმ, მაგალითად, ვგდღზღდღ
სიტყვაში (იხ. ზემ.), ზოგი კი — „რა“ კლასისა, მა-
გალითად, ფ (+ხმ.), რ (+ხმ.), ჟ (+ხმ.) და სხვ. აქე-
დან ყურადღებას იპყრობს რ (+ხმ) თავკიდური ელემენ-

ტი, რომელიც გამოიყოფა მაინცდამაინც „ვინ“ კლასის აღმნიშვნელ სახელებშიც: რეშ (ქალიშვილი, გოგო), რიში (და)...

ზემოთ რეგისტრირებულ სახელოა ფუძეებში გაქვეავებული დავკიდური ელემენტები რომ ფორმანტებია, კლას=კატეგორიის გამომხატველები, ეს სარწმუნო ხდება თუნდაც კლას=კატეგორიის ამჟამად მოქმედ, ცოცხალ ფორმებთან მათი შეფარდებით.

შდრ., მაგალითად 1) აი = შინ (ყოფნა, არსებობა რისამე), აი=ქისი (იქნება რამე) — აი=კ (გული), აი=ზ (თოვლი)...; 2) რი=შინ (ყოფნა, არსებობა ქალისა), რი=ქისი (იქნება ქალი) — რი=ში (და), რე=შე (ქალიშვილი, გოგო) ...; 3) ცი=შინ (ყოფნა, არსებობა ცხოველისა), ცი=ქისი (იქნება ცხოველი...) — ცი=ზ[~] (გომური, ბოსელი)...; 4) ქი=აღი=რ=ყარა (ახლებს რასმე - ობ.მე=3 კლ.) - ვი=რ=ილ (მზე)...; 5) ღი=ქის (ყოფნა ბევრისა, - ყოფნა რისამე, - რამეებისა) - ღი=კე (ქოთანნი)²...

მაგალითები, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება; ნიმუშად დასახელებულ ზმნადა ეს ფორმებიც, ცფიქრობთ, თავის მხრივ უეჭველს ხდიან შეფარდებულ სახელებში კლას=კატეგორიის პრეფიქსთა გამოყოფის შესაძლებლობას.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყროვენ აგრეთვე სხვა (მუხადური) სახელებიც, რომლებსაც თავში მოუდიდ მ (+ხმოვანი) ან ლ (+ხმოვანი) ელემენტები: ეს

1. ამის თაობაზე ზოგი შენიშვნა იხ. ზემოთ.

2. შდრ. ხუნძური, სადაც „არსებით სახელებში გაქვეავებული სახით ე.ი. ფუძესთან შეზრდილ კლას=ნიშნები მ და ლ, მეტადრე რ წარმოდგენილია არა ერთ შემთხვევაში. მათი გამოყოფა შედარების გზით ხერხდება“ ასეთი სახელებია, მაგალითად: რაკ (გული), რალ (ბრძოლა), როკუნ, დეკუნ (ნემსი)...; ბაც (მზე) და სხვ. (არნ.ჩიქობავა, ილ.ცერცვაძე - 1962).

სახელებია: 1) მ (+ხმ) თავკიდურ=ელემენტია: მაჰ, მაღ — სახნისი; მაყბალ — ჭინჭარი; მახჭ — იგავი, ზღაპარი; ამბავი; მაღაზღ — კიბე; მახხჭ — მუხა; მიხ[~] მიჰ[~] — ირემი; მიჭრი — წვერი (თმები სახეზე); მღზღ[~] — ბოძი, მორი; მღყ — სიცივე, მღქ — ყინული, მიკ — უნაგი; მღთღ — თიკანი; მუგულ — ცოცხი, საგველი; მუკ, მიკჭ — ცეკვა, როკვა; მილუხ — მატლი, მაყ — ქონი, ცხიმი; მექ — ძნა; მეს — ლაგინი; მეგ — ქორჩორი... 2) ნ (+ხმოვანი) თავკიდურელემენტია: ნ[~]აღ, ნ[~]აღჭ — ცრემლი; ნ[~]აყ — ძილი; ნ[~]აყჭ — მიწა, ნიადაგი; ნაწურ — მდინარე; ნ[~]აქ — რძე; ნახ — საღამო; ნიჰრაბზრ — კვერი, ნისხჰ, ნისხი — ყველი ... ზემოთ მოწოდებული ინფორმაციის კვალობაზე შეიძლება დაისვას საკითხი ამ მ (+ხმ.) და ნ (+ხმ.) ელემენტთა ფორმანტებად, სახელდობრ, კლას=კატეგორიის პრეფიქსებად მიჩნევის შესახებაც. ამ ელემენტთა ეტიმოლოგიური ძიებისათვის, რასაკვირველია, არ კმარა მხოლოდ მუხადურის, ან მასთან ყველაზე ახლოს მდგომი წახური ენის მონაცემთა (იხ. ზემ.) ანალიზი, თანაც: ამ ენისა თუ ენათა ფარგლებიდან გასვლისა და თვისტომ ენათა მონაცემების შესადარებლად მომარჯვების დროს, გარდა ფუნქციონალური ანალიზისა, საჭირო იქნება გაირკვეს ის, თუ ერთი-მეორესთან ფონემურად როგორ მიმართება-შია, ერთი მხრით, მ და ზემოთ განხილული ბ, ანდა ქ - ბ ელემენტები, ხოლო მეორე მხრით, ნ და ზემოთ განხილული დ, რ, ჟ ელემენტები. ამ ელემენტთა ფონეტიკური კორელაციის დასადგენად არ კმარა ოდენ მუხადურის (ან თუნდაც ზემოთ გაანალიზებული წახური ენის) მასალა. ამისათვის საჭიროა სხვა, თვისტომ, ენათა მონაცემების გათვალისწინებაც. საკითხის ასეთი მასშტაბით შესწავლა კი მომავლის საქმეა. აქ კი ზოგი კონკრეტული მაგალითის ჩვენებით მაინც შეიძლება დასახელებულთაგან ზოგი თავკიდური ელემენტის, კერძოდ მ - ბ თანხ-

მოვანთა (ან მ+ხმოვნის, ბ+ხმოვნის) შეფარდების ჩვენება; შდრ., მაგალითად: 1) მუხადურში ერთიმეორის გვერდით ხმარებული მრავლ. რიცხვის ბარ და მარ აფიქსები: ნინა=ბარ „დედები“; დიდა=ბარ „მამები“... მაგრამ: გაგ=მარ „ბიჭები“, ხუნი=მარ, ხელი=მარ „ბავშვები“, „შვილები“; 2) „ლრუბლის“ აღმნიშვნელი გგბულ (მუხადური) და გგმულ (წახური) სახელი; 3) მთის კაცკასიურ ენებში „რვის“ აღმნიშვნელი სახელი: მგა=(მუხადურ.), მოლ=(წახ.), მოაი=(ბულხ.), მუაა=(აღლ.), მულ(უღ.), მიდი(ჯეკ)... მაგრამ: ბოტზირა (ბაღედა.), ბიტზიდა (კარატ; ახვას.), ბიტზინო (დიდ.) — შდრ., აგრეთვე ვიტზულა (ბოთლინ.)... შესაფარდებლად დასახელებული ამ მცირე მასალითაც თვალსაჩინო ხდება მ (+ხმ.) და ბ (+ხმ.) ელემენტთა ფონეტიკური ფარდობა და ფუნქციური იკივობა.

მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება

წახურში

წახურში მრ. რიცხვის ფორმა ეწარმოება არსებით სახელს, ზედსართავს (თუ სუბსტანტივად გაიგება), ზოგ ნაცვალსახელს, სახელზმნასა (მიმღეობას) და ზმნას. რიცხვის ნიშანი საწარმოებელ ფუძე-ფორმას ყოველთვის სუფიქსად მოუდის. მოწმდება ამგვარი დანიშნულების სუფიქსთა მთელი სერია: 1) ბი, ბე, ბა, ბე, ბო, ბუ; 2) მი, მე, მუ; 3) არ, არ, ერ, არ; 4) არა, ერა; 5) ა; 6) აა, ა, ე. ნიშანთა ნაირსახეობა მომეტებულწილად წარმოქმნილია ფონეტიკური ცვლილების შედეგად (იხ. ქვემ.). ამ სუფიქსთაგან ბი, ბე, ბო, ბუ, ანდა მი, მე, მუ გამოიყენება სახელში, სახელზმნასა და ზმნაში, დანარჩენები — მხოლოდ სახელში, უპირატესად — არსებით სახელში. დასახელებულთაგან ძირითადია ბი, ბე,

ბა, და არ ნიშნები; სხვები ფონეტიკური ვარიანტებისა ძირითადებისა; 1) ბი, ბჟ -> მი, მჟ (შესაბამისად); 2) ბა -> ბო -> ბუ; 3) ბუ -> მუ; 4) ბა -> ბჟ -> ბე; 5) არ -> ა; 6) არ -> არ -> ა -> ე; ანდა: 7) არ -> ა -> ა -> ა; 8) არა -> არა -> ერა; 9) რა -> აა -> ა. ყველა ასეთ ბგერათცვლას აქვს თავთავისი ფონეტიკური პირობები: ა) სონორების (მეტადრე ნჟს) მეზობლობაში ბ (ნბჟ) -> მ (ნმჟ): ნბჟ, (ნ)ბი -> (ნ)მჟ, (ნ)მი; ბ) რჟს იოტიზაცია: (არა?) -> არჟ -> (ააა?) -> აა; გ) ბაგისმიერი (ბ, მ) თანხმოვანთა გვერდით არაბაგისმიერი (ა) ხმოვანი გარდასისახება ბაგისმიერ (ო, უ) ხმოვნებად: ბა -> ბო -> ბუ; დ) ხმოვნის პალატალიზაცია ან თანხმოვნის იოტიზაცია შეპირობებულია საწარმოებელ ფუძეში ი - ჯ, ა, ე ხმოვანთა არსებობით, ანდა ფუძესა თუ ფორმანტში ჯ ელემენტის მეზობლობით.

უწყებულ სუფიქსთა გამოყენების არეალები და საილუსტრაციო ნიმუშები (ფონეტიკურ ცვლილებათა ჩვენებითა და შინაგანი რეკონსტრუქციით):

I. =ბი სუფიქსი (ზოგჯერ =ბჟ ვარიანტის პარალელურად) როგორც სახელობით, ისე „ირიბ“ ბრუნვებში მოწმდება აულების — გილმიწის, ხიახის და ლექის (ყურდულის) მეტყველებაში. ეს (=ბი) სუფიქსი თითქმის ყველა სხვა აულის მეტყველების საკუთრებაცაა, ოღონდ ეს ითქმის „ირიბ“ ბრუნვათა მიხედვით. მაგალიტები: 1) სახელობით ბრუნვაში გამოყენებისა — ა) ბოლხმოვნიან ფუძეებთან: ტილი=ბი (თითები), ხტაჟ=ბი

I. შემდეგ ხდება ასიმილაცია: ნბ -> ნმ -> მმ, ამის შემდეგ -> გემინაცია: მმ -> მ (იხ. ქვემ. ნიმუშები). ამ მხრივ კილო=კილოკავებში ერთნაირი მდგომარეობა არ არის; მაგალითად, გილმიწის, ხიახის, ლექისა და ზოგი სხვა აულის მეტყველებაში უფრო ძველი; საყრდენი ვარიანტები გამოიყენება; ანალი, ტრანსფორმირებული, ვარიანტები კი — წახურისა და კილო=კილოკავურად მასთან ანლოს მყოფ აულთა მეტყველებაში, მომეტებულად კი — თავად აულ წახურისაში.

(ცურები, ჯიქნები), მოხახახები (წისქვილები), სიფაში (ხახვები), ჭიჯაში (ზორტები, ხვანჯრები), ხოწაში (ძაღვები)... ბ) ბოლოთანხმოვნიან ფუძეებთან: ოყაში (ბაღახები), ოსაში (შეშები), ქარაში (რამეები), წაახაში (წახები); ტანყაში (წვეთები), მეტაში (ქარები)...; გერგენაში (ყველანი, ყველაფერნი), დიხინაში (არმყოფნი, არარსებულნი), ახტინაში (დარჩენილნი, დანარჩენები)... გ) აზე დაბოლოებულ ფუძეებთან: წაააში (ცეცხლნი), სოააში (დათვები)... დ) სხვაგვარ ფუძეფორმებთან: ა) ულ^აში <- ულ^აში < ულ^აში <- ულ^ავაში? (თვალეები; ულ^ა „თვალნი“); ხელ^აში <- ხელ^აში <- ხელ^ავაში <- ხელ^ავაში <- ხელ^ავაში (ხელები; ხელ „ხელი“).¹... ბ) შააში <- შააში <- შააში (ესენი; შააინა, შააინ, შინ „ეს“), შეაში <- შეაში <- შეაში (ისინი; შეა „ის“)... ც) რუააში (ძმები; როჯ, „ძმა“)... ც) ხააში (სახლები; ხაა „სახლი“), გეაში (ბატკნები; გეა „ბატკანი“)... 2) „ირიბ“ ბრუნვებში გამოყენებისა: ვახააში=შა (ცხვრებმა), ვახააში=შინ (ცხვრებისა), ვახააში=შის (ცხვრებს)...; წაახაში=შა (წახებმა), წაახაში=შინ (წახებისა), წაახაში=შის (წახებს)..., ახტინაში=შა (დარჩენილებმა, დანარჩენებმა -- კაცებმა, ქალებმა, ცხოველფრინველებმა), ახტინაში=შინ (დარჩენილებისა, დანარჩენებისა), ახტინაში=შის (დარჩენილებს, დანარჩენებს)...; შეააში=შა (მათ — ერგატ.), შეააში=შინ (მათი), შეააში=შის (მათ — მიკემ.)...

2) =ბე II -> =მე სუფიქსი მოწმდება აულების — წახურის, მიქიქის; სოკიუთისა და სხვა, მათთან კილოკაცურად ახლოს მდგომ, აულთა მეტყველებაში;

¹ ეტიმოლოგიურად ასე: „თვალ=მყოფნი, თვალ=არსებულნი“? „ხელ=არსებულნი“? (შდრ. ვობ <- ვაბ „არის“, resp. „მყოფნი“). თავისებურად წარმოებულ იქნა ეს ფორმები უნდა ძიებულ იქნენ საგანგებოდ.

აგრეთვე (ბუ -> მუ ვარიანტთა პარალელურად) აულ მიშ-
 ლეშის მეტყველებაში. მაგალითები: I) სახელობით ბრუნ-
 ვაში გამოყენებისა -- ა) ბოლხმოვნიან ფუძეებთან:
 უხ(არა=ბე (ძაფები), ყუვა=ბე (ფიცრები), ტაყრა=ბე
 (წვეთები), ჭუვა=ბე (ზორტები, ხვანჯრები), ფუშნი=ბე
 (ბაგეები), დო=ბე (სახელები)... ბ) ბოლოთანხმოვნიან
 ფუძეებთან: მიზ=ბე (ენები), თურს=ბე (წინდები), სეხ=
 =ბე (ქურდები); დან=ბე -> დან=მე¹ (ლოყები), შენ=ბე
 -> შენ=მე (ისინი) ... გ) ძუე დაბოლოებულ ფუძეებ-
 თან: წაა=ბე (ცეცხლნი), სუა=ბე (დათვები)... დ)
 სხვაგვარ ფუძეებთან: ა) შემ=მე <- შენ=მე² <-შენ=
 ბე <- შენა=ბე (ისინი, შენა „ის“) ...; ბ) ხოა=ბე
 (ჯიქნები, ცურები, ხოაჟი „ჯიქანი“, „ცური“), ხაა=ბე
 (ცანი; ხააჟი „ცა“), ხაა=ბე (სახლები, ხააჟი „სახლი“)
 გეა=ბე (ბატკნები; გეაჟი -> გეაჟი „ბატკანი“) ... 2)
 „ირიბ“ ბრუნვებში გამოყენებისა: აულ=ბე=შინ, აილ=
 ბი=შინ (დღეებმა; დღეებისა), აულ=ბე=შის, აილ=ბე=
 შის (დღეებს)...; დან=ბე=შინ -> დან=მე=შინ -> დან=მე=მე
 შინ -> დან=მე=შინ (ლოყებმა; ლოყებისა), დან=ბე=შის -> დან=მე=
 =შის -> დან=მე=შის -> დან=მე=შის (ლოყებს)...

3) ბუ || ბუ ვარიანტი, როგორც წესი, გამოიყენე-
 ბა აულ მუსლაღის მეტყველებაში, ხოლო სპორადულად —
 აულ მიშლეშისაში, — სახელთა როგორც ბოლხმოვნიან,
 ისე ბოლოთანხმოვნიან ფუძეთა სახელობითი ბრუნვის
 ფორმაში; მაგალითად: ყუვა=ბო || ყუვა=ბუ (ფიცრები),
 ჭუვა=ბო || ჭუვა=ბუ (ზორტები), დო=ბუ (სახელები)...;
 თკ=ბუ || თკჟ=ბო (ბალახები), თურს=ბუ || თურს=ბო (წინ-
 დები)...

ე.წ. „ირიბ“ ბრუნვებში აქაც (მუსლაღურში, მიშ-
 ლეშურში...) გამოიყენება ხან ბუ (-> მე), ხან ბი
 სუფიქსი, უფრო კი — პირველი; თანაც იმ სხვაობით,
 რომ ამ აულთა მეტყველებაში უემთ ჩამოთავლილი ფონე-

I. აგრეთვე: დან=მე -> დან=მე (უპირატესად აულ წახურის მეტყვე)
 2. აგრეთვე: შემ=მე -> შემ=მე (უპირატესად აულ წახურის მეტყვე)

ტიკური ცვლილებები წესისამებრ არ ხდება (შეინიშნება მხოლოდ ახალგაზრდების მეტყველებაში და ისიც არარეგულარულად).

4. ჰა სუფიქსი გამოიყენება თითოაზროლა შემთხვევაში; მაგალ.: ჩუ^აბა (ძმები; ჩოჯ „ძმა“ — შდრ. მუხად. შუ^აბა „ძმები“, შუ „ძმა“ — იხ. ქვემ.). მოწმდება აულ წახურის; მიქიქურისა და კილოკილოკავურად მათთან ახლოს მდგომ აულთა მეტყველებაში.

5. ჰე (< ბე < ბა) სუფიქსიც იშვიათად იხმარება (გილმიწორში); მოწმდება ერთ სახელში, — თანაც მას ფაკულტატურად ენაცვლება ბე სუფიქსი: ირი^აბე || ირი^{ბე} (დები).

6. არ -> არ -> ერ; არ -> არ -> არ; არ -> არ -> ერ სუფიქსები მეტწილად გამოიყენება თითქმის ყველა აულის მეტყველებაში, — როგორც სახელობით, ისე „ირიბ“ ბრუნვებში (ოღონდ ასე: ძირითადი არ სუფიქსი და ზოგი მისი ალტერნანტი: არ, ერ, არ, არ მოწმდება უპირატესად დროულ ადამიანთა მეტყველებაში, ხოლო ყველა ალტერნანტი — ახალგაზრდების ან შედარებით უფრო ახალგაზრდების მეტყველებაში).

მაგალითები: 1) არ სუფიქსის გამოყენებისა: ა) სახელობით ბრუნვაში: ტუბ^{არ} (თითები), შხიმ^{არ} (კომშები), ქუს^{არ} (ჯიხვები), ბალოლ^{არ} (თევზები), მუთურ^{არ} (ქართველები)... ბ) „ირიბ“ ბრუნვებში: ხოზან^{არ} (პატრონებმა), ხოზან^{არ} (პატრონებისა), ბალქან^{არ} (ცხენებმა/ცხენებით, ცხენებისა), ბალქან^{არ} (ცხენებს)... 2) არ სუფიქსის გამოყენებისა: ა) სახელობით ბრუნვაში: ყამგალ^{არ} (ნაწინავები), ჯუთ^{არ} (წყვილები), არწყ^{არ} (თხილები), ერ^{არ} (ვაშლები) დიდ^{არ} || დიდი^{არ} („პაპები“ — დიდ^{არ} „პაპა“), ნენესი^{არ}, ნენეს^{არ} („ბებიები“). ბ) „ირიბ“ ბრუნვებში: ერ^{არ} (ვაშლებმა, ვაშლებით, ვაშლების), არწყ^{არ} (თხილებს)... 3) არ სუფიქსის

გამოყენებისა: ლექსურ („მამები“; — ლექს „მამა“),
 აედურ („დედები“, „დედაკაცები“. შდრ. აედ „დედა“),^I
 ჭაქქანურ („ცხენები“. — ბაქქან „ცხენი“)...

4. =ნრ (<- ჳრ) სუფიქსის გამოყენებისა: ბისნრ<-
 <- ბისეერ <- ბისიეერ <- ბისი=ნრ <- ბისი=არ („ფი-
 სოები“, „კატები“. — ბისი „ფისო“, „კატა“), ადამნრ
 <- ადამეერ <- ადამი=ნრ <- ადამი=არ („კაცები“,
 „ქმრები“. — ადამი „კაცი“, „ქმარი“), ხალნრ („ქრის-
 ტიანები“. — ხალი „ქრისტიანი“), ირნრ <- ირეერ<-
 ირე=ნრ <- ირი=არ („ქალიშვილები“. — ირი „ქალიშვი-
 ლი“, „გოგო“)... 5) ჳ სუფიქსის გამოყენებისა („ირიბ“
 ბრუნვებში): ლექსშშ <- ლექს=არ=შშ (მამებმა), ლე-
 ქსშშინ (მამებისა), ლექსშშის (მამებს); აედშშ <-
 აედ=არ=შშ („დედაკაცებმა“), აედშშინ (დედაკაცებისა),
 აედშშის (დედაკაცებს)... 6) ჳ სუფიქსის გამოყენები-
 სს („ირიბ“ ბრუნვებში): ერწშინ <- ერ=წრ=შინ („ვაშ-
 ლებმა“, „ვაშლების“), ერწშის <- ერ=წრ=შის (ვაშლებს)...
 7) =ე სუფიქსის გამოყენებისა („ირიბ“ ბრუნვებში):
 ირწშშ <- ირე=ე=შშ <- ირე=ერ=შშ <- ირი=ერ=შშ <-
 ირი=არ=შშ <- ირი=არ=შა („ღებმა“. — ირი „და“),
 ირწშინ, ირწშინი <- ირე=წ=შინი <- ირე=ერ=შინი <-
 ირი=ერ=შინი <- ირი=წრ=შინი <- ირი=არ=შინი (დე-
 ბისა), ირწშის <- ირე=ე=შის <- ირე=ერ=შის <- ირი
 =წრ=შის <- ირი=არ=შის (ღებს) ... 8) =ან <-
 არ (<- არ?) სუფიქსის გამოყენებისა (მოწმღებ
 თითო=აროლა მაგალითი): ლუხან <- ლუხრან (<- ლუხ=ნრ?)
 (ვაჟიშვილები. — ლუხ, დიხ „ვაჟიშვილი“)... 9) =არა||
 -> =ერა სუფიქსის გამოყენებისა (სახელობით ბრუნვა-
 ში): ა) ტუბ=არა (თითები), შიტ=არა (ბედურები), კიჭ=
 არა (ღიღები), კუკ=არა (კოვზები)...; მიზ=ერა <-

I. ეს სახელი „დედის“ მნიშვნელობით მხოლოდით
 რიცხვშიც იმარება და მრავლობითშიც, „დედაკაცისა“
 კი — მხოლოდ მრავლობითად. „დედაკაცის“ მნიშვნე-
 ლობით მხოლოდით რიცხვში „მშენებელი“ იტყვიან.

მიზანა... (ენები),

როგორც ითქვა, ზმნაში ამ აფიქსთაგან გამოიყენება მხოლოდ ბე, ბი -> მე, მი, აგრეთვე > ბო, ბუ სუფიქსები (გაცრცელების კილო=კილოკავური არე აქაც ისეთივეა, როგორც სახელთა და სახელზმნათა მიხედვით ზემოთაა ნაჩვენები). ეს სუფიქსები გამოიყენებიან გარდაუვალ ზმნაშიც (აღინიშნება სუბიექტის სიმრავლე) და გარდამავალშიც (აღინიშნება ობიექტის სიმრავლე ; ამასთან პრეფიქსით ფიქსირებულია ამის გრ.კლასიც).

მაგალითები მრავლ. რიცხვის I) გარდაუვალ ზმნაში აღნიშვნისა: ეოდემე <- ეოდემ=მე <- ეოდენ=მე <- ეოდენ=ბე (3. და 4. კლ.), ეობემე <- ეობემ=მე <- ეობენ=მე <- ეობენ=ბე (1. და 2. კლ.) „არიან“ — შდრ. ეოდენ (4. კლ.), ეობენ (3. კლ.) „არის“; ყალ~ აბკტიამე <- ყალ~ აბკტიამ=მე <- ყალ~ აბკტიან=მე <- ყალ~ აბკტიან=ბე „წევებიან“. (შდრ. ყალაბკტიან „მწოლარე“). შიი=თ=შერიმე <- შიი=თ=შერიმ=მე <- შიი=თ=შერინ=მე <- შიი=ლ=შერინ=ბე „ღამწიფდნენ“ (შიი=თ=შერინ „ღამწიფებული“). იხ~ ასემე <- იხ~ ასემ=მე <- იხ~ ასენ=მე <- იხ~ ასენ=ბე (1. და 4. კლ.) ღი=ხ~ ასემე <- ღი=ხ~ ასემ=მე <- ღი=ხ~ ასენ=ბე (2. კლ.), ეუ=ხ~ ასემე <- ეუ=ხ~ ასემ=მე <- ეუ=ხ~ ასენ=მე <- ეუ=ხ~ ასენ=ბე (3. კლ.) „იქნებიან“. — შდრ. ი=ხ~ ასნა (1. კლ.). ღი=ხ~ ასნა (2. კლ.), ეუ=ხ~ ასნა, ეუ=ხ~ ასენ (3. კლ.), ი=ხ~ ასენ (4. კლ.) „იქნება“. შდრ. იხ~ ას, ღიხ~ ას, ეუხ~ ას „ყოფნა“... 2) გარდამავალ ზმნაში აღნიშვნისა: შაყამე <- შაყამ=მე <- შაყან=მე <- შაყან=ბე (ობ. 1. და 4. კლ.), შაყამე <- შა=მ=ყამ=მე <- შა=მ=ყან=ბე (ობ. 2. კლ.), შაყამე <- შა=ჩ=ყამ=მე <- შა=ჩ=ყან=მე <- შა=ჩ=ყან=ბე (ობ. 3. კლ.) „აკეთებს ან აკეთებენ (მრავალს)“. — შაყან, შა=ზ=ყან შაყან <- შა=ჩ=ყან „მკეთებელი“, „საკეთებელი“ (ობ. კლას. მიხ.).

ნიმუშები დასახელებულია აულ წახურის მონაცემ-
თა მიხედვით. კილო=კილოკაცურად ამასთან ახლოს მდგომ
აულთა მეტყველებათშიც სუბიექტისა თუ ობიექტის რიცხ-
ვი ასევე ან თითქმის ასევე აღინიშნება; სხვა (უფრო შორს
მდგომ) აულთა მეტყველებათში პრინციპული სხვაობა არ
არის, მაგრამ იწარმოება განსხვავებული აფიქსითა და
ფონეტიკური ტრანსფორმაციის მოუხდენლად; შდრ., მაგა-
ლითად, ზოგი დასახელებული ზმნის გილმიწური (და კილო=
კილოკაცურად მასთან ახლოს მდგომ აულთა მეტყველებათში
დამოწმებული) ფორმები: ყაღბაბქიან=ბი (წვებიან), შიი=
დ=შვირინ=ბი (დამწიფდენ); შაყან=ბი, შაა=ყან=ბი,
შაა=ქიყან=ბი (აკეთებენ მრავალს. — ობ. კლას. მიხ.)...
ზოგი სხვა შენიშვნა და განმარტება:

I. მრ. რიცხვის =აღრ აფიქსის გვერდით ზოგჯერ =აშრ
(გრძელხმოვნისანი) ვარიანტიც იხმარება, თანაც — რო-
გორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძესთან.
ბოლხმოვნისან ფუძეებში ამგვარი (გრძელხმოვნისანი)
ფორმანტის არსებობის ახსნა ძნელი არ არის: საწარმოე-
ბელი ფუძის ბოლო ხმოვანი (თუკი არ იკვეცება იგი) და
სუფიქსისეული თავკიდური ხმოვანი შეერწყმის ერთმანეთს
და წარმოიქმნება გრძელი ხმოვანი; როგორც ეს ზემოთ
ჩამოთვლილ მაგალითებშია ნაჩვენები (სახელდობრ: ადა-
მწრ <- ადამე=ერ <- ადამი=ერ <- ადამი=აშრ <- ადამი=
აშრ და მისთ.). მაგრამ როგორღა აიხსნება ამგვარსავე
პოზიციაში გრძელი ხმოვნის არსებობა თანხმოვნით და-
ბოლოებულ სახელებში? — საწარმოებელი ფუძე ასეთ
შემთხვევაშიც ოდითგან ბოლხმოვნისანი უნდა ყოფილიყო,
შემდეგ ეს ბოლოკიდური ხმოვანი აბსოლუტურ ბოლოში
სუსტი პოზიციის (უმახვილობის) გამო უნდა მოჰკვეცო-
და ფუძეს, ხოლო ფუძე=ფორმის შიგნით შემონახულიყო
ფორმანტისეულ ხმოვანთან შეზრდისა და გრძელი ხმოვ-
ნის წარმოქმნის გზით (მაგალ. აედაშრ <- *აედა=აშრ
„დედები“, „დედაკაცები“. — აედ <- *აედა „დედა“.

2. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ცალკეა გამოსაყოფი =არა, =რა -> ერა სუფიქსი, რაც ერთი შეხედვით რთული აგებულებისა ჩანს: შდრ. კიჭ (ლილი, ლილ=კილი) — მრ. კიჭ=არა, შიტ (ბელურა. შდრ. ქართ. ჩიტ=ი) — მრ. შიტ=არა, კუჭი, კუკ (კოვზი) — მრ. კუჭი=არა, კუკ=არა, ყუყუი, ყუყ (კვერცხი) — მრ. ყუყუი=არა, ყუყ=არა, ვაზ (მთვარე) — მრ. ვუზ=არა... მაგრამ, საფიქრებელია ზემოთ განხილულ სახელთა ფუძის მსგავსად ამ (კიჭ, შიტ, კუჭი -> კუკ, ყუყუი -> ყუყ, ვაზ და მისთ.) ფუძეებსაც ბოლოკიდურ ელემენტად მოუდიოდ ხმოვანი -სწორედ ის ხმოვანი, რაც თავკიდურ ელემენტად აქვს =არა სუფიქსს; ამის მიხედვით ეს მაწარმოებელი უნდა დაიშალოს ასე: ა=რა, სადაც რიცხვის მაწარმოებლად უნდა გამოიყოს მარცვალი „რა“, ხოლო ამის წინამდგომი ა= მიეწეროს საწარმოებელ ფუძეს. ამის კვალობაზე ნიმუშად დასახელებული ფორმები უნდა დაიშალოს ასე: კიჭა=რა (ლილები), შიტა=რა (ბელურები), კუჭა=რა (კოვზები), ყუყა=რა (კვერცხები), ვუზა=რა <- ვაზა=რა... აქ სახელთა ფუძის ისეთივე მოდელია საგულისხმებელი, როგორც ამჟამად ამავე ენაში არსებული დამა (მდინარე), აქა (კარი), აყა (პირი=სახე), აქა (ბუდე), ყა (ხბო) და მისთ.

ისე რომ: აღნიშნულ ფორმებში მრ. რიცხვის მაწარმოებლად ორმარცვლიანი „რა“ კი არ უნდა გამოეყოს, არამედ ერთი „რა“ მარცვალი. თუ ეს ასეა, მაშინ დაისმება =არ სუფიქსისა (იხ. ზემ.) და =რა სუფიქსის ურთიერთმიმართების საკითხი. ფონეტიკური შედგენილობის მიხედვით ამ ორ („რა“ და „არ“) აფიქსში ერთიანობის დანახვა რასაკვირველია, ძნელი არ არის, ოღონდ დასადგენია მათი დამაკავშირებელი ისრის მიმართულება: არ -> რა, თუ არ <- რა? — წახურზე მოლა-

I. ა. დირი (1913) ამას ცალკე, დამოუკიდებელ, აფიქსად თვლის.

პარაკე ყველა აულის მეტყველებაში საყოველთაოა და ძირითად სუფიქსთაგანი აარ ფორმანტი. თანაც: რა<-არ პროცესის ფონეტიკური პირობები უფრო რეალურია, ვიდრე რა-> არ პროცესისა (მარჯვნიდან მარცხნივ თანხმოვნის გადაადგილება და ხმოვნებს შორის მოქცევა უფრო დამახასიათებელია, ვიდრე პირშებრუნებული ტრანსპოზიცია). ამიტომაც მართებული იქნება, ყურადღება შევამჩიროთ რა <- არ ცვლილების შესაძლებლობაზე და აქაც საყრდენად მივიჩნიოთ აარ. მაგალითებში ეს ასე აისახება: კიჭა=არ -> კიჭა=რა, შიტა=არ -> შიტა=რა და ასე -
- ყველა სხვა, ანალოგიურ, ფორმაში.

3. ა. დირი (1913); რომელსაც აგრეთვე ფიქსირებული აქვს ნაირვარიანტიანი სუფიქსები მრ. რიცხვისა, ულ~ობბე (თვალები), ხელ~ობბე (ხელები) და მისთ. ფორმებს მიიჩნევს დუალისად. ამგვარი განმარტება თავისთავად შეუძლებელი არ არის, მაგრამ ახსნილი არაა, მრ. რიცხვის ფორმათა წარმოების საერთო ფონზე თუ რატომ მიიჩნევა უწყებული ორი ფორმა მაინცდამაინც ორობით რიცხვისად. თუ იმისეული ვარაუდი ეყრდნობა იმას, რომ ყოველ ცხოველსა თუ ადამიანს აქვს ორი თვალი, ორი ხელი და, მაშასადამე, ბუნებრივია ამგვარი მნიშვნელობის მორფემული ასახვა, მაშინ ფორმათა ამ რგოლში რატომ არ არის მოქცეული „ორის“ ცნებასთან დაკავშირებული „ყურის“, „ყბის“, „ბაგის“, „ფეხისა“ და მისთანადა სახელები? მეორეც: თუ ეს ასეა, მაშინ ოდენ მრავლობითის შემთხვევათა მსგავსად აქაც უთუოდ უნდა ყოფილიყო ოდენ ორობითი წარმოება: ეს სახელები კი მხოლოდით რიცხვშიც ისევე დაისმიან, როგორც -- ჩვეულებრივ სხვა სახელები: ულ~თვალი“, ხელ~ხელი“.
— ისე რომ: ულ~ობბე ან ულ~ობბი, ხელ~ობბე ან ხელ~ობბი უნდა გაგებულ და განმარტებულ იქნეს როგორც მრავ-

ლობითი რიცხვის გახეხილი ფორმა და არა როგორც კონკრეტული-დუალისი.

4. ზემოთ, გარდა =არ, სუფიქსისა, მრ. რიცხვის ძირითად ნიშნებად გამოიყო ბი, ბჟ, ბა. აქედან მესამე (ბა) ნიშანი ცალკე დგას. ბი და ბჟ ნიშნები კი, უეჭველია, ერთმანეთის ფარდია. ამ აფიქსებში მონაწილე ი და ჟ ჰომოგენურ=ჰომორგანული ხმოვნებია და, მაშასადამე, ამგვარ ხმოვანთა შემცველ მაწარმოებელთა ერთიმეორისაგან წარმოქმნის შესაძლებლობის ახსნა არ არის ძნელი (მით უმეტესად, თუ ერთიცა და მეორეც ეტიმოლოგიურად კლას=კატეგორიის მორფემის დერივატია. — იხ. ქვემ. მრ. რიცხვის ფორმათა წარმოება მუხადურში). მაგრამ ძნელდება იმის თქმა, თუ ამ ვარიანტთაგან რომელი რომელს უსწრებს წინ ქრონოლოგიურად. ერთი კია: =ბი სუფიქსი ა) გამოიყენება უპირატესად გილმიწურსა და კილო=კილოკავურად მასთან ახლოს მდგომ აულთა მეტყველებაში (იხ. ზემ.), რომლისთვისაც დამახასიათებელია არქაულობა; ბ) სისტემატურად გამოიყოფა ეთნიკურ სახელებში (მაგალ. წახხ=ბი „წახხები“, წახხ=ბი=შდწ „წახხებისა“, გილმიწ=ბი=შ=დწ „გილმიწელებისა“...); გ) დომინანტობს თითქმის ყველა აულის მეტყველებაში — „ირიბ“ ბრუნვათა ფორმებში (იხ. ზემ. გამოყენების არეალები); დ) მოწმდება სხვა, თვისტომ, ენებშიც — როგორც ძირითადი მაწარმოებელი (ან მაწარმოებელთაგანი), სახელდობრ — მუხადურში (იხ. ქვემ.), კრიზულში, ხუნძურში, ბადგა-ლურში, კარბტულში, ტინდიურში, დარგულში, დიდოურში, ბაცბიურში... ყველაფერი ეს საფიქრებელს ხდის: ამ (ბი, ბჟ) ნიშანთაგან ხომ არ არის უფრო ძველი პირველი (ბი)? — მაგრამ ეს ყველაფერი — მხოლოდ კითხვის ნიშნით.

5. მრ. რიცხვი აფიქსაციით არ გამოიხატება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში; აქ იგი სემასიოლოგიური კატეგორიაა (ისევე, როგორც, მაგა-

ლითად, ქართულში, უდიურში...): შდრ. ზგ (მე) — ში (ჩენ), ვგ, ლუ —> ლუ (შენ) — შუ (თქვენ). მაგრამ გილმიწურში განვითარებულია „ჩენ“ ნაცვალსახელის =ბი სუფიქსიანი წარმოება: ში=ბი (გამოიყენება სპორადულად). საინტერესოა, რომ ეს ახალწარმოქმნილი ფორმა მოწმდება ისეთ კილოში, რომლისთვისაც ნიშანდობლივია საერთოდ უფრო მეტი არქაულობა. ამგვარად ფორმა მოეპოვება მუხადური ენის ბორჩულ დიალექტს (იხ. ქვემ.).

6. ზემოთ ითქვა, რომ მრ. რიცხვი წახურში ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა. მაგრამ იგი აღინიშნება მხოლოდ იმ ზმნურ ფორმებში, რომლებსაც საყრდენად აქვთ მიმღეობა ან ინფინიტივი (იხ. ნიმუშები). ამის კვალობაზე დაისმის კითხვა: სპეციალური აფიქსით მრ. რიცხვის გამოხატვა, გარდა სახელისა, ხომ არ არის დამახასიათებელი მაინცდამაინც სახელზმნისათვის (მიმღეობა=ინფინიტივისათვის) ამის (მიმღეობის, ინფინიტივის) გამოუყენებლად ფორმირებულ ზმნაში კი მრ. რიცხვის ექსპონირება ხდება ძველი წესით — კლას=კატეგორიის, resp. გრ. კლასის რიცხვისად გამოყენებული ნიშნით (იხ. ზემ.: გრ. კლასები წახურში), — ხდება ისევე, როგორც მუხადურში (იხ. ქვემ.), ხუნძურში... ყოველივე ეს კი იმის მარვენებელია, რომ ზმნაში მრ. რიცხვის სპეციალური აფიქსით აღნიშვნა ინოვაციაა; ამას ისიც მოწმობს, რომ საყრდენად გამოყენებულ სახელზმნურ ფორმაშიც — ცალკე აღებულ მიმღეობასა თუ ინფინიტივშიც — მრ. რიცხვი ყოველის უწინარეს გრამატიკული კლასის პრეფიქსითაა ექსპონირებული.

მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება მუხადურში

მუხადურში მრავლობითი რიცხვის ფორმა ორგვარად იწარმოება: ა) სპეციალური აფიქსით — სახელში და ბ) არასპეციალურით — ზმნაში, სახელზმნაში; უკანასკ-

ნელში იგულისხმება კლას=კატეგორიის რეინტერპრეტირებულ ნიშნის — საგან=ნივთის („რა“) კლასის მაწარმოებლის რიცხვისად გამოყენება (იხ. ზემ. გრ. კლასები მუხადურში). მრ. რიცხვის ნიშანი მუხადურში, წახურისა (იხ. ზემ.) და სხვა-თვისტომი ენების მსგავსად, ყოველთვის პოსტ=პოზიციური ელემენტია, სუფიქსია.

მუხადურს მოეპოვება მრ. რიცხვის სუფიქსთა მთელი სერია. ამ სუფიქსთა ნაირსახეობა მომეტებულწილად წარმოქმნილია ფონეტიკური ცვლილების შედეგად. ეს სუფიქსებია: =ბერ, =ბურ, =ბარ, =ბჟა; =ბე, =ბი, =ბა, =ბჳ; =მერ, =მარ, =მარ; =მე, =მა; =არ, =არ; =ა, =ე.

კილო=კილოკავების მიხედვით აღნიშნულ სუფიქსთა გამოყენების არეალები და საილუსტრაციო ნიმუშები ასეთია:

1) =ბერ II -> ბურ — უპირატესად მოწმდება აულეების — რუთულის, შინაზისა და კილო=კილოკავურად ახლოს მდგომ სხვა აულთა მეტყველებაში; „ირიბ“ ბრუნვებში იხმარება =ბი სუფიქსიც. მაგალითები: არაბა=ბურ <- არაბა=ბერ (ურმები), და=ბურ <- და=ბერ II დახ=ბურ <- დახ=ბერ (ხიდები), ტილი=ბერ, ² ტილ=ბურ ³ (თითები), თული=ბურ <- თული=ბერ (ფარდაგები); უს-ბურ <- უს=ბერ (შეშები), სიფილ-ბურ <- სიფილ=ბერ (ხახვები)...

2) - ბერ სუფიქსი (-> ბურ ვარიანტის გარეშე) გავრცელებულია აგრეთვე აულების — მუხრეკის, იხრეკისა და კილო=კილოკავურად ახლოს მდგომ სხვა აულთა მეტყველებაში; იხრეკულში ზოგჯერ გამოიყენება — ბჟა ვარიანტიც [ბერ -> ბჟა].

მაგალითები: ა) ჭიდ=ბერ (რწყილები), პეზ=ბერ (ბაგეები)... ბ) ტიტა=ბერ (ძუძუები; ტიტ „ძუძუ“), ხელა=ბერ (ხელები; ხელ „ხელი“), დილა=ბერ (ფეხები; დილ „ფეხი“), ულა=ბერ (თვალები; ულ „თვალი“), ჭილი=

1. გზადაგზა ნარევენებია აგრეთვე ამ აფიქსებში მომხდარი ცვლილებები.

2. აულ რუთულის მეტყველებაში.

3. აულ შინაზის მეტყველებაში.

4. არივე ვარიანტი გამოიყენება ფაკულტატურად.

ბერ (მორები; ჭილ „მორი“)...; გ) ნისჲ=ბჲ (ყველე-
ბი), ლაჲ=ბჲ (ხილები)¹...

3) =ბჲ, =ბი სუფიქსები მოწმდება ზემოთ დასა-
ხელებული აულების - მუხრეკისა და იხრეკის, აგრეთვე
ბორჩ — შინ-ხინაუ²ს მეტყველებაში. ამ სუფიქსთაგან
=ბი უპირატესად „ირიბ“ ბრუნვებში იხმარება. ბჲ სუ-
ფიქსი შეიძლებოდა წარმოდგენილიყო ასეც: =ბჲ <- ბჲჲ
<- ბჲრ; მაგრამ ამას აბათილებს მეორე, =ბი, ვარიან-
ტი რომელშიც გამოირიცხულია ა <- რ ელემენტის არსებო-
ბა: =ბიჲ <- ბირ ვარიანტი არც ერთი აულის მეტყველე-
ბაში არ მოწმდება. ისე რომ, =ბჲ და =ბი ცალკე წარ-
მოქმნილი აფიქსებია, ამასთან — ურთიერთკორელაციუ-
რი.

მაგალითები: ა) =ბჲ სუფიქსის გამოყენებისა:
თურ=ბჲ (სახელები), ჭილ=ბჲ (რწყილები), უს=ბჲ (შეშე-
ბი), ზჲ=ბჲ <- ზარ=ბჲ (ფურები)... ბ) =ბი სუფიქსის
გამოყენებისა: თიმ=ბი <- თინ=ბი (ისინი); თიმ=ბი=შჲ
<- თინ=ბი=შჲ („იმათ“- ერგატ.), თიმ=ბი=შდჲ <- თინ=
=ბი=შდჲ (იმათი), თიმ=ბი=შის <- თინ=ბი=შის („იმათ“
— მიცემ.)...; ზჲ=ბი=შჲ <- ზარ=ბი=შჲ (ფურებმა)...

როგორც ზემოთაც აღინიშნა, =ბი სუფიქსი „ირიბ“
ბრუნვათა ფორმებში თითქმის ყველა სხვა აულის მეტყ-
ველებაშიც გამოიყენება; შდრ., მაგალითად, აულ რუთუ-
ლის მონაცემები: ჰა=ბჲრ (ისინი)² — ჰა=ბი=შჲ („იმათ“
-ერგატ.), ჰა=ბი=შდჲ (იმათი), ჰა=ბი=შის (იმათ -
მიცემ.)...; ასევე რჲშ=ბჲრ (ქალიშვილები) — რჲშ=
ბი=შჲ (ქალიშვილებმა), რჲშ=ბი=შდჲ (ქალიშვილების),
რჲშ=ბი=შის (ქალიშვილებს)...

4) =ბარ, =მარ სუფიქსები გამოიყენება თითქმის

1. აულ იხრეკის მეტყველებაში.
2. შდრ. ჩინ=ბჲ || ჩინ=ბი „ისინი“, ჩინ 'ის, „იგი“
(აულ ხინაუს მეტყვ.)

ყველა აულის მეტყველებაში. ეს ორი აფიქსი შესაძლოა ისტორიულად უკავშირდება კიდევ ერთმანეთს და, მაშასადამე, კორელაციურია ან ერთიდან წარმოქმნილია მეორე (ამის თაობაზე ქვემოთ იქნება ზოგი შენიშვნა). =მარ სუფიქსს აქვს ასეთი ვარიანტიც: =მარ; ე.წ. ირიბ ბრუნვებში =ბარ და =მარ მაწარმოებლებს ცვლის =ბა და =მა (შესაბამისად).

გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს =ბა და =მა პირველთა (=ბარ და =მარ აფიქსთა) გამარტივებული — ბოლოში = რ ელემენტ-მოკვეცილი—ვარიანტი იყოს (შესაბამისად). =ბა სუფიქსშიც ხდება ცვლილება: ბა -> =ბა || =ბე. ხმოვანთა ასეთი ცვლა (ა -> ა -> ე) წესისამებრ ხდება. მაშინ, როდესაც საწარმოებელი ფუძე მოიცავს ი, ჯ ხმოვნებს. მოწმდება =ბა -> =ბა -> =ბე და =მა სუფიქსთა სახელობით ბრუნვაში გამოყენების შემთხვევებიც. მაგალითები: ა) =ბარ სუფიქსის გამოყენებისა: ნინა=ბარ (დედები; ნინ „დედა“), დიდა=ბარ („მამები“; დიდ „მამა“)... ბ) =მარ || -> =მარ სუფიქსის გამოყენებისა: გაგ=მარ (ბიძები; მოყვარენი, მძახლები); შურუქ=მარ (ფრინველები, ჩიტები); დონდუზ=მარ (ღორები); ხელი=მარ -> || ხელი=მარ (შინაზ.), ხენი=მარ -> || ხენი=მარ (რუთულ.) „შვილები“, „ბავშვები“ — შდრ. ხენეხ „შვილი“, „ბავშვი“ ; გ) =ბა -> =ბა -> =ბე სუფიქსის გამოყენებისა: შუ=ბა (ძმები) - აგრეთვე ასე: შუ=ბე, შუ=ბეხ (ქვემ. რუთულ.); ¹სი=ბე (ქვ. რუთ.) სი=ბა -> || სი=ბა (დათვები); რგშ=ბე (ქვ. რუთულ.) <- რგშ=ბა <- || რგშ=ბა (ქალიშვილები); ნინა=ბა=შტა (დედებისა), ნინა=ბა=შის (დედებს), დიდა=ბა=შტა (მამებისა), დიდა=ბა=შის (მამებს)... დ) =მა სუფიქსის გამოყენებისა: სუს=მა (პატარალები); გაგ=მა=შტა (ბიძებისა...); დონდუზ=მა=შის (ღორებს); დახბდაბილ=მა=შტა (პეპლებისა); ხელი=მა=შტა, ხენი=მა=შტა

I. აგრეთვე: შუ=ბეხ=შიხიან, ძმებთან ერთად“ (ქვ. რუთულ.).

(ბავშვებისა, წერილგეზობისა...)...

5) =მ₂რ სუფიქსი გამოიყენება თითქმის ყველა აულის მეტყველებაში — ე.წ. ირიბ ბრუნვათა ფორმებში; სახელობითში ამას წესისამებრ ცვლის ჰბ₂რ სუფიქსი: აც =ბ₂რ (ხარები) — აც =მ₂რ=ა (ხარებმა) ვუშ=ბ₂რ || ვუშ=ა || ვუშ=მ₂რ=ა (ლა-მეებმა)... რ₂ხ=ბ₂რ || რ₂ხ=ა || რ₂ხ=მ₂რ=ა (წისქვილები) — რ₂ხ=ა || რ₂ხ=მ₂რ=ა (წისქვილებმა)...

6) =მ₂ სუფიქსი, რომელიც შესაძლოა ჰბ₂ სუფიქსის ვარიანტი იყოს, მომეტებულწილად „ირიბ“ ბრუნვებში გამოიყენება (თითქმის ყველა აულის მეტყველებაში); სახელობით ბრუნვაში ამის ადგილს იჭერს -ბ₂რ; მაგალითად: სიფილ=ბ₂რ (ხახვები) — სიფილ=მ₂რ=ა (ხახვებისა), სიფილ=მ₂რ=ა (ხახვებს), აც=ბ₂რ (ხარები) — აც=მ₂რ=ა (ხარებისა), აც=მ₂რ=ა (ხარებს)... მახლახლ=ბ₂რ (ხიდები) — მახლახლ=მ₂რ=ა (ხიდებისა), მახლახლ=მ₂რ=ა (ხიდებს), პ₂ზ=ბ₂რ (ბაგეები, ტურები) — პ₂ზ=მ₂რ=ა || პ₂ზ=მ₂რ=ა (ბაგეებისა, ტურებისა), პ₂ზ=მ₂რ=ა || პ₂ზ=მ₂რ=ა (ბაგეებს, ტურებს)...

ეს სუფიქსი ზოგჯერ (გამონაკლისის სახით) გამოიყენება სახელობით ბრუნვაშიც: დამ=მ₂რ -> დამ₂რ (ტყეები), ბან₂რ=მ₂რ (წითები); ბანა „მთა“¹; ხახლ=მ₂რ (ცანი)².

7) =ა₂რ -> ა₂რ -> ა₂რ -> ე მაწარმოებელი (ყველა ამ ვარიანტით) მოწმდება თითქმის ყველა აულის მეტყველებაში. ცხადია, აღნიშნულ ვარიანტთაგან ძირითადია =ა₂რ; დანარჩენები (ა₂რ, ა₂რ, ე) წარმოქმნილია ფონეტიკური ტრანსფორმაციის — ბოლოკიდური ა₂რ თანხმონის მოკვეცის, თავკიდური ა₂= ხმონის პალატალიზაციისა (ა -> ა₂) და ამგვარად სახეცვლილი ა₂ ხმონის ე ხმონად გარდაქმნის (ა₂ -> ე) შედეგად. ამგვარი ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც საწარმოებელი ფუძე შეიცავს

1. აულ რუთულის მეტყვე.

2. აულ ხინაუს მეტყვე.

ი, ჯ, წი, უზ, ზ ხმოვანთაგან რომელიმეს. მაშასადამე; ფორმანტის ხმოვანი ემსგავსება ფუძის ხმოვანს; ამას, როგორც იძვევა, მოსდევს აფიქსისეული თანხმოვნის მოკვეცა: არ -> არ -> არ -> არ.

მაგალითები: ა) =არ სუფიქსის გამოყენებისა: ჭაბაღ=არ (ცხვრები), გახთ=არ (კატები), ჯორღან=არ (საბნები), ღონღუზ=არ (ღორები)... ბ) =არ -> =არ სუფიქსის გამოყენებისა: წიკ=არ -> || წიკ=არ (ღვიგები), დეღ=არ -> || დეღ=არ (ბუზები), გულ=არ (ბატკები), ბიჩილ=არ (მერცხლები)... გ) =არ -> გ სუფიქსის გამოყენებისა: მთლ=არ <- მთლ=არ (თიკები), წიკ=არ („დედალი თხები“ — წიკ „დედალი თხა“), გულ=არ <- გულ=არ (ქმრები), ღუბრ=ე (ქვ. რუთულ.) <- ღუბრ=არ <- * ღუბრ=არ (ვაჟიშვილები); ბ) გულ=არ შტ (ბატკებისა), ჭიბ=არ შტ (რწყილებისა), წიკ=არ შტ (ღვიგებისა), სიკ=არ შტ (მელიებისა)...

ა. დირი (რომელსაც განხილული აქვს მრ. რიცხვის მუხადურ (რუთულურ) ფორმათა წარმოების საკითხი) არ არის სწორი, როდესაც საერთო წესიდან გადახვევად მიიჩნევს ასეთ ფორმებს: გულ=არ (ქმრები), ღუბრ=არ (ვაჟიშვილები), მთლ=არ (თიკები), ყვან=არ (თხები)...; ანდა: დიდაბარ (მამები) და მისთ.; რეშბან (ქალიშვილები), სიბან (დათვები)...; სუსმა (პატარალები); ან კიდევ: ზებურ (ფურები) და მისთ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ყველა ასეთი ფორმა მეორეულია, წარმოქმნილია ძირითად ფორმათა ფონეტიკური ცვლილების [აფიქსისეული ხმოვნის პალატალიზაციის, ბოლოკიდური რ თანხმოვნის მოკვეცისა და, უნდა დავუმატოთ აქ, - ზოგჯერ საწარმოებელი ფუძის კუმშვის...] შედეგად; მაგალითად ასე: გულ=არ <- გულ=არ <- გულ=არ <- გულ=არ (ქმრები),² მთლ=არ <- მთლ=არ

1. იტყვიან ასეც: ღონღუზ=მარ.
2. შარ. სახელობ. (მხოლ. რ.): გულ=არ (მამაკაცი, ქმარი).

← მეთელ¹არ-მეთელ¹არ (თიკნები), ^Iყუნ=აყუნ=არ←
 ← ყუნ =არ (თხები)... დანარჩენ ფორმებს ზემოთ
 შევხებით, გარდა „ზებურ“ ფორმისა; ეს კი წარმოებულია
 ასე (ჩვეულებრივი წესით): ზებურ ← ზაზურ←ზარზურ
 ← ზარზურ (ფურები)?... მაშასადამე, ამ ფორმებში
 საერთო წესიდან გადახვევის ტენდენცია კი არ არის,
 არამედ — ფონეტიკური ცვლილებები.

მრავლობითი რიცხვის მუხადურ ფორმებთან დაკავ-
 შირებული სხვა შენიშვნები და განმარტებები: I. მრ.
 რიცხვის საწარმოებლად ამჟამინდელ მუხადურში გამოიყე-
 ნება ჩვიდმეტამდე ნიშანი (ჩამოთვლილია ზემოთ); აქე-
 დან, პირობით რომ ვთქვათ, „ძირითადია“: ბერ, ბარ,
მერ, მარ, ბი, ბე, ბა, მე, მა; არ; დანარ-
 ჩენი კი ამ ნიშნთან სახესხვაობაა. როგორც ძირითად,
 ისე ფონეტიკური ტრანსფორმაციით წარმოქმნილ ნიშნებს
 აქვთ ასეთი ბგერითი შედგენილობა: 1) თანხმოვანი +
 ხმოვანი + თანხმოვანი: ბერ, ბურ, ბარ, მერ; მარ; 2)
 თანხმოვანი + ხმოვანი: ბი, ბე, ბა, ბე, მე, მა; 3)
 ხმოვანი + თანხმოვანი: არ, არ; 4) ოდენ ხმოვანი: ა,
 ე. ამ აფიქსთაგან ზოგი მარტივია (ბი, ბე, ბა, მე,
 მა, არ...), ზოგი კი — რთული (ბერ → ბურ, მერ, ბარ,
 მარ...). მეორე ჯგუფად (რთულებად) გამოყოფილი აფიქ-
 სების შემადგენელი ნაწილები (ყველა ფონეტიკური ვა-
 რიანტის გათვალისწინებით) ემთხვევა ან ეფარდება მარ-
 ტივებს, ამიტომაც საფიქრებელია, რომ ამ ტიპის აფიქ-
 სები უნდა წარმოქმნილიყვნენ ასე: ბერ=ბერ ← ბერ+არ,
 მერ=მერ ← მე+არ; ბარ=ბარ ← ბა+არ, ანდა: ბარ=
 ბ+არ ← ბა+არ (შდრ. მარტივები: ბე, მე, ბა; არ)და
 ასე — ყველა სხვა შემთხვევაში. აფიქსთა ამგვარი
 კომბინაცია (მეორე კომპონენტით გართულება), როგორცა
 ჩანს, საჭირო გახდა პირველი კომპონენტის საწარმოე-
 ბელ ფუძე=ძირთან შეზრდისა და, მაშასადამე, მისი
 ფუნქციის მოდუნება=შესუსტებისა თუ მოშლის გამო, —

1. შდრ. სახელობ.(მხოლ.რ.): მეთელ (თიკანი).

2. შდრ. სახელობ.(მხოლ.რ.): ზარ (ფური).

ამის საჭიროება გაჩნდა ან ერთისა მეორის საკომპენ-
საციოდ, ანდა — ერთმანეთზე დართვით (ორჰორად გამო-
ყენებით) მაწარმოებელთა სიგნიფიკაციის გასაძლიერებ-
ლად. — ისე რომ, მუხალურში მრავლ. რიცხვის ძირითად
მაწარმოებლებად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ასეთი (მარტივი)
სუფიქსები: ბი, ბჯ ბა, არ; (და შესაძლოა მე, მა=ც)¹.
აქედან პირველი სამი, ცხადია, ერთმანეთთან შინაგანს
კავშირშია, ამასთან ყოველ მათგანს შეიძლება ჰქონდეს
რალაც სხვა სათავე და იგი დასაძებნი იყოს კლას=კატე-
გორიის არეალში, — როგორც ეს დადგენილია და ნახურ
ჯგუფებში შემავალი ზოგი სხვა ენის მონაცემთა კვალ-
ბაზე მიუჩინევიათ სხვებსაც (გ. მურკელინსკი — 1948;
ელ. ლომთაძე — 1949, — 1956; კ. ჭრელაშვილი —
1956, — 1957; ილ. ცერცვაძე — 1965...).

2. ყურადღებას იპყრობს ერთიმეორის პარალელურად
ბარ და მარ, ბჯ და მჯ, ბა, და მა, ბე და მე აფიქს-
თა არსებობა; დგება მათი ურთიერთობის საკითხი; პა-
სუხი შეიძლება ორგვარ განმარტებას დაეყრდნოს: აქ ან
ხდება პოზიციურ=კომბინაციური ბგერათცვლა: ბ -> მ;
ან არა=და: ხელთა ბ/მ თანხმოვანთა სპონტანური
ცვლა, კორელაცია; ანდა — ერთიცა და მეორეც. ისეთ
ფორმებში, როგორებიცაა, მაგალითად: შეათან=არ (ეშმაკე-
ბი) — შეათან=მა=შა (ეშმაკებმა), შეათან=მა=შბ
(ეშმაკებისა), შეათან=მა=შის (ეშმაკებს), ან კიდევ:
დამ (ტყე) — დამ=მე, დამ=მჯ (ტყეები), დამ=მჯ=ა
(ტყეებმა)...; სფფლ=მარ, სფფლ=მჯ (ხახვები); სჯრ=
მჯრ (სასაფლაო, სამარეები), სჯრ=მჯრ=ა (სასაფლაომ,

1. საგულისხმოა, რომ ეგვევე (ძირითადი) მაწარმოებ-
ლები მოეპოვება წახურსაც (იხ. ზემ.).; ზოგი ასეთი
მაწარმოებელი მოწმდება ხუნძურშიც (არნ. ჩიქობა-
ცა, ილ. ცერცვაძე — 1962), კაპუჭურ=ჰუნზიბურ-
შიც (ელ. ლომთაძე — 1956), ბაცბიურშიც (ა. შიფ-
ნერი — 1856; კ. ჭრელაშვილი — 1948, — 1956;
ი. დეშერიევი — 1953).

სამარეებმა) და მისთანებში თვალსაჩინოა მ <- ბ ცვლილების პოზიციური პირობები. ამიტომაც საწარმოებელი ფუძის ბოლოკიდურ მ, ნ, რ, ლ (სონორ) თანხმოვანთა მეზობლობაში ბ ხშულის მ სონორ თანხმოვანში გადასვლის (ნბ -> ნმ -> მმ; მბ -> მმ, ანდა: რბ -> რმ, ლბ -> ლმ პროცესის) ახსნა ძნელი არ არის: შეთან = მა = შა <- შეთან = ბა = შა...; დამ = მერ <- დამ = ბერ, დამ = მერ = ა <- დამ = ბერ = ა...; სფელ = მარ <- სფელ = ბარ...; სერ = მერ <- სერ = ბერ... ისე, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში =მარ, =მა, =მერ, =მე აფიქსები უნდა მივიჩნიოთ =ბარ, ბა; ბერ, ბე აფიქსთა დივერგენტებად. მაგრამ როგორღა აიხსნება =მარ, მა, მერ, მე აფიქსთა არსებობა იმ ფორმებში, რომლებშიც არ არის ის პირობები, რაჭედაც უნდა დამოკიდებული ყოფილიყო ბ -> მ პროცესი. აქ საგულისხმებელია, მაგალითად, ასეთი ფორმები: სუს = მა (პატარძლები), გაგ = მარ (ბიძები); რეხხ = მერ - ა (წისქვილებმა), რეხხ = მედ (წისქვილების) ვუშა = მედ (ღამეებისა), ჭილა = მედ (სარტყელებისა, ხვანჯერებისა)... ან კიდევ: რიში II -> რიშ (და) — რიში = მარ II რიშნ = მარ (დები), რიშნ = მა = შა II -> რიშნ = მა = შა (დებმა) და მისთ.

ამ ფორმათაგან ცალკეა გამოსაყოფი ბოლოს დასახელებული რიშ <- II რიშნ, რიშნ = მარ II რიში = მარ, რიშნ = მა = შა II რიში = მა = შა და მისთ. ფორმები აქ მხოლოდობითის ფუძეშია. ბოლოკიდური ნ, რომელიც ზოგჯერ იკვეცება: რიში -> რიშ. ამასთან იგივე ნ გრძელ ხმოვნად ისმის, ანდა ნ კომპლექსში მონაწილედ წარმოგვიდგება მრ. რიცხვის სუფიქსის დართვისა და ბრუნების დროს (იხ. ზემ.). როგორც ჩანს, ნ ხმოვნის სიგრძე (უფრო ზუსტად: სიგრძის ეფექტი) რადაც დაკარგული ან იოტად-ქცეული თანხმოვნის რეფლექსია. ასეთ თანხმოვნად კი უნდა ვიგულისხმოთ ნ, რ, ლ სონორი, რომელსაც შეეძლო სწორედ მეზობლად მდგომი ბ ხშულის

სონორ მდ გარდაქმნა. მაშასადამე, აღნიშნული ტიპის სახელებშიც მრ. რიცხვის გამოსახატავად გამოყენებული მერ, მჟ, მარ, მჰ ნიშნის თავკიდური მ ელემენტიც უნდა წარმოქმნილი იყოს პოზიციურ=კომბინაციური ბგე-რაოცვლის შედეგად. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ დასა-ხელებულ ფორმათა რეკონსტრუქციის გზა ასე უნდა წარ-მოვიდგინოთ: რიშ=მარ || რიშ=მარ <- რიშ=მარ <- რიშ=მარ (ანდა: <- რიშ=მარ <- რიშ=მარ) „დები“, რიშ=მარ || რიშ=მარ <- რიშ=მარ <- რიშ=მარ <- რიშ=მარ (ანდა: <- რიშ=მარ <- რიშ=მარ <- რიშ=მარ) „დებმა“ — და ასე ყველა სხვა ბრუნვის ფორმაში. ასევე: ხდ=მარ <- ხდ=მარ <- ხდ=მარ <- ხდ=მარ (ანდა: <- ხდ=მარ <- ხდ=მარ) „ბიძაშვი-ლები“...¹ ანალოგიური მდგომარეობა უნდა იყოს ასეთ ფორმებშიც: რგხ=მარ <- რგხ=მარ <- რგხ=მარ <- რგხ=მარ (ანდა: რგხ=მარ <- რგხ=მარ) „ნისქვილებმა“ -- ასევე ამ სახელთა ყველა სხვა ბრუნვის ფორმაშიც.

მრ. რიცხვის აფიქსები ამგვარადვე იცვლებიან წახურშიც, ოღონდ ბი -> მი, ბჟ -> მჟ, ბუ -> მუ პრო-ცესის საფუძველი იქ უფრო ნათელია, ვიდრე მუხადურში: აღნიშნულ აფიქსთა თავკიდური თანხმობანი (ბ) წახურ-ში გარდაიქმნება სონორად [-> მ], უკეთუ იგი (ბ) უშუა-ლოდ მოსდევს საწარმოებელი ფუძის (resp. ფუძე=ფორმის) ბოლოკიდურ ნ თანხმობანს (იხ. ზემ.). ამგვარი რეალიე-ბი წახურისა კიდევ უფრო სარწმუნოს ხდიან მუხადურის მიხედვით ნარჩენებ შინაგან რეკონსტრუქციითა შესაძ-ლებლობას. გასარკვევი რჩება მრ. რიცხვის მარ, მჟ, მერ, მჟ აფიქსთა ხასიათი ასეთ ფორმებში: ყარი=მარ (ცოლები)², გაგ=მარ (ბიძები), ღღღღ=მარ (კვერცხე-ბი), შარაქ=მარ (ბარტყები, ნაშიერნი), სუს=მა,³ სუს=

1. ამის ანალოგიით: ლიცი = მერ=ა <-ლიყინ=მერ=ა <-ლიყინ=მერ=ა (ტყავებმა), ჭილი=მერ <-ჭილი=მერ <-ჭილი=მერ (მორებმა).

2. ყარი (ცოლი) ნასესხებიან თურქულ=აზერბაიჯანულიდან.

3. აულ რუთულის მეტყვე.

მარ¹ (პატარძლები) და მისთ., სადაც სრულებით არ ჩანს ბ -> მ პროცესის პოზიციურ=კომბინაციური პირობები. ეს კი ბადებს იდეას, რომ მ ტიპის მაწარმოებლები ყოველთვის არ წარმოქმნიდან კომბინაციური ცვლის (ასიმილაციის) შედეგად. ისე რომ, ბარ, ბა, ბერ, ბე აფიქსთა გვერდით მარ, მა, მერ, მე აფიქსთა არსებობა შეიძლება აიხსნას სხვაგვარადაც და დაისმის ასეთი კითხვა: სადაც ბ=დან მ=ს წარმოქმნის კომბინაციური შესაძლებლობა არ არის, ხომ არ გამოიყენება ფონეტიკურად ფარდი (კორელაციური) და ფუნქციით ერთნაირი (სინონიმური) ნიშნები, ე.ი. ასეთ შემთხვევაში მ <- ბ ცვლილება კი არ ხდება, არამედ მ/ბ ვარიაცია შედეგია თავისუფალი (სპონტანური) ცვლისა, ბგერათშენაცვლებისა, სუბსტიტუციისა— თუ აქ არ მოქმედებს ანალოგიის კანონი.

3. სახელთა ერთ ჯგუფში მრ. რიცხვის აფიქსსა და საწარმოებელ ფუძეს შორის მოქცეულია ესა თუ ის (მახვილიანი) ხმოვანი, უპირატესად =ა=; მაგალითად, ნინ=ა=ბარ (დედები. ნინ „დედა“), დიდ=ა=ბარ (მამები. დიდ „მამა“), ვუშ=ა=ბერ (ღამეები. ვუშ „ღამე“), ღილ=ა=ბერ (ფეხები. -- დიდ „ფეხი“), ტიტ=ა=ბერ (ქუძუები, ქუძუსთავები. - ტიტ „ქუძუ“, „ქუძუსთავი“), ჭილ=ა=ბერ (მორები.- ჭილ „მორი“), ყულ=ა=ბურ (ფიცრები. — ყულ „ფიცარი“)... ასეთი ხმოვანი შეუმჩნეველი არ დარჩენია ა. დირსაც (1911); იგი აღნიშნავს: „ზოგი სიტყვა =ბურ დაბოლოების წინ ჩაირთავს ხმოვანს: ჭილ „მორი“: ჭილიბურ, ყულ „ფიცარი“: ყულუბურ, ულ „თვალი“: ულაბურ, დიდ „ფეხი“: დილაბურ, ტიტ „ქუძუ“ ტიტაბურ. შდრ. აგრეთვე: უბურ „ყური“: უბრაბურ, ჯუბურ „კული“: ჯუბრაბურ, კაბარეჲ „ქურქი“: კაბარაბურ. შემდეგ იქვე უმატებს: „ამ საერთო ფორმებს უხვევს: დიდ „მამა“ დიდაბარ, ნინ „დედა“: ნინაბარ, ვულჯლ

3. აულების — მუხრეკისა და შინაზის მეტყვე.

„ქმარი“: ვულა, ღუხ „ვაჟიშვილი“: ღუხრა; რგშ „ქა-
ლიშვილი“: რგშბა, სუს „პატარძალი: სუსმა, ყუნ „თხა“;
ყუნწ, წიჰ „დედალი თხა“: წიჰჰწ. ჩამოთვლილ ფორმებში
აღნიშნულ ხმოვანთა არსებობა სწორად შენიშნა ა. დირ-
მა; ეს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალითაც მტკიცდება
(იხ. ზემ. ნიმუშები). მაგრამ მთლად ზუსტი და სწორი
არ არის ამ ხმოვანთა დირისეული დახასიათება. ჩამოთვ-
ლილ სახელებში ხმოვანი კი არ ჩაერთვის ფორმანტსა
და საწარმოებელ ფუძეს, არამედ ამ (მრ. რ.) ფორმაში
შენარჩუნებული=შემონახულია იგი. ეს ხმოვანი მხოლო-
ბით რიცხვში დასმულ სახელთა ფუძის კუთვნილებას და,
როგორც ჩანს, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში (მხოლ. რ.)
მახვილის უქონლობის გამო იკვეცება; იქ კი, სადაც
ურნდება „ხელსაყრელი“ პირობები (მოუღის მახვილი),
არ იკვეცება.

4. ა. დირი ცდილობს, გვიჩვენოს მრ. რიცხვის მუ-
ხადურ (რუთულურ) სუფიქსთა გამოყენების არეები; ამ
თვალსაზრისით იგი საწარმოებელ სახელებს აჯგუფებს
ხან იმის მიხედვით, თუ რომელ გრამატიკულ (გონიერთა,
არაგონიერთა) კლასს განეკუთვნებიან, ხან კი — ფო-
ნეტიკური შედგენილობისა თუ დაბოლოების მიხედვით
[„რუთულური ენა“, გვ. 19-21]. ა. დირის ცნობები არ
არის სრული და ზუსტი; სუფიქსთა ერთი ნაწილი (როგორც
ძირითადი, ისე ვარიანტები) მას არა აქვს ნაჩვენები
(შდრ. ჩვენი ცნობები); ალბათ იმიტომ, რომ მას შეკ-
რებილი აქვს მხოლოდ აულ რუთულისა და ნაწილობრივ აულ
შინაზის მეტყველების მასალები; ზოგჯერ ამ მასალასაც
აკლია სისრულე და სიზუსტე; არის შეცდომებიც. არ არის
სწორი მრ. რიცხვის ნიშანთა გამოყენების არეების
ძიებასთან დაკავშირებით სახელთა იმგვარი დაჯგუფება,
როგორსაც ა. დირი იძლევა. მუხადურზე მოლაპარაკე
არც ერთი აულის მონაცემთა მიხედვით ვერ ხერხდება მრ.
რიცხვის აფიქსთა გამოყენების რაიმე კანონისა თუ

კანონზომიერების დადგენა.¹ მუხადურში ამ კატეგორიის მაწარმოებლები ახლა (აღბათ ა. დირის დროსაც) ისევე არამწყობრად, უსისტემოდ გამოიყენებიან, როგორც მაგალითად, კლასკატეგორიის ნიშნები [იხ. ზემ. გრ. კლასები].

ერთადერთი, რაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ნაცვალსახელებს ან ზედსართავსა და სხვა ატრიბუტიულ სახელებს წესისამებრ მრ. რიცხვის ნიშნად მოუღიო მხოლოდ ბი, ბერ, მერ, მუ ნიშანი; მაგალითად: ჰაბერ (ისინი; მხოლ. ჰად), ჰაბი=შე (მათ-ერგატ.), ჰაბი=შის (მათ.-მიცემ.), ჰაბი=შედ (მათი)², ან ასე: თინ=ბერ II -> თიმ=ბერ (ისინი; მხოლ. თი=)³; ან კიდევ: ჰა=მერ (ისინი), ჰა=მერა (მათ-ერგატ.), ჰა=მეა (მათ-მიცემ.) ჰა=მეა (მათი)⁴... ანდა წინდებ=ბერ (ახლები), ბერყუდ=ბერ (ბრმები), ტერყუდ=ბერ (კოჭლები)⁵...

მაინც როგორ შეიძლება გადავხედოთ ერთდროულად ერთსა და იმავე ენაში თუ კილო=კილოკავში თავმოყრილ მრავალრიცხოვან აფიქსთა არსებობა? — ასეთი მორფოლო-

1. შეიძლება გავითვალისწინოთ მხოლოდ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული პროცესები — პოზიციურ=კომბინაციური ან თავისუფალი (სპონტანური) ბგერათცვლილებები.

2. აულ რუთულის მეტყვე.

3. აულ იბრეკის მეტყვე. სინონიმად ჰაბერ ფორმაც იხმარება სპორადულად.

4. აულ შინაზის მეტყვე.

5. იხ. ქვემ. ნაცვალსახელთა და მსაზღვრელ სახელთა ფორმათწარმოება.

შენიშვნა: აულ ბორჩის მეტყველებაში მოიპოვება პირველი პირის ნაცვალსახელის ასეთი ფორმაც: ჯუხ=ნ=აზრ<-ჰრჷხ=აზრ „ჩვენ“-ზღრ. ერგატ. ჯუხ=ა მიცემ. ჯუხ=აუს II ჯუხ=ჩუს მოწმდება ასეთი ფორმაც (ბორჩი, რუთული, შინაზი...): ჰაბერ=აზრ II ჯუხ=აზრ „თვითონ ისინი“ (უკანასკნელი ფორმა იხმარება ერგატივის ფუნქციითაც), =აზრ სუფიქსის გამოყენება ყველა ამ ნაცვალსახელში მეორეულია — ახალი, არსებით სახელთა ანალოგიითაა გარენილი. ამას მოწმობს თუნდაც ერგატივისა და მიცემითის ჯუხა, ჯუხუს ფორმაც.

გიური პროცესი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ერთი ენისა თუ კილო=კილოკავის ფარგლებში ერთიმეორის გვერდით დაიღეპა ძველი და ახალი, ანდა — როგორც სხვადასხვა დიალექტოლოგიური წრიდან დაღეპილი მორფოლოგიური ელემენტები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მრ. რიცხვის მაწარმოებელთა ერთი ძირითადი ნაწილი ეტიმოლოგიურად შეიძლება დაუკავშირდეს კლას=კატეგორიის ოდინდელ ნიშნებს, ცხადი გახდება ერთიმეორის პარალელურად რიცხვისად რეიტენპრეტირებული კლას=ნიშნისა (ნიშნებისა) და ამ კატეგორიის (რიცხვის) გამოსახატავად წარმოქმნილი სპეციალურ აფიქსთა თანაარსებობა.

5. ზოგ მუხადურ სახელს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმა, — გამოიყენება ოდენ მხოლოდობითად (*singularia tantum*); ასეთებია: ხაშლაგაზ (ცისარტყელა. — ეტიმოლ. „ცის ნალი“), ვირიდ (მზე), ღინიშ II → ღინიშ (ღმერთი), ღუნ, თუნ (მატყლი)... „მზისა“ და „ღმერთის“ ცნებათა ამგვარი ენობრივი ასახვა საინტერესოა ეთნოგრაფიულ=რელიგიური თვალსაზრისითაც (ამის შესახებ ცნობები მოწოდებული იქნება მონოგრაფიის სხვა ნაწილში, რომელიც ლექსიკის საკითხებს დაეთმობა).

6. მუხადურს მოეპოვება სახელთა ბ თანხმოვნით ან ბჟ, ბჯრ, ბურ, მჯრ მარცვლით დაბოლოებული ფუძეები: ლობ <- || ლჷაბ, ლჷაბჯრ (ფესვი, ძირი), სჯლაბ, სჯლაბჟ (კბილი), ლჯჷბჯრ (წილი, ხვედრი); ჯჯბჯრ, ჯჯბურ (კუდი), უბურ (ყური), ჳიჳბჯრ (ქორფა, მწვანე ხახვი), ჰამჯრ (თიხა)... ყველა ეს სახელი მუხადურ ლექსიკაში დამკვიდრებულია მხოლოდობითი რიცხვის მნიშვნელობით, მაგრამ თავიდან ეს ასე არ უნდა ყოფილიყო: ამ ფუძეებში უნდა შეზრდილ=გაქვავებული იყოს მრ. რიცხვის სუფიქსები ზემოთ ჩამოთვლილ ბოლოკიდურ ბ, ბჟ, ბჯრ, ბურ, მჯრ ელემენტთა სახით: ლობ <- || ლჷა=ბ <- ლჷა=ბჟ, ლჷა=

I. ისევე, როგორც, მაგალითად, ქართულში: არქაული ნ, ლ და ახალი ებ ნიშნები—ერთიმეორის გვერდით.

ბერ, სგლა=ბ <- || სგლა=ბჟ, ლგჷ=ბერ, ჯგ=ბერ, ჯუ=ბურ, უ=ბურ, ჳიჳ=ბერ, ჳა=მერ... ამგვარად დაშლილ სახელთა ფუძის მეორე ნაწილი ზედმიწევნით ემთხვევა მრავლობითი რიცხვის ამჟამად მოქმედ, ცოცხალ სუფიქსებს (იხ. ზემ.). ამიტომაც თითოეული ასეთი სახელი წარმოგვიდგება როგორც *Pluralia tantum* =ი. ასეთად გაგებულ ფუძე=ფორმათა თავდაპირველი მნიშვნელობა კი ასე განიმარტება: 1) ლობ <- ლჳა=ბ <- ლუა=ბჟ, ლუა=ბერ, „ფესვი, ძირი < * ფესვები, ძირები“ (როგორც ჩანს, ამ სახელს ოდენ მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება თავდაპირველად დაკავშირებული იყო აღსანიშნის -- მრავლად გადგმულ=გაფარჩხული ფესვის -- ცნებასთან). 2) სგლა=ბ <- სგლა=ბჟ „კბილი < * კბილები“ (ნორმალურ შემთხვევაში კბილი მრავალია და არა მხოლოდ ერთი). 3) ლგჷ=ბერ „ხვედრი, წილი“ (ამ ცნების მრავლობითად წარმოდგენა=ასახვა ბუნებრივია: წილის კრა ხდება და არა დება ან გდება; მაშასადამე, ამ უკანასკნელთა საპირისპიროდ ყრა ობიექტის სიმრავლეზე მიუთითებს, — როგორც, ვტყვით, ფანტვა, მიმობნევა...). 4) ჯგ=ბერ, ჯუ=ბურ „კუდი“ < ეტიმოლ.: „ერთად წაზრდილ=ჩამოშვებული თმები, ძუები“. 5) უ=ბურ <- უ=ბერ „ყური < * ყურები, სასმენლები (ორი ყური, სასმენელი ერთად)“. 6) ჳიჳ=ბერ „ქორფა, მწვანე ხახვი“ (აღმნიშვნელის მრავლობითად წარმოდგენა უნდა შეპირობებული იყოს აღსანიშნის აგებულება=შედგენილობით — მრავალფორიანობით, თანაც < მრავლად მოყვანილ). 7) ჳა=მერ „თიხა <- ეტიმოლ. (აღბათ) „თიხნარი“.

1. მუხადური ჯგ=ბერ->ჯუ=ბერ->ჯუ=ბურ ფუძე=ფორმის საყრდენი (ლექსიკური) ჯუ ნაწილი შესაძლოა სულაც ეფარდებოდეს ქართულ ძუ= (ძუ=ა) ფუძეს.
2. მუხადურში — „კბილის“, „ყურის“ და სხვ. ოდითგან მრავლობითის ფორმით გამოყენება უპრეცედენტო არ არის. ამგვარად წარმოებულ=წარმოქმნილი სიტყვები თვისებრივ ენათაგან მოეპოვება, მაგალითად, უდიურს (ვ. ფანჩიძე-1937, -1948; ევგ. ჯეირანიშვილი-1948, — 1971).

ს ა ხ ე ლ ი

სახელთა სემანტიკური ჯგუფები

წახური და მუხადური სახელები იყოფიან ასეთ ლექსიკურ=სემანტიკურ ჯგუფებად: არსებითი სახელი; რიცხვითი სახელი; ზედსართავი სახელი; ნაცვალსახელი.

ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი

ფუძეთა აგებულება. სახელთა წარმოქმნა, კომპოზიცია

წახურ და მუხადურ არსებით სახელთა ფუძეები აგებულების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა -- მარტივი, ნაწარმოებ და რთულ ფუძეებად.

მარტივი ფუძეთა ფონემურ=მორფემული შედგენილობა

წახურში

1) ერთმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: ხმოვანი+თანხმოვანი: ოს (შეშა), ერ (ვაშლი), ულ(თვალი), ოკ, ოყ „ბალახი“; ებ (სისხლი), ჭთ (თაფლი), იფ(ღერღილი), ღო (სახელი), წა (ცეცხლი)...

2) ;ერთმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი: ბოკ (ნისკარტი), დიხ(ვაჟი), ლთ (ნაბადი, ქერა), დიკ II -> დიჭ (ფეტვი), მოხ (ცვილი), ვაზ (მთვარე, თვე, ნალი), მიზ (ენა)...

3) თანხმოვნით დაწყებული ერთმარცვლიანი ფუძეები, რომელთაც ბოლოში მოუდით უმარცვლო უ (ჭი) -- მოდელი: თანხმ.+ხმ+ჭი: ყეჭი (მარილი), ხეჭი (ტვირთი), გეჭი(ბატკანი), ხიჭი (სოფელი), ხაჭი (სახლი), ხაზჭი (ცა), ყოჭი (კასრი), სიჭი (ბოლო)... 4) ერთმარცვლიანი ფუძეები, რომლებსაც თავკიდურ ელემენტად აქვთ უმარცვლო უ(ჭი), ბოლოში კი - მარტივი თანხმოვანი: ჭოქ <- ჭაქ(ღორი), ჭაზ -> ვაზ (მთვარე, თვე, ნალი), ჭოხ -> ვოხ(არყის

ხე)...

5) ერთმარცვლიანი ფუძეები, რომელთაც თავკიდურ ელემენტად აქვთ $a =$ (მოდელი: $a + xმ. + თანხმ.$): $აიკ$ (გული), $აიღ$, $აჯღ$ (ღვე), $აიყ$ (წვენი, წვენიანი), $აიშ$ (ქალიშვილი), $აიზ$ (თოვლი), ...

6) ორმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: $xმოვანი + თანხმოვანი + xმოვანი$: უმა (წელი.-ანატ.), უჟა (ბარძაყის ძვალი), ახლაჟ (საგარცხელი), აქჟა (კარი), ექა (მძივი)...

7) ერთმარცვლიანი ფუძეები, რომლებსაც ბოლოკიდურ ელემენტად მოუდით ლაბიალიზებული თანხმოვანი, ინციპალად კი — მარტივი თანხმოვანი. — მოდელები: ა) თანხმ. $+ xმ. +$ ლაბიალიზ. თანხმ.: ნაყჭი (მიწა; სამარე), ნაღჭი (ცრემლი)...; ბ) თანხმ. $+ xმ. +$ სადა თანხმ. $+$ ლაბიალიზ. თანხმ.: ბარკჭი (ძვალი)...

8) ორმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: $xმოვანი + თანხმოვანი + xმ. +$ თანხმოვანი: აკურ (ხვრელი, ნახვრეტი), ადემ (ნაბიჯი)...

9) ორმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: თანხმ. $+ xმ. +$ თანხმ. $+ xმოვანი$: შანა (ჩანგალი), ჭუვა (ღვედი; აბურჩი), დახა (სახურავი), მალა (ჭინჭარი)...

10) ორმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: თანხმ. $+ xმ. +$ თანხმ. $+ xმ. +$ თანხმოვანი: გემელ (ღრუბელი), ხენელ (ერბო)...

11) ორმარცვლიანი ფუძეები, რომელთაც თავკიდურ ელემენტად მოუდით ax , ბოლოში კი — ესა თუ ის $xმოვანი$ (მოდელი: $a + xმ. +$ თანხმ. $+ xმოვანი$): $აიჩი$ (და), $აიწა$ (გომური), $აჟვა$ (რკინა), $აოხხა$ (წისქვილი)...

12) ორმარცვლიანი ან (იშვიათად) ერთმარცვლიანი ფუძეები, რომელთაც თავკიდურ ელემენტად მოუდით ესა თუ ის თანხმოვანი, ბოლოში კი — a (მოდელი: თანხმ. $+ xმ. +$ თანხმ. $+ xმ. + a$): გინეა, გენეა (პური), დიდეა (პაპა), კუკაა (საწყაო = IO გირვანქა), დიკაა (ქო-

თანნი)...; სწა (დათვი)...

13) ორმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: თანხ-
მოვანი+ხმოვანი+ორი თანხმოვანი+ხმოვანი: ვულრა (დედა-
ლი თხა), ტაყრა (წვეთი)...

14) სამმარცვლიანი ფუძეები. - მოდელი: ხმ.+თანხმ.
+ხმ.+თანხმ.+ხმ.: უხარა (მატყლის ძაფი)...

15) სამმარცვლიანი ფუძეები. — მოდელი: ხმოვანი+
ორი თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი+ხმოვანი: უღგუ-
ნა (ხორხის მალაობი)...

16) სამმარცვლიანი ფუძეები. — მოდელი: თანხმოვა-
ნი+ხმოვანი+თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი+ხმოვანი:
მუთური (ქართველი), ყარაცა (მუხლი), ყვენტა (მწერი)...

17) ორ= და სამ=მარცვლიანი ფუძეები, რომლებსაც
ინტერვოკალურ პოზიციაში აქვთ ლაბიალიზებული თანხმოვ.
— მოდელები: ა) ხმოვანი+ლაბიალიზ.თანხმ.+ხმოვანი:
აქტა (ბუდე), აყტა (პირისახე)...; ბ) მარტივი თანხმ.
+ხმ.+ლაბიალიზ.თანხმ.+ხმოვანი: მეხტა (ამბავი, ზღა-
პარი), ხიდტა (ბელელი)...; გ) თანხმ.+ხმ.ლაბიალიზ.
თანხმ.+ხმ.+თანხმ.+ხმოვანი: ნახტარი (სარკე) ...;
დ) თანხმ.+ხმ.+ლაბიალიზ.თანხმ.+თანხმ.+ხმოვანი: ნუ-
კურა -> ნუკრა (ვერცხლი)...

მარტივ ფუძეთა ფონემურ-მორფემული შედგენილობა

მუხალურში

1) ერთმარცვლიანი ფუძე. — მოდელი: ა) ხმოვანი +
თანხმოვანი: უს (შეშა), ულ (თვალი), უნ (ხმა), უკ
(წვეთი), უყ (ბალახი), ით (თაფლი), ზგ (ნალი), ზრ
(ვაშლი)... ბ) მოდელი: თანხმოვანი + ხმოვანი: თუ
(ნერწყვი), შუ (ძმა), ღა (ხიდი)...

2) ერთმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: თანხმოვა-
ნი+ხმოვანი+თანხმოვანი: ბეგ (გვერდი, ფერდი), მად
(სახნისი), ყულ (ფიცარი), ვუშ (ღამე), ლახ (ლუმელი),
ნაყ (ძილი) დან (ლოყა), ღუხ (ვაჟი), რათ (კალა), რაქ

(კარი), რუგ (მტვერი), ყწლ, ყელ (მარილი); ხალ(სახ-
ლი), ხაზლ (ცა), გწლ, გელ (ბატკანი), ხწლ, ხელ(ტვირ-
თი)... .

3) ერთმარცვლიანი ფუძეები, რომელთაც თავკიდურ ელემენ-
ტად აქვთ $x =$ (მოდელი: $x + ხმოვანი + თანხმოვანი$): xi კ
(გული), xi ლ, xi ღ (ღღე), xi ზ (თოვლი), xi ც (ხარი), xi შ, xi წ
(ყანა), xi ჭყ (ჭურგი), კარ (ჯოხი), რათ (კალო)... .

4) ერთმარცვლიანი ფუძეები, რომლებსაც თავკიდურ ელემ-
ენტად აქვთ ლაბიალიზებული თანხმოვანი, ბოლოში კი --
მარტივი თანხმოვანი: ლქაბ (ფესვი, ძირი), ჰქამ (ბუ-
ნაგი)... .

5) ერთმარცვლიანი ფუძეები, რომლებსაც ბოლოკიდურ ელემ-
ენტად აქვთ ლაბიალიზებული თანხმოვანი, ინიციალად კი
— მარტივი თანხმოვანი: ნწხჭ (ბზე), ნწყჭ (მიწა),
ლირხჭ (მტრედი)... .

6) ორმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: ხმოვანი +
თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი: ოხუნ, უხუნ (პერან-
გი), უჰუნ (მუცელი)... .

7) ორმარცვლიანი ფუძეები ასეთი მოდელისა: თანხმ. + ხმ.
+ თანხმ. + ხმ. + თანხმოვანი: მაშლაშდ (კიბე), მეჰელ(ბო-
ძი), ვირიდ, ვერჯდ (მზე), ღინიშ (ღმერთი), ღებგჭ ->
ტებგჭ (შამფური), ღუხულ (ქვა), ვდშულ (მამრი, ქმა-
რი), ჰებელ (ქარი), ხწწსემ (სახე)... .

8) ერთ = ან ორ = მარცვლიანი ფუძეები, რომლებსაც ბოლო-
კიდურ ელემენტად მოუდით = ჰ ან და = x : ბიწოჰ (ბეწვია-
ნი ხალიჩა), დიკა x (ქოთანა)... .

9) სამმარცვლიანი ფუძეები — მოდელი: ხმოვანი + თანხმ.
+ ხმ. + თანხმ. + ხმოვანი: არაბა (ურემი), ედემი (კაცი,
ადამიანი)... .

რასაკვირველია, ნიმუშები აქ დასახელებული მაგა-
ლითებით არ ამოიწურება.

ფონეტიკური შედგენილობის მიხედვით ამგვარად დაჯ-
გუფებული წახური და მუხადური სახელები თითქმის არ
განსხვავდებიან თვისტომი ენებისაგან; შდრ., კერძოდ,

უდიური, სადაც სახელთა მარტივი ფუძეები ასევე ჯგუფ-
დებიან; შდრ., მაგალ., I) ეჭ (კალო)...; აპ(ოფლი)...
იყ (ნაცარი)...; უშ (შეშა)...; ოყ (ფსკერი, ძირი)...
2) ხა (მატყლი)... ხო (ცხვარი)... ხე (წყალი)...; წი
(სახელი)... 3) ტულ (ყურძენი)...; ჩურ (ფური)... 4)
ნებ (ძილი)...; მუშ (ქარი)... 5) ბეხლ (მზე)...; ბერ
(ბალიში)...; ბოხყ (ღორი)...; 6) ძაყ (გზა)... 7)
ქოა (სახელა), კოა (ქვევრი)... 8) ოჭი (ტალახი), არი
(თამაში)... 9) ახლახმ (ბროწეული), ერეყ (თხილი)...
10) ჰასო, ჰასოა (ღრუბელი), კირო (წალდი)... 11) მუ-
გულ (ცოცხი), მუტულ (მარცვალი ხორბლეულისა)...; ბუქუნ
(მუცელი)...; ფოთიკ (გოჭი); 12) ადამარ (ადამიანი)...
13) ბალანყო (მაყვალი)...

მაშასადამე, მარტივი ფუძეები წახურსა და მუ-
ხადურში, თვისტომი უდიურის მსგავსად, ფონეტიკური
შედგენილობის მხრივ მრავალფეროვნებით ხასიათდებიან:
წარმოგვიდგებიან ერთი, ორი ან ორზე მეტი მარცვლის
სახით. ოღონდ ხვედრი წონა წახურშიც, მუხადურშიც
(უდიურსა და თვისტომ ენათა მსგავსად) ორდა მეტადრე
ერთმარცვლიან არსებით სახელებზე მოდის. თავკიდურ
და ბოლოკიდურ ელემენტთა ხასიათი და მათი ერთმანეთ-
თან შეჯერება გვაჩვენებს, რომ აღნიშნული არსებითი
სახელების მომეტებული ნაწილი არ არის მარტივი, ლი-
ტონი, ფუძეები და რომ ისტორიულად აქ უნდა იყოს პრე-
ფიქსით, სუფიქსით, ან ზოგჯერ კონფიქსით გართუ-
ლებული ფუძეძირები. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს:
1) სახელთა ერთი ჯგუფი, რომელიც ამჟამინდელი მდგო-
მარეობის მიხედვით მოიცავს ბოლოთანხმოვნიან ფუძეებს,
რაც ადრინდელი ცითარების მიხედვით უნდა მიჩნეულ
იქნეს ბოლოხმოვნიანებად, ამასთან ეს ბოლო ხმოვა-
ნი შემთხვევათა უმეტესობაში ფორმანტია, ანდა ფორ-
მანტის ნაშთი, 2) სახელთა ფუძეები რომლებსაც ბოლო-
კიდურ ელემენტებად აქვთ აღ, ეღ, იღ, ჯღ, უღ, არ,

არ=ი, ირ, ზრ ურ, ან, ინ, ვნ, უნ, ღ || გ, ღ, უ || ჭ .
 და მისთ. არ არის ძირისეული მასალა. ზოგ ფუძეს ამგ-
 ვარი ელემენტები სახელობით (წრფელობით) ბრუნვაშიც
 და აქედან მოყოლებული ქვევით სხვა ბრუნვებშიც მოუდის,
 ზოგი სახელის ფუძეს კი სახელობითში ასეთი ელემენტი
 არ მოეპოვება, მაგრამ იგი თავს იჩენს ფორმათა ცვლის
 დროს, სახელდობრ: ა) ბრუნების პროცესში (იხ. ქვევ.:
 სახელთა ბრუნება.: ძირითადი ბრუნვები); ბ) მრავლობი-
 თი რიცხვის ფორმები (იხ. ზევ. მრავლობითი რიცხვი),
 გ) მიმართვისა თუ მოწოდების („წოდებითი ბრუნვის“),
 ანდა მოფერების გამომხატველ „ფორმებში“, შდრ., მა-
 გალ., დიხ (ვაჟი) — დიხა=ჟი (ვაჟო!), დიხა=ჰინ (ვა-
 ჟის), დიხა=ჰის (ვაჟს)...; ჩოჯ (ძმა) — ჩოჯნი — ჩოჯნი=
 ი (ძმაო, ძამიკო!), ჩოჯნი — ჩოჯნი=ინ (ძმის), ჩოჯნის
 — ჩოჯნი=ის (ძმას)... დ) ბოლოკიდურ ელემენტად ხმოვ-
 ნის არსებობა მქლავნდება აგრეთვე წახურ და მუხადურ
 ფუძეთა შეფარდების გზით; შდრ., მაგალ. ყენ (მუხად.)
 — ყენა (წახ.) „თხა“; ჰეტ (მუხად.) — ჰეტა (წახ.) „ქე-
 რი“; კახტ (მუხად.) — კახტა (წახ.) „ქათამი“, ლახ
 (მუხად.) — ლახა (წახ.) „ლუმელი (მიწაში)“, მეხტი
 (მუხად.) — მეხტა (წახ.) „ზღაპარი“, „იგავი“, რაქჷ
 (მუხად.) — აქჷა (წახ.) „კარები“... ეს ერთგვარო-
 ვანი ფინალური(ა) ხმოვანი, რასაკვირველია, არ არის
 ლიტონი ფუძე=ძირის კუთვნილება.

3) მარტივ ფუძეებში ბოლოკიდური ელემენტები რომ ფორ-
 მანტიან, ეს ნათელი ხდება აგრეთვე წახურ და მუხადურ
 საერთო ლექსიკაში კანონზომიერად ფარდი ჟ/ლ ფინალუ-
 რი ელემენტების არსებობით; შდრ., მაგალითად: წახ.
 ყოხტი (მრ. ყოხა=აბჷ) — მუხად. ყუხლ (მრ. ყუხლარ)
 „თავი“, ხატი (მრ. ხაა=აბჷ) — მუხად. ხალ (მრ. ხალ=
 ბჷრ) „სახლი“; ხახტი (მრ. ხაჷ=აბჷ) — მუხად. ხახლ
 (მრ. ხახლ=ბჷრ) „ცა“; წახ. ყეტი (მრ. არ იხმ.) —
 მუხად. ყულ, ყელ (მრ. არ იხმ.) „მარილი“; ხეტი (მრ.
 ხეა=აბჷ) — მუხად. ხელ (მრ. ხელ=ბჷრ) „ტვირთი“,

„ბარგი“... .

4) თავის მხრივ ყურადღებას იქცევენ $\underline{=}$ -ზე (წახურში) და $\underline{=}$ -ზე (მუხადურში) დაბოლოებული და კანონზომიერად ფარდი ფუძეებიც, მაგალითად: ხ $\underline{=}$ ან — ხ $\underline{=}$ ად (წყალი), ჰინ — ჰიდ (რწყილი), შინ — შიდ (ბაღინჯო)... ამ $\underline{=}$ ყ $\underline{=}$ დ ბოლოკიდურ ელემენტებს შეიძლება ახლდეს ხმო-ვანიც - ისე, რომ არ დაირღვეს მათი ფარდობის კანონ-ზომიერება: შდრ. მაგალ., ხ $\underline{=}$ ნი (წახ.) — ხ $\underline{=}$ დი (მუ-ხად.) „ბიძაშვილი“, ხა $\underline{=}$ ნა (წახ.) — ხა $\underline{=}$ ფე (მუხად.) „ვარსკვლავი“... ამგვარ ფუძეთა ერთმანეთთან შედა-რებაც ცხადს ჰყოფს, რომ ამ შემთხვევაშიც ხელთაა ბოლოსართით გართულებული ფუძეები. ამას თვისტომ ენა-თა მონაცემებიც მოწმობენ; შდრ., კერძოდ, წახ. ხ $\underline{=}$ ა $\underline{=}$, მუხად. ხ $\underline{=}$ ა $\underline{=}$ დ და უდიური ხე „წყალი“ — ხე $\underline{=}$ ნ $\underline{=}$ ენ „წყალმა“, ხე $\underline{=}$ ნ $\underline{=}$ აბ „წყალს“, ხე $\underline{=}$ რ $\underline{=}$ ხოხ || ხე $\underline{=}$ მ $\underline{=}$ ხოხ<-ხე $\underline{=}$ ნ $\underline{=}$ ხოხ „წყლები“, ხე $\underline{=}$ ლა „წყლიანი“, „წყნიანი“.¹ უდიური ხე გამარტივებული სახეობაა ხენ || ხერ ფუძისა, რომლის ფარდია წახური ხ $\underline{=}$ ან და მუხადური ხ $\underline{=}$ ად (წყა-ლი“).²

მაშასადამე, ყველა ეს ფუძე ბოლოში „გართულებუ-ლია“ ფონეტიკურად მრავალფეროვანი (ჰ, ა, ლ, ნ, დ, რ) ელემენტებით, რასაც ოდითგან უნდა ჰქონდეს სადე-ტერმინაციო ფუნქცია.

დასახელებულ მარტივ ფუძეებში სუფიქსთან ერთად გამოიყოფა ესა თუ ის გაქვავებული პრეფიქსიც; სახელ-ლობრ: ბ=(+ხმოვანი), მ=(+ხმ.), ვ=(+ხმ.), დ=(+ხმ.), ნ=(+ხმ.), ა=(+ხმ.) და სხვა (ნიმუშები იხ. ზემოთ). ამგვარ თავკიდურ ელემენტთა შესახებ საგანგებო მსჯე-

1. ლა სუფიქსი უდიურში სახელთა ფუძის წარმოქმნელ-თაგანია; დაერთვისა რა როგორც ხმოვანზე, ისე თანხმო-ვანზე დაბოლოებულ ფუძეებს, აქვს ის მნიშვნელობა, რაც ქართ. ჰაბ, ჰერ, ჰოვან სუფიქსებს, შდრ. მაგალ., ეყლა „ხორციანი“ (ეყ, ხორცი), წილა სახელოვანი (წი „სახელი“).

2. უდიური ენის მკვლევრებს (ა. შიფნერს, ა. დირს) $\underline{=}$ ელე-მენტი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნიათ

ლობა გაშლილია ზემოთ: თითოეული ამბოგანი დაყოფილია ჯგუფებად; ამ ჯგუფებში მოქცეული ფუძეები შეფარდებულია ერთიმეორესთან და ახლო მონათესავე ენათა მონაცემებთან შედარების გზით დასკვნილია, რომ ეს თავკიდური ელემენტები წარმოშობით კლას=კატეგორიის გაქცევებული პრეფიქსებია (იხ. ზევ. გრ. კლასები: კლას=კატეგორიის გაქცევებული პრეფიქსები).

ისე რომ: ჩამოთვლილი მარტივი ფუძეები ასეთად იწოდება პირობით, რამეთუ თეორიულად (ისტორიულად) და ზოგჯერ პრაქტიკულადაც (ფაქტობრივ) ამგვარ სახელთა ფუძეებში გამოიყოფა ძირეული და ფორმანტისეული ელემენტები.

სახელთა წარმოება=წარმოქმნა. წარ-

მოებული ფუძეები . .

წახურსა და მუხადურში სახელთა წარმოება=წარმოქმნა აფიქსთა სიუხვით არ ხასიათდება. ამ ფუნქციით გამოიყენება საკუთარი და ნასესხები სუფიქსები, რომელთაგან ზოგი მარტივია, ზოგი კი რთული — ორი სუფიქსის შეწყვიტით მიღებული.

სახელთა წარმოება=წარმოქმნა წახურში

წახურ სახელთა წარმოქმნელებია: I) ნათესაობითი ბრუნვის =ნ, =ნ, =ნ სუფიქსები; გამოიყენება ზედსართავი სახელის, მიმღეობის, ზოგი ნაცვალსახელის საწარმოებლად; ამ აფიქსებით ნაწარმოები სახელი გაიგება სუბსტანტივადაც. დასახელებულ მაწარმოებელთაგან პირველი სამი გამოიყენება ნიციის კლასის, resp. IV კლასის აღსანიშნავად, ხოლო უკანასკნელი

(=ნა) -- აღამიანისა და ცხოველთა კლასებისა. მაგალითები: ჯაგჭარ=ენ (IV), ჯაგუარ=ნა (I-III), „თეთრი“; ჭორ=ენ (IV), ჭორ =ნა (I-III) „ნაცრისფერი“, „ჭროლა“; ჩივა=ნა (IV), ჩივა=ნა (I-III) „სველი“, „მწვანე“, „ნეღლი“... .

2) =გალლა (<- ჭილ=ნა?) — გამოხატავს განყენებულ ცნებებს; მაგალ.: ჩოჯ=ვალლა „ძმობა“ (ჩოჯ „ძმა“), ქასიბ=ვალლა „სიღარიბე“ (ქასიბ „ღარიბი“), ქარ=დეშ=ვალლა „უქონლობა“, (ქარ „რამე“, დეშ „არმყოფი“), დუსტ=ვალლა „მეგობრობა (დუსტ „მეგობარი“), ბახტი=დეშ=ვალლა „ბედის უქონლობა“, „უბედურება“ (ბახტი „ბედი“). =გაღლა მანარმოებელი ზოგჯერ შეიძლება გამარტივდეს, მოექცეოს თავკიდური გუ <- ჭილ ელემენტები და ისე დაერთოს საწარმოებელ ფუძეს, ზოგჯერ კი, პირიქით, შეიძლება გართულდეს, წინ დაერთოს ესა თუ ის ხმოვანი (უპირატესად ე-): შდრ., მაგალ., ბატრალლა <- ბატრა-ჭილლა „სიღამაზე“ (ბატრა=ნა „ღამაზი“); დუშმან=ღ=ვალლა „მტრობა“ (დუშმან „მტერი“). =გალლა <- ჭილლა რთული მანარმოებელია, იშლება ასე: ვალ=ლა <- ჭილ+ლა. ამ კომბინირებული აფიქსის თითოეული ეს კომპონენტი ცალ=ცალკე თუ რას ნიშნავს, წახურის მონაცემთა მიხედვით ნათელი არ არის (ერთად კი, როგორც ითქვა, აბსტრაქტულობის გამოხატველია). აქედან ბოლო (=ლა) ფორმანტი ფონეტიკურად ემთხვევა რიცხვით სახელებში დამოწმებულ =ლა სუფიქსს: შდრ., მაგალ., მოლი=ბ=ლან <- მოლი=ბ=ლა („რვა“) და სხვ. (იხ. ქვ. რიცხვითი სახელები). საფიქრებელია, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე სადეტერმინაციო ელემენტია გამოყენებული, — თუ =ლა ელემენტი (აბსტრაქტულ სახელებში) არ არის ფონეტიკურად სახეცვლილი =ნა, წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (იხ. ზევ. — იხ. აგრეთვე ქვემ. აბსტრაქტულ სახელთა =ვალღ მანარმოებელი მუხადურში).

3) =კან, =გან. — ამ ორი ფორმანტით აღინიშნება ხე-

ლობა, მოსაქმეობა: აოხბა =ჰან „მეწისქვილე“ (აოხბა „წისქვილი“)...; ნახერ=ვან „მენახირე“ (ნახერ „ჯოგი“, „ნახირი“)... აქედან =ჰან საკუთარი; =ვან მაწარმოებელი კი - სპარსულიდან ნასესხები; უკანასკნელი (=ვან) ეფარდება ლეზგიურში დამოწმებულ =ბან მორფემას - აგრეთვე ხელობის, მოსაქმეობის აღმნიშვნელს: შდრ. კელერ=ბან „ცხერის მწყემსი“ (კელერ „ბატკნები“), რალუ=ბან „მეწისქვილე“ (რალუ „წისქვილი“)...¹

4) =ალი, =უ სუფიქსები ტომობრივი წარმომავლობის, სადაურობის გამომხატველია: მუხად=ალი (მუხადელი, რუთულელი), ქურ=ალი (კიურელი, ლეზგი); აიკ =ი (სინონიმი „ქურალისა“), მუთურ=ი -> მუთრ=ი (ქართველი) - შდრ. მუთურ=სუმ „ქართულად“.² აღნიშნულთაგან =ალი აფიქსი შეიძლება კომბინირებული იყოს აღ+ი ელემენტებისაგან; ამასთან ბოლოკიდური =უ და ცალკე ხმარებული =ი ერთი და იგივე იყოს. ამგვარი განმარტების კვალობაზე =ალი რთული მაწარმოებელი გამოდის; აღ=ი აქედან ცალკე =აღ ფორმანტის წარმომავლობა და ფუნქცია ამჟამად ნათელი არ არის. - ერთი კია: შესაძლოა, თავდაპირველად ეს (=აღ) აფიქსი ერთგვად საწარმოებელ ფუძეს სადაურობის, ტომობრივი მდგომარეობის გამოსახატავად, შემდეგ (ფუძე=ქირთან შეზრდისა და ფუნქციის მოდუნება=მოშლის გამო) დაერთო იმავე დანიშნულების სხვა (=ი) სუფიქსი. ამგვარ საკითხთა კვლევა ლექსიკის სფეროებს მიეკუთვნება და იგი მომავლის ამოცანაა; თანაც: ამისთვის საჭიროა წახურისა და მუხადურის მონაცემთა ფარგლებიდან. გასვლა, - საჭიროა სატომო და საგეოგრაფიო სახელთა ძიების მეტი არეალი, თვისტომ

1. შდრ. ახ.სპარს. ბან, საშ.სპარს. პან (ჰან — ზოგ პოზიციასში). ყველა ეს ვარიანტი მომდინარეობს ძვ. სპარს. „პანა“=დან, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობაა „მცველი“; ან „დაცვა“ (მ.ანდრონიკაშვილი).

2. შდრ. აგრეთვე სატომო სახელები: ლეზგი, უდი, ანდი...

ენათა მასალის მოზიდვა.

სახელთა წარმოება=წარმოქმნა მუხბაღურში

მუხბაღურ სახელთა წარმოქმნელებია: =ღჲ -> =ღ; =ვალ || =ვალღჲ; ან || ან ამათგან:

1) =ღჲ->ღ მაწარმოებელი ა) დაერთვის ადვერბიალური მნიშვნელობის სიტყვებს და აწარმოებს ზედსართავ სახელს; მაგალ., მი=ღჲაქაური“(მიჲაქ“), ღუზ=ღუ<- ღუზ=ღჲ „მართალი“, „სწორი“, (ღუზ „სწორედ“, „პირდაპირ“)... იხ. ქვევ. ზედსართავი სახელი; ბ) დაერთვის აბსოლუტივის ფუძეფორმას და აწარმოებს მიმღეობას; მაგალ. ჰაყა=ღ „მკეთებელი“ (ჰაყა „აკეთებსა“) . იხ. ქვევ. სახელზმნური ფორმები: მიმღეობა. გ) დაერთვის რომელიმე ინდიფერენტულ(პირველად)ფუძეს და აწარმოებს არსებით სახელს; მაგალ. ჰანყუ=ღ „შუადღე“, ღჲჲლღ <- ღჲჲლღჲ „ზაფხული“, ხუმხუთ <- ხუმხუთ=ღ „შემოდგომა“, ჰედღჲლ=ღჲ „დედალი“, „ცოლი“; მუხბა=ღ <- მუხბა=ღჲ (აულ რუთულის ადგილობრივი სახელი)...

სახელთა წარმოქმნელი ეს აფიქსი ემთხვევა ნათესაობითი ბრუნვის მუხბაღურშივე პრაქტიკულად ხმარებულ =ღჲ -> || ღ სუფიქსს; შდრ., მაგალ.: ნინ „დედა“ -- ნინ=ღჲ „დედისა“... (იხ. ქვევ. სახელთა ბრუნება მუხბაღურში: ძირითადი ბრუნვები). სახელთა წარმოქმნელი =ღჲ სუფიქსისა და ნათესაობითი ბრუნვის ამ =ღჲ სუფიქსის იგივეობა საეჭვო არ უნდა იყოს -- ისევე, როგორც წახურში ამ =ღჲ -> ღჲ=ს კანონზომიერად ფარდი =ნ (+ხმ.) ელემენტის ორნაირი (დერივაციისა და ნათესაობითი ბრუნვის) ფუნქციით გამოყენება^I (იხ. ზევ.) სახელთა ამგვარი წარმოება უცხო არ არის სხვა ენებისთვისაც. ანალოგიური მდგომარეობაა, კერძოდ, უდიურში: შდრ. მაგალითად, ოყ=უნ „ქვემო“, „ქვემოთ“ (ოყ „ძირი“, ოყა „ქვემოთ“) — დაღალ=უნ „მამლისა“; ბესალ=ი „მთხო-

^I. ამ სუფიქსებს აიგივებს ა. დირიცი (იხ. ქვევ. ზედსართავი სახელი).

ვარა“ (ბესალ „მთხოვნელი“) — ადამარ= „ადამიანი-სა“...

2) =ვალდე ფორმანტი გამოსატაცეს აბსტრაქტულობას; მაგალითები: შუბა=ვალდე || შუ=ვალდე „ძმობა“ (შუბა „ძმები“, შუ „ძმა“), ხედი=ვალდე „მეგობრობა“ (ხედი „მეგობარი“, „ბიძაშვილი“); ადიშ=ვალდე „სიღარიბე“, „სიღატაკე“ (ადიშ „არ არის“, „არ არსებული“-შდრ. ა<- ცა „არის“, „არსებულია“)... აღნიშნული მაწარმოებელი ორნაწილიანია: ვალ+დე- აქედან ბოლოკიდური =დე იგივეა, რაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ზემოთ გამოყოფილი =დე; =ვალ ელემენტს კი (ჯერ ცალკე, ხოლო შემდეგ =დე სუფიქსთან შერწყმით) ეკისრება სწორედ განყენებულ სახელთა წარმოქმნის ფუნქცია. ამას მოწმობს ლეზგიურთან შედარებაც: ამ ენაში ზედსართავ სახელზე, ზმნურ თუ სახელზმნურ ფორმებზე =ვალ ფორმანტის დართვით წარმოიქმნება განყენებული სახელები, შდრ., მაგალ.:¹ კისენ=ვალ „სიკეთე“ (კისენ „კარგი“, „კეთილი“); ლუაჭი=ვალ „სიმცირე“, „სიკოტავე“, „სიპატარავე“ (ლუაჭი „პატარა“, „პაწია“, „მცირე“); მახყი=ვალ „სიცივე“ (მახყი „ცივი“)... ლეზგიურში ამგვარივე, განყენებული, ცნებები იწარმოებიან აგრეთვე ზმნის ამა თუ იმ ფორმიდან; შდრ. მაგალ.: ავაჩირ „არ იყო“ - აქედან: ავაჩირ+ვალ „არ მყოფობა“, „არ არსებობა“, „უქონელ=უყოლობა“, მაგალ.: კუ² ავაჩირ=ვალ „პურის უქონლობა“, „უპურობა“, და³ ავაჩირგ ალ „უწყლობა“...⁴ ვალ სუფიქსი, როგორც ჩანს, წახურ=მუხადურისა და ახლო მონათესავე ენების საერთო კუთვნილებათა.

1. ლეზგიური მაგალითები ამოღებულია პ. უსლარის „კიურული ენიდან“ (გვ. 49).

2. = „პური“

3. = „წყალი“

4. პ. უსლარი. - დასახელ. შრ., გვ. 50.

3) =ქან მანარმოებელიც გამოსატავს მოსაქმეობას, ხელობას; მაგალ.: ნახირ=ქან „მენახირე“, „მწყემსი“¹; ხახბახ =ქან „მწყემსი“ ჩალა=ქან „მწველავი“, „რუხხუ=ქან“. „მწვისქვილე“,³ ადლხლ=ქან „მეველე“,⁴ ღჯარჩა=ქან „მონადირე“⁵ ტება=ქან „მერიქიფე“, „მეინახე“⁶.

წახხურთან საერთო ამ =ქან მანარმოებლის წარმო-
მაგლობა ნათელი არ არის.

რ თ უ ლ ი ფ უ ძ ე ე ბ ი

როგორც წახხურში, ისე მუხადურში სახელთა ფუძის ეს სახეობა მრავალფეროვნებით ხასიათდება: ამ ენებს მოეპოვებათ: 1) მარტივ ფუძეთა გაორკეცებით მიღებულ სახელები, 2) სხვადასხვა სახის ფუძეთა შერწყმით მიღებული კომპოზიტები, მათ შორის - კონტამინაციის გზით წარმოქმნილები. ამასთან: მოწმდება ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა კომპონენტი=ფუძეები ამჟამინდელ წახხურსა და მუხადურში ცალკე სიტყვად აღარ იხ-
მარება.

ნიმუშები: I. წახური: 1) გარგარ II ღარღარ „მარცვლეული“, კუმკუმ „ქვაბი“, ტატა „ჯოხი“, ხახხახ „კენჭი“, „ქვიშა“; ღურ=ღურა <- ღურა=ღურა -> ღუ=ღურა (თამაშია ერთგვარი, - ლახტაობანა-სადვიდ); ჭირჭიმანა „მუხე“, ბაბარჩინ II ბაბარჩინ „მერცხალი“, გჯრჯნა „ყველა“, 2) სანჯჰჰა II სან=ჯჰა „გუშინ“ (ღირის ეტიმოლ.: სან „ერთი“ + ეჰა „სალამო“)

-
1. ნახირ „ნახირი“, „საქონლის ჯოგი“.
 2. ხახბახ =ქან - მწყემსი, რომელიც კრეჭს, წველის და უელის ცხვარს... ხოლო ჩალაქან - იელაღში საწველად საგანგებოდ გაგზავნილი პირი.
 3. რუხხუ „წისქვილი“.
 4. ადლხლ „ნათესი მინდორი“. შდრ., ადლხ „სალეწი პური“.
 5. ღჯარ „კურდღელი“, ღჯარჩა „ნადირობაზე“.
 6. შდრ. ტებ „თითი“... (!?).

კენახლა II კენახლა „ოქრო“, ბილექან „სადღეებელი“..

წახურს მოეპოვება ასეთი (ორცნებიანი) კომპოზი-
ტიცი: ადღ=ღღჲქ „დედ=მამა“, ირღ=ჩოჯ II ჩოჯ=ჩიჩი
„და=ძმა“... .

2. მუხადური: I) დიდ-დიდა „მამა“, ტიტ <-ტიტა
(?) „ძუძუსთავი“, ზიზა II ზიზჲ „მოცივი“; გაგ <- გა-
გა (?) „ძია“, „სიმამრი“; ღხარღხალ II ღარღალ „შერიბა“;
დაღალ „მამალი (ფრინე.)“, მამამაშ „ჭერამი“. (ატმის
სახელადაც იტყვიან); ქუთ=ქუნ II <- ქუღ=ქუნ „კალათი“;
„სკა“; მაცაყ <- მაცყა=ყა (?) „ფრთა“... 2) ხაზლ=ა=
ვაზ „ცისარტყელა“; ¹ ღუღიგან <- ღულღი=გან — კილოებ-
ში: ყურღი=გან II <- ყულღი=გან „ბალიში“; ² წაღლაფან
(წაღლაფან (?) „ელვა“, ყჯჯიღ <- ყჯღ+ჯიღ<-ყჯღლ=
ღჯჯიღ „ფეხის ნიდაგი“, „ფეხის ძირი“, — „ტიერფი“;
ფანძგრაჲქ <- ფანძგრაჲქ <- ფანღგრაჲქ „საქონლის
გზა“, „საქონლის სადგომი“; ამის სინონიმი მორე
კომპოზიტი: ფანლურზადჲან ჯურზად; ⁴ აცაგალ II <- ათ-
საგალ <- ცაღლ=საგალ „ლეკმა“, „ნაჭერი“... ⁵

1. ხაზლ „ცა“+ვაზ „მთვარე“, „ნალი“, =ა ლუკატნიშანი
(იხ. ქვე. თანდებ. ბრ.).

2. შღრ. ყულ „თავი“; =გან ნაწილის მნიშვნელობა კი ნათე-
ლი არ არის; ამის წინამდევალი ღღი მარცვლი ნათეს.
ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს. მაშასადამე, ყურღიგან
შიეძღება დღიშალის ასე: ყურღი=გან, აქედან პირველი
კომპონენტი ნათეს. ბრ. ნიშნით ნაწარმოები ფუძეა: ყურ
ღღი<-ყულღი, რაც „თავის“ ცნებას უნდა უკავშირდებო-
დეს, ხოლო მეორე კომპონენტის მნიშვნელობა მუხადურ
ნიდაგზე ვერ ირკვევა. - შღრ. უღ. გაგ <- გან „ადგილი“ (?)
თუ ეს ასეა, მაშინ ყურღიგან <- ყულღიგან სიტყვის ეტი-
მოლოგია იქნება: „თავის ადგილი“, რაც კარგად უდგება
ამ საგნის დანიშნულებას.

3. წაღლაფან: შღრ. წა <- წაღ „ცეცხლი“+ფან (?) .

4. ფან „ნაწილის“ სინონიმი ძველი თაობის წარმომადგენელ-
თა მეტყველებებში: ფანძგ ნათეს. ბრუნვის ფორმაა: ფან=
ძგ <- ფანღჯ „ნახილისა“, „საქონლისა“. რაჲქ „გზას“
ნიშნავს, ხოლო ლურზად - „მდგომი“ „სადგომი“.

5. ცაღ „მყოფი“, „არსებული (ამჟამად)“+სა „ერთი“+ გალ
„ძირი“ ეტიმოლ.: „ერთხელ ძირში ჩასადები“...

ორცნებიანი მუხადური კომპოზიტებია: ნინ=ნი=დიდ
„დედ=მამა“, ნინ=რემ „დედა და შვილი (ქალიშვილი)“
შდრ.: ნინა=ნა=რემარა „დედა“მ=და=ქალიშვილმა“ ...
ღუხლ=ნი=რამკებრ „კარ=ფანჯრები (ფანჯარა=და=კარნი)“.

ზედსართავი სახელი

ზედსართავ სახელთა წარმოება წახურში

წახურს მოეპოვება საკუთარი და ნასესხები ზედ-
სართავი სახელები; სახელდობრ: 1) „პირველადი“ ფუძი-
დან წარმოებულნი; 2) „პირველადი“ ფუძიდან წარმოებულ-
ნი და კლას=კატეგორიის ნიშნით გართულებულნი: 13) ად-
ვერბიალური მნიშვნელობის სიტყვებითგან წარმოებულნი.
მაწარმოებლებად გამოიყენება: ა) ინა, ანა; ნა, და
სუფიქსები — როცა საზღვრული 1, 2. და 3- კლასის სა-
ხელია და დასმულია სახელობით ბრუნვაში, ბ) ნ, ინ,
ან, ენ, უნ სუფიქსები — როცა საზღვრული მხოლ. რ.
3. ან 4. კლასისა და მრავლ. რ. 1. — 4. კლ. სახელია;
გ) ნი, დი — როცა საზღვრული დასმულია ამა თუ იმ
„ირიბ“ ბრუნვაში.

მაგალითები: 1. ა) ბატრანა ადამი, ბალქან...
„ლამაზი ადამიანი, ცხენი...“; მეკუნა ადამი „ახალ-
გაზრდა, ჭაბუკი ადამიანი“...; ყახსდა ადამი, ზარ, მო-
ხუცი, ბებერი, (გადატ. ბებრეცი) ადამიანი, ფური“...;
ბ) ყახსენ ხაჭი (ხააბე) „ძველი სახლი (სახლები)“,
ყახსენ ადამეერ, ბალქანაარ „ბებერი კაცები, ცხენები“...
2. ა) აუგრა (1., 2. კლ.), აუგაბა (3. კლ.), აუგდა
(4. კლ.) „კარგი“, „კარგად“; სალრა (1., 2. კლ.),
სალაბა (3. კლ.), სალდა (4. კლ.) „სადი“, „სადა“...

1. ამ ჯგუფის ზოგი ზედსართავი სახელი ზმნასთანაც
გამოიყენება და აქვს ადვერბის მნიშვნელობა.

ბ) ხაზურანა „დიდი, უფროსი (კაცი, ქალი)“; ხაზბანა „დიდი, ზორბა (ცხენი, ქვაბი...)“; ხაზდინ „დიდი (ჯობი...)“; ხაზბეზნ, ხაზბინ „დიდი, უფროსი (კაციები, ქალები)“; ხაზდეზნ, ხაზდინ „დიდი (სახლები, რამეები)“... 3. ჰაანანა „აქაური“ (ჰაანა „აქ“) ; ავუნანა, ავუნანა „ქვემო“, „ქვემოთ“, „ქვემოთური“, „დაბლით“ (ავუნა „ქვემოთ“, „დაბლა“); შაცინა <-შა-ცაინა „შარშანდელი“ (შაცა „შარშან“)...

ზედსართავი სახელი წახურში წარმოიქმნება ანალიტიკურადაც, სახელდობრ, არსებითი სახელისა და „არის“ ზმნიდან ნაწარმოები მიმღეობის უარყოფითი ფორმის შერწყმით; მაგალ.: დადდეშანა „უგემური“ (დად „გემო“, დეშანა „არყოფი, არარსებული“, „უქონელი“), იშდეშანა „უსაქნო“, „უმუშევარი“ (იშ „საქმე“, დეშანა „არყოფი“, „არ მქონე“, „უქონელი“), ვათანდეშანა „უსამშობლო“, „გადახვეწილი“, „ყარიბი“... (შდრ.ა. დირი, 1913, გვ. 29-31; ბ. თალიბოვი, 1967, გვ. 603, 604).

მსაზღვრელად გამოყენების დროს, როგორც ეს ა. დირსაც აქვს აღნიშნული, ზედსართავი სახელი ყოველთვის წინ უძღვის საზღვრულს და არ იცვლის ფორმას რიცხვისა და ბრუნების მიხედვით. საგულისხმოა მხოლოდ ერთი ცვლილება: ბრუნების დროს ზედსართავი სახელისნა, და მაწარმოებლების ე ხმოვანი იცვლება ი ხმოვნით (იხ. ქვევ. ზედსართავი სახელთა ბრუნება).

წახური ზედსართავი სახელი იბრუნვის ატრიბუტიულ სახელთა თავისებური (ანალიტიკური) ბრუნების საერთო ტიპის მიხედვით (იხ. ქვევ. სახელთა ბრუნება).

ზედსართავი სახელთა წარმოება მუხადურში

მუხადურში ზედსართავი სახელი იწარმოება მეტყველების სხვადასხვა ნაწილზე დე, დე || დე, დე;

=ფე, =უფ, =ფფ, =უფ სუფიქსთა დართვით; მაგალ.: ა) ბეშ=ფე || -> ბეშ=ტე „ცარიელი“; „ყრუ“ (ბეშ „სიცარიელე“, „სიყრუე“);¹ გაშ=ფე || -> გაშ=ტე „მშვიერი“ (გაშ-„შიმშილი“); ბ) ბერყდე <- ბერყდე=ფე „ბერყე „სიბერყაფე“), ცირდე=ფე, ცირდე=ფე „მზინანი“ (ცირდე „მზე“); გ) ყიბ=ფე „სწრაფი“, „ჩქარი“, „მეცხელი“ (ყიბ || ყებ „სწრაფად“, „ჩქარა“, „მყის“); შას=ფე „შარ-შანდელი“ (შას „შარშან“); ბეგა=ფე „ხვალისდელი“ (ბეგა „ხვალ“); მიდი=ფე „აქაური“ (მიდი „აქ“); ჭუკ=ფე „მრუ-დი“, „უსწორო“, (ჭუკ || ჭუკანა <- „მრუდედ“ „უსწოროდ“) როგორც ა. დირიც (1911) აღნიშნავს: ზედსართავი სახელებით გარკვეული ნაწილი იწარმოება პირველადი ფუძისაგან (ფუძე=ძირისაგან) და დაირთავს გრ. კლასის ნიშნებს; გარკვეული ნაწილი კი ამგვარი ფუძეებისა (იხ. ზ.) კლასიდან იღებენტიების გარეშეა; მაგალ. აზრ=ხედ ედე-მი-„მადალი კაცი“, აზრ=ხედ ჰედედლდე „მადალი ქალი“, აზრ=ხედ დიგან „მადალი ცხენი“, ათ=ხედ <- ადე=ხედ ხალ „მადალი სახლი“; ჭუკუდ „მრუდე (1. და 4. კლ.)“, ჭუზრ=ფე=კუდ „მრუდე“ (2. კლ.), ჭუფე=ფე=კუდ „მრუდე“ (3. კლ.). მუხადურს მოეპოვება აგრეთვე სხვათა (აზრ-თვისტომთ) ენებიდან წასესხები ზედსართავი სახელებიც, მაგალ., ყუვათლუ „ლონიერი“, „ყუვათიანი“; აჯიზდე „სასწყალი“, „ბრიყვი“, აჰმაყ „სულელი“, ბაჰად „ძვირ-ფასი“, დინჯ „წყნარი“, „მშვიდი“, დირიზდე „ერთგუ-ლი“... ამათგან ზოგი (მაგალ., აჰმაყ, შაჰად, ყუვათ-ლუ...) არ დაირთავს მუხადურისათვის ნიშანდობლივ მათ-დიექტივებელ =ფე სუფიქსს, რაც თავისთავად გასაგე-ბიც უნდა იყოს, რადგანაც ამ წასესხებ სახელებს თა-ვად აქვთ ადიექტივის მნიშვნელობა; თუმცა ზოგს (მა-გალ. აჯიზდე...) მოუღის =ფე სუფიქსი, რადგანაც

1. განყენებული მნიშვნელობით გამოიყენება ასეთი ფორმითაც: ბეშეაღდე.

ასეთ საყრდენ ფუძეს („აჯიზ“=ს) გამსესხებელ ენაში აქვს ადვერბიალური მნიშვნელობა. ორგანული წარმოების გარდა, მუხადურში გამოიყენება ზედსართავთა წარმოქმნის აღწერითი (ლექსიკური) ხერხიც; ასეთ შემთხვევაში გამოიყენება =ნიღვ და =ღად <- ღადვ „მაწარმოებლები“ რომელთაგან პირველი (=ნიღვ) ნაცვალსახელური წარმოშობის ნაგენეტივარი ფორმაა, ხოლო მეორე =ღად <- ღადვ „არის (რაზედმე)“, „იმყოფება (რაზედმე)“ ზმნის ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსით ნაწარმოები მიმღობის ფორმაა.

მუხადურშიც ზედსართავი სახელი იბრუნვის მაშინ, როდესაც უტოლდება არსებით სახელს, გაიგება სუბსტანტივად (იხ. ქვევ. სახელთა ბრუნება). მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში მუხადური ზედსართავი სახელი ფორმაუცვლელია, თანაც იგი ყოველთვის უსწრებს საზღვრულს.

ზემოთ დასახელებულ მაწარმოებელთაგან ძირითადია =ღვ -> =ღ, ხოლო დანარჩენი ამის ლინტიკური ვარიანტიცია. =ედ, =ოდ, =გდ აფიქსი რთული შედგენილობისაა და იშლება ასე =ე=ღ, =ო=ღ, =გ=ღ. აქედან ზედსართავი სახელის მაწარმოებელი ოდენ =ღვ -> ღ სუფიქსია, ხოლო ამის წინმდგომი ხმოვანი საწარმოებელი ფუძის ოდინდელი კუთვნილებაა.

მუხადური და წახური ზედსართავი სახელების შედარება გვიჩვენებს, რომ როგორც ორგანული (აფიქსიანი), ისე აღწერითი (ლექსიკური) წარმოების მხრივ ამ ენებში პრინციპულად და მაწარმოებელთა ხასიათის მიხედვით ერთნაირი მდგომარეობაა: I) ზედსართავი სახელი ერთგანაც და მეორეგანაც იწარმოება მეტყველების ამა თუ იმ ნაწილის, კერძოდ, არსებით სახელზე, ზმნისართზე... მაადიექტივებელი სუფიქსის დართვით. შდრ., მაგალ., ბეტრა=ნა (წახ.) — ბეტრა=ღვ -> ბეტრა=ღ (მუხად.) „ლამაზი“, კენ=ნა (წახ.) — კაც=ღვ || კვ=ღვ (მუხად.)

„პატარა“ ხელი=ნ || ხელი=ნა (წახ.) — ხულის=დგ (მუხად.) „გრძელი“... 2) ადიექტივის აღწერითი (ლექსიკური) წარმოებაც ერთნაირია ამ ენებში: მადიექტივებლად ორივეგან გამოიყენება ან „არის“ ზმნის აწმყო=ზოგადი ფორმის (ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსით ნაწარმოები) მიმღეობა, ან არა=და, ამა თუ იმ ბრუნვაში დასმული მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელიც საწარმოებელ ფუძეს დაერთვის პოსტ=დეტერმინანტად. ზოგი შენიშვნა ამის თაობაზე იხ. ქვევ.: სახელთა ბრუნების თავისებური (ანალიტიკური) ტიპი. 3) ერთგვაროვნება ჩანს აგრეთვე ზედსართავ სახელთა კლას=კატეგორიის, resp. საზღვრულის გრ. კლასის მიხედვით ცვლაშიც. შდრ., მაგალითად: წახური: ხაზ=ნა (1. 2. კლ.), ხაზ=ნა (3. კლ.), ხაზ=დ=ნ (4 კლ.) „დიდი“... მუხადური: ჰაზ=ხგ=დ (1, 2. კლ.), ჰაზ=ხგ=დ (3. კლ.) ჰაზ=დ=ხგ=დ (4. კლ.) „მაღალი“...

ზედსართავ სახელთა წარმოების მხრივ წახურსა და მუხადურში პრინციპულად და მომეტებულად მატერიალურადაც ერთნაირი მდგომარეობაა. დიდი სიხლოვე ჩანს, თვისტომ ენებთან, კერძოდ, — ლეზგიურთან, უდიურთან. ლეზგიურშიც ზედსართავი სახელები იწარმოებიან 1) არსებით სახელთა მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში დასმულ ფუძეზე ნათესაობითი ბრუნვის (მადიექტივებელი) =ნ სუფიქსის დართვით; მაგალ.: პაპან (მხ. ნათ.), პაპარ=უნ (მრ. ნათ.) — „ქალისა“, „ქალთა“, „ქალური“; 2) იმავე =ნ სუფიქსის ზმნიზედებზე დართვით. მაგალ.: გილან „ახლანდელი“ (გილა „ახლა“), ნაყან „გუშინდელი“ (ნაყან „გუშინ“) ... ლექსიკური ხერხით წარმოქმნილ ზედსართავ სახელთა წარმოებისთვის გამოიყენება კერძოდ „ავა“ მეწველი ზმნა, resp. მიმღეობა („მყოფი“): მაგალ.: ყენე=ვა <-ყენე=ავა „შიგნით მყოფი“, „შიგნითა“, „შინაგანი“, „შიგანი“ — შდრ. წარმოებისთვის ყენე „შიგნით“, „შიგ“ ლეზგიურ

ზედსართავ სახელთა წარმოების ხერხები და ნიმუშები, რასაკვირველია, დასახელებულით არ იფარგლება, მაგრამ ესეც თვალნათლივ გვიჩვენებს წახურსა და მუხადურთან ამ ენის სიახლოვეს. ერთგვაროვნება ჩანს აგრეთვე შე-სიტყვებაში ზედსართავ სახელთა ადგილის მხრივაც: აქაც მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს და ამ ფუნქციით გამოყენების დროს ფორმის უცვლელობით ხასიათდება (პ. უსლარი -- 1896).

მსგავს ვითარებას გვიჩვენებს უდიურიც: აქაც ზედ-სართავი სახელი იწარმოება მეტყველების სხვადასხვა ნაწილზე (არს. სახელზე, ზმნიზედაზღ.) ბრუნვის ნი-შანთა (უპირატესად — ნათესაობითი ბრუნვის =უნ ნიშ-ნის) დართვით; მაგალ. ჯოშ=უნ „უკანა“ (ჯოშ „უკან“), ტოშ=უნ „გარეთა“ (ტოშ „გარეთ“); მაა=უნ „აქაური“ (მაა „აქ“) . . . ოღონდ უდიური წახურ=მუხადურისაგან რამდენადმე განსხვავდება — იმით, რომ, ნათესაობი-თის გარდა, აქ ადიექტივის საწარმოებლად გამოიყენება ა) სხვა ბრუნვის ნიშნებიცა და ბ) ამგვარ სახელთა წარმომქმნელი სპეციალური აფიქსებიც; მაგალითები: 1) ერგატივი-ინსტრუმენტალისის =უნ ნიშნის გამოყენებისა: ტამ=ენ „გემრიელი“ (ტამ „გემო“), ჭემ=ენ „ჭუჭყიანი“ (ჭემ „ჭუჭყი“); 2) მიცემითი ბრუნვის =ახ ნიშნის გამოყენებისა: აბ=ინ=ახ „ოფლიანი“ (აბ „ოფლი“), ჭწ=ან=ახ „ქონიანი“, „ყხიმიანი“, „ერბოიანი“ (ჭწან „ქო-ნი“ . . .); 3) აბლატივის =ახ=ო მაწარმოებლის გამოყე-ნებისა: ელახო „მლაშე“ (ელ „მარილი“) . . . 4) სპეცია-ლური მადიექტივებელი სუფიქსების გამოყენებისა: ა) =ა=ლა, =ლი, =ლა სუფიქსთა: წიალა „სახელოვანი“, „სა-ხელგანთქმული“ (წი „სახელი“), ბუქუნლა „მუცლიანი“ (ბუქუნ „მუცელი“) . . .; ეყლა, ეყბა „ხორციანი“ (ეყ „ხორცი“) . . . ბ) =ა სუფიქსისა (გამოხატავს ოდნაო-ბას): მაწის „მოთეთრო“ (მაწი „თეთრი“), ნეშუს „მოყ-ვითალო“ (ნეშუმ „ყვითელი“) . . . უდიურს მოეპოვება

სხვა ზედსართავი სახელებიც (რომელსაც ზმნასთან ხმა-
რების დროს აქვს აგრეთვე ზმნიზედის მნიშვნელობა);
მაგალითად: შელ „კარგი“, „კარგად“, ფის „ცუდი“, „ცუ-
დად“, ქეჯე „მეჯავე“, „მეჯავედ“, ბოხო „გრძელი“,
„გრძლად“... უდიურშიც ზედსართავი სახელი ყოველთვის
წინ უზის საზღვრულს და არ იცვლის ფორმას რიცხვისა
და ბრუნების მიხედვით: სხვა ატრიბუტიულ სახელთა მსგავს-
სად, გამოიყენება ფორმაუცვლელ მსაზღვრელად. უდიურ
ზედსართავ სახელთა შესახებ აქ მოწოდებული ცნობები,
რა თქმა უნდა, სრული არ არის. მაგრამ დასახელებული
ნიმუშები საკმაოდ ნათლად გვიჩვენებენ, ერთი მხრით,
უდიურის სიახლოვეს წახურსა და მუხადურთან, ხოლო მეო-
რე მხრით, მათ შორის არსებულ სხვაობასაც.

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი

რიცხვით სახელთა სემანტიკური ჯგუფები. წახურსა
და მუხადურში რიცხვით სახელთა ძირითად სემანტიკურ
ჯგუფს ქმნის რაოდენობითი რიცხვითი სახელი. ამ ენებს
მოეპოვებათ აგრეთვე რიგობითი, წილადი, ჯერადი და
სხვა რიცხვითი სახელები.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი წახურში

ამ ჯგუფის რ.სახელთა მომეტებული ნაწილი წახურ-
ში იცვლება გრ. კლასების (საზღვრულის კლასის) მიხედ-
ვით; სახელდობრ, ასე:

1, 2. კლ.	3. კლ.	4. კლ.
1. სა	სა	სა
2. ყოხარა	ყოხბლა	ყოხლღ
3. ხებიარა	ხეებლა	ხეებილღ
4. ლოყეარა	ლოყებლა	ლოყულღ
5. ჰხოარა ჰხეარა	ჰხობლღ ჰხეაბლღ	ჰხოლღ

6. მიჰვიძრას მიჰვიძრას	მიჰვიძრის მიჰვიძრის	მიჰვიძრის
7. მიღვიძრას მიღვიძრას	მიღვიძრის მიღვიძრის	მიღვიძრის
8. მოღვიძრას	მოღვიძრის	მოღვიძრის
9. აუჰვიძრას	აუჰვიძრის	აუჰვიძრის
10. მიწვიძრას მიწვიძრას	მიწვიძრის მიწვიძრის	მიწვიძრის
11. მიწვიძრას	მიწვიძრის	მიწვიძრის
12. მიწვიძრას	მიწვიძრის	მიწვიძრის
13. მიწვიძრას=ვიძრ/=არ	მიწვიძრის=ვიძრ/=არ	მიწვიძრის=ვიძრ/= ვიძრ/= არ
14. მიწვიძრას	მიწვიძრის	მიწვიძრის
15. მიწვიძრას	მიწვიძრის	მიწვიძრის
16. მიწვიძრას=ვიძრ/=არ	მიწვიძრის=ვიძრ/= არ	მიწვიძრის=ვიძრ/= ვიძრ/= არ
17. მიწვიძრას=ვიძრ/= არ	მიწვიძრის=ვიძრ/= არ	მიწვიძრის=ვიძრ/= ვიძრ/= არ
18. მიწვიძრას	მიწვიძრის	მიწვიძრის
19. მიწვიძრას	მიწვიძრის	მიწვიძრის
20. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
21. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
22. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
23. ვიძრას=ვიძრ/= არ	ვიძრის=ვიძრ/= არ	ვიძრის=ვიძრ/= ვიძრ/= არ
24. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
25. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
32. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
33. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
40. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
41. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
42. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის
43. ვიძრას	ვიძრის	ვიძრის

50-ჰოროლო	ჰოროლო	ჰოროლო
51-ჰოროლოლო	ჰოროლოლო	ჰოროლოლო
60-ჰოროლო	ჰოროლო	ჰოროლო
61-ჰოროლოლო	ჰოროლოლო	ჰოროლოლო
70-ჰოროლო	ჰოროლო	ჰოროლო
71-ჰოროლოლო	ჰოროლოლო	ჰოროლოლო
80-ჰოლო/ო/ლო	ჰოლო/ო/ლო	ჰოლო/ო/ლო
81-ჰოლო/ოლოლო	ჰოლოლოლო	ჰოლოლოლო
90-ჰოლო	ჰოლო	ჰოლო
91-ჰოლოლო(ო)	ჰოლოლო	ჰოლოლო
100-ჰოლო	ჰოლო	ჰოლო
101-ჰოლოლო	ჰოლოლო	ჰოლოლო
110-ჰოლოლოლო	ჰოლოლოლო	ჰოლოლოლო
130-ჰოლო(ა)ბლო	ჰოლო(ა)ბლო	ჰოლო(ა)ბლო
131-ჰოლო(ბ)ბლო	ჰოლო(ბ)ბლო	ჰოლო(ბ)ბლო
150-ჰოლო(ა)ჰოლო	ჰოლო(ა)ჰოლო	ჰოლო(ა)ჰოლო
200-ჰოლო(ო)ჰოლო	ჰოლო(ბ)ჰოლო	ჰოლო(დ)ჰოლო
300-ბლობლო	ბლობლო	ბლობლო
400-ჰოლო(ბ)ჰოლო	ჰოლობლო	ჰოლობლო
500-ჰოლო	ჰოლო	ჰოლო
1000-აზლოლოლო	აზლოლოლო	აზლოლოლო
2000-ჰოლოლოლო	ჰოლოლოლო	ჰოლოლოლო
1000.000-მილილოლო	—	—

ეს ნომერები დასახელებულია აულ წახურის მეტყველების მიხედვით; წახურ ენაზე მოლაპარაკე სხვა აულ-სოფელთა მეტყველებაში დიდი სხვაობა არ არის (განსხვავება რაც არის, ფონეტიკური ცვლილების ფარგლებს არ სცილდება). ყველაზე მეტი თავისებურება შეიმჩნევა გილმიწურსა და ლექურ კილო-კილოკავში, მეტადრე - პირველში. ეს დიალექტი ამ მხრივ დაშორდა

რამდენადმე წახურ ენას, „მიუახლოვდა“ მუხადურს(შდრ:),
 თუ ეს სიახლოვე უფრო ადრინდელი (წახურ=მუხადურის
 ერთიანობის დროინდელი) არ არის.

რიცხვით სახელთა გილმიწურულეკური ნიმუშები: ^I

1 - სად	40 - მოყწალ~
2 - ყოხდ	41 - მოყწალ~ასად...
3 - ხ~ებ=გდ/=ად	50 - ჰოწალ~
4 - მოყუდ	51 - ჰოწალ~ასად
5 - ჰოხდ	60 - გეჰწალ~
6 - გეჰხდ	61 - გეჰწალ~ასად...
7 - გელდ	70 - გელხწალ
8 - მოლიდ	71 - გელხწალ~ასად...
9 - გუჭუდ	80 - მოლ~წალ
10 - გიწუდ, გიწუდ	81 - მოლ~წალ~ასად...
11 - გიწუხესად...	90 - გუჭუთად
20 - წად	91 - გუჭუთალ~ასად...
21 - წადესად	100 - ვახშ
22 - წადყოხდ	101 - ვახშხასად
23 - წადხ~ებად	120 - ვახშხაწად
24 - ყამოყუთად	1004 - ცხზერმოყუთლ(ა)
25 - ყამჰოთად	1005 - ცხზერგ(ა)ჰოთლ(ა)
26 - ყამი=ჰოხდ	1006 - ცხზერგ(ა)გეჰხდლ(ა)
27 - ყამილად	1007 - ცხზერგხდელგლ(ა)
28 - ყამმოლ~ად	1008 - ცხზერგმოლილ(ა)
29 - ყამიგუჭუდ	1009 - ცხზერგგუჭუთლ(ა)
30 - ხ~ებწალ	1010 - ცხზერგგეწუხდლ(ა)
31 - ხ~ებწალ~ასად...	1011 - ცხზერგგეწუხდესალ(ა)
200 - ყოხდგვამ	1012 - ცხზერგგეწუხდყოხლ(ა)
1000 - ცხზერ	1020 - ცხზერგ(ა)ყალწ
1001 - ცხზერ=სადი	1021 - ცხზერგ(ა)ყამისალ(ა)

I. დასახელებულია ის რიცხვითი სახელი, რომელშიც ვლინ-
 დება თავისებურება.

1002 - ცნზერჟოჟოლა(ა) 1030 - ცნზერჯახ~ებწალ
 1003 - ცნზერ(ჯ)ხ~ებგლწ(ა) 1100 - ცნზერჯ(ა)ვააშმი

წახურ რიცხვით სახელთაგან ფონეტიკურად ყველაზე უფრო სახე იცვალა მესამე სვეტში (4. გრ. კლ.) მოქცეულმა „ორიდან“ „ათასამდე“ რიცხვითმა სახელმა, სახელდობრ — ასე: ყოზლწ <- ყოზღლწ („ორი“), ხ~ებიღლწ <- ხ~ებიღლწ (სამი) და ა.შ.; აგრეთვე: ყალღლწ <- ყაღღლწ „ოცი“. ცვლილებებია მომხდარი აგრეთვე ძირისეულ მასალაშიც, მაგალითად: ყოზღლწ <- ყოზღღლწ <- ყტაზღღღლწ „ორი“ — შდრ. წახურივე: ყაჯ=ყტაზღ „ოცდაორი“, ჯიწხჯ=ყტაზღ „თორმეტი“; — შდრ. მუხადური: ყტაზღ ||ყტაზღ „ორი“; ასევე: ჰზოღღლწ <- ჰზოღღღლწ <- ჰზტაღღღღლწ „ხუთი“ — შდრ. წახურივე ჯიწხჯ=ჰზტაღ „თხუთმეტი“, -- მუხადური (მუხრეკ=იხრეკული დიალ.) ჰზტაღ „ხუთი“...შესადარებლად დასახელებულ მუხადურ ვარიანტებს (ფონეტიკურად უფრო ძველს) ეფარდება ან თითქმის უტოლდება გილმიწურ=ღეკური ვარიანტი: შდრ. ყოზღ (<- ყტაზღ) „ორი“, ჰზოღ (<- ჰზტაღ) „ხუთი“...

რადენობითი რიცხვითი სახელი მუხადურში

მუხადურ კილო=კილოკავთა მონაცემების მიხედვით მარტივი და რთული რიცხვების სახელები ასე ჩამოითვლებიან:

რთულური კილ.	მუხრეკული, იხრეკული
1- სად	სა ^ა ღ ^ა
2- ყვაზღ, ყვეზღ	ყტაზღ
3- ხ~იზღღ ხ~იზღღ	ხ~იზღღ
4- ჯუყუღ	ჯუყუღ
5- ჭუღ	ჰზუღ ჰზტაღ
6- რჯჰღღ	რიჰზღღ
7- ჯჯვღღ	ჯუღღღ (მუხრ.), ჯუღღ (იხრ.)
8- მჯაღღ	მჯაღღ მჯაღღ

9- ჰუჭუღა უჭუღ	აუჭუღა უჭუღ
10- აიწიჯღ	აიწიჯღ
11- წიჯსა	წიჯსა
12- წიჯყიბღ	წიჯყიბღ
13- წიჯბ~იბიჯღ	წიჯბ~იბიჯღ
14- წიჯაუყუღ	წიჯაუყუღ
15- წიჯჭუღა წიჯჭუღ	წიჯჭუღ
16- წიჯრჯიბიჯღ	წიჯრიბიბიჯღ
17- წიჯაგიჯღ	წიჯაულუღ (მუხრ), წიჯაუღ (იხრ.)
18- წიჯმიჯაჯღ	წიჯმიჯააღ, წიჯმიჯაჯღ
19- წიჯჰუჭუღ	წიჯაუჭუღ
20- ყაღა ყაღ	ყაღ
21- ყანნასა	ყანნასა ყანნჯსა
22- ყანნაყიბიჯღ	ყანნაყიბიჯღ
23- ყანნაბ~იბიჯღ	ყანნაბ~იბიჯღ
30- ბ~იბიწიჯრ	ბ~იბიწიჯრ
31- ბ~იბიწიჯნნასა	ბ~იბიწიჯნნასა ბ~იბიწიჯრ- ნასა
32- ბ~იბიწიჯნნაყიბიჯღ	ბ~იბიწიჯრნაყიბიჯღ
33- ბ~იბიწიჯნნაბიბი (ჯღ)	ბ~იბიწიჯრნაბ~იბი (ჯღ)
40- აოღწიჯრ	აოღწიჯრ
41- აოღწიჯნნასა	აოღწიჯრნასა
42- აოღწიჯნნაყიბიჯღ	აოღწიჯრნაყიბიჯღ
43- აოღწიჯნნაბ~იბიჯღ	აოღწიჯრნაბ~იბიჯღ (=ჯღ)
50- ჭიჯღწიჯრ ჰიბიჯღწიჯრ	ჰიბიჯღწიჯრ (მუხრ.) ჰიბიჯღწიჯრ<- (იხრ.)
51- ჭიჯღწიჯნნასა	ჰიბიჯღწიჯრნასა
60- რიჯჰიჯრ	რიბიბიწიჯრ
61- რიჯჰიჯრნნასა	რიბიბიწიჯრნასა
70- აიწიჯრ	აიღწიჯრ აიღწიჯრ
71- აიღწიჯრნნასა	აიღწიჯრნნასა
80- მიჯაწიჯრ	მიჯაწიჯრ
81- მიჯაწიჯრნნასა	მიჯაწიჯრნნასა
90- იუჭიჯრ	აუჭიჯიჯრ

91- ვუჭუნდასა	მუჭუჭუნდასა
100- ვეშ	ევშ
101- ვეშნდასა	ევშნდასა
110- ვეშნაჰიწიჯდ	ევშნაჰიწიჯდ
111- ვეშნაწიჯსა	ევშნაწიჯსა
120- ვეშნაყად	ევშნაყად
130- ვეშნახებწიჯრ	ევშნახებწიჯრ
200- ყვეხდ=ვეშ	ყვეხდ=ვეშ
1000- ჰაახჯრ	ჰაახჯრ
1001--ჰაახჯრნდასა	ჰაახჯრნდასა
2000- ყვეხდაახჯრ	ყვეხდაახჯრ
10000000-მილქონ მილიქონ	-

შინაზური	შინურ-ხინური	ბორჩული
1- სად, სად	სა	სა
2- ყვეხდ	ყვეხდ	ყვეხთ
3- ხეხიბდ	ხეხიბდ	ხეხიბი
4- მუყუდ	მუყუდ	მუყუდ
5- ჰუდ	ჰუდ	ჰუდ ჰუდ
6- რეჰეხდ	რეჰეხდ	რეჰეხდ რეჰეხდ
7- მუვედ	მუვედ	მუვედ
8- მეჰად	მეჰად	მეჰად
9- ვუჭუდ	მუჭუდ	ჰუჭუდ მუჭუდ
10- მინწიჯდ	მინწიჯდ	მინწიჯდ
11- წიჯსა	წიჯსა	წიჯსათ
12- წიჯყვეხდ	წიჯყვეხდ=	წიჯყვეხთ
13- წიჯხეხიბდ	წიჯხეხიბდ	წიჯხეხიბდ
14- წიჯმუყუდ	წიჯმუყუდ=	წიჯმუყუთ
15- წიჯჰუდ	წიჯჰუდ=	წიჯჰუთ
16- წიჯრეჰეხდ	წიჯრეჰეხდ=	წიჯრეჰეხთ
17- წიჯმუვედ	წიჯმუვედ=	წიჯმუვედ/თ

18-	წმგმგაღ	წმგმგაღ	წმგმგაღ/თ
19-	წიგუჭუღ	წმგუჭუღ	წმგუჭუღ წმგუჭუღ
20-	კადლიკად	კად	კად
21-	კანნასა	კანთსა ->კად	კანნასა
22-	კანნასყვიახდ კანნასყვიახდ	კანთკვიღხდ	კანნასყვიახთ
23-	კანნასბ~იბღდ კანნასბ~იბღდ	კანთბ~იბღდ	კანნასბიბიღ
30-	ბ~იბწგზ	ბ~იბწგზ	ბ~იბწგზ
31-	ბ~იბწგზნასა	ბ~იბწგზსად	ბ~იბწგზნასა
32-	ბ~იბწგზნასყვიახდ	ბ~იბწგზყვიახდ	ბ~იბწგზნასყვიახთ
33-	ბ~იბწგზნასბ~იბღ(ჯღ)	ბ~იბწგზბიბ(ჯღ)	ბ~იბწგზნასბ~იბღ(იღ)
40-	აღღ=წგზ	აღღწგზ	აღღწგზ
41-	აღღწგზნასა	აღღწგზსა	აღღწგზნასა
42-	აღღწგზნასყვიახდ	აღღწგზყვიახდ	აღღწგზნასყვიახთ
43-	აღღწგზნასბ~იბღდ	აღღწგზნასბ~იბღდ	აღღწგზნასბ~იბიღ
50-	წმგმგმგმგმგ- (ჯღ)	ჭმგმგ	ჭმგმგმგმგმგ
51-	ჭმგმგმგმგნასა	ჭმგმგმგნასა	ჭმგმგმგმგმგნასათ
60-	რკმგმგმგ	რკმგმგმგ	რკმგმგმგმგ
61-	რკმგმგმგნასა	რკმგმგმგნასა	რკმგმგმგმგნასა
70-	აღღწგზ	აღღწგზ	აღღწგზ
71-	აღღწგზნასა	აღღწგზნასა	აღღწგზნასა ^თ
80-	მგმგმგ	მგმგმგ	მგმგმგ
81-	მგმგმგნასა	მგმგმგნასა	მგმგმგნასა ^თ
90-	მგმგმგმგ	მგმგმგ	მგმგმგ
91-	მგმგმგმგნასა	მგმგმგმგნასა	მგმგმგმგნასათ
100-	მგმგ	მგმგ	მგმგ
101-	მგმგნასა	მგმგნასა	მგმგნასათ
110-	მგმგმგ(აღ)წგზ	მგმგმგ	მგმგმგაღწგზ
111-	მგმგმგმგმგ	მგმგმგმგ	მგმგმგ ^ა მგმგმგ
120-	მგმგმგმგ	მგმგ ^ნ ა ^კ ად	მგმგმგმგ
130-	მგმგმგმგმგმგ	მგმგმგმგმგმგ	მგმგმგმგმგმგ

200- ყტაზღ=ტეზშ	ყტაზღ=ვეშ	ყვაზღ=ვწშ
1000- ჰალზგრ	ზზგრ	ჰალზგრ
1001- ჰალზგრნასა	აზგრნასა	ჰალზგრნასა
2000- ყტაზღალზგრ	ყტაზღ=აზგრ	ყვაზღჰალზგრ
1000000 -მილაონ	-	-

რიცხვით სახელთა ამ სიიდან ჩანს, რომ სხვაობა მუხადლური ენის კილო=კილოკავებშიც წახურის მსგავსად ძირითადად ფონეტიკური ხასიათისაა, წარმოქმნა=წარმოების პრინციპი კი ყველგან ერთნაირია.

ფონეტიკური თვალსაზრისით კილო=კილოკავთა შეფარდება გვიჩვენებს, რომ ა) ჩამოთვლილ მუხადლურ რ.სახელთაგან ყველაზე მეტადაა მოდიფიცირებული „ხუთის“, „შვიდის“ და „რვის“ სახელები; სახელდობრ: „ხუთის“ აღმნიშვნელი ϕ ჯღ (შინ=ხინატი), ჭულ (რუთ.) <- ჰუღდ || -> ჰუღდ (მუხრ.), ჰუღ (შინაზ.), ჰუღ (ბორჩ.); „შვიდის“ აღმნიშვნელი აჯღდ (რუთ.) აუვღდ <- *აჯღუღდ -> აუღუღდ (მუხრ.) -> აუვუღდ (შინაზ.) -> აუღდ (იხრეკ.); „რვის“ აღმნიშვნელი მჯაღდ (რუთ.); მჯაწ დ||მჯააღდ (მუხრ., იხრ. შინაზ., შინ, ხინატი., ბორჩ.) — შდრ. უღ. მუღ. ფონეტიკურად თვალსაჩინოდაა სახეცვლილი აგრეთვე „ოცის“ და „ექვის“ სახელები ბორჩულში: რჯშღდ <- რჯზღდ || რჯჰღდ (ბორჩ.), რჯჰღდ (რუთ. და სხვ.) „ექვის“; ჯათ(ბორჩ.) <- ჯად (შინ, ხინატი) <- ყწდ, ყად (რუთ. და სხვ.); ბ) ერთი და იგივე რ. სახელი კილო=კილოკავებში სხვაობას ავლენს თავკიდური ელემენტების მიხედვითაც: შდრ., მაგალ., „ცხრის“ სახელის კილოური ვარიანტები: ჰუჭუღდ|| უჭუღდ (რუთ.), აუჭუღდ, აუჭუღდ (მუხრ., იხრ., შინ., ხინ.), ჰუჭუღდ||აუჭუღდ (ბორჩ.), ვუჭუღდ (შინაზ.) გ) ერთსა და იმავე კილო=კილოკავში ერთი=მეორის გვერდით ვხვდებით ზოგი რიცხვითი სახელის ძველ სახეობასაც და მოდიფიცირებულსაც; შდრ., მაგალ., „შვიდისა“ და „სამოცდაათის“ ბორჩული და იხრეკული სახელები: აუვუღდ (ბორჩ.),

აუღ (იხრეც.), აუღუღ (მუხრეც.) „შვიდი“, — მაგრამ: აიღწერ „სამოცდაათი“ = შვიდჯერ ათი... დ) რთულ რიცხვით სახელებში ჰგერათკომპლექსი რწ (ასიმილაციისა და გემინაციის შედეგად) → ნწ → წწს. ყველა ეს ვარიანტი შესაძლოა შეგვხვდეს ერთსა და იმავე კილო=კილოკავში (ეს ვარიანტები რიცხვით სახელთა ზემოთ დასახელებულ სიაში წარმოდგენილი არ არის ერთ სვეტში მათი ტექნიკურად მოუთავსებლობის გამო). — ისე, რომ არქაულობა და მოდიფიკაცია აქაც ერთიმეორის გვერდითაა.

„ერთიდან“ „ათამდე“ და ამის კვალობაზე „თერთმეტიდან“ „ცხრამეტამდე“ რიცხვის აღმნიშვნელ სახელებში, აგრეთვე „ოცის“ სახელში ბოლოკიდურ ელემენტად განთავსობა =დ (4. კლ.), =ტი=ბ (3. კლ.) =რ (1., 2. კლ.), ხოლო დიდ (რთულ) რიცხვით სახელთა გარკვეულ ნაწილში ყველა ამ დაბოლოების აღგის ოდენ =რ ელემენტი იჭერება ზემოთ ნათქვამია, რომ =რ ისტორიულად ნივთის კლასის ექსპონენტია და იგი ადამიანის კლასს რეინტერპრეტაციის გზით გამოხატავს. მაგრამ აქ ასეთი კითხვაც დაისმის: რატომაა, რომ ერთი და იმავე ენის ამ სახელებში ერთსა და იმავე პოზიციაში, ერთდროულად შემონახულია ორ=ვარიანტიანი წარმოება? — როგორც ითქვა, აქ კლას=კატეგორიის რეინტერპრეტაციისა თუ უნიფიკაციის ტენდენციაა, საგულისხმებელი, მაგრამ ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას სხვა საკითხიც: უნიფიკაციის ეს პროცესი რატომ ვლინდება მაინცდამაინც რთულ(დიდ) რიცხვით სახელებში? მუხადურში შემჩნეული ეს მოვლენა ვრცელდება წახურზეც, რამდენადაც აქაც ანალოგიური ვითარებაა: შდრ: ვრ. კლასების მიხედვით გამოყოფილი რიცხვითი სახელები და რთული რიცხვითი სახელების უნიფიკირებული ვარიანტები (იხ. ზევ. ნიმუშები). ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მარტოოდენ წახურ და მუხადურ მასალებზე დაყრდნობით ძნელდება (კლას=კატეგორიის დუბლეტურ ფორმებთან დაკავშირებული ზოგი გან-

მარტება იხ. ზემ.: გრ. კლასები).

წახურსა და მუხადურში თვლის ათეულგებრივი სისტე-
მა: რიცხვითი სახელები „თერთმეტიდან“ მოყოლებული
„ცხრაშემდეგ“ და „ოცდაერთიდან“ მოყოლებული „ოთხმოც-
დაცხრაშემდეგ“ — მათ შორის ათეულების (30, 40, 50,
60, 70, 80, 90=ის) გამომხატველი სახელებიც წარმოქმ-
ნილია ისე, რომ ყოველი მათგანის წარმოქმნაში მონა-
წილეობს „ათის“ აღმნიშვნელი სახელი; შდრ., მაგალ.,
აიწ =: იწჯარა, აიწბლწ აიწჯლლწ („ათი“) და აიწჯსა=
(„თერთმეტი“) == აიწჯ = „ათი“+სა „ერთი“; ხწებწალ
„ოცდაათი“ == ხწებ „სამი“+წალ „ათი“ — და ასე —
ყველა სხვა რთული რ.სახელი (იხ. ზემ.).

წახურსა და მუხადურში ზოგი რიცხვის სახელი ნა-
სესხებია, კერძოდ, „მილიონის“ აღმნიშვნელი მილიონ,
მილიჯონ და „ათასის“ აღმნიშვნელი ჰააზერ, ჰაღზერ,
აღზერ, აზერ. — შდრ. სანსკრიტ. საჰაზარამ, ავესტ.
ჰაზარამ, სომხ. ჰაზარ (ა.მეიე, 1938, გვ. 413...).
ჰაღზერ /აღზერ ვარიანტში „ღ“ ბგერითი შენაზარდია,
პარაზიტული თანხმოვანი.

წახურ და მუხადურ რაოდენობით რიცხვით

სახელთა ფუძის აგებულება (ზოგადად)

ფუძის შემადგენელ ნაწილთა ხასიათის მიხედვით
წახური და მუხადური რიცხვითი სახელები ორად იყოფა:
1) „მარტივი“ აგებულებისანი, რომლებსაც მიეკუთვნე-
ბიან „ერთიდან“ „ათამდე“ რიცხვთა სახელები, აგრეთვე
— „ოცისა“ და „ასის“ აღმნიშვნელი სახელები; 2) რთუ-
ლი აგებულებისანი — სხვა დანარჩენ რიცხვთა სახელები.

„მარტივი“ აგებულების რიცხვითი სახელები

(წახურში. მუხადურში)

მარტივი რ.სახელი, რომელიც აქ, ერთი მხრივ, აულ წახურისა და, მეორე მხრით, აულ რუთულის მეტყველების მონაცემთა მიხედვითაა წარმოდგენილი, შეიძლება დაშლილ და, რეკონსტრუირებულ იქნეს შემდეგნაირად:

წახური

მუხადური

1 — სა	სა=ღ
2 — ყოზღაღ-ყტიზღაღ	ყვაზღღ-ყტიზღღ
3 — ხეზიღღღ-ხეზბაღღღ	ხეზღღღ-ხეზბაღღღ
4 — ჯოყულღღ-ჯოყტიულღღ	ჯოყულღღ-ჯოყტიულღღ
5 — შოღღღღ-შოხაღღღ	ჭულღღღ-შოხულღღღ-შოხულღღღ
6 — ღიჭიღღღღ-ღიჭიზღღღღ	რჯიჭიზღღღ-რჯიჭიზღღღ
7 — ღიღღღღღღ-ღიღღღღღღ	ღღღღღღღღღ-ღღღღღღღღღ-ღღღღღღღღღ
8 — მოღღღღღღღ-მოღღღღღღღ	მჯღღღღღღღ-მჯღღღღღღღ-მჯღღღღღღღ
9 — ჯუჭულღღღღ-ჯუჭულღღღღ	ჭუჭულღღღღ-ჭუჭულღღღღ
10 — ღიწიზღღღღ-ღიწიზღღღღ	ღიწიზღღღღ-ღიწიზღღღღ
20 — ყაღღღღღღ-ყაღღღღღღ	ყაღღღღღღღ-ყაღღღღღღღ
100. — ვეშღღღ-ვეშღღღ(ვეშღღღღღ)-ტიეშღღღ	ვეშღღღღ-ვეშღღღღ(ვეშღღღღღ)-ტიეშღღღ

წახური და მუხადური „მარტივი“ რიცხვითი სახელები შეიძლება დავაჯგუფოთ ასე: I) უპირველესო რ.სახელები I-ისეთები, რომელთა ინციპიალური ელემენტია ძირისეული თანხმოვანი: სა(წახ.), საღ(მუხ.), „ერთი“, ყოაღღღ-ყოაღღღღ-ყტიაღღღ(წახ.), ყვააღღ(მუხ.) „ორი“; ხეზბ(წახ.), ხეზბ(მუხ.) „სამი“; შოაღღღ-შოაღღღღ-ჭიაღღ(წახ.), შოაღღ(მუხ.)

I. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით: სქეს=კატეგორიის პრეფიქსის უქონელი რ. სახელები.

„ხუთი“; ყად= (წახ.), ყად, ყად (მუხ.) „ოცი“ ამ რ. სახელებს კლ.=კატეგორიის =რ, =დ, =ბ ნიშანი სუფიქსად მოუდით (იხ. ზევ. სია); 2) რიცხვითი სახელები, რომლებსაც თავკიდურ ელემენტად მ₂(+ხმ.) ან ვ₂(+ხმ.) აქვთ: მოლილა (წახ.), მჯად (მუხ.) „რვა“, ვეშ „ასი“ (წახური, მუხადური); 3) რიცხვითი სახელები, რომლებშიც თავკიდურ ელემენტად გამოიყოფა მ₂(+ხმ.) ელემენტი; ასეთებია: მუყუდ (მუხ.) „ოთხი“, მიჰილა (წახ.) „ექვსი“, მიღლა (წახ.), მჯედ (მუხ.) „შვიდი“, მუჰულა (წახ.) „ცხრა“, მიწლა (წახ.), მიწედ (მუხ.) „ათი“. 4) მ₂(+ხმ.) თავკიდურ ელემენტიანი რ. სახელი რგ=ჰმედ (მუხად.) „ექვსი“; 5) მ₂(+ხმ.) თავკიდურ ელემენტიანი (პირობით: ასპირაციულ შემართვიანი) რ. სახელი: ჰუ=ჰულ „ცხრა“. მაშასადამე, ა) წახური და მუხადური რიცხვითი სახელები თავკიდურ და ბოლოკიდურ ელემენტთა ნაირგვარობით ხასიათდებიან. გარდა „ერთისა“ (სა) და „ასისა“ (ვეშ), დასახელებული ჯგუფის ყველა სხვა წახური რიცხვითი სახელი ბოლოში გართულებულია =ლა ელემენტით, რაც არ მოწმდება მუხადურში. ამ ელემენტის ჩამოცილების შემდეგ წახური და მუხადური „მარტივი“ რიცხვითი სახელები შედგენილობის მიხედვით ევადებიან ან თითქმის ემთხვევიან ერთმანეთს. =ლა ელემენტის შესახებ ქვემოთ იქნება მსჯელობა. რაც შეეხება თავკიდურ ელემენტებს, როგორც აღინიშნა, ყოველი მათგანი გრ. კლასის გაქვავებული პრეფიქსია. ¹ შეიძლება დაისვას კითხვა: პრეფიქსის უქონელ ერთის, ორის, სამის, ხუთისა და ოცის აღმნიშვნელ სახელებს (იხ. ზ.) ჰქონდათ, თუ არა თავიდანვე ასეთი (პრეფიქსული) ელემენტი? — ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ამ სახელებსაც ჰქონდათ და მოეშალათ ფონეტიკური გამარტივების შედეგად? — წინასწარვე რომ ითქვას, ამ სახელებში არ უნდა ყოფილიყო დარღვეული გრ. კლასთა პრეფიქსაციის წესი, — მისი მწყობრი ხასიათი: სხვა რ. სახელთა

¹ შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახელებულ შრ., გვ. 529-376.

მსგავსად თითოეულ ამათგანსაც უნდა ჰქონოდა კლას=
 კატეგორიის ნიშანი თავკიდური ელემენტის სახით. ეს
 სარწმუნო ხდება წახურისა და მუხადურის ბინალურ-
 თან შედარების გზით, კერძოდ, — „ხუთის“ აღმნიშვნე-
 ლი ბინალურის სახელის მიხედვით: შდრ. ფ=ხუ <-ბ=ხუ;
 ამ რიცხვით სახელის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი
 შენიშნავს „ხუთის ბინალურის სახელი ფხუ ორი თვალ-
 საზრისით არის მეტად საყურადღებო: ჯერ ერთი იმით,
 რომ სხვა ლეგურ თანამედროვე ენებში, აკუნურს გარდა,
 ხუთის ამნაირი სახელი არ გვხვდება, სამაგიეროდ ღილ-
 ლურ ენებში და ჩრდილო=კავკასიის დასავლურ ენებშიც
 და სამხრეთშიც თვისტომნი საკმაოდ გააჩნია. მეორე სა-
 ყურადღებო გარემოებაა, რომ „ხუთ“-ის ამ სახელის
 თავკიდური ფჷ, რასაკვირველია, ძირეული არ არის, არა-
 მედ სქეს=კატეგორიის შეზრდილი თავსართია“ (დასახელ.
 შრ., გვ. 334). აქ შეიძლება შემოგვეშველოს ალულორც,
 სადაც „ხუთის“ აღმნიშვნელ იჷჷად სახელში თავკიდურ
 ელემენტად გამოიყოფა ღჷჷ რაც ნაშთი უნდა იყოს გრ.
 კლასის ფუძესთან შეზრდილი ოდინდელი პრეფიქსისა: ი=
ჷად <- ღი=ჷად <- ღი=ჷჷად. მსგავსი ვითარებაა „სა-
 მის“ სახელშიც. აქაც რეალურად ისევე ბინალური ენა
 იძლევა საფუძველს, სადაც უნდა ვივარაუდოთ ამგვარი ელე-
 მენტის ოდინდელი არსებობა: შდრ. ბინალ. მზოა<-ბ=ზოა „სა-
 მი“. ამ ჯგუფის დანარჩენ რ. სახელებში („ერთის“,
 „ორის“ და „ოცის“ აღმნიშვნელებში) არც საკუთრივ წა-
 ხურ=მუხადურისა და არც თვისტომ ენათა მონაცემების
 მიხედვით გრ. კლასის ამგვარი პრეფიქსული შენაზარ-
 ჟის რაიმე კვალი არა ჩანს. მაგრამ ზემოთ ნაჩვენები
 მაგალითებისა და ზოგი რთული რიცხვითი სახელის (იხ.
 ქვეც.) მორფემული შედგენილობის კვალობაზე შეიძლე-
 ბა დავასკვნათ, რომ ყველა ამ რიცხვთა სახელსაც ჰქონ-
 და პრეფიქსული წარმოება. ბ) რიცხვით სახელთა თავ-
 კიდურ ელემენტთანგან ყურადღებას იპყრობს ღ (ჩხმ.)

და ვ(+ხმ.): მგაად (მუხად.), მოლილა (წახ.), „რვა“; ვეშ (წახ=მუხად.) „ასი“. საფიქრებელია, რომ ეს მ= და ვ(+ხმ.) ფონეტიკურად და ფუნქციურად ერთმეორის ბადალი (კორელაციური) ელემენტია; ამასთან ისტორიულად ერთიცა და მეორეც უნდა შეესაბამებოდეს ნივთის კლასის გამომხატველ ბჰს (იხ. ზევ. გრ. კლასები). გ) წახურ „მარტივ“ რიცხვით სახელთა ფუძე, გარდა „ერთისა“ და „ასისა“, ბოლოში გართულებულია ლუნ ელემენტით. ზემოთაც აღინიშნა, რომ ასეთი ელემენტი არ მოეპოვება ამ ენის გილმიწურ კილოსა და მუხადური ენის რ.სახელებს (იხ. ზევ. ნიმუშები). წახურშიც ლუნ ელემენტი არ მოუღის ამ რ. სახელებსაც საზღვრულის გარეშე მათი გამოყენების (მაგალ., რისამე ან ვრისმე დათელის ან ჩამოთელის) დროს. ასეთ შემთხვევაში წახურ რიცხვით სახელებს ამგვარი სახე აქვთ: 1-საბ || სად, 2-ყოჯ || ყოჯდ, 3 - ხ~ებ || ხ~ებუდ, 4 - აოყუბ||აოყუდ, 5-ჰოზბ || ჰოზდ, 6 - აიჰოზბ || აიჰოზდ, 7- აიღუბ||აიღუდ, 8-მოღუბ || მოღუდ, 9-აუჭუბ||აუჭუდ, 10-აიწუბ||აიწუდ. ამ სახით ეს რიცხვითი სახელები(თითქმის)ემთხვევიან მუხადურ რიცხვით სახელებს(იხ. ზევ.). პარალელურად წარმოდგენილ ბოლოში „დ“ ელემენტიან რ.სახელზე ლ=ს დართვის შემთხვევაში ხდება ფონეტიკური ცვლილება. დ ემსგავსება მომდევნო „ლჰს“ (=ლა-ლლა), ამას მოსდევს გემინაცია (=ლლ-ლლ), რის გამო რიცხვით სახელს შეცვლილი აქვს პირვანდელი სახე (იხ. ზევ. „მარტივ“ რიცხვით სახელთა ნიმუშები). ა. დირი ლა || ლუნ ელემენტს გამოჰყოფს როგორც რიცხვით სახელთა დაბოლოებას, მაგრამ არაფერს ამბობს მისი დანიშნულების შესახებ („წახ. ენა“, გვ. 53...). ამ (ლუნ) ელემენტის ფუნქცია, მართლაც, მთლად ნათელი არ

I. შდრ. ტიპოლოგიურად ქართ. -- ვინ; ვინც; ვინმე — (დიალ.: ინგილ.) მინ; მინც; მინმე, მინამ...; ან კიდევ: ვუნ (ალულ., ლეზგ., ჯეკ.) — მუნ (ხუნძ.) „შენ“.

არის; ერთი კი უეჭველია, საწარმოებელ ფუძესთან შეზრდილ ამ ბოლოკიდურ მარცვალს თავიდან უნდა ქქონოდა რაღაც სადეტერმინაციო ან სადერივაციო ფუნქცია.

აკაკ. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს=რ.ა ამ(=ლ) ელემენტს კლას=კატეგორიისად, აღნიშნავს: „საფიქრებელია, რომ 1. და 2. სქეს=კატეგორიების რა ნიშნის ფონეტიკური სახესხვაობაა =ლ. რა და ლა=ს ოდინდელი დანიშნულება დავიწყებულია და უბრალო დაბოლოებად არის ქცეული. ეს გარემოება ცხადჰყოფს წახბურში რიცხვითი სახელების სქეს=კატეგორიების გაქრობისადმი მიდრეკილებას, რომელსაც ცალკეული ფორმები უკვე უმსხვერპლია და რომელიც სხვაგანაც უკვე საკმაოდ ძლიერად არის შექრილი. ამ რა და ლა დაბოლოებას რომ წინმყოფი ბგერების დაცვისათვის ხელი არ შეეწყო, წახბურის რიცხვითს სახელებსაც, არაერთ სხვა ლეგურ ენათა მსგავსად, სქეს=კატეგორიების აღარავითარი განჩრევა არ ექმნებოდა“... (დასახელ. გამოკვლ., გვ. 317).

ამგვარი განმარტების მეორე ნაწილი (გრ. კლასების, — ივ. ჯავახიშვილის მიხ. სქეს=კატეგორიების, — მოშლის ტენდენციას რომ ეხება) სწორია: ამჟამინდელ წახბურში (ისევე, როგორც მუხადურში) კლას=კატეგორიის მაწარმოებელთა დანიშნულების გრძნობა, მართლაც საკმაოდ მოჩლუნგებულია. მაგრამ განმარტების პირველი ნაწილი (=ლ ელემენტის თავდაპირველ დანიშნულებას რომ ეხება) შეიძლება განიმარტოს სხვაგვარად, თორემ დამაფიქრებელი იქნება ტექნიკა აღნიშნულ რ. სახელთა წარმოქმნა=წარმოებისა, რამდენადაც მათს ასე დატვირთვას მაინცდამაინც მარტოოდენ გრ. კლასის ფენა=ფენებად გამოყენებული ნიშნებით ვერ დაეძებნებოდა გამართლება. თუ სახელგანთქმული მეცნიერის განმარტებას დავეყრდნობით, ერთსა და იმავე რიცხვით სახელში გრ. კლასის მორფემათა გამოყენება=განლაგების ასეთი სურათი გვექნება: ზიჟ, ზო= ანდა ზუ= პრეფიქ-

სი (+ საყრდენი ფუძე) + არ, =დ, ანდა =ბ სუფიქსი და კიდევ ამაზე დართული (და ამგვარივე ფუნქციით ალტერ-ვილი) ლუნ <- რა ბოლოსართი (!?). ამგვარი მორფოლო-გიური დატვირთვა სახელისა, საერთოდ, და — რიცხვითი სახელისა, კერძოდ, არ არის სარწმუნო. თანაც: გრ. კლასისად მიჩნეული ლუნ მარცვალის „არა“ მორფემის ფონეტიკური სახესხვაობა კი არ არის, არამედ ასიმილაციის შედეგად ლუნ“ ელემენტია გარდაქმნილი „არა“ ვარიანტად (ასიმილატორია ლას წინ მდგომი არ სუფიქსი — პირველი და მეორე გრ. კლასის ნიშანი); ეს პროცესი უწყებულ რ. სახელებში ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ყოხარა <- ყოხარარა <- ყოხარალა (ორი), ხეხირა <- ხეხირარა <- ხეხირალა (სამი) და ასე ყველა სხვა რ. სახელებში. — შდრ. ყოხაბალა („ორი“ — 3. გრ. კლ.), აუყუბალა („ოთხი“ — 3. გრ. კლ.)...

ლუნ სუფიქსს, როგორც ზემოთაც გაკვირით ითქვა, უნდა ჰქონოდა სადეტერმინაციო თუ სადერივაციო ფუნქცია და იგი გენეტურად უნდა უკავშირდებოდეს წახურისავე ერთერთ მარჯობლთანდებულისანი ბრუნვის — აფექტივის ფორმაში მონაწილე ლუნ ელემენტს: შდრ. მანა (ის, იგი) — მანალუკლუნ (აფექტ.), ზე (მე) — ზაკლუნ (აფექტ.)...; ანდა: მუხადურში აბლტივიზინსტრუმენტალისის საწარმოებლად გამოყენებულ = ლ ფორმანტს: შდრ. ნინ (დედა) — ნინგლუნ (დედისგან, დედით), ხუქ (ხე) — ხუქლუნ (ხისგან, ხით)... ლუნ სუფიქსი ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე წახურისავე ჰულელა („რამდენი“) სიტყვის ბოლოკიდურ ლუნ მარცვალს. უსაფუძვლო არ იქნება იგივე აფიქსი დავუკავშიროთ თვისტომ უდიურში არსებულ ერთერთ მადერივატებელ ლუნ სუფიქსს (აქვს ქართ. =იან, =იერ, =ოვან სუფიქსთა მნიშვნელობა): შდრ. უკლუნ აგულიანი“ (უკ „აგული“), წილუნ, წიხალუნ „სახელოვანი“ (წი „სახელი“)... ასეთივე ლუნ მარცვალისა შეზრდილი უდიურისა-

ვე სახელებში: კააა (კოჭლი), ქააა (დიდი), პატააა (ფეთხუმი), კეაა (მაკე), კოხაა (კვერცხი) და მისთ. თუ ამ ასოციაციებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ააა ელემენტი უნდა დავახასიათოთ როგორც პროლექტული აფიქსი, რომელიც შეიძლება გამოყენებულიყო ნაირმნიშვნელობის ეორმაცა სეწარმისადა. დ) თავიკიდური ელემენტებისა (კლასა-ქატეგორიის პრეფიქსების) და ააა II -> რა ბოლოკიდური ელემენტის ჩამოცილების შემდეგ წახურ რიცხვით სახელებში რჩება ფუძე-ძირისეული ელემენტი + საზღვრულის მიხედვით დართული გრ. კლასის სუფიქსი; მაგალითად: =ყუაა= („ოთხი“), =ჰიაა= („ექვსი“), =დგაა= („შვიდი“), =ლიაა= („რვა“), =ჭუაა= („ცხრა“), =წააა= („ათი“), რაც, ზოგი გამონაკლისის გარდა, ემთხვევა მუხადურისას: შდრ. ყუაა, =ჰაააა, =გგააა, =ააააა, ჭუაა, წგაა. აქედან აა, როგორც ითქვა, საზღვრულის გრ. კლასის აღმნიშვნელია (იხ. ზემ.), ხოლო ამის წინა ნაწილი — საყრდენი ძირი.

როგორც ვხედავთ წახურსა და მუხადურში ერთნაირია ან თითქმის ერთნაირი რიცხვით სახელთა მორფემული შედგენილობა (გარდა ააა სუფიქსიანი წარმოებისა, მხოლოდ წახურში რომ მოწმდება); ამ ენებში ერთნაირია აგრეთვე საყრდენი ძირების ფონეტიკური შედგენილობაც; ეს საყრდენი ძირებია:

- | | | | |
|---|-----|-----|-----|
| „1“ | „2“ | „3“ | „4“ |
| წახური: ს(სა), ყლხაა-ყჰააა, ხ(ხე=), ყჰაა->ყ, | | | |
| მუხადური: ს(სა=), ყჰააა, ხ(ხი=), ყჰაა->ყ, | | | |
| „5“ | „6“ | „7“ | |
| წახური: ჰააა-ჰააა-ჰაააა =ჰააა, =ააა, | | | |
| მუხადური: ჰააა-ჰაააა= =ჰააა, =ააა =ჰაა->ჰ->გ | | | |

„8“	„9“	„10“
წახური: =ღ=>ღ̃=	=ჭჳ->ჭ	=წჳ=>წ=
მუხადური: =ღ=	ჭჳ->ჭ	=წჳ=>წ=

„20“

100

წახური: კ, ყ, ყ̃=(კა=, ყა=, ყა=)	=შჳ -> შ
მუხადური: კჳყ, ყ̃=(ყა, =კა, =ყა=)	=შჳ -> შ

ე) რაოდ. რიცხვით სახელთა წახურ და მუხადურ ფუძე= ფორმებს, — მეტადრე მათ ძირისეულ ელემენტებს, — ერთი და იგივე ფონემურ=მორფემული შედგენილობა აქვთ და თვისტომ(ლეზგიური ჯგუფის)ენათა სათანადო მონაცემებს მომეტებულ წილად ერთნაირად ან თითქმის ერთნაირად ეფარდებიან ან უპირისპირდებიან, შდრ. სახელდობრ:

„ერთის“ სახელი: სა, სად, საბ, სარ (წახური), სა, სად, სად, საბ, სარ, სა (მუხადური) — სა, სარ (აღულ); საბ, სარ, სჳაჳ, სავ (თაბასარ.); სა, სად (ლეზგ.), სად, საბ, სარ (ბუღუხ.), სად, სარ, სობ (ჯეკ.=კრიწ.), სა (უდ.), სა (ხინალ.).

„ორის“ სახელი: ყოზდ <- ყჳაზდ, ყოზღა <- ყოზღა-ლა“, ყოზღა <- ყჳაზღა=ლა, ყოზჳარა <- ყჳაზ-ჳარა(წახური), ყჳაზდ <- ყვაზდ, ყჳაზდ <- ყვეზდ (მუხადური) — ყუდ, ყურ, ყურ, ყუდ, ჰად, ცად (აღულ.); ყჳუბ, ყჳურ, ყჳჳი; ყჳივ, ყოზრ, ყოზბ (თაბასარ.); ყვედ(ლეზგ.) ყად (ბუღუხ.); ყჳად, ყვად (ჯეკ.=კრიწ.); კუ (ხინალ.); ბაზ (უდ.).

„სამის“ სახელი: ხჳებდ, ხჳებად, ხჳებილღ <- ხჳებიდღ... (წახური), ხჳიბდ, ხჳიბუდ(მუხადური) — ხჳიბუდ, ხჳიბბუდ, შიმბურ, შოზბურ, შუბუდ (აღულ.) შუბბუბ, შუბბურ, შიბბუუ, შიბბურ; შშიბუვ, შშიბუბ, შუჳუბუბ (თაბასარ.); პუდ, ფუდ (ლეზგ.); შოზბუდ, შუბუდ (ბუღუხ.), შიბუდ, შიბნირ (ჯეკ.=კრიწ.); ფშჳა, ფშჳა (ხინალ.), ხიბ (უდ.).

„ოთხის“ სახელი: აოყუდ: აოყუღღ <- აოყუდღღ... :

(წახ.), აუყუდ (მუხად.) — მაყუდ, მაყურ (აღუღ.),
აუყუბ... , მაყუბუწი... , მაყურ (თაბასარ.); ყუდ (ღეზგ.);
აუყუდ, აუყურ... (ბუღუხ.); აუყუდ... (ჯეკ.=კრიწ.);
ონხ, ონღ (ხინაღ.); ბიპ (უღ.).

„ხუთის“ სახელი: ჰხოღ <- ჰხტიად, ჰხოღღ <- ჰხოღღ=
ღ... (წახ.), ჰხოღ <- ჰხტიად->ჰტიუღ->ჰუღ ... (მუ-
ხად.) — იჰად, აჰუჰუღ, ბუჰუღ, აიჰტიურ, აიჰტიურ (აღუღ.);
ხუბ... ხუწი, ხუგ... (თაბასარ.); ჰიად-> ვად (ღეზგ.);
ჰუღ, ჰუღ (ბუღუხ.); ჰუღ... (ჯეკ.=კრიწ.); ფხუ, ფხუ
ღჰუ (ხინაღ.); ჰო (უღ.).

„ექვისის“ სახელი: აჯჰუღ, აიხუღ, აიჰხიღღ <-
აიჰხიღღ... (წახ.), რჯჰუღ, რჯჰუღ, რჯხუღ, რჯჰუღ
(მუხად.) — აერხუღ, აირხუღ, აერშირ, ეარშირ (აღუღ.);
აარხუღ (აღუღ.); აირხუბ, ირხუბ, აირხუწი, აირხუწურ (თაბა-
სარ.); რუღუღ, რუგუღ (ღეზგ.); რჯხუღ, რუხუღ (ბუღუხ.);
ღუხუღ (ჯეკ.); რჯხუგ... (კრიწ.); ზუქ, ზექ (ხინაღ.);
უხჰ (უღ.).

„შვიდის“ სახელი: აღღუღ, აიღღღღ <- აიღღღღ...
(წახ.), აუღუღ, აიგუღ, აეგუღ, აუგუღ, აუგუღ, აუღ
(მუხად.) — აერიღ, აერირ (აღუღ.); ურგუბ, ურგურ,
ურგუწი, ვურგუგ; ურგუბ, ურღუღ... (თაბასარ.); ირიღ,
ერიღ, აერიღ, არუღ (ღეზგ.); აიღიღ, აიღხიღ (ბუღუხ.);
აიღღ (კრიწ.); აიღუღ (ჯეკ.); ვუღ (უღ.); აიკ (ხი-
ნაღ.).

„რვის“ სახელი: მოღიღ, მოღიღღღ <- მოღიღღღ...
(წახ.), მჯაღ, მჯაღღ... (მუხად.) — მუაღ, მუაღ,
მუაღ, მუაარ (აღუღ.); მირჰიბ, მირჰურ, მურჰურ,
მურჰუწი, მირჰუგ ... (თაბასარ.); მუჰუღ, მი-
ჰიღ (ღეზგ.); მოაღ, მჯაღ (ბუღუხ.); მიღიღ (ჯეკ.);
მიაარ... (ხინაღ.); მუღ (უღ.), ინკ, ინკუ (ხინაღ.).

„ცხრის“ სახელი: აუჭუღ, აიჭუღღღ <- აუჭუღღღ...
(წახ.), აუჭუღ, აუჭუღღ, ვუჭუღღ, ჰუჭუღ, უჭუღ (მუხად.)
— აერკუღ, აარჭუღ, აერჭუღურ, აარჭოღ, აერჭუღ (აღუღ.);

ურჭიუბ, ურჭიუნი, ურჭურ... , ვურჭურ... (თაბასარ.);
კშიდ, შშიდ (ღებგ.); ვიჭიდ... (ბუღუხ.); მიჭიდ(კრიწი);
ვიჭიდ (ჯეკ.); ვუჲ <*ვეჭი(უღ.); მოზ(ხინალ.).

„ათის“ სახელი: მიწიშდ, მიწიღდ, მიწიხილღ <-მიწიშდ
=ღ... (წახ.), მიწიღდ (მუხად.) — მიწიუღ, იწიუღ... ,
მიწიუღ... (აღუღ.); მიწიუბ, მიწიუხუტი ,... , მიწიურ, მი-
წი... (თაბასარ.); წიუღ, წიუ (ღებგ.); მიწიწიღ, მიწიღდ...
(ბუღუხ.); მიწიღდ (ჯეკ.=კრიწ.); ვიწ (უღ.); მახ, მაახ,
მაბუხ, მაგახ (ხინალ.).

„ოცის“ სახელი: შად, ყაღღ <- ყაღღ... (წახ.),
შად, ყაად, ჯად, ჯათ (მუხად.) — ყაად, ჯაად, ჯაარ
(აღუღ.); ჯაბად, ჯაარ, ჯაატი... , ყაავ, ყაბ(თაბასარ.);
ყაად (ღებგ.); ჯად, ყაად, ყაად... (ბუღუხ.); ჯად(ჯეკ.);
ყაად... (კრიწ.); ყა (უღ.), ჯან (ხინალ.).

„ასის“ სახელი: ვაშ, ვაშ (წახ.), ჭეშ, ვაშ,
ვეშ (მუხად.) — ჭეშ, ჭეარშ, ვარშ (აღუღ.); ჭეარუ,
ჭეარუა, ჭეარუ, ვარუ (თაბასარ.); ვიშ, ვიშადა(ღებგ.);
ჭუ=ჯად (ბუღუხ., ჯეკ. კრიწ.); ბარუ, ბაშუ (უღ.),
ღა (ხინალ.).

ჩამოთვლილი რ. სახელები გვიჩვენებენ, რომ თვის-
ტომ ენათა შორის ყველაზე მეტი ერთგვაროვნებაა წა-
ხურსა და მუხადურში (სახელდობრ: ერთის, ორის, სამის,
ოთხის, ხუთის, ექვსის, ცხრის, ათის, ოცისა და ასის სახე
ლებში); ყველაზე უფრო შორსა დგას ხინალულური (იხ.
ორის, სამის, ოთხის, ხუთის, ექვსის, შვიდის, რვის,
ცხრის, ათის, ოცისა და ასის სახელები); ადუღურში
დიდად იცვალა სახე ორის, ხუთის, ექვსის, შვიდის,
ცხრის და რამდენადმე — რვის, ათისა და ასის სა-
ხელმა; ლეზგიურში ყველაზე მეტადაა დიფერენცირებუ-
ლი სამის, ოთხის, ხუთის, შვიდის, რვის, ცხრისა და
ათის სახელი; ცვლილებებია აგრეთვე ბუღუხურ, ჯეკურ=
კრიწულ და უდიურ რ. სახელებში (იხ. შეფარდებული რ.
სახელები). უფრო კონკრეტულად რომ ითქვას: 1) ზოგი
რ. სახელი დეფექტურია, — გამარტივებულია ფონე-

ტიკურ =მორფემულად: აკლია ფორმანტი (ფორმანტები), ანდა ძირეული ელემენტი (მთელი სიტყვის მაგივრობას ეწევა ფორმანტი ან ფორმანტთა კომპლექსი). ყველა დასახელებულ ენაში თავკიდური ფორმანტი (გრ.კლასის პრეფიქსი) მოეკვეცა, მაგალითად, ერთის, ორის, სამის და ოცის სახელებს, გარდა „სამის“ აღმნიშვნელი ბინალური ფ=შტა (-> ფშვა) <- *ბ=შტა სახელისა. ამ ენებში პრეფიქსული ელემენტი მოკვეცილი აქვს აგრეთვე ზუსის სახელს, გარდა ალუღური იაჭად <- აიჭად, აუჭად, აიშურ, ააშურ და ბინალური ფ=ჰუ, ფ=ხუ, ფ=ხუ <- *ბ=ჰუ სახელებისა. ყველა ამ ენაში „ცხრისა“ და „ათის“ სახელს ამა თუ იმ ფონეტიკური ვარიანტით მოუღის პრეფიქსული ელემენტი (იხ. ნიმუშები), გარდა ლეზგიური ენის კჷდ, ჰჷდ („ცხრა“) და წუდ, წუ („ათი“) სახელებისა. რიცხვით სახელთა ერთ ნაწილს აკლია სუფიქსური ელემენტიც; ასეთებია, სახელდობრ, უდიური პაჰ <- *ყტაჰ (<- *ყტაჰად, ყტაჰაბ, ყტაჰარ), ხინალუდ. კუ (<- კუად...), „ორი“; უდიური ჯო<- ჯტა (* ჯტაად, ჯტააბ, ჯტაარ) „ხუთი“, ყა<- *ყაად (ყააბ, ყაარ) „ოცი“; სა<- საად (სააბ, საარ) „ერთი“. ძირნაკლი რ. სახელების ნიმუში კი „სამის“ აღმნიშვნელი ლეზგიურ ფხუდ, პუდ სახელია. ამ სახელის გამო აღ. მაჰომეტოვი (1965) სრულიად მართებულად აღნიშნავს: ლეზგიურ ენაში, სადაც ხშირია სიტყვის თავკიდური ნაწილის მოშლა=მოკვეცა, რიცხვით სახელში იკარგება ძირისეული თანხმოვანიც კი, რჩებაარა მასში მხოლოდ სუფიქსური ნაწილი. ამის ნიმუშად დასახელებულია სწორედ „სამის“ აღმნიშვნელ ლეზგ. ფხუდ, შედარებულნი თაბასარ. შიბბუბ და ადულ. ხიბუდ ფუძე=ფორმასთან. 2) აქ აღნიშნული ყველა ენისგან განსხვავებით წახური რ. სახელები (თუკი მსაზღვრელად გამოიყენებიან) ბოლოში რთულდებიან ლუდ ელემენტით (განმარტებები იხ. ზევ.); ამით ეს ენა სხვაობს მუხა-

დურისგანაც. 3) ხინალდური რიცხვითი სახელების ფონემურ=მორფემული შედგენილობა იმდენად დაშორდა თვისტომ ენათა — მათ შორის წახურისა და მუხადურის, —რ. სახელებს (იხ. ნიმუშები), რომ ძნელდება მათი ერთიანობის დადგენა. სულ სხვაგვარად იწარმოება „ასის“ სახელი ბუღუხურსა და ჯეკურ=კრიწულში, ამ რიცხვის აღმნიშვნელი და ერთმანეთის იდენტური ან წარდი აბსტრაქტული ფუძე, დამოწმებული ყველა სხვა თვისტომ ენაში, ბუღუხურ=ჯეკურ=კრიწულში შეცვლილია კონკრეტულ რიცხვთა სახელების კომბინაციით წარმოქმნილ=წარმოებული სიტყვით: ჭუ=კად<- ჭუღ=კად <- ჰუჰუღ=კად („ხუთ=ჯერ=ოცი“) — შდრ. „ხუთისა“ და „ოცის“ ზემოთ დასახელებული სახელები.

ვ) როგორც ითქვამს, აღნიშნული სახელები, გარდა ერთი გამონაკლისისა, რიცხვთა ცნებას გამოსატყვევებ აბსტრაქტულად, იწარმოებიან=რა თავთავისი პოსტულატი ფუძე=ძირიდან და არა კონკრეტული რიცხვებისა თუ ციფრების აღმნიშვნელ სახელთა კომბინაციით — სახელდობრ: „ერთი“ + „ორის“ კომბინაციით „სამის“, „სამი“ + „ორის“, ან „ორი+სამის“ კომბინაციით „ხუთის“, „ორი + „ორისა“ და „ერთი“ + „ხუთის“ კომბინაციით „ოთხისა“ და „ექვსის“, ან კიდევ „ორჯერ ათის“ აღებით „ოცის“ სახელთა კომბინაციით, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია უმართებულოდ განმარტებული (იხ. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი, 1937, გვ. 362 - 373...).

ზ) რიცხვითი სახელების — „ორის“ და „ოცის“ საყრდენი ფუძისა თუ ძირის თითქოსდა ერთნაირი (!) ფონეტიკური შედგენილობის გამო გამოთქმულია მოსაზრება ამ სახელთა ისტორიულ=ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ: ამ მოსაზრებათა მიხედვით აღნიშნულ რ. სახელთა ძირები, სახელდობრ, ჟ

1. იგულისხმება ბუღუხურსა და ჯეკურ=კრიწულში „ხუთის“ და „ოცის“ სახელების კომპოზიციით წარმოქმნილი „ასის“ სახელი (იხ. ზემ.).

(ოცისა) და ყ, ყწი („ორისა“) ავლენენ ფონეტიკურ ერთიანობას, ხოლო ეტიმოლოგიურად დაიყვანებიან „ორის“ მნიშვნელობამდე (ივ. ჯავახიშვილი -- 1937, გვ. 362-373...). მაგრამ წახურ=მუხადურსა და თვისტომ ენებში არსებული ფონეტიკური ფარდობის კანონზომიერება საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ „ორის“ და „ოცის“ სახელთა ძირისეული ელემენტები თვისებრივად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და, მაშასადამე, შეიძლება არ იყოს გასაზიარებელი მათი თავდაპირველი კავშირის (ეტიმონის იგივეობის) შესახებ გამოთქმული მოსაზრება. საბუთი: 1) წახურ=მუხადურისა და ლეზგიური ჯგუფის თითქმის ყველა სხვა ენაში „ორის“ სახელის ძირია ყწი (ლაბიალიზებული ყ), ანდა ამის ფარდი (აგრეთვე ლაბიალიზებული) ქწი, კწი (->დელაბიალიზ. კზ), ან კიდევ: ყ-ყ-ყწი (იშვიათად), რასაც ამ ენათაგან უდიურში რეგულარულად ეფარდება ჰ-ყწი (განმარტებები და ნიმუშები იხ. ზემ.) - მაშინ, როცა ყველა ამ ენაში, მათ შორის უდიურშიც, „ოცის“ სახელის ძირად გამოიყოფა ყ (არალაბიალიზებული ყ) და ამის ფარდი (აგრეთვე არალაბიალიზებული) ფარინგ. მულ. ყ, ამავე რიგის მყოვარი (ინტენს.) ქჟ და „მარტივი“ ქ (იხ. ზემ. ნიმუშები). მაშასადამე, ბგერათრეფლექსები და ბგერათფარდობა „ორის“ და „ოცის“ სახელში სხვადასხვაა, რაც ცხადს ჰყოფს ამ სახელთა ძირისეული ფონემის სადიფერენციაციო ნიშნებს — მათს (ყწი და ყ... თანხმოვანთა) თვისებრივ სხვაობას. ყწი და ყ რომ სხვადასხვა ფონემაა, ეს მოწმდება მათი რელევანტურობითაც: შდრ., ყწაზბ („ორი“) — ყაზბ („აკვანი“)^I...

I. ხოლო თუ ზოგ ენაში აშ („ოცის“) სახელის ძირი ლაბიალიზებული თანხმოვანია, იგი უნდა მივიჩნიოთ ანალოგიის გზით განვითარებულად-ისევე, როგორც ეს ხდება ნასესნებ სიტყვებში: შდრ., ძავალ., ყწაზ-ყაზ, ბატი! სწაზ-საზ „სიმი მუსიკ. საკრავისა“ (წახ. = მუხად.)...

2) თუ „ოცის“ (ყა, ყად, კად...) სახელს ამჟამად გამარტივებულად მივიჩნევთ, ხოლო თავდაპირველად მას ბოლოში „ათის“ აღმნიშვნელი ძირის მქონებელი ფორმა უნდა დართვოდეს, თავში კი — „ორის“ აღმნიშვნელი ყა ან ყტი (ივ. ჯავახიშვილი, 1937, გვ. 362...), მაშინ ამ სახელს უნდა გამოეხატა „ორჯერ ათის“ ცნება და, მაგალითად, წახურში, მუხადურსა და უდიურში ჰქონოდა ასეთი კომპოზიცია: ყოზღაჟიწუღღ<- ყტიზღაჟიწუღღ->ყტიზღაჟიწუღღ, ანდა ასე: ყადაჟიწუღღ -> ყადაჟიწუზ->ყადაჟიწუ; პაზ (<- *ყტიზ) + ვიწუ, ანდა ყა+ვიწუ ->ყა+ვიწუ->ყა(აქედან ზოგი ასეთი ვარიანტი ივარაუდებთ კიდევ სამეცნ. ლიტერატურაში)-შდრ., „ორის“ და „ათის“ სახელი ამ ენებისა (იხ. ზემ.). ფონეტიკური გამარტივებისა და კონტამინაციის ამგვარი პროცესი არ მართლდება უწყებულ ენათა ფონეტიკური შესაძლებლობებით, რადგანაც „ათის“ სახელის ძირეული ფონემა წუ (ინტენს.წუ.) და მისი აღტერნანტი წ(არაინტენს.) არც ერთ პოზიციაში და ბგერათვარემოცვაში არ იკვეცება, გამძლეა, არ დაცივანება ნულამდე (შდრ., „ათის“ სახელი: ჟუწუ=, ვიწუ... — იხ. ზევ.). მაშასადამე, „ოცის“ ამჟამინდელი „ყა“, „ყად“ სახელში მონაწილედ „ათის“ აღმნიშვნელ (წუ->წუ ძირიან) სახელსაც ვერ მივიჩნევთ; ესეც თავის მხრივ იმის საბუთია, რომ ამ („ოცის“) სახელის ეტიმოლოგიური ძიება ვერ დაუკავშირდება „ორჯერ ათის“ ცნებას. სხვანაირად: „ოცის“ სახელის ფუძე „ორის“ და „ათის“ სახელთა ფუძისაგან დამოუკიდებელი (და „მარტივი“) აგებულებისაა; თავდაპირველადვე ამ რიცხვის („20“=ის) ცნება განყენებულად აისახა სულ სხვა ფონემური შედგენილობის ფუძით; მისი ეტიმონი ვერ დაიკვანება „ორისა“ და „ათის“ კომბინაციით წარმოქმნილ „ორჯერ ათის“ მნიშვნელობამდე.

ჩამოთვლილ რ. სახელთა ურთიერთშედარება, ზოგი მათგანის რეკონსტრუქცია და ეტიმოლოგიური ძიება სარწმუნოს ხდის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ორი ენის — წახურისა და მუხადურის რ. სახელთა ფუძე=

ფორმის ხშირ დამთხვევას და, მაშასადამე, ამ მხრივაც ცხადი ხდება მათი დიდი სიახლოვე, ერთიანობა.

რ თ უ ლ ფ უ ძ ი ა ნ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი
ს ა ხ ე ლ ე ბ ი (წახურში, მუხადურში)

რიცხვით სახელთა ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან „თერთმეტიდან“ მოყოლებული „ცხრამეტამდე“ და „ოცდაერთიდან“ ზევით - „ოთხმოცდაცხრამეტამდე“, აგრეთვე „ორასის“, „სამასის“, „ოთხასის“, „ხუთასის“, „ექვსასის“, „შვიდასის“, „რვაასის“, „ცხრასისა“ და რთული რიცხვის გამომხატველი სხვა სახელები.

რთულფუძიანი რიცხვითი სახელების კომპოზიცია ასეთია: 1) „ათის“ სახელი (ფუძე) + ამა თუ იმ ერთეულის გამომხატველი სახელი. ამ წესით წარმოიქმნებიან „თერთმეტიდან“ „ცხრამეტამდე“ რიცხვის სახელები:

ა) წახ.: აიწჯ + სა=დ (11), აიწჯ + ყტიაჲ=დ (12), აიწჯ=ხ~ება=დ (13)...

ბ) მუხად.: წჯ=სა (11), წჯ=ყვეჲ=დ (12), წჯ=ხ~ი-ბჯ=დ (13)... 2) „ოცის“ სახელი (ფუძე) + ერთეულთა აღმნიშვნელი სახელი. ამ წესით წარმოიქმნებიან რ. სახელები „ოცდაერთიდან“ — „ოცდაცხრამდე“:

ა) წახ.: ყაა+სა=(21), ყაა+ყტიაჲ=დ(22) ყაა=ხ~ება=ა=დ (23)...

ბ) მუხად.: ყანნა+სა (21), ყანნა+ყვეჲ=დ(22), ყანნა+ხ~იბჯ=დ (23)...

ვ) ერთეულ რიცხვთა სახელი + „ათისა“. ამ წესით წარმოიქმნება მრგვალი რიცხვების — ათეულების (30, 40, 50, 60, 70, 80, 90-ის) გამომხატველი ყველა სახელი; მაგალ.:

ა) წახ.: ხ~ება+წალ (30), აოყ+წალ (40), ჰჷჷა+წალ||-> ჰჷჷო+წალ (50), აიჰჷჷ+წალ||აიჰჷჷ+წალ (60), აილ+წალ(70), მოლ+წალ (80), აუჰ+წალ (90);

ბ) მუხად.: ხიბ+წჯრ (30), აოლ+წჯრ (40), ჰჷჷლ+

წერს— \rightarrow ქულა + წერ (50), რეჰს+წერ (60), დი+წერ || დიდ+წერ (70), მგა+წერ (80), ვუჭ=წერს— \rightarrow ვუჭ=ურ (90).

4) რომელიმე ერთეულის სახელი „ასისა“, ამ წყე-ბას მიეკუთვნებიან ასეულების (200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900) გამომხატველი სახელები: მაგალ.:

ა) წახ.: ყრუხდა+გაშ (200), ხ[~]ებულდა+გაშ (300), მოყულდა+გაშ (400)...

ბ) მუხად.: ყვეხდა+გეშ (200), ხ[~]იბულდა+გეშ (300), მოყულდა+გეშ (400)...

5) „ათეულების“ გამომხ. რ. სახელი (იხ. ზევ. მე-3 მუხლი) + „ერთეულისა“ წარმოქმნის რთულ რიცხვით სახელებს, რომლებიც გამომხატავენ ცნებებს „ოცდათერთმეტიდან“ - „ოცდაცხრამეტამდე“, „ორმოცდაერთიდან“ -- „ორმოცდაცხრამდე“, „ორმოცდათერთმეტიდან“, „ორმოცდაცხრამეტამდე“, „სამოცდაერთიდან“ - „სამოცდაცხრამდე“, „სამოცდათერთმეტიდან“ - „სამოცდაცხრამეტამდე“; „ოთხმოცდაერთიდან“ - „ოთხმოცდაცხრამდე“ და „ოთხმოცდათერთმეტიდან“ - „ოთხმოცდაცხრამეტამდე“; მაგალ.:

ა) წახ.: ხ[~]ებ=წალა+სა (31) ...; მოყ=წალა+სა (41) ...

ბ) მუხად.: ხიბ+წენა+სა (31) ...; მოლ=წენა+სა (41) ...

6) „ასეულთა“ შუალედური რთული რიცხვითი სახელები იწარმოებიან ასე: ასეულის გამომხატველი სახელის ფუძე+ერთეულის, ათეულის ან ამათგან ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით წარმოქმნილი რომელიმე რ. სახელი; მაგალ.:

ა) წახ.: ვაშ+სა (101) ...; ვაშ + დიწილა (110) ...; ვაშ+ ყალა (120) ...

ბ) მუხად.: ვეშ=ნა+სა (101) ...; ვეშ=ნა+დიჯწლ||ვეშ--ნაწჯლ (110) ...; ვეშ=ნა+ყად (120) ...; ვეშ=ნა+ხიბწჯლ (130) ...

აგებულების მიხედვით ამ რთულ რიცხვით სახელთა კომპონენტების დახასიათება ასეთი იქნება:

1) პირველი შემადგენელი ნაწილია:

ა) ფუძე=ძირი, მაგ.: მუხად. წე=სად (11), წე=
 ყვად (12)...; ბ) დაბოლოების მხრივ გამარტივებული
 ფუძე; მაგ., წახ. აიწუჯ=სად (11), აიწუჯ=ყუასად (12)...
 ყაა=სად (21), ყაა=ყუასად (22)... ხუბ=წალ (30), ააყ
 =წალ (40)...; მუხად.: ხუბ=წერ (30), ააღ=წერ (40)...
 გ) ძირ=მოშლილი და ფორმანტამდე დაყვანილი „ფუძე“
 (რომელიც რთული რ. სახელის მეორე შემადგენელ ნაწილს
 ერწყმის კონტამინაციის გზით), მაგალ., მუხად.: აწ=
 წერ||აი=წერ (რუთ.) || აჯე=წერ (შინ, ხინატი)← აიღ=
 წერ (მუხრეკ., იხრეკ., ბორჩ.). დ) სრულად წარმოდგე-
 ნილი ფუძე, მაგალ.: მუხად. ჰხუღ=წერ ||→ ჭუღ=წერ
 (50), ყვეხღ=ვეშ (200), ხუბუღ=ვეშ (300)... წახ.
 ყუასად=ვეშ (200), აუყუღ=ვეშ (400)... ე) ბოლოკიდუ-
 რი =ნად ელემენტით გართულებული რ.სახელი; მაგ., მუ-
 ხად. ყან=ნა+სა (21), ყან=ნა+ყვეხღ (22)...ვეშ=ნა
 +სა (101), ვეშ=ნა+ყად (120)... ყანნა||→ ყანა
 მეორეული ვარიანტი, მიღებული ასიმილაციისა და გე-
 მინაციის გზით: ყანა←ყან=ნა←ყად=ნა (შდრ. წად||
 ყად „ოცი“, შდრ. ვეშ=ნა...). ეს =ნად ელემენტი შე-
 ნიშნული აქვს ა. დირსაც, თუმცა მისი დახასიათება
 არ მოუცია მას; ერთგან სრულიად გაუგებრად დასძენს
 ასე: „დაბალი რიცხვები მიერთვიან მადლებს, „=ნად“-ს
 მოშველიებით („რუთ. ენა“, გვ. 49). დასახელებული
 =ნად არ არის დიდად გავრცელებული მუხადურში; წახურ-
 ში კი, როგორც იტყვიან, იგი პროდუქტული სუფიქსია:
 გამოიყენება ზედსართავ სახელში, ნაცვალსახელში,
 მიმღეობაში და სხვა შდრ., მაგ., შე=ნად (წახ.), თი=
 ნად (მუხად.) „ის“ (იხ. ქვევ. „ნაცვალსახელი“); შდრ.
 აგრეთვე წახ.: აუგ=ნად || აუგ=ღად „კარგი“, აიზ=ნად ||
 აიშ=ღად „ჩემი“, ჰაყან=ნად „მკეთებელი (ვინც აკეთ-
 თებს)“; ჰაყან=ნად || ჰაყან=ღად „გამკეთებელი (ვინც
 გააკეთებს)“... (- იხ. ზევ., „ზედსართავი სახელი“.
 იხ. ქვევ. „მიმღეობა“).

2) რთულ რიცხვით სახელთა მეორე შემადგენელ ნაწილად გამოიყენება: ა) სრულად წარმოდგენილი ფუძე=ფორმა, მაგ., წახ. აიწ = სად (11), აიწ=ყბაზდ (12)... ყბაზდ=ვაშ (200)...; მუხად. წე=ყვეზდ(12), წე=ბ~იბედ (13)... ბ) დაბოლოების მხრივ გამარტივებულ ფუძე; მაგ.: მუხად. წე=სა (11), ყანა=სა (21)..; წახ. ხ~ებ=წალ(30)... გ) ძირ=მომშლილი და ზოგჯერ ფორმანტამდე დაყვანილი „ფუძე“, რომელიც პირველ შემადგენელ ნაწილს ერწყმის კონტამინაციის გზით; მაგ.: წახ. აწჷწალ <- აწჷწალ (90); მუხად. აწჷწურ||ეუ=წურ <- ეუწჷ=ჯრ <- || ეუწჷ=წურ (90).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ რ. სახელთა როგორც პირველი, ისე მეორე შემადგენელი ნაწილის ხასიათის მხრივ წახურშიც და მუხადურშიც სიჭრელეა: ზოგი რთული რიცხვითი სახელის ორივე შემადგენელი ნაწილი წარმოდგენილია სრულად (იგულისხმება „ყბაზდ=ეეშ“, „ყანა=ყვეზდ“ და მისთ.), ზოგისა კი ორივე კომპონენტი გამარტივებული, ანდა — ერთ=ერთი მაინც; იგულისხმება, კერძოდ, „წე=სა“, „წე=ყვეზდ“, „ხ~ებ=წალ“, „ხ~იბ=წურ“ და მისთ. ამ უკანასკნელთა ადრინდელი სახე შეიძლება აღვადგინოთ ასე: წე=სა<-წედ=სა<-აიწედ=სა <-აიწედ=სად (11); წე=ყვეზდ<- წედ=ყვეზდ<-აიწედ=ყვეზდ (12); ხ~ებ=წალ <- ხ~ებედ=წალ <- ხ~ებედ=აიწედ=წალ<-ხ~ებედ=აიწედ=წალ (30)... ასევე უნდა იყოს რეკონსტრუირებული ამ ტიპის სხვა სახელთა ფუძე=ფორმებიც.

რთულ რიცხვით სახელებში ნაირგვარობა, სიჭრელე, შეიმჩნევა აგრეთვე შემადგენელ ფუძეთა ერთმანეთთან დაკავშირების ხერხშიც: ზოგჯერ ასეთი ფუძეები მაკავშირებელი ელემენტის გარეშე, უშუალოდ, ერწყმიან ერთმანეთს; მაგალ. ხ~ებ=წალ (წახ.), ხ~იბ=წურ (მუხად.) და მისთ., ზოგჯერ კი გართულებულნი არიან ამა თუ იმ შემაერთებელი ელემენტით; კერძოდ:

$=\underline{2}=\overset{1}{\text{ნა}}, \overset{2}{\text{ნა}}=\underline{2}=\overset{3}{\text{ნა}}=\|\text{ნა}\rightarrow\text{ნა}^4$ „ჩანართები“
 მაგ., წახ.: ვეშ $\underline{2}$ სა || ვეშ $\underline{2}$ სა (101)...; ყა $\underline{2}$ ი $\underline{2}$ სად
 (21), ყა $\underline{2}$ ი $\underline{2}$ ყოხდ (22)...; ყა $\underline{2}$ ზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$ სა $\underline{2}$ ი (1001),
 ყა $\underline{2}$ ზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$ ბ $\underline{2}$ ელ $\underline{2}$ (1003)...; მუხად.: ყა $\underline{2}$ ნა $\underline{2}$ სა <-
 ყა $\underline{2}$ დ $\underline{2}$ სა (21), ვეშ $\underline{2}$ ნა $\underline{2}$ სა || ვეშ $\underline{2}$ ნა $\underline{2}$ სა (101)...
 მაკავშირებელი $\underline{2}$ ელემენტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს
 გამარტივებულ, თანხმობისამოცილებულ, ნა ნაწილაკად.
 ისე რომ, წახური და მუხადური ამ მხრივაც ავლენს ერთ
 თიანობას. $\underline{2}$ და $\underline{2}$ (22) ელემენტთა ურთიერთდაკავშირე-
 ბაც შეიძლება. $\underline{2}$ || $\underline{2}$ რომ მატერიალური კავშირია,
 მოწმდება სხვა მაგალითებითაც: ზ $\underline{2}$ $\underline{2}$ ლუ || ზ $\underline{2}$ $\underline{2}$ ლუ
 „მე და შენ“ (იხ. ქვემ. „უფორმო“ სიტყვები). განზე
 რჩება $\underline{2}$ ში მონაწილე $\underline{2}$ ელემენტი, რომელიც შეიძ-
 ლება იყოს რთულ რ. სახელთა მეორე კომპონენტის თავ-
 კიდური ელემენტი და არა ამ მაკავშ. მატერიალურ ნა-
 წილაკში შემავალი ელემენტი. ისე, რომ ამ შემთხვევაშიც
 მაკავშირებელ ელემენტად რჩება მხოლოდ, $\underline{2}$ ფარდი $\underline{2}$.
 და თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ $\underline{2}$ დიფონგის
 შემცველმა რ. სახელებმა შემოუნახეს სწორედ „ერთის“,
 „ორის“, „სამის“, „ხუთის“ და „ოცის“ სახელებს გრ.
 კლასის თავსართები, რაც ცალკე, რთულ რ. სახელთა
 კომპოზიციის გარეშე, ამჟამად, აღარა აქვთ მათ, აკ-
 ლიათ (ზოგი შენ. იხ. ზემ.). ამას თუ სარწმუნოდ მი-
 ვიჩნევთ, აღნიშნული რ. სახელების ადრინდელი აგებუ-
 ლება შეიძლება ეგრე წარმოვიდგინოთ: ააზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$ სა<-
 *ააზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$ ისა (1001) — *აისაა („ერთი“) ააზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$
 ყოხლა <- *ააზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$ იყოხდ $\underline{2}$ ლა (1002) — *აიყოხდ $\underline{2}$
 („ორი“), ააზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$ ა $\underline{2}$ ხოლ $\underline{2}$ <- *ააზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$ ი $\underline{2}$ ხოლ $\underline{2}$
 (1005) — *აი $\underline{2}$ ხოლ $\underline{2}$ („ხუთი“), ააზერ $\underline{2}$ ა $\underline{2}$ ყა $\underline{2}$ ლ $\underline{2}$ <-

-
1. „საერთო წახური“ ელემენტი
 2. წახური ენის გილმიწურ კილოში.
 3. გილმიწურში.
 4. მუხადურში (იხ. ზევ. შენ.).

*ააზერ=გ=აიყადლჷ (1020) — *აიყად („ოცი“).

ზემოთაცაა აღნიშნული, რომ წახურზე მოლაპარაკე აულ გილმიწის მეტყველებისათვის დამახასიათებელია არქაიზმები და, მაშასადამე, ბუნებრივი იქნებოდა რიცხვით სახელთა ადრინდელი სახეც სწორედ აქ ყოფილიყო შემონახული; აღნიშნულ რთულ რ.სახელებში ნაგარაუდები (აღდგენილი) ვარიანტები ამისი ანარეკლები უნდა იყოს. მაშასადამე, ამ ვარაუდის მიხედვით გილმიწურ კილოში მაკავშირებულ ელემენტად მიჩნეული =გჷ= ორ ნაწილად უნდა დავშალოთ: გ + ჯ, რომელთაგან პირველი (გ) უნდა მივიჩნიოთ ღჷს სინონიმური მნიშვნელობის ნაწილადკად, ხოლო მეორე (ჯ) — რთული ფუძის მეორე კომპონენტის თავკიდურ (პრეფიქსულ) ელემენტად.

გილმიწურ კილოში შეიმჩნევა კიდევ ერთი ასეთი თავისებურება: წახურზე მოლაპარაკე სხვა აულთა მეტყველებისაგან და მუხადური ენისაგან განსხვავებით ზოგ გილმიწურ რთულ რიცხვით სახელს ბოლოში მოუდის =ღ (ფაკულტატურად გამოიყენება); ააზერ=გ=ა(ო)ყოზლჷ (1002), ააზერ=გ=ა=ზ~ებგლჷა (1003) და ა.შ. ამ ბოლოკიდური (=ღ) ელემენტის დანიშნულება მთლად ნათელი არ არის: იგი ან პარაზიტული, უფუნქციო, ბგერითი შენაზარდია, ანდა — ფუნქციამოშლილი ფორმანტი.

შემადგენელ ნაწილთა თანმიმდევრობის, წყობის, თვალსაზრისით რთული აგებულების სახელთაგან ყურადღებას იქცევენ ა) „თერთმეტიდან“ „ცხრამეტამდე“ და ბ) ათეულების გამომხატველი სახელები. ორივე ჯგუფის ყველა სახელი (წახურშიც, მუხადურშიც) იწარმოება „ათის“ მონაწილეობით (იხ. ზევ.), ოღონდ პირველ შემთხვევაში „ათის“ სახელი (ფუძე) წინ უსწრებს 1=დან 9=მდე ერთეულის გამომხატველ სახელს, ხოლო მეორე შემთხვევაში „ფოკუსი“, კონფიგურაცია, იცვლება: პირველ ადგილას ანა ერთეულის (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9-ის) სახელი, „ათისა“ კი მოსდევს მას; სახელდობრ,

ასე: ¹ ა) წახ.: მიწვ+სად „11“ = ათი+ერთი; მიწვ +
 ყბიასდ „12“ = ათი+ორი; მიწვ+ ხ~ბად „13“ = ათი+
 სამი; მიწვ = მოყბად „14“ = ათი+ოთხი; მიწვ+ჰბუბად
 „15“ = ათი+ხუთი; მიწვ + მიჰბად „16“ = ათი+ექვსი;
 მიწვ + მიღვად „17“ = ათი+შვიდი; მიწვ+მოლვად „18“ =
 ათი+რვა; მიწვ+აჟვად „19“ = ათი+ცხრა. ასევე — მუ-
 ხად.: წვ+სა (11); წვ+ყვეხად (12); წვ+ხ~იბვად (13);
 წვ+აჟყვად (14); წვ+ჰბუდ || წვ+ჟვად (15); წვ+რვჰვად
 (16); წი+აჟვვად (17); წვ+მვჟვად (18); წვ+ჰვჰვად (19).
 ბ) წახ.: ხ~ებ+წად „30“ = სამი+ათი; მოყწ+წად „40“
 = ოთხი+ათი; ჰბუბ+წად „50“ = ხუთი+ათი; მიჰვ+წად
 „60“ = ექვსი+ათი; მიღ+წად „70“ = შვიდი+ათი; მოლ~“ი²
 +წად „80“ = რვა+ათი; აჟვვად <- || აჟვჰვად <- აჟვჟვად
 „90“ = ცხრა+ათი.

ასევე — მუხად.: ხ~იბ+წვად (30), მოღ+წვად (40),
 ჰბუდ+წვად || ჟვად+წვად (50), რვჰვად+წვად (60), მიღ+წვად ||
 მიღ+წვად (70),² მვჟვად+წვად (80).

თავიდათავი, რითაც ყურადღებას იმყრობენ ამ „ა“
 და „ბ“ ჯგუფში თავმოყრილი რიცხვითი სახელები, ესაა
 თანმიმდევრობა, რიგი „ათისა“ და ერთეულთა ცნების
 გამომხატველი სახელებისა. 11-19 რიცხვთა სახელებში
 „ათი“ უსწრებს წინ, ხოლო მრგვალ რიცხვთა (ათეულების)
 გამომხატველ სახელებში პირიქით — იგი („ათი“) მოს-
 დევს ერთეულთა გამომხატველებს. როგორც ჩანს, რთული
 რიცხვითი სახელების ამგვარ კომპოზიციით აისახა

-
1. სიმოკლისთვის ნიმუშად დასახელებულია მხოლოდ IV
 გრ. კლასის გამომხატველი რ. სახელი. ამასთან: წა-
 ხურის ხაზით — აულ წახურის მეტყველების მიხედ-
 ვით, ხოლო მუხადურისა — აულ რუთულის მეტყველე-
 ბის მიხედვით. ამ ორი სექტორის სხვა აულთა მეტყ-
 ველებში, გარდა ფონეტიკურისა, სხვაობა არ არის.
 2. „სამოცდაათის“ სახელის პარალელური ვარიანტი და-
 ცულია აულების — მუხრეკის, იხრეკისა და ბორჩის
 მეტყველებაში.

რიცხვთა ადრინდელი ცნება: ათი+ერთი, ათი+ორი, ათი+სამი და ა.შ. ქმნიდა ათზე ერთით, ორით, სამით... მეტი (11, 12, 13 ...) რიცხვის წარმოდგენას; ხოლო სამი+ათი, ოთხი+ათი, ხუთი+ათი და ა.შ. რიცხვთა კომბინაცია შესაძლებელს ხდიდა „სამჯერ ათის (30)“, „ოთხჯერ ათის (40)“, „ხუთჯერ ათის (50)“ და სხვა მრავალი რიცხვების (ათეულების) გაგებას. საფიქრებელია, რომ ამ სახელებში შემონახულია მოვლენათა აღქმა=გააზრებების იმდროინდელი წესები, როდესაც სიტყვებს სიგნიფიკატიური ფუნქცია ენიჭებოდათ მათი გამოყენების ადგილის, რიგის მიხედვით.

აქ დასახელებული ორივე რიგის რიცხვითი სახელები თვისტომი ენების — ალულურის, ლეზგიურისა და უდიურის — რ. სახელებს რომ შეეფუდართ, ასეთი სურათი გვექნება: წახურისა და მუხადურის ზიარი მდგომარეობა ყველაზე უფრო უახლოვდება ალულურს; რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა ლეზგიურში; უდიური უფრო დაშორდა მათ. შდრ. 1) ალულური რიცხვითი სახელები: ა) „11“=დან „19“=მდე: წე=სად (11), წე=ყად (12), წე=ხიბულ (13), წე=აყულ (14), წე=იჭად (15); წე=ეჭა-ხილ (16), წე=ეჩილ („17“), წე=მუჟად („18“), წერჩილ („19“). ბ) ათეულების აღმნიშვნელები: ხიტიწურ („30“), ჯალწურ („40“), იჭაწარ („50“), ჯეხწურ („60“); ჯარწურ („70“); მაჟაწურ („80“), ჯარწარ (?) („90“); ხიტიწურნა=სად „31“= „სამი+ათი+ერთი“ იჭაწარნა=სად „51“=ხუთი+ათი+ერთი“... 2) ლეზგიური რიცხვითი სახელები: ა) „11“=დან „19“=მდე: წუ=სად (11); წი=ყიედ (12), წი=პულ (13), წუ=ყულ (14), წუ=ჟად (15), წუ=რულედ (16), წე=ჩილ (17), წე=მუჟედ (18), წე=კულ (19). ბ) „ათეულების“ აღმნიშვნელები: ყანნიწულ „30“=ოცი+ათი, ჯახწურ „40“=ოთხი+ათი+ათი; ფუთ=კად „60“=სამი+ოცი; ფუთკანნიწულ „70“=სამი+ოცი

+ათი, ყუღაპად „80“=ოთხი+ოცი, ყუღაპანნი=წუღ „90“
 = ოთხი+ოცი+ათი, ყანნი=წუღსად „31“, =ოცი+თერთმეტი,
 ფუტანნი+წუღსად „71“=სამოცი+თერთმეტი...¹ (პ.უსლა-
 რი, 1896, გვ. 83-86...). 3) უდიურ რიცხვითი სახე-
 ლები: ა) „11“¹-დან „19“- მდე: სა=წუღ („11“)=ერთი
 +ათი, პა=წუღ („12“)=ორი+ათი, ხიპ=ე=წუღ („13“)=
 სამი+ათი, ბიპ=ე=წუღ („14“)= ოთხი+ათი, კო=წუღ
 („15“)=ხუთი+ათი, უჰე=ე=წუღ („16“)=ექვსი+ათი,
 ვუხლ=ე=წუღ („17“)=შვიდი+ათი, მულ=ე=წუღ („18“)=
 რვა+ათი, ვუჰ=ე=წუღ („19“)=ცხრა+ათი.² ბ) მრგვალი
 რიცხვების (ათეულების) აღმნიშვნელები: სა=ყო+ვიწ
 „30“=ერთი+ოცი+ათი, პაჰ=ყოჰ („40“)=ორი+ოცი, პაჰ=
 ყო + ვიწ („50“)=ორი+ოცი+ათი, ხიპ=ყოჰ („60“)=სა-
 მი +ოცი, ხიპ=ყოჰ=ვიწ („70“)=სამ+ოცი+ათი, ბიპ=ყოჰ
 („80“)=ოთხი+ოცი, ბიპყოჰ=ვიწ („90“)=ოთხი+ოცი+
 ათი; საყო=საწუღ („31“) =ერთი+ოცი+თერთმეტი, პაჰ-
 ყოჰ=საწუღ („51“) = ორმოცი+თერთმეტი...

ჩამოთვლილი რ. სახელები გვიჩვენებენ, რომ ალუ-
 ლურისთვის დამახასიათებელია თვლის ათეულებრივი სის-
 ტემა და რიცხვითი სახელების კომპოზიციაც ამისი ფარ-
 დია. ა. დირი (1907) აღნიშნავს: „რთულ რიცხვით სა-
 ხელთა წარმოების მხრივ ალულური მისდევს ბუნებრივ
 წესს: 21-დან დაწყებული ერთეულები ემატებიან ათეუ-
 ლებს და ნაწილაკის მეშვეობით.“³ ლეზგიურში თვლის

-
1. ალულური რ. სახელები ჩამოთვლილია ა. დირის ცნო-
 ბების (1905), მიხედვით, ხოლო ლეზგიურისა — პ.
 უსლარის მიხედვით (1896, გვ. 85, 86...).
 2. ეს უდიური რ. სახელები საინტერესონი არიან ერ-
 თეულ=ათეულ რიცხვთა გამომხატველ ფუძეებს შორის
 გაქვეყნებული =ე ხმოვნის მქონეობითაც. წახურის
 გილმიწურ კილოს მსგავსად ეს „ჩანართი“ უნდა გა-
 გებულ იქნეს ორგვარად: მას ან კავშირის ფუნქცია
 მქონდა (შდრ. წახ. resp. გილმიწ. ილუ „ჩანართი“
 - იხ. ზევ.), ან არა=და, იგი ნაშთია „ათის“ აღმ-
 ნიშნელი მომდევნო =წუღ ნაწილისა: =ე=წუღ <-მე
 =წუღ <-ვიწუღ (შდრ. თანამედრ. უღ. ვიწ „ათი“).

შერეული — ათეულ-აუციულებრივი სისტემაა და რთულ რიცხვით სახელთა კომპოზიციაც ნარევე (ხან „ათისა“ და ხან „ოცის“ გამოყენების) წესს ემყარება. ზემოთ უდიუ-რი ნიმუშები ვართაშნულ-აქტომბრული კილოს მიხედვითაა დასახელებული. ამ ენის მეორე კილოში — ნიჯურში რამ-დენადმე განსხვავებული მდგომარეობაა: აქ ვართაშნუ-ლისთვის დამახასიათებელი თვლის ათეულებრივ-აუციულებ-რივი სისტემა განსაზღვრულ შემთხვევაში შეცვლილია ათეულბრივით; ეს ეხება, სახელდობრ, ათეულთა (30, 40, 50, 60, 70, 80, 90-ის) სახელებს: ხიბ=ვიწ (30) =სა ჰი+ათი; ბიპ=ვიწ (40) =ოთხიჩათი, ჯო=ვიწ (50) =ხუთიჩათი, უხჷ=ვიწ (60) =ექვსიჩათი, ვუხლ=ვიწ (70) = შვიდიჩათი, მულ=ვიწ (80) =რვაჩათი, ვუჲ=ვიწ (90) =ცხრაჩათი.

თვისტომ ენებთან შედარება გვარწმუნებს, რომ ჩამოთვლილ რ. სახელთა წარმოქმნა-კომპოზიციისა და თვლის სისტემის მხრივ წახურსა და მუხადურს შორის სხვაობა მცირეა, თითქმის არ სცილდება დიალექტთა „ნორმებს“.

რიგობითი რიცხვითი სახელი

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით

1. ეს ცნობები ეყრდნობა ადრე ფიქსირებულ მასალას; ამჟამად ეს რ. სახელები შეცვლილია თურქულ-აზერ-ბაიჯანულით: იგირმი (20“), ოთუზ („30“), ყჯრხ („40“) ზლი („50“), ალთმიშ („60“), აეთმიშ („70“), საქსან („30“), დოხსან („90“). ამ უდიურ რიცხვით სახელებ-თან დაკავშირებით პროფ. ვლ. ფანჩვიძე აღნიშნავს: „ნიჯურში უდიურის ბუნებრივი სისტემა დარღვეულია: 1) ზოგ შემთხვევაში აზერბაიჯანულიდან ნასესხები რ. სახელები: ოთუზ, ყჯრხ... 2) ზოგ შემთხვევაში კი დასტურდება თვლის ათეულბრივი სისტემა: ხიბვიწ „სამათი“ (=40), ჯოვიწ „ხუთათი“ (=50) და ა. შ. ორი-ვე ეს წესი პარალელურად არის გავრცელებული და ადასტურებს აზერბაიჯანული ენის ძლიერ გავლენას უდიური ენის ნიჯურ კილოზე“ (1948; გვ. 371). ვ. გუ-კასიანი დასძენს, რომ ნიჯურში მრგვალ რიცხვთა (ათეულ.) სახელები აღარ იხმარება საერთოდ (1964).

რიცხვით სახელებთან (წახურში) - „ენ“, „ეს-სენ“, „ესჰან“, „ესნა“, „ესდა“, „ესჰა (ეს-სა?)“ სიტყვათაგან რომელიმეს, ხოლო მუხადურში „ჰუსტუ“ სიტყვის გამოყენებით. ეს ელემენტები, როგორც ამას ა. ღირიც აღნიშნავს (1911 — გვ. 50; 1913 — გვ. 54), წახურშიცა და მუხადურშიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება „თქმის“ აღმნიშვნელ ეჭი (წახ.), უჭუნ (მუხად.) ზმნას.¹

დასახელებულ მაწარმოებელთაგან ა) =ენ || =ან, რომელიც საწარმოებელ ფუძეს კონტამინაციის გზით ერწყმის, გამარტივების შედეგად მიღებული უნდა იყოს „ეჰან || —> ეჰენ“=ისაგან, რაც „მთქმელს“ ან „სათქმელს“ ნიშნავს. ბ) ესნა || ესენ აგრეთვე გამარტივებული და საწარმოებელ ფუძესთან კონტამინირებული ვარიანტია—მიღებული ეჰესნა <- ეჰანსნა || ეჰანსენ ფორმისაგან, რაც წარმოქმნილია ინფინიტივზე ნათეს. ბრუნვის =და, ანდა =ენ სუფიქსის დართვით: ეჰანს=ნა <- ეჰანს=ნა „მთქმელი“= („ვინც იტყვის“); ეჰანსენ („რაც იტყვის“), ან „სათქმელი“= („რასაც იტყვიან“). ესაა ვარიანტი ა. ღირს ესტა, ესდა=საგან მიღებულად მიაჩნია. ეს თავის-თავად შეუძლებელი არ არის,² მაგრამ წახურში რომ სდ->სტ კომპლექსს სს კომპლექსი მოეცეს, ამისი დამამოწმებელი სხვა მაგალითი არ მოიძებნება; ამიტომაც საფიქრებელია, რომ მიმღეობის გვერდით აქ „თქმა“ ზმნის სხვა ფორმა იყოს გამოყენებული. ასეთად შეიძლება ვიგულისხმოთ, კერძოდ, მყოფადის ზმნური ფორმა: ესჰა <- ეჰანსჰჰა <- *ეჰანსჰ =ჰა „თქმად არის“,

1. ოლონდ ა. ღირის მიერ ჩამოთვლილ ამ „მაწარმოებლებს“ დაზუსტება ესაჭიროება ფონეტიკურად.

2. მითუმეტესად, ესდა <- ეჰესდა <- ეჰანსდა ფორმაც არსებობს წახურში იმავე მყოფადის მიმღეობის მნიშვნელობით და გამოიყენება კიდევ რიგობითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად (ინ. ქვევ.).

ე.ი. „იტყვის“. ¹ მუხადური „უ²ჰუსტუ“ იმავე „თქმა“ ზმნის მიმღობის ფორმაა: ჰუსტუ || უჰუსტუ = ტუ < უჰუსტუ = დუ < უჰუსტუ = დუ „მთქმელი“, „სათქმელი“. ² როგორც ითქვამს, ეს სახელზმნური ფორმები დაერთვიან ამა თუ იმ რაოდენობით რიცხვით სახელს და აწარმოებენ რიგობით რ. სახელს. მაშასადამე, როგორც წახურში, ისე მუხადურში მოწმდება რიგობითი რიცხვითი სახელის ანა-ლიტიკური (ლექსიკური) წარმოება, სახელდობრ, ასე: „ერთი + მთქმელი (სათქმელი), ან „ერთს რომ იტყვიან“, resp. „ერთის თქმა რომ არის“, ანუ „პირველი“ და ა.შ. წახური მაგალითები და ზოგი შენიშვნა:

ა) სად=ესხან „პირველი“; ყოხდესხან „მეორე“; ხ²ებდესხან || -> ხ²ებტესხან, ანდა ხ²ებტან || > ხებტენ „მესამე“... ბ) მიწესად ესხან (როცა საზღვრული IV გრ. კლასს ეკუთვნის), ³ მიწესხარ ესხან (როცა საზღვრული I. ან 2. გრ. კლასს ეკუთვნის), ⁴ მიწესაბ ესხან (როცა საზღვრული 3. გრ. კლასს ეკუთვნის) ⁵ „მეთერთმეტე“; ასევე: ყადესხან (4. კლ.), ყაბესხან (3. კლ.), ყარესხან (1, 2 კლ.) „მეოცე“... გ) საყესან <-სა=ეჰჰსან (საზღვ. 4 კლ.), საყესან || საყესდა <-სა=ეჰჰსან || სა=ეჰჰსან (საზღვ. 3, 2. და 1. კლ.) || სადესან; სადესან, სადესდა (საზღვ. კლასის შესა-

1. =ჰა -> ა („არის“) მუშველი ზმნის ნაშთია, რომლის წინმდგომი ეჰჰსან ინფინიტივის ფორმაა, გამოყენებული მყოფადის საყრდენ ფუძედ (იხ. ქვევ. ზმნა: დრო = კილოთა წარმოება). „ს“, რომელიც ა. დირს მრჩობლი სთი(სს) აქვს გადმოცემული, მყოფარი (ინტენსიური) ნპირანტი უნდა იყოს.

2. იხ. ქვევ. სახელზმნური ფორმები: მიმღობა.

3. მაგალ., მიწესად=ესხან სინი „მეთერთმეტე კლასი“..

4. მაგალ., მიწესარ=ესხან იჩი, გადწ „მეთერთმეტე გოგო, ბიჭი“.

5. მაგ., მიწესაბ ბალქან, კუმკუმ „მეთერთმეტე ცხენი, ქვაბი“...

პამისად) „პირველი“, ყოველგნ || ყოველგნა -> ყოველგნ-
 ტა -> ყოველგნტა (აქაც, ქვემოთაც იმავე ეტიმოლოგიისა
 და ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით) „მეო-
 რე“, ხეებესგნ (საზღვრ. 4 კლ.), ხეებირწსნა || ხე-
 ბირწსდა -> ხეებირწსტა (საზღვრ. 3, 2, I კლ.) „მესა-
 მე“; აოყუდესგნ (საზღვრ. 4. კლ.), აოყუდესდა->აოყუდეს-
 ტა (საზღვრ. 3. კლ.), აოყურესტა (საზღვრ. I. 2.კლ.)
 „მეთხე“ და ა.შ. ამ რიგობით რიცხვით სახელებს
 ეწარმოებათ მრავლობითობის ფორმაც, თუკი გაიგებიან
 სუბსტანტივებად; მაგალ., საყესგმე <- საყესგმემგ<-
 საყესგნმგ <- „პირველი“, ყოველგმე <- ყოველგმემგ<-
 ყოველგნმგ <- „მეორე“, ხეებესგმე <- ხეებესგმემგ<-
 ხეებესგნმგ <- „მესამე“ და ა.შ.

ამ („გ“) მუხლით გათვალისწინებული ვარიანტი
 გვიჩვენებს, რომ წახური ისწრაფვის ანალიტიკური (ლექ-
 სიკური) ხერხი გარდაქმნას ორგანულ წარმოებად: გამარ-
 ტივებული და კონტამინაციით საწარმოებელ ფუძესთან
 შერწყმული სახელზმნური ფუძე=ფორმა თანდათან კარგავს
 პირვანდელ სახეს; მისი თავდაპირველი მნიშვნელობის
 ასეთად აღქმა თანდათან სუსტდება, — იმდენად, რომ
 დღეს რიგობითი რიცხვითი სახელის შედგენილობის პირ-
 ვანდელი გაგება უკვე ძიების საგანი ხდება. მუხბაღურ-
 ში კი ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით მარტივია და
 ნათელი. სა=ჰუსტუ <- სა=უჰუსტუ <- სა=უჰუსტუ <-
 სა=უჰუსტუ <- „პირველი“; ყზეხტუსტუ <- ყზეხდუსტუ
 ყზეხდუსტუ <- ყზეხდ=ჰუსტუ <- ყზეხდ=უჰუსტუ <- „მეორე“
 და ა.შ.

ა. დირიც (1911, 1913) დასძენს, რომ „თქმა“ ზმნის
 გამოყენებით რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოება და-
 ლესტნის ენებში ჩვეულებრივია; ოღონდ დაბეჯითებით არას
 ამბობს იმის შესახებ, თუ ამ ზმნის რომელი ფორმის გამო-
 ყენებით ხდება ეს.

„პირველის“ და მნიშვნელობით ამასთან დაკავშირე-

ბული ზმნიზედის („პირველად“, „ჯერ“, „უწინარეს“) აღსანიშნავად წახურში იხმარება აგრეთვე თურქულ=აზერბაიჯანულიდან ნასესხები ზეწლწმჯი II ზეწლიმჯი (ამაზე ა. ღირიც მიუთითებს. „წახ. ენა“, გვ. 64) და, რაც უფრო საყურადღებოა, ამ რიგობითი რიცხვითი სახელის მნიშვნელობით წახურში გავრცელებულია წეწინ II წეწინ სიტყვა (მაგ., წეწინ ქითაბ „პირველი წიგნი==საანბანო წიგნი“). რაც ეტიმოლოგიურად უკავშირდება „ახალი“, „წმინდას“, „სუფთას“ ცნებას;² შდრ. წახურსა და მუხადურში ამ მნიშვნელობით გავრცელებული ფუძე=ფორმები (გრ. კლასების მიხედვით): წახ. წე=რ=ნა (1. 2. კლ.), წე=პ=ნა (3. კლ.), წე=წ=ინ (4. კლ.); მუხად. წინ=ღე (ყველა კლას.) „ახალი“.³ ამავე ფუძით იწარმოება ზმნიზედაც: წეწა „პირველად“, „ჯერ“. ამ ფუძიდან ნაწარმოები „პირველის“ აღმნიშვნელი სიტყვაც იცვლება გრ. კლასების მიხედვით და მოუდის მრავლობითი რიცხვის ფორმანტი. ამ შემთხვევაში ესეც სუბსტანტივად გაიგება: წეწინ (საზღვრ. 4. კლ.), წებინა (საზღვრ. 3. კლ.), წერინა (საზღვრ. 2., 1. კლ.) „პირველი“ - წეღიმე <- წეღიმ=მე <- წეღინ=ბე (3., 4. კლ.), წებიმე <- წებიმ=მე <- წებინ=ბე (1., 2. კლ.) „პირველნი“.

-
1. შდრ. თურქ. ეფემალ „ჯერ“, „პირველად“; აზერბ. ზეწლინ-ჯი „პირველი“, „დაწყებითი“.
 2. შდრ. ნასესხები ქართ. სუფთა, სიფთა (‘დილის სიფთაზე’) და უდიური სუჭტა, „პირველად“ - სუჭტა=უნ II სუჭტა=უმჯი „პირველი“. - შდრ. აზერბ. სიჭთა, „პირველი (გასამრჯელო)“; „წამოწყება“; სპარს. საჭ „წმინდა“, „ანკარა“.
 3. შდრ. ქართ. წინ, უწინ, უწინარესი (შდრ. უწინარეს ყოვლისა=უპირველეს II პირველად ყოვლისა...)
წახურ=მუხადურ (და ქართულ) ენობრივ რელიებთან დაკავშირებით საინტერესოა (ტიპოლოგიურად) ინდოევროპულ ენებში არსებული ვითარება: აქ რიგობითი რიცხვითი სახელი „პირველი“ ნაწარმოებია ბერძნული ძირისაგან *πρῶτος, πρώτος, πρώτος*, - რაც ეტიმოლოგიურად უკავშირდება „წინა“-ს ცნებას (ა. მეიე, - 1938, გვ. 409-410).

როგორც რაოდენობითი, ისე რიგობითი რიცხვითი სა-
ელი მსაზღვრულად გამოყენების შემთხვევაში არ იცვ-
ის რიცხვისა და ბრუნვათა ფორმებს; იცვლება მხოლოდ
აზღვრულის კლასების მიხედვით. სხვა მსაზღვრელ სა-
ელთა მსგავსად რიცხვითი სახელები ფორმაცვალებადნი
ანდებიან, თუ გაიგებიან და იწარმოებიან სუბსტანტივად,
ამ შემთხვევაში ვლინდება გასუბსტანტივებულ ატრიბუ-
თულ სახელთა ბრუნების თავისებური ტიპი (შდრ. ა. დირი,
1911, გვ. 50; 1913, გვ. 54);

სხვა რიცხვითი სახელები

წახურსა და მუხადურს მოეპოვება აგრეთვე წილო-
ბითი, ჯერადი, განუსაზღვრელ რიცხვთა აღმნიშვნელი სა-
ხელები და სხვ.

წილობითი რიცხვითი სახელი წახურსა და მუხადურში.
ა. დირსაც აქვს აღნიშნული, რომ წილობითი რიცხვითი
სახელები იწარმოებიან რაოდენობით რ. სახელებისაგან--
ისე, რომ მრიცხველი სახელობით ბრუნვაშია დასმული, ხო-
ლო მნიშვნელი — ნათესაობითში. ამასთან „მნიშვნელის“
რიცხვითი სახელი ყოველთვის წინ უსწრებს „მრიცხველის“
გამომხატველს. მაგალ.: ჟყუნჩინა=სა „ოთხის ერთი“,
ანუ „ერთი=მეთხედი“, ღიჰუჯნჩინა=სა „ექვსის ერთი“,
ანუ „ერთი=მეექვსედი“; ხუბინჩინა=ყოფლად „სამის
ორი“, ანუ „ორი=მესამედი“...

როგორც წესი, მუხადურში და ზოგჯერ (სპორადულად)
წახურშიც წილობითი რიცხვითი სახელი გამოიხატება
თურქულიდან ნასესხები ფაჰ („წილი“, „ნაწილი“) სიტყ-
ვის გამოყენებით; მუხადურში ამის სინონიმად, თუმ-
ცა იშვიათად, იხმარება საკუთარი წამ („ნაჭერი“) სიტყ-
ვაც; მაგალითად, ასე: წახ. ხუბინი ფაჰნა ყოფლად
ფაჰ „სამის წილის (ნაწილის) ორი წილი (ნაწილი)“,
ანუ „ორი=მესამედი“...; მუხად. ხუბა (\leftarrow ხუბადა)

სა ფაჲ (სა წამ) „სამის ერთი წილი (ნაჭერი)“, ანუ „ერთი=მესამედი“... ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ აქაც „მნიშვნელის“ გამომხატველი სახელი ისევ ნათესაობით ბრუნვაშია დასმული და წინ უძღვის სახელობითი დასმულ მრიცხველს „ნახევარი“ წახურსა და მუხადურში აღინიშნება ასე: სურა (წახ.), სურ (მუხად.)¹, ანდა ასე: სა სურა (წახ.), სა სურ (მუხად.) „ერთი ნახევარი“.

ჯერადი რიცხვითი სახელი

წახურ ენაში ამ ჯგუფის რიცხვითი სახელიც ლექსიკური ხერხებით იწარმოება: ა) ამა თუ იმ რიცხვითი სახელისა და =ქს -> ქს, ქოს ელემენტთა შერწყმითა და ბ) ააჲჲ („გზად“, „გზაში“) სიტყვის გამოყენებით,² თანაც ისე, რომ პირველ შემთხვევაში ჯერობა რიგობითი რიცხვითი სახელის მონაწილეობით გამოიხატება, ხოლო მეორე შემთხვევაში - რაოდენობითი რიცხვითი სახელისა; — გამოიხატება ჯერ ამ რიცხვით სახელთა გამარტივებით მათი; წარმომქმნელი სუფიქსის ან სუფიქსების კვეციით, ხოლო შემდეგ, როგორც ამას ა. დირიც აღნიშნავს, =ნი დაბოლოების დართვით. მაგალითები: ა) ყოხყოხს || ყოხრაჲს „ორჯერ“, „მეორეჯერ“ (შდრ. ყოხჲდ „ორი“); ჰოხოჲს || ჰხორაჲს „ხუთჯერ“, „მეხუთეჯერ“ (შდრ. ჰხოჲდ „ხუთი“); აოყუყას || აოყურაჲს

1. მუხადური სურ იგივეა, რაც წახური. სურა: სურჲ-სურჲ-რა. -„ა“-ს მოკვეცა სიტყვის ბოლოში მუხადურისათვის ნიშანდობლივია: შდრ. ყჲნა(წახ.)-ყჲნ||კჲნ (მუხად.) „ხბო“...

სურა, სურ სიტყვა=სიტყვით „შუა“-ს ნიშნავს. შდრ. წახ. ააჲჲჲნი სურეჲ, შუა გზაში (გზის შუა) ისე, რომ საკუთრივ „ნახევრის“ აღმნიშვნელი სიტყვა ამ ენებს არა აქვთ.

2. ანალოგიური წარმოება მოწმდება უდიურშიც: შდრ. სააჲყ, პაჲაჲყ „ერთი გზა“ = „ერთხელ“, „ორი გზა“ = „ორჯერ“ და ა.შ.

„ოთხჯერ“, „მეო ბეჯერ“ (შდრ. აოყუღდ, აოყუჰრ „ოთ-
 ხი“); მოლიცჳსი მოლირჳს „რვაჯერ“, „მერვეჯერ“ (შდრ.
 მოლიღდ, მოლიჰრ „რვა“) და ასე — ჯერადობის გამომ-
 ხატველ ყველა რ. სახელში. ბ) ყოხნი ააჰჳა „ორჯერ“,
 „ორგზის“, ხ~ბნი ააჰჳა „სამჯერ“, „სამგზის“, აოყნი
 ააჰჳა „ოთხჯერ“, „ოთხგზის“, ჰოჰნი ააჰჳა „ხუთჯერ“...
 ორივე შემთხვევაში წახური ჯერადი რიცხვითი სახელი
 წარმოქმნილია ანალიტიკურად — ლექსიკური ხერხებით:
 გამოყენებულია ა) ფონეტიკურად ტრანსფორმირებული ჰა-
 ცას („კეთება“) ზმნა; სახელდობრ, ასე: ჰაყას->ყას->
 ას->ჳს; ცას->ცჳს, ანდა ასე: ცას->ყოს->ყოჰს(სა-
 წარმოებელი სიტყვის ფონეტიკური შედგენილობის ხასიაჰ-
 თის მიხედვით); მაგალითად: აუყუჰყას <- ჰუყჳჰჰაყას
 || აუყუჰრ=ჳს <- აუყურ=ას <- აუყურ=ყას <- აუყურ=ჰაყას
 (გრ. კლასების მიხ.) „ოთხი+კეთებად“-> „ოთხჯერ“,
 „მეოთხჯერ“, მოლიჰრ=ყეს <- მოლიჰრ=ჳს <- მოლიჰრ=ყას
 <- მოლიჰრ=ჰაყას „რვა+კეთებად“ > „რვაჯერ“, „მერვე-
 ჯერ“; ყოჰ=ყოჰს <- ყოჰ=ყას <- ყოჰ=ჰაყას || ყოჰჰრ=
 აჰს <- ყოჰ-რ=ყას <- ყოჰრ=ჰაყას „ორი+კეთებად“ =
 „ორჯერ“, „მეორეჯერ“... ბ) „გზის“ აღმნიშვნელი სა-
 ხელი, დასმული ლოკატივში: ააჰჳა. — მაგალითები იხ.
 ზევ. (შდრ. ქართ. =გზის: ორ=გზის, მრავალ=გზის...) —
 (შდრ. ა. დირი, წახ. ენა, გვ. 56...). თუ არ ვი-
 გულისხმებთ ფონეტიკურ უზუსტობას, მეორე ხერხი ა.
 დირს სწორად აქვს შენიშნული, პირველის შესახებ კი არ
 იძლევა ყოველმხრივ სწორ, მართებულ ცნობებს: სემანტიკუ-
 რად კონდენსირებული თუ ფონეტიკურად გამარტივებული
 ჰაყას -> ყას, ან კიდევ ჰაყას -> ყას -> ცჳს -> ყეს
 „კეთება“ ზმნა მას სპეციალურად გამოყენებულ აფიქსად
 მიაჩნია; თუმცა შენიშვნის სახით იქვე (სქოლიოში) დას-
 ძენს: „ამ დაბოლოებათა წარმოშობის შესახებ ჯერჯერო-
 ბით ვერაფერს ვიტყვით“=ა.

მუხადურს ჯერად რ. სახელთა წარმოების წახური-

სებური წესები და მაწარმოებლები არ მოეპოვება. ჯე-
რალობის გამოსახატავად აქაც, მართალია, ლექსიკური
ხერხები გამოიყენება, მაგრამ საამისო მასალა მაინც
სხვა არის, — სახელდობრ, რეჯიქიმ, რიჯიქიმ და ზოგი
აულის მეტყველებაში რეჯიქიმ¹ სიტყვაა მოშველებული.
ეს სიტყვები ყოველთვის მოსდევნენ საწარმოებელ რიცხვით
სახელს; ამასთან: „ერთის“ აღმნიშვნელი რ.სახელი ფორმ-
დება =და სუფიქსით, ხოლო სხვა (მომდევნო) რ.სახელე-
ბი =ნა ||-> ||=ნა ||-> ა -> ე სუფიქსით; შდრ., მაგა-
ლითად: სადა რეჯიქიმ || რიჯიქიმ „ერთჯერ“ (სადა რეჯი-
ქიმ სა სა ღიცი „ერთჯერ ერთი ერთი არის“), - მაგრამ:
ყუენა რეჯიქიმ „ორჯერ (ყუენა რეჯიქიმ ყუენად ჟუ-
ყუად ღიცი „ორჯერ ორი ოთხი არის“), ხ~იბა (ხ~იბა ||
ხ~იბე) რეჯიქიმ „სამჯერ“ (ხიბე რეჯიქიმ ხიბედ ჰუჰუდ
ღიცი „სამჯერ სამი ცხრა არის“). = და, =ნა ||-> ე ||
-ნა ||-> ა მაწარმოებლები ფუნქციითაც, მატერიალურადაც
ერთიმეორეს ეფარდებიან და წარმოშობით ნათესაობითი
ბრუნვის ფორმას უკავშირდებიან, ხოლო თავად რეჯიქიმ
(რიჯიქიმ) „მაწარმოებლის“ წარმომავლობა მთლად ნათე-
ლი არ არის; აგებულების მიხედვით იგი არ გამოიყურება
საკუთარ სიტყვად. ა. დირი „რუთულურ ენაში“ (გვ.50)
აღნიშნავს: შინაზურში „ჯერ“ გამოიხატება „ჩიქან->ჩი-
ქან“=ის მეშვეობით და ნიმუშად ასახელებს: სადარ ჩი-
ქან „ერთხელ“, ყუენარ ჩიქან „ორჯერ“, ხ~იბარ ჩიქან
„სამჯერ“, ჟუყუარ ჩიქან „ოთხჯერ“. ა. დირის ასეთი
ცნობა გაუგებრობის შედეგია - იგი სწორად არ ასახავს
მუხადურის, resp. შინაზურის ვითარებას. ა. დირის მიერ
მაწარმოებლად გამოყოფილი ჩიქან->ჩიქან სიტყვა
იგივე რეჯიქიმ || რიჯიქიმ სიტყვაა, ფონეტიკურად სა-

1. შინაზურსა და მასთან ენობრივად ახლოს მდგომ
აულთა მეტყველებაში.
2. ა. დირს (1911) სწორად აქვს შენიშნული, რომ „სადა“
ცალკეც იხმარება: „ერთი“, resp. „ერთხელ“, „ერთ-
ჯერ“.

ხვევლილი. აქ რეჯიქიმ (რიჯიქიმ) სიტყვის თავკიდური (ხმოვანმოკვეცილი)რე (რი)->რე ნაწილი შეცდომით მიწერილია წინმდგომი საწარმოებელი რიცხვითი სახელისთვის; ხოლო ამ სიტყვის ფუძისეული ჯ შენაცვლებულია რათი.¹ ზემოთ დირისეული ცნობის მიხედვით დასახელებული ნიმუშები უნდა განიხილებოდეს და გაიმართოს ასე: „სადა რეჩიქან (შდრ. სადა რეჯიქიმ) და არა-„სადა რიქან წყეეზ-ნა რეჩიქან და არა ყუენარ ჩიქან და ა.შ.

განუსახლვრელი რიცხვითი სახელი წახურში. წახური
 განუსახლვრელი რიცხვითი სახელებია: გერგენა (1-3 კლ.), გერგენ (4. კლ.) „ყველა“, „ყოველი“, „ყველაფერი“; ხაზბა (1. 2 კლ. მრ.), ხაზდა (3. 4. კლ.) „ბევრნი“; ამისი სინონიმია შაგბენა (1. 2. კლ.), გაედენ II გაედინ (3. 4 კლ.). ამ სახელთაგან პირველი ფუძეთა გაორკეცებითაა წარმოქმნილი: გერგენ. თითოეული ამ კომპონენტთაგანი ეტიმოლოგიურად „გროვების“, „ერთგან თავმოყრის“, „გროვის“ მნიშვნელობას უკავშირდება.²

განუსახლვრელი რიცხვითი სახელი მუხადურში. მუხადური
 განუსახლვრელი რიცხვითი სახელებია: სიყინ „ყველა“, „ყველაფერი“, „ერთიანი“, „ერთობლივი“ (შდრ. სა „ერთი“); ფაბტე II <- ფაბტ=დ, სა=ჰალდ, სა=წამ=დ „ცოტა“, „მცირე“;³ ბალა (ნასესხ.) „ბევრი“.⁴ ამ რიგის მუხადური რ. სახელები, გარდა პირველისა, წარმოების მხრივ ერთვაროვნობით ხასიათობიან: ბოლოში ყველას მოუდის ნათესაობითი ბრუნვის =დ სუფიქსი,

1. ასეთი პროცესი (მეღერის ყრუფშვინვიერით შენაცვლება, რედუქცია და სხვ.) საერთოდ დამახასიათებელია შინაზურისათვის. ჯ=ს შეცვლა რათი სულაც შესაძლოა დახასიათდეს, როგორც ამ სიტყვის თანხმოვანთა დისტანციური დამსგავსების შედეგად: რეჩიქან <- რეჯიქიმ, რიჯიქიმ (ქ=ს გაველენა). ხოლო მ და ნ სონანტთა შენაცვლების ახსნა არის ძნელი.
2. შდრ. უდ. გირ=ეს, გროვება (გროვდება); გირ=ბეს, გროვება (აგროვებს), გირ=ეცი, მოგროვილი, გადატ. დალაგებული:..
3. სიტყვა=სიტყვით: „ერთი ხატეხი“, „ერთი ხატერი“, „ერთი ბეწო“.
4. შდრ. სპარს. =ურქ. ბალა „მალაღი“, „ზემოთა“...

რომლის ფუნქციონატაგანია ატრიბუტულ სახელთა წარმოქმნა.

ჯგუფობრივგანაწილებითი რიცხვითი სახელი. ეს

რ. სახელები წახურში წარმოიქმნებიან რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეთა გაორკეცებითა და კონტამინაციით - ისე, რომ ა) ამ გაორკეცებული ფუძის პირველი წევრის ბოლოკიდური მარცვალი (სუფიქსი) იკვეცება, ხოლო მეორე წევრი გართულებულია =ნა სუფიქსით; ბ) ზოგ შემთხვევაში შეიძლება დასუსტდეს და მთლად მოიშალოს ამგვარი რ. სახელთა პირველი კომპონენტის ძირისეული ელემენტი და ამის მაგივრობა გასწიოს ღორმანტმა (პრეფიქსმა). მაგალითები: სა=სა=ნა || სა=სა=ნა <- სან+სან=ნა „თითო“, „თითო=თითო“, „ცალ=ცალკე“ (შდრ. სა „ერთი“. შდრ. აგრეთვე სანასანლუს „ერთმანეთს“...); ყოზ+ყაზ=ნა <- ყოზ+ყზან=ნა <- ყზაზ+ყან=ნა <- ყზაზ+ყზან=ნა „ორ=ორი“ (შდრ. ყოზ=<- ყზაზ=დ „ორი“); ხ~ებ+ხ~ებ=ნა || ხ~იბ+ხ~იბ=ნა „სამ=სამი“ (შდრ. ხ~ებ „სამი“)...

ა. დირი მართებულად აღნიშნავს, რომ ეს სახელები გამოიხატებიან აგრეთვე ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელის სრული ფორმის გამეორებით, ანდა ბ) ბოლოში =ნა, =გდ სუფიქსების გამოუყენებლად, ე.ი. გამარტივებულ, ბოლომოკვეცილ, ფუძეთა რედუქლიკაციით. ა.დირი ორივე ამ სახეობის ნიმუშებად, თუ არ ვიგულისხმებთ ზოგი მათგანის ფონეტიკურ უზუსტობას, სწორად ჩამოთვლის რიცხვით სახელებს: ღიჰჰზბლწ=ღიჰჰზბლწ „ექვს=ექვსი“, სა=სა „თითო=თითო“, ყრყა „ორ=ორი“, ხ~ი=ხ~იბ „სამ=სამი“, აე=აოყ „ოთხ=ოთხი“ (წახ.ენა, გვ. 55). აქედან ზოგი ასე უნდა გაიმართოს: ყოზ=ყაზ <- ყოზ+ყზაზ; ხ~ებ=ხ~ებ || ხ~იბ=ხ~იბ, აე=ყყ || აე=აოყ. ზოგ ასეთ სახელში საგულისხმებელია კონტამინაცია, მაგალითად: აე=აოყყ <- აეყ=აოყყ <- აეყყ+აოყყ („ოთხ=ოთხი“). ოღონდ ღიად რჩება ამ ორ კომპონენტში არსებულ (განსხვავებულ) ე— ლ ხმოვანთა საკითხი.

მუხადურშიც, როგორც ამას ა. დირიცი აღნიშნავს, ჯგუფობრივ-განაწილებითი რიცხვითი სახელები წარმოიქმნებიან რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეთა გამეორებით, ამასთან ისე, რომ ამგვარ რიცხვით სახელთა რთული ფუძის ორივე შემადგენელი ნაწილი მარტივდება - ეკვეცება ბოლოკიდური თანხმოვანი ან მარცვალ (ფორმანტი), ამასთან მეორე შემადგენელი ნაწილი ბოლოში რთულდება სხვა, ანა, ელემენტი. მაგალითები: სა=სა || სა + სა=ანა „თითო=თითო“, „ცალ=ცალი“ (შდრ.სად „ერ-თი“); ხ~იბ=ხ~იბ=ანა <- ხ~იბ=ხ~იბ=ანა „სამ=სამი“ (ხ~იბზე „სამი“)...

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

წახურ და მუხადურ ნაცვალსახელთა სემანტიკურ=ლექსიკური ჯგუფები: პირთა ნაცვალსახელები; კუთვნილებითი, უკუქვევითი, მითითებითი, კითხვითი, მიმართებითი და სხვა ნაცვალსახელები. აქედან კუთვნილებითი ნაცვალსახელი იგივეა, რაც ნათესაობით. ბრუნვაში დასმული პირის ნაცვალსახელი. როგორც წახურ, ისე მუხადურ პირის ნაცვალსახელებში არ არის გარჩეული ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები.

პირის ნაცვალსახელები წახურში

წახური პირის ნაცვალსახელებია: ზე (მე), ლუ || ვუ (შენ), შენა, მანა (ის, იგი); ში || შხი (ჩვენ), შუ (თქვენ), შემმე (ისინი).

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები რიცხვს მხოლოდ სემანტიკურად განარჩევენ: ზე „მე“ - ში „ჩვენ“, ლუ || ვუ „შენ“ - შუ „თქვენ“. მესამე პირის ნაცვალსახელში კი მრ.რიცხვი მორფოლოგიური კატეგორიაა: შენა „ის“ - შემე <- შემმე <- შენ=ბე; მაშე <- მამმე <- მან=ბე „ისინი“. პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებისა და ბრუნვათა წარმოების მხრივ წახურზე მოლაპარაკე აუღთა მეტყველებაში თითქ-

მის ერთნაირი მდგომარეობაა, თუ არ ვიგულისხმებთ ფონეტიკურ ცვლილებათა გამო წარმოქმნილ სხვაობას. ყველაზე მეტი ცვლილება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში შეინიშნება.

1. ზე („მე“) ისტორიულად მარტივი ფუძე არ არის და იშლება ეგრე: ზ=ჟ. აქედან პირველი ნაწილი (ზ=) ძირის კუთვნილებაა, ხოლო მეორე (=ჟ) მანარმოებელსა ჰგავს და ნაშთი უნდა იყოს =ჟნ მარცვლისა; შდრ., ერთი მხრივ, წახურივე ფორმები: ზ=ას (მიც.), ღი=ზ=და (ნათეს.), ხოლო მეორე მხრივ, ზ=უ (უდ.), ი=ზ=უ (თაბას.), ზ=უნ (აღულ., ლეზგ.); ზ=ჟნ (კრიწ., ბულუხ.) დ=უნ (ხუნძ.); შდრ. აგრეთვე ამ ნაცვალსახელის წახურივე ფორმები: ზენ=ა=რ, ზენ=ა=ბ, ზენ=ა=დ „მეც“; მაგ.: ზენარ=ლუნარ „მეც=შენც“, „მე და შენ“...¹ ამ ფუძე=ფორმათა შედარება გვარწმუნებს, რომ ამჟამინდელ წახურში დაცული ზე გამარტივებულია ფონეტიკურად: ზე<ზენ.

2. შხი II ში („ჩვენ“) ნაცვალსახელიც მარტივი აგებულებისა არ არის და იშლება ეგრე: შხ=ი. აქედან ძირისეული ელემენტია შხ; ხოლო =ი ფორმანტია, ანდა ამის ნაშთი: შდრ. ღი=შხ=და, ღი=შხ=ჟნ (ნათეს.), შხ=ას (მიცემ.) შდრ. აგრეთვე შხინ=არ, შხინ=ა=ბ, შხინ=ა=დ „ჩვენც“. ჩამოთვლილ ბრუნვათა ფორმებს შორის ყურადღებას იპყრობს ნათესაობითი ბრუნვის ფუძის მართლებელი თავკიდური ღი= ელემენტი (ღი=შხ=და) აგრეთვე ზემოთ დასახელებული ღი=ზ=და („ჩემი“) ნაცვალსახელის ღი= ელემენტი-დახასიათებული გრ. კლასის გაქვავებულ პრეფიქსად.² ამ ნაცვალსახელის ძირად გამოიყოფა თავისებური (ინტენსიური, მყოფრობის ეფექტის მქონე

1. =ა=რ, =ა=ბ, =ა=დ გრ. კლასების მიხედვით დიფერენცირებული ბოლოსართოვანი ელემენტებია, გამოყენებული ქართ. „და“ კავშირის ანდა „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით.

2. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ (ღი=) ელემენტს მიიჩნევს, კერძოდ მდებრ. სქესის ნიშნად.

ნე) შუ თანხმოდანი, რაც ზოგჯერ სუსტდება და ემთხვევა მრ. რ. მე=2 პირის ნაცვალსახელის ძირისეულ თანხმოდანს (იხ. ქვ.).

3. „შენ“ ნაცვალსახელის ფუძე წახურში ორ=ვარიანტიანია: ლუ და ვუ. ეს ნაცვალსახელიც ორ=კომპონენტია—ნი ჩანს: ლ=უ, ვ=უ. ამგვარად დაშლის შესაძლებლობას იძლევიან ბრუნვის ფორმები: შდრ. ზი=ლ=და (ნათ.), ლუ=ას, ვ=ას (მიც.). ამ ნაცვალსახელის ამჟამინდელი ფუძე=ფორმა სახელობით=ერგატივისა გამარტივებულია და მიღებული უნდა იყოს ბოლოკიდური=ლ (=ნა) ელემენტის მოკვეციის შედეგად: ლუ <- ლუნ, ვუ <- ვუნ; შდრ., მაგალ., ვუნა (ლეზგ.), ვუნ (აღულ.), ვუნ || ვუნ (კრიწ., ბულგ.), უნ <- ჰუნ (უღ.); შდრ. წახურივე ლუნ=ა=არ || ვუნ=ა=არ, ლუნ=ა=ბ || ვუნ=ა=ბ, ლუნ=ა=დ || ვუნ=ა=დ „შენც“: ამ ნაცვალსახელის ძირად გამოიყოფა ლ, ლუ, ანდა ვ <- ჰ <- ლუ¹ (ზოგი სხვა განმარტება იხ. ქვემ.).

4. მრ. რ. მეორე პირის წახური ნაცვალსახელია შუ (თქვენ). ამ ნაცვალსახელის აღულ. ჩუნ, ჩუენ, ქუნ, არჩ. უჩენ, ბულგ., კრიწ. ვინ, უღ. ვაზნ, ეჭაზნ (თქვენ) ნაცვალსახელებთან შედარების გზით ნათელი ხდება, რომ წახური შუ დეფექტურია: აკლია ბოლოკიდური=ლ, რასაც უნდა ჰქონოდა სადეტერმინაციო ფუნქცია: შუ <- შუნ. ბრუნვათა ფორმების მიხედვით კი ისა ჩანს, რომ ამ შუნ -> შუ ნაცვალსახელის ძირისეულ ელემენტად უნდა გამოიყოს შ (შე?)—შდრ. შუ (სახ. ერგ.), ვუ=შ=და, ვუ=შ=გნ (ნათეს.), შოს <- შ=ჟ=ა=ს (მიცემ.)...

5. მესამე პირის წახური ნაცვალსახელია ა) შენა (იგი), მანა (ის, იგი). ორივე იშლება ასე: შე=ნა, მა=ნა. ბოლოკიდური =ნა მარცვალი სადეტერმინაციო

1. შდრ. ა. დირი — 1913, გვ. 32-35; 44; ივ. ჯავახიშვილი — 1937, გვ. 538...; ნ. ტრუბეცკოი — 1930, §5; ალ. მამოძეშვილი — 1963, გვ. 245...

სუფიქსია, რომელიც ფონეტიკურად ევარდება და მნიშვნელობით იგივეა, რაც სხვა პირთა ნაცვალსახელებში გამოყოფილი =ნ (=ნა) ელემენტი (იხ. ზევ.). ბრუნვათა. ფორმებში =ნა მარცვალი მარტივდება, ეკვეცება=რა ხმოვანი, დაიყვანება ოდენ (=ნ) თანხმოვანამდე: შენ=ჩნ <- შენა=ჩნ, შენ=ჩინ <- შენა=ჩინ(ერგატ.), შენ=ჩინ <- შენა=ჩინ (ნათეს.), შენ=ჩის <- შენა=ჩის (მიც.)... — შდრ. აგრეთვე მრავლობითი რიცხვის ფორმები: შენ=ბჟ <- შენა=ბჟ, შენ=ბი <- შენა=ბი...; მან=ბჟ <- მანა=ბჟ, მან=ბი <- მანა=ბი. ეს ემფატიკურ ხმოვნია =ნ (=ნა) ფორმანტი რომ ჩამოვაცოლოთ შენა, მანა ნაცვალსახელთა ძირად დარჩება პირველ შემთხვევაში შე= (შდრ. უდ. შე=ნა (ვართაშნ.), შოო<-შე=ა (ნიჯ.) „იგი“; შე=ტინ „მან“...; შე=აწარ „ისე“, „იმგვარად“), ხოლო მეორე შემთხვევაში მა= შდრ. ლეზგ. ა=მა „იგი“)...

სხვა შენიშვნები ამ ნაცვალსახელებთან დაკავშირებით იხ. ქვემ.: მითითებითი ნაცვალსახელები.

ბ) წახურში მესამე პირის შენა, მანა ნაცვალსახელთა სინონიმად იხმარება ჩ(ჩი) ძირიანი ნაცვალსახელიც, რომელიც გამოხატავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირისა და უკუქცევითი ნაცვალსახელის კომბინირებულ მნიშვნელობას; ახასიათებს ერთი თავისებურებას: არა აქვს სახელობითი ბრუნვის ფორმა; ამასთან მეტ წილად თანდებულებანი ბრუნვის ფორმით იხმარება, რასაც უპირატესად ადგერბიალური მნიშვნელობა აქვს. ეს ნაცვალსახელია, სახელდობრ, ჩინ (მან=თვითონ), ჩინი (მისი, თვით=მისი), ჩის (მას, თვით=მას); ჩილი ჩილი (მასზე, თვით=მასზე, თავისაზე), ჩისაწ(იმად, იმისად, იმისთვის, იმიტომ)...

სხვა შენიშვნები ამ ნაცვალსახელის თაობაზე იხ. ქვემ.: მესამე პირის ნაცვალსახელი მუხადურში.

ნ. მესამე პირის მრავლობითი რიცხვის წახური

ნაცვალსახელია შემე <- შემემ <- შენ=ბე. ეს ვარიანტი გავრცელებულია აულების-წახურის, მიქიქის, მიშლე-შის, სოგიუთისა და ზოგ სხვა აულის მეტყველებაში; სხვა აულთა მეტყველებაში კი მრ. რიცხვის საწარმოებლად გამოყენებულია =ბი, =ბო, =ბუ სუფიქსი, —კერძოდ, აულების — გილმიწის, ლექისა¹ და ხიახის მეტყველებაში: შენბი (-> შენბი — იშვიათად); ხოლო აულ მუსლალის მეტყველებაში შენ=ბო -> შენბუ -> შენ=მუ ვარიანტიც იხმარება. თანაც ისე, რომ ამ ნაცვალსახელში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები (მოკვეცა, ასიმილაცია, გემინაცია: შენა->შენ=; შენ=ბე->შენემე შემემე->შემეშე)² ყველა აულის მეტყველებაში არ ხდება და რჩება შენბი -> შენბი (იშვ.), შენბუ -> შენმუ (იშვ.) ვარიანტთა დონეზე. საერთო ხაზი მაინც ერთია ყველა ამ აულის მეტყველებაში: მრავლობითი რიცხვი ამ ნაცვალსახელისა იწარმოება მორფოლოგიურად, სულერთია, ზემოთ ნაჩვენებთაგან რომელი სუფიქსიც არ უნდა იყოს ვანოყენებული. რიცხვის სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ ნაცვალსახელის ფუძედ რჩება შენ= ასეთი ფონეტიკური ვარიანტით: შენ -> შემ. როგორც ვხედავთ, ბოლოკიდური =ნ ელემენტი მყარადაა შენარჩუნებული მრავლობითი რიცხვის ამ ფორმაშიც, თუმცა მხოლოობითი დადასტურებული =ნა მარცვალი „ირიბ“ ბრუნვათა მსგავსად აქაც მარტივდება ხოლმე: ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი: შენა->შენ.

წახურში მრ.რ. III პირის ნაცვალსახელს რიცხვის კატეგორია ეწარმოება ისე, როგორც მუსხადურში (იხ. ქვევ.), უდიურში, ლეზგიურში, ალღურსა და სხვა თვისტომ ენებში; შდრ., მაგალ., შენო „ის“, შენო=არ „ისინი“ (უდ.), ამ (ა) „ის“ — ა=ბურ „ისინი“ (ლზგ.), თე „ის“ — თ=ზარ „ისინი“ (აღულ.)...

1. შენ=ბე II ->შენემე პარალელურად იხმარება.

2. ამ პროცესთა შესახებ იხ. აგრეთვე ნაცვალსახელთა ბრუნება წახურში.

სხვა ცნობები ამ ნაცვალსახელთა საყრდენი ფუძე-
ძირების შესახებ მოწოდებული იქნება ქვემოთ.

პირის ნაცვალსახელები მუხადურში

მხოლოდობითში დასმული პირველი და მეორე პირის მუხადური ნაცვალსახელები ზოგი აულის მეტყველებაში ემთხვევა ან ეფარდება ამავდროულად პირთა ზემოთ დასახელებულ წახურ ნაცვალსახელებს, თუმცა ზოგი სხვა აულის მეტყველებაში ამ ნაცვალსახელებმა განვლეს ფონეტიკური ევოლუციის დიდი გზა და ერთგვარად დაშორდნენ წახურისას. ფონეტიკური ცვლილების შედეგად წარმოქმნილი სიჭრელე მუხადურზე მოლაპარაკე აულთა მეტყველებაში განსაკუთრებით ამ პირთა ნაცვალსახელების „ირიბ“ ბრუნვითა ფორმებს დაეყოს. შდრ.

I) პირველი პირის მუხადურ ნაცვალსახელთა ფუძე-
ფორმები

I) „მე“ ნაცვალსახელისა:

რუთული:

შინაზი:

სახ. ზე

ზე

ერგ. ზა||ზად

ზეჯაწ || ზეე

ნათ. ღიზღე||იზღე||ისღე

იზღე || ეზღე

მიც. ზას

ზას

მუხრეკი:

იხრეკი:

სახ. ზე

ზე || ზეა

ერგ. ზად(ა)

ზადა || ზადი

ნათ. ღიზღე||იზღე, ჰიზღე

ღიზღე || ა'იზღე

მიც. ზას

ზას

2) „ჩვენ“ ნაცვალსახელისა:

რუთული:

შინაზი:

სახ. აწ

უი

ერგ. ძწ || ძწდ
ნათ. მიხ~ტე||მიხ~დ
 ||მიჰდ

ჟი || ჟიძწ
იშდ

მიც. ძწს || ძეს
 მუხრეკი:

ჟიეს || ჟეს
 იხრეკი.
 ჟი

სახ. ჟი
ერგ. ჟწდწ
ნათ. იშდ
მიც. ჟწწს

ჟეღი || ძეღი
ჰებდ
ჟწს

2) მეორე პირის მუხადურ ნაცვალსახელთა ფუძე=ორ-
მეზი .

3) „შენ“ ნაცვალსახელისა:

რუთული:

შინაზი:

სახ. ვე
ერგ. ვა || ვად
ნათ. ვედ
მიც. ვას

ლო || ლუ
ლოძ || ლუძწ
ჴედ
ღწას || წას

მუხრეკი

იხრეკი

სახ. ვუ
ერგ. ვად(ა)
ნათ. ვუდ || ვუდუ
მიც. ვას

ღუ
ღუძ<- ღუძ=წ||ღუღი
ღუღუდ || ღუღუდ
ღუღას

4) „ქვენ“ ნაცვალსახელისა:
რუთული:

შინაზი:

სახ. ჴიჰ
ერგ. ჴიჰ || ჴიჰდ
ნათ. ჴიჰ~დ || ვებდ
მიც. ჴიჰს
 მუხრეკი

ჟუ
ჟუძწ || ჟუძ
ჟუღუ
ჟუწს || ჟუეს
 იხრეკი:

სახ. ჟუ
ერგ. ჟწდწ || ჟეღი
ნათ. ძუშდწ || ძუშუდ
მიც. ჟუწს

ჟუ
ჟუღი
ძუშუდ
ჟუწს || ჴუწს

ბრუნვათა ზემოთ წარმოდგენილი ფორმებისა და კი-
ლოურ მონაცემთა ერთმანეთთან შედარება გვარწმუნებს,
რომ პირველი და მეორე პირის მუხადურ ნაცვალსახელთა
ფუძის აგებულება არ არის მარტივი:

I. ზ₂ („მე“) მუხადური ნაცვალსახელიც იშლება
ასე: ზ₂=ჟ. ამ კომპონენტაგან პირველი (ჟ=) ძირის
კუთვნილებაა, მეორე (=ჟ) კი რაღაც ფუნქციონალი=
ელემენტი, ან ამგვარი ელემენტის ნაშთი. ყველა პო-
ზიციაში ზ₂ ძირი ამ სახით გასდევს ყველა ბრუნვის
ფორმას, ოღონდ აულ რუთულის მეტყველებაში ნათესაობი-
თი ბრუნვის ფუძეში ზ₂=ს პარალელურად(დაკულტატურად)
იხმარება ყრუ (ს) ვარიანტიც: ჰიზდჟ, იზდჟ || ისდჟ.¹
ამ ნაცვალსახელის ფუძის აგებულების ხასიათის გა-
სარკვევად საჭირო იქნება შინაზურ კილოში შემონახუ-
ლი ერგატიული ბრუნვის ზჟაჟ || ზჟე ფორმის, აგრეთვე
იხრეკულში დამოწმებული სახელობითი ბრუნვის პარალე-
ლური ზჟა ფორმისა, მუხრეკულ=იხრეკული ერგატიული
ბრუნვის ფორმისა და წახურ ზჟნ -> (ზჟ) ფორმის გათ-
ვალისწინება; ეს შესაძლებლობას იძლევა, მუხადური
resp. შინაზური ზჟაჟ და იხრეკული ზჟე დაეწალოთ ეგ-
რე: ზჟაჟნ <- ზჟაჟა (ერგ.), ზჟაჟ (სახელობ.) =ჟ<-
=ჟ, როგორც ქვემოთაც იქნება აღნიშნული, ბრუნვის
ნიშანია, ზჟაჟ ნაწილი კი — საბრუნებელი ფუძე.
ამკარაა, რომ ზჟა მარტივი აგებულებისა არ არის,
შლადია: ზჟაჟ; აქედან ზჟ იგივეა, რაც მუხადურის
ყველა სხვა კილოში (და წახურში) ხმარებული ზჟ („მე“)
ნაცვალსახელი, ხოლო ამის მომდევნო =ა ელემენტი ფორ-
მანტია. უეჭველია, რომ ეს=ა სრული პალატალიზაციის,
ჰოტიზაციის შედეგად მიღებული რომელიმე თანხმოვნის
რეფლექსია. ამგვარი ბგერათვლილება საერთოდ დამა-
ხასიათებელია მუხადური და თვისტომი ენებისთვის, ხო-

1. ზ -> ს პროცესი აიხსნება ალბათ დისიმილაციური
დაყრუებით.

ლო ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნაცვალსახელის ფუძეში იგი (=ჟ) მიღებული უნდა იყოს „ნ“=ს, ანდა „დ“=ს პალატალიზაციის შედეგად. — შდრ. მუხადურივე ზადა, ზადა, ზად (იხ. ზევ.). იხრეკულში ნომინატივის პარალელური ზგჟ ფორმა საფუძველს იძლევა, დავასკვნათ რომ ზგჟ, ზგჟჟ მიღებულია წახურისა და ზოგ სხვა თვისტომ ენებში შემონახული ზენ ვარიანტისაგან: ზგჟ <- ზენ <- ზენ=ა. მსჯელობის ამ ხაზს თუ მივყვებით, ამჟამინდელი მუხადური ზე უნდა დავახასიათოთ როგორც გამარტივებული სახეობა ზენ ნაცვალსახელისა. ეს მოსაზრება თავის მხრივ საბუთიანი ხდება თვისტომ ენათა მონაცემებით: შდრ. ზენ=(წახ.), ზუნ (აღულ., ლეზგ.). . . ; ღუნ (ხუნძ.). . .

პირველი პირის მუხადური ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაშიც გამოიყოფა თავიკიდურ ელემენტად „შეზრდილი“ ღი=, დ=, ჰი= მარცვალი. რაც ერთი= მეორის ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს.

2. მუხადური „ჩვენ“ ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმები და კილოური ვარიანტები გვიჩვენებენ, რომ ამ ნაცვალსახელმაც გაიარა ფონეტიკური ევოლუციის დიდი გზა და ძალზე სახეცვლილმა მოაღწია ჩვენამდე. ეს პირველ რიგში ითქმის აულ რუთულის მონაცემებზე: აწ (სახ.), აწ || აწდ <- აწდ=ა (ერგ.), აიხ~ტჟ || აიხ~დგ(ნათ.), აწს || აეს (მიც.). სხვა კილოებში ამის ფარდია: უი (სახ.), უი || უიჰჰ, უწდჰ, უეღი || აეღი (ერგ.), აიხ~ტჟ <- აიხდგ, აიშდგ, ჰეხ~დგ || აიშდგ || აიშიდ(ნათ.), უიეს || უეს, უწჰს, უწს (მიც.)¹.

სახელობით, ერგატიულ და მიცემით ბრუნვათა ფუძე კილოებში „უ“ ვარიანტიანია, ნათესაობითი ბრუნვისა კი — ხ~, უ (აიხ~=|| იხ~=, აიშ~=, ჰეხ~=) ვარიანტიანი; ამ სახეობათაგან საკუთრივ რუთულურში მეორდება იხ~= || აიხ~=, ხოლო სხვა ბრუნვათა ფორმებში, როგორც ჩამოთვლილი ნიმუშებიდან ჩანს, გამოიყენება „ჟ“. ამის

1. ასეთი სტრუქტურული ნაირგვარობა შეიძლება ახარეკლი

კვალბანე თავისთავად დგება საკითხი, ერთი მხრივ, ამ უ=, ა=სა და, მეორე მხრივ, [ხ]ხ~, შ. ვარიანტთა ურთიერთობის საკითხი. ამჟამინდელ მუხადურში (ყველა კილოს მონაცემთა გათვალისწინებით) „ჩვენ“ ნაცვალსახელის საყრდენი ფუძე ერთი ღია მარცვლის სახითაა წარმოდგენილი: უი, უწ, რომელთა მიმართება ასეთია: აწ <- უწ <- უი=წ. თავად „უწ“=უ სახეცვლილი, გამარტივებული ვარიანტი ჩანს. ეს საბუთდება ზოგი კილოური მონაცემით, კერძოდ ერგატიული ბრუნვის შინაზური უიჲწ, მუხრეკული უწღწ და იხრეკული უღწი || აღწი ფორმით. შინაზურ „უიჲწს რომ ერგატივის =წ სუფიქსი ჩამოვაცალათ, საბრუნებელ ფუძედ დარჩება უიჲ=; ხოლო სხვა კილოურ ფორმებთან ამის შედარება=შეფარდებით ცხადი ხდება, რომ ამ (უიჲ)ვა-რიანტის ბოლოკიდური =ა არ არის ძირისეული ელემენტი და რომ იგი, შესაძლოა, მიღებული იყოს დ=ს პალატალიზაციით=იოტიზაციის შედეგად: უიჲ= <- *უიჲ <- უიღ= (შდრ. ზემ. დასახელ. უწღ=წ, უღწ=ი, აღწ=ი ფუძე-ფორმები). შესაძლებელია — მეორე აღბათობაც: =ა <- ნ: უიჲ = <- *უინ, თუ დავეყრდნობით თვისტომ ენათა მონაცემებთან მუხადურის შეფარდებას: შდრ., სახელდობრ — უინ (კრიწ.), ღინ (ბულუხ.), აან (უღ.).... ამავდროულად არგუმენტებით შეიძლება ავსხნათ, ერთი მხრით, ამ ნაცვალსახელის ძირისეული (თავკიდური) უ= და ა= ელემენტების ურთიერთობა (როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა), მეორე მხრით, კი -- მუხადურ (resp. რუთულურ დიალ.) უწ ნაცვალსახელში ბოლოკიდური (სადეტერმინაციო) =წ ელემენტის ოდინდელი არსებობა: აწ <- აწწ <- აან (რუთ. დიალ.) შდრ. უღ. აან („ჩვენ“)...; აწ <- აწწ <- *უწწ, -- შდრ. უინ (კრიწ.), ღინ (ბულუხ.)...=წ ელემენტს ერგატიულ ბრუნ-

იყოს მუხადურში (და წახურში) ოდესღაც არსებული „ჩვენ“ ნაცვალსახელის ორგვარი-ინკლუზიური და ექსკლუზიური - ფორმებისა: შდრ., მაგალ. : კრიწ. ღინ (ინკლ.)-უინ (ექსკლ.), ალულ. ხინ (ინკლ.)-რინ (ექსკლ.), თაბას. უხ უინს უ (ინკლ.)-ურუ (ექსკლ.) „ჩვენ“... თუმცა ნაირგვარობის ახსნა შეიძლება დაეყრდნოს სხვანაირ განმარტებასაც.

ზარდადაა ჩათვლილი (ალ. მაჰომეტოვი — 1963). ამგვარი განმარტებები თავისთავად საინტერესოა, მაგრამ აქ დგება ერთი ასეთი კითხვა: თუ მხ. რ. მეორე პირის („შენ“) ნაცვალსახელის ძირისეულ ელემენტად მაინცდამაინც ვაჩვენებთ — ზუსტად გამოვყოფთ და თავკიდურ ღმს ამის პარაზიტულ შენაზარდად მივიჩნევთ, როგორღა გავიგოთ მაშინ ამ ნაცვალსახელის ზოგი „ირიბი“ ბრუნვის ფუძის შიგნით ღმს ან ღ თანხმონის არსებობა? — იგულისხმება, კერძოდ, იხრეკულ დიალექტში დამოწმებული ნათესაობითი ბრუნვის ასეთი ფორმა: აულუდ, აულღედ; — შდრ. აგრეთვე „შენ“ ნაცვალსახელის ნათეს. ბრუნვის წახურის დილნა <- დიდგნა, დიდგნ <- დიდგნი ფორმები (იხ. ზევ.), სადაც ბგერითი შენაზარდის სახით „ღს განვითარება ძალიან ძნელი წარმოსადგენია. ¹ ლაბიალიზებული თანხმონის დაშლა=გამარტივება და ოდენ ლაბიალურ ელემენტამდე დაყვანა კი უპრეცედენტო არ არის: შდრ., მაგალ. ლეზგ. ვად <- ჭად <- *ჰჰჷად („ხუთი“)... ²

4. მუხადლური „თქვენ“ ნაცვალსახელიც ფუძეფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდება. ჯერ ერთი: როგორც

1. აქ ქართ. დვაჭარ<-ვაჭარ სიტყვის და „თაყვან“ აღმნიშვნელი წახური ღუყულ<ღვუყულ<ღუყულ<ღუყულ ანდა მუხადლურივე (რუთულ. და ბორჩ. დიალექტებში დამოწმებული) ღვაწად<-ვაწად („მცოდნე“) სიტყვათა ანალოგია არ გამოდგება.
2. როგორც ჩანს, ოდენ ვ<-ღ თანხმონთან „შენ“ ნაცვალსახელის ძირად მიჩნევის იდეა ეყრდნობა ამ ვარიანტის საყოველთაო ხასიათს, მისი გავრცელების არეალების მასშტაბურობას: შდრ. ვუნ<-ღუნ (ლეზგ., ჯეკ., ბუღუზ.), ღუ->ღუ (ხინალ.), ივე (თაბასარ.); ჭილ (ლაკ.); ვი (უდ.), „შენი“; ჭარა (აფხაზ.), ჭი (ადიღ.); მუნ<-ღუნ? (ხუნძ.)...; არ ეწევა არა ანგარიში ისეთ ვარიანტებს, როგორებიცაა, მაგალითად: მჰუ (დარგ.), მუნ (უდ.); ნიჯ (დალ.), მჰიჯ (ჩაჩნ.) დამისთ. ეს (ბოლო) ვარიანტები ღმს >ღმსთან ერთად, ვფიქრობთ, ხელს უშლიან ოდენ ვ<-ღ ელემენტის პირვანდელ ძირისეულ თანხმონად გამოყოფას. არც გავრცელების არეალის სიდიდე და, მეტადრე, არც ზემოთ (პირველ სქოლიოში) აღნიშნული ანალოგიები არ კმარა საარგუმენტაციოდ.


წარმოდგენილ პარადიგმებიდანაც ჩანს, ძირითადი ბრუნ-
ვები ამ ნაცვალსახელის საწარმოებელი ფუძის ხასია-
თის მიხედვით ორად ჯგუფდებიან: ერთ ჯგუფში ექცევიან
სახელობითი, ერგატიული და მიცემითი ბრუნვები (აქვთ
ერთნაირი ფუძეები); მეორე ჯგუფად გამოიყოფა ნათესაო-
ბითი. თავისებურებებია კილოებშიც: შდრ., რუთულ. ჭიჰ
(სახ.), ჭიჰ II ჭიჰდ <- ჭიჰდ=წ (ერგ.), ჭიჰს (მიც.),
ჭიჰჰდ II ვეჰჰდ (ნათ.); შინაზ.: ეუ II ეუ (სახ.),
ეუჰ=წ II ეუჰ (ერგ.), ეუჰს II ეუჰს (მიც.), უშლუ (ნა-
თეს.); მუხრეკ.: ეუ (სახ.), ეუჰდ=წ II ეუჰი (ერგ.),
ეუჰს (მიც.), აუშლუ II აუშლუ (ნათეს.); იხრეკ.: ეუ
(სახ.), ეუჰი (ერგ.) ეუჰს II ჭიჰს (მიც.), აუშლუ (ნა-
თეს.). ეს ნაცვალსახელი ყველაზე უფრო რთულურ კი-
ლოშია შეცვლილი, რაც განსაკუთრებით სამი ბრუნვის
ფუძეზე ითქმის: ჭიჰ (სახ.), ჭიჰ II ჭიჰდ (ერგ.), ჭიჰს
(მიც.). სხვა კილოებში დაცული ვარიანტები (იხ. ზევ.)
და თვისტომ ენათა სათანადო მონაცემებთან — კერძოდ,
წახურ შუ (სახ., ერგ.), შჰიას -> შოს (მიც.), არჩიბ.
ეჰენ (სახ., ერგ.) და სხვ. ენათა ფუძე=ფორმებთან (იხ.
ქვევ.) შედარება გვიჩვენებს, რომ დასახელებულ ბრუნ-
ვათა ფუძე=ძირად უნდა გამოიყოს ეუ -> ჭი -> ვ, ხოლო
ნათესაობითი ბრუნვის მიხედვით — შ, ხ~, ჰ~. ცალკე
გამოიყოფა ამ ძირისეულ ელემენტთა წინმდგომი აუ=, ეუ=,
ვეჰ= ნაწილი, რომლის თავდაპირველ მნიშვნელობაზე
ითქმის ის, რაც ზემოთ „მე“, „შენ“, „ჩვენ“ ნაცვალ-
სახელთა მიხედვით ითქვა. უფრო რთულად დგას, ერთი
მხრივ, ამ ნაცვალსახელის ალტერნაციულ ძირთა ეუ, ეუ
და შ, ხ~, ჰ~ =სა და, მეორე მხრით, პირველი პირის
(„ჩვენ“) ნაცვალსახელთან საზიარო (უ) ძირის ურთიერ-
ობის საკითხი. თანაც დგება კითხვა: მუხადური ჭიჰ,
ეუ („თქვენ“) ნაცვალსახელიც ხომ არ არის დეფექტური,
ხომ არ აკლია ბოლოში სადეტერმინაციო ელემენტი, სა-
ხელდობრ =ნ სუფიქსი? — პასუხი დადებითი იქნება,

საბუთი კი თავად მუხადური ენის დიალექტებში და
 თვისტომ ენებშია საძებნი: შდრ. ჟჷენ (არჩიბ.)ვახნ,
ეჩახნ (უდ.), ვინ (ბუღუხ.), ჯეკ.=კირიწ.), ქიწ (ლეზგ.),
 ჩუნ (აღლუ.). — შდრ. აგრეთვე ერგატივის ფუძე: ჭაზდ=
 (რუთულ.დიალ.), ჟუჟ= (შინაზ.), ჟიწდ=, ჟედ= (მუხრეკ),
 ჟიედ= (იხრეკ.) უეგველია, რომ ამ ფუძეებში მონაწი-
 ლე ბოლოკიდური =დ ზემოთ აღნიშნული =ნ სუფიქსის
 ნაცვალაია, ხოლო შინაზურ დიალექტში დამოწმებული ჟუჟ=
 ფუძის ფინალური =ჟ წარმოქმნილია ამ =ნ || =დ სუფიქს-
 თა პალატალიზაცია=იოტიზაციის შედეგად. ყველა ჩა-
 მოთვლილი ფუძის (მუხადურ დიალექტებსა თუ თვისტომ
 ენებში დამოწმებულის) ერთმანეთთან შედარებით ნათე-
 ლი ხდება, რომ მუხადური ჭაზ და ჟუ ნაცვალსახელის
 ფონემურ=მორფემული შედგენილობა გამარტივებულია და
 უნდა აღდგენილ იქნეს ასე: ჟაჟ <- ჭაჟ <- ჟიჟან
 (ჟიჟანდ?ჟიჟანდ? -- იხ. ზემ. პარადიგმები და განმარ-
 ტებები); ჟუ <- ჟუნ <- ჟიჟნ <- ჟიჟნ (ჟუდ?). ამგვარ-
 რი რეკონსტრუქციით შესაძლებელი ხდება მუხადურ დია-
 ლექტთა ერთიანობის ჩვენება. განზე დვას ამ ნაცვალ-
 სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფუძე, რომელშიც (ეს
 ზემოთაც აღინიშნა) ძირისეულ თანხმოდანად გამოიყოფა
 შ, ხ, ჯ. მარტოოდენ მუხადურის (და წახურის) რვა-
 ლივბზე ჯაყრდნობით ძნელდება ამ ძირეულ თანხმოდანად
 და ზემოდ (სახელაობის, ერგატივისა და ნივთიერის
 ფუძეში) ვამოყოფილი ჟ <- ჯი -> ჭი თანხმოდანის ურთიერ-
 თობის ვარკვევა. კერძოდ, შ (<- ში?) — ჟ (<- ჟი)
 დარღობის ახსნა შესაძლებელი იქნება, თუ მჟღერ (ჟ)
 სპირანტს ყრუ (შ) სპირანტის დიფერენციალ მიფიჩენდთ;
 ამით დაძლეული იქნება კიდევ პირველი პირის („ჩვენ“)
 ნაცვალსახელის ძირისეულ (ჟ) თანხმოდანთან მისი ნი-


1. მუხადურთან ყველაზე ახლოს მდგომ წახურშიც (ყველა
 ბრუნ. ფორმ.) ამ ნაცვალსახელის ძირად სწორედ შ
 ვამოიყოფა (იხ. ზემ.).

მართების საკითხიც, — შესაძლებელი გახდება, მათი ერთგვაროვნება ავხსნათ შემთხვევითობით, გარეგნული დამთხვევით.

ქ — შ — ხ — ჟ ძირეულ ელემენტთა ფარდობის საკითხი დაბეჯითებით ვერ განიხილება, თუ არ გავალთ გაანალიზებულ ენათა არეალებიდან. ეს მომავლის ამოცანაა. თუმცა, ვფიქრებთ, ლეზგიური ჯგუფის ენათა მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილი ფუძეფორმები მაინც იძლევიან საშუალებას ამ („თქვენ“) ნაცვალსახელის ძირეულ ელემენტთა ფონეტიკური ევოლუციის სურათი (წინასწარი ცნობის დონეზე) ასე წარმოვიდგინოთ:



ანდა ასე:



ამ ორი სქემის მიხედვით ლეზგიურ ენათა, მათ შორის წახურისა და მუხადურის, „თქვენ“ ნაცვალსახელის ძირეული ელემენტის საყრდენი ვარიანტი უნდა შემონახული იყოს ან ადულურში (ჩქ), ანდა (რაც უფრო შესაძლებელია) ლეზგიურში (ქქ).^I ფონეტიკურ ცვლილებათა ამ ფონზე

საინტერესოდ დგება საკითხი, თუ როგორ გახდა შესაძლებელი, კერძოდ, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო მუ-

I. შდრ. აგრეთვე ქართ. თქვენ <-თ=ქქ=ენ <-*ლ=ქუ=ენ (თავკიდურ ლ<- ღ=ს გრ. კლასის გაქვავებულ პრეფიქსად მიჩნევით. — ?!).

ხადურში ერთდროულად, ერთი მხრით, $\text{ქ} \leftarrow \text{ქ} \rightarrow \text{ქ}$ და მეორე მხრით, $\text{შ} \leftarrow \text{ხ} \rightarrow \text{ჰ}$ — ($\text{შ} \leftarrow \text{ხ} \rightarrow \text{ჰ}?$) ძირეულ ელემენტთა გამოყენება, -- პირველი სახელობითი, ერგატული და მიცემითი ბრუნვების საწარმოებლად, ხოლო მეორე — ნათესაობითისა. ჯერჯერობით პასუხი ასეთი იქნება: დიფერენციაცია აღმნიშვნელისა (გამოხატულებისა) შეპირობებულია აღსანიშნის (შინაარსის, დანიშნულების) დიფერენციაციით — (?!).

5. მესამე პირის (პიროვნების) ნაცვალსახელი ა. დირის „რუთულურ ენაში“ (გვ. 38) გაიგივებულია მითითებით ნაცვალსახელთან. მესამე პირის ნაცვალსახელი და მითითებითი ნაცვალსახელი ძირისეული ელემენტების მიხედვით, მართლაც, არ განსხვავდება ერთიმეორისაგან: შდრ., სახელდობრ, ჰა , თი „ის: ჰა (თი) ჰელ „ის სიტყვა“ — ჰად II თინ „იგი“ , $\text{ჰანირა} \rightarrow \text{ჰანიჯა II თინირა} \rightarrow \text{თინიჯა „მან“}$...¹

ამ ფუძეფორმათა შეფარდება გვიჩვენებს, რომ მესამე პირის ნაცვალსახელი იწარმოება ამავე პოზიციის ჰა და თი მითითებითი ნაცვალსახელის „წმინდა“ ფუძეზე $\text{=დ} =\text{ნ}$ სადეტერმინაციო სუფიქსის დართვით: ჰა=დ , თი=ნ . ამ (=დ , =ნ) მაწარმოებლებს შეიძლება ახლდეს ემფატიკური ხმოვანიც: ჰა=და , ჰა=დე ; თი=ნა , თი=ნე ; ეს ფინალური ელემენტები კორელაციურნი არიან და უნდა დახასიათდნენ პირველი და მეორე პირის მუხადურ (და წახურ) ნაცვალსახელებში ზემოთ გამოყოფილი ასეთივე ელემენტის კვალობაზე: შდრ. ზგ \leftarrow ზგნ (მე); ვგ \leftarrow ვგნ \leftarrow ვგნა, ლუ \leftarrow ლუნ \leftarrow ლუნა (შენ)...

მაშასადამე, მუხადურში (ისევე, როგორც წახურსა

1. ა. დირის მიერ „რუთ. ენაში“ (38 გვ.) ჰა , მი , ნაცვალსახელთა პარალელურად ნაჩვენებ ჰად , მიდ , თიდ ვარიანტთაგან უკანასკნელი (თიდ) მოწმდება მხოლოდ მოხუცთა მეტყველებასში და ისიც სპორადულად.

და სხვა თვისებებში) მესამე პირის (პიროვნების) ნაცვალსახელი და მითითებითი ნაცვალსახელი ტოლდებულნი არ არის: ამ ენაში მესამე პირის (პიროვნების) ნაცვალსახელი დეტერმინანტი=სუფიქსით გართულებული და გასუბსტანტივებული მითითებითი ნაცვალსახელია. სხვანაირად: მ, ფ სუფიქსთა დართვით ჰა, თი ნაცვალსახელი კარგავს მსაზღვრელი სახელის ფუნქციას და იძენს სუბსტანტივის, პიროვნების გამომბატველი ნაცვალსახელის, მნიშვნელობას. მაშასადამე, ამ ნაცვალსახელთა იგივეობაზე კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ — მხოლოდ მათს შინაგან კავშირზე. ეს თავად ა. ღირისავე მასალებიდანაც ჩანს: შდრ. მაგალ., ზას ჰა ედემი აწარა“ „მე იმ კაცს ვიცნობ“, „მე ეგ კაცი ვიცი, მეცნობა“, ფაჩაჰას ჰა რემ ვუღლის რევუს ღიგარ=ღიშირი „მეფეს მოუნდა ის (ეგ) ქალი ქმრისათვის მიეცა („გაეთხოვებინა“)" — მაგრამ: ჰად ზას ზარარი „ის (ეგ) მე მაწყენს“; ვა ჰად შუნა ჰაყარა“ შენ მას როგორ აკეთებ“... (შდრ. ა. ღირი, 1911, გვ. 39-40).

ჰა და თი ფუძე=ძირიდან წარმოქმნილი მესამე პირის ნაცვალსახელი მეტ=ნაკლებად გავრცელებულია მუხადური ენის თითქმის ყველა კილოში: ზოგჯერ ფაკულტატურად იხმარება (მაგალ., მუხრეკულში); რუთულურ კილოში პირველი (ჰა) ვარიანტი გავრცელებული, ხოლო მეორე (თი) ვარიანტი გვხვდება ამ ნაცვალსახელიდან ნაწარმოები ადვერბიალური მნიშვნელობის ზოგ სიტყვაში; ბორჩული კილო უფრო სხვაობს ამათგან (იხ. ქვემ.), თუმცა ჰა ფუძე=ძირიანი ნაცვალსახელი ამ კილოშიც იხმარება; ამასთან: თი=ს ნაცვალად აქ დადასტურებული ჩი (იხ. ქვემ.) უნდა დახასიათდეს როგორც ფონეტიკური სახესხვაობა: თი -> ჩი (იხ. ქვემ.). მაშასადამე, ამ მხრივაც ეს კილო მუხადურზე მოლაპარაკე სხვა აულთა მეტყველებას ისე დიდად არ შორდება.

მუხადურ კილოთა მიხედვით დამოწმებული მესამე

პირის ნაცვალსახელებია: ჰად (რუთ.), თინ II ჰან (ში-
ნაზ.), თინ II ჰან (იხრეკ.), ჰანა II თინა (მუხრეკ.),
ჰავად, ჰავადა II ჩინ = (ბორჩ.).

იხრეკულში სახელობითი ბრუნვის ფორმით ჩვეულებ-
რივ თინ ნაცვალსახელი იხმარება, ჰან ნაცვალსახელის
გამოყენება სპორადულია; ირიბ ბრუნვებში კი ამათი გა-
მოყენება ფაკულტატურია (იხ. ქვევ. მუხადურ ნაცვალ-
სახელთა ბრუნება). რუთულურ კილოში შედარებით უფრო
სტაბილური მდგომარეობაა: აქ ჰად ნაცვალსახელია
გაბატონებული; სხვა კილოებში კი პარალელურ ფუძე=ფორ-
მათაგან პირველ ადგილზე დასახელებულია უფრო გავრცე-
ლებული.

მესამე პირის მუხადური ნაცვალსახელების ფუძეთა
აგებულების ხასიათის გასარკვევად საჭირო იქნება ზო-
გი თვისტომი ენის ნაცვალსახელთა დასახელება; შდრ.,
კერძოდ, ლეზგიური ნაცვალსახელები: ამ ‘ა’ (სახ.),
ადა (ერგ.), ადან (ნათ.), ადაზ (მიც.) „იგი“, ათამა
(სახ.), ათადა (ერგ.), ათადან (ნათ.), ათადაზ (მიც.)
II ჰამა (სახ.), ჰადა (ერგ.), ჰადან (ნათ.), ჰადაზ
(მიც.) „ის“. აქედან პირველი (ამა...) და მესამე
(ჰამა...), უეჭველია, შინაგან კავშირშია ერთმანეთ-
თან: უკანასკნელი პირველის ფშვინვიერ=შემართვიანი
(ჰ=ინიციალიანი) ვარიანტია. ყველა ეს ვარიანტი
საზღვრულისაგან დამოუკიდებელივ ხმარებული, პირის
(გასუბსტანტივებული) ნაცვალსახელია. ატრიბუტული
მნიშვნელობით ეს ნაცვალსახელები გამოიყენებიან ფორ-
მაუცვლელად და მუხადურის მსგავსად წარმოგვიდგებიან
ოდენ „წმინდა“ ფუძის სახით: ათა, ჰა (პ.უსლარი, 1896,
გვ. 59, 69...). ეს ორი ნაცვალსახელი ერთიმეორეს
რომ შეეუდართ, მივიღებთ ასეთ სურათს: ათა ორნაწი-
ლიანი სიტყვაა და უნდა დაიშალოს ასე: ა~~თ~~ა, აქედან
პირველი ნაწილი უნდა იყოს გამარტივებული ჰა: ათა<-
ჰა~~თ~~ა; მაშასადამე, ათა <- ჰათა ორი — ჰა+თა ფუძე=

ძირის კომპინაციით თბუღი ნაცვალსახელია, რაც ასეთი სახით გამოიყენება მითითებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით, ხოლო სადეტერმინაციო სუფიქსის დართვით — პირის (პიროვნების) ნაცვალსახელად. ასეთივე ვითარებაა უდიურშიც: აქაც მითითებითი ნაცვალსახელი ფორმაცვლელი მსაზღვრელია, ხოლო ამისგან დეტერმინანტსუფიქსის დართვით წარმოიქმნება გასუბსტანტივებული ნაცვალსახელები, რომელთაგან მესამე პირის მითითებით ნაცვალსახელი გაიგება და გამოიყენება პირის (პიროვნების) ნაცვალსახელად; შდრ., ტე „ის“, ქა „ეგ“, მე „ეს“: ტე კოჯ ის სახლი“ და ა.შ.; მაგრამ: შენო „იგი“, ქანო „ეგ (სუბსტ.)“, მენო „ეს (სუბსტ.)“.

მაშასადამე, თვისტომ ენებში დადასტურებული მესამე პირის (პიროვნების) ნაცვალსახელიც არ უდრის მითითებით ნაცვალსახელს, თუმცა პირველი მეორესთან შინაგანს კავშირშია, რადგანაც იწარმოება მისგან; ამ ნაცვალსახელებს აქვთ სემანტიკური სიახლოვე, მაგრამ წარმოებისა და ფუნქციის მხრივ მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა არ იქნება სწორი: ერთისაგან მეორის წარმოქმნა არ ნიშნავს იგივეობას.

მესამე პირის ნაცვალსახელის წარმოქმნა=წარმოების მხრივ, როგორც ვხედავთ, მუხადურსა და თვისტომ ენებში სავსებით ერთნაირი მდგომარეობაა. საინტერესოა ისიც, რომ მეტ წილ შემთხვევაში ამ ენათა აღნიშნულ ნაცვალსახელში გამოიყოფა საერთო ფუძე=ძირებიც: შდრ., ჰა=დ, ჰა=ნ (მუხად.), ა=ჰა (ლეზგ.); თი=ნ (მუხად.), ა=თა (ლეზგ.) — შდრ., აგრეთვე: თე „ის“ (აღულ.), თოჟ || თაჟ „ის“, „იგი“ (კაცი), თორ „ის, იგი (ქალი)“ (არჩიბ.); ტე „ის“ (უდ.). წაბურშიც მესამე პირის ნაცვალსახელის წარმოება=წარმოქმნისა და გამოყენების იგივე წესია დაცული, ოღონდ ფუძე=ძირი აქ რამდენადმე განსხვავებულია (იხ. ზემ.).

მესამე პირის ნაცვალსახელი მუხადურში, თვისტომ

ენათა მსგავსად, არ არის დიდერენცირებული გრ. კლასების მიხედვით: ყველა კლასისათვის ერთი და იგივე ფუძეა გამოყენებული. ამ ხაზით ზოგჯერ სხვაობა ვლინდება ბრუნვის პროცესსა და მრ. რიცხვის წარმოების დროს, რის შესახებაც ცნობები მოწოდებული იქნება ქვემოთ (იხ. სხვა თავისებურებანი კილოებში. ნაცვალსახელთა ბრუნება).

6. მესამე პირის ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვი ეწარმოება, თუ იგი გამოიყენება საზღვრულის გარეშე, სუბსტანტივად. ამ კატეგორიის წარმოების დროს შეინიშნება ზოგი ფონეტიკური ცვლილება. მაგალითები: 1) რუთულური კილოს მიხედვით: შა=ბერ <- შან=ბერ, ანდა: შა=ბერ <- შად=ბერ; 2) იხრეკულის მიხედვით: თინ=ბერ || -> თიმ=ბერ || შა=ბერ <- შან=ბერ; 3) შინაზურის მიხედვით: თინ=ბერ || შა=ბერ, ანდა: შამერ <- შან=ბერ (შდრ. მხ. შან); 4) მუხრეკულის მიხედვით: შამ=ბერ || თიმ=ბერ < შან=ბერ, თინ=ბერ (შესაზამისად); 5) ბორჩულის მიხედვით: შაჟ=ბერ || ჩიმ=ბერ <- ჩინ=ბერ (ამ ნაცვალსახელებთან დაკავშირებული სხვა შენიშვნები იხ. ქვევით ნაცვალსახელთა ბრუნება).

პირის ნაცვალსახელთა აგებულება=წარმოების

ზოგი სხვა თავისებურება მუხადურ კილოებში

მუხადური ენის კილოებში პირის ნაცვალსახელთა წარმოება=აგებულების თავისებურება გზადაგზა შემოთავაღინიშნა. ზოგი ფონეტიკური სხვაობის მიუხედავად, შინაზური, მუხრეკული, იხრეკული და რუთულური კილოები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან ვიდრე, ვთქვათ, რუთულური და ბორჩული.

თავისებურებანი ბორჩულში: 1) პირველი პირის

ბორჩული ნაცვალსახელებია: აი („მე“) და აუქნარ II <-
აუქუნარ II აოქუნარ („ჩვენ“).¹ შდრ., ზგ <- ზგ <-
ზგნ (რუთ., შინაზ., მუხრეკ., იხრეკ.) „მე“; უი(მუხ-
რეკ., იხრეკ., შინაზ.) „ჩვენ“.

ერთი შეხედვით, ბორჩული აი („მე“) ეფარდება აულ
რუთულისა და მასთან ახლოს მდგომ სხვა აულთა მეტყ-
ველებათაში გავრცელებულ „ჩვენ“ ნაცვალსახელს: შდრ. აი
„მე“ (ბორჩ.) — აი „ჩვენ“ (რუთ.) და დგება საკით-
ხი: ხომ არ მომხდარა „მე“ და „ჩვენ“ ნაცვალსახელთა-
გან რომელისამე რეინტერპრეტაცია, ანდა: ამ ორი ნაცვალ-
სახელის განსხვავებულმა ფუძეებმა ხომ არ განიცადეს
ერთნაირი ფონეტიკური ევოლუცია და ამ გზით ხომ არ
დაემთხვენენ ისინი ერთმანეთს? დასმულ კითხვაზე პასუ-
ხი შეიძლება დაეყრდნოს პირველ ვარაუდსაც და მეორე-
საც, რადგანაც ერთიც შესაძლებელია და მეორეც. მაინც
საფიქრებელია, რომ ბორჩული აი („მე“) ფონეტიკურად
ვერ დაუკავშირდება, ერთი მხრივ, რუთულურსა და სხვა
კილოებში, ხოლო მეორე მხრივ, წახურსა და სხვა თვის-
ტომ ენებში (უდიურში, ალუღურში, ლეზგიურში, თაბასა-
რანულში) გავრცელებულ ზ= ვარიანტიან (ზგ <- ზგნ,
ზუ<- ზუნ, ი=ზუ) ნაცვალსახელს; თუ ბორჩულ „აი“ში
ა=ს მივიჩნევთ ძირისეულ ზ=ს ბადალ ელემენტად, მა-
შინ აქ უნდა ვიგულისხმოთ ზ -> ა პროცესი, რაც
საერთოდ არ მოწმდება მუხადურსა და დასახელებულ სხვა
ენებში, ე.ი. აი <- ზი <- ზინ (?) არ მართლდება
არც საკუთრივ მუხადურის კილოებისა და არც ამ ენას-
თან გენეტურად ახლოს მდგომ ენათა მონაცემებით. იბა-
დება სხვა აზრი: ბორჩული აი წარმოშობით ფორმანტია
და არა ძირისეული მასალა, ე.ი. აი („მე“) ნაცვალსა-
ხელი ფორმანტამდე დაყვანილი, ძირ=მოშლილი თავსარ-
თოვანი ელემენტია, რომელიც ეწევა მთელი ფუძეჟორ-

1. ეს ვარიანტები დაკულტატურად გამოიყენებიან.

მის მაგივრობას. ისე რომ, ამ ჰი „ნაცვალსახელის“ არქაული სტრუქტურის მოდელი უნდა ყოფილიყო ასეთი: ჰი = ზე <- ჰი = ზენ, ანდა: ჰი = ზედ (შდრ. ჰი = ზედ <- ჰი = ზე = დ, ჰი = ზენ „ჩემი“) — იხ. ზემ.; იხ. აგრეთვე — ნაცვალსახელთა ბრუნება.¹ როგორც ჩანს, ამ ბორჩულ ნაცვალსახელს მოეშალა აბა ძირისეული ელემენტი, მისი მაგივრობის გამწვევად დარჩა ფორმანტი,² — მოხდა სიტყვის ამ ნაწილის (ფორმანტის) რეიტენპრეტაცია, ასე ვთქვათ, რესემანტიზაცია.³

ბორჩულში „ჩვენ“ ნაცვალსახელის სტრუქტურული მოდელიც თავისებურია; დიდად სხვაობს სხვა დიალექტებში დამოწმებულისაგან. ეს ნაცვალსახელია ჟუჟნარ || ჟუჟნარ || ჟოჟნარ ჟოჟნარ, რაც რთული აგებულებისა და იშლება ასე: ჟუ = ჟნ = არ <- ჟო = ჟენ = არ. ამ კომპონენტთაგან პირველი (ჟუ = <- ჟო =) წარმოშობით კლასიკატეგორიის ნიშნამდე დაიყვანება (შდრ. ჰი = ზენ, ჟუ = დუ <- ჟუ = დუ < დ და მისთ. ფორმები. — იხ. ზემ.), ბოლოკიდური = არ მარცვალი მრავლ. რიცხვის სუფიქსია (იხ. ზემ. მრავლობითი რიცხვის წარმოება), მათ შორის მოქცეული = ჟენ = ფუძეა, ბოლოში = ნ სუფიქსით გართულებული. ამ სუფიქსის ჩამოცილებით ძირისეულ ელემენტად რჩება = ჟუ =. ბორჩულ ჟუ = ჟენ = არ ნაცვალსახელის თავისებურება ისიც არის, რომ მასში მრ. რიცხვი მორფოლოგიურად აღინიშნება (გამოიყენება = არ სუფიქსი) და არა სემასიოლოგიურად (სხვა კილოე-

-
1. თავკიდური ჰი = მარცვლის - როგორც პრეფიქსული ელემენტის — შესახებ იხ. ზემოთ.
 2. გამარტივების პროცესი საერთოდ უჩვეულო არ არის ლეზგიური ჯგუფის ენებისათვის, მათ შორის მუხალურისთვისაც: ამ ენებში სუსტდება და მოიშლება ხოლმე ძირისეული ელემენტი, მის მაგივრობას წინ მდგომი ან შემდგომი ფორმანტი ან ფორმანტთა კომპლექსი ეწვევა (იხ. ქვემ. „არის“ ზმნის აგებულება).
 3. შდრ. იგ. ჯავახიშვილი — 1937, გვ. 569...

ბისამებრ): შდრ. $\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ (რუთ. დიალ.), $\mathfrak{C}\mathfrak{H}$ (შინაზ., მუხ-რეკ., იხრეკ.) „ჩვენ“.

2) ზემოთაც იყო აღნიშნული, რომ მესამე პირის ბორჩული ნაცვალსახელებია: $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}$ <- $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{Z}$ || $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}$ და $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{I}\mathfrak{N}\mathfrak{A}$ -> $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{I}\mathfrak{N}$. აქედან გაბატონებულია პირველი, მეორე კი სპორადულად გამოიყენება. ჩვენი ბორჩელი ინფორმატორების განმარტებით, თინა ფუძე=ფორმა შორს მყოფს გულისხმობს, ხოლო $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}$ და მისთ. — უფრო ახლოს მყოფს.¹

აღნიშნულ ნაცვალსახელთაგან მრავლობითი რიცხვისა და ძირითად ბრუნვათა ფორმები ასეთი იქნება: $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}$ (ის), $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{N}\mathfrak{A}$ (მან), $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}$ (მისი), $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{N}\mathfrak{A}\mathfrak{S}$ (მას); $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ „ისინი (კაცი, ქალი)“, $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ „ისინი (პ. კლ.)“ — $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ (ერგ.), $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ (ნათ.), $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ (მიც.)...²

სხვა კილოებისაგან განსხვავებით; გარდა იმისა რომ ბრუნების დროს აქ თავს იჩენს ფუძის პოსტ-დეტერმინანტი =ნა: =ნა=რა (ერგ.), =ნა=დღ (ნათ.), =ნა=ს (მიც.), ყურადღებას იქცევს აგრეთვე ამ ნაცვალსახელის ფუძეში =უ || -> $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ არსებობა: $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ > $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$.

ფინალური =ფ-> ძირის საკუთენი არ არის, ფორმანტი და გენეტურად უკავშირდება გრ. კლასის ცნებას. წარმოების მხრივ ბორჩული $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}$ || -> $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ ისეთივე აგებულების ნაცვალსახელია, როგორც მაგალითად, გრ. კლასების მიხედვით დიფერენცირებული $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}$ (I. კლ.), $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ (2 კლ.) და $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ (3. კლ.) ხუნძური ნაცვალსახელები.³ მართალია, ამ ბორჩულ ნაცვალსახელებში აღარ ხდება გრ. კლასთა მკაფიო დაპირისპირება, მაგრამ ზემოთ დასახელებულ $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}$ || $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ ვარიანტს თუ დავუპირისპირებთ სხვა დიალექტთა მონაცემებს, დავრწმუნდებით, რომ

1. შდრ. ხუნძ. $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}$ „ეს“ — $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ „ის“.

2. ითქმის აგრეთვე: $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ = $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$, $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ = $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$...

3. ხუნძურში როგორც ჩვენებითი, ისე მესამე პირის ნაცვალსახელი იცვლება კლას=კატეგორიითა მიხედვით: $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}$, $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$, $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ „ის“; $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}$, $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$, $\mathfrak{C}\mathfrak{H}\mathfrak{A}\mathfrak{D}\mathfrak{I}\mathfrak{D}\mathfrak{A}\mathfrak{Z}$ „ეს“ (პ. უსლარი — 1889, § 88-94; არნ. ჩიქობავა — 1942, გვ. 32; არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე — 1962, გვ. 193, § 130).

მესამე პირის ამ ნაცვალსახელშიც უნდა ყოფილიყო კლას =კატეგორიის გარჩევა: შდრ., მაგალითად იხრეკული ჰანრა II ჰანურა <- ჰანა=ჟრა II თინურა <- თინა=ჟრა =რა „მან (კაცმა)“, ჰანირა <- ჰანა=ჟრა II თინირა <- თინა=ჟრა „მან (ქალმა)“; შინაზური: ჰა=ჟმჟრა „მათ (ცხოველებმა...)“; შდრ. აგრეთვე ნაცვალსახელთა რუთულური ფორმები: ჰანიჟა „მან (I. და 2.კლ.)“, ჰადირა „მან (3. და 4. კლ.)“... ამ ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმებზე ქვემოთ იქნება მსჯელობა, მაგრამ აქ წარმოდგენილი ცალკეული ნიმუშებიდანაც ნათლად ჩანს გრ. კლასის ასახვის ზოგი მომენტი. მაგრამ ამ განმარტებას უნდა დაემატოს შემდეგი: ბორჩულ ჰა=ჟ ნაცვალსახელში I., 2. და 3. კლასების ნიშნად გამოყენებულა ერთი მაწარმოებელი, რაც მეორეული უნდა იყოს. როგორცა ჩანს, თავდაპირველად ეს ფორმა ადამიანის კლასს გამოხატავდა, ხოლო შემდეგ მას „მიეკედლა“ მესამე (ცხოველის...) კლასიც. შინაზურ ჰა=ჟ, „ჰა=ჟმჟრა“ ნაცვალსახელში კი პირშებრუნებით მოხდა: ამ ფორმით თავდაპირველად ნივთის კლასი აღინიშნებოდა, ადამიანთა კლასის გამოხატვის ფუნქცია კი მას შემდეგ (რეინტერპრეტაციით) დაეკისრა. იხრეკულ „ჰანურა <- ჰანა=ჟრა“ II „თინურა <- თინა=ჟრა“ და „ჰანირა <- ჰანა=ჟრა“ II „თინირა <- თინა=ჟრა“ ფორმებში კი უკვე ადამიანის კლასის ორ (კაცისა და ქალის) ქვეკლასად დაშლა=დაყოფის ტენდენცია აისახა.

ამგვარად, ბორჩულისა და ზოგი სხვა კილოს თავისებურებაა მესამე პირის ნაცვალსახელში გრ.კლასის სუფიქსით გამოხატვა. აქ საინტერესო ისიც არის, რომ მუხადურში, resp. ბორჩულ კილოში ადამიანის კლასი არ არის მორფოლოგიურად დიფერენცირებული: კაცი და ქალი ერთი =ჟ აფიქსით აღინიშნება:

ბორჩულში ზემოთ აღნიშნულ ჰაჟ -> II ჰაჟ ნაცვალსახელის სინონიმია ჩინა, რომელიც ჩვეულებრივ იხმარე-

ბა მხოლოდობითი რიცხვის ერგატიული ბრუნვის ჩინარა ||
 -> ჩინარ („მან“) და მრავლობითი რიცხვის სახელობით
 და ერგატიულ ბრუნვათა ჩინბზრ -> ჩიმბზრ („ისინი“),
 ჩინბზრა -> ჩიმბზრა -> ჩიმმზრა -> ჩიმვრა („მათ“) ფორ-
 მებით. ბორჩულს მოეპოვება აგრეთვე ამ ნაცვალსახელის
 გამოყენებით წარმოქმნილი ადვერბიალური სიტყვა: ჩი-
 ნწგ¹ „იქიდან“. ჩინ ნაცვალსახელი მუხადური ენის
 სხვა კილოებში არა ჩანს; ასეთი ნაცვალსახელი მოე-
 პოვება წახურს: ჩინ (თვითონ მან“), ჩინი („თვითონ
 მისი“) . . . - იხ. ზევ. ამან შეიძლება გვავარაუდებინოს
 ერთი ენიდან მეორეში ამ ნაცვალსახელის ნასესხობა.
 მაგრამ: უფრო სწორი იქნებოდა, გვეფიქრა: ბორჩული ჩინ
 ნაცვალსახელი იგივე თინ ნაცვალსახელია, ფონეტიკურად
 სახეცვლილი: ჩინ <- თინ (რღ=ს მეზობლობაში პალატა-
 ლიზაციის შედეგად: ლ -> რ).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მესამე პირის თ=
 ძირიანი ნაცვალსახელი მოეპოვება მთის იბერიულ=
 კავკასიურ ბევრ ენას, შეგვეძლება დავასკვნათ, რომ
 სხვადასხვანაირად გაფორმებული (და ზოგჯერ ფონეტიკურ-
 რად სახეცვლილი) ეს ნაცვალსახელი ამ ენათა საერთო
 კუთვნილებაა: შღრ., სახელდობრ: ა=ათა||ჰა=ათა „ის“
 (ლზგ.); თე „ის“, თურ „ისინი“ (აღლური); თაჟ (I.
 კლ.), თარ (2. კლ.), თაბ (3. კლ.), თათ <- თოდ (4.
 კლ.) „ის“, თებ „ისინი“ (არჩიბული); თა „ის“, თანალ
 „მის“, თაჲ || -> თეჲ „ისინი“, თაჲა, თაჲრა „ისინი თვითონ“
 — გრ. კლას. მიხ. (ლაკური) . . .² — შღრ., აგრეთვე ლე

1. შღრ. სხვა კილოებსა და ბორჩულში ხმარებული „ც“
 ნაწილაკის მნიშვნელობის გააზრება „მეც“, ლეჲა
 „შენც“, თინდი=გა „ისიც“ . . . იხ. ქვევ. ნაწილაკდართუ-
 ლი ნაცვალსახელები.
2. აკად. არნ. ჩიქრბაჲა „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“
 აღნიშნავს, რომ, მეგრულში მესამე პირის ნაცვალსახე-
 ლად მუ „მან“. ჩვენივეთ ნაცვალსახელებად გვაქვს
 ე=ნაჲ, თ=ნაჲ „ეს“, ინა, თ=ინა „ის“, აგრეთვე: ათე=ნაჲ „ეს“,
 „აი ეს“, ეთინა „ის“, „აი ის“; მსაზღვ. ხმარებისას ჩვენე-
 ბიძს ნაცვალსახელს—ნა ეკვეცება: „ეკორი, ათე კორი, რენ

— „ის“ ტეზარ „ისე“ (უდიური); დოჲ, ღოჲ, ღობ „ის“ — გრ. კლასის მიხ. — (ხუნძური)...

ფონეტიკური თვალსაზრისით ამ ნაცვალსახელთა ურთიერთობის საბოლოოდ გარკვევისათვის შემდგომში საჭირო იქნება მთის იზ. კავკასიური ენების მასალის მრავალსაბუთიანი შედარებითი ანალიზი. ამჟამად კი ეს, რასაკვირველია, სცილდება ჩვენი ამოცანების ღარგლებს.

„შენ“ და „თქვენ“ ბორჩული ნაცვალსახელები არ განსხვავდებიან სხვა კილოებისაგან: ლუ „შენ“, გვუ „თქვენ“. ერთადერთი, რაც ქმნის ბორჩულის თავისებურებას, ის არის, რომ აქ „შენ“ ნაცვალსახელის ლუ ფუძე = ფორმას (სხვა კილოებისამებრ) არა აქვს გამარტივებული (ღ = მოშლილი) ვარიანტი: „ღ“ = ს. შემცველი ფუძე

კაცი“, „აი ეს კაცი“, იკოჩი, თი კოჩი, ეთი კოჩი „ის კაცი“, „აი ის კაცი“... = ნა ნაწილაკი ისეთივე (თუ იგივე) სადეტერმინაციო ელემენტი ჩანს, რაც მენა, შენა, ჩვენა, თქვენაში გამოცხადით. თ = ელემენტი კი ჰერმეტიზმით განმარტებით დას ქართველური ენების სინამდვილეში; მას მეგრულსა და ზანურში აქვს ადგილი... და უცხო გარემოდან შეთვისებულის შთაბეჭდილებას ტოვებს (გვ. 74). შემდეგ მოცემულია ცხრილები: „პირთა სახელებისა და ჩვენებითი სახელების ბრუნება მეგრული და ქართული პარალელებით“. მესამე პიროს „მუქ“ ნაცვალსახელის მრავლობითის ბრუნებასთან დაკავშირებით აკად. არნ. ჩიქობავა დასძენს: „მრავლობითში ზანური ფუძეც განიცდის ცვლილებას და მეგრულიც: ზანურში = დაერთვის, მეგრულში = ნ (იგულისხმება ზან. მუ = თეფე || მუ = თეფე და მეგრ. მუ = თეფე; „ისინი“, „იგონი“). ხოლო ამ ფუძეფორმათა გამო დასკვნილია: „მრავლობითის ფუძეს დართული = ზანურში და = ნ = მეგრულში ერთი და იგივე ღირებულების მორფოლოგიური ოდენობა უნდა იყოს, ოღონდ სხვადასხვა ენობრივი ფენიდან. მათი მორფოლოგიური ფუნქცია და სადაურობა გარკვევას საჭიროებს“ (გვ. 76, 77). — აქ მოწოდებულ განმარტებასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ზემოთ ნაჩვენები ნაცვალსახელური ფუძეფორმები ხომ არ იძლევიან საღუძველს, ვიფიქროთ: ის „უცხო გარემო“ საიდანაც შეუთვისებია ზანურს ეს თ = ძირიანი ნაცვალსახელი ან მაწარმოებლად ქვეული თ ელემენტი, ხომ არ არის სწორედ ენათა ის ჰგეფი, რომელსაც მიეკუთვნებიან წახური, მუზადური, ლეზგიური, ალუღური, არჩიბული, უდიური და სხვა თვისტომი ენები?

უცვლელად დაჰყვება ყველა ბრუნვის ფორმას (იხ. ქვევ. მუხბადურ ნაცვალსახელთა ბრუნება).

მითითებითი ნაცვალსახელი

ზოგადი

ბრუნვის ენათა უმრავლესობის მსგავსად წახურსა და მუხბადურს მოეპოვება სამპოზიციანი მითითებითი ნაცვალსახელი - პირველი, მეორე და მესამე პირისა. თუმცა აქ განლაგების ამგვარი წესი ხშირად ირღვევა (!?) და პირველი და მეორე, ან მეორე და მესამე, ზოგჯერ, სულაც, პირველი და მესამე პირის მითითებითი ნაცვალსახელები პრაქტიკულად ირვევს ერთიმეორეში. მითითებით ნაცვალსახელში არ გამოიყოფა გრამატიკული კლასის პრეფიქსი - არც ცოცხალი, მოქმედი, და არც გაქვავებული აფიქსის საბით. სამაგიეროდ მას თავიკიდურ ელემენტად, ზოგი სხვა ნაცვალსახელის მსგავსად, მიუდის მნიშვნელობის ვამაძლიერებელი, კატეგორიულობის გამომხატველი ნაწილსაკი.

წახური და მუხბადური მითითებითი ნაცვალსახელები არ განიარჩევიან დაბლა და მაღლა მდებარეობის, ზევით და ქვემოთ ყოფნის გამომხატვით; შდრ., აღუღური, რომელსაც მოეპოვება ასეთი ნაცვალსახელები: მე „ეს“, თე „ის“, გე „ის (ქვევით)“, ლე „ის (ზევით)“. თუმცა. ამ ენაში მითით. ნაცვალსახელები ყოველთვის არ გამოხატავენ ასეთ დაპირისპირებას (ა. დირი, 1907, გვ. 21).

მითითებითი ნაცვალსახელებისაგან იწარმოება ლოკატიური მნიშვნელობის სიტყვები (იხ. ქვევ. „უფორმო“ სიტყვები).

მითითებითი ნაცვალსახელები ბრუნებისა და რიცხვის ფორმას იცვლიან ცალკე, დამოუკიდებლად, გამოყენების შემთხვევაში; მსაზღვრელად კი ფორმის უცვლელად იხმარებიან.

წახურს აბადია 1) ისეთი მითითებითი ნაცვალსახე-
ლები, რომლებსაც მოუდით მნიშვნელობის გამაძლიერებე-
ლი თუ კატეგორიულობის გამომხატველი თავკიდური ელემენ-
ტი ჰა= და 2) ისეთები, რომლებსაც არ მოუდით ასეთი
ნაწილაკი.

წახური მითითებითი ნაცვალსახელებია: 1) ინა (1.
- 3. კლ.), ინ (4. კლ. და მრ.რ. ყველა კლ.) „ეს“;
ჰანა <- ჰანა (1.-3. კლ.), ჰან <- ჰანი (4. კლ.,
მრ. რ. ყველა კლ.) „აი ეს“, „სწორედ ეს“. წახურში
გავრცელებულია აგრეთვე ხმოვანთა ასიმილაცია=კონტრაქ-
ციის შედეგად წარმოქმნილი ჰინა (<- ჰინა <- ჰე=
ანა <- ჰანა) და ჰინ ცარიანტიც. ამ უკანასკნელებს
აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც ჰანა, ჰან ნაცვალსა-
ხელებს; ამათი გამოყენება ფაქულტატურია. 3) მანა
(1.-3. კლ.), მან (4. კლ., მრ.რ. ყველა კლ.) „ის“ (მო-
საუბრე პირთან უფრო ახლოს მყოფი), - „ეგ“; ჰამანა
(1.-4. კლ.), ჰამანი (4. კლ., მრ.რ. ყველა კლ.) „აი,
სწორედ ის“, „აი, სწორედ ეგ“. 4) შენა (1.-3. კლ.),
შენ (4. კლ., მრ.რ. ყველა კლ.) „ის“ — ჰამენა (1.
-3. კლ.), ჰამენ (4. კლ., მრ.რ. ყველა კლ.) „აი, სწო-
რედ ის“. შენა, შენ რთულდება ზოლმე ბოლოსდართული
=სა II ->=სა ელემენტით: შენასა II -> შენასა, შენ-
სა; ამგვარად გართულებულ ამ ნაცვალსახელს აქვს ორგ-
ვარი მნიშვნელობა: 1) „ის - უფრო შორს მყოფი“; 2)
„სხვა, ვინმე“, „ვილაცა“; „სხვა რამე“, „რადაცა“;¹

ყველა ჩამოთვლილი ნაცვალსახელი ამ სახით გამოი-
ყენება სახელობით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან; უკა-

1. ა. დირი ამ =სა ელემენტს უკავშირებს „ერთის“ აღმნი-
შვნელ „სა“ რიცხვით სახელს (=სა ა ვარიანტი არა
აქვს აღნიშნული მას). ასეთი ეტიმოლოგიური ძიება
სწორი უნდა იყოს.

ნასკნელის „ირიბ“ ბრუნვაში დასმის შემთხვევაში კი ეს ნაცვალსახელები ასე იცვლებიან: 1) ინი, ჰა=ანი, ჰინი; 2) მანი, ჰა=მანი; 3) შენი, ჰა=შენი. როგორც ებრაელთა, ისე ივერთა სახელობით ბრუნვაში დასმულ ამ ნაცვალსახელთა ბოლოკიდური =ჲ; მის ადგილს იკერს =ი ელემენტი, რომლის თავდაპირველ მნიშვნელობას ნათესაობითი ბრუნვის ნიშნამდე უნდა მივყავდეთ. ყველა ამ ნაცვალსახელს ბოლოკიდური =ჲ ელემენტი ეკვეცება მაშინაც, როდესაც ღირთავენ მრავლობითი რიცხვის სუფიქსს. ამასთან: ზოგ კილოში (წახურულში, მიწვეურში, მიქიქურში) მრ. რიცხვის მაწარმოებლის დართვას მოსდევს არსებითი ბასიათის ლინტიკური ცვლილებები: შდრ., მაგალ. იმმჲ<-იმმჲ<-იმმჲ<-ინმჲ; ჰამმჲ<-ჰამმჲ<-ჰამმჲ<-ჰამინმჲ; 2) მამმჲ <- მამმჲ <- მანმჲ... 3) შემმჲ <- შემმჲ <- შენმჲ... ამას ვიღობიწურულქურში და ახლ ხიახის მეტყველებაში უპირისპირდება: იმბი || <- ინბი, ჰიმბი || <- ჰინბი; მამბი || <- მანბი; შემბი || <- შენბი ... უკანასკნელ ფორმებში დაცულია უნრო ძველი, ადრინდელი მდგომარეობა, ვიდრე პირველში.

ყველა ზემოთ დასახელებული ნაცვალსახელი გამოიყენება მსაზღვრელის მნიშვნელობითაც და ცალკეც, სუბსტანტივად. ზემოთაც ითქვა, პირველ შემთხვევაში თითოეული ეს ნაცვალსახელი ფორმაუცვლელია (თუ არ ვიგულისხმებთ „ირიბ“ ბრუნვაში ზემოთ უწყებული =ჲ ელემენტის დართვას), ხოლო მეორე შემთხვევაში მოუდის რიცხვის სუფიქსიც და ეცვლება ბრუნვითა ფორმაც.

წახურ მითითებით ნაცვალსახელთა გამოყენების ნიმუშები ასეთი იქნება: ა) მსაზღვრელის ცუნქციით: ინა ჰუნაშუჲ აიზდა აედ ვორნა „ეს ქალი ჩემი დედა არის“; აიზდა დუსტ ჰაჰინა ადამი ვორნა „ჩემი მეგობარი აი, სწორედ ეს კაცი არის“; ინ || ჰინ ხაჲ აიზენ ხაჲ ვოდენ „ეს სახლი ჩემი სახლი არის“... დამანი ჰაანი სურალ ზჲ ვორნა, შენი სურალ ლუ „მდინა-

რის აი ამ მხარეზე მე ვარ, შენ - იმ მხარეს“ (= „გამომდინარე ვარ, გადმომდინარე შენ“); მანა ადამი გერ ჟუგნა = ვორ „ეს კაცი ძალიან კარგია“; მან ადამერ გებ ჟუგუნ = ვობ „ეს კაცები ძალიან კარგები არიან“; მანი სუვა ჟუჰხანა მაცადანებ ჟობ (ჟომნა) „ამ მთაში რკინის მადანიც არის“; გ) დამოუკიდებელი ნაცვალსახელის, სუბსტანტივის, მნიშვნელობით: ჰანა II ინა ჰიზდა როჟ ვორნა „ეს ჩემი ძმა არის“; შენა ჰიდნა ბალქან ეომნა „ის შენი ცხენი არის“; მანა II ჰამანა ჟუგნა ადამერ ვორნა „ეს, აი ეს, კარგი ადამიანიც არის“.

მითითებით ნაცვალსახელთა ზოგი კილოური

თავისებურება წახურში

წახურ კილოებში მითითებითი ნაცვალსახელების წარმოება = გამოყენების მხრივ თითქმის ერთნაირი მდგომარეობაა. ზოგი თავისებურება, რაც ამ ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმაში შეინიშნება, აღნიშნული იყო ზემოთ. ყურადღებას იქცევს გილმიწურ კილოში შენიშნული ერთი ასეთი თავისებურება: აქ მესამე პირის ნაცვალსახელად იხმარება ჰანა II ჰენა (მხოლ.რ.), ჰანა II (მრავლ.რ.); ეს ნაცვალსახელი იხმარება უმთავრესად მრჩობლ = ჟუძიან (იხ. ქვემ.) უკუქცევით ნაცვალსახელთან ერთად, თანაც ისე, რომ ამ უკანასკნელს არ დაერთვის მნიშვნელობის გამაძლიერებელი, სადემონსტრაციო ჰანა = ნაწილაკი (შდრ., უკუქცევითი ნაცვალსახელები). ნიმუშები: ჰენა ღუჟ = ჰარნა არჟ „ის (კაცი) თვითონვე მოვიდა“; ჰენა ჰიჟ = ჰარნა არჟ „ის (ქალი) თვითონვე მოვიდა“; ჰანა II ჟიჟაბნა აბკენ „ისინი თვითონვე წავიდნენ“. ამ ცნობების მიხედვით დგება ამ ჰანა ელემენტისა და თავად ჰანა -> ჰენა ნაცვალსახელის ფარდობა = იგივეობის საკითხი; სხვანაირად რომ ვთქვათ: ჰანა -> ჰენა ბოლოში = ნა

ელემენტით (დეტერმინანტი=სუფიქსით) გართულებული ჰა საყრდენ-ფუძიანი ნაცვალსახელი უნდა იყოს. ეს (ჰა) რომ შეიძლება, მართლაც, მესამე პირის ნაცვალსახელი იყოს, მოწმდება მუბადურ კილოთა მონაცემებით; შდრ., მაგალ.: ჰა=ფუჯ (1. კლ.), ჰა=რიჯ (2. კლ.), ჰა=ვიჯ (3. კლ.), ჰა=გიჯ (4. კლ.) და თინდჯ=ფუჯ, თინდჯ=რიჯ „ის თვითონ“ და ა.შ. ამ ნაცვალსახელებში თინდჯ= და ჰა= სინონიმებია; თინდჯ მესამე პირის ნაცვალსახელია, მაშასადამე, ამის ბადალი „ჰა“= ამავე მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულია. ხოლო თუ ვიგულისხმებთ იმასაც, რომ ჰენა ← ჰანა გილმიწურში ჰენა ნაცვალსახელის სინონიმია, ჰა=ს ზემოთ წარმოდგენილი ეტიმოლოგიური ძიება ამითაც სარწმუნო გახდება. საყურადღებოა ისიც, რომ მარტივ-ფუძიანი ჰა გამოიყენება შაზღვრულად, ანა სუფიქსდართული კი — სუბსტანტივად. ამის ფარდი ფუძე-ფორმა მოეპოვება მუბადურს (იხ. ქვემ.).

მითითებითი ნაცვალსახელი მუბადურში

მუბადურს მოეპოვება 1) ჰე= ელემენტით გართულებული და 2) ამის უქონელი მითითებითი ნაცვალსახელები; სახელდობრ: 1) ჰე=მიდ, ჰე=თინ, რომელიც აღნიშნავს კონკრეტულობას, კატეგორიულობას: „აი ეს“, „სწორედ, მაინცდამაინც ეს“ (ჰე=მიდ); „აი ის“, „სწორედ, მაინცდამაინც ის“ (ჰე=თინ); 2) მიდ, თინ, ჰად — გამოსატაცს უფრო ზოგად მნიშვნელობას, განუსაზღვრელობას: საერთოდ „ეს“, არაკონკრეტულად, არაკატეგორიულად „ეს“ (მიდ); „საერთოდ ის“, არაკონკრეტულად, არაკატეგორიულად „ის“ (თინ, ჰად). ა. დირი, ამ ნაცვალსახელთა მნიშვნელობას ასე თარგმნის (1911, გვ. 38-41): ჰემიდ — „ეს (ახლოს მყოფი)“, მიდ — „ეს (ცოტათი მოშორებით)“; თი, თინ — „ის (ახლოს)“, ჰე-თინ — „ის (იქით)“. შემდეგ ა. დირი ჩამოთვლის ამ

ფორმათა გამოყენების მაგალითებს, რაც ხშირად არ ეფარდება არც თავის განმარტებასა და არც მუხადურის (რუთულურ=შინაზურის) სინამდვილეს.

მუხადურ მითითებით ნაცვალსახელთა გამოყენების ნიმუშები: 1) მსაზღვრელის ფუნქციით: ა) ზას ჰა ეღე-მი აწარღიშ „მე ამ (იმ) კაცს არ ვიცნობ“=„მე ის კაცი არ ვიცი“; ზა ჰეჯერი ჰა ქარ „მე გავაკეთე ეგ (ის) საქმე“; ჰა რეშ იზღე ზედი რიცი „ის (ეს?)ქალიშვილი ჩემი ბიძაშვილია“... ბ) ჰალღე ჰემი ჰივან ვიცი „ვისია ეს ცხენი“; მი გჰილახ ზა ვაყარა „ამ საქმეს მე ვაკეთებ“; ჰანიჯაშ თინ ეღემი ზენ=ჰეჯერი „მან ის კაცი დაჭრა“; მიდ ხალ ჰაბხერ=ყა თინდღლა „ეს სახლი მაღალია იმაზე“. ჰემიდ ჰარხდღ=აწ თინდღლა „აი ეს (ვინმე) დიდი არის იმაზე (უფრო მაღალია იმაზე)“... 2) დამოუკიდებელი ნაცვალსახელის, სუბსტანტივის, მნიშვნელობით: ჰად აჯხტე ეღემი=აწ „ის კარგი კაცია“; ჰად ვას ზარაარ=აწ „ის (ეგ) შენთვის ზარალია“, „ის შენ გაწყენს“; ჰად მა=რათ! „მას ნუ სცემ!“ თინ ჰეჰაჯრე დიდღბდა „ის წავიდა მამასთან“; მიდ ვუშ=აწ „ეს ვინაა?“ მიდ || ჰემიდ შიჰ ეღემი=აწ „ეს რა (რანაირი) კაცია“...

სხვა შენიშვნები წახურ=მუხადურ მითითებით

ნაცვალსახელთა თაობაზე

I) ამ ენებს მოეპოვებათ როგორც საერთო, ისე განსხვავებული მითითებითი ნაცვალსახელები; გარკვეულ შემთხვევაში საერთო მნიშვნელობის ზოგი ამ ნაცვალსახელთაგანი შეიძლება დაყვანილ იქნეს ფონეტიკურ კორელაციამდე. წახურსა და მუხადურში საერთოა ჰანა -> ჰანა || -> ჰენა (წახური, resp. გილმიწური) და ჰად || -> ჰა (მუხადური) ნაცვალსახელები; განსხვავებულია

ჰა=მანა II ჰა=მან, შენა II შენ (წახური) და ჰა=თინ=
 =დგ (მუხადური) ნაცვალსახელები; ამასთან მ (მა) ძი-
 რიანი ნაცვალსახელი წახურში მესამე პირის ან მეორე
 პირის („ის“ და „ეგ“) ნაცვალსახელის მნიშვნელობას
 გამოსატყვევებს, მუხადურში კი — პირველი პირისა („ეს“,
 „ამ“ ნაცვალსახელისა). მუხადურ თინ ნაცვალსახელს
 კილოებში შეეფარდება თს პალატალიზაციითა და აფრი-
 კატიზაციით მიღებული ჩინ (ბორჩულ=შინურ=ხინავეურში).
 შდრ. წახური ჩინ, ჩისა, ჩილ ნაცვალსახელი, გამოყენე-
 ბული შენა, ჰანა ნაცვალსახელთა სინონიმად (იხმარება
 სპორადულად).¹ ისე რომ: წახური და მუხადური მაში-
 ნაც ამჟღავნებს ერთიანობას, როდესაც თავს იჩენს
 სხვაობა და სურათი დაბნელებულია თითქოს. ოღონდ სარ-
 კვეცი რჩება მ და მი ფუძე=ძირთა ერთიერთობის სა-
 კითხი: ამ ფუძე=ძირისაგან ერთ შემთხვევაში პირველი
 პირის მითითებითი ნაცვალსახელი იწარმდება (მუხადურ-
 ში), ხოლო მეორე შემთხვევაში — მესამე და ზოგჯერ
 მეორე პირისა (წახურში). როგორ გავიგოთ ეს? საფიქ-
 რებელია, რომ მ ძირიანი ნაცვალსახელი თავიდან არ
 იყო განსაზღვრულ =შეზღუდული რომელიმე პოზიციით, ე.ი.
 არ გამოსატყვევდა კონკრეტულად ადებული რომელიმე პირის
 ნაცვალსახელის მნიშვნელობას. ამგვარ განმარტებას
 სარწმუნოს ხდიან ლეზგიური (კიურული) ენის მონაცე-
 მები. ამ ენას აბაღია მითითებით ნაცვალსახელთა
 მთელი სერია: ი, ე, ათა, ჰიანი, აღა, ჰა. აქედან პ.
 უსლარის განმარტებით, ი ნაცვალსახელი მიუთითებს
 იმაზე, რაც (ვინც) ახლოსაა ამასთან, ვინც ლაპარა-
 კობს ან ვისაც ელაპარაკებიან (შდრ. ქართ. ეს, ეგ
 ნაცვალსახელი); ე ნაცვალსახელი მიუთითებს მოლაპა-
 რაკე პირისაგან შორს მყოფსა და ვისაც ელაპარაკებიან,
 იმ პირთან ახლოს მყოფზე (შდრ. ქართ. „ეგ“), ანდა

1. იხ. ზემ. პირის ნაცვალსახელები: მესამე პირის
 ნაცვალსახელი.

ისეთ ვინმეზე ან რამეზე, ვის ან რის შესახებაც ჯერ არ ყოფილა ლაპარაკი. ათა მიუთითებს იმაზე, ვინც ან რაც შორსაა როგორც პირველი, ისე მეორე პირისაგან; ალა მიუთითებს მოლაპარაკე პირისაგან ქვევით მყოფზე. ჰა ნაცვალსახელს აქვს „ის“ ნაცვალსახელის მნიშვნელობა, ამასთან ითქმის იმაზე, რაზედაც უკვე იყო ლაპარაკი. ყველა ეს ნაცვალსახელი დაირთავს მი და მა ელემენტს, თუკი იგი ცალკე, სუბსტანტივის მნიშვნელობით იხმარება სახელობით ბრუნვაში. ამ ნაცვალსახელებს ასეთი კომპოზიცია აქვთ: ი=მი, ა=მა, ათა=მა, ჰანნი=მა, ალა=მა, ჰა=მა (პ.უსლარი, 1896, გვ. 69-72). როგორც ქვემოთაც იქნება განმარტებული, მსაზღვრელ სახელთა, მათ შორის მითითებით ნაცვალსახელთა, გასუბსტანტივება ხდება ნაცვალსახელური წარმოშობის პოსტდეტერმინანტებით. იხ. ქვევ. ბრუნების თავისებური (ანალიტიკური) ტიპი. უეჭველია, რომ ამ ლეზგიურ მითითებით ნაცვალსახელებშიც ამავე სადეტერმინაციო ფუნქციითაა გამოყენებული მი და მა ელემენტი. ხოლო ის, რომ ეს ელემენტები დაერთვიან ყოველგვარ მითითებით ნაცვალსახელს პირთა პოზიციისა და მდებარეობა=განლაგებათა განურჩევლად შეიძლება გამოდგეს იმისთვის, რომ მი და მა მივიჩნიოთ ზოგადი მნიშვნელობის ნაცვალსახელად. ეს კი თავის მხრივ იძლევა საფუძველს წახური მა (მა=ნ, ჰა=მა=ნ...) და მუხადური მი (მი=დ, ჰე=მი=დ) დავახასიათოთ, როგორც ზოგადი (უფრო სწორედ - ნეიტრალური) მნიშვნელობის ნაცვალსახელი.¹

ყველაფერი ის, რაც წახურ=მუხადური, აგრეთვე ლეზგიური ჯგუფის ზოგი სხვა ენის მიხედვით ითქვა, შეიძლება ჩავთვალოთ თვისტომ ენათა საერთო კუთვნილებად. თუ მუ-

1. შტრ., თუნდაც, ქართული, სადაც I, II და III პირისთვის გამოიყენება ერთი და იგივე მ=ელემენტიანი ნაცვალსახელები: ამ, ამან, ამას, ამის...; მაგ, მაგან, მაგას, მაგის; იმ, იმან, იმის; მან: მან, მას, მის...; ამათ, იმათ, მათ...

ხადურის მსგავსად, მაგალითად უდიდურშიც მძიძირიანი ნაცვალსახელი გარკვევით პირველ პირზე მიუთითებს (შდრ. მე „ეს“, ქა „ეგ“, ტე „ის“), სამაგიეროდ ადულურში ამ ნაცვალსახელის მნიშვნელობა არეულია (!): აქ ერთი და იგივე მვე ნაცვალსახელი — მინ(ნათ.), მიტე, მის (მიც. I, 2), მურ (მრ. სახ.) ფორმებით — გამოიყენება მესამე პირისა და (გარკვეულ კონტექსტში) პირველი პირის მითითებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით: შდრ., მაგალ., მვე უშუნაჰა „ის წავიდა“, მვე ერემი „ეს ადამიანი“ (ა. დირი, 1907, გვ. 109).

როგორც ჩანს, ამ ენებში მძიძირიანი ნაცვალსახელის კონკრეტული პირდა მიხედვით გვიანდელ ხანაში დაიწყო და ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა.

2) თავის მხრივ ყურადღებას იქცევენ მითითებით ნაცვალსახელთა ბოლოკიდური ელემენტები: ან || ანა (წახურში), ად || ადუ (მუხადურში): მაან || მაანა, ჰა-მაან || ჰამაანა, ჰჰანა || -> ჰეანა, ჰჰან || -> ჰეან, შეანა || შეან (წახ.); აჰაად, მიად, თინად (მუხად.). ეს ბოლოკიდური ელემენტები, რომელთა ფარდობას წახურსა და მუხადურში კანონზომიერი ხასიათი აქვს, რასაკვირველია, ძირის კუთვნილება არ არის, ფორმანტები — დეტერმინანტი-სუფიქსები. შდრ., პირის, კითხვისა და უკუქცევითი ნაცვალსახელები, სადაც გამოიყოფა ასეთივე ბოლოკიდური ელემენტები. ზოგ თვისტომ ენასაც მოეპოვება ამგვარივე ბოლოკიდური ელემენტები, კერძოდ, — უდიურს, რომელიც ფონეტიკური თვალსაზრისით წახურის მდგომარეობას იზიარებს: შდრ., მაგალ. ა) ააან (ჩვენ), ვაან (თქვენ), უან <- ჰუან (შენ), ზუ <- ზუან (მე); ბ) მე (ატრიბ.) — მეანა (სუბსტ.) „ეს“ ქა (ატრიბ.) — ქაანა (სუბსტ.) „ეგ“, ტე || შე (ატრიბუტ.) — შეანა (სუბსტ.) „ის“.

I. ტეანა არ იხმარება, თუმცა ან ელემენტმა შეიძლება იჩინოს თავი ტე ნაცვალსახელის სხია ფორმაში, -იხ. აქვე ქვევ.

დასახელებულ ამ უდიურ ნაცვალსახელებში ლ მასუბს-
 ტანტივებელი სუფიქსია, ამის წინ მდგომი =ნ= ელემენ-
 ტი კი — საწარმოებელ ფუძესთან შეზრდილი ამჟამად
 (ღუნქცია მოშლილი) დეტერმინანტი=სუფიქსი. ეგვეე ნ
 ელემენტი, ოღონდ ფონეტიკურად სახეცვლილი, გვხვდება
 აგრეთვე მითითებით ნაცვალსახელებისგან ნაწარმოებ
 ასეთ სიტყვებშიც: მემა <- მე=მა <- მე=ნ=მა <-მენ
 =ამა „ამოდენა“, „ამოდენი“; ქამა <- ქა=მა <-ქა=
 =ნ=მა <- ქან=ამა „მაგოდენა“, „მაგოდენი“; ტემა <-
 ტე=მა <- ტენ=ამა „იმოდენა“, „იმოდენი“. ამ სიტყვათა ამგვარად დაშლისა და რეკონსტრუქ-
 ციის საშუალებას იძლევა უდიურშივე ხმარებული სიტყვე-
 ბი: ე=მა <- ე=ამა „რამოდენი“, „რამდენი“ (შდრ. ე
 ადამარ=ა „რა კაცია?“ ე=თარ || ე=ჯურა „რანაირი“,
 „როგორი“, „რანაირად“ „როგორ“, ე=ყარა „რამდენი“ და
 მისთ.)

3) ამ დეტერმინანტ=სუფიქსებთან დაკავშირებით უნ-
 და აღნიშნოს შემდეგი: ა) წახურში დადასტურებული
 =ნა და =ნ ელემენტები გამოიყენებიან გრ. კლასების
 სადიფერენციაციო ნიშნად; მუხადურში კი ამის ბადალ
 =დ სუფიქსს ამგვარი დანიშნულება არა აქვს: =დ სუ-
 ფიქსი მოუდის ყველა კლასის აღმნიშვნელ მითითებით
 ნაცვალსახელს. აქ. გრ. კლასების დიფერენციაცია ხდე-
 ბა საწარმოებელი ფუძისა და ბრუნვის ნიშნის შუა მოქ-
 ცეული ხმოვნების ცვლით (იხ. ქვევ. ნაცვალსახელთა
 ბრუნება). ეგვი არ არის, რომ მხ. რ. მე=4 კლასისა
 და მრავლ. რ. ყველა კლასისთვის გამოყენებული =ნ
 სუფიქსი იგივეა, რაც ხმოვანმოუკვეცილი I. და 2.

1. ვლ. ფანჩვიძე (1941, 1948) უდ. მე=ნაო, ქა=ნაო,
 შე=ნაო ნაცვალსახელთა =ნ= ელემენტს ეტიმოლოგიუ-
 რად უკავშირებს მესამე პირის ნიშნად ზმნაში გა-
 მოყენებულ ნე („იგი“) ნაცვალსახელს. —
 (?! ე.წ.)

კლასებისთვის გამოყენებული აწ სუფიქსი. გასათვალისწინებელია აქ ლინგვისტური პროცესის ერთგვარი გრამატიზაცია. აწ სუფიქსი აღრინდელი ცითარებისთვის უნდა საყოველთაო ყოფილიყო ისევე, როგორც ფ <- ფ სუფიქსის გამოყენება მუბალურში.

3) ყურადღებას იპყრობს თინდუ ნაცვალსაბელში ბოლოკიდური ფ ნარცელის წინ აწ ელემენტის არსებობაც. როგორც ჩანს, აწ ერთიანი საღებურმინაცო ანიანი იყო წაბურამუბალურში და თვისტომ ენებში (კერძოდ, უდიურში...). ამ სუფიქსის ცენტრის მოშლის შემდეგ თინ ნაცვალსაბელს დაერთვის ახალი (აფ) სუფიქსი.

უკუტყვევითი ნაცვალსაბელი

ზოგადი

წაბურ და მუბალურ უკუტყვევით ნაცვალსაბელს ორნაირი ცუქე აქვს — კლასკატეგორიის პრეციპსიანი და ამგვარი პრეციპსის უქონელი. აქელან პირველი (ჩვეულებრივ) საბელუპითისათვის და (სპორადულად) ერგატრული პრეციპსისათვის გამოიყენება, ხოლო მეორე — სხვა დანარჩენი პრეციპსისათვის. ამ ნაცვალსაბელში პრეციპსაციის გარდა, გრ. კლასთა ღიფერენციაცია ხდება ცუპისეული ხმოვნის მონაცვლეობითაც. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს აქ გამოიყენებოდეს ცუის შივაგანი ცუქესია (!). უკუტყვევით ნაცვალსაბელს თანში დაერთვის „ნაწილკად“ ქვეული და კატეგორიულობის გამოშატეული მიჯიფებითი ნაცვალსაბელი.

უკუტყვევითი ნაცვალსაბელი წაბურში

წაბური უკუტყვევითი ნაცვალსაბელებია: ფუჰ (1. კლ.), ჰიჰ (2. კლ.), ვჰჰ || ფუჰ (3. კლ.) „თვითონ“

(სახელობ.), ვუჯე ← ვუჯეა ← ვუჯეა (ერგატ.), ჯუ-
სუნი, ჯონი ← ჯუანთი (ნათ.), ჯუს, ჯოს ← ჯუა=ს
(მიც.) — I გრ. კლასისათვის და ჰიჯე←ჰიჯეა(ერგ.)
ჯენა ← ჯიანა (ნათეს.), ჯეს ← ჯიას (მიც.) --
II და III გრ. კლასისათვის.

ამ ფორმათა მიხედვით პირველი გრ.კლასის გამოსა-
ხატავად ფუძე=ძირად გამოიყოფა ჯუ||→ჯ, ხოლო მეორე და
მესამე კლასისა ჯუ || → ჯ, გარდა იმისა, რომ პირ-
ველ შემთხვევაში გუ= პრეფიქსი ერთვის ფუძეს (სახ.
და ერგატ.), მეორე შემთხვევაში ხი= და მესამეში —
გუ=→გუ= (სახელ. და ერგატ.).

კილოებში უკუქცევითი ნაცვალსახელის წარმოება=
გამოყენების მხრივ თითქმის ერთნაირი მდგომარეობაა;
შენიშნული სხვაობა ფონეტიკურ ცვლილებებს მიეწერება.
შედარებით უფრო მეტი თავისებურებაა გილმიწურში(იხ.
ქვემ.).

ა.ღირი, გარდა ზემოთ ნაჩვენები ფუძე=ფორმებისა,
კლასების მიხედვით ასახელებს ჯარ (1.), ჯარ, ჯერ
(2.), ჯაბ (3.), ჯად (4.) და მრავლ. რ.ჯაბ (1. 2.),
ჯად (3. 4.) ფორმებსაც. აქედან, როგორც ჰგავს, ზოგს
(ზემოთ უწყებულ ვუჯ, ჰიჯ და მისთ.) დამოუკიდებელ
ნაცვალსახელად მიიჩნევს, ზოგს კი (კვეცილ ვარიანტს)
— არა. პირველებს უწერიათ „დამოუკიდებელი“, მეო-
რეების, — ე.ი. ჯარ, ჯერ, ჯაბ, ჯად ნაცვალსახელების
შესახებ კი დასძენს: „თვით, თვითონ“ ნაცვალსახელს
და პირის ნაცვალსახელებს დაერთვიან ენკლიტიკურად.

შემდეგ ა. ღირი ჩამოთვლის ფრაზეოლოგიურ ნიმუ-
შებს, მაგალ.: ზე ვუჯ=ჯარ არე „მე (კაცი) თვითონ
(თავისთავად) მოვიდი“, ბალქან. ვუჯ=ჯაბ აბე „ცხენი
თვითონ, თავისთავად მოვიდა.“ ა. ღირის ამ ცნობების
მიხედვით წახურს უნდა ჰქონდეს მრჩობლ=ფუძიანი უკუქ-
ცევითი ნაცვალსახელებიც. მაგრამ, უნდა შევნიშნოთ,
რომ ის, რაც ა. ღირს პრეფიქს=ჩამოცილებული ნაცვალ-
სახელი ჰგონია, თანამედროვე წახურში ასეთად აღარ

აღიქმება, ნაწილაკოვან ელემენტადაა ქცეული და გამო-
 ხატავს დაახლოებით იმას, რასაც ქართული =ვე ნაწილა-
 კი; მაშასადამე, ისეთი გამოთქმა, როგორცაა ზგ აიჯ =
 ჯარ და მისთ., უნდა გავაიგივოთ და ვთარგმნოთ ასე: „მე
 თვითონ=ვე“ და ა.შ. ამ წახური ჯარ, ჯაბ, ჯად(გრ.კლას.
 მიხ.) ნაწილაკად=ქცეული სიტყვის მნიშვნელობას, მაგა-
 ლითად, თვისტომ უდიურში შეესაბამება =გარ II-> გერ,
 რომელიც შესაძლოა ისტორიულად წახურ ჯარ -> ვერ=ს
 ედარდებოდეს კიდევ, ოღონდ მისი გამოყენების არე უფ-
 რო ფართოა, ვიდრე წახური ჯარ და მისთ. ამასთან უდიურ
 =გარ ელემენტი არ იცვლება გრ. კლასების მიხედვით.
 შდრ. უდ. ზუ=გარ „მე=ვე,“ (ზუ „მე“), უნ=გარ, „შენ=
 ვე“ „შენ თვითონ“ (უნ „შენ“), შელ=გარ „კარგად=ვე“
 (შელ „კარგი“, „კარგად“), მძა=გარ „აქვე“ (მძა „აქ“),
 ლე=გარ „დღესვე“ (ლე „დღეს“) და ა.შ.

სხვანაირად რომ ვთქვათ: წახურს მოეპოვება ერ-
 თი და იმავე ჯ ძირიდან ნაწარმოები სამი სახეობის
 უკუქცევითი ნაცვალსახელი: ერთი — გრ. კლას=კატეგო-
 რიის პრეფიქსით გართულებული (და სახელობითი ბრუნვის
 ფორმად გამოყენებული): ვუ=კ, აი=კ; მეორე — მარტივ-
 ფუძიანი: ჯუ, ჯი (ირიბ ბრუნვათა ფუძედ გამოყენებული)
 და მესამე — გრ. კლასის სუფიქსით გართულებული და
 ამჟამად ნაწილაკად ქცეული: ჯაარ (I.2. კლ.) ჯააბ(3.
 კლ.), ჯააღ (4. კლ.).

უკუქცევით ნაცვალსახელთა წარმოება=

წარმოქმნის ზოგი თავისებურება წახურ კილოებში

როგორც ზემოთაც ითქვა, „თვით“, „თვითონ“ ნაცვალ-
 სახელი წახურ კილოებში ერთნაირად იწარმოება და ერთ-
 ნაირადვე გამოიყენება, თუ არ ვიგულისხმებთ ფონეტიკუ-
 რი პროცესების შედეგად მიღებულ ზოგ ცვლილებას, სახელ-

ლაბრ, პირისეული უ აკრიკატის დასაცხებასა და სპირანტიზაციას: ვუ. -> (უუ, ღი. -> ღიუ. ამგვარი ცვლილება შეინიშნება, მავალითად, აულ მიქიქისა და გრლმიწის, ზოგჯერ ლექის (ყურღულის) მეტყველებაში. გილმიწურ კილოში შეიმჩნევა სხვა თავისებურებაც: ა) აქ მხ. და მრ. რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთან უკუქცევითი ნაცვალსახელი ვუჟ, ღიჟ -> ვუჟ, ღიჟ (კლას. მიხ. - შესაბამისად) არ გამოიყენება. ამის მავიგრობას ეწვევა პირის ნაცვალსახელის რედუბლიკაცია, ზოგჯერ კი ნაწილაკად ქცეული უარ და მისთ. ნაცვალსახელი (იხ. ზეც.), 2) „ვე“ ნაწილაკის მნიშვნელობისად ქცეული ეს ნაცვალსახელი გართულებულია ბოლოსდართული =ნა ელემენტით (ამ ელემენტის გამოყენება =გამოუყენებლობა დაკულტატურია). 3) ორივე რიცხვში დასმული მესამე პირის ნაცვალსახელს დართული ვუჟ და ღიჟ; ნაცვალსახელში ხდება რინტიკური ცვლილებები; გარდა ზემოთ აღნიშნული უ -> უ პროცესისა, აქ შეინიშნება: ა) ვუჟ ნაცვალსახელის თავში ვუს წინ ან მის ადგილას ღუს განვითარება: ¹ ვიჟ=ჟაბ -> ვიჟ=აბ -> (->ღვიჟ=ჟაბ); ბ) ამ მრჩობლი ნაცვალსახელის გამოყენების დროს ვიჟ -> ვიჟ ნაწილის გამარტივება, მასში ძირისეული უ -> უ ელემენტის ამოვარდნა, ხოლო ამის შედეგად ამ ნაცვალსახელთა კონტამინირებული სახეობის წარმოქმნა; 4) გილმიწურში მე=ნ გრ. კლასის უკუქცევითი ნაცვალსახელს ეწარმიება მრავლობითი რიცხვის ფორმა: ღიჟ=ბი „თავითნ“ (ნ. კლ.). და, ბოლოს, მრავლობითი რიცხვის მესამე პირში გრ. კლასის თავკიდური ელემენტები ხშირად არ ჩანს, ხოლო ასეთი ფუძე=ძირი ურთა=ს სახითაა წარმოდგენილი.

გილმიწურის მიხედვით აღნიშნულ თავისებურებათა

1. ისევე, როგორც მავალითად „თავის“ აღნიშვნელ ვუკულ || ვუჟულ =ში: შდრ. ღუჟკულ || ღუჟჟულ, ღუჟკულ, ღუჟჟულ...

საილუსტრაციო ნიმუშები: ზ2 ზ2 =ჯარ || ზ2 ზ2=ჯარნა არე „მე თვითონ (თავად მე) მოვედი“. ლუ ლუ=ჯარ || ლუ ლუ=ჯარნა არე „შენ თვითონ (თავად შენ) მოხვედი“; ში ში=ჯარ || ში ში=ჯარნა ჰაბკენ „ჩვენ თვითონ (თავად ჩვენ) წავიდით“; შუ შუ=ჯარ || შუ შუ=ჯარნა ჰაბკენ „თქვენ თვითონ (თავად თქვენ) წახვედით“; შენა ლუ=ჯარ || ლუ=ჯარნა არე „ის (კაცი) თვითონ (თავად) მოვიდა“; შენა დიუ=ჯარ || დიუ=ჯარნა არე „ის (ქალი) თვითონ (თავად) მოვიდა“; შანბი ჯრია=ჯარ || ჯრია=ჯარნა ჰაბკენ „ისინი თვითონ (თავად) მოვიდნენ“; ასევე: ინსანარ ჯრია=ჯარ. ჯრია=ჯარნა აბკენ „ადამიანები თვითონ წავიდნენ“; ბაღ-ქანარ დიუბი=ჯარ || დიუბი=ჯარნა აბკენ „ცხენები თვითონ წავიდნენ“; ან კიდევ: ბაღქან ვიუ=ჯარ || ვი=ჯარ აბკენ „ცხენი თვითონ წავიდა“; ვახტაქრია ჯუა=ჯარ აბკენ „დრო-თი (დროებით) თვით (დრო) წავიდა“.

ამ თავისებურებათაგან აღსანიშნავია ისიც, რომ გილმიწერში მესამე გრ. კლასისათვის გამოიყენება ვიუ (<- ვიჯ) და არა ვუჯ, რაც დამოწმებულია კერძოდ, წახურულსა და მასთან ახლოს მდგომ სხვა აულთა მეტყველებასში. შდრ. ამ კლასისათვის გამოყენებული ვიჯ ნაცვალსახელი მუხადურისა (იხ. ქვევ.).

უკუქცევითი ნაცვალსახელი მუხადურში

მუხადური უკუქცევითი ნაცვალსახელებია 1) აულ რუ-თულის მეტყველების მიხედვით: მხ.რ. ჰა=ვეუჯ (1.), ჰა=რიჯ (2.), ჰა=ვიჯ (3.); მრ. რ. ჰაბჯრ=ჯრქარ; 2) აულ შინაზის მეტყველების მიხედვით: ჰად=ვეუჯ, ჰად=რიჯ, ჰად=ვიჯ (მხ.რ. გრ. კლასების მიხ.); ჰად=ჯრქარ (მრ.რ. ყველა გრ. კლასი); 3) აულ იხრეკის მეტყველების მიხედვით: თინდჯ=ვეუჯ, თინდჯ=რიჯ, თინდჯ=ვიჯ (მხ.რ. გრ. კლასების მიხ.); ჰაბჯრ=ჯრქელ (მრ.რ. ყველა კლ.); 4) აულ ბორჩის მეტყველების მიხედვით: რინდჯ=ვეუჯ, რინდჯ

რეკლამა, ჩინდღევიჯ (მზ.რ.); ჩიმბჯრეჯიბარ (მრ. რ.).
ბორჩულში ამის პარალელურად შინაზურში გავრცელებული
ვარიანტიც გამოიყენება.

ეს ნაცვალსახელები გაიგებიან და ითარგმნებიან
ასე: „ის=თვითონ“; „ისინი=თვითონ“. ეს ნაცვალსახე-
ლები, როგორც ვხედავთ, გართულებულნი არიან ჰა, ჰად
(რუთ. შინაზ.) და თინ (იხრეკ.) მითითებითი ნაცვალსა-
ხელებით, რომლებიც ნ. ტრუბეცკოის სიტყვებით რომ
ვთქვამთ, „თავსართად“ ემატებიან მნიშვნელობის გასაძ-
ლიერებლად (ნ. ტრუბეცკოი, 1930, § 15).¹

ამ ნაცვალსახელთა „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე გამარ-
ტივებულია: ჩამოცილებული აქვს გრამ. კლასის პრეფიქ-
სი: შდრ. ჯუ (ერგ.), ჯულუ <- ჯულჯ (ნათ.), ჯუს (მიც.)
— 1. კლ.; ჯი (ერგ.), ჯიდ (ნათ.), ჯის (მიც.) — 2.
და 3. კლ. ეს გამარტივებული ფუძეფორმები საერთოა
ყველა კილსათვის. ამ მხრივ ზოგ თავისებურებას ამჟ-
ღავნებს იხრეკული კილო, რომლის შესახებაც ცნობები
მოწოდებული იქნება ქვემოთ.

ბ. დირი ასე ჩამოთვლის უკუქცევით ნაცვალსახელებს:
მხოლ. რ. — 1) ვუჯ, 2) რჯ, 3) ვჯ (რუთულურის მი-
ხედვით) 1) ვუჯ, 2) რიჯ, 3) ვიჯ, 4) ჰიჯ; მრავლ. რ. —
ჯუარ (რუთ.), ჯუერ (შინაზ.). ეს ცნობები თავისთავად
სწორია. სწორია ისიც, რომ რუთულურის მიხედვით იგი
არ ასახელებს ამ ნაცვალსახელს მე=4 გრ. კლასისადღეს
(სათანადო ადგილას კითხვის ნიშანი აქვს დასმული):

1. ნ. ტრუბეცკოი ამგვარ ელემენტებს მიიჩნევს განსაზღ-
ვრებით პროკლიტიკურ არტიკლად. მაგრამ თუ გავითვალ-
ისწინებთ იმას, რომ პროკლიტიკური პროკლიზში მყოფს
ნიშნავს, ხოლო ეს უკანასკნელი გულისხმობს უმახვილო
ელემენტს, რომელიც წინ ერთვის მომდევნო სიტყვას —
ამ უკანასკნელთან ერთად ერთ ფონეტიკურ მთლიან
ქმნის, ტრუბეცკოისეული დახასიათება მუხადურ ფაქტებ-
ზე ვერ გავრცელდება, რადგანაც ზემოთ ჩამოთვლილ ნაც-
ვალსახელებში გამოყოფილი ჰა= ჰად=, თინდჯ= ნაწილი
ყოველთვის ატარებს მახვილს, ამასთან იგი ყოველთვის
არ ერთვის მომდევნო სიტყვას (შდრ. თუნდაც, ნახაზი
უკუქცევითი ნაცვალსახელები).

ეეჭვება, იხმარება თუ არა ამ კლასისათვის ასეთი ნაცვალსახელი). შემდეგ დასახელებულია „მთავარ“ (1) ბრუნვათა ფორმები, რომელთა შორის არა ჩანს მე=2 და მე=3 გრ. კლასის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (საფიქრებელია, რომ ა. დირის მთხრობელი ვერ გარკვეულა ამაში და არ მოუწოდებია ცნობები ამის თაობაზე). ჩვენს დაკვირვებაზე დაყრდნობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმა დასახელებულია ზემოთ (იხ. აგრეთვე ქვევ. ნაცვალსახელთა ბრუნება). რაც შეეხება ამ ნაცვალსახელის მე=4 გრ კლასის აიჯ ფორმას, იგი რუთულურ კილოში გაქრობის გზაზეა დამდგარი (თითოაზროლა ღრმა მოხუცისაგან თუ გამიგონია); მოწმდება შინაზურში, იშვიათად — ბორჩულ-შინურ=ხინავეურში. შდრ. წახური, სადაც ეს (აიჯ) ფორმა მე=2 გრ. კლასის ნაცვალსახელადაა გამოყენებული (იხ. ზემ.).

უკუქცევით ნაცვალსახელთა წარმოება=წარმოქმნის

ზოგი თავისებურება მუხადურ კილოებში

უკუქცევითი ნაცვალსახელები მუხადურ კილოთა მონაცემების მიხედვით ჩამოთვლილია ზემოთ. ამ ხაზით კილოებში სხვაობა თითქმის არ არის. ერთადერთი, რაც მათ ასხვავებს, ის არის, რომ ამ ნაცვალსახელის ძირითადი (გუჯ, რიჯ, ვიჯ, აიჯ) ნაწილი, რომელიც საერთოა ყველა კილოსთვის, რთულდება რუთულურში და შინაზურში ჰა (რუთ.), ჰად (შინაზ.), იხრეკულში თინდღ და ბორჩულში ჩინდღ ნაცვალსახელით (იხ. ზევ.). იხრეკულის გარდა, „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე=ფორმებიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ყველა ამ კილოში ერთი და იგივეა: ჯუ (I. კლ.), ჯი (ყველა სხვა კლ.); ზოგი სხვაობა ჩნდება ბრუნების პროცესში (იხ. ქვევ. ნაცვალსახელთა ბრუნება).

ზოგი სხვა თავისებურება შეინიშნება იხრეკულ

კილოში. აქ მე=3 გრ. კლასის გამომხატველი უკუქცევითი ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე აგებულების მიხედვით ასე გამოიყურება: ჯიჯი (ერგ.), ჯიჯი=ღჯ (ნათ.), ჯიჯი=ს (მიც.) და ა.შ. ბრუნვის ნიშანთა ჩამოცილების შემდეგ რჩება რთული აგებულების საყრდენი ფუძე: ჯიჯი, რომელიც უნდა დაიშალოს ასე: ჯი=ჯი. აქედან მეორე შემადგენელი ნაწილი, ცხადია, იგივეა, რაც ზემოთ სხვა კილოების მიხედვით გამოყოფილი (ნივთის კლასისათვის ნიშანდობლივი) ფუძე „ირიბი“ ბრუნვებისა. სარკვევი რჩება პირველი (ჯი=) კომპონენტი. შეგვეძლო ჯიჯი დაგვეხასიათებინა რთულ, გაორმაგებულ ფუძედ, მაგრამ ამგვარი რელუბლიკაციით ნაცვალსახელთა ფუძის წარმოქმნა საერთოდ დამახასიათებელი არ არის მუხადურისათვის. წახურში, განსაკუთრებით კი — გილმიწურ კილოში — მოწმდება ამ ნაცვალსახელის მრჩობლფუძიანი წარმოება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პირველ კომპონენტს (უკუქცევით ნაცვალსახელს) უთუოდ უნდა ჰქონდეს კლასნიშნობანი ფუძე=ფორმა: შდრ., ვუჯ=ჯარ, ჰიჯ=ჯარ, ეჯჯ=ჯაბ (იხ. ზევ.) ამით კი გვეძლევა საფუძველი, ვიფიქროთ: თავიკიდური ჯი= ელემენტიც გრ. კლასის პრეფიქსია, ოღონდ ფონეტიკურად სახეცვლილი: ჯი=ჯი <- დი=ჯი.¹ იხრეკულის ეს ფაქტა ორ მხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი: მოწმდება „ირიბ“ ბრუნვებში ცოცხლად შემონახული კლასნიშნობანი ფუძე; მეორეც: მე=3 გრ. კლასს (ნივთის კლასს) ამ ნაცვალსახელში აქვს ღ=(დი=) პრეფიქსი. ეს უკანასკნელი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ მისი აქ არსებობა კიდევ ერთხელ ასაბუთებს იმას, რომ სახელობითში დამოწმებული გ= (ვი) ნიშანიც უთუოდ ნივთის კლასისათვის დამახასიათებელი პრეფიქსის ანარეკლია და,

1. ამგვარი ფონეტიკური პროცესი საერთოდ დამახასიათებელია მუხადურისათვის: შდრ., მაგალ., დიშ->ჯიშ „არ არის“, „არა“ (იხ. ქვემ. ზმნის უარყოფითი ფორმები).

როგორც ეს ზემოთაც განიმარტა, იგი უნდა მიღებული იყოს ბ=საგან (ან სპირანტოიდული ბუნების რაღაც ბაგისმიერი ხშულისაგან), თორემ უცნაური იქნებოდა, ერთ შემთხვევაში (სახელობით ბრუნვაში) ადამიანის კლასის პრეფიქსი გამოყენებულიყო (გ=ი=ჟ), ხოლო მეორე შემთხვევაში („ირიბ“ ბრუნვაში) — ნივთისა (დი=ჯი -> ჯი=ჯი). ნივთის კლასის ექსპონენტთა ვე <- ბი და ჯე <- დე ურთიერთ შენაცვლებას კი აქვს გამართლება — მითუმეტესად ისეთ ენაში, როგორიცაა მუხადური (იხრეკული კილოს სახით), სადაც ერთსა და იმავე დროს ნივთის კლასი აღინიშნება ხან ერთი და ხან მეორე მაწარმოებლით; მუხადურში ასეთ მაწარმოებელთა რიგს ეკუთვნის ბ, მ. დ, რ, ა (ნული), რომელთაც შეიძლება ხმოვანნიც (უპირატესად ჯ, ი) მოსდევდეს.¹

საერთო ხასიათის შენიშვნები და

განმარტებები

შედარება გვიჩვენებს, რომ წახურსა და მუხადურში გამოიყენება ფონეტიკურად და მორფოლოგიურად ერთი და იგივე ან ფარდი უკუქცევითი ნაცვალსახელები:

1. წახურსა და მუხადურში საერთოა, კერძოდ, ვუჯ ნაცვალსახელი—თვითონ (მამაკაცი)“. ეს ვუჯ იშლება ასე: ვუ=ჯ (ვ=უ=ჯ?); აქედან თავიკიდური ვუ=(ვ=?)პირველი გრამატიკული კლასის პრეფიქსია, ხოლო ჯ ძირისეული ელემენტი.

2. მეორე გრამატიკული კლასისთვის ამჟამად გამოყენებული „თვითონ“ ნაცვალსახელი — წახური აიჯ და მუხადური რიჯ II რჯუ-ერთმანემს კანონზომიერად ეფარდება;

¹ იხ. გრამატიკული კლასები. გრამატიკული კლასის გაქცევებულ პრეფიქსთა საკითხი.

სახელდობრ: მუხადურში დადასტურებულ თავკიდურ რ(რი=, რ₂=) ელემენტს, წახურში, როგორც წესი, შეესაბამება \underline{a} (აი=, ა₂=), რაც ნივთის კლასის ექსპონენტაგანია. მაშასადამე, მუხადური რიჯ ნაცვალსახელის მსგავსად წახური აიჯ ფორმაც ოდითგან ნივთის კლასის გამომხატველ უკუქცევით ნაცვალსახელად უნდა იქნეს მიჩნეული და არა ადამიანის, resp. ქალის კლასისად.

რომ ვთქვათ, ქალის კლასისათვის აიჯ (წახ.) და რიჯ (მუხად.) ფუძეფორმათა გამოყენებაც მეორეულია: ადრინდელი ვითარების მიხედვით ამ (ქალის) კლასისთვისაც ვუჯ ფორმა უნდა ყოფილიყო გამოყენებული — ისევე, როგორც, მაგალითად, ვუმ, უმ, ჰუმ (ვინ?) ნაცვალსახელი, რომელიც დღესაც თანაბრად დაესმის კითხვად ადამიანის (პიროვნების) კლასის ყველა წარმომადგენელს — კაცსა და ქალს, დიდსა თუ პატარას, ხოლო აიჯ, რიჯ, როგორც ითქვა, თავიდან ნივთის კლასის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. შინაზურსა და ზოგ სხვა კილოში ამჟამადაც მეოთხე გრამატიკულ კლასისად სწორედ აიჯ ფუძეფორმა იხმარება (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, 1937, გვ. 540-544...).

3. სარკვევი რჩება მესამე გრამატიკული კლასისათვის გამოყენებული ვუჯ (წახ.) და ვეჯ II ვიჯ (მუხად) ფუძეფორმათა გამოყენების საკითხი. ნივთის კლასის გამომხატველ ამ ნაცვალსახელში ერთი შეხედვით უცნაური ჩანს მამაკაცის, resp. ადამიანის (პიროვნების) კლასის \underline{v} (ვე=, ვე=, ვი=) მაწარმოებლის გამოყენება. აქაც ან კლას-კატეგორიის ექსპონენტთა რეინტერპრეტაციის საერთო ტენდენციის გასათვალისწინებელი, ანდა დასაძებნია ისევე რაიმე ფონეტიკური ფაქტორი. თუ დავეყრდნობით იმას, რომ წახურსა და მუხადურში სისტემატურად ხდება \underline{b} და \underline{p} (ვ) თანხმოვანთა სუბსტიტუცია, შეგვეძლო ვუჯ, ვეჯ II ვიჯ ნაცვალსახელის წინა სახეობად ბუჯ, ბეჯ, ბიჯ მიგვეჩინა. ¹ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი-

¹ იხ. ზემ. გრამატიკული კლასები. გრამატიკული კლასის გაქცევებულ პრეფიქსთა საკითხი.

ლი აღნიშნავს, რომ „წინადადების 1. სქესკ. „თითონ“ აისა-
თვის რომ ვუჯ, 2. სქესკ. „აიჯ“ და 3. სქესკ. „ვეჯ“
აქვს ცალკეულად, ამავდროის ბოლოსართად ნახმარი 3.
სქესკ. ფორმა „ჯაბ“ ცხადჰყოფს, რომ წინათ წახუ-
რულს ამ 3. სქესკ. კატეგორიის ნიშნად ზეჰქონია და ამი-
ტომაც აწინდელი ვუჯ უნდა აღინდელი ბუჯისაგან იყოს
წარმომდგარი“ (ივ. ჯავახიშვილი, 1937, გვ. 559).

ამგვარად, პირველი გრამატიკული კლასის, ႠႵႶႧ.
აღამიანის კლასის ვუჯ ნაცვალსახელისა და მესამე გრა-
მატიკული კლასის, ႠႵႶႧ ნივთის კლასის გამომხატველი
ვეჯ (ვეჯ, ვიჯ) ნაცვალსახელის ფუძე-ფორმა ემთხვევა
ამ უკანასკნელში მომხდარი (*ბუჯ -> ვუჯ) ფონეტიკური
ცვლილების გამო, და, მაშასადამე, უნდა მოიხსნას აქ
ამ ფორმათა იგივეობის საკითხი.

4. წახური ენის გილმიწურ კილოში მე=3 გრამატი-
კული კლასის ნაცვალსახელად ვიჟ (<- ვიჯ) ფორმაა გავრ-
ცელებული (იხ. ზევ.), რაც თავის მხრივ წახური ენის
სხვა კილოთაგან მუხადურთან ყველაზე ახლოს ამ კილოს
(გილმიწურს) აყენებს. ეს, მეორე მხრივ, იმიტაცაა
აღსანიშნავი, რომ წახურსა და მუხადურში მესამე გრა-
მატიკული კლასის ნაცვალსახელად გამოყენებული ვიჯ
(-> ვიჟ) შეიძლება თანაბრად დავუპირისპიროთ პირველი
გრამატიკული კლასისთვის ხმარებულ ვუჯ ნაცვალსახელს
და დავსვათ ამ ნაცვალსახელთა თავკიდური ელემენტე-
ბის სხვადასხვა წარმომავლობის საკითხი: ვუჯ <- ვუჯ
(1., 2. კლ.); ვუჯ <- ვეჯ <- ბეჯ -> ბიჯ -> ვიჯ ->
ვიჟ (3. კლ.). ამ კლასებისთვის დღეს გამოყენებულ
უკუქცევით ნაცვალსახელთა არქეტიპები სხვადასხვაა,
ხოლო ფონეტიკური ევოლუციის შედეგი ერთნაირი.

5. აღამიანის კლასის ვუჯ ნაცვალსახელისა და
ნივთის კლასის ვუჯ, ვიჯ ნაცვალსახელის მსგავსების
შემთხვევითობაზე მიუთითებს აგრეთვე „ირიბ“ ბრუნვათა
განსხვავებული ფუძეები. სხვანაირად რომ ვთქვათ: ირიბ
ბრუნვათა ფუძის დიფერენციაცია თავისთავად ბადებს

მოსაზრებას სახელობით ბრუნვაში ამ (I. და 3. გრამატიკული კლასთა) ნაცვალსახელის ფუძეჲორმის მსგავსებათა შემთხვევითობის შესახებ.

6. გრამატიკული კლასის თავიკიდურ ელემენტთა ჩამოცილების შემდეგ რჩება ძირისეული ჯ თანხმოვანი. ასეთად გამოჰყოფენ. მას სხვა მკველვრებიც (ა.ღირი, ივ. ჯავახიშვილი). „ირიბ“ ბრუნვათა ფუძეები ჯუ - I კლ., ჯი - 2.-4. კლ. იძლევიან საფუძველს, ვიფიქროთ, რომ სახელობითში ძირისად გამოყოფილ ჯ ელემენტსაც ახლდა ხმოვანი. აკად. ივ. ჯავახიშვილი ერთგან აღნიშნავს, რომ „თუ ამავე ძირის ბოლსართებად ქცეულს (უკუქცევით ნაცვალსახელს — ე.ჯ.) ჯარ, ჯარ, ჯაბ და ჯად=ს ჩაფუკვირდებით და გავითვალისწინებთ, რომ აქაც რ, ბ და ღ ბოლსართებია, მაშინ მათი ჩამოცილების შემდგომ, „ითონ“=ის ცნების გამომხატველად უკვე ჯბ მარცვლი დაგვრჩება (დასახელ. შრ., გვ. 559).

ამ განმარტებათა მიხედვით შესაძლებელი ხდება ვუჯ (წახ., მუხად.), ძიჯ (წახ.), რიჯ (მუხად), ვიჯ (წახ., მუხად.) ნაცვალსახელთა. ფუძის ამგვარი რეკონსტრუქცია: ვუჯ <- ვუჯა, ძიჯ <- ძიჯა, რიჯ <- რიჯა, ვიჯ <- ვიჯა (<- ბიჯა). სავარაუდოა აქ მახვილიანი ხმოვნის გავლენით ბოლო ხმოვნის დასუსტება და მოკეცვა.

7. საინტერესოა „ირიბ“ ბრუნვათა ფუძის ხასიათიც: ჯუ (I. კლ.), ჯი (ყველა დანარჩენი კლ.). აქ ყურადღებას იქცევს ხმოვანთა ალტერნაცია: პირველი კლასისთვის იხმარება უ ხმოვნით გართულებული ძირი, ხოლო დანარჩენი კლასისა - ე ხმოვნით გართულებული. რით უნდა იყოს შეპირობებული ხმოვანთა ასეთი ცვლა? ამ ენებისთვის შინაგანი ფლექსია არ არის დამახასიათებელი და, მაშასადამე, გრამატიკულ კლასთა (ისევე, როგორც სხვა რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის) სადიფერენციაციო ნიშნად ვერ მივიჩნევთ ხმოვანთა

ამგვარ (სპონტანურ) ცვლას. ისე, რომ, აქაც (უკუქცევით ნაცვალსახელებში) ხმოვანთა ამგვარი (უ/ი) ალტერნაცია უნდა აიხსნას სხვაგვარად.

ჯუ და ჯი უნდა დახასიათდეს როგორც გამარტივებული ფუძეები: სახელობითი დასმულ ვუჯ, ღიჯ, რიჯ, ვიჯ; ფუძე=ფორმათა მსგავსად ამ ჯუ და ჯი=საც უნდა ჰქონოდა გრამატიკული კლასის ეუ=, ღი=, ვი= თავსართები. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, ფორმათა ეს სახეობა უნდა იყოს სწორედ წარმოების ძველი, ადრინდელი წესის მარჩენებელი (დასახელ. შრ., გვ. 559...) დროთა განმავლობაში კლას=კატეგორიის ნიშანთა მოშლის შედეგად აღნიშნულ ნაცვალსახელთა ფუძე მარტივდება, ეკვეცება=რა მას ამ კატეგორიის გამომხატველი თავსართი, ხოლო მისი კვალი რჩება საწარმოებელი ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანში. ამგვარად, თუ რეკონსტრუქციის უწყებულ წესს დავეყრდნობით, ამ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძის ოდინდელი სახე შეიძლება ასე აღვადგინოთ:

- 1) ეუჯ (სახ.) <- ეუჯუ <- ეუჯა -> ეუ=ჯო->ეუ=ჯუ-> (ირ. ბრ.) ჯუ (1. კლ.);
- 2) რიჯ (სახ.) <- რიჯი <- რიჯა-> რი=ჯი-> (ირ. ბრ.) ჯი (2. კლ.);
- 3) ღიჯ (სახ.) <- ღიჯი <- ღიჯა -> ღი=ჯე -> ღი=ჯი -> (ირ. ბრ.) ჯი (2.4 კლ.);
- 4) ვიჯ (სახ.) <- ვიჯი <- *ვიჯა <- * ბიჯა-> ბი-ჯი-> ვი=ჯი -> (ირ. ბრ.) ჯი (3. კლ.).

ეს სქემები გვიჩვენებენ, რომ მარცვლის სახით წარმოდგენილი თავსართისა და ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი შეიძლებოდა დამსგავსებულიყო; შემდეგ სახელობით ბრუნვაში დასმულ ამ ნაცვალსახელს უნდა მოჰყვეცოდ ბოლოკიდური ხმოვანი (მახვილის უქონლობის გამო), სამაგიეროდ აქ უნდა დარჩენილიყო თავკიდური მარცვალი — გრამატიკული კლასის პრეფიქსი; „ირიბ“ ბრუნვათა ფორ-

8. წახურ და მუხადურ ცუჯ, აიჯ, რიჯ, ვიჯ, აგრეთვე წახურ ჯარ, ჯაბ, ჯად ნაცვალსახელებს თვისტომ ენებში ეფარდება ასეთი ფუძეები: ლეზგიურში — ეუჭი (ორივე რიცხვის პირველი და მეორე პირის აღსანიშნავად), მხ. ჭურ, მრ. ჩებ (მესამე პირის აღსანიშნავად); ალღურში — უჩ „თვითონ“, უჩინ „თავისი“ და ა.შ. (პირთა განურჩევლად); თაბასარანულში — უჩ „თვითონ“, ჩან (გონიერ არსებათა აღსანიშნავად), ჩაბ (არაგონიერთა აღსანიშნავად) „თვისი“; უდიურში — იჩ „თვითონ“, იჩენ II-იჩინ „თვითონ (ერგ.)“, იჩი „თავისი“, იჩუხ „თავის-თავს (მიც.)“, მრ.: იჩლონ (სახელობ., ერგ.), იჩლოა (ნათ.), იჩლოხ (მიც.)...

ამ ენათა უკუქცევითი ნაცვალსახელები შეიძლება დავაჯგუფოთ ამგვარად: 1) ე (ეჟი) ძირიანი; 2) ჩ (ჩი?) ძირიანები. ფუძე=ძირთა ეს ორი სახეობა თავის მხრივ ჯგუფდება შემდეგნაირად: ა) სუფიქსიანები (ეუ=ე, ჩე=ე=ბ); ბ) პრეფიქსიანები ან პრეფიქსის ნაშთის მქონენი (ეე=ე, ეე, იე). თუ ამას გვერდში წახურსა და მუხადურსაც ამოვუყენებთ, მაშინ ფუძე=ძირთა ხასიათის მიხედვით გვექნება მესამე ჯგუფიც — ე (ჯა, ეე, ეი) ფუძე=ძირიანი, რომელიც თავსართ=ბოლოსართების მიხედვით უნდა დავყოთ აგრეთვე ორ ჯგუფად: პრეფიქსიანებად (ეე=ე, აე=ე, რე=ე...) და სუფიქსიანებად (ჯა=ე, ეა=ე=ბ, ეა=ე).

თავკიდური და ბოლოკიდური ელემენტები კლას=კატეგორიის სადიფერენციაციო ნიშნებია — ზოგ ენაში ცოცხალი, მოქმედი, აფიქსის სახით გამოყენებული (წახური, მუხადური, თაბასარანული), ზოგში კი შემონახულია გაქცავებული აფიქსის სახით (ლეზგიური, ალღური, უდიური).

წახური და მუხადური უკუქცევითი ნაცვალსახელის ე (ჯა, ეე, ეი) ფუძე=ძირი შეიძლება შეეფარდოს ზემოთ ცალ-ცალკე დაჯგუფებულ ორივე სახეობას: ე=საც და

ჩ=საც. ფონეტიკური კორელაციის საფუძვლები უკანასა-
 ეძებნება და მეორესაც. მაგრამ ერთსა და იმავე ლეზ-
 გიურში ორი სახეობის (თუნდაც პირთა მიხედვით ამ
 ნაცვალსახელის გარჩევის მიზნით) ერთდროულად არსებო-
 ბა ქმნის ამ კორელაციის ახსნის ერთგვარ სიძნელეს.
 მაგრამ აქ შეიძლება გვექონდეს ასეთი ცარაუდი: ფონეტი-
 კური დიფერენციაცია შეპირობებულია სემანტიკური დი-
 ფერენციაციით. ამას შემდგომ გულმოდგინე დაკვირვება
 დასჭირდება. თავის მხრივ წახური და მუხადური ჭუჯ
 -> ვუჯ, ლეზგიური ჭურ -> ვურ, ალღური, თაბასარანუ-
 ლი უჩი <- ვუჩი ნაცვალსახელების, აგრეთვე წახურ=მუ-
 ხადური ციჯ, ან ჭიჯ, რიჯ და უდიური იჩ <-*ვიჩ (*აჩ,
 *რიჩ?) ნაცვალსახელების ფარდობა აშკარაა და, მა-
 შასადამე, მათი ურთიერთობის ახსნა ძნელი არ არის.
 ამგვარივე ურთიერთობა ჩანს წახურ ჯააჩ, ჯააბ, ჯააღ
 და ლეზგიურ ჩეაბ, თაბასარანულ ჩააან და ჩააბ. ნაც-
 ვალსახელებს შორის. ოღონდ სარკვევი რჩება ამ ნაც-
 ვალსახელთა ურთიერთობა ქრონოლოგიის თვალსაზრისით.
 ცხადია, აქაა განვითარების სხვადასხვა საფეხურის
 ან სხვადასხვა დიალექტური წრის დანალექები. ამჟამად
 ძნელია იმის თქმა, თუ ამ სახეობათაგან რომელი რო-
 მელს უსწრებდა წინ; ერთიცა და მეორეც შესაძლოა სუ-
 ლაც რაღაც მესამის სახესხვაობა იყოს (შდრ. ივ. ჯავა-
 ხიშვილი — 1937, გვ. 556-569)... ამისი საბოლოო
 ახსნა, რასაკვირველია, მომავლის ამოცანაა.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი

ზოგადი

არც წახურსა და არც მუხადურს კუთვნილებითი
 ნაცვალსახელის სპეციალური ფორმები, როგორც ამას
 ა. დირიც აღნიშნავს, არ მოეპოვება: კუთვნილების

გამომხატველი ფორმა აქ იგივეა, რაც პირის, უკუქცე-
ვითი, მითითებითი ან კითხვითი ნაცვალსახელი, დას-
მული ნათესაობით ბრუნვაში. ისიცაა (მართებულად) აღ-
ნიშნული, რომ ნათესაობით ბრუნვაში დასმული (პოსესი-
ურობის გამომხატველი) უკუქცევითი ნაცვალსახელი იხ-
მარება მხოლოდ მესამე პირისათვის (ა. დირი, 1911,-
1913).¹

კუთვნილებითი ნაცვალსახელი წახურში

წახური კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: 1) მხოლ.
რ. პირველი პირისა („ჩემი“) ა) ღიზდა ო ღიზნა — რო-
ცა საზღვრული I. 2. ან 3. კლასის სახელია და დასმუ-
ლია სახელობით ბრუნვაში; მაგ.: ღიზდა ო ღიზნა ჩოჯ
„ჩემი ძმა“... ბ) ღიზდი ო ღიზნი — როცა საზღვრუ-
ლი I. 2., 3. კლ. სახელია და დასმულია ე.წ. ირიბ
ბრუნვებში, მაგ.: ღიზდი ო ღიზნი ჩოჯე „ჩემმა ძმამ“...
3) ღიზენ ო ღიზინ — როცა საზღვრული მხოლ.რ. მე=4
კლასის ან მრავლ. რ. რომელიმე კლასის წარმომადგენე-
ლია და დგას სახელობით ბრუნვაში, მაგ.: ღიზენ ხაჭ
„ჩემი სახლი“; ღიზენ ჩუბა, იჩერ, ბალქანარ, ხააბე
„ჩემი ძმები, დები, ცხენები, სახლები“...; დ) ღიზდი
— როცა საზღვრული ადამიანის კლასის სახელია და
დასმულია მრავლობითი რიცხვის „ირიბ“ ბრუნვაში, მაგ.,
ღიზდი ჩუბიშენ „ჩემმა ძმებმა“, ღიზდი ჩუბიშიქტა „ჩე-
მი ძმებით“...; 2) მრავლ. რ. პირველი პირისა („ჩე-
ნი“): ღიზდა ო ღიზნა, ღიზდი ო ღიზნი, ღიზენ (გამოყე-
ნების წესი ისეთივეა, როგორც „ჩემი“ ნაცვალსახელისა).

1. შტრ. ლეზგიური (კიურული), სადაც ეს ნაცვალსახელი
იხმარება სამივე პირისთვის: უუი (უკუქც. ნაცვალ-
სახ. მხოლ. და მრავლ. რ.-ში დასმული I. და 2. პირისა),
ჭურ (უკუქც. ნაცვალსახ. მხოლ.რ. მ. პირისა), ჩებ
(უკუქც. ნაცვალსახ. მრავლ. რ. 3. პირისა) — პ. უსლა-
რი, 1896, გვ. 65-69.

3) მხოლ. რ. მეორე პირისა („შენი“): აიღდა II აიღნა, აიღდი II აიღნი, აიღვნ — გამოიყენება ზემოთ ნაჩვენები წესით. 4) მრავლ. რ. მეორე პირისა („თქვენი“): ვუშდა II ვუშნა, ვუშდი, ვუშვნ — გამოიყენება ზემოთ უწყებული წესებით. 5) მხოლოობითი რიცხვის მესამე პირისა („მისი“): ა) შენწყუნა -> შენლუნა — როცა მსაზღვრელი მამაკაცის კლასის სახელია, ხოლო საზღვრული (I. - 4 კლ.) დასმულია სახელობით ბრუნვაში მაგალ.: შენწყუნა (შენლუნა) ჩოჯ „მისი ძმა“, შენწყუნა (შენლუნა) იჩი „მისი და“, შენწყუნა (შენლუნა) ზწარ „მისი ფური“, „შენწყუნა (შენლუნა) ტატა „მისი ჯოხი“...; ბ) შენწყუნ -> შენლუნ — როცა მსაზღვრელი მამაკაცის სახელია, ხოლო საზღვრული (I. — 4. კლ.) მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაშია დასმული; მაგალ.: შენწყუნ (შენლუნ). ჩუბა, იჩეერ... „მისი ძმები, დები...“; გ) შენწყუნი -> შენლუნი — როცა მსაზღვრელი მამაკაცის კლასის სახელია, ხოლო საზღვრული (I. - 4. კლ.) დასმულია მხოლ. და მრავლ. რ. „ირიბ“ ბრუნვებში; მაგალ.: შენწყუნი (შენლუნი) ჩოჯინა „მისი ძმისა“, შენწყუნი (შენლუნი) ჩუბიშინა „მისი ძმებისა“... აღნიშნულ ნაცვალსახელთა სინონიმებია (შესაბამისად) მანწყუნა -> მანლუნა, მანწყუნ -> მანლუნ; მანწყუნი -> მანლუნი. დ) შენწყინა -> შენლინა II შენწყენა -> შენლენა — როცა მსაზღვრელი ქალის კლასის სახელია, ხოლო საზღვრული (I. - 3. კლ.) დასმულია სახელობით ბრუნვაში; მაგალ.: შენწყინა (შენლინა) ჩოჯ, იჩი, ზწარ, ხაჭი... „მისი ძმა, და, ფური, სახლი...“ ე) შენწყინ -> შენლინ II შენწყენ -> შენლენ — როცა მსაზღვრელი ქალის კლასის სახელია, ხოლო საზღვრული (მხოლ. რ. 4. კლ. და მრავლ. რ. I. - 4. კლ.) დასმულია სახელობით ბრუნვაში; მაგალ.: შენწყინ (შენლინ) ხაჭი, ხააბე „მისი სახლი, სახლები“; შენწყინ (შენლინ) ჩუბა, იჩეერ, ციცეერ... „მისი ძმები, დები, თოჯინები“...

3) შენწყინი+შენღინი, შენწყენი -> შენღენი — როცა მსაზღვრელი ქალის კლასს გამოხატავს, ხოლო საზღვრული (1.-4. კლ.) დასმულია „ირიბ“ ბრუნვებში; მაგალ: შენწყინი (შენღინი) ჩოჯეე „მისი (მისმა) ძმამ“, შენწყინი (შენღინი) ჩოჯიინ „მისი ძმისა“, შენწყინი(შენღინი) ჩოჯიის „მის ძმას“... — ამ ნაცვალსახელთა სინონიმებია (შესაბამისად): მანწყინა -> მანღინა; მანწყინ -> მანღინ; მანწყინი -> მანღინი. ზ) შენჩინა — როცა მსაზღვრელი მესამე ან მეოთხე კლასის სახელია, ხოლო საზღვრული (1.— 3. კლ.) დასმულია სახელობით ბრუნვაში; მაგალ.: შენჩინა ჟესი, გეჟი... „მისი პატრონი, ბატკანი“... თ) შენჩინ — როცა მსაზღვრელი მესამე ან მეოთხე კლასის სახელია, ხოლო საზღვრული (მხოლ. რ. მე=3 კლ. ანდა მრავლ. რ. ყველა კლ.) დასმულია სახელობით ბრუნვაში; მაგ.: შენჩინ ბჯთ, გარ „მისი კუდი, რქა“; შენჩინ ჟესიბჯ, ბჯთბჯ „მისი პატრონები, კუდები“... ამ ნაცვალსახელების სინონიმია მანჩინა, მანჩინ (შესაბამისად). ამ რიგის ორივე ნაცვალსახელი „ირიბ“ ბრუნვებში დასმულ საზღვრულთან იხმარება ამ სახით: შენჩინი, მანჩინი (თუ საზღვრული გამოხატავს 2. ან 3. კლასს), შენჩინ, მანჩინ (თუ საზღვრულად მოუღის მხოლ. რ. მე=4 კლასის ან მრავლ. რ. ამა თუ იმ კლასის სახელი).

ჩამოთვლილი ნაცვალსახელები უნდა დაიშალოს ასე:

აიზ=და || აიზ=ნა, აიზ=დი || აიზ=ნი, აიზ=ჯნ („ჩემი“);
 აილდა || აილ=ნა, აილ=დი, || აილ=ნი, აილ=ჯნ („შენი“);
 აიშ=და || აიშ=ნა, აიშ=დი || აიშ=ნი, აიშ=ჯნ („ჩვენი“);
 ეუშ=და || ეუშ=ნა, ეუშ=დი || ეუშ=ნი, ეუშ=ჯნ („თქვენი“);
 შენწყუნა || -> შენღუნა, შენწყუნნი || -> შენღუნნი,
 შენწყუნ || -> შენღუნ („მისი“) და ა.შ.

ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით ორად დაყოფილი ამ ფუძეფორმათა პირველი ნაწილი ფუ-

ძეა,¹ ხოლო მეორე — ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსი.

ჩამოთვლილ ნაცვალსახელებში სარკვევია ერთი და იმავე ნათესაობითი ბრუნვის ნაირსახიან დაბოლოებათა ურთიერთობის საკითხი: ერთი მხრივ, რა მიმართებაა დ¹ ონიან (აიზ=და, აიზ=დი) და ნ²არიან (აიზ=ნა, აიზ=ნი) ვარიანტებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს ამ ბრუნვის სუფიქსში ბოლოკიდურ =ა და =ი ხმოვანთა შენაცვლებას.²

პირველი კითხვის პასუხი უფრო მარტივია: აქაა კილოური ვარიაციები: დონიანი (=და, =დი) ვარიანტი აულ წახურისა და მასთან ახლოს მდგომი ზოგი სხვა აულის მეტყველების კუთვნილებაა; ამასთან: აქ ელინდება წახურ=მუხადურის ერთიანობა: დონიანი ვარიანტი ამ ენათა საერთო მორფემაა (იხ. ქვევ. სახელთა ბრუნება მუხადურში: ძირითადი ბრუნვები. იხ. აგრეთვე წახურ პირის ნაცვალსახელთა ბრუნება). ნარიანი (=ნა, =ნი) ვარიანტი კი აულ გილმიწისა და მასთან ახლოს მყოფი ზოგი სხვა აულის მეტყველების კუთვნილებაა.

ამ ნიშანთაგან ყურადღებას იქცევს ნარიანი ვარიანტი: =ნა, =ნი. აქედან =ნი ფორმანტი შეიძლება დაიშალოს ასე: =ნა; ამ ელემენტთაგან საკუთრივ ნათეს. ბრუნვისად უნდა მიჩნეულ იქნეს ბოლოკიდური =ი, ხოლო ამის წინმდგომი =ნ დახასიათდეს სხვაგვარად — დახასიათდეს როგორც საწარმოებელი ფუძის ელემენტი, რომელსაც წინ უნდა ჰხლებოდან ხმოვანიც. ამგვარი ინტერპრეტაციის კვალობაზე ზემოთ ჩამოთვლილი ნ=ვარიანტიანი ნაცვალსახელების აგებულება ასე უნდა წარმოვიდ-

1. ეს ფუძე მარტივი არ არის, იშლება ეგრე: აი=ზ; აი=ღ, აი=შ, ეუ=შ; შე=ნ=წყუ||->შენ=ლუ=, შე=ნ=წყი || ->შე=ნ=ლი - (შდრ. ზე „მე“, ლუ||ვეუ, ვე, შენ“, ში „ჩვენ“, შუ, თქვენ“, აქედან თავკიდური აი=, ეუ= ძირს არ ეკუთვნის, პრეფიქსია იხ. ზემ. პირის ნაცვალსახელი.

2. რომელიც შეიძლება იცვალოს =ა ხმოვანთაც: შდრ. აიზ=ღა, აიზ=ღხ, აიღ=ღა, აიღ=ღნ და ა.შ.

ვინოთ: 1) „ჩემი“ ნაცვალსახელისა: ღი=ზნ=ა<-ი=ზენ=ა; ღი=ზნი<- ღი=ზენ=ი -> ი=ზენ; 2) „შენი ნაცვალსახელისა: ღი=ღნ=ა<- ღი=ღენ=ა; ღი=ღნი<- ღი=ღენ=ი -> ღი=ღენ; 3) „ჩვენი“ ნაცვალსახელისა: ღი=შნ=ა<-ღი=შენ=ა; ღი=შნი<- ღი=შენ=ი -> ღი=შენ; 4) „თქვენი“ ნაცვალსახელისა: ვუ=შნ=ა<-ვე=შენ=ა<-ვე=შენ=ი; ვუ=შნი<-ვე=შენ=ი<-*ვე=შენ=ი<-*ვე=შენ=ი; ვუ=შენ=ა<-*ვე=შენ=ი<-*ვე=შენ=ი; 5) „მისი“ ნაცვალსახელისა: შენ=წყენ=ა ||->შენ=ღენ=ა, შენ=წყენ=ი || -> შენ=ღენ=ი, შენ=წყენ=ა ||-> შენ=ღენ=ა, შენ=ღენ=ი; შენ=წყენ=ი -> შენ=ღენ=ი, შენ=წყენ=ი || -> შენ=ღენ=ი, შენ=წყენ=ი ||-> შენ=ღენ=ი, შენ=წყენ=ი || -> შენ=ღენ=ი [2:კლ.]..

ამ ფუძეფორმათა დაშლისა და თავიკიდურ და ბოლოკიდურ ელემენტთა ჩამოცილების შემდეგ რჩება: ზნ<-ზენ (I. პ.მხ.), შნ<-შენ (I. პ.მრ.), ღნ<-ღენ (2. პ.მხ.), შნ<-შენ<-შენ (2. პ.მრ.) და ა.შ.

საგულისხმოა ვიღვიწერი კილოს მონაცემები: წაზური ენის ამ კილოს მოეპოვება კუთვნილებითი ნაცვალსახელის ასეთი ფორმა: ღი=შნი („ჩვენი“), ზენი („ჩემი“), ღენი („შენი“). შდრ. აგრეთვე ამ კილოსი დადასტურებული ფორმები ნათესაობითი ბრუნვისა: ჯენი („თავისი“); - შდრ. დევან||დევან=ი („მდევისა“)² და მისთ.³ უეწველია, რომ ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსა ოდენ ბოლოკიდური =ღ. „დევანი“ ტიპის ფორმაში ნათ.

1. ხმოვნის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ იხ. ქვემოთ. იხ. აგრეთვე ზევ. პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულება.
2. ამ ფორმათა გამოყენების ნიმუშები: დევანი ყველა „მდევის ტყავი“; ღი=შენი რაგინი და „ჩვენი რაიონის სახელი“; ზენი დინ „ჩემი ვაჟი“, ზენი ხიჭი, ჩემი სოფელი“, ღენი და „შენი სახელი“, ღენი აქედან. დედა“...
3. იხ. ქვევ. წაზურ სახელთა ბრუნება. თავისებურებანი კილოებში.

ბრუნვის =ი დაბოლოება იკვეცება ხოლმე და ამ მნიშვნელობით იხმარება დევან, რაც ისტორიულად ნაერგატივადლი დევან ფუძეა, =ან სუფიქსით ნაწარმოები: დევან („დევმა“). ი-ს მოკვეცის შედეგად ამ (=ან) სუფიქსი ეკისრება ორი ფუნქცია — ერგატივისა და გენეტივისა.¹ ეს გილმწიურის მონაცემები საინტერესოა იმიტად, რომ აღნიშნულ ნაცვალსახელში გამოიყოფა ორი კომპონენტი: ფუძისეული ზენ=, ლუნ= და მისთ. ნაწილი² და ნათ. ბრუნვის =ი სუფიქსი; ეს კი თავის მხრივ სარწმუნოს ხდის ზემოთ უწყებული კუთვნილებითი ნაცვალსახელების საყრდენ ფუძეთა ხასიათის შესახებ ჩვენს მოსაზრებას. თანაც ამგვარი ფორმა „დევანი“=ს ტიპის წარმოქმნასთან ერთად შესაძლებელს ხდის ნათესაობითი ბრუნვისად ოდენ =ი სუფიქსის მიჩნევას.³

მაშასადამე, აიზნი („ჩემი“), აილნი („შენი“) და სხვა პოსესიურ ნაცვალსახელებში ბოლოკიდური =ი ხმოვანი ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსია, ხოლო =ნ საწარმოებელი ფუძის კუთვნილება; ეს ჩანს ამ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვითა ფორმებიდანაც; შდრ., მაგალ. აიზენ=ჩჷ „ჩემმა (3. კლ.)“, აი=ზენ=ჩინ „ჩემის (3. კლ.)“; აი=ზენ=ჩის „ჩემს (3. კლ.)“; აი=ლენ=ჩჷ „შენმა“ (3. კლ.), აი=ლენ=ჩინ „შენი (3. კლ.)“, „აი=ლენ=ჩის „შენს (3. კლ.)“ და სხვ. (იხ. ქვევ. სახელთა ბრუნება).

ამის შემდეგ ადვილდება აიზენ, აილენ, აიშენ, ვუშენ და მისთ. ფორმათა აგებულების ხასიათის ახსნა. ნათელი ხდება, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ამ ფორმას მოკვეცილი აქვს სუფიქსი =ი ისევე, როგორც,

1. იხ. ქვევ. სახელთა ბრუნება.

2. შდრ. პირის (პიროვნების) ნაცვალსახელთა აგებულების ზემოთ წარმოდგენილი განმარტებები (იხ. პირის ნაცვალსახელი).

3. იხ. ქვევ. პირის ნაცვალსახელთა ბრუნება.

მაგალითად, ეს უდიურში ბდება: როგორც წესი, მსაზღვრელად გამოყენების დროს ამ ენის კუთვნილებით ნაცვალსახელსა და გარკვეულ შემთხვევებში ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სხვა მსაზღვრელ სახელს ეკვეცება ბრუნვის ნიშანი და გამარტივების შედეგად ასეთი მსაზღვრელი უტოლდება ფუძეს; შდრ., კერძოდ, ბეზ (<-ბეზ=) კოჯ „ჩემი სახლი“, ბეშ (<- ბეშ=) კოჯ „ჩენი სახლი“; იჩ (<- იჩ=) კოჯ „თავისი სახლი“, ნანა (<-ნანა=ა<-ნანა=) კოჯ „დედის სახლი“. წახურსა და უდიურში საერთოა =ღ ნიშანიც ნათ. ბრუნვისა და ერთნაირია ფონეტიკური ცვლილებაც.

როგორც ჩანს, წახურ აი=ზენ (ჩემი), აი=ღენ (შენი), აი=შენ (ჩენი), ვუ=შენ (თქვენი) და მისთ.ნაცვალსახელებში მოხდა ფონეტიკური პროცესის ერთგვარი გრამატიზაცია: ამ ნაცვალსახელებს მოეკვეცა ნათ.ბრ.=ღ სუფიქსი და გამარტივების შემდეგ მიეჩინა კონკრეტული ადგილი გრ.კლასების მიხედვით განაწილებულ ატრიბუტივთა შორის — ეს ნაცვალსახელები ამჟამად ამ სახით გამოიყენებიან მხოლოდ მე=4 გრ. კლასის მსაზღვრელის მნიშვნელობით.

სარკვევი რჩება კუთვნილებითი ნაცვალსახელის წარმომქმნელი (ნათეს. ბრუნვის) სხვა ნიშნების — ერთი მხრით, =ნა იშინისა (გილმიწ. დიალ.) და მეორე მხრით, =და, =დი ნიშნების (წახურულ და სხვ. დიალ.) თავდაპირველი ბუნების საკითხი. სავარაუდებელია, რომ პირველ (=ნა) ფორმანტში =ნ ელემენტი ისევ და ისევ საწარმოებელი ფუძისაა (იხ. ზევ.), მომდევნო (=ა) ხმოვანი კი ერთგვარი აუგმენტია, ამ (ფუძისეულ) თანხ-მოვანთან, resp. სუფიქს=დეტერმინანტთან შეზრდილი და ოდესღაც სავსებით გამოყენებული; ნათესაობითი ბრუნ-

1. ისევე, როგორც ეს წახურსავე შენა, მუხადურ ჰანა, თინა და სხვ. ნაცვალსახელებში გამოიყოფა (იხ. ზევ. პირის ნაცვალსახელები).

ტის (=) ნიშანი კი მას მოკვეცილი აქვს: $აი=ზნ=ა<-$
 $<-აი=ზენ=ა<-აი=ზენ=ა=ა<-*$ $აი=ზენ=ა=ი$ (ჩემი)... და
 ასე — ანალოგიური წარმოების ყველა სხვა კუთვენ.ნაც-
 ვალსახელში. $=\underline{ნ}=ა$, $=\underline{ნ}=ი$ მაწარმოებელთა მსგავსად
 დაიშლება $=და$, $=დი$ სუფიქსიც: $=დ=ა$ $=დ=ი$; ამ ელემენტ-
 თა დახასიათებაც ისეთივე იქნება, როგორც $=\underline{ნ}=ა$, $=\underline{ნ}=$
 $=ი$ ვარიანტისა: $=დ$ ფონეტიკურად $=\underline{ნ}$. ელემენტის ფარ-
 დია, ხოლო ფუნქციით — მისი ტოლი: $=ა$ ხმოვანი აქაც
 სავრცობია, ბოლოკიდური $=ი$ — ნათეს. ბრუნვის ნიშა-
 ნი. ამ განმარტების კვალობაზე უწყებულ ნაცვალსა-
 ხელთა რეკონსტრუქცია ასეთი იქნება: ა) $აი=ზ=და$ $<-$
 $აი=ზედ=ა$ $<-$ $აი=ზედ=ა$ $ა<-*$ $აი=ზედ=ა=ი$ („ჩემი“ — სა-
 ხელობით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან. — იხ. ზევ.);
 ბ) $აი=ზ=დი$ $<-$ $აი=ზედ=ი$ („ჩემი“ — ე.წ. ირიბ ბრუნ-
 ვებში დასმულ საზღვრულთან — იხ. ზევ.)... და ასე —
 ანალოგიური წარმოების ყველა სხვა კუთვენ.ნაცვალსა-
 ხელში. დაისმის ასეთი საკითხიც: რატომაა, რომ $აი=ზ$,
 $აი=ზნი$, $აი=ზდა$, $აი=ზდი$ და ანალოგიური წარმოების სხვა
 ნაცვალსახელებს მაინცდამაინც სახელობით ბრუნვაში
 დასმულ საზღვრულთან ეკვეცება ნათეს. ბრუნვის სუ-
 ფიქსი, ბოლოკიდურ ელემენტად რჩება მასში ემფატიკუ-
 რი $=ა$, და პირიქით: „ირიბ“ ბრუნვაში დასმულ საზღვ-
 რულთან არ ჩანს ასეთი (სავრცობი) ხმოვანი, ბრუნვის
 ნიშანი. კი უკვეცლად რჩება? — ეს, შესაძლოა, შეპი-
 რობებულია სახელობითი ბრუნვის — როგორც პირდაპირი
 (და „გაუფორმებელი“) ბრუნვის, resp. (ჩვენთვის საინ-
 ტერესო შემთხვევაში) საზღვრულის „ფორმის“ (უფრო
 სწორედ — გაუფორმებლობის) ხასიათით: ასეთ საზღვ-
 რულთან მსაზღვრელს ეკვეცება ატრიბუტივობის წარმომქმ-
 ნელი მორფემა — ნათეს. ბრუნვის ნიშანი — ალბათ
 იმისთვის, რომ მოხდეს მსაზღვრელსაზღვრულის ფორმა-
 ლური გათანაბრება — ფორმათა ერთგვარი ნიველირება.

წახური კუთვნილებითი ნაცვალსახელები იბრუნვიან

მსაზღვრელ (ატრიბუტიულ) სახელთა ბრუნების საერთო ტიპის მიხედვით — ანალიტიკურად (იხ. ქვ.).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი მუხადურში

კილოურ ვარიაციათა გათვალისწინებით მუხადური კუთვნილებითი ნაცვალსახელების ნიმუშები და მასთან დაკავშირებული განმარტებები ასეთი იქნება:

1) „ჩემი“ ნაცვალსახელისა: ისღ (რუთ.), იზღ (შინაზ.), აიზღ || შიზღ (მუხრეკ.) გზღ (იხრეკ.), აიხზღ (ბორჩ.); 2) „შენი“ ნაცვალსახელისა: ჟღღ || ვღღ (რუთ., შინაზ.), ჟულღ (იხრეკ.), ჟუღღ (მუხრეკ.), ლულღ (ბორჩ.); 3) „ჩვენი“ ნაცვალსახელისა: აგზღ || აიხზღ || აიჰზღ (რუთ.), იმღღ ||-> იმტღ (შინაზ.), ჰგზღ (იხრეკ.), ჰჰმღღ (ბორჩ.); 4) „თქვენი“ ნაცვალსახელისა: ვგზღ || ვგჰღ || ზგჰღ (რუთ.), უშღღ (შინაზ.), ჟუშღ (იხრეკ., მუხრეკ.), გგზღღ (ბორჩ.).

5) „მისი“ ნაცვალსახელისა: რუთ.: ჰანრღ (როცა მსაზღვრელი I. ან 2. კლასის სახელია), ჰადიდ (როცა მსაზღვრელი 3. ან 4. კლასის სახელია); შინაზ.: ჰანზღ || ჰაადიდ; იხრეკ.: თინაღღ || ჰანიღღ; მუხრეკ.: ჰანწღღ, ჰანრღღ; ბორჩ. ჰაგნაღღ.

ნაცვალსახელთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე: ჟუღღ || ჟუჰღღ (I. კლ.), ჯიდღ (I., 2. კლ.), „თავისი“ ამ ფორმით ეს ნაცვალსახელი მეორდება თითქმის ყველა კილოში და, როგორც ა. დირიც აღნიშნავს, იხმარება მხოლოდ მესამე პირისათვის.

ზოგი გამონაკლისის (ჰანიღღ, ჰადიდ, ჯიდღ ნაცვალსახელის) გარდა, მუხადურში კუთვნილებითი ნაცვალსახელის ეს ფორმები არ ჯგუფდებიან არც მსაზღვრელი-სა და არც საზღვრულის გრ. კლასის მიხედვით; ამასთან

წახურის შესაბამისი ნაცვალსახელების მსგავსად ყოველთვის წინ უძღვიან საზღვრულს და გამოიყენებიან უცვლელ მსაზღვრელად: არ იცვლიან არც ბრუნვისა და არც რიცხვის ფორმას; იბრუნებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ცალკე დგანან და გამოიყენებიან სუბსტანტივის მნიშვნელობით.

კითხვის ნაცვალსახელები წახურში

I. წახური „ვინ“ ნაცვალსახელი კილოთა მონაცემებისა და ბრუნვათა ფორმების მიხედვით ასეთია:

წახურული	მიშლემური
სახ. ჰიშუნა ვუშუნა	ჰაშუნა შაუნა
ერგ. შავანა შაჰანა	შავანა შაუნა
ნათ. შავენა შაუნა	შავენა
მიც. შავენსა შაჰუსნა	შავენსა

მიქიქური	ლექურ=გილმიწური
სახ. ჰაშუნა	ჰაშუ ჰაშუი
ერგ. შეუნა შავანა	შავა შავაი
ნათ. შევენა	შავენი შეტნა ¹
მიც. შევენსა/ე	შავენს, შაუზჯა ²

წახურ „ვინ“ ნაცვალსახელს სახელობით ბრუნვებაში აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა: ჰიშუნა || ჰიშბუ. მრავლობითში ორი ფარიანტით წარმოდგენილ ამ ნაც-

1. აქედან პირველი ფარიანტი გავრცელებულია ლექურში (ყურდულურში), ხოლო მეორე — გილმიწურში.
2. შავენს ლექური ფარიანტია, ხოლო შაუზჯა-გილმიწური. ლექურში „შავენსი“ =ს პარალელურად შაუნს ფარიანტიც იხმარება. სოფ. ყუმის მეტყველებებაში ვუშუნა ფარიანტია გაბატონებული.

ვალსახელს „ირიბ“ ბრუნვათა ფორმები არ მოეპოვება. ამ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდბითის ფორმები.

წარმოებით „ვინ“ ნაცვალსახელთან დაკავშირებული სიტყვებია: ჰიშუჟაბ „არავინ“ (მხ.რ.), ჰიშუჟაბ „არავინ“ (მრ.რ.); შავაბი (<- შავათდი <- შაქათდი) „ვინგინდაჰა“ „ვინც არ უნდა იყოს“; შავანაჯარ (მხ.რ.); შავანაჯაბ (მრ.რ.) „არავინ“, „არც თუ ვინმე“

ამ ფუძეფორმათა და დიალექტურ ვარიანტთა დაპირისპირება გვიჩვენებს, რომ წახური „ვინ“ ნაცვალსახელის ფუძე მარტივი არ არის და იშლება შემდეგნაირად: მხ.რ. ჰი=შუ=ანა, ვუ=შუ=ანა. დიალექტებში: ჰა=შუ=ანა, ჰა=შუ=ანა, შა=გა=ანა <- შა=ქა=ანა -> შა=ქა=ანა. დიალ.: შე=ქა=ანა; შა=ქა=ანა; მრ.რ.: ჰი=შა=ბუ=ანა, ჰი=შა=ბუ=ანა. დიალ.: ჰა=შა=ბუ=ანა, ჰა=შა=ბუ=ანა...

ასე დაშლილ ამ ფუძეფორმებში ბოლოკიდური ანა=ანა; ანა¹ კითხვის-ნაწილაკებია; დიალექტებში მას ზოგჯერ =და || -> და² -> და ენაცვლება.

ანა ელემენტი (კითხვისა) სხვა ფუძეფორმებშიაც გამოიყენება: შდრ., მაგალ. ნახჰაზრ=ანა? აუგრა=ანა? = „როგორ (ხარ)? კარგად (ხარ)? - აუგრა! „კარგად!“.

თავკიდური ჰი= და ჰა=, უეჭველია, ერთნაირი დანიშნულების ნაწილაკოვანი ელემენტი და მას მითითების, დემონსტრირების, კატეგორიულობის მნიშვნელობა აქვს. ასეთი ელემენტები გამოიყოფა სხვა ნაცვალსახელებშიც. შდრ., მაგალ. წახურივე ჰა=შენა „აის“ (შენა „ის“)...²

თავკიდურ (ჰა=, ჰე=) და ბოლოკიდურ (ნა=...) ელემენტთა ჩამოცილების შემდეგ წახურ „ვინ“ ნაცვალსახელის მხოლოდბითი რიცხვის ფუძეში რჩება შავ<-შაქ,

1. -ა შესაძლოა ანა <- ნა=ს რეფლექსი იყოს პალატალიზაციის გზით მიღებული: - ნა -> ანა -> ანა -> ანა.

2. იხ. ზვეგ. პირის ნაცვალსახელი უკუქცევითი ნაცვალსახელი.

შუ, შ, აგრეთვე-(დიალ.) შევ <- შეწ ნაწილი. მრავ-
 ლობითში ზემოთ ნაჩვენებ ფუნქციონალ=ელემენტთა და
 რიცხვის გამომხატველი ბუ <- ბე ელემენტის ჩამოშორე-
 ბის შემდეგ ძირისეულ ელემენტად რჩება შ. ზოგჯერ ამ
 ძირეულ თანხმომავანს გემინატის (ინტენსიური, მყოვარი)
 თანხმომავანის ეფექტი აქვს. ისე რომ, სპორადულად ამ
 ნაცვალსახელის ფუძეში შუ ვარიანტიც დასტურდება
 (იხ. ზევ. ნიმუშები). თავის მხრივ შაც <- შაჭ(დიალ.
 შევ -> შეწ) ფუძეც მარტივი აგებულებისა არ არის,
 ნაწევრდება ასე: შა=ვ<-შა=ჭ (შე=ვ<-შე=ჭ); აქედან
 შა= (შე=) ნაწილი იკვივა, რაც სხვა შემთხვევაში გა-
 მოვლენილი შუ, შ ელემენტი (გართულებული ხმოვნით),
 ხოლო ვ<-ჭ (და „შუ“ ვარიანტში უ ხმოვნის წარმოქმნე-
 ლი ფაქტორი) ისტორიულად გრამატიკული (ადამიანის,
 პიროვნების) კლასის გამომხატველია. იკვივ ითქმის ამ
 ნაცვალსახელის ერთ=ერთი ვარიანტის „ვეშუნა“=ს ვუ=
 თავსართოვანი ელემენტის შესახებაც: „ვე“=ც ისტორიუ-
 ლად გრამატიკული კლასის ნიშანია, ოღონდ პრეფიქსად
 წარმოდგენილი. შდრ., თუნდაც, უკუქცევითი ნაცვალ-
 სახელები: ვუ=ჯ (წახ.), შა=ვეუ=ჯ (მუხად.) „ვინ (მა-
 მაკაცი)“, ღი=ჯ (წახ.), შა=რი=ჯ (მუხად.) „ვინ (ქა-
 ლი)“...; შდრ., აგრეთვე: ში=ჭ „ვინ (კაცი)“, ში=ჯ
 „ვინ (ქალი)“, ში=ბ „რა“ (ხუნძ.).

შდრ. წახურვიც ზმნები, რომლებშიც ადამიანის
 კლასი აღინიშნება ვ <- ჭ მანწარმოებლით; მაგალითად:
 ზას ვუქჰან ღედრ=ღექჰი „მიცვარს დედაც=მამაც“...
 (იხ. ზევ. გრამატიკული კლასები).

მაშასადამე, „ვინ“ ნაცვალსახელი წახურში მარტი-
 ვი აგებულებისა არ არის, იგი შედგენილია თავკიდუ-
 რი და ბოლოკიდური ნაწილაკოვანი ელემენტებისაგან, გრ. კლა-

1. შა=ვ<-შა=ჭ და ვუ=შუ<-ჭუ=შუ განვიტარების სხვა-
 დასხვა საფუძვლის წარმონაქმნია. მეორე (ჭუ=შუ) ვარიან-
 ტი უფრო არქაულია, ვიდრე-პირველი (საბუთი: პრეფიქსა-
 ცია).

სის მაწარმოებლისაგან და მათ შორის მოქცეული ძირისეული თანხმოვნისაგან, რომელიც ზოგჯერ მარცვლის სახითაც (!) გამოიყოფა: შა=(შე=), შუ (ზოგი სხვა შენიშვნა იხ. ქვევ.) .

წახური ვინ ნაცვალსახელის ბრუნების ხასიათის შესახებ იხ. ქვევით: ნაცვალსახელთა ბრუნება.

2. „რა“ ნაცვალსახელი: შიჯონა, შიჯო, ჯონა, ჯონ (აულ წახურის მეტყვ.); შიჯონა, შიჯონ, ჯონა, ჯონ (აულ მიშლეშის მეტყვ.), შაჟონა, შუჟონა, შაჟონ, შუჟონ, ჟონა, ეო (აულ მიქიქის მეტყვ.); შაჯიგაა, შააიგოა <- შაჟიგოა <- შაჯიგოა <- შაჯიჟაა (აულ გილმინის მეტყვ.); შაჟოა, შაჟიჟა (აულ ლექის, ანუ ყურდულის მეტყვ.).

წახური „რა“ ნაცვალსახელი იბრუნვის ასე: სახ. შიჯონა, ერგ. ნიშინა, ნიშინ (ღიალ. ნიშინი), ნათ. ნიშინა, ნიშინი, მიც. ნიშინა (ღიალ. ნიშინა)...

ამ ნაცვალსახელის ფუძე=ფორმათა ერთმანეთთან და „ვინ“ ნაცვალსახელთან შედარება გვიჩვენებს, რომ 1) „ვინ“ ნაცვალსახელის მსგავსად ესეც მარტივი აგებულებისა არ არის და ნაწევრდება ეგრე: ში=ჯო=ნა...; 2) ხასიათდება „ირიბ“ ბრუნვითა ფუძის მონაცვლეობით; ეს მონაცვლე ფუძეც თავის მხრივ მარტივი არ არის — იშლება ეგრე: ნი=შინ=ნა (ნი=შინ=ნა?); 3) „ვინ“ ნაცვალსახელის მსგავსად თავიკიდურ ელემენტად დართული აქვს მითითების, კატეგორიულობის შა=, ში= ნაწილაკი, ხოლო ბოლოკიდურ ელემენტად — კითხვის ნაწილაკი: =ნა || =ნა, =დნ || -> დე, 4) „ვინ“ ნაცვალსახელისაგან განსხვავებით არა აქვს ნრავლობითი რიცხვის ფორმა; 5) თავსართ=ბოლოსართოვანი ნაწილაკებისა და ბრუნვის ნიშანთა ჩამოცილების შემდეგ „რა“ ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფუძეში რჩება ჯო -> ეო, ხოლო ირიბი ბრუნვებისა — ნიშ=წარმოებით „რა“ ნაცვალსახელთან დაკავშირებული სიტყვები

მიუთითებენ იმაზე, რომ „ირიბ“ ბრუნვათა ფუძეც მართივი აგებულებისა არ არის და იშლება ასე: ნი=შ(ნი=ში?); შდრ., მაგალ. 1) ნიმშგა=ნიმშგა „რამდენი“, „როდენი“ (შდრ., შენი=მშგა „იმოდენა“, მანი=მშგა, შინი=მშგა „იმოდენი“, „ეგოდენი“...; 2) „ნი“=ს შესაბამისი ნე და ნა -> ნა ელემენტებიც აქვს წახურს: ნენაი (=ნენაი): ნენნი ვახტალ⁷ = (რის დროზე) „როდესაც“, „რა დროსაც“ (შდრ. შენნი ვახტალ „იმ დროს“); 3) ნაა=ააააააა; ნაა=აააააააააა² „რატომ“, „რისთვის“, „რისად“... 4) ნა=ააააააა, ნა=ააააააა „როგორ“; 5) ნა-ნა <- ნა=ააააა. ³ || ნა=აააააა || ნა=აააააა, ⁴ ნაა=აააააა || ნა=აააააა⁵ „სადაა?“ ნა=აააა, ნა=აააააა „სად არიან“⁶... ნი=, ნე=, ნა=⁷ ყველა დასახელებულ შემთხვევაში ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება და „რა“=ს ცნებას გამოხატავს. დასახელებული ფაქტები საშუალებას იძლევიან წახური „რა“ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ნიშნე ფუძე დაეშალოთ ასე: ნი=შ (ნი=ში?), სადაც „რა“-ს მნიშვნელობაზე მიუთითებს ნი= ნაწილი, რომელიც დაერთვის =რა =შ (=ში?) ელემენტს, წარმოქმნის ამ „რა“ ნაცვალსახელის ფუძეს — გამოყენებულს „ირიბ“ ბრუნვათა საწარმოებლად. ამ ნაცვალსახელშიც („ირიბ“ ბრუნვებში) ცალკე გამოიყოფა შ (ში?) ელემენტი, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა სარკვევი რჩება. - იხ. ქვევით ნაცვალსახელთა ბრუნება.

-
1. აულ წახურის მეტყველების მიხედვით.
 2. სხვა დიალექტებში — სპორადულად.
 3. აულ წახურის მეტყველების მიხედვით.
 4. აულ ლექის (ყურდულის) მეტყველების მიხედვით.
 5. აულ გილმიწის მეტყველების მიხედვით.
 6. აულ ლექის (ყურდულისა) და გილმიწის მეტყველების მიხედვით.
 7. ეს ელემენტები, უეჭველია რომ, ფონეტიკური ვარიანტებია ერთერთისა. არის საფუძველი იმისა, რომ საყრდენ ვარიანტად ნა= მივიჩნიოთ (იხ. შენიშენა ზემოთ).

კითხვის ნაცვალსახელები მუხადურში

ა. დირი, ეყრდნობა არა ორი აულის — რუთულისა და შინაზის — მეტყველებათა ნიმუშებს, ასახელებს კითხვით ნაცვალსახელებს: ჭუშ, უშ(ი) „ვინ“, შიჭ — შივ „რა“, შუღ „რომელი“ და შენიშნავს, რომ „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელების ირიბ ბრუნვათა წუძეებად გამოყენებულია ჰალ და ჰი; თან დასძენს: ეს ნაცვალსახელები, კერძოდ, ჭუშ ნაცვალსახელი, მრავლობით რიცხვში იშვიათად დაისმისო (მრავლობითის ფორმად აღნიშნული აქვს ჭუშარ, რომელსაც გვერდით (დაეჭვების გამო) კითხვის ნიშანი უზის. ამასთან ა. დირი განმარტავს: „სხვა ენათა მსგავსად ზოგი ამ ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვებს აქვს ჩვენი ზმნისართებისა და კავშირების მნიშვნელობა“ — ო. შემდეგ ა. დირი იძლევა ამ ნაცვალსახელთა ბრუნების მარადიგებებისა და მათი გამოყენების ნიმუშებს. ა. დირი აღნიშნავს იმასაც, რომ ამ ხაზით შინაზური კილო მცირეოდენად განსხვავდება რუთულურისაგანო. შინაზურ ნიმუშებად იგი ასახელებს: ჰუშ, ვუშ „ვინ“ (ურთავს „ირიბ“ ბრუნვათა ზოგ ფორმასაც); შივ, შიუ „რა“, „რანაირი“, შუღ „როგორი“, „რანაირი“. ამ ცნობებს მოსდევს შინაზური ფრაზეოლოგიური ნიმუშები (ა. დირი 1911, გვ. 41-43). ივ. ჯავახიშვილი (1937, გვ. 545...) ამ ცნობებზე დაყრდნობით ჩამოთვლის ზოგ ამ ნაცვალსახელს, ოღონდ არც ცალკე რუთულურზე (მუხადურზე) მსჯელობის დროს და არც შემდეგ „ლეგურალობანური ნაცვალსახელების ზოგად მიმოხილვაში“, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს მათი აგებულების შესახებ. რ. ერკერტს (1895, გვ. 19-20, 31-32) რუთულურ კითხვით ნაცვალსახელად დასახელებული აქვს ვუშე და შივე; სხვა ცნობები არც ნაცვალსახელთა სიაში და არც შემდეგ „გრამატიკულ შენიშვნებში“

მოცემული არა აქვს. ერკერტისეულ მასალაში ყურადღებას იქცევს „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელის ბოლოკიდური = ე ელემენტი, რაც შესაძლოა დიფთონგური წარმოშობისა იყოს და მიჩნეულ იქნეს $\underline{v} + \underline{u}$ ხმოვნებისაგან წარმოქმნილად: ვუშე <- ვუში=ა<- ვუში=ა; შივე <- შივე=ი=ა <- ში=ვე= =ი=ა. აქედან ფინალური = \underline{u} კითხვის ნაწილაკი უნდა იყოს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ნაწილაკი ამჟამინდელ მუხადურში აღარ შეინიშნება; როგორც ჩანს, იგი ერკერტის დროს უკვე საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვანთან შერწყმით იხმარებოდა, შემდეგ კი თანდათან დაკარგულა. ამგვარი = \underline{u} ნაწილაკი შემონახული აქვს უდიურს: შდრ., შუ „ვინ“ — შუ= \underline{u} „ვინაა?“ . ეკა= \underline{u} „რაა?“, მა= \underline{u} „სადაა?“... ზოგი სხვა ცნობა იხ. ქვემოთ).

მუხადური „ვინ“ ნაცვალსახელია: ვეში, ვუშ->უშ (რუთულის მეტყვ.), ვუშრა (მუხრეკის მეტყვ.), ჰუშუ->ჰუშ (შინაზის მეტყვ.). ამ ნაცვალსახელებიდან იწარმოება უარყოფითი ნაცვალსახელი ვუშნი (რუთულის შეტყვ.), ვეშნა (მუხრეკის მეტყვ.) „არავინ“.

„რა“ ნაცვალსახელია შივიჲ || შივირ (რუთულის მეტყვ.), შივ (შინაზის მეტყვ.), შივიდ (იხრეკის მეტყვ.).

აღნიშნული ნაცვალსახელების ფუძეც მარტივი აგებულებისა არ არის — ნაწარმოებია თავსართ=ბოლოსართებით. კერძოდ, ვეში, ვუშ (ვინ) ნაცვალსახელში ვეა=>ვეა= გრამატიკული კლასის პრეფიქსია, ხოლო უშ გა-მარტივებულ, ვ= მოკვეცილი ვარიანტია ვუშ=ისა. ბოლოკიდური = \underline{u} || = \underline{u} და = \underline{u} ელემენტები, სადაც კი იგი შემონახულია, კითხვისა — ფუნქციით წახურ = \underline{u} || => ნა, = \underline{u} => \underline{u} ნაწილაკთა ბადალია.¹ ჰუშუ ნაცვალ-

1. = \underline{u} რთულ ნაწილაკად გვესახება: იჲ+ \underline{u} აქედან = \underline{u} იგი-ვეს, რაც წახურში დადასტურებულია ნაწილაკი, ხოლო \underline{u} წარმოშობით მუხადურივე, არის (ი<-ჲი<-ჲი) ზმნის ცვალი უნდა იყოს: შივიჲ=ი<-შივიჲ=ჲი<-შივიჲ=ჲიჲი, რა არის“ შინაზურში დადასტურებული შივიჲ, ვარიანტის ბოლოკი-

სახელში კი თავკიდური ჰუ= ელემენტი ზემოთ დასახე-
ლებული და დახასიათებული ჰა=, ჰე=, ჰი= ნაწილაკე-
ბის რიგისაა, მომდევნო =ჰუ მარცვლის უ ხმოვნის ასი-
მილაციით წარმოქმნილი.

ყველა ამ თავკიდურ და ბოლოკიდურ ელემენტთა ჩა-
მოცილებით, წახურის მსგავსად, მუხადურ ვინ ნაცვალსა-
ხელის საყრდენ ფუძე=ძირად რჩება ჰუ, ჰი, უ ელემენტი.

„რა“ ნაცვალსახელს მუხადურში აქვს ეგვივე ფუძე:
ჰი=ვ <- ჰი=ჟ -> ჰი=ვგ... „რა“-ს მნიშვნელობით მუ-
ხადურში დასტურდება ჰუ ძირიც. ეს ვარიანტი დაცულია
ასეთ სიტყვებში: ზუნა „როგორ“, ზუნავა „როგორც არ
უნდა იყოს“, ზედგ „რომელი (=რისა)“, ¹ ზუდას „რამდენიც“
ზუმურ (1 და 2 კლ.), ზუმუბ (3. კლ.), ზუმუდ (4 კლ.)
„რამდენი“, ზუმურნარა II -> ზუმუნნარა (1, 2. კლ.),
ზუმუბნარა (3 კლ.), ზუმუდნარა (4 კლ.) „რამდენიმე“

ამ ფუძე=ფორმათა შედარებაც თავის მხრივ შე-
საძლებელს ხდის, მუხადური ჰივია („რა“) ნაცვალსახელი
დავშალოთ ასე: ჰივ=ია II ჰივ=ი: =ია, ი ბოლოკიდურ
ელემენტთა შესახებ ზემოთ ითქვა. ჰი=ვ<-ჰი=ჟ ნაწილ-
ში =ვ <- ჰი ელემენტი უნდა დახასიათებულ იქნეს გრ.
კლასის სუფიქსად. ოღონდ უცნაური ჩანს, „რა“ ნაცვალ-
სახელში ადამიანის კლასის ვ<-ჰი მაწარმოებლის არსე-
ბობა. კითხვად დაისმის: ხომ არ არის ეს ჰი -> ვ ელე-
მენტი ნივთის კლასის =ჰ მაწარმოებლის ფონეტიკური
სახესხვაობა: ჰი=ვ<-ჰი=ბ, -თუ აქ არ მოხდა ადამიანის
კლასის ჰი -> ვ ექსპონენტის რეინტერპრეტაცია. თანა-
მედროვე მუხადურში (და წახურში) აღრეულია ამ კატე-
გორიის სისტემა: ამ ხაზით „ნორმები“ დარღვეულია,

კიდური ჯ ფონეტიკურად და მნიშვნელობით „ი“ (<-ჟი)=ს
ფარდია, რაც შეეხება იხრეკულ შივიდ (შივ=ი=დ) ვარიანტს
აქ სარკვევი რჩება დ=ს ფუნქცია.

1. შდრ., შივიდ („რა“) ნაცვალსახელი, დამოწმებული
იხრეკულ კილოში.

ყალიბი მოშლილი — ისე, რომ ამა თუ იმ გრ. კლასის მაწარმოებელი შესაძლოა მოექცეს იქ, სადაც იგი სულაც არ არის მოსალოდნელი.¹

ყურადღებას იქცევს „რა“ ნაცვალსახელთან წარმოები-
ბითა და მნიშვნელობით დაკავშირებული „რამდენის“ აღმ-
ნიშვნელი სიტყვა, რომელიც გრ. კლასებისა და ბრუნვა-
თა ფორმების მხრივ იცვლება ასე: შუმუ←შუმუ=ჟ „რამ-
დენი“ (კაცი, ქალი)“: ერგ. შუმუ=ნია, ნათ. შუმუ=ნიდგ
მიც. შუმუ=ნის; შუმუბ „რამდენი (ცხოველი...)“, შუმუდ
„რამდენი (რამე)“: ერგ. შუმ=დირა, ნათ. შუმ=დიდ←=შუმ
=დიდგ, მიც. შუმ=დის. რასაკვირველია, ეს ნაცვალსახე-
ლიც რთული აგებულებებისაა: შუ=მუ=ჟ, შუ=მუ=ბ, შუ=მუ=დ.
აქ მუ (მუ) ნაწილი გამოხატავს „ოდენ“ის ცნებას:
შდრ., წახ. ნი=მე=გა „რამდენი“ (იხ. ზემოთ), უდ. ე=
=მა, ე=მაო ← ე=მა=აო „რამდენი“, მემმა ← მე=
=მა „რამდენი“. ქამმა←ქა=ამა „ეგოდენი“, „მაგდენი“,
ტემმა ←ტე=ამა „იმდენი“. მუხადურ მუ=ს წინმდგომი შუ
(შუ=მუ) ნაცვალსახელური ელემენტია, უთი გართულებუ-
ლი, ან ამ მაწარმოებლის გარეშე; იგი ნულფორმით ადა-
მიანის კლასს გამოხატავს. უფორმოობის შემთხვევაში
შესაძლოა ამ კლასის კვალი უ=ს მომდევნო =უ იყოს.
=ბ სუფიქსით მესამე კლასი აღინიშნება, ხოლო =დ სუ-
ფიქსით — მეოთხე. ერთი სიტყვით, შუ (შუ=მუ) ფუძის
მნიშვნელობის კონკრეტიზაცია ამა თუ იმ კლასის =ჟ,
[ნულ], =ბ, =დ სუფიქსის დართვით ხდება. ეს იმის მიმ-
ნიშნებელი უნდა იყოს, რომ მუხადურ „რა“ ნაცვალსა-
ხელში ვ ← ჟ სუფიქსი შემთხვევით დამკვიდრდა. ერთი
მხრით, მუხადურში ვგში → ვუში („ვინ“) და შივი
← ში=ჟაო („რა“) ნაცვალსახელთა „ირიბ“ ბრუნვათა
ფორმები² და, მეორე მხრით, ამ მონაცემთა წახური და
ზოგი სხვა თვისტომი ენის მონაცემებთან შედარება სარწ-

1. იხ. „გრამატიკული კლასები“.

2. ნუბ. ქვევ. სახელთა ბრუნება: ნაცვალსახელთა ბრუ-

მუნოს ხდის ამ ნაცვალსახელთა ფორმის მსგავსებათა მეორეულობას, შემთხვევითობას.

ცალკე ცალკე მოცემულ ამ წახურ და მუხადურ მონაცემთა შედარება გვიჩვენებს, რომ „ვინ“ ნაცვალსახელს ორივეგან ერთი და იგივე ძირი აქვს: წახ.შუ,შ (შა, შე, შუ), მუხად.: შ (ში). ეგევე ან ფარდი ძირები გამოიყოფა თვისტომ ენებშიც: შდრ., შუ „ვინ“, ში „ვისი“, შუხ „ვის“, შუკალ „არავინ“, შენკ „ვისთვის“ (უდიური); ჭუ=ჟ (სახ.): შილე (ერგ.) „ვინ“, შილენ „ვისი“, შილეზ „ვის“ (თაბასარანული); ვუ=ჟ, ვუ=შ „ვინ“ (ლეზგიური). შდრ., აგრეთვე შიჭ (I. კლ.), შიჲ (2. კლ.) „ვინ“ (ხუნძური), ში (ლაკური), ში (დარგუული) — ირიბ ბრუნვებში.¹

საინტერესოა, რომ წახურსა და მუხადურში -- თვისტომ ლეზგიურ ენათა მსგავსად „ვინ“ ნაცვალსახელის მიხედვით ადამიანის კლასი დაყოფილი არ არის მამაკაცის და ქალის კლასებად; ამ კლასის წარმომადგენელთა დიფერენციაცია არ ხდება აგრეთვე ასაკის მიხედვით (შდრ., ხუნძური შიჭ, შიჲ, შიბ) — მაშინ, როდესაც ამ ენებში საერთოდ გარჩეულია ოთხი ვრ. კლასი.² ამ ფონზე საყურადღებოა ის, რამე ადამიანის (კაცის და ქალის) კლასი „ვინ“ ნაცვალსახელში აღინიშნება ერთი საერთო ვ=(ვუ <- შუ) პრეფიქსით. ამ მუხადურ და წახურ ნაცვალსახელში დაცული უნდა იყოს სწორედ იმპროინდელი ვითარება, როდესაც ადამიანის კლასი ვერ კიდევ არ იყო დაშლილი მამაკაცისა და ქალის კლასებად.

„ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელებს მუხადურში გამოეყოფა საზიარო ფუძე=ძირი: ვუ=შ=ი (ვინ) — შ=ი=გ=ი (რა). ამ მხრივ მუხადური ერთგვარად შორდება როგორც წახურს,

1. შდრ. ნ. ტრუბეცკოი — ჩრდილოკავკასიურ სიტყვათა შეფარდება, §12: „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელში გამოიყოფა საერთო (შ, ჟ) ძირი = შ.

2. იხ. გრამატიკული კლასები.

ისე ახლამონათესავე სხვა ენებს, სადაც ეს ორი ნაცვალსახელი განსხვავებული ფუძეძირიდანაა ნაწარმოები: შდრ. წახ. ჰიშუნა (ვინ) — ჰიჟონა (რა) — იხ. ზემ. უღ. შუ (სახ.), შინ (ერგა) „ვინ“ — ეკა (რა), ეტინ (რამ); ლეზგ. ვუუ (სახ.) — ნი (ერგა) „ვინ“ — ვურა (რა), ქუ (რამ). მუხადური გვიჩვენებს ხუნძურისა და ლაკურის ერთგვარ ანალოგიას: შდრ., ში=ჟ (I), ში=ჟ (2.) „ვინ“ — ში=ბ „რა“ (ხუნძ.); ცუუ „ვინ“ — ცი „რა“ (ლაკ.).

ზემოთ მუხადური ში=გ („რა“) ნაცვალსახელის ძირადაც შ (ში=) გამოიყო; აღინიშნა, რომ იგი გართულეულია =გ <- ჰ სუფიქსით; ეს უკანასკნელი დახასიათებულ იქნა გრ. კლასის ოდინდელ ნიშნად; ამასთან: ამ სუფიქსის მნიშვნელობის დახასიათება ორ ვარაუდს დაეყრდნო და ითქვა, რომ იგი წარმოშობით ან ადამიანის, resp. მამაკაცის კლასის სუფიქსია „რა“ ნაცვალსახელში რეინტერპრეტაციით გამოყენებული, ანდა იგი (გ <- ჰ) ბეს დივერგენტია; ბ -> ჰ -> გ. პირველი ვარაუდისთვის უპირატესობის მინიჭების შემთხვევაში მუხადური შიგვი შეიძლება დახასიათდეს, ვთქვათ, ხუნძურ ში=ჰ -> ში=გ ნაცვალსახელის კვალობაზე, ხოლო მეორე ვარაუდის წინ წამოწევის შემთხვევაში — ხუნძურივე ში=ბ ნაცვალსახელისა; ეს კი მუხადური და თვისტომი ენების ფონეტიკურ-მორფოლოგიური რეალიების მიხედვით უფროა შესაძლებელი (იხ. ზემ. გრ. კლასები).

სხვა ნაცვალსახელები

ა) წ ა ხ უ რ ი

განუსაზღვრელი ნაცვალსახელი. ასეთი ნაცვალსახელი წახურში მომეტებულწილად წარმოქმნილია ნასესხები ფუძისა და საკუთარი მაწარმოებლის კომბინაციით;

ასეთებია: 1) ჰარნა (გამოიყენება ისეთ საზღვრულთან, რომელიც გამოხატავს პირველ, მეორე ან მესამე გრ. კლასს), ჰარჯნ (გამოიყენება მხ. რ. მე=4 გრ. კლასის, ან მრ. რ. ყველა კლასის გამომხატველ საზღვრულთან) „ყოველი“, „ყოველნაირი“. ეს ნაცვალსახელი შედგება ნასესხები ჰარ ფუძისა და საკუთარი ან, =2^ნ ფორმანტიისაგან; მოწმდება ყველა კილოში. 2) ჰიჯონჯხა II ჰუჯონჯხა (აული წახური); ჰუჟონიხა, ჰიჟონჰა (აული მიქიქი); ჰაჯივაა = ხა II -> ჰაჟივაახა (აული გილმიწი) „რადაცა“. ეს ნაცვალსახელი შედგება ორი კომპონენტისაგან: ჰიჟონ <- ჰიჯონ, ჰუჯონ -> ჰუჟონ; ან-და ჰაჯივაა -> ჰაჟივაა + ხა <- იხა, ჯხა -> ხა; აქედან პირველი ნაწილი „რა“ კითხვითი ნაცვალსახელია ხოლო მეორე -- „ყოფნა“ ზმნის აწმყოს აბსოლუტივის ფორმა: „არისრა“. ჩამოთვლილ ვარიანტებში გილმიწური „ჰაჟივააახა“ მიღებულია აღნიშნული ორი ფუძის კონტამინაციის გზით. ამ ნაცვალსახელთაგან იბრუნვის მხოლოდ პირველი (ჰარნა, ჰარჯნ), ამასთან -- იბრუნვის მსაზღვრელ სახელთა ბრუნების საერთო წესის მიხედვით. 3) მერნა II -> მენნა (1. 2. კლ.); მებნა -> მემნა (3. კლ.); მედენ (4. კლ.) „ხვა“, „მეტი“. ეს ნაცვალსახელი იწარმოება გრ. კლასების მიხედვით გარჩეული ზმნისსართისაგან ან, ან სუფიქსთა დართვით: შდრ. მეარ (1. 2. კლ.), მეაბ (3. კლ.), მეად (4. კლ.) „ისევ“, „კიდევ“, „მეტად“. მე=4 გრ. კლასის მედენ II მედინ ნაცვალსახელისა და მედ სიტყვის მნიშვნელობა ზოგჯერ ირევა; რის გამო ეს ნაცვალსახელი ადვერბიალური მნიშვნელობითაც იხმარება; შდრ.: მედ ჰაჟინ ვახტ ახლანსადეშ „მეტად (ისევ) ეს დრო აღარ მოვა“ -- მაგრამ: მედენ (მედინ) დახხაჟ „მეტად (მეტი) აღარ

1. კილოებში ეს ნაცვალსახელები თავისებურებით არ ხანაიდებიან, თუ არ ციგულისხმებთ, კერძოდ, მიქიქისა და გილმიწის მეთყველებში მე=4 გრ. კლასის მედინ (ი=ნიან) ვარიანტს.

შეიძლება“.

მიმართებითი ნაცვალსახელი. ამ მნიშვნელობით იხმარება ჰამშუნა (ვინ) და უპირატესად ჰიჯონა(რა) ნაცვალსახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა — იმისდა მიხედვით, თუ რას განსაზღვრავს ამ „მიმართებითი“ ნაცვალსახელით დაკავშირებული მეორე წინადადება. ამ დანიშნულებით „რა“ ნაცვალსახელი, როგორც წესი, სახელობითი ბრუნვის ფორმით გამოიყენება. ა. ღირი (1913, გვ. 42) სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელის გაგებით წახურში უფრო ხშირად იხმარება თურქულიდან ნასესხები ქი. შემდეგ ა. ღირი ასახელებს „მიმართებითი“ ნაცვალსახელის შემცველ რამდენიმე ფრაზეოლოგიურ ნიმუშს; მაგალ.: მანღ, ჯეკლ, ღაჟენ, ჰუჟონა ღუ ჰეჟუ „მან თვითონ (ქალმა) ნახა, რაც შენ გააკეთე“. ¹ ამ წინადადებებს ა. ღირი იქვე ფრჩხილებში (ანდა სქოლიოში) ასე გამართავს: მანღ ჯეკლ ღაჟა ღუ ჰეჟინ ქარ „მან თვითონ (ქალმა) დაინახა შენით (შენ მიერ) ნაკეთები.“ ა. ღირის ეს შენიშვნები და შესწორებები სწორია. წახურისათვის, ისევე როგორც ყოველი მისი თვისტომი ენისათვის, დამახასიათებელია ისეთი შესიტყვება, რომლის წევრებია უმთავრესად აბსოლუტივის, მიმღეობის ანდა ინფინიტივის სუპინუმური ფორმის პრედიკატები. ამგვარი წინადადებისათვის კი ნიშანდობლივი სულაც არ არის „კავშირის“ ღუნქციით ამა თუ იმ მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენება. თუკი რაიმე მაკავშირებელი წევრი (მათ შორის ნაცვალსახელი) გაჩნდა წახურში, უნდა მიჩნეულ იქნეს ახალ წარმონაქმნად; ეს კი თავის მხრივ მარღენებელია რთული წინადადების ჩასახვის ტენდენციისა

1. ღირისეული ნიმუშები გადმოღებულია ქართული ტრანსკრიფციით. ამაასთან ის, რაც ღირს აქვს დასახელებული, მიქიქური კილას კუთვნილებს და არა „საერთო“ წახურისა.

უარყოფითი ნაცვალსახელი. ა. დირი (1913, გვ. 43) ამ ნაცვალსახელის შემადგენელ ნაწილებად გამოჰყოფს: 1) მითითებით ჰა= ნაწილაკს, 2) უარყოფის =დ= ელემენტს (რომელიც ემსგავსება მომდევნო თანხმობიანსო), 3) კითხვ. ნაცვ. ძირს: =შშ (უ), 4) განმაზოგადებელ =ჯა= ელემენტსა და 5) გრ. კლასების ელემენტებს. ამ კომპონენტთა შერწყმით წარმოიქმნება ჰაშშუჯარ (I. 2. კლ.) ჰაშშუჯაბ (3. კლ.), ჰაშშუჯად; ასევე: ჰარჩუდ (4. კლ.) ნაცვალსახელებს -- „არავინ“, „არაფერი“. ა. დირის მიერ დასახელებული ეს უარყოფითი ნაცვალსახელები თავისთავად სწორადაა ფიქსირებული, მაგრამ შემადგენელ ნაწილთა იმგვარად დაშლა=დახასიათება, როგორც მას აქვს, შენიშვნას იწვევს: კლას=ნიშნიანი ჯა (ჯა=რ, ჯა=ბ, ჯა=დ) ელემენტით გართულებულ „ვინ“ ნაცვალსახელს „ჰაშშუ“=ს (რომელიც თავის მხრივ გამარტივებული, =ნა სუფიქს=მოკვეცილი, ვარიანტია ჰაშშუნა ნაცვალსახელისა) არ მოუდის უარყოფის დ ნიშანი, ა. დირს რომ ჰგონია. ისე რომ: წახური უარყოფითი ნაცვალსახელი შედგება ჰაშშუ <- ჰაშშუნა („ვინ“) ნაცვალსახელისაგან და ჯა=რ, ჯა=ბ, ჯა=დ მართულებელი ელემენტისაგან. ეს უკანასკნელი კი, ა. დირი რომ „განმაზოგადებელ ელემენტს“ უწოდებს, კლასნიშან=მოკვეცილი და ამჟამად ნაწილაკად ქცეული უკუქცევითი ნაცვალსახელია (იხ. ზევ. უკუქცევითი ნაცვალსახელი). ასე კომბინირებულ ამ ფუძეფორმათაგან „=რ“ ნიშნიანს აქვს „არავინ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობა, ხოლო „=ბ“ და „=დ“ ნიშნიანს — „არაფერი“, „არარა“ ნაცვალსახელისა. თუმცა ეს ნაცვალსახელები სიტყვა=სიტყვით ითარგმნებიან ასე: ჰაშშუ=ჯა=რ „ვინ=ვე“, ე.ი. „არავინ (ქალი, კაცი)“; ჰაშშუ=ჯა=ბ „ვინ=რა=ვე“, ე.ი. „არაფერი (ცხოველი...), ჰაშშუ=ჯა=დ „არაფერი (მოვლენა, რამე ნივთი...)“. წახურში უარყოფის ნაწილაკის გარეშე

1. ამ ნაცვალსახელებში ჰა= ელემენტი, რასაკვირველია, გამაძლიერებელი ნაწილაკია, მაგრამ უარყოფითი ნაც-

ამგვარ ნაცვალსახელთა წარმოება=წარმოქმნა უპრეტენდენტო არ არის. ამის დამოწმება შეიძლება სხვა მონათესავე და არამონათესავე ენების მიხედვითაც; შდრ., კუნძოდ, უდიურდ. შუკალ „არავინ“ (სახ.), შუკალენ „არავინ“ (ერგ.), შუკალი „არავისი“, შუკალა „არავის“... ეს უდიური ნაცვალსახელიც რთული ფუძითაა წარმოდგენილი; იშლება ასე: შუკალ (კონტამინაცია=ელიზიით) <- შუ <- შუკალ, რაც სიტყვა=სიტყვით ნიშნავს: „ვინ=მთქმელი“, „ვინ=სათქმელი“; ასევე: ეკალ „არაფერი“, ეკალთე „არაფერიც“, „არაფერი=რომ“: ეკალ <- ეშუკალ „რა=მთქმელი“, „რა=სათქმელი“.¹ ორივე ეს უდიური უარყოფითი ნაცვალსახელი თხზულია ისე, რომ აქ გამოყენებული არ არის უარყოფის ნაწილაკი. ანალოგიური მდგომარეობაა ალულურშიც, სადაც ამ მნიშვნელობის ნაცვალსახელად გამოიყენება ამგვარი ნაწილაკის გარეშე წარმოებული სახელები ან გამოთქმები: შდრ., მაგალ., ჭიშ II ჭიშრა „არავინ“, ჭერა „არაფერი“: ჭიშ (ვინ), ჭი (რა) კითხვის ნაცვალსახელებია ალულურში; „რა“ ელემენტი, როგორც ამაზე ა.ღირიც (1907-გვ.21,25) მიუთითებს, ნაწილაკია, ოღონდ — უარყოფისა არა (შდრ. სა=სარა <- სა=საარა „სხვა“, „ვინმე“ „არავინ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარება ასეთი გამოთქმაც: სა თან, სა ადამარალ (უდიურში), სა ინსან=რა (ალულურში) „ერთი სულიც“, „ერთი ადამიანიც“, ე.ი. „არც=არავინ“, „არცთუ ვინმე“, „არავინ.“²

ვალსახელისათვის სპეციალურად ხმარებული კი არა, არამედ თავად „ვინ“ (ჰაშუხუნა) ნაცვალსახელიდან გადმოყოლილი (იხ. ზევ. კითხვის ნაცვალსახელი წახურში).

1. კალ <- შუკალ ამჟამინდელ უდიურში ცოცხლად შემონახული სიტყვაა და „მთხრობელს“, „მთქმელს“ ნიშნავს.

2. შდრ. ქართ. კაციშვილი, ადამიანისშვილი, ერთი კაციც = „არავინ“. შდრ. აგრეთვე ფრანგ. personne, რომელსაც სხვა მრავალ მნიშვნელობასთან ერთად („ადამიანი“, „პირი“, „პიროვნება“) აქვს ნაცვალსახელის მნიშვნელობაც: ვინმე, არავინ.

„ერთის“ საურთიერთო ნაცვალსახელი. - წარმოიქმნება აღმნიშვნელი სან სახელის გამეორებით; ამასთან ეს ნაცვალსახელი ჩვეულებრივ „ირიბ“ ბრუნვათა ფორმით იხმარება, ამ ბრუნვათა ფორმის საწარმოებლად კი გამოყენებულია ფუძის მართლმდებელი ნაცვალსახელური წარმოშობის წუ (I. კლ.), ან წი (სხვა კლ.) პოსტ-დეტერმინანტები, რაც კილოებში (მიქიქურში, გილმიწურ-ლექურში) „ლუ“, „ლი“=ს სახესხვაობისაა. სახელდობრ: სანა=სან=წყუნ -> სანა=სან=ლუნ „ერთმანეთის“, სანა=სან=წყუს -> სანა=სან=ლუს „ერთმანეთს“, სანა=სან=წყუტე -> სანა=სან=ლტე „ერთმანეთმა“ და ა.შ.

მითითებითი და კითხვის ნაცვალსახელებისაგან წარმოქმნილი ადიექტივური ნაცვალსახელები: მახურნა (I. კლ.), მახხურნა (2. კლ.), მახხოზნა II მახხუზნა (3. კლ.), მახხდენ (4. კლ.); მახხუნ (მრ.რ. I. და 2. კლ.), მახხდენ (მრ. რ. 3. და 4. კლ.) „ისეთი“, „იმნაირი“, „ასეთი“, „ამნაირი“.

ა. დირი (1913, გვ. 38) ამ ნაცვალსახელებს მართივი ხმოვნებით გადმოგვცემს (მახურნა და ა.შ.) და შემადგენელ ნაწილებად ასე შლის: 1) მითითებითი ელემენტი მა=, 2) ძირი =ხ=, რომელიც ნიშნავს დაახლ. „გვა-როვნებას“, „ხარისხს“, 3) კლასთა ისეთივე სუფიქსები, როგორებიც ზედსართავეებში გამოიყოფა, 4) ამ უკანასკნელთა დაბოლოებანი. ირიბ ბრუნვებში დასმულ საზღვრულთან ეს ნაცვალსახელები ასეთ სახეს იღებენ: მახურნი მახერნი, მახუბნი და ა.შ. ზოგ ფონეტიკურ უზუსტობას თუ არ ვიგულისხმებთ, ა. დირის ცნობები შეესაბამება წახურის სინამდვილეს.

კითხვის ნაცვალსახელებისაგან ნაწარმოებია: მახხურნა (I. კლ.), მახხურნა II მახხხურნა (2. კლ.) მახხოზნა, მახხუზნა (3. კლ.), მახხდენ (4. კლ.);

ნახებენ (მრ. რ. 1. და 2. კლ.), ნახედენ (მრ. რ. 3. და 4. კლ.) „როგორი“, „რანაირი“.

ა. დირს, აღქმული აქვსა თავკიდური მარცვალი ჩბილი, პალატალიზებული ხმოვნით (ნწხურნა და ა.შ.), ამ ნაცვალსახელებს შლის ეგრე: ნწ=ხ=უა=ნა, ნწ=ხ=ეა=ნა, ნწ=ხ=ო=ბ=ნა || ნწ=ხ=ეგ=ნა, ნწ=ხ=დგნ. ამ ნაცვალსახელისა და ზემოთ დასახელებული მაძხ=უა=ნა და მისთ. ნაცვალსახელის ძირისეული =ხ= ელემენტი ერთი და იგივე უნდა იყოს; მაშასადამე, მათ ეტიმოლოგიურ ძიებასაც ერთი ლექსიკური სათავისაკენ უნდა მივყავდეთ. ამასთან ა. დირი დასძენს, რომ ამ ნაცვალსახელთა ირიბი ბრუნვისათვის ნასესხებია ნენა (ნწ), ნენ („რანაირი“, „როგორი“, „რომელი“) ნაცვალსახელის ფუძე=ფორმები. აქაც, თუ ფონეტიკურ უზუსტობას არ ვიგულისხმებთ, ა. დირის ცნობები სწორია. კილოებში სხვაობა არა ჩანს. ბრუნვათა წარმოების მხრივ ეს ნაცვალსახელები არ განსხვავდებიან სხვა მსაზღვრელ სახელთა ბრუნების საერთო ტიპისაგან; ოღონდ ამ ნაცვალსახელთა თავისებურებაა ის, რომ ბრუნვათა ფორმებს ბოლოში მოუდით =ნა, რასაც ნაწილაკის მნიშვნელობა აქვს და სახელთა ადიექტივობის გამოსახატავად ხელმეორედ გამოყენებულ დაბოლოებად უნდა იქნეს მიჩნეული. სხვანაირად რომ ვთქვათ: =ნა იგივეა, რაც სახელობით ბრუნვაში ბოლოკიდურ ელემენტად გამოყენებული (ზედსართავი სახელის) =ნა მაწარმოებელი, შდრ., მაგალ., ნახურ=ნა (სახელობ.) — ნენ=წყა=ნა (მიც.), ნენწყუნ=ა<ნენწყუნ=ნა (ერგ.), ნენწყუქა=ნა (აბლატ.) და სხვ. თუ რატომაა ეს =ნა ელემენტი დასახელებულ წახურ ფორმებში ხელმეორედ გამოყენებული, ნათელი არ არის. — (ემფატიკური მნიშვნელობა? ანდა: ემპექსიგეტიკური ფუნქცია?).

ბ) მ უ ხ ა ლ უ რ ი

განუსაზღვრელი ნაცვალსახელი: 1) ჰარსა „ყველა“ „ყოველი“, „ვინგინდარა“, „რაგინდარა“, — იწარმოება ნასესხები ჰარ ნაცვალსახელისა და „ერთის“ აღმნიშვნელი სა რიცხვითი სახელის კომბინაციით: ჰარსა, რამელიც (აღბათ თურქულაზერბაიჯანულის გავლენით) უმლაუტიოა წარმოითქმის: ჰარსა როგორც ჩანს, ამ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ამგვარად წარმოქმნის წესი საერთოა მუხადურსა და თვისტომ ენებში: ჰარსა ნაცვალსახელი იხმარება ლეზგიურსა და უდიურშიც. ყველა ამ ენაში (ამავე მნიშვნელობით) იხმარება აგრეთვე ოდენ ჰარ ნაცვალსახელიც. 2) მაღე (<- მაღეღე) „სხვა“. ირიბ ბრუნვათა ფორმებთან — მაღეღე (ნათ.), მანნს (მიც.) მანნა (ერგ.) და სხვ. ამ ნაცვალსახელის ძირისეული ნაწილია მა, მომდევნო ზღ <- ლეღე (სახელობითში) და ნი („ირიბ“ ბრუნვებში) ისეთივე სადეტერმინაციო ელემენტებია, როგორც პირის, კითხვის, მითითებით და უკუქცევით ნაცვალსახელებში გამოიყო (იხ. ზემ.). გრ. კლასთა სუფიქსების დართვით ამავე მა ფუძეძირიდან იწარმოება „დანარჩენი“ და „სხვანი“ ა აღმნიშვნელი სიტყვები: მაღეღე (1. 2. კლ.). მაღეღე (3. კლ.), მაღეღე (4. კლ.) — შდრ. წახური მეღეღე ||-> მეღეღე (1. 2. კლ.), მეღეღე (3. კლ.), მეღეღე (4. კლ.) „სხვა“.

მიმართკაითი ნაცვალსახელები. ა. დირი (1911, გვ. 41) აღნიშნავს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები მუხადურს (რუთულურს) არ მოეპოვება. იქვე დასძენს: ისინი იცვლებიან ზმნის გარკვეული ფორმებითა. ეს სწორია, მაგრამ კითხვით ნაცვალსახელებიდან ნაწარმოები ზოგი ისეთი ნაცვალსახელი, როგორცაა შუდ „რომილი“.

„როგორი“, „რანაირი (ვინმე)“, ჰილდე „როგორი“, „რანაირი (რამე)“. ამ ენაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიმართებითი ნაცვალსახელის დანიშნულებითაც და ჰქონდეს ასეთი მნიშვნელობა: „რომელიც“, „ვინც“, „რაც“ მაგალ.: შუდარა ჰეცერ მი ქარ „რომელმა აკეთა ეს საქმე?“ — მაგრამ: ჰანიჰჷ, შუდ მი ქარ ჰეცერ... „მან, ვინც (რომელმაც) ეს საქმე გააკეთა...; „მი ქარ, ჰილდე ზა ჰეცერ... „ეს საქმე, რაც (რომელიც) მე გავაკეთე!“ რა თქმა უნდა, სიტყვათა ამგვარი სინტაქსური დაკავშირება ახალია, რამდენადმე ხელოვნურიც და, მასთან საუბარში, არ მიიჩნევა მუხადურის სპეციფიკად.

უარყოფითი ნაცვალსახელები.¹ მუხადური უარყოფითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვის ნაცვალსახელებისაგან; ასეთებია: 1) ვუშნი (რუა.), ვეშნჷ=ჯიშ (შინაზ.), ვეშნჷ (იხრეკ.), ვეშნა (მუხრეკ.) „არავინ“. 2) ვუშინ II -> შეშინ (რუთ. და სხვა კილ.), ჰიშუშნა=ჯიშ II ჰეშუშნა=ჯიშ (შინაზ.) „არაფერი“.

ამ ნაცვალსახელთაგან მხოლოდ შინაზური „ვეშნჷ=ჯიშ=სა და „ჰიშუშნა=ჯიშ“=ს მოეპოვება უარყოფის გამომხატველი =ჯიშ (<- დიშ) ელემენტი, რაც წარმოშობით „არის“ ზმნის უარყოფითი ფორმაა.² ჩამოთვლილთაგან სხვა დანარჩენებს ამგვარი მაწარმოებელი არა აქვს (შინაზურშიც ამ ელემენტს სპორადულად იყენებენ). ისე, რომ წახურის მსგავსად მუხადური „არავინ“ ნაცვალსახელიც უარყოფის გამომხატველი ელემენტის გარეშე იწარმოება. ვუშნი და ვეშნა -> ვეშნჷ იშლება ასე: ვუშ=ნი,

1. ა. დირი უარყოფით ნაცვალსახელებს ცალკე არ გამოყოფს, წარმოვიდგენს რა მათ (ვუშნი „არავინ“, შაშინ, მეშინ „არაფერი“) განუსაზღვრელი ნაცვალსახელების რუბრიკით (1911, გვ. 45).

2. იხ. ქვემ. ზმნა: ზმნის უარყოფითი ფორმები.

ვგზ=ნა (->ვგზ=ნწ). აქედან ვუზ= „ვინ“ ნაცვალსახელის ფუძეა, ¹ხოლო =ნი და =ნა — სადეტერმინაციო ელემენტი. გამოდის, რომ ამჟამინდელ მუხადურში დეტერმინანტი=სუფიქსით გართულებული „ვინ“ ნაცვალსახელის ფუძე უარყოფითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით გაიგება, ხოლო ამის უქონლად — დადებითი მნიშვნელობისად. აქ შეიძლება საგულისხმო იყოს ფუძე=ფორმათა რეინტერპრეტაცია.

„არაფერის“ აღმნიშვნელი შეშინ <- || შწშინ რთული აგებულებისაა და იწლება ასე: შე=შინ <- შწ=შინ. ეს ვარიანტი სრული ასიმილაციითაა მიღებული „სა=შინ“=ისაგან, რაც სიტყვა=სიტყვით ნიშნავს „ერთი=რამ“, ან სულაც — „ერთი=იგი“: სა „ერთი“ + შინ <- შინა (მესამე პირის ნაცვალსახელი). ასეთი ნაცვალსახელი მუხადურს ამჟამად არ მოეპოვება, მაგრამ იგი (ში, შე ფუძე=ძირით ნაწარმოები) აქვს წახურს (შენა) და უდიურს (შენო, შოჟო <- შეჟო): შუ ძირიანი ბრუნვა-ცვალეზადი ნაცვალსახელი, გამოყენებული პოსტდეტერმინანტად, მოეპოვება წახურს (ატრიბუტიულ სახელებსა და ნაცვალსახელებში, მრავლობით რიცხვში დასმულ არსებით სახელებში) და თავად მუბადურს (მრავლობით რიცხვში დასმულ სახელებში).² ისე, რომ ამჟამად ჩვენ თვის საინტერესო საშინ -> „შინ ნაცვალსახელშიც დანალექის სახით შეიძლება იყოს ამისი ანარეკლი; თუ ეს (შინ) არ არის თავად ში= („რა“) ნაცვალსახელის ფუძე=ძირი, გართულებული =ნ (<-ნა) სადეტერმინაციო ელემენტით. საჭირო იქნება შემდგომ ამის გულდასმით ძიება მთის იბერ=კავკასიურ ენათა შესაბამისი მონაცემების მოხმობით. რაც შეეხება შინაზურ ჰიშუნა=ჯიშ || ჰეშუნა=ჯიშ ვარიანტს, ესეც რთული აგებულებისაა. ჯიშ <- დიშ ნაწილის შესახებ ზემოთ ითქვა; ჰიშუნ || ჰეშუნ კი უნდა დაიშალოს ორად — ჰი=(ჰე=) და =შუნ ნაწილად; აქედან ჰი=(ჰე=) სხვა ნაცვალსახელებშიც გამო-

1. იხ. ზემ. კითხვის ნაცვალსახელი.

2. იხ. ქვევ. სახელთა ბრუნება.

ყენებული (მნიშვნ. გამაძლიერებელი, კატეგორიულობის გამომხატველი) თავკიდური ნაწილაკია (იხ. ზევ.), ხოლო ამ ნაცვალსახელის ძირითადი, შუნ ნაწილის თავდაპირველი მნიშვნელობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც ზემოთ უწყებული „შა=შინ“ის შინ ნაწილისა. შინ და შუნ სულაც ერთი და იგივე ფუძეა, ხმოვნით სახეცვლილი. აქვე უნდა განიმარტოს შინაზურშივე სპორადულად ხმარებულ ჰუმნი (<- ჰუმინი, ჰუმუნი?) ნაცვალსახელის შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობაც.

საურთიერთო ნაცვალსახელი - იწარმოება „ერთის“ აღმნიშვნელი სა რიცხვითი სახელის რუდუბლიცაცით, ოღონდ ისე, რომ პირველ შემადგენელ ნაწილად ეს რიცხვითი სახელი წმინდა ფუძითაა გამოყენებულ, ხოლო მეორე გართულებულია სადეტერმინაციო სუფიქსით, ანდა ბრუნვის ამა თუ იმ ნიშნით; მაგალ.: სა=სენა „ერთმანეთს“ სა=სენიჰან „ერთმანეთთან (ერთად)“; სა=სენიდ „ერთმანეთის“ და ა.შ.

საურთიერთო ნაცვალსახელის წარმოება=წარმოქმნის ამგვარი წესი საერთოა მუხადურში, წახურსა და სხვა თვისტომ ენებში: შდრ., მაგ., წახური: სანასან=წყუნ, სანასან=წყუს სანასან=წყუე და ა.შ. (იხ. ზევ.); უდიური: სუნსუნაბ „ერთმანეთს, სუნსუნაბო „ერთმანეთით“, „ერთმანეთისაგან“, სუნსუნაბოლან „ერთმანეთთან ერთად“, „სუნსუნაჰ „ერთმანეთისკენ“, სუნსუნენკ „ერთმანეთისათვის“ და ა.შ. ალღური: სასრა (მხ.), სასრავერ (მრ.) „ერთმანეთი“, სურსურის „ერთმანეთს“...

შედარება გვიჩვენებს, რომ განუსაზღვრელი, მიმართებითი, უარყოფითი და საურთიერთო ნაცვალსახელებიც წახურსა და მუხადურში უმეტესწილად იწარმოებიან ერთი და იმავე ონ ფარდი ფუძე=ძირით, ერთი და იმავე ხერხით; ამასთან ამ ნაცვალსახელებში გამოყოფილი ფორმანტებიც ხშირად ემთხვევიან ან ეფარდებიან ერთმანეთს.

ს ა ხ ე ლ თ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

ზ ო გ ა დ ი

წახურსა და მუხადურში მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში ძირითადად გამოიყენება ბრუნვათა ერთნაირი ნიშნები; ამ ნიშანთა მრავალფეროვნება უმთავრესად ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზეა წარმოქმნილი; არის თავისებურებებიც.

წახურსა და მუხადურში ბრუნვები ორ ჯგუფად იყოფა - ძირითად (აბსტრაქტულ) და შეორეულ (თანდებულებიან) ბრუნვებად.

ძირითადი ბრუნვები ორი რიგისაა: I. წმინდა ფუძიანი ბრუნვები — ისეთები, I) რომელთა ბრუნვის ფორმა თავად წმინდა ფუძეა, ესაა: წრფელობითი (სახელობითი) ბრუნვა ყველა კლასის არსებითი სახელებისა; სახელობითი და ერგატიული ბრუნვა მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის I. და 2. პირის ნაცვალსახელისა (წახურში), ანდა 2) ისეთი ბრუნვები, რომელთა მაწარმოებელი „წმინდა“ ფუძეს დაერთვის. II. ნაწარმოებ წმინდა ბრუნვები — ე.ი. ბრუნვათა ისეთი ფორმები, რომელთათვისაც გამოყენებულია ამა თუ იმ ელემენტით გართულებული ფუძეები. ამგვარი საბრუნებელი ფუძის მიხედვით მოწმდება ორი ტიპის ბრუნვა: გარკვეული ჯგუფის სახელებში ნათესაობითი ბრუნვისათვის საყრდენია ერგატიული ბრუნვის ფორმა, ხოლო ზოგი სხვა ჯგუფის სახელებში, სახელდობრ, I. და 2. პირის ნაცვალსახელებში ერგატივისთვისაა საყრდენი მიცემითის ფორმა (მოწმდება წახური ენის დიალექტებში), 2) ბრუნვის ფორმები, რომელთა ფუძე გართულებულია პოსტ=დეტერმინანტი

ნაცვალსახელებით. ამ შემთხვევაში გვეძლევა სახელთა ბრუნების თავისებური, ანალიტიკური ტიპი, რომელიც ელინდება ატრიბუტივებში: ზედსართავ სახელში, რიცხვით სახელში, მითითებით ნაცვალსახელში, კუთვნილებით ნაცვალსახელში, „რა“ კითხვით ნაცვალსახელში; მოწმდება აგრეთვე მრავლობით რიცხვში დასმულ თითქმის ყველა სახელში.

მეორეულ ბრუნებში იგულისხმება თანდებულიანი ბრუნები (ე.წ. ლოკატივები). ეს ბრუნებიც ორ ჯგუფად იყოფა — ერთთანდებულიანებად და ორთანდებულიანებად.

გრამატიკული კლასების მიხედვით გარჩეულ სახელებში ზოგჯერ ერთსა და დმავე ბრუნვისათვის განსხვავებული ხმოვნის შემცველი ან სულაც თავად განსხვავებული მაწარმოებელი გამოიყენება; ამასთან, როგორც ითქვა, დასტურდება საბრუნებელ ფუძეთა ნაირსახეობა წარმოების მიხედვით. მაშასადამე, ბრუნვათა მექანიზმი წახურსა და მუხადურში რთულია. ეს სირთულე, შესაძლებელია, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ამჟამინდელ წახურსა და მუხადურში შეინიშნება განვითარების სხვადასხვა პერიოდისა თუ სხვადასხვა დიალექტოლოგიურ მონაცემთა დანალექების ერთმანეთში აღრევით არსებობა.

წახურ და მუხადურ სახელთა ბრუნების სისტემა ძირითადად ერთნაირია, თუ არ ვიგულისხმებთ ფონეტიკურ ცვლილებებს და საბრუნებელი ფუძის ხასიათსა და პირის ნაცვალსახელთა ბრუნებაში არსებულ ზოგიერთ სხვაობას; კერძოდ, ესა თუ ის მუხადური ატრიბუტიული სახელი შესაძლოა ყოველთვის არ მიჰყვებოდეს წახურში დამოწმებული ბრუნების თავისებურ წესს; ამის გარდა, მესამე პირის მსგავსად I. და 2. პირის ნაცვალსახელები მუხადურში განარჩევენ სახელობით და ერგატიულ ბრუნვათა წორმებს — მაშინ, როდესაც ასეთი გარჩევა ხდება მხოლოდ ზოგ წახურ დიალექტში; ამ მხრივ გამონაკლისს

შეადგენს, სახელდობრ, აულების — გილმიწის, ლექისა და მიქიქის მეტყველება, სადაც შეინიშნება ამ ორი ბრუნვის დიფერენციაციის შემთხვევები.

ძირითადი ბრუნვა ოთხია: სახელობითი (წრფელობითი), ერგატივი (მოთხრობითი), ნათესაობითი, მიცემითი.

ყველა ეს ბრუნვა გამოსატავს სიტყვათა აბსტრაქტულ ურთიერთობას — სულერთია, წმინდაფუძიანი იქნება ის, თუ ამა თუ იმ ელემენტით გართულებული; სახელდობრ: სახელობითი გამოსატავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტსა და გარდამავალი ზმნის უახლოეს (პირდაპირ) ობიექტს; ერგატიული ბრუნვა — გარდამავალი ზმნის სუბიექტს (ყველა დრო=კილოში დასმულ შემასმენელთან); მიცემითი — ირიბ ობიექტსა და აღქმა=მგრძნობელობის გამომხატველი ზმნის სუბიექტს; ნათესაობითი გამოსატავს კუთვნილებას=განსაზღვრებას და სხვ. (იბერიულ-კავკასიური წრის ენათა შაბლონი).

წახურ სახელთა ბრუნება

ძირითადი ბრუნვები

. მხოლოდით რიცხვში დასმულ არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმები.¹

¹ პარადიგმები და სქემები ძირითადად შედგენილია აულ წახურის მეტყველების მიხედვით. ზოგი ბრუნვის პარადიგმური ფორმა ან ფორმები მოცემულია კილო=კილოკავურად განსხვავებულ სხვა აულთა მონაცემებზე დაყრდნობით. ამ ვარიანტთა და სხვა თავისებურებათა შესახებ ზანმარტებები მოცემულია ქვემოთ (ინ. თავისებურებანი დიალექტებში).

1) ადამიანის (პიროვნების) კლასის სახელთა

ა) ფუძეთანხმოვნიათა:

სახ. დექჷ „მამა“...	დედ „დედა“...
ერგ. დექჷ=ე	დედ=ე
ნათ. დექჷ=ინ ^ა /ი ^ა	დედ=ინ ^ა /ი ^ა
მიც. დექჷ=ის	დედ=ის

სახ. როჯ „ძმა“	ზამანაბ „ზეინაბი“
ერგ. როჯ=ე	ზამანაბ=ე
ნათ. როჯ=ინ	ზამანაბ=ინ
მიც. როჯ=ის	ზამანაბ=ის

ბ) ფუძეხმოვნიათა:

სახ. ადამი „მამაკაცი“	ირი „და“	აზლი „ალი“
ერგ. ადამ=ე	ირი=ე ირი=ა	აზლ=ე
ნათ. ადამ=ინ =ინა, =ინა	ირინ =ინა	აზლ=ინ
მიც. ადამ=ის	ირის	აზლ=ის

სახ. ჰუნაშუჷ „დედაკაცი“, „ცოლი“
ერგ. ჰუნაშუჷ/ე
ნათ. ჰუნაშუჷ=ან
მიც. ჰუნაშუჷ=ას

2) ნივთის კლასის სახელთა

ა) ფუძეთანხმოვანთა

სახ. ოს „შეშა“	ზარ „ფური“
ერგ. ოს=ან	ზარ=ან <-ზარ=ან
ნათ. ოს=ან =ანა =ანნი	ზარ=ან =ა ზარ=ანი
მიც. ოს=ას	ზარ=ანს <-ზარ=ას

სახ. ბალქან „ცხენი“	ქალჯუ „ხელიკი“
ერგ. ბალქან=ან	ქალჯუ=ინ

ნათ. ბალქან=ენ=ა/ი³

ქალწუზინ||ინ^{ა/ი}

მიც. ბალქან=ეს

ქალწუზის ||=ეს

ბ) ფუძეხმოვნიანთა:

სახ. ვაზყაზ„ცხვარი“

ბ~წჷ „ძალი“

ერგ. ვაზყაზ=ნ

ბ~წჷ=ნ

ნათ. ვაზყაზ=ნ||=ნი

ბ~წჷ=ნ||=ნი

მიც. ვაზყაზ =ს

ბ~წჷ=ს

სახ. ტატა „ქობი“... .

ერგ. ტატა=ნ

ნათ. ტატა=ნ||=ნი

მიც. ტატა=ს

ამ პარადიგმების მიხედვით გამოიყოფა ძირითად ბრუნვათა შემდეგი ნიშნები:

1) ადამიანის კლასის სახელებში

ა) ფუძეთანხმოვნიანებთან:

ბ) ფუძეხმოვნიანებთან:

სახ. =ნული (უნიშნოა)

=ნული (უნიშნო)

ერგ. =წ, =წ

=წ, =წ

ნათ. =წნ, =ენ

=წნ, =წნა, =წნა, =ენ

(<--ინ)

მიც. =წს, =ს

=წს, =ენს (<--ის), =ს

2) ნივთის კლასის სახელებში

ა) ფუძეთანხმოვნიანებთან:

ბ) ფუძეხმოვნიანებთან:

სახ. =ნული (უნიშნოა)

=ნული (უნიშნო)

ერგ. =ან, =ინ, =ენ

=წნ, =ნ, =ენ

ნათ. =ან, =ინ, =ენ||=ანა,

=წნ, =ნ, =ენ

=ანი (დიალ.)

მიც. =ას, =ის, =ეს

=ას, =ს, =ეს

არსებით სახელთა ბრუნების აქ წარმოდგენილი პარადიგმები და სქემები გვიჩვენებენ, რომ I. ბოლო-ხმოვნიან სახელთა ბრუნების დროს ფუძისეული ბოლო ხმოვანი და ბრუნვის ნიშნის ხმოვანი შეირწყმის, რის შედეგად წარმოიქმნება გრძელი ხმოვანი; ამასთან: გრძელი ხმოვანი (როგორც ერგატივის, ნათესაობითისა და მიცემითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი) დას-ტურდება თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძის მქონე სახელებშიც (იხ. ზევ.). ფუძეთანხმოვნიან სახელთა ბრუნვის ნიშნებში გრძელხმოვნიანი ვარიანტის არსებობა გვაგვარაუდებინებს, რომ ამჟამინდელი ბოლოთანხმოვნიანი ფუძეებიც ოდითგან ხმოვანზე ბოლოვდებოდნენ: დექჰ <- დექჰი: დექჰიინ->დექჰინ; აედ <- აედი: აედი=ინ-> აედინ, ჩოჯ <- ჩოჯი: ჩოჯიინ-> ჩოჯინ... (იხ. ზევ.).¹ როგორც ჩანს, ფუძისეული ბოლოხმოვანი, იკვეცება არა აბსოლუტურ დაბოლოებაში (წრფელობით=სახელობითში), „ირიბ“ ბრუნვებში რჩება გრძელი ხმოვნიანი სახით საბრუნებელი ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ხმოვანთა შერწყმის შედეგად.

2. რიგ შემთხვევაში ბრუნვის ფორმები ემთხვევება ერთმანეთს; მაგალითად: ა) ჰუნაშა-> ||ჰუნაშაჰ (დედაკაცი, ცოლი) — სახელობითიცაა და ერგატივიც; ბ) ერგატივი და ნათესაობითი ბრუნვა (იხ. ზევ. ნივთის კლასის სახელთა ბრუნების პარადიგმები და ბრუნვის ნიშანთა სქემები). დიალექტოლოგიური მონაცემებით საბუთდება ამ დამთხვევათა მეორეულობა (იხ. ქვემ.).

3) შეინიშნება ზოგი სხვაობა ადამიანისა და ნივთის კლასის მიხედვით დაჯგუფებულ სახელთა ბრუნებაში - მაგალითად, ერგატივისა და გენეტივის წარმოებაში. სხვა შენიშვნები იხ. ქვემოთ.

1. შდრ. ამ სახელთა მიმართვის ფორმა: აედინ „დედაც“, ჩოჯინ „ქმარ“.

ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმები, შენიშვნები და განმარტებები:

I) პირის ნაცვალსახელისა

მხ. რ.	I პირისა	მრ. რ.
სახ. ზე „მე“		შვი „ჩვენ“
ერგ. ზე		შვი
ნათ. მიზ=და, =დი, =ენ		მიშ=და, =ლი, =ენ
მიც. ზ=ას		შვ=ას

II პირისა

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ლუ ეუ „შენ“	შუ „თქვენ“
ერგ. ლუ ეუ	შუ
ნათ. მიდ=და, =დი, =ენ	ეუშ=და, =დი, =ენ
მიც. ლჷ=ას ე=ას	შჷ=ას -> შვოს

III პირისა

I კლ.	II კლ.	III კლ. და IV კლ.
სახ. შენა „ის“	შენა „ის“	შენა „ის“
ერგ. შენ=ჟჷ=ე	შენ=ჟჷ=ე	შენ+ჩი=ნ
ნათ. შენ=ჟჷ=ნა, =ნი	შენ=ჟჷ=ნა/ი	შენ+ჩი=ნ
მიც. შენ=ჟჷ=ს	შენ=ჟჷ=ს	შენ+ჩი=ს

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი პირის ნაცვალსახელთა ბრუნებაზე: პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელი ორსავე რიცხვში ერთნაირად და რამდენადმე თავისებურად (არსებითი სახელისაგან განსხვავებით) იბრუნვის, - სახელლობრ: ა) სახელობითი და ერგატიული ბრუნვა არ არის გარჩეული (ისევე, როგორც, მაგალითად, უდიურ-

ში, ქართულში...¹): ორივე ბრუნვა წარმოდგენილია ფუძით - შდრ. მუხადური (იხ. ქვემ.). ბ) ამ ნაცვალსახელებს ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებლად² სუფიქსის გვერდით მოუდით =და||დი სუფიქსებიც, რაც წახურ არსებით სახელში (მხოლოებითში) არ მოწმდება. შდრ. წახურ სახელად ბრუნება მრავლობით რიცხვში; ²შდრ. აგრეთვე მუხადური მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ამ სუფიქსს წახურში ოდითგან გავრცელების უფრო მეტი არე უნდა ჰქონოდა: მუხადურში =და || =დი, =დჯ -> =დ სუფიქსები ნათესაობითი ბრუნვის საწარმოებლად გამოიყენება ყველა სახელში, მათ შორის არსებით სახელებშიც (იხ. ქვემ. სახელთა ბრუნება მუხადურში). გ) ნათესაობითი ბრუნვის თავისებურებას იხილეთ ქმნის, რომ ამ შემთხვევაში საბრუნებელი ფუძე გართულებულია. დი= და ჟუ -> დუ= გაქვავებული პრეფიქსით: დი=ზ=და დი=ლ=და, დი=შ=და, დუ=შ=და <- ჟუ=შ=და (იხ. ზევ.).

სქემა I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის ნიშნებისა: სახ. - (არ არის გაფორმებული); ერგ. - (არ არის გაფორმებული); ნათ. =და || =დი (თუ საზღვრულად ადამიანის კლასის სახელი მოსდევს); =გნ (თუ საზღვრულად საგანთა და ცხოველთა კლასის სახელი მოსდევს); მიც. =ას.

ძირითად ბრუნვათა ეს ნიშნები დაერთვიან აღნიშნულ ნაცვალსახელთა წმინდა ფუძეს (ძირეულ თანხმობიან ელემენტს).

I. და 2. პირის ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად არ ირთავს სპეციალურ ნიშანს: სიმრავლე გამოცემულია ფუძის შინაარსით (სემასიოლოგიურად).³ ამასთან საგულისხმოა, რომ პირველი და მეორე

1. შდრ. უდიური ზუ, მე, ერგატ. ზუ, ნათეს. ბეზი, მიც. ზა, ზახ. 2. მრ. რ. დასმული ზოგი წახური არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად გამოიყოფა =და სუფიქსიც: შდრ. მაგალ. წახნიშ=და მიზ, წახების ენა... 3. იხილეთ, როგორც მუხადურში (იხ. ქვემ.), უდიურში... ქართულში...

რე პირის ნაცვალსახელებს გარეგნულად საერთო (შ) ძირი აქვთ: ში „ჩვენ“ და შუ „თქვენ“; ამჟამად მათი გარჩევა ხდება =ღ და =უ ხმოვნების მონაცვლეობით: შღ „ჩვენ - შუ „თქვენ“. ამის თაობაზე ზოგი სხვა განმარტება იხ. ზემ.

4. თავისებურად იბრუნვის მესამე პირის ნაცვალსახელი ორივე რიცხვში: ა) „შენა“ („იგი“, „ის“) ნაცვალსახელს ბრუნების დროს ეკვეცება ბოლხმოვანი =ღ, „ირიბ“ ბრუნვათა ფუძედ რჩება შენ= (იხ. ზემ.), რაც ერგატივიდან მოყოლებული ყველა სხვა ბრუნვაში გართულებულია =ჟუ= || =ჟი¹ || -> =ლუ, ლი (1. კლ.), =ჟი= || ← =ჟი= || -> ღი (2. კლ.), =ჩი= (3. და 4. კლ.). ელემენტები (იხ. ქვემ.); ბ) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით მესამე პირის ნაცვალსახელებში გარჩეულია სახელობითი და ერგატიული ბრუნვები: სახელობითი აქაც უნიშნობა, თუ არ ვიგულისხმებთ მისთვის დამახასიათებელ დეტერმინანტსაუფიქსს (შე=ნღ), ხოლო ერგატივის სპეციალური სუფიქსებია =ღ || ე (აღამიანის კლასისათვის), =ღ (საგანთა და ცხოველთა კლასისათვის). ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებია *უ²=ნა || =ნჩ, || =ნ (1. კლ.), - ი=ნა || =ნი || =ნ (2. კლ.), =ინ (3. და 4. კლ.). მიცემითი ბრუნვის ნიშანი ერთნაირია ყველა კლასის აღმნიშვნელ ამ ნაცვალსახელებში (თუ არ ვიგულისხმებთ სხვადასხვა ხმოვანს, რომელიც ბრუნვის ნიშნის წინ ჩნდება: აღს, იღს (-> =აღს), =ღაღს²).

1. *ჟ გრადუდით აღინიშნება ფარინგალური მჟღერი ხშული, რომლის რეფლექსუბაცია (დაილექტებში) ყ, კ, ლ (იხ. წ. I-ფონეტიკა).
2. ნათელი არ არის, ეს ხმოვანი ბრუნვის ნიშნის კუთვნილებად, თუ საბრუნებელი ფუძისა. ამასთან არც ისაა ნათელი, თუ რა მიმართებაა ამ განსხვავებულ ხმოვნებს შორის. ანალოგიური მდგომარეობაა თვისაჟომ უდღორ ენაშიც: აქ მიცემითის ნიშნად გამოიყენება (მხოლ. რ.): ახ->ა, ეხ->ე, იხ->ი, უხ->უ; (მრ. რ. ში): ოხ->ო სუფიქსები, რომელთა ხმოვანთსხვაობის ახსნა ძნელდება, გარდა მრავლობითში გამოყენებული =ოხ->ო ვარიანტისა, რომ-

2) უკუქცევითი („თვითონ“) ნაცვალსახელისა

I კლასი	II კლასი
სახ. ვუჯ „თვითონ (კაცი)“	აიჯ„თვითონ (ქალი)“
ერგ. ვუჯ=წ/ე	აიჯ=ე<-აიჯი=წ
ნათ. ჯუ=ნა, =ნი ჯონი<-ჯუ=ან=ი	ჯენა<-ჯი=ანა<-*აი =ჯი=ან=ა
მიც. ჯუ=ს ჯოს <-ჯუ=ას	ჯე=ს<-ჯი=წს<-*აი= =ჯი=ას

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი : I. უკუქცევითი ნაცვალსახელი იბრუნვის I. და 2. პირის ნაცვალსახელის მსგავსად – „ურჩანართოდ“; ამასთან სახელობითისა და სხვა ბრუნვების შედარება გვიჩვენებს, რომ ამ ნაცვალსახელის ფუძე სახელობითში რთული აგებულებისაა: მისი ძირია ჯ, რაც გართულებულია ეუ= (I კლ.) და აი= (II კლ.) თავსართებით. ბრუნების დროს ეს თავსართები, გარდა ერგატივისა, არ გადაჰყვება ბრუნვათა ფორმებს (იხ. ზემ.).

2. სახელობითი და ერგატიული ბრუნვა შესამე

პირის ნაცვალსახელის მსგავსად გარჩეულია ამ ნაცვალ-

მელიც შეიქმნილია, მიღებულია პოზიციურ-კომბინაციური ცვლილების (ნაწილობრივი დამსგავსების) შედეგად. შეიძლება კიბხვა ორგვარად დაისვას: ეს ხმოვნები შესაძლოა, ალტერნანტებია ერთი რომელიმე ძირითადი ფონემისა – ეთქვამთ, ა, ხმოვნისა; ანდა: ყოველი ამ ხმოვანთაგანი შეიძლება იყოს სხვაგვარი წარმომავლობის, დამოუკიდებელი ელემენტი. ამის შესახებ დაბეჯითებით მსჯელობისათვის საჭიროა ამ ენათა არეალებიდან გასვლა.

I. ფუძეპირის ელემენტი შეიძლება გამოიყოს ჯუ, ჯი მარცვლის სანითაც; შდრ. ამ ნაცვალსახელის წანურისავე ნათეს და მიცემ. ბრუნვათა ფუძეები, აგრეთვე – თვისტომ ენათა (მათ შორის მუნადღურის – ინ.ქემე.) ფუძეფორმები.

სახელშიც: ^I სახელობითი ცუჯ (I. კლ.) - ერგ. ცუჯ=წ/ე; აიჯ (2. კლ.) - ერგ. აიჯ=ე. 3: ამ ნაცვალსახელის ნათესაობით და მიცემით ბრუნვათა ფუძეა ჯუ (I კლ.) და ჯი II ჯე (II კლ.). ა) „ჯე“ ფუძეში „ე“=ც დიფთონგური წარმომავლობისაა და მიღებულია ი + ა ბგერათა კომბინაციით: ერგ. აიჯ=ე <- აიჯი=ა, ნათ. ჯენა <- ჯი=ან=ა, მიც. ჯეს <- ჯი=ას. „ჯი“ რომ ამ ნაცვალსახელის ფუძეა, ეს მუხადურის მონაცემებითაც მოწმდება: ჰა=რიჯ „ის=ფითონ (ქალი)“ - ერგატ. ჯი. ნათეს. ჯი=დჯ, მიც. ჯი=ს (იხ. ქვემ.). ბ) პირველი კლასის აღმნიშვნელი ამ ნაცვალსახელის ფუძე ორი ვარიანტიდაა წარმოდგენილი ნათესაობითში, მიცემითში: ჯუნა/ი || ჯონა/ი, ჯუს || ჯოს. აქ ო=ც დიფთონგოიდურია: წარმოიქმნება უ+ა ბგერათა კომბინაციით: ჯუნა=ანა/ი -> ჯონა/. ჯონი; ჯუნა=ს -> ჯოს. შდრ. მუხადური: ჰავეჯ „ფითონ“ (I. კლ.): ერგ. ჯუ, ნათ. ჯუ=დუ, მიც. ჯუ=ს (იხ. ქვემ.) ამგვარად, ამ ნაცვალსახელშიც გამოიყოფა ბრუნვათა ისეთივე ნიშნები, როგორც არსებით სახელში. აქაც თავის მხრივ ყურადღებას იქცევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომლის ფუძე მოგვაგონებს არსებით სახელთა ამავე ბრუნვის ფუძეს (სხვა შენიშვნები იხ. ქვემოთ).

4. როგორც ჩანს, აბსოლუტურ დაბოლოებაში ჯუ, ჯი ფუძეთა ბოლო ხმოვანი იკვეცება: ცუ=ჯუ -> ცუ=ჯ, აი=ჯი -> აი=ჯ (იხ. ზემ.), ხოლო დახურულ მარცვალში (ნათესაობითში, მიცემითში ...) იგი შემონახულია: ჯუნა/ი || ჯონი <- ჯუნა=ან, ჯენა/ი <- ჯი=ან=ა/ი; ჯუს || ჯოს <- ჯუნა=ას, ჯის || ჯეს <- ჯი=ას. ამ წახური ნაცვალსახელის ბრუნების ფორმებში ყურადღებას იპყრობს ისიც,

I. ამ მხრივ წახური მოგვაგონებს უდიურს, სადაც აღნიშნული ნაცვალსახელის ამ ორი ბრუნვის ფორმა გარჩეულია აგრეთვე: სახ. იჩ, ერგ. იჩ=ენ->იჩ=ონ... შდრ. ქართული, სადაც „ფითონ“ სახელობითიცაა და ერგატიც: ფითონ მოვიდა || ფითონ გააქეთათა...

რომ პირველი კლასისათვის გამოყენებულ ძირისეულ თან-
 ხმოვანს მაინცდამაინც უ ხმოვანი ახლავს, ხოლო მეო-
 რე (და მესამე, მეოთხე?) კლასისას - ე ხმოვანი (იხ.
 ზეც. მესამე პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პტრადიგ-
 მები). გრ. კლასების გასარჩევად წახური (და მუხადუ-
 რი - იხ. ქვ.) უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუძისეულ
 ხმოვანთა ამგვარი ცვლა ჰბადებს კითხვას: ხომ არ
 მოწმდება აქ ფუძის შინაგანი ფლექსია, - ფუძისეული
 ხმოვნის ალტერნაცია, რომელსაც ენიჭება გრამატიკული
 (კლას=კატეგორიის გამოხატვის) ფუნქცია? ხომ არ ხდე-
 ბა აქ ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობის გრამატიზაცია=
 =სემანტიზაცია, გამოყენებული - როგორც გრ. კლასის
 აფიქსის მაგივრობის გამწევი საშუალება.¹

სახელთა ბრუნება მრავლობით რიცხვში

წახურში (და მუხადურში - იხ. ქვ.) მრავლობითი
 რიცხვის აფიქსი დაერთვის ფუძეს (წრფელობითს), ხოლო
 ამ კატეგორიის ფორმანტს მოსდევს მხოლოობითში გამო-
 ყენებული ბრუნვის ნიშანი, გართულებული =შ= ელემენ-
 ტით, რომელიც წინ უძღვის ბრუნვის დაბოლოებას. მა-
 შასადამე, მრავლობით რიცხვში სახელთა ბრუნების ტი-
 პი აგლუტინაციურია, ხოლო მექანიზმი ასეთი: საყრდენი
 ფუძე + მრავლობითი რიცხვის აფიქსი + „ჩანართი“ +
 ბრუნვის ნიშანი.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

I) არსებით სახელთა მრავლობით რიცხვში ბრუნებისა

I. წარმოქმნილს ამ კატეგორიის გამოხატველ პრეფიქს-
 თა ფუნქციის მოღუენება=მოშლის შედეგად. ამას შიის
 კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით,
 რასაკვირველია, დასჭირდება შემდგომი ძიება. ზოგი
 სხვა შენიშვნა იხ. ქვემ.

ა) ბ მ ლ მ თ ა ნ ხ მ მ გ ნ ი ა ნ ე ბ ი ს ა

- ა) საბ. დექშპრ <- დექშიპარ „მამები“ (დექშ„მამა“)
 ერგ. დექშპრშ <- || დექშპრშ <- დექშიპარშ
 ნათ. დექშპრშინ <- || დექშპრშინ <- დექშიპარშინ
 მიც. დექშპრშის <- || დექშპრშის <- დექშიპარშის

- ბ) საბ. ინსანპარ „აღამიანები“, „ხალხი“ (მხ.აღამი
 „აღამიანი“)
 ერგ. ინსანპრშ <- ინსანპარშ
 ნათ. ინსანპრშინ <- ინსანპარშინ
 მიც. ინსანპრშის <- ინსანპარშის

- გ) აედპრ „დედაკაცები“, „ქალები“ (ჰუნაშპრ „დედა-
 კაცი“, „ქალი“; აედ „დედა“)
 ერგ. აედპრშ <- აედიპარშ
 ნათ. აედპრშინ <- აედიპარშინ
 მიც. აედპრშის <- აედიპარშის

ბ) ბ მ ლ მ ხ მ მ გ ნ ი ა ნ ე ბ ი ს ა

- ა) ირპრ <- ირიპარ „ქალიშვილები“ (ირი „ქალიშვი-
 ლი“)
 ერგ. ირპრშ <- ირიპერშ <- ირიპარშ
 ნათ. ირპრშინ <- ირიპერშინ <- ირიპარშინ
 მიც. ირპრშის <- ირიპერშის <- ირიპარშის

- ბ) ცრცპრ <- ცრციერ <- ცრციპარ „თაჯინები“ (ცრცი
 „თაჯინა“)
 ერგ. ცრცპრშ <- ცრციერშ <- ცრციპარშ
 ნათ. ცრცპრშინ <- ცრციერშინ <- ცრციპარშინ
 მიც. ცრცპრშის <- ცრციერშის <- ცრციპარშის

- გ) ტატაბჟ „ჯოხები“ (ტატა „ჯოხი“)
 ერგ. ტატაბჟშინ
 ნათ. ტატაბჟშინ || ტატაბჟშინ
 მიც. ტატაბჟშის

2) პირის ნაცვალსახელთა მრავლობით რიცხვში ბრუნებისა

სახ. შემ^მმ^მ <- შემ=მ^მ <- შენ=ბ^მ „ისინი (შენა „ის“ „იგი“)

ერგ. შემ^მმ^მშ^მ <- შემ=მ^მ=შ^მ <- შენ=ბ^მ=შ^ა

ნათ. შემ^მმ^მშ^{ინ} <- შემ=მ^მ=შ^{ინ} <- შენ=ბ^მ=შ^{ინ}

მიც. შემ^მმ^მშ^{ის} <- შემ=მ^მ=შ^{ის} <- შენ=ბ^მ=შ^{ის}.¹

ასევე იბრუნვის ჰინ=ბ^მ -> ჰინმ=მ^მ, მან=ბ^მ -> მამ=მ^მ „ესენი“, „ეგენი“ (მხოლ. ჰინა, მანა) ნაცვალსახელებიც.

მრავლობით რიცხვში სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული შენიშვნები და განმარტებები:

1. მრავლობით რიცხვში სახელთა ბრუნების დროს მრავლობითობის =არ || =არა აფიქსი, როგორც წესი, „ირიბ“ ბრუნვებში იცვლება გრძელი ხმოვნით [ა] სიგარდე ხმოვნისა იქმნება მრავლ. რიცხვის აფიქსისეული „რ“-ს დაკარგვის შედეგად - რჩება „რ“=ს კვალი, რომელიც დარჩენილ ხმოვან=ელემენტს უქმნის სიგრძის ეფექტს; 2. მრავლობითობის გამომხატველი ეს გრძელი ხმოვანი ა (<- =არ || =არა) - ისევე, როგორც =ბ^მ -> =მ^მ აფიქსი ყოველთვის გართულებულია =შ^{ინ} = ელემენტით, რომელსაც მოსდევს ბრუნვის ნიშანი. სხვა „ჩანართი“ არ იყის მრავლობით რიცხვში დასმულმა წახურმა (და მუხალურმა) სახელმა (იხ. ქვ.).

3. მრავლობით რიცხვში დასმულ - „ნ“-ზე დაბოლოებულ სახელთა ფუძეებში, კერძოდ, შენა („იგი“) ნაცვალსახელში (და ზოგ მსაზღვრელ სიტყვაში) ბრუნების დროს ხდება არსებითი ხასიათის ფონეტიკური ცვლილება: ა) იკვეცება ფუძის ბოლო ხმოვანი: შენა -> შენ; ბ) მრავლობითი რიცხვის სუფიქსი დაერთვის ხმოვან=მოკვეცილ .

1. მრ. რიცხვის =ბ^მ სუფიქსის ნაცვლად შესაძლოა იყოს =ბი ან =ბუ ვარიანტიც.

(შენ) ფუძეს; გ) ფუძისეული ნ=ს მეზობლობაში რიცხვის (ბი, ბ₂) მაწარმოებლის თანხმოვანი (ბ=) სონორ (მ) ბგერად იქცევა: ბი, ბ₂->მი, მ₂ (შესაბამისად), ამას მოსდევს ფუძისეულ და ფორმანტისეულ თანხმოვანთა ასიმილაცია: ნბ -> ნმ -> მმ და შერწყმა: მმ->მ̄, რის გამო საწარმოებელ ფუძე=ფორმას ეკარგება თავდაპირველი სახე: შენბი -> შენმი მემმი -> შემ̄მი; შენ=ბ₂ -> შენ=მ₂ -> შემ₂მ₂ -> შემ̄₂მ₂. ამგვარი პროცესი გასდევს ყველა ბრუნვის ფორმას (იხ. ზემ.პარადიგმები).

ატრიბუტიულ სახელთა ბრუნება

ზოგადი

წახურში (და მუხადურში - იხ. ქვემ.) ატრიბუტიული სახელები: თვისება=გვარობის ან სადაურობის აღმნიშვნელი სახელები, რიცხვითი სახელები, კუთვნილებითი და მითითებითი ნაცვალსახელები და სხვ. არ იბრუნვიან და არ იცვლიან რიცხვის ფორმას, თუ ასეთი სახელები არ არიან წარმოებულ=გამოყენებულნი სუბსტანტივებად; ზოგჯერ ცვლა ხდება მხოლოდ გრამატიკული კლასების მიხედვით - იმის შესაბამისად, თუ რას საზღვრავენ ეს სახელები (იხ. ზემ.). მაშასადამე, წახურში (და მუხადურში - იხ. ქვ.) გამოიყენება ფორმაუცვლელი მსაზღვრელი. როგორც ითქვა, მეტყველების ეს ნაწილები ფორმაცვალებადნი ხდებიან, თუ გაიგებიან სუბსტანტივებად; გასუბსტანტივება კი ხდება სპეციალური პოსტპოზიციური მორფემით, რომელსაც მოსდევს ბრუნვის ნიშანი. ეს პოსტპოზიციური ელემენტი წარმოშობით ნაცვალსახელია; საწარმოებელ ფუძეზე მისი ღართვით¹ წარმოიქმნება ბრუნების თავისებური, ანალიტიკური, ტიპი,

1. და არა „ჩართვით“ - როგორც ამას ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტავენ.

რაც მოწმდება მრავლობით რიცხვში დასმულ არსებით სა-
ხელებშიც.

ატრიბუტიულ სახელთა ბრუნების ნიმუშები:

I) ზედსართავ სახელთა ბრუნებისა

ხაზრნა „უფროსი“, „დიდი“ (ასაკით, მდგომარეობით...)

I კლასი

სახ. ხაზრნა

ერგ. ხაზრგენ=წყა||->ხაზრუნ=
ღია

ნათ. ხაზრგენ=წყუნ||->ხაზრუნ=
ღუნ

მიც. ხაზრგენ=წყუს||ხაზრუნ=ღუს.

II კლასი

ხაზრნა

ხაზრგენ=წყე||->ხაზრგენ=ღე

ხაზრგენ=წყინ||->ხაზრგენ=
ღინ

ხაზრგენ=წყის||->ხაზრგენ=
ღის

ხაზრნა „დიდი (ძალი...)" ხაზრგენ „დიდი (რამე)

III კლასი

ერგ. ხაზრგენ=ჩინ||ხაზრგენ=შა

ნათ. ხაზრგენ=ჩინა||ხაზრგენ=შინ

მიც. ხაზრგენ=ჩინს||ხაზრგენ=შის

IV კლასი

ხაზრგენ=ჩინ

ხაზრგენ=ჩინა/ი

ხაზრგენ=ჩინს

2) რიცხვითი სახელის ბრუნებისა:

I კლასი

სახ. სა „ერთი“

ერგ. სან=წყე || ->სან=ღე

ნათ. სან=წყუნ || ->სან=ღუნ

მიც. სან=წყუს || ->სან=ღუს

II კლასი

სა

სან=წყე || ->სან=ღე

სან=წყენ || ->სან=ღენ

სან=წყეს || ->სან=ღეს

III და IV კლასი

სახ. სა

ერგ. სან=ჩჳ

ნათ. სან=ჩინ

მიც. სან=ჩის

3) განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ბრუნებისა:

I კლასი

II კლასი

სახ. გზგგენ „ყველა“

გზგგენ

ერგ. გზგგენ=ჟრ/ა||->გზგგენ=
=ლ/ა

გზგგენ=ჟე||->გზგგენ=ღე

ნათ. გზგგენ=ჟუნ||->გზგგენ=ლუნ

გზგგენ=ჟინ||->გზგგენ=
=ღინ

მიც. გზგგენ=ჟუს||->გზგგენ=ლუს

გზგგენ=ჟის||->გზგგენ=
=ღის¹

III და IV კლასი

სახ. გზგგენ

ერგ. გზგგენ=ჩჳ

ნათ. გზგგენ=ჩინ

მიც. გზგგენ=ჩის

ზედსართავი და რიცხვითი სახელის, აგრეთვე განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ბრუნების პროცესთან დაკავშირებული შენიშვნები და განმარტებები:

I. ზედსართავი სახელი იბრუნვის კუთვნილებითი ნაცვალსახელის მსგავსად: აქვს იგივე „ჩანართები“ და ბრუნვის იგივე ნიშნები, რაც - ამ ნაცვალსახელს. ამასთან: ზედსართავ სახელთა ბრუნების დროს ა) „ჩანართებ-

1. ლ(←ჟ)ელემენტური პოსტ-დეტერმინანტი იხმარება აულების - მიქიქის, გილმიწის და ლექის (ყრდღლის) მეტყველებათაში; აულ წახურის მეტყველებათაში მოწმდება ფარიზგალური მუღერი ხშული ჟ, ხოლო მიშლეშისათაში - ყ.

ში“ შეინიშნება დელაბიალიზაციის მომენტი; მაგ.: ხაზ-
 რუნ=ჟა<-ხაზრუნჟია, ხაზრუნ=ლა<-ხაზრუნ=ლია „დიდმა“
 „უფროსმა“. ბ) შუ -> || ლუ, ში -> || ლი, რი დანართე-
 ბის გარდა, ზედსართავ სახელს „ირიბ“ ბრუნვებში =შ=
 დანართიც აქვს, მაგ.: ხაზბუნ=შ=ზ, ხაზბუნ=შ=ინ, ხაზ-
 ბუნ=შ=ის „დიდმა (ძალმა)“, „დიდის (ძალის)“, „დიდს
 (ძალს)“, რაც მოგვაგონებს სახელთა ბრუნებას მრავ-
 ლობით რიცხვში (იხ. ზემ.). გ) ზედსართავ სახელში
 აღნიშნულია გრამატიკული კლასი, რომლის ექსპონენტიც
 გასდევს ყველა ბრუნვას. შდრ., მაგალითად: სახ.
 ხაზრუნა— ერგ. ხაზრუნენა (1. კლ.), ხაზრუნე (2.
 კლ.), ხაზბუნა— ერგ. ხაზბუნენა (3. კლ.), ხაზდუნ-
 ენ — ერგ. ხაზდუნენა (4. კლ.) „დიდი“, „უფროსი“
 დ) ანალოგიური მდგომარეობაა რიცხვით სახელში: იბრუნ-
 ვის, თუ ცალკე იხმარება და სუბსტანტივად გაიგება;
 აქვს ბრუნვათა იგივე ნიშანი, რაც ნაცვალსახელსა და
 თვისებაზოგორობის ან სადაურობის აღმნიშვნელ ზედსარ-
 თავ სახელებს; ოღონდ ამათგან განსხვავებით რიცხვით
 სახელში (ფუძეში). არ ჩანს კლას=კატეგორიის ნიშნები;
 „ირიბ“ ბრუნვებში „ჩანართით“ გართულებული ბრუნვის
 ნიშნის წინ ზოგჯერ გამოიყოფა =ნა= ელემენტი, რაც არ
 არის სახელობითში; მოსალოდნელი კი იყო, ბრუნვის ამ
 ფორმაშიც ყოფილიყო; შდრ., მაგალითად, წახურევე სა
 „ერთი“ და სანა=სანაჟუნა || სანა=სანაღუნა „ერთმანეთი“
 (1. კლ.), სანა=სანაჟინა || სანა=სანაღინა „ერთმანე-
 თი“ (2. კლ.) ამ რიცხვითი სახელის „ირიბ“ ბრუნვათა
 ფორმებიც ამასვე გვიჩვენებენ: სან=ჟიჟე || სან=ღიჟე
 „ერთმა (კაცმა“...) - იხ. ზემ. ეგევე ითქმის განუ-
 საზღვრელ ნაცვალსახელზეც (იხ. ზემ. პარადიგმები).

4) კუთვნილებითი (ნანათესაობითარი) ნაცვალსახელის
 ბრუნება

I პ. აიზდა „ჩემი (მამა, ძმა, ვაჟი...)", „ჩემი (დე-
 და, და, გოგო...)"

ა) საბ. ღიზ=ღა/ღი „რემი (I კლ.)

ერგ. ღიზ=ღენ=ჟუა||->ღიზ=ღენ=ღუა

ნათ. ღიზ=ღენ=ჟუნ||->ღიზ=ღენ=ღუნ

მიც. ღიზ=ღენ=ჟუს||->ღიზ=ღენ=ღუს

ბ) საბ. ღიზ=ღა/ღი „რემი (2 კლ.)

ერგ. ღიზ=ღენ=ჟე||->ღიზ=ღენ=ღე

ნათ. ღიზ=ღენ=ჟინ||->ღიზ=ღენ=ღინ

მიც. ღიზ=ღენ=ჟეს||->ღიზ=ღენ=ღეს

გ) ღიზ=ღა || ღიზ=ღენ „რემი (ცხენი, ქვაბი...)\", ღიზ=ღენ „რემი (ჯოხი...)

III და IV კლ.

ერგატ. ღიზ=ღენ=ჩჳ

ნათეს. ღიზ=ღენ=ჩინ

მიცემ. ღიზ=ღენ=ჩის

II ბ. ა) საბ. ღილ=ღა „შენი (მამა, ბ) ღილ=ღა „შენი (დედა, ღა...)

ძმა...)

ერგ. ღილ=ღენ=ჟა||->ღი- ღილ=ღენ=ჟე||->ღილ=ღენ=ღე

ღენ=ღა

ნათ. ღილ=ღენ=ჟუნ||->ღი- ღილ=ღენ=ჟინ||->ღილ=ღენ=ღე

ღენ=ღუნ

მიც. ღილ=ღენ=ჟუს||->ღი- ღილ=ღენ=ჟის||->ღილ=ღენ=ღის

ღენ=ღუს

გ) ღილ=ღა „შენი (ცხენი, ქვაბი...)\", ღილ=ღენ „შენი (სახლი...)

ერგატ. ღილ=ღენ=ჩჳ ||->ღილ=ღენ=ჩე

ნათეს. ღილ=ღენ=ჩინ ||->ღილ=ღენ=ჩინ

მიცემ. ღილ=ღენ=ჩის ||->ღილ=ღენ=ჩის

მრ. I ბ. ა) ღიშ=ღა „რევი“ (მამა=პაპა...), ბ) ღიშ=ღა „რევი (დედა...)

ერგ. ღიშ=ღენ=ჟა||->ღიშ=ღენ=ღა | ღიშ=ღენ=ჟე||->ღიშ=ღენ=ღა

ნათ. აიშენ=წყუნ || -> აიშენ=ლუნ | აიშენ=წყენ || -> აიშენ=ღენ
 მიც. აიშენ=წყუს || -> აიშენ=ლუს | აიშენ=წყის || -> აიშენ=ღის

ბ) აიშ=და || აიშენ „ჩვენის“ (ცხვარი...), აიშ=ენ „ჩვენის“
 (ჯობი...)

ერგატ. აიშენ=ჩიწ/ჩიე
 ნათეს. აიშენ=ჩინ
 მიცემ. აიშენ=ჩის...

მრ.რ. II 3. ა) ვუშ=და „თქვენი (ძმა...), ბ) ვუშ=და „თქვენი“
 (ასული...)

ა) ერგ. ვუშენ=წყია || -> ვუშენ=ღია ბ) ვუშენ=წყი || -> ვუშენ=ღი
 ნათ. ვუშენ=წყუნ || -> ვუშენ=ლუნ ვუშენ=წყინ || -> ვუშენ=ღინ
 მიც. ვუშენ=წყუს || -> ვუშენ=ლუს ვუშენ=წყის || -> ვუშენ=ღის

გ) ვუშ=და || ვუშ=ენ „თქვენი“ (კატა...), დ) ვუშ=ენ „თქვენი“
 (ნციტი)“

ერგატ. ვუშენ=ჩიე/წ
 ნათეს. ვუშენ=ჩინ
 მიცემ. ვუშენ=ჩის

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი დ ა გ ა ნ მ ა რ ტ ე -
 ბ ე ბ ი : ა) კუთვნილებითი ნაცვალსახელი წახურში,
 ერთი მხრით, იგივეა, რაც პირის ნაცვალსახელი დას-
 მული ნათესაობით ბრუნვაში და სახელობით ბრუნვად
 გაგებული, ხოლო მეორე მხრით, ნანათესაობითარი პირის ნაც-
 ვალსახელი - გამოიყენებული ამბ თუ იმ ბრუნვის (ერგატ-
 ტივის, მიცემითის, ხელმეორედ ნათესაობითის...) ფორმით.¹
 ეს ნაცვალსახელიც გამოიყენება ფორმალურად მსაზღვ-
 რელად; იბრუნვის, მხოლოდ მაშინ, თუ წარმოებულ=გა-
 გებულია სუბსტანტივად (იხ. ზემ.).

1. ამ შემთხვევაში დაახლ. ისეთი წარმოებაა, როგო-
 რიც მაგალ., ქართ. ჩემი, ჩემმა, ჩემისა, ჩემს.

სახ. მიზდა დიხ„ჩემი ვატი“	მიზენ ჳიქა„ჩემი დანა“
ერგ. მიზდა დიხწ	მიზენ ჳიქან
ნათ. მიზდი დიხან=/ი .	მიზენ ჳიქან/ი
მიც. მიზდი დიხას	მიზენ ჳიქას... .

ბ) გრ. კლ. გაქვაბაა უთი პრეფიქსები მი= (I. პ.მხ. და მრ., II პ. მხ.რ.), ვუ= (II პ. მრ.) შემონახულია ყველა ბრუნვაში (იხ. ზემ. პარადიგმები).

გ) კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნების დროს(გრ. კლასის მიუხედავად) ყველა ბრუნვისათვის საყრდენია =ნ ელემენტიანი ფუძე (იხ. ზემ. ნიმუშები).

5) კითხვის ნაცვალსახელთა ბრუნება:

სახ.ჰიშუნა I შავანა „ვინ?“	ჰიჯო „რა?“
ერგ.ჰიშუნა II შავანა	ნი=შინ /ნი=შინ=ნ?/
ნათ.შავუნ (შავუნ=ნ?)	ნიშინ II ნიშინ=ა/ი
მიც.შავუნს (შავუნ=ს?)	ნიშის

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი და გ ა ნ მ ა რ ტ ე -
 ბ ე ბ ი : ა) „ვინ“ და „რა“ კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების სურათი ასეთია: I) არა აქვთ ის„ჩანართები“ რაც სხვა ნაცვალსახელებს მოეპოვებათ („ჩანართები“ იხ. ზემ.). ბ) სახელობითი და ერგატიული ბრუნვა „ვინ“ ნაცვალსახელისა დიფერენცირებული არ არის: ჰიშუნა - სახელობითიცაა და ერგატივიც (როგორც ქართული „ვინ“) „რა“ ნაცვალსახელში კი ეს ორი ბრუნვა გარჩეულია : ჰიჯონა „რა“, ნიშინ „რამ“. ერგატივის ნიშნად „რა“ ნაცვალსახელში გამოიყენება =ინ სუფიქსი. აღსანიშნავია, რომ ეგვევე სუფიქსი, ზოგჯერ ნათესაობითთან და ინსტრუმენტალისტთან საზიარო, ნივთის კლასის გამომხატველ არსებით სახელშიც გამოიყოფა (იხ. ზემ.). გ) „რა“ ნაცვალსახელის ეს ბრუნვა იწარმოება =ინ სუფიქსით, ხოლო „ვინ“ - ნაცვალსახელისა — =უნ სუფიქსით. დ) „ვინ“ ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის მაწარმოებე-

ლია =ეს (=ს?), ხოლო „რა“ ნაცვალსახელისა =ის(=ს?) სუფიქსი. ყურადღებას იქცევს ის, რომ ნათესაობიისა და მიცემითის ფლექსიაში „ვინ“ ნაცვალსახელში (პიროვნების აღმნიშვნელ კითხვით ნაცვალსახელში) მაინცდამაინც უ ხმოვანი გამოიყოფა, ხოლო „რა“ ნაცვალსახელისაში ო ხმოვანი (იხ. ზემ. შენიშვნები უკუქცევითი და მესამე პირის ნაცვალსახელის „ჩანართებთან“ დაკავშირებით).

5) „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელი იბრუნვის ფუძის შენაცვლებით (იხ. ზემ.).

ატრიბუტიულ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული ზოგი სხვა შენიშვნა და განმარტება: როგორც ითქვამს, აღნიშნულ სახელებში გამოიყოფა ფუძის პოსტ-დეტერმინანტი ელემენტები: ყუ <- ყუ II-> ლუ^ა -> ლუ (I კლ. მხ. რ.), ყი <- ყი II-> ღი (2. კლ. მხოლ. რ. =შ^ი მრავლ. რ. ყველა კლ.; მხოლ. 3. კლ.); =ჩი (3. და 4. კლ.; მხ. რ.); თითოეულ ამ ელემენტს მოსდევს ბრუნვის ნიშანი: =ყ^ი=ა/ე II -> ლ^ი=ა/ე (I. კლ.); =ყ^ი=ა/ე -> ყ^ი II-> ღი=ა/ე -> ღე (2. კლ.); =შ^ა<-შ^ი=ა/ე; =შ^ინ <- შ^ი=ინ; შ^ინ/ი < შ^ი=ინ=ა/ი, შის <- შ^ი=ის; ჩ^ა<- ჩ^ი=ა/ე, ჩინ <- ჩ^ი=ინ; ჩის <- ჩ^ი=ის და მისთ. ამნაირად გაფორმებული ეს ელემენტები დაერთვიან ზემოთ აღნიშნულ სახელთა ფუძეს და ასუბსტანტიურებენ და ბრუნებად სახელებად აქცევენ მათ. ზოგჯერ მთის კავკასიური ენების მიხედვით აღნიშნავენ სახელთა ბრუნების „ორფუძიანობას“ საყრდენად გამოყოფენ ერგატივის ნიშნით ნაწარმოებ ფუძეს (არნ. ჩიქობავა - 1948 და სხვ.). ამგვარ შესაძლებლობათა მიუხედავად, ზემოთ „ჩანართებად“ გამოყოფილ ელემენტებს ერგატივის ნაწარმოებლებად ვერ მივიჩნევთ. ამ პოსტ-პოზიციურ ელემენტთა ეტიმოლოგიური ძიებისთვის გამოდგება შედარება ასუბსტანტივად წარმოებულ=გამოყენებულ უდიურ ზედსართავთა, ერთი ჯგუფის ნაცვალსახელთა, რიცხვით და სხვა მსაზღვრელ სახელთა ფორმებისა, რომლებიც ავ-

ლენენ ბრუნების ამავე ტიპს. საგულისხმოა, სახელდობრ, ასეთი ფორმები:

სახ. შენო „ის“	შელაო „კარგი“
ერგ. შე=ტინ	შელაო=ტინ
ნათ. შე=ტაჲ	შელაო=ტაჲ
მიც. შე=ტუხ	შელაო=ტუხ

სახ. ბალაო „მკეთებელი“	ვიწაო „ათი“
ერგ. ბალაო=ტინ	ვიწაო=ტინ
ნათ. ბალაო=ტაჲ	ვიწაო=ტაჲ
მიც. ბალაო=ტუხ	ვიწაო=ტუხ

ასევე: ე || ეკა „რა“ - ერგ. ე=ტინ, ნათ. ე=ტაჲ, მიც. ე=ტუხ.

ამ უდიურ გასუბსტანტივებულ სახელეებში¹ პოსტპოზიციურ ელემენტად გამოიყოფა =ტინ, =ტაჲ, =ტუხ ელემენტები. სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ გამოიყოფა ნაცვალსახელური ტ ელემენტი, (ტ <- ტე „ის“, „იგი“), რომელსაც მოსდევს ბრუნვის ნიშნები: =ინ (ერგ.), =აჲ (ნათ.), =უხ (მიც.).

ერთი მხრით, =წუა (ლუა), =წუე (ლუე), =წურ (ლურ), =წინ (დინ), =წუს. (ლუს), =წის (დის), ხოლო მეორე მხრით, =ჩა (ჩე), =ჩინ, =ჩის და =შა, =შინ, =შის წახური „ჩანართებიც“ იმგვარივე დანიშნულებისანი ჩანან, როგორც აღნიშნულ უდიურ =ტინ, =ტაჲ, =ტუხ დეტერმინანტ=ნაცვალსახელებს აქვთ. მაშასადამე, უდიური ენის მონაცემთა ანალოგიით შეიძლება გაირკვეს ზემოთ ჩამოთვლილი წახური პოსტპოზიციური ელემენტების თავდაპირველი დანიშნულება, თითოეული მათგანი დაუკავშირდეს აგრეთვე ნაცვალსახელის ცნებას; შდრ., სახელდობრ: I) =შა (ერგ.), =შინ (ნათეს.), =შის (მიც.) -- და მესამე პირის წახურივე შენა (იგი)

1. სახელობით ბრუნვაში მასუბსტანტივებლად გამოიყენება სპეციალური აო სუფიქსი, რომელიც, თუ არ ვიგულისხმებთ ზოგ გამოწაკლისს, გადაწყვეტა ხოლმე სხვა ბრუნვებშიც.

ნაცვალსახელი (შდრ. აგრეთვე უდ. შოო <- შე=ო, შონო <-შენო „იგი“, შე=თარ „იმ=გვარი“, „იმ=გვარად“, „ისეთი“...); შდრ., წახურივე ნაცვალსახელური წარმოშობის ადგერბილური სიტყვები: შაა <- შე=ა „იქ, იმ მხარეს“, შააჯა (აულ წახურის მეტყვე.), შაბაჯა (აულ მიქიქის მეტყვე.) „იქით“, „იმ მხარისკენ“... 2) ჰრჷ (ერგ.), ჰრინი (ნათეს.), ჰრის (მიც.) -ჩილ (მასზე, მას ზედა, მას ზემოთ), ჩისსა (მისად, იმიტომ), ჩილა კილა (იმაზე შემდეგ=მას შემდეგ; იმაზე იქით=ამის, იმას იქით); ჩინ (მან თვითონ), ჩინა, ჩინი (თვით მისი, თვითონ მისი), ჩის (თვითონ მას). უდიურის ანალოგიით შეფარდებული ამ მორფოლოგიურ=ლექსიკური მონაცემების გენეტური ერთიანობა არ უნდა იყოს საეჭვო.

ზემოთ პოსტ=პოზიციურ ელემენტებად გამოყოფილი იყო აგრეთვე ა) პირვ. გრ. კლ.: =წჷა II->ლჷა (ერგ.), წჷნ II-> ლჷნ (ნათ.), წჷს II-> ლჷს (მიც.) და ბ) მეორე გრ. კლ.: =წჷე II-> ლე (ერგ.), =წჷინ II-> ლინ (ნათ.), =წჷის II-> ლის (მიც.), რაც ზემოთ ინტერპრეტირებულ =შჷ, =შინ, =შის და ჰრჷ, ჰრინ, ჰრის ელემენტთა რიგისა უნდა იყოს და, მაშასადამე, წარმომავლობით ნაცვალსახელის ცნებას გამოხატავდეს. თითქმის ამგვარივე მსაზღვრელი ელემენტები მოეპოვება მუხადურსაც (იხ. ქვემ.); შესაბამისი ნაცვალსახელური ფორმები მოწმდება სხვა თვისტომ ენებშიც (იხ. ქვემ.).

ამგვარად, მექანიზმი წახური ენის ატრიბუტიულ სახელთა ბრუნებისა წარმოგვიდგება ასე: საბრუნებელ სახელთა (უცვლელი) ფუძე + ბრუნვაცვალეზადი პოსტ=პოზიციური ნაცვალსახელი. სხვანაირად: აქ მოწმდება ბრუნების ის ტიპი, რომელიც ნავარაუდელი აქვს არნ. ჩიქობავას ხუნძური ენის ჰიდური კილოს მონაცემთა მიხედვით. არნ. ჩიქობავა, განიხილავს=რა მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმებს: მხ. ღო-ღოჷ

„ის“ - ერგ. დგ-ა-ს -> დო=ა=ს, დგ=ა=ლ^ა -> დო=ა=
 =ლ^ა შ რაველ.: სახ. დგ=ა=ლ -> დო=ა=ლ, ერგ. დგ=ა=ზ,
 - აღნიშნავს: ერგატის ნიშნად უნდა გამოიყოს =ას,
 =აღ და არა ს, ლ; დოს || დოლ =ში ფორმანტების თავ-
 კიდური უ დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ: დო=ას->დოს;
 დო=აღ -> დოღ ... მაშინ ერგატის საწარმოებელი
 ფორმანტები აღმოჩნდებოდა ჩვენებითი ნაცვალსახელი
 ატი, ა, (ხოლო) ერგატის ისევე იქნებოდა საწარმოე-
 ბი, როგორც ქართულ საზოგადო სახელებში: კაც=მან:
 დო+ას->დოს, დო+აღ^ა->დოღ^ა“ (1942₁ + გვ. 35...).

ჩვენი მსჯელობა რომ უფრო ნათელი იყოს, საჭირო
 იქნება გავავლოთ ტიპოლოგიური ძარალელი ძველი რუსუ-
 ლი ენის მონაცემებთან. ძველ რუსულში, გინდა ძველ
 სლავურში, ზედსართავი სახელი და ნაცვალსახელი თავ-
 დაპირველად იბრუნებოდა ცალკე, როგორც განსხვავ-
 ებული სიტყვები, ხოლო შემდეგ მოხდა მათი ფორმების შერწყ-
 ყმა: მაგალითისათვის დობръ=и რომ ავიღოთ, - ცნობი-
 ლია, რომ ეს და სხვა ამგვარი ზედსართავი სახელი წარ-
 მოიქმნა ჯერ მისი ამოსავალი მოკლე ფორმის გარკვეულ
 ბრუნვაში დასმით, ხოლო შემდეგ მასთან ბრუნვაცვალე-
 ბადი ნაცვალსახელის შერწყმით; ამ შერწყმული ფორმე-
 ბის სურათი ასეთი იქნება: ზედსართავის მოკლე ფორ-
 მა, მაგ., добръ < добръ დაისმის სახელობითი, ნათე-
 საობითში, მიცემითში თუ სხვა ძირითად ბრუნვაში,
 რომელსაც მოჰყვება ბრუნვაცვალებადი ნაცვალსახელის
 ფორმები; სახელდობრ ასე: სახ.: добръ=и, ნათესა добръ=а=
 =его -> добрааго -> добръ=ога (მიითითებითი ნაცვალსა-
 ხელის тъ - того -ს ანალოგიით), მიცემ. добръ=ему ->
 добръ=уму -> добръ=уму -> добръ=ому (მიითით. ნაცვალ-
 სახ. тому -ს ანალოგიით). ძველ სლავურსა თუ ძველ
 რუსულში ზედსართავი სახელების i, je je o, j jemu
 ნაცვალსახელებთან შეერთებას, როგორც ჩანს, თა-
 ვიდან ჰქონდა ასეთი მნიშვნელობა: შეერთება=შერწყ-

ყმის შედეგად ისინი გარდაიქმნებოდნენ გასუბსტანტი-
 ვებულ ზედსართავებად... შემდეგ კი აღნიშნული i, je
 j ნაცვალსახელი ცალკე აღარ იხმარება, იქცევა
 ზედსართავთა ფორმალურ ელემენტებად, სუსტდება=რა
 მათი განმსაზღვრელობითი მნიშვნელობა (ლ.იაკუბინს-
 კი - 1953, გვ. 206-220; ა. სელიშჩევი - 1952, გვ.
 125, 127...).

რა თქმა უნდა, ძველი რუსული თუ ძველი სლავური
 ენის მიხედვით ტიპოლოგიური პარალელისათვის დასახე-
 ლებული მაგალითები წახური და მისი მონათესავე ენე-
 ბის ზემოთ ნაჩვენებ მონაცემებს სრულად არ ეფარდება,¹
 მაგრამ აქ ერთი რამ მაინც რჩება როგორც საგულისხმო
 პარალელი: წახური (და თვისტომი ენების) ატრიბუტიული
 სახელები, როგორც ბრუნებადი სიტყვები, პრინციპულად
 (ტიპოლოგიურად) გვიჩვენებენ ისეთსავე სურათს, რო-
 გორსაც - დასახელებული ძველი რუსული თუ ძველი სლავური
 ზედსართავები.²

თანდებულიანი ბრუნვები

ზოგადი

წახურში და მუხბადურში თანდებულიანი ბრუნვე-
 ბი ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდებიან; ამ
 ბრუნვებს კონკრეტული ფუნქცია აქვთ და ძირითადად

1. ძველ რუსულში ზედსართავი სახელის ფუძეს ბრუნვა-
 ცვლებადი ნაცვალსახელის შერწყმამდე განუვითარ-
 და თითქმის ყველა ძირითადი ბრუნვის ფორმა (იხ. ა. სე-
 ლიშჩევი - 1952, გვ. 126, 127).
2. უფრო ვრცლად იხ. ევგ. ჯეირანიშვილი - კიბხვითი
 ნაცვალსახელები ლეზგიური (კიურული) ჯგუფის ენებ-
 ში - იბერ. კავკას. ენათმეცნ. VII, 1955; სახელ-
 თა ბრუნება წახურულში, დასახელ. კრებ., XII,
 1960; უდიური ენა, 1971.

მოქმედების იარაღს (საშუალებას), მიზანს, მიზეზს, ადგილს, მიმართულებასა და სხვ. აღნიშნავენ, ხოლო მათი მაწარმოებლები უშუალოდ დაერთვიან საწარმოებელ ფუძეს, ანდა შეერწყმიან მას რომელიმე ძირითადი ბრუნვის - ჩვეულებრივ, ნათესაობითის ან მიცემითის - სუფიქსთა გაშუამავლებით. ფუნქციით ძირითად ბრუნვებს უახლოვდება აფექტივი და აბლატივი; აქედან პირველი (აფექტივი) აღქმა=მგრძნობელობის გამომხატველი ზოგი ზმნის სუბიექტის ფორმადაა გამოყენებული, ამდენად იგი მიცემითის დებლიკატად გამოდის წახურში, ხოლო მეორეს (აბლატივს) სხვა ფუნქციებთან ერთად მოქმედებითი ბრუნვის (ინსტრუმენტალისის) ფუნქციაც ეკისრება (უპირატესად ადამიანის კლასის სახელებში).

თანდებულიანი ბრუნვები წახურში

წახური თანდებულიანი ბრუნვები და მათი მაწარმოებლები (განმარტებიორთ), 1) აფექტივი (ფუნქციით მიცემითის ფარდი): =ა=კლა, =ა=კლა; =ა=ქლა, =ა=ქლა; 2) აბლატივ=მოქმედებითი (ვისგან? რისგან? ვისიან? რით?): =ა=ქა, =ა=ქა, 3) კომიტატივი (თანაობით=მოქმედებითი: ვისთან ერთად? რასთან ერთად? ვისიან? რით?): =ა=ქა, =ა=ქა, 4) ადგილ=მდგომარეობით=მყოფობითი (სად არის, სად მყოფობს? სად მდებარეობს? რაშია?): =ა, =ე; =ა, =ე; 5) თანაობით=მიკუთვნებითი - კლასნიშნიანი („ვისთან ან რასთან არის, იმყოფება?“ „ვის აბარია?“ „ვისთან ან რასთან ინახება? - გადატ.: „ვისია? რისაა?“ „ვის ან რას აქვს, აქვას?“): =კაა, (1. და 2. კლ.), =კაა, (3. კლ.), კაა (4. კლ.); 6) სუბერესივი (საზედაო ბრ.: ზედა=მყოფობითი): =აა, =აა...; 7) სუბესივი (საქვეშაო ბრ.: ქვეშ=მყოფობითი): =აა, =აა; ი=ქავედ, =ა=ქავედ; 8) ადგილ=

=მიმართულებით=მისწრაფებითი (ეისკენ? რისკენ?საით-
კენ? -,ეისკენ=მდე“, „რისკენ=მდე“): =ი=კა, =ე=კა;
=ჩ=კა, =ე=კა; 9) ადგილ მიმართულებით=თანაობითი
(საით და ვისთან, რასთან? „ვისთან ან რასთან მიდის,
ისწრაფვის?“) =ის=კა, =გს=კა, 10) შედარებით=უფრო-
ბითი („ვისთან ან რასთან შედარებით?“, „ვისზე ან რა-
ზე უფრო?“): =ა=ლ; 11) ადგილ=მიმართულებით=მიჩენი-
თი („სად დგამს?“, „სად დებს?“, „სად მოათავსებს?“,
„სად აწვევს?“): =ა=ლ=კა; 12) გამოსვლით=დაწყებითი
(საიდან? რომლიდან?): =ინ=ჩჳ, =ენ=ჩჳ, =ონ=ჩჳ, =ენ
=ჩჳ.

თანდებულებიანი ბრუნვები ორ სერიად იყოფა. პირვე-
ლი სერია მოიცავს ფუძესთან შერწყმულ ცალთანდებულებიან
ფორმებს, დაყოფილს ორ ჯგუფად. I ჯგუფში თავს იყრიან
ბრუნვათა ფორმები, რომელთა ფუძეში ერთგვარად მოშ-
ლილია თანდებულის მიერ მართული ბრუნვის ნიშანი;
ამის გამო რჩება შთაბეჭდილება, თითქოს თანდებული
უშუალოდ ერწყმის საბრუნებელ ფუძეს; ასეთებია: აბ-
ლავი=მოქმედებითი (ი=ქა, =გ=ქა); კომიტავი=მოქმე-
დებითი (ი=ქა, =გ=ქა); ადგილ=მდებარეობით=მყოფობი-
თი (=ა, =ე, =ნ, =წ); სუბერესივი (=ი=ლ, =გ=ლ); სუ-
ბესივი (=ი=ქ, =გ=ქ...); თანაობით=მიკუთვნებითი =
კლას=ნიშნიანი (=კა=არ, =კა=ბ, =კა=დ); შედარებით =
=უფრობითი (=ა=ლ) და ადგილ=მიმართულებით=მისწრა-
ფებითი (=ი=კა, =ე=კა, =ჩ=კა, =წ=კა). II ჯგუფს
შეადგენენ თანდებულებიანი ბრუნვები, რომელთა საყრდენ-
ია მიცემითის ან ნათესაობითის ფორმა; ამასთან: თან-
დებული შერწყმულია საწარმოებელ ფუძესთან ისე, რომ
მართული ბრუნვის ნიშანი შემონახულია; ასეთებია:
ადგილ=მიმართულებით=თანაობითი (=ის=კა, =გს=კა) და
გამოსვლით=დაწყებითი (=ინ=ჩჳ, =ენ=ჩჳ, =ონ=ჩჳ, =ენ=
=ჩჳ). მეორე სერია მოიცავს რთულთანდებულებიან ფორ-

მებს - ორთანდებულებას; ¹ ასეთებია: ადექტივი (= =კ=ლწ, =გ=კ=ლწ, =ი=ქ=ლწ, =გ=ქ=ლწ) და ადგილ=მი=მართულებითი (ი=ლ=ჯა).

როგორც პირველი, ისე მეორე სერიის თანდებულებანი ბრუნვათა წარმოების წესი, ბრუნვათა მაწარმოებლები და მართულებელი ელემენტები ერთნაირია მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ყველა სახელში - არსებით სახელში, პიროვნების და უკუქცევით ნაცვალსახელებში, ატრიბუტიულ სახელებში, თუ არ ვიგულისხმებთ საწარმოებელი ფუძის ხასიათის კვალობაზე მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებებს - ისეთსავე პროცესებს, როგორც მხოლ. და მრავლ. რიცხვში დასმულ სახელთა ძირითად ბრუნვებში ხდება (იხ. ზემ. ძირითადი ბრუნვები). მაგალითები:

1) პირველი სერიის პირველი ჯგუფის ცალთანდებულებანი ბრუნვათა

ა) მხოლ. რ. ბოლოთანხმოვნიან არსებ. სახელთა: გალან, ² ბაქან (ყხენი), დექჷ (მამა), ზწარ (ფური), ოს (შეშა):

a. აბლატ.=მოქმ.-	გალან=გ=ქა	b. ბაქან=გ=ქა
კომიტ.=მოქმ.-	გალან=გ=ქქა	ბაქან=გ=ქქა
ადგილმდებ.=მყოფ.-	გალან=ჟ/ა	ბაქან=ა
სუბერეს.-	გალან=გ=ლ	ბაქან=გ=ლ
სუბეს.-	გალან=გ=ქ	ბაქან=გ=ქ

1. პრინციპულად (ტიპოლოგიურად) ისეთს, როგორც მოეპოვება, მაგალითად, თაბასარანულს (ა. მაჰომეტივი - 1965), ხუნპურ=ანდიურ ენებს (ილ. ცერცვაძე - 1965), ლაკურს (ვ. თოფურიანი - 1940), ნახურ ენებს (დ. იმნაიშვილი - 1942, რ. გავუა - 1943, ი. დეშერიანი - 1953), ქართულს (ხეცურულ დიალექტში), სვანურს (ვ. თოფურიანი - 1940). მრავლობითანდებულებანი ბრუნვათა ფორმების წარმოების ტენდენცია შეიმჩნევა უდიურშიც (ივგ. ჯეირანიშვილი - 1971)...

2. გალან, აზერბაიჯანი“ (კავკასიისა, - აზ. საბჭოთა სოც. რესპ. ძველი სახელი წახეზში).

ადგილ=მიმართ . - გაღან=გ=კა ბაღქან=გ=კა

=მისწრად . -

თანაობ . =მიკუთენ . - გაღან=გ=კა=ღ¹ ბაღქან=გ=კა=ღ¹
(კლასნიშნ .) -¹

შედარებ . =უფროობ . - გაღან=გ=ლა ბაღქან=გ=ლა

c. აბლატ . =მოქმ . -

d. ზწრ=ა=ქა

ღექ=ა=ქა

კომიტ . =მოქმ . -

ზწრ=ა=ქა^ა

ღექ=ა=ქა^ა

ადგილმდ . =მყოფ . -

ზწრ=ა

ღექ=ა=ე

სუბერეს . -

ზწრ=ა=ლ

ღექ=ა=ლ

სუბეს . -

ზწრ=ა=ქ

ღექ=ა=ქ

ადგილმიმართ . =მისწრ . - ზწრ=ა=კა

ღექ=ა=კა

თანაობ . =მიკუთენ . -

ზწრ=ა=ღ

ღექ=ა=კა=ღ

შედარ . =უფროობ .

ზწრ=ა=ლა

ღექ=ა=ლა

ადგილ . =მიმართ . =თან . - ზწრ=ა=ს=კა

ღექ=ა=ის=კა

გამოსვლ . =დაწყ . -

ზწრ=ა=ნ=ჩა

ღექ=ა=ენ=ჩა

აბლატ=მოქმ . -

E. ოს=ა=ქა

კომიტ . =მოქმ . -

ოს=ა=ქა^ა

ადგილმდ . =მყოფ . -

ოს=ა

სუბერეს . -

ოს=ა=ლ

სუბეს . -

ოს=ა=ქ

ადგილმიმართ . =მისწრ . ოს=ა=კა

თანაობ . =მიკუთენ . -

ოს=ა=ღ

შედარ . =უფროობ . -

ოს=ა=ლა

ადგილ . =მიმართ . =თან . - ოს=ა=ს=კა

გამოსვლ . =დაწყ . -

ოს=ან=ჩა

ბ) მრავლ . რ . ბოლოთან ხ მოვნიან არსებ . სახელთა :
ბაღქანწრ (ცხენები) , ზწრწრ , ზწრბე , ზწრბი (ფურები) ,
ოსბე , ოსბი (შეშები) , ინსანწრ (ხალხი , ადამიანები) :

ა. აბლატ . =მოქმ . -

ბაღქანაშ=გ=ქა

კომიტ . =მოქმ . -

ბაღქანაშ=გ=ქა^ა

ადგილმდებ . =მყოფ . -

ბაღბანაშ=ე

1 . შდრ . : გაღან=გ=კა=ღ (4 კლ .) - გაღან=გ=კა=ბ (3 კლ .) -
გაღან=გ=კა=ჩ (1 . და 2 . კლ .) და ასე - ყველა სანელში .

სუბერესივი	ბაღქანაშ=ღელ
სუბესივი -	ბაღქანაშ=ღექ /
ადგილ=მიმართ . =მისწრ .	ბაღქანაშ=ე=კა
თანაობ . =მყოფ . -	ბაღქანაშ=ღა
შედარ . =უფრ . -	ბაღქანაშ=ი=ლა
ბ. აბლატ . =მოქმ . -	ზწრწში=ქა ზწრბიშ=ი=ქა
კომიტ . =მოქმ . -	ზწრწშ=ი=ქა ზწრბიშ=ი=ქა
ადგილმდებ . =მყოფ . -	ზწრწშ=ა ზწრბიშ=ე
სუბერესივი	ზწრწშ=ი=ლ ზწრბიშ=ი=ლ
სუბესივი	ზწრწშ=ი=ი=ქ ზწრბიშ=ი=ქ
ადგილ=მიმართ . =მისწრ .	ზწრწშ=ი=კა ზწრბიშ=ი=კა
თანაობ . =მყოფ .	ზწრწშ=ი=კა=ღ ზწრბიშ=ი=
შედარ . =უფრ . -	კა=ღ
	ზწრწშ=ი=ლა ზწრბიშ=ი=ლა

აბლ . -	ოსბიშ=ი=ქა	დ. ინსანწშ=ი=ქა
კომ . -	ოსბიშ=ი=ქა	ინსანწშ=ი=ქა
ადგ . -	ოსბიშ=ე	ინსანწშ=ე
სუბ . -	ოსბიშ=ი=ლ	ინსანწშ=ი=ლ
სუბ : -	ოსბიშ=ი=ქ	ინსანწშ=ი=ქ
მიმართ . -	ოსბიშ=ი=კა	ინსანაშ=ი=კა
მყოფ . -	ოსბიშ=ი=კა=ღ	ინსანაშ=ი=კა=ღ
შედ . -	ოსბიშ=ი=ლა	ინსანაშ=ი=ლა

გ) მხოლ . რ . ბოლოთანხმოვნთან არსებ . სახელთა :
 ადამი (კაცო) , ირი (ღა) :

ა. აბლატ . =მოქმ . -	ადამი=ქა	ბ. ირი=ქა
კომიტ . =მოქმ . -	ადამი=ქა	ირი=ქა
ადგილმდ . =მყოფ . -	ადამე	ირე
სუბერეს . -	ადამელ	ირელ
სუბეს . -	ადამექ	ირექ
ადგილ=მიმართ . =	{ ადამე=კა	ირე=კა
=მისწრ . -		

თანაობ. = მიკუთვ. -	აღამწ = კა = დ	ირწ = კა = დ
შედარ. = უფრ. -	აღამწ = ლწ	ირწ = ლწ

დ) მრავლ. რ. ბოლოთანხმოვნნიან არსებ. სახელთა: ირწ (ღები); აღამწ (კაცები):¹

a. აბლატ. = მოქმ.	ირწ = ი = ქა	ბ. აღამწ = ი = ქა
კომიტ. = მოქმ.	ირწ = ი = ქა	აღამწ = ი = ქა
ადგილმდებ. = მიყოფ.	ირწ = ე	აღამწ = ე
სუბერეს.	ირწ = ი = ლ	აღამწ = ი = ლ
სუბეს.	ირწ = ი = ქ	აღამწ = ი = ქ
ადგილ = მიმართ. =	ირწ = ი = კა	აღამწ = ი = კა
მიმსწრ.		
თანაობ. = მიკუთვნი.	ირწ = ი = კა = დ	აღამწ = ი = კა = დ
შედარ. = უფროობ.	ირწ = ი = ლწ	აღამწ = ი = ლწ

2) პირველი სერიის მეორე ჯგუფის ცალთანდებულნიან ბრუნვათა

ა) მხოლ. რ. ბოლოთანხმოვნნიან არსებ. სახელთა: გალან („აზერბაიჯანი“), ბალქან (ცხენი), დექა (მამა), ზწარ (ფური), ოს (შეშა):

ადგილ. = მიმართ. = თანაობ.: გალან = ეს = კა, ბალქან = ეს = კა, დექა = ის = კა, ოს = ას = კა, ზწარ = წს = კა . . . ;

გამოსვლ. = დაწყებ.: გალან = ენ = ჩწ, დექა = ენ = ჩწ, ბალქან = ენ = ჩწ, ოს = ან = ჩწ, ზწარ = წნ = ჩწ . . .

ბ) მრავლ. რ. ბოლოთანხმოვნნიან არსებ. სახელთა: ბალქანწარ (ცხენები), დექაწარ (მამები), ზწარწარ, ზწარბჯ,

I. იხმარება იშვიათად. ამ მნიშვნელობით უფრო ნასესხებ „ინსანწარ“ = იტყვიან.

ზწრბი (ფურები), ოსბჯ, ოსბი (შეშები):

ადგილ.=მიმართ.: ბალქანწ=შ=გს=კა, ზწრწ=შ=ის=კა
დექ ზწ=შ=ის=კა, ოსბი=შ=ის=კა...

გამოსვლ.=დაწყ.: ბალქანწ=შ=ენ=ჩწ, ზწრწ=შ=ინ=ჩწ,
დექ ზწ=შ=ინ=ჩწ, ოსბი=შ=ენ=ჩწ...

გ) მხოლ.რ. ბოლოხმოვნიან არსებ.სახელთა: ირი
(და), ადამი(კაცვი):

ა. ადგილ=მიმართ.= ირწს=კა ბ. ადამწს=კა
=თანაობ.

გამოსვლ.=დაწყებ. ირწენ წწს ადამწენ=ჩწ
(ირი=წინ=ჩწ) (ადამი=ინ=ჩწ)

დ) მრავლ.რ. ბოლოხმოვნიან არსებ.სახელთა: ირწრ
(ღები), ადამწრ(კაცვები)

ა. ადგილ.=მიმართ.= ირწშ=ის=კა ბ. ადამწშ=ის=კა
=თანაობ.

გამოსვლ.=დაწყ. ირწშ=ინ=ჩწ ადამწშ=ინ=ჩწ

3) მეორე სერიის (ორთანდებულის) ბრუნვათა:
მხოლ.რ.

ა) აფექტივი	გალან=გ=კლწ	ბალქან=გ=კლა
ადგილ=მიმართ.=	გალან=გ=ლ=კა	ბალქან=გ=ლ=კა

აფექტივი	ოს=ა=კლწ	ზარ=ა=კლწ
ადგილ.=მიმართ.=	ოს=ა=ლ=კა	ზარ=ა=ლ=კა

მირენ.

მრავლ.რ.

აფექტივი -	ბალქანწშ=ი=კლწ	ინსანწშ=ი=კლწ
ადგილ-მიმართ.=	ბალქანწშ=გ=ლ=კა	ინსანწშ=ი=ლ=კა

= მირენ.

აფექტივი -	ოსბიწ=ი=კლწ	ზწრწშ=ი=კლა
------------	-------------	-------------

ადგილ=მიმართ. = ოსბიშ=ა=ლ=კვა ზარანშ=ი=ლ=კვა
=მიჩენ.

ბ) აფექტივი ირიჰკ=ლმ ადამი=კ=ლმ
• ადგილ=მიმართ. ირილ=კვა ადამი=ლ=კვა

როგორც ითქვამს, ორივე სერიის (ცალთანდებულის და ორთანდებულის) ბრუნვათა ფორმები ყველა სხვა სახელში ისევე (იმავე პრინციპითა და ნიშნებით) იწარმოება, როგორც - არსებით სახელთა ფორმები; შდრ.; მაგალითად:

ა. ხუ „მე“ - ხა = ფუძე წარმომავლობით მიცემითის ჰა ნიშნიანი: I. ცალთანდებულის ფორმები: 1) ზაქა (აბლატ.), ზაქა (კომიტ.), ზა←ზაა (ადგილ.=მყოფ.), ზალ (სუპერ.), ზაქ (სუბეს.), ზაკა (ადგ.=მიმართ.=მისწრ.), ზაკა=დ, ზაკა=ბ, ზაკა=რ (თანაობ.=მიკუთვნ.=კლასნიშნ.), ზალა (შედარ.=უფრ.); 2) ზასხა (ადგილ.=მიმართ.=თანაობ.), ზანჩა, ზიზნაჩა (გამოსვლ.=დაწყ.). 2. ორთანდებულის ფორმები: ზაკლმ (აფექტ.), ზაკლა (ადგილ.=მიმართ.=მიჩენ).

ბ. ში „ჩენ“ - შა - ფუძე, წარმოებული მიც. =ა ნიშნიანი: I. ცალთანდებულისები: 1) შაქა (აბლატ.), შაქა (კომიტ.), შა←შაა (ადგილ.=მყოფ.), შალ (სუპერ.), შაქ (სუბეს.), შაკა (ადგილ.=მიმართ.=მისწრ.), შაკა=დ, შაკა=ბ, შაკა=რ (თანაობ.=მიკუთვნ.=კლასნიშნ.), შალა (შედარ.=უფრ.), 2) შასხა (ადგილ.=მიმართ.=თანაობ.), შანჩა, შენჩა (გამოსვლ.=დაწყ.). 2. ორთანდებულისები: შაკლმ (აფექტ.), შაკლა (ადგილ.=მიმართ.=მიჩენ.).

თანდებულის ბრუნვებთან დაკავშირებული სხვა შენიშვნები და განმარტებები: I. ზემოთ აღნიშნული, რომ თანდებულის ბრუნვები რამდენიმე ჯგუფად იყოფა; ამათგან ერთი ჯგუფის თანდებულის ბრუნვები იწარმოებიან ისე, რომ თანდებულის თითქოს უშუალოდ ერთვის წმინდა ფუძეს: ფუძე+თანდებულის; ასეთებია,

მაგალითად: გალან=გაქა, ოსა=ქა (აბლატ.) და ზოგი სხვა ფორმა (იხ. პარადიგმები). გამოდის, რომ წარმოების მხრივ ზოგი თანდებულიანი ბრუნვა გვერდში უდას ძირითადებს, მაგრამ - ეს მხოლოდ გარეგნულად. ასეთი შთაბეჭდილება გერჩება მართული ძირითადი ბრუნვის ნიშნის მოშლის გამო. გულდასმით დაკვირვება შესაძლებელს ხდის, დავინახოთ ამგვარი ფონეტიკური ცვლილების კვალი: ფუძესთან შერწყმული თანდებულის წინ უთუოდ არის რაიმე ხმოვანი ან „ნახევარხმოვანი“ - მაინცდამაინც ის ხმოვანი ან „ნახევარხმოვანი“, რაც საბრუნებელი სახელის ძირითად ბრუნვებს (მიცემითს ან ნათესაობითს) აქვს. შღრ. I) ჟედ „დედა“: ნათეს. ჟედღნ, მიც. ჟედღს - აბლატ. ჟედღქა, თანაობ. ჟედღქა, საზედ. ჟედღლ; აჰმად „ახმადი“: ნათეს. აჰმადღნ, მიც. აჰმადღს - აბლატ. აჰმადღქა, თანაობ., აჰმადღქა, საზედ. აჰმადღლ; წჰც „თხა“: ნათეს. წჰცღნი, მიც. წჰცღს - აბლატ. წჰცღქა, თანაობ. წჰცღქა, საზედ. წჰცღლ... 2) ზე „მე“: მიცემ. ზეს - აბლატ. ზესქა, თანაობ. ზესქა, საქვეშ. ზესქ; ლუჟუ, ვე „შენ“: მიცემ. ვეს - აბლატ. ვესქა, თანაობ. ვესქა, საზედ. ვესლ, საქვეშ. ვესქ... (სხვა მაგალითები იხ. ზემოთ)... საფიქრებელია, რომ ამ პოზიციაში გამოვლენილი ხმოვნები რომელიმე ძირითადი ბრუნვის ნიშნის ნაშთია; ეს კი იმის მიმნიშნებელი უნდა იყოს, რომ თანდებულები, რომლებიც მოსდევენ მათ, პირდაპირ არ მიერთვიან წმინდა ფუძეს. ზოგჯერ ეს ხმოვანი საზიაროა ნათესაობითისა და მიცემითისათვის. ამის გამო ღგება კითხვა: ამ ბრუნვათაგან რომლისაა იგი (ხმოვანი)? - წახურ ნაცვალსახელთა ბრუნება თითქოს უეჭველს ხდის, რომ ეს ხმოვანი მაინცდამაინც მიცემითი ბრუნვისაა (იხ. ზემ.). ამასი წახურს მხარს უჭერს თვისტომი უდიური ენაც, სადაც თანდებულიანი ბრუნვებისათვის აგრეთვე მიცე-

მითიანი ფუძეა საყრდენი: შდრ. ადამარ (ადამიანი) -
 მიც. ადამარა ← ადამარახ; აბლატ.ადამარა=ახო, კო-
 მიტ.ადამარა=ახოლან, საზედ. ადამარა=აჲლ. აქ საბუ-
 თად წახურთვე მიმართულებითის ერთ-ერთი ფორმაც გა-
 მოდგება: შდრ., მაგალ., ჯედ=ინს=ქა „დედასთან“, „დე-
 დისკენ“, დექჷნს=ქა „მამასთან“, „მამისკენ“, შა-
 შარ=ჲს=ქა „ქალაქთან“, „ქალაქისკენ“. ჯედინს, დექჷნს
 შაშარჲს მიცემითის ფორმაა (იხ. ზემ. ძირით. ბრ.), ხოლო
 =ქა თანდებულია (იხ. ზემ.). მაშასადამე, ესეც სარწ-
 მუნოს ხდის იმას, რომ წახურში თანდებულიანი ბრუნვებ-
 იწარმოებიან მიცემით ბრუნვაში დასმული ფუძის გა-
 მოყენებით. ამ მხრივ გამონაკლისია გამოსვლითი-დაწყე-
 ბითი ბრუნვა, რომლის მაწარმოებელი (თანდებული =ჩა|| →
 =ჩან ჯდან“) ნათესაობით ბრუნვაში დასმულ ფუძეს
 ერთვის: შდრ., მაგალ.; ჯედ „დედა“: ნათეს. ჯედ=ინ,
 მიც. ჯედ=ის - გამოსვლ. დაწყებითი: ჯიედ=ინ=ჩან;
 ბალქან „ცხენი“: ნათეს. ბალ-ქან=ჲნ, მიც. ბალქან=ჲს -
 გამოსვლ. დაწყ.: ბალქან=ჲნ=ჩან; ხაჷ „სახლი“: ნათეს.
 ხაევ=ანჷ, მიც. ხაევ=ას - გამოსვლ. დაწყ.: ხაევ=ან=ჩან
 ← ხაევ=ან=ი=ჩან...

სახელთა ბრუნების თავისებურებანი დია-
ლექტებში

სახელთა ბრუნების მხრივ წახური ენის დიალექ-
 ტებში არსებითად ერთნაირი მდგომარეობაა; ამასთან
 არის ზოგი თავისებურებაც. განსხვავება შედარებით
 მეტია აულების - გილმიწის, დექისა (ყურდულისა) და
 მიქიქის მეტყველებაში; სხვა აულების (ხიახის, სო-
 გიუთის, მუსლალის, მიშლეშის...) მეტყველებაში სხვა-
 თა არ სცილდება თქმა=ქცევის ფარგლებს; სოფ. ყუმის
 (აზერბ.) მეტყველებაში კი სავსებით ისეთი მდგომარ-

რეობაა, როგორც აულ წახურის მეტყველებაშია (ბრუნ-
ვათა ფორმების ნიმუშები ნარკვევებია სწორედ ამ აუ-
ლის - წახურის - მეტყველების მიხედვით).

თავისებურებანი გილმიწურში

1. ა) გარდა წახურულთან საერთო =ა|| =ე ანდა ცალკე
წახურულში დამოწმებული ე ნიშნებისა, ერგატივის საწარ-
მოებლად გამოყენებულია =ა||=ა, ნიშანიც; შდრ., მა-
გალ., ღიშა (გილმიწ.), ღიშა=ე (წახურ.) „ასულმა“,
„ქალიშვილმა“; ხოზაჲნა (გილმიწ.), ხოზეჲნა (წახურ.)
„პატრონმა“; ალიშქაჲნა (გილმიწ.) - ალიშენ-
ქა=ე (წახურ.) „მყიდველმა“, ჰუშენღე=ა (გილმიწ.) -
ჰაშენქა=ე (წახურ.) „იმან“...

2. ბოლოხმოვნისა სახელთა ფუძესა და ერგატივის
აღნიშნულ ა+ა+ე სუფიქსს შორის ჩართულია =ა=
ელემენტი: შდრ., გადა=ა=ა (გილმიწ.) - გადაე (წა-
ხურ.) „ბიჭმა“, ბაბასი=ა=ა (გილმიწ.) - ბაბასე (წა-
ხურ.) „პაპამ“, ჰუნაშაპ=ა=ა (გილმიწ.) - ჰუნაშა
(წახ.) „დედაკაცმა“, „კოლმა“; ირლა=ა=ა=ა (გილმიწ.)
- ირე (წახურ.) „ქალიშვილმა“. აგრი=ა=ა (გილმიწ.) -
აგრე (წახურ.) „მონადირემ“...

3. ნივთის კლასის (კერძოდ, ცხოველთა კლასის)
სახელებში ერგატივის ნიშნად გამოიყოფა =ა სუფიქსი,
რაც წახურულში ადამიანის კლასის სახელებისთვისაა
ნიშანდობლივი: ხოა=ა=ა (გილმიწ., წახურ.) - ხაა=ა
(წახურ.) „ძალმა“...

4. თუ, მაგალითად, წახურულ კილოში I და II პირის
ნაცვალსახელში სახელობითი და ერგატივი დიფერენ-
ცირებული არ არის (ორივე წმინდა ფუძით, გაუფორმებ-
ლადაა წარმოდგენილი - იხ. ზემ.), გილმიწურში ამ ნა-
ცვალსახელებში ბრუნვათა ეს ფორმები (სახელობითი
და ერგატივი) გარჩეულია; ამასთან: ერგატიული ბრუნ-
ვა გაფორმებულია ისე, რომ მის საყრდენად მიცემითში
დასმული ფუძეა გამოყენებული; შდრ.:

	წახურული		გილმიწური
ა)სახელ	ზგ „მე“	სახ.	ზგ „მე“
ერგატ.	ზგ	მიც.	ზ=ას
მიც.	ზ=ას	ერგ.	ზ=ასზაა →ზასზაა → → ზა=სზ=ე
ბ)სახ.	ლუ II ვუ „შენ“	სახ.	ვუ „შენ“
ერგ.	ლუ II ვუ	მიც.	ვ=ას
მიც.	ვ=ას	ერგ.	ვ=ასზაა/→=ე
გ)სახ.	შზი II ში „ჩვენ“	სახ.	ში II შზი „ჩვენ“
ერგ.	შზი II ში	მიც.	შ=ას II შზაას
მიც.	შზაას II შ=ას	ერგ.	შ=ასზაა/ა →=ე

მაგალითები: ზასზა დაწატკუნინ ბჯთალ (გილ-
მიწ.) - ზგ წაწატკუნინ ბჯთალ (წახურ.) „მე მოვჭერი
ტოტი“; ზასზე სა კუნანი გარბიშნი არაილა გულლა
იფხჯ (გილმიწ.) - ზგ გარბიშდი არეეჟა გულლა გეხჯჰ
(წახურ.) „მე ჯიხვის რქებს შუა ტყვია დავახალე
(დავარტყი)“; ვასაა გიყუნა ინსან (გილმიწ.) - ლუ
(ვუ) გიყუნა ინსანაარ (წახურ.) „შენ დახოცე ხალ-
ხი“; ვასზე ზგ ჰინი ხოზაინარშის ჰეა (გილმიწ.) -
ვუ ზგ ჰინი ხოზაინარშის ჰელა (წახურ.) „შენ მე (ჩემ
თავს) ამ პატრონს აძლე“; შასაა ჯხხჯჰან კონარ
(გილმიწ.) - ში ოხხიხიხ კონარ (წახურ.) „ჩვენ
მოვკალით ჯიხვები“; კონარ ალლეეჟან ბერაბი შასაა
(შასზე) დაწატკუნდა მაჰჰ (გილმიწ.) - კონარ ალლე-
ეჟან ბერაბი ში ყაწატკუნინ მაჰჰ (წახურ.) „ჯიხ-
ვების გავლილ კვლებზე ჩვენ გადავჭერით გზა“...

აღნიშნულ პირის ნაცვალსახელებში სახელ-
ბითისა და ერგატის გარჩევით გილმიწურ კილოში მე-
ორდება მუხადურის (იხ.ქვემოთ) მდგომარეობა.

ნ. ა)ნათესაობითი ბრუნვის =ინ, =უნ, =ან სუ-
ფიქსებს გილმიწურში ზოგჯერ ენაცვლება =ნი, =ი;

შდრ. აიზნი (გილმიწ.) - აიზნი (წახურ.) „ჩვენი“; ბაბილონი - ნი || ბაბილინი შაჰარ (გილმიწ.) - ბაბილონი შაჰარ (წახურ.) „ბაბილონის ქალაქი“... ბ) ფუძის ფონემური მოდელითა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით პირის ნაცვალსახელი გილმიწურში განსხვავდება ამ ბრუნვის წახურულსა და ზოგ სხვა დიალექტში დამოწმებული ფუძე-ფორმისაგან; შდრ., მაგალ., ზენი (გილმიწ.) - აიზნი და (წახურ. და სხვ.) „ჩემი“...

6. მიცემითი ბრუნვის =ს (დას) ნიშნის გვერდით (და უპირატესად) გილმიწურში =ხ (ახ) ნიშანი გამოიყენება (ლეზგიურ ენაში გაცრცელებული ვარიანტი); შდრ., მაგალ., ზახ (გილმიწურ.) - ზას (წახურ.) „მე (მიცემ.)“; ხოააზ (გილმიწ.) - ხოააზ (წახურ.) „ძალს“...

7. გილმიწურში აფექტივის მაწარმოებლად გამოიყენება =ლწ წახურულსა და სხვა დიალექტებში დამოწმებული =კლწ სუფიქსის ნაცვლად;¹ შდრ., სა ინსანგლწ ჰინ სირ აწახან=დიც (გილმიწ.) - სა ინსანგკლწ ჰინ სირ აწა=დემ (წახურ.) „ერთმა კაცმა, ერთმა არსებამაც (ე.ი. „არავინ“ - აფექტ.) ეს საიდუმლო არ იცის“...

8. ა) წახურულ (და სხვა დიალ.) კლასიზაციის ლოკატის გილმიწურში, როგორც წესი, უპირისპირდება უკლასნიშნო ფორმა; შდრ., მაგალ., ზაკა ხაჭი შად (გილმიწ.) - ზაკად ხაჭი ვოდ (წახურ.) „ჩემდა (ჩემთან) სახლი არის“, ე.ი. „მე სახლი მაქვს“; ვაკა ბალქან დიყნა (გილმიწ.) - ვაკაბ ბალქან დემ=ვომნა←დემ=ვომნა (წახურ.) „შენდა (შენთან) ცხე-

¹ =ლწ შესაძლებელია, გამარტივებული =კლწ იყოს. სურათი ნათელი არ არის.

ნი არ არის“, ე.ი. „ცხენი არ გყავს“... ბ) ლოკატივის ამგვარი (უკლასნიშნო) ფორმა გილმიწურში ზოგჯერ სუბესივით (საქვეშაო ბრ.) იცვლება; შდრ., მაგალ., ღიშაქ თახსირ დეშია (გილმიწ.) - ღიშაქად თახსირ დეშვიოდ (წახურ.) „ქალიშვილის (ქალიშვილის ქვეშ) ბრალი არ არის“, ე.ი. „ქალიშვილს ბრალი არ მიუძღვის“...

9. ყურადღებას იქცევს ადგილმნიშვნელობით მისწრაფებითი ბრუნვის გილმიწური ფორმა, რომელსაც მაწარმოებლად აქვს =ახ=კვა; მაგალ.: ში ჰარყუნა სა-აუგნი შაარ=ახ=კვა (შდრ. წახურ. დიალ.: ში ჰარყუნა სა აუგუნ შაჰარ=ე=კვა) „ჩვენ წავედით (მივედით) ერთ კარგ ქალაქში“; ზაზ ექთან წახ=ახ=კვა დეჰყახ „მე მინდა წახურში (წახურისკენ) წავიდე“ (შდრ. წახურ. წახ=ე=კვა...). ამ თანდებ. ფორმის =ახ=კვა მაწარმოებელი რთულია (ამიტომაცაა დაშლილი ორად). მეორე (=კვა) კომპონენტი ფუძეფორმასთან შერწყმული თანდებულია; პირველი კი ბრუნვის მორფემაა, წარმომავლობით - მიცემითი ბრუნვის ნიშანი. ასეთი ნიშანი ამჟამინდელ წახურს (და არც მუხადურს) არ მოეპოვება; უნდა კი ჰქონოდა ისევე, როგორც დღეს აბადია იგი თვისტომ უდიურს: შდრ., ადამარ=ახ „ადამიანს“ (სახ. ადამარ), ხინარ=ახ „ქალიშვილს“, „გოგოს“ (სახ. ხინარ), ღარ=ახ „ვბუს“, „ბიჭს“ (სახ. ღარ)... მაშასადამე, გილმიწურში მიმართულებით მისწრაფებითი ბრუნვა =კვა თანდებულადართული ნამიცემითარი ფორმაა.

10. ა) ზოგ ლოკატიურ ფორმაში გაბოიყოფა წახურულ და სხვა დიალექტებში დამოწმებული წუ, ლუ ნაცვალსახელური პოსტდეტერმინანტის ნაცვლად ლუნ: შდრ. ჰაა=ლუნ=ქა ჰიყაზან (გილმიწ.) - ჰაან=ლუნ=ქა ჰიკასდა (წახურ.) „ამისგან (ამით) მოკვდება“... ბ) ზოგ ადვერბიალურ სიტყვაში (ლოკატივში) გაბოიყოფა =ლ=(ლუ) ელემენტი (ნაცვალსახელური წარმომავლობის დეტერმინანტი), რაც არ მოწმდება სხვა დიალექტებში, მათ შორის წახურულშიც; შდრ., მაგალ.: ჰინა=ლუნა ზაქა დჰქა=

დემნა=ვა (გილმიწ.) - ჰინაბ ზაქარ დექჷ=დემდა=ვა
(წახურ. და სხვა დიალ.) „აქ (ამაში) მე მამა არა
მყავსო“.

თავისებურებანი ლექურში (ყურდულურში)

ლექური და გილმიწური ერთმანეთის მიმართ
კილოკავებია, ამდენად ზემოთ აღწერილი ზოგი გილმიწუ-
რი თავისებურება ლექურისთვისაცაა ნიშანდობლივი.

ამასთან: I. ლექურს აქვს =ენ სუფიქსით ნაწარ-
მოები ერგატივი: გადჷ=ენ „ბიჭმა“ (გადჷა „ბიჭი“),
ყუშ=ენ „ფრინველმა“ (ყუშ „ფრინველი“)...

2. ნათესაობითი ბრუნვის სხვა ნიშნის გვერდით
ლექურს მოეპოვება სუფიქსები: =ან=ი II =ან= (ნული);
შდრ. ხაჷ „სახლი“ - ერგატ.: ხაგ=ან; ნათეს.: ხაგ=
ან=ი ლუჷლ „ფანჯარა“ - ერგატ.: ლუჷლ=ან, ნათეს.:
ლუჷლ=ან=ი.

მსაზღვრელად გამოყენების დროს ი სუფიქსი მოკ-
ვეცილი აქვს ნათესაობითს: ხაგან აქჷა „სახლის
(ოთახის) კარები“... =ი დაბოლოების მოკვეციის შედე-
გად ერგატიულ და ნათესაობით ბრუნვათა ფორმები ემთ-
ხვევა ერთმანეთს (იხ. ზემ. ამ ბრუნვათა ფორმების
დამთხვევის გამო შენიშვნები).

3. ა) ნათესაობითი ბრუნვის =და II =დი სუფი-
ქსები ლექურში იცვლება =ნდა II =ნდი სუფიქსებით (ნაც-
ვალსახელში, რიცხვით სახელში); შდრ. ღიზნა დარდ
(ლექ.) - ღიზდა დარდ (წახურ. და სხვ.) „ჩემი დარ-
დი“, „ჩემი განზრახვა“; ღიზნი ღიშ (ლექ.) - ღიზდი
ღიშ (წახურ.) „ჩემი ქალიშვილი“. ყოშასნა ღიყნექნა
დიხ (ლექ.) - ყოშესდა დიხ (წახურ.) „მეორე (პირ-
მშოს შემდეგი) ვაყიშვილი“. თუმცა ზოგ სხვა შემ-
თხვევაში ლექურში დაცულია =და სუფიქსიც: ხაჷმ=და
„ბნელისა“, „სიბნელე“; ბარა=და „ბლაგვისა“, „სიბ-
ლაგვე“; ეკ=და „მახვილისა“, „სიმახვილე“, „მჭრე-

ლობა“... .

ბ)ნათესაობითი ბრუნვის საწარმოებლად ზოგჯერ ღინა სუფიქსიც იხმარება =ენა (წახურ.) სუფიქსის ნაცვლად: მაგ.: როჟინა ვუკულ დაწოკან - „ძმის თავს ჭრის“ - შდრ. წახურ.როჟენა ვუკულ ყაწაკუან... .

4.მიმართულების გამომხატველი ბრუნვის ერთ-ერთ ფორმად გამოყენებულია =ა=ი (←ლი←ლი?) სუფიქსი: ქარჯ ჩუბაჰი -„მოვიდნენ ძმებთან“ (შდრ.წახურ.: ქარჯ ჩუბაბ): ჩუბა „ძმები“.

ნ.ლექურში „ვინ“ ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმებია: ჰაშუჲ (სახელობ.) არჯ „ვინ მოვიდა?“ ბეს, დეჷ, შავა (ერგატ.) გიკუ? - მაშ,მდევი ვინ მოკლა? „ჰარ შავა გიკუხენი „ყველა, ვინც მოკლავს“.შავა-თი იბხუნა „ვინც შეჭამდა“. ჰარ შავუკლთთი(აფექტ.) მანა იშ ეაწაჭხუნა „ყოველი,ვინც ამ ამბავს (საქმეს) გაიგებდა (შეიტყობდა)“... - შდრ.,წახურ. შავუკლეი და სხვ. (იხ.ზემ.).

თავისებურებანი მიქიქურში

I.ა)წახურულისაგან განსხვავებით და გილმიწურის მსგავსად მიქიქურ დიალექტში დიფერენცირებულია სახელობითი და ერგატიული ბრუნვები I და II პირის ნაცვალსახელისა (ორსავე რიცხვში): შდრ.სახელდობრ: I პ.ზუ „მე“, ში „ჩვენ“; II პ.: ლუ,ვუ „შენ“, შუ „ექვენი“, ერგატ.პრ.: Iპ.: ზასხე „მე“, შასხე „ჩვენ“; IIპ.ღჷასჷ II ვასჷ „შენ“; შჷასხე→შოსხე „ექვენი“. ბ) ალ მიქიქის მეტყველებაში მოწმდება მრავლობითში I პირის ნაცვალსახელის ერგატიული ბრუნვის ასეთი ფორმაც: შე „ჩვენ“ (ერგატ.): შე←ში=ე←ში=ა←ში=ა (*ში=ან?) - შდრ.წახურ.ში „ჩვენ“ (სახელობ. და ერგატ.). საილუსტრ.ნიმუში: შე ხეჷა ზახჷმათენი=ჷბჷბჷ „ჩვენ (ერგ.) ბევრს ვშრომობთ“- შდრ. წახურ.შე (სახ., ერგატ.) ხახჷა ზახჷმათენ-

ენი=ფობგმე.

2.ა)ნათესაობითი ბრუნვის და სუფიქსს (იხ.ზემ. ბრუნვათა პარადიგმები) მიქიქურში ზოგჯერ „ნა“ სუფიქსი ენაცვლება: ხაჰმანა „ბნელისა“: ხაჰმანა დეშ=ჟომანა „სიბნელე (აბნელის დრო) არ არის“. - შდრ. წახურ.ხაჰმანა. ბ)ნათესაობითი ბრუნვის დი სუფიქსის ნაცვლად მიქიქურში ზოგ შემთხვევაში ინ სუფიქსსაც ხმარობენ: აიშინ „ჩვენი“: აიშინ უშახააშის „ჩვენს ბავშვებს“, - შდრ. წახურ.: აიშ=დი უშახააშის... გ)წახურულში არსებული ნათესაობითი ბრუნვის და სუფიქსი მიქიქურში რიგ შემთხვევაში დი სუფიქსით იცვლება: აიზდი დაისი „ჩემი ბიძა“ („და“ სუფიქსიანი ნათესაობითი იხმარება როგორც ამის პარალელური ფორმა).

3. არის შემთხვევა აბლატივის („გან“აბრუნვის) შედარებითუფრობითი ბრუნვის ფორმით,სუპერესივით შეცვლისა: ბურჯააზიგებიშე აიშდა ვუკლეა ყაფაზ ალბატანადეშდი „ბურჯუები ჩვენს თავზე მუშტს არ იღებდნენ“ (ე.ი.„ბურჯუები წარა=მარა თავში გვირტყამდნენ“). - წახურ.: აიშდა ვუკლექა ყაფაზ ალბატანადეში“ (სახელობ.: ვუკულ „თავი“).

4.მრავლობით რიცხვში დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის დე სუფიქსიც (შდრ.მხოლ.რ. I და II პ.ნაცვალსახ. ნათეს.ბრუნვის და, დი სუფიქსები წახურულში; შდრ.აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვის და,დე,დი სუფიქსები მუხადურში, - ყველა სახელის ორსავე რიცხვში - იხ.ქვემ.): ზე მიხებშიდე ხიწუნა ჟორნა „მე მიქიქელების სოფლისა ვარ“ („მე მიქიქის მკვიდრი, მიქიქელი,ვარ“...) - შდრ. წახურ.: ზე მიქიქებშიდე ხიწუნა ვორნა...

წახურ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული
სხვა შენიშვნები

წახურში ნივთის კლასის სახელებში (არსებით სახელში, „რა“ კითხვით ნაცვალსახელში) ერთმანეთს ემთხვევა, ერთი მხრივ, ერგატივისა და ინსტრუმენტალის, ხოლო მეორე მხრივ, ამ ბრუნვათა და ნათესაობითის ფორმა; მაგალითად: დევან ლუ ოჰჰანასნა „მდევი (ერგატ.) შენ შეგჭამს“ - მაგრამ: ჟედე ხელან (ხელან) შალ ჰოდახარ „დედა (ერგატ.) ხელით შალს ქსოვს“; იფაქან უხარა „აბრეშუმის ძაფი“, სოსან დო „პატარძლის სახელი“... ასევე: ჩაყალჟან უეჰოჟან „მელამ თქვა“, მაგრამ: ზეჭიქანჟან ყაწაკჰან „მე დანივ ვჭრი“; ლაგლაგჯან ყოჰ „წეროს ნისკარტი“...

აღნიშნულ ბრუნვათა ფორმალური დამთხვევა ხდება წახურის ახლო მონათესავე სხვა ენებშიც, კერძოდ, უდიურში. შდრ., მაგალ.: ბეზ ფინ შელ ჭაკნეფე „ჩემმა თვალმა კარგად გაარჩია“, - მაგრამ: ფინ შელ თეზაკსა „თვლით კარგად ვერ ვხედავ“, - ფინ ხაშ „თვალის სინათლე“, „თვალის ჩინი“... უდიურში ბრუნვათა ფორმის ასეთი გაურჩევლობა ხდება ოდენ ნივთის კლასის სახელებში. ადამიანის კლასის სახელებში კი ეს სამი ბრუნვა მკვეთრად ერთმანეთისაგან გარჩეული: ერგატიული ბრუნვა ენ, ინ, ან ნიშნით იწარმოება, ნათესაობითისა ენ→ან, ან, ინ, უნ ნიშნითა, მოქმედებითის ფუნქციით კი ახლ II=ახუნ მაწარმოებლიანი აბლატივის გამოყენებული. ნივთის კლასის სახელებში აღნიშნულ ბრუნვათა ფორმალური დამთხვევა შემთხვევითი, მეორეული, მოვლენაა. წახურშიც აღნიშნულ ბრუნვათა დამთხვევა უნდა დახასიათდეს, როგორც მეორეული, შემთხვევითი მოვლენა; ამას სარწმუნოს ხდიან ამ ენისავე რეალიები: 1) ნათესაობითი ბრუნვის საწარმოებლად აღნიშნულ ფორმანტია პარალელურად გამოყენებული ფორ-

მები: ა) დევან=დ „მდევისა“: ვას სა დევანი ყბქედ
 ჰეან „შენ ერთი მდევის ტყავი მოგეცეს“; ჰუნაშენ=დ
 „ქალისა“; „დედაკაცისა“, „ყოლისა“: ანაშაშა ჰუნა-
 შენი კვრეკა უჰი „ჩუმად დედაკაცის ყურში ამბობს
 (ქალს ჩასჩურჩულებს)“; დუნაან=დ „ქვეყნისა“: დუნ-
 აანი აყბად „დედამიწის პირზე“, „ქვეყანაზე“...
 ასევეა შაჰარ=დ „ქალაქისა“ (სახელობ. შაჰარ);
 აუგუსტ=დ „აგვისტოსი“, მიშლეშ=დ „მიშლეშისა“
 („მიშლეშ“ აულის სახელია), ჯუნ=დ „თავისი“... ჰუ
 ხშირად იკვეცება სიტყვის ბოლოში - განსაკუთრებით
 კი მაშინ, როდესაც ამ ბრუნვაში დასმული სახელი
 მსაზღვრელადაა გამოყენებული და მის (ნათესაობი-
 თის) ნიშნად რჩება თითქოს =ან; =დ სუფიქსი, რომე-
 ლიც ისტორიულად ერგატივისაა. ნათესაობითი ბრუნვის
 =დ ნიშნის გამოყენებას ადასტურებენ სხვა დიალექტე-
 ბიც: შდრ., მაგალითად, აულ გილმიწის მონაცემები:
 ზუნ=დ „ჩემი“, ჰიშნ=დ || ჰიშუნ=დ „ჩენი“, ბაბილონ=
 ნ=დ II „ბაბილონ=დ „ბაბილონისა“... ყოველივე ეს
 მაუწყებელია ერგატიული და ნათესაობითი ბრუნვების
 ფორმათა დამთხვევის მოჩვენებითობისა. დამთხვევა
 ხდება ნათესაობითი ბრუნვის საკუთარი ნიშნის მოკ-
 ვეცის შედეგად: ფუძის აბსოლუტურ დაბოლოებაში ბო-
 ლობიონიან სახელთა ფუძის მსგავსად ნათესაობითი
 ბრუნვის =დ სუფიქსი იკვეცება და გარეგნულად ემ-
 სგავსება ერგატიული ბრუნვის ფორმას: სახ. დევ
 „მდევი“, ერგ. დევ=ან - ნათეს. დევ=ან ← II დევან=დ...
 ბ) ნათესაობითი ბრუნვის საწარმოებლად სხვა შემთხ-
 ვევაში =ან=ა, =უნ=ა ნიშანიც გამოიყენება (რო-
 დესაც საზღვრული სახელობით ბრუნვაშია); მაგალ.:
 ზარანა გარ „ფურის რქა“; ლექანა ხიჩ „ლექის (ე.ი.
 ყურდულის) სოფელი“; ყანდჯანა ლხმა „შაქრის ნატე-
 ხი“...

შდრ.:

ზნრ „ფერი“	ყანდ „შაქარი“	ღექ „ღექი (ყურღული)“ ¹
ერგ. ზნრ=ზნ	ყანდ=ჯნ	ღექ=ან
ნათეს. ზნრ=ზნ=ა	ყანდ=ჯნ=ა	ღექ=ან=ა

==ი ნიშნის ანალოგიურად ==ს სუფიქსის მოკვეცაც ივარაუდება. ამ შემთხვევაშიც ერგატივისა და ნათესაობითი ბრუნვების ფორმები ემთხვევა ერთიმეორეს. მაშასადამე, წახურში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია ==ი და ==ა; ამის წინმდგომი ==ან, ==ენ, ==ენ ელემენტები კი ერგატივის სუფიქსია. ისე რომ, წახურში მოწმდება ერგატივის ნიშნით წარმოებულ-ფუძიანი ბრუნვები, რაც ყველაზე მკაფიოდ ჩანს აულ გილმიწის მეტყველებაში.

2) ადამიანის კლასის წახურ სახელებში ინსტრუმენტალისა და ერგატივის საზიარო ფორმა არა აღვთ. ინსტრუმენტალის ფუნქციით აქ აბლატივია გამოყენებული: მაგ.: ა) ადამი იშ ჰააყან კაცი (ერგ.) საქმეს (სახელობ.) აკეთებს“, „იჩე ჰოოდახარ „ქალიშვილი (ერგ.) ქსოვს“; ბ) „ზაქა (ადამიქა, ჰუნაშექა...) რაზი=ვორ „მე შენით (შენგან), კაცით (კაცისაგან), ქალით (ქალისაგან) კმაყოფილი ვარ“.

აღნიშნული კლასის სახელებში ი II ი, ==ი II ==ი სუბიექტის ბრუნვის ნიშანია, ==ქა სუფიქსი კი მოქმედების საშუალებას, ინსტრუმენტს აღნიშნავს. ამ ფუნქციით ==ქა ნიშანი ნივთის კლასის სახელებშიცაა გამოყენებული; მაგ.: იჩე მაშნექა ჰოოდახარ „ქალიშვილი (ერგატ.) მანქანით ქსოვს“; ადე ხელექა ჰოოდახარ „დიდედა (ერგატ.) ხელით ქსოვს“¹.

ამგვარად, ==ქა სუფიქსის გამოყენების არეალი ინსტრუმენტალის ფუნქციით შეზღუდული არ არის: გამოყენებულია ყველა კლასის სახელში.

¹ მაგალითები ამოღებულია წახური საანბანო წიგნიდან („ალიჭბეა“, ბაქო, 1937).

ამის მიხედვით კი შეიძლება დავასკვნათ: 1) მოქმედებითი ბრუნვა (ინსტრუმენტალისი), რომელსაც არა აქვს „თავისუფალი“, საკუთარი, მაწარმოებელი, არ არის თავისთავადი, დამოუკიდებელი, ბრუნვის ფორმა და პირიქით: 2) ერგატიული ბრუნვის ფორმა დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობაა. მართალია, ზოგ შემთხვევაში იგი ნათესაობითის ფორმას ემთხვევა, მაგრამ ირკვევა ასეთი დამთხვევის მეორეული ხასიათიც: დამთხვევა ხდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მოკვეცის შედეგად. ირკვევა ისიც, რომ წახური ძირითადი ბრუნვებისათვის (კერძოდ, ნათესაობითისათვის) საყრდენია ერგატიულ ბრუნვაში დასმული ფუძე. მაშასადამე, ერგატიული ბრუნვა წახურში დამოუკიდებელი და წარმოებითა და ფუნქციით სახელობითის ფარდი ბრუნვაა.

მუხადურ სახელთა ბრუნება

მუხადურ სახელთა ბრუნების შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობები მოცემულია ზემოთ. ზემოთვე აღნიშნულია, რომ მუხადურში, ძირითადად სახელთა ბრუნების მხრივ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც - წახურში: აქაც გამოიყოფა ოთხი ძირითადი ბრუნვა და ორსერიანი თანდებულებიანი ბრუნვები - ცალთანდებულებიანი და მრჩობლთანდებულებიანი.¹ ამასთან: მუხადურისთვისაც დამახასიათებელია სახელთა ერთი ჯგუფის - სახელდობრ, მსაზღვრელი სახელებისა და მრავლობით რიცხვში და ზოგჯერ მხოლოდობით რიცხვში დასმულ არსებობ სახელთა ბრუნების თავისებური (ანალიტიკური) ხასიათი, თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მუხადურის ეს თავისებურება წახურთან შედარებით შემოსაზღვრულია. სხვაობა გვინდება ბრუნვათა ერთი ნაწილის წარმოება-გამოყენების მხრივ. წახურსა და მუხადურს შორის არსებული ამგვარი განსხვავებ-

¹ შდრ. ა. დირის ცნობები მუხადურ (რუთულურ) სახელთა ბრუნების შესახებ (1911 - გვ. 5-19, 21-26...).

ბა არ ქმნის დიდ ზღუდეებს; ბრუნვათა მაწარმოებ-
 ლები, წარმოების პრინციპი, საბრუნებელ ფუძეთა ხასია-
 ათი და სხვ. ამ ენებში თითქმის ერთგვაროვანია;
 ზოგჯერ ვლინდება იგივეობაც. აღსანიშნავია, რომ აქ
 (მუხადურსა და წახურში) ზოგჯერ ბრუნვათა ნიშნების
 შეფარდება ფონეტიკური შესატყვისობის კანონზომიერე-
 ბითაც კი ხასიათდება.

არსებით სახელთა ბრუნება

მხოლოდით რიცხვში დასმულ არსებით სახელთა ძი-
 რითადი ბრუნვების პარადიგმები

I. ადამიანის კლასის სახელებისა

I) ბოლოთანხმოვნიანებისა

I. ა) სახ. ნინ	„დედა დიდ „მამა“	ბ) გაგ
ერგ. ნინ=ა	დიდ=ა	გაგ=ა
ნათ. ნინ=ღჯ	დიღჯ←დიდ=ღჯ	გაგ=ღჯ
მიც. ნინ=ჯს	ინინ=ის დიდ=ჯს	დიდ=ის , გაგ=ას

II. ა) სახ. ღუბ „ვაჟი“	ბ) რუმ „ქალიშვილი“, „გოგო“
ერგ. ღუბ=არა	რუმ=არა=ა
ნათ. ღუბ=არ=ღჯ	რუმ=ა=ღჯ → რუმ=ა=ღ
მიც. ღუბ=არ=ჯს	რუმ=ა=ს

ბ) ბოლოხმოვნიანებისა

III. სახ. ედემი „კაცი“,	რიში „და“	შუ „ძმა
„ადამიანი“		
ერგ. ედემი=ერ=ა	რიში=არ=ა	შუ=არ=ა
[←ადამი=არ=ა]		
ნათ. ედემი=ე=ღ	რიში=ღჯ	შე=ღჯ → შე=ღ
[←ადამი=ა=ღ]	→ რიში=ღ	
მიც. ედემი=ა=ს	რიში=ს	შუ=ს
[←ადამი=ა=ს]		

როგორც წესი, ასევე იბრუნვიან ხმოვანზე დაბოლო-
 ებული სხვა სახელებიც; მაგ., ხუდი (შვილიშვილი;

ძმისწული, დისწული): ხედირა, ხედიდ, ხედის...

2. ნივთის კლასის სახელეებისა

ა) ბოლოთანხმოვნინანებისა

IV. ა) სახ. ყენ „ყორი“ აცე „ხარი“ ბ) ყაბ „აკ-
ვანი“.

ერგ. ყენ=არა	აცე=არა	ყაბ=ჯრა
ნათ. ყენ=ად	აცე=ად	ყაბ=ად
მიც. ყენ=აჰს	აცე=აჰს	ყაბ=ჟჰს

ასევე იბრუნვიან: ჭალაგ („ტყე“): ჭალაგარა, ჭალაგად, ჭალაგას; ჭაბალ („ცხვარი“): ჭაბალარა, ჭაბალად, ჭაბალას; ტატალ („ჯოხი“): ტატალარა, ტატალად, ტატალას; უხურ („ბაწარი“, „ძაფი“): უხურჯრა, უხურად, უხურჯს; ხუქ („ხე“): ხუქარა, ხუქად, ხუქას; ქანტ („დანა“): ქანტჯრა, ქანტჯად, ქანტჯს; მუკ („ცეცვა“): მუკარა, მუკად, მუკას; დამჯ („ტყე“): დამჯრა, დამჯად, დამჯს; დირხილა („ხურხი“): დირხილაჯარა, დირხილაჯად, დირხილაჯას; გუტხუარ („ნაოჭი“): გუტხუარა, გუტხუარად, გუტხუარას; დიკა II დიკ („რძის საწველი ქოთან“): დიკ=არა, დიკ=ად, დიკ=ას; ბუჭ („ყვავილი“): ბუჭირა, ბუჭიდ, ბუჭის; ყულ („თავი“): ყულირა, ყულიდ, ყულის...

V. ა) სახ. ლუბ „ფესვი“, ბ) ნაწურ „მდი- ხალ „სახლი“
„ძირი“ ნარე“

ერგ. ლუბ=ჯრა	ნაწურ=ჯრა	ხალ=ჯრა
ნათ. ლუბ=ჯრად	ნაწურ=ჯრად	ხალ=ჯრად
მიც. ლუბ=ჯრაჰს	ნაწურ=ჯრაჰს	ხალ=ჯრაჰს

ასევე იბრუნვიან ა) ვახ („არხი“): ვახჯრა, ვახჯრად, ვახჯრას; ლჯ („არწივი“): ლჯჯრა, ლჯჯრად, ლჯჯრას II ლჯჯს...

ბ) ლახ II ლალ „მარხილი“: ლახჯრა, ლახჯად, ლახჯას; ვახ („მთვარე“): ვახჯრა, ვახჯრად, ვახჯრას; წჯწ („კალია“): წჯწჯრა, წჯწჯრად, წჯწჯრას...

VI. ა) სახ: ტბეჭე

ბ) ტემელ „ყურძენი“

„თითისტარი“

ერგ. ტბეჭე=ჯრ=ა|| ტბეჭეჭრ=ა ტემელ=არ=ა

ნათ. ტბეჭე=გ=დ|| ტბეჭე=ი=დ ტემელ=ა=დ

მიც. ტბეჭე=გ=ს|| ტბეჭე=ი=ს ტემელ=გ=ს

გ) სახ. ვირიდ „მზე“

ერგ. ვირიდ=ირ=ა

ნათ. ვირიდ=ი=დ

მიც. ვირიდ=ი=ს

ასევე იბრუნვიან: ა) მებჯრ („მკერდი“): მებჯრა, მებჯრდღ, მებჯრეს; მილუხ („მატლი“): მილხჯრა, მილხჯდ, მილხჯს... ბ) ჩიხჯნ („ქერქი“): ჩიხჯნარა, ჩიხჯნად, ჩიხ-ნას... გ) უჭუნ („მუცელი“): უჭუნირა, უჭუნიდ, უჭუნის; ვიხ („გომური“): ვიხირა, ვიხიდ, ვიხის; გებჯლ („ღრუ-ბელი“): გებჯლირა, გებჯლიდ, გებჯლის; ლიხ („მკბენარი“): ლიხირა, ლიხიდ|| ლიხირდღ; ლიხის|| ლიხირჯს; ჭჭად („ყო-რანი“): ჭჭადირა, ჭჭად...

VII. სახ. ზნარ „ფური“

რატჷ „კარი“

ერგ. ზირარწ ← ზირარა ← ზნარ=ირ=ა რატჷრა ← რატჷრ=ა

ნათ. ზირდღ ← ზნარ=ირ=დღ რატჷიდ ← რატჷრ=ი=დ

მიც. ზირის ← ზნარ=ი=ს რატჷის ← რატჷრ=ი=ს

ასევე იბრუნვიან: ხ~ად („წყალი“): ხ~ადირა, ხ~ადიდ, ხ~ადის; გახთ|| გათ („კატა“): გათირა, გათირდღ, გათირჯს|| გათის; ხ~ეხ („ცხვირი“): ხ~ეხირა, ხ~ეხიდ, ხ~ეხის...

VIII. ა) სახ. მახტა|| მახტა „ზღაპარი“

ბ) ჰშაბ „ფრჩხილი“

ერგ. მახტა=ა=ლ=რ=ა ჰშაბ=ა=ლ=ჯრ=ა||

ჰშაბ=არ=ა

ნათ. მახტა=ა=ლ=დღ ჰშაბ=ა=ლ=დღ

მიც. მახტა=ა=ლ=ჯს ჰშაბ=ა=ლ=ჯს

ასევე იბრუნვიან: ნწლჷ („ცრემლი“): ნწლჷაწლ, ნწლჷაღღ, ნწლჷაღჯს; ნაწ („ლეღი“): ნაწაღჯრა, ნაწაღჯდ,

ნაწალღს; ყაქ (პატარა ქუდი): ყაქქღღრა, ყაქქღღღ, ყაქქღღღს; ყაშ („წარბი“): ყაშქღღრა, ყაშქღღღ, ყაშქღღღს; ჩარ („სოკო“): ჩარალღრა, ჩარალღღ, ჩარალღღს; კაყ („კენ-წერო“, „წვერი“): კაყალღრა, კაყალღღ, კაყალღღს.

ბ. ბოლოხმოვნიანებისა

IX. სახ. ღაშ ღჳ „ხიდი“	სი „დათვი“	ზიზა „მოცივი“
ერგ. ღაშჳრა ღჳრა	სიჳრა	ზიზაჳჳა ←
		← ზიზაჳრა
ნათ. ღაშჳღ ღაშჳღღ	სიღღ	ზიზაჳჳაღღ ←
		← ზიზაჳრაღღ
მიც. ღაშჳს ღას	სიჳს	ზიზაჳჳაჳჳ ←
		← ზიზაჳრაჳჳ

X. ა) სახ. არაბა „ურემი“	ნისჳა „ყველი“	ბ) ბალთა „ცული“
ერგ. არაბაღღირა	ნისჳაღღირა	ბალთაჳჳრა
ნათ. არაბაღღიდ	ნისჳაღღიდ	ბალთაჳჳღღიდ
მიც. არაბაღღის	ნისჳაღღის	ბალთაჳჳღღის

ასევე იბრუნვიან; I ა) ქურა („ქურა“, „შუკა“): ქურუღღრა, ქურუღღღ, ქურუღღღს; უნ („ხმა“, „ჩქამი“): უნღღრა, უნღღღ, უნღღღს, იღ („სუნა“): იღღღრა, იღღღღ, იღღღღს; ლით („ქერა“): ლითაღღრა, ლითაღღღ, ლითაღღღს; მირ (სიცოცხლის ხანგრძლივობა): მირღღრა, მირღღღ, მირღღღს... ბ) შით („ბალღინჯო“): შითარა, შითაღღიდ, შითაღღღს; ლიყ („კანი“ „ტყავი“): ლიყირა||ლიყღღრა, ლიყღღღ, ლიყღღღს...

I. ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ ბრუნვის ნიშანთა გამოყენების მხრივ ადამიანისა და ნივთის კლასის სახელებში არსებითი სხვაობა არ არის; დიდი განსხვავება არ არის აგრეთვე არც ხმოვანზე და თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნვის ფორმებში და არც იმის მიხედვით - თუ რამდენ მარცვლიანია საბრუნებელი ფუძე. ზოგი სხვაობა, რაც ზემოთ პარადიგმებშია ფიქსირებული, მეტ წილ ფონეტიკური მოვლენებით გამოწვეული (ასიმილაციის, პალატალიზაციის, რედუქციისა თუ მოკ-

I. ზოგჯერ მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებით.

ვეცის შედეგად წარმოქმნილი) ცვლილებებით აიხსნება.

ზემოთ ჯგუფებად დაყოფილი არსებითი სახელების მიხედვით (ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით) ძირითად ბრუნვათა ნიშნები სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

I სქემა:	II სქემა:	III სქემა:
სახ. - ¹	-	-
ერგ. აII=ა	- არა	=არაII=ერა
ნათ. =ღ	- არღ	=აღII=ედ
მიც. =გ=სსი=ს	- არგს	=აგსII=ეს
IV სქემა:	V სქემა:	VI სქემა:
სახ. --	—	—
ერგ. არაII=რა	=არაII=რა	=გრა
ნათ. =ღ	=აღII=გღ	=გრღ
მიც. =ს	=აგსII=გს	=გრგს
VII სქემა:	VIII სქემა:	IX სქემა:
სახ. -	-	-
ერგ. =გრა	=აღგრაII=არა	=ირაII=ირა
ნათ. =ღგII=გრღ	=აღღ	=ირღგII=ღგ
მიც. =გს	=აღგს	=ირგსII=ს
X სქემა:	XI სქემა:	XII სქემა:
სახ. -	-	-
ერგ. არა	=გრა	=ირა
ნათ. =ირღ	=გღ	=იდ
მიც. =ის	=გს	=ის
XIII სქემა:	XIV სქემა:	XV სქემა:
სახ. -	-	-
ერგ. არა	=რაII=აა	=რა
მიც. =ღ	=ღიდII=ააღ	=ააღ
მიც. =ს	=ღისII=ააის	=ააის

1. სახელობითი ბრუნვა წმინდა ფუძეა-იგი ინდიფერენტული, წარფელობითი ბრუნვაა.

XVI სქემა:

სახ. -

ერგ. =აღჯრა||=აღჯრა

ნათ. =აღჯ||=აღჯ

მიც. =აღჯს||=აღჯს

XVII სქემა:

-

=ღირა

=ღიდ

=ღის

ბრუნვათა ამ სქემებში წარმოდგენილი სუფიქსების გამოყენების არეალი შეზღუდული არ არის სახელთა რომელიმე ჯგუფით (იხ. ნიმუშები). ბრუნვათა მაწარმოებლები კი ორ ჯგუფად იყოფა - მარტივ და რთულ მაწარმოებლებად. პირველს მიეკუთვნება: =აღ (ერგ.), =ღჯ (ნათ.), =ა (მიც.); ყველა დანარჩენი მაწარმოებელი — მეორე ჯგუფს, სახელდობრ: =არა → =არაა || → =ერა, =რაა || → =აა, ე=აა, =გრა, =ირა, =აღ = რაა || → =აღჯრა, =ღირა (ერგატ.); =არღჯ, =ერღჯ, =ირღჯ, =აღ||=აღ, =გღ, =იღ, =ღიდ, =ააღ, =ააღჯ, =ღიდ (ნათ.); =არჯს, =გრჯს, =ირის; =აღჯს; =ღის, =ააა, =აღჯს||=ეღჯს, =ღის, =გა||=ის (მიცემ.). 2. რთულ მაწარმოებლებთან მარტივთა შედარება გვიჩვენებს, რომ ბრუნვის ნიშანთა მართლუბელი ელემენტებია: =არ=|| → =არა, =რა, =გრა||=ირა, =აღ||=ააღ, =ღირა, =ღი, =ა|| → =აა, =გა||=ი, =ააა, რაც წინ უძღვის მარტივი აგებულებისად გამოყოფილ =ა → ||=აა, =ღჯ|| → =ღჯ, =ა მაწარმოებლებს. წახურ სახელთა ბრუნება (იხ. ზემ.) და, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, თავად მუხადურ ნაცვალსახელთა, ზედსართავ სახელთა და რიცხვით სახელთა ბრუნება გვიჩვენებს იმას, რომ ამ მაწარმოებელთაგან ბრუნვის სპეციალურ ნიშნებად უნდა გამოიყოს: =ა|| → =აა (ერგატ.), =ღჯ|| → =ღჯ (ნათ.), =ა (მიც.). ამ მარტივ მაწარმოებელთა ფითოეული წინმდგომი =არ, =აღ, =ღი და მისთ. ელემენტი, სინქრონიულად თუ მივედგებით, უნდა დახასიათდეს როგორც ამა თუ იმ ბრუნვის ნიშნის კუთვნილება, რადგანაც ამჟამად არცერთი ამათგანი უშუალოდ არ მოუღის საბრუნებელ ფუ-

ძეს. მაგრამ დაისმება ასეთი კითხვა: რით აიხსნება ერთი და იმავე ბრუნვის ნიშნის სიჭრელე? ამ კითხვებზე პასუხი (ზემოთ განხილული ზოგი წახური სახელის მსგავსად) ისევ საბრუნებელი ფუძის ხასიათსა და ამ ფუძეთა ბრუნების დროს მომხდარ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ პროცესში უნდა დაიძებნოს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს, კერძოდ, 1) ბრუნების დროს საწარმოებელ ფუძეთა მონაცვლეობა - ხმოვანთა ალტერნაცია ისეთ სახელებში, როგორცაა, მაგალითად „ფურის“ აღმნიშვნელი ზჭრ(სახელობ.) - ზირ= (სხვა ბრუნვ.), „კარის“ აღმნიშვნელი რაქჷ - რიგ= და მისთ. (იხ. ზემ. მე-7 მუხლი ნიმუშებისა) და 2) ბრუნვის ნიშანსა და საბრუნებელ ფუძეს შორის ხმოვნის მქონეობა-უქონეობა და ამის მიხედვით თავად ბრუნვის ნიშნის გამარტივების შემთხვევები. უკანასკნელებში იგულისხმება ასეთი სახელები: ყენ (ყორი): ყენ=ა=ღ<-ყენ=ა=ღგ (ნათეს.), ყენ=ა=ღ (მიც.); ძაც („ხარი“): ძაც=ა=ღ<-ძაც=ა=ღგ, ძაც=ა=ღ და მისთ. (იხ. ზემ. მე-4 მუხლი ნიმუშებისა). ამგვარი ბოლოთანხმოვნიანი სახელები ბრუნების ისეთსავე სახეობას ამკლავებენ, როგორცაა - ბოლოხმოვნიანები: შდრ., მაგალ., თული („ხალი“): თული=ა=ღ<-თული=ა=ღგ (ნათეს.), თული=ა=ღ (მიც.); სი (დათვი): სი=ღ<-სი=ღგ (ნათ.), სი=ღ (მიც.)... რით აიხსნება ერთი უგუფის საბრუნებელ სახელთა ზემოთ ნაჩვენები ფუძემონაცვლეობა (ხმოვნის ალტერნაცია)? რატომ ემთხვევა ერთი წყების ბოლოთანხმოვნიან სახელთა ბრუნვის ფორმები ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნების სახეობას? - ამა თუ იმ საწარმოებელ ფუძე-ფორმათა შინაგანი ფლექსია საერთოდ დამახასიათებელი არ არის არც მუხადურისა და არც მისი რომელიმე ახლომონათესავე ენისათვის¹. მაშასადამე, ამგვარ ფუძეთა ხასიათის (ხმოვ-

1. მართალია, ამჟამინდელი მუხადურის სახელთა სხვა

შეუძლებელი ხდება. მაგრამ რა არის თავად ეს მედიალური ხმოვანი? - იგი რომ ბრუნვის ნიშნის კუთვნილება არ არის, ეს ჩანს თუნდაც, ა) ზოგი მუხადური სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან: შდრ., მაგალ., ულ=აზბრ (ულ „თვალი“), ნინ=აზბარ (ნინ „დედა“), დიდ=აზბარ (დიდ „მამა“) და მისთ.; ბ) მუხადურისა და თვის-ტომი ენების შესაბამის ფუძეთა შედარებიდან; მაგალ., ა) მუხადური ნინ (ნინა=ზარ) და უდიური ნანა, ლაკური ნინუ („დედა“); ბ) ყვნა (წახ.) → ყვნ (მუხად.) „ყორი“; კატა (წახ.) → კატ (მუხ.) „ქათამი“; შტა (წახ.) → შტ (მუხად.) „ქერი“, „ქერის პური“, სჯვა (წახ.) → სჯვ (მუხად.) „მთა“ და სხვ. შორსაც რომ არ წავიდეთ, ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეციის მაგალითები თავად მუხადურის კილოთა მიხედვითაც შეიძლება დავასახელოთ: შდრ., მაგალ., ლირხჷ-ლირხჷ (რუთ.) ← ლირხჷჷა (მუხრეკ.) „მტრედი“; მჯყ (რუთ.) ← მჯყა (მუხრ.) „სიცივე“ (მჯყა ჯარიანტი რუთულურ დიალექტშიც იხმარება: ზას მჯყაჷი „მცოცა“)... შედარება სარწმუნოს ხდის, აღნიშნული ხმოვანი არ მივიჩნით ბრუნვის ნიშნის ნაწილად. მაგრამ თუ ეს ასეა საკუთარი ფონდის მუხადურ სახელებში, მაშინ როგორღა გავიგოთ ასეთი ხმოვნის არსებობა ნასესხებ სიტყვებში; შდრ., მაგალ., ქაბაბ („მწვადი“) - ქაბაბაჷდ (ნათეს.), დონლუზ („ლორი“) დონლუზაჷდ (ნათეს.ბრ), აჯღურ („კვიცი“) - აჯღურაჷდ (ნათეს.), აელხი („ჯოგი“) - აელხიჷაჷდ (ნათეს.), ქაღათ („ქალღაღი“) - ქაღათაჷდ (ნათეს.), ჰილაგ. (სრკინა) - ჰილაგაჷდ (ნათეს.), აზნა („სიძე“) - აზნიჷაჷდ (ნათეს.), აეთიმ („ობოლი“) - აეთიმაჷდ (ნათეს.), ისთივუთ („პილპილი“) - ისთივუთაჷდ (ნათეს.) და მისთანებში? ამ სახელებში აჷ = ხმოვნის ფუძისეულობა გამორიცხულია და, მაშასადამე, ამის კვალობაზე უნდა დასმულ იქნეს სხვა კითხვა: ხომ არ არის ეს ხმოვანი რაიმე ფუნქციონალი=ელებენტი, ფორმანტი, ან ფორმანტის ნაშთი? საკითხის ამგვარი დასმა მით

უფრო საფუძვლიანი იქნება, თუ გავიხსენებთ ზემოთ და-
 სახელებულ =არა, =ირა, =რა, =აღა, =ღა, =ადა, =იდა,
 =დ= მედიალურ ელემენტებს, რომლებიც, ზოგი გამონაკლი-
 სის გარდა, თავს იჩენენ ე.წ. ირიბ ბრუნვათა ფორმებ-
 ში (იხ. ზემ. ნიმუშები, სქემები). ზემოთ დასახელებული
 ხმოვანი შეიძლება იყოს სწორედ რომელიმე ამ „ჩანარ-
 თი“ მარცვლის გამარტივებული სახეობა და, მაშასადამე
 ფუნქციითაც ამისი ფარდი. ამგვარად, ზემოთ უწყებული
 „ჩანართი“ ხმოვნის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხი
 ეყრდნობა ორგვარ განმარტებას: 1) ეს „ჩანართი“ ხმო-
 ვანი ისტორიულად საბრუნებელი ფუძის ბოლოკიდური ელემ-
 ენტია, რომელიც აბსოლუტურ დაბოლოებაში წინამავალი
 მახვილიანი ხმოვნის გავლენით სუსტდება და იკვეცება,
 ხოლო სიტყვის შიგნით ა) რჩება, თუ მას მოუდის მახვი-
 ლი (იგულისხმება ყვნა =ღ←ყვნა=ღგ ‘ს ტიპის ფორმები),
 ბ) არ რჩება - სუსტდება და იკუმშება; თუ მას არ მოუდის
 (ან მისგან ადგილს ინაცვლებს) მახვილი (იგულისხმე-
 ბა ნინდგ, ნინა=აღ ‘ის ტიპის ფორმები). მაგრამ: 2) ამ
 პოზიციაში ეს ხმოვანი ყოველთვის არ არის საწარმოე-
 ბელი ფუძის კუთვნილება - იგი თავს იჩენს ან პირველ
 მუხლში გათვალისწინებულ სახელთა ანალოგიით (შდრ.
 ყვნად და დონლუზად...), ანდა ასეთ შემთხვევაში (ე.ი.
 იქ, სადაც ფუძისეულ ხმოვნად არ არის მოსალოდნელი)
 იგი, როგორც ზემოთაც ითქვა, ფუნქციონალი-ელემენტია,
 ფორმანტია ან ფორმანტის ნაშთი (ხმოვნამდე დაყვა-
 ნილი). შემდეგ პირველ ან მეორე მუხლებში გათვალის-
 წინებული ეს ფუძე-ფორმები გარეგნულად ემსგავსებიან
 ერთმანეთს, ამ გზით წარმოიქმნება თითქოს ბრუნვების
 ერთიანი სახეობა - ისევე, როგორც ეს შეინიშნება ამჟა-
 მინდელ ბოლოთანხმოვიან და ბოლოხმოვიან სახელთა
 ერთი ჯგუფის ბრუნვების დროს; შდრ., მაგალ., ერთი
 მხრივ, რიში „ქალიშვილი“: რიშიდ (ნათეს.), რიშის
 (მიც.) - რაქ „კარი“: რიგა=აღ (ნათეს.), რიგა=აღ

(მიც.)...და, მეორე მხრივ, ყვე „ყორი“: ყვე=არაა (ერგ.), ყვე=აა (ნათ.), ყვე=აა (მიც.), ჭაბაღ „ცხვა-რი“: ჭაბაღაა (ერგ.), ჭაბაღაა (ნათ.), ჭაბაღაა (მიც.)... მაშასადამე, ამ განმარტებისა და ნიმუშების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: ყვე=აა ← ყვე=არააღვ, ჭაბაღაა ← ჭაბაღააღვ...; თუ საერთოდ მედიალური ხმოვანი (ამ შემთხვევაში ააა ხმოვანი)¹ არ არის ოდენ ხმოვნის სახის რაღაც სხვა, „დამოუკიდებელი“ ფუნქციონალი-ელემენტი. აღსანიშნავია, რომ მრავლობით რიცხვშიც ეს ხმოვანი ხშირად თან-ხმოვნის გარეშე გამოიყენება და იგი ზოგჯერ სხვა სახეს იღებს: შდრ., მაგალითად, ყულ „თავი“ – ყულაა (მხ.ნათეს.), მაგრამ: ყულაააბჯრ „თავები“ (მრ.ნათეს. ყულაააბჯრამჯდ), ხგლ „ხელი“ – ხელაა (მხ.ნათეს.), მაგრამ: ხგლააბჯრ „ხელები“ (მრ.ნათეს. ხგლააბჯრამჯდ).² ღაა და აა ცვლა აქ პოზიციურ-კომბინაციურად არ ხდება, რის გამო მათ ფონეტიკურ იგივეობაზე ლაპარაკი ძნელდება. შეიძლება სწორედ ეს იყოს ერთი იმის მიმნიშნებელთაგანი, რომ იგი ფუძისეული ბოლო ხმოვანი 'კი არ არის, არამედ – ფუნქციურად ფარდი სხვადასხვა ხმოვანი, resp. ფორმანტი, სულერთია, რა წარმოშობისაც არ უნდა იყოს იგი. ფონემური შედგენილობის (მოდულების) მიუხედავად, შესაძლო იყო, თითოეული ეს „ჩანართი“ ელემენტი დაგვეხასიათებინა, როგორც ერთიანი ბრუნვის ოდინდელი მაწარმოებელი. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ერთიანი ბრუნვის მაწარმოებელი გარეგნულად ეფარდება ან სულაც ემთხვევა რთული აგებულების ბრუნვის ნიშანთა „მართლებელ“

1. სხვა შემთხვევაში შესაძლოა იყოს სხვა ხმოვანი (იხ. ზევ. ნიმუშები).

2. ნიმუშები, რა თქმა უნდა, დასახელებული მაგალითებით არ ამოიწურება.

ნაწილს, თითქოს საეჭვო აღარაფერი უნდა რჩებოდეს აქ. მაგრამ საერთოდ, ასეთ შესაძლებლობათა მიუხედავად, ზემოთ დასახელებული „ჩანართები“ მაინც სხვაგვარად უნდა დახასიათდნენ; წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნება მუხადურ სახელთა მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვის, მათ შორის წრფელობით-სახელობითის, საყრდენ ფუძეში ამავცე „ჩანართების“ არსებობა: შდრ., მაგალ.: ხუნჯხ „შვილი“, ნათეს. ხუნჯხდ - მრ. სახელობ. ხუნჯხ=მარ (რუთ.) || ხუნჯხ=მარ (შინაზ.), ნათეს. ხუნჯხ=ი=მაშტჯ; ტიტ. „ძუძუ“, ნათეს. ტიტხ=იდ, მრ.: სახელობ. ტიტჯა=ბჯრ, ნათეს. ტიტჯა=ბჯრ=მჯდ; რად „სავარცხელი“ ნათეს. რად=ალ=დჯ, მრ.: რადჯრ „სავარცხლები“, - მაგრამ: რადჯალ=მჯდ „სავარცხლებისა“; კაც „წვერი“ (მთისა, ხისა)“, ნათეს. კაც=ალ=დჯ, მრ.: სახელობ. კაც=ალ=ბჯრ, ნათეს. კაც=ალ=მჯდ; გარქქარ „რქა“, ნათეს. გარქულ=დჯ || ქარქულ=დჯ, მრ.: სახელობ. გარქულ || ქარქულ, ნათეს. გარქულ=მჯდ || ქარქულ=მჯდ; მახჟ „ზღაპარი“, „არაკი“, ნათეს. მახჟ=ალ=დჯ, მრ.: სახელობ. მახჟა=ბჯრ, ნათეს. მახჟა=ალ=მჯდ; აილ „დედ“, ნათეს. აილ=დჯ, მრ.: სახელობ. აილ=ბჯრ, მაგრამ: ნათეს. აილჯრ=მჯდ, აბლატ. აილჯრ=მჯქლა; დუხ „ვაჟიშვილი“, ნათეს. დუხ=არ=დჯ, ერგატ. დუხ=არა, მიც. დუხ=არ=ჯს, მრ.: სახელობ. დუხრჯ, ერგ. დუხ=რჯ=შჯ, ნათ. დუხ=რჯ=შჯ=შტჯ, მიც. დუხ=რჯ=შის... აქ ჩამოთვლილი ნიმუშებიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული „ჩანართები“ მხოლოდ გარეგნულად ჰგებანან ერგატის მანარმოებელს. მრავლობით რიცხვში დასმულ სახელთა წრფელობით-სახელობით ბრუნვიდან მოყოლებული ყველა სხვა ბრუნვის ფუძეთა მოდელი უეჭველს ხდის, რომ განხილული მედიალური ელემენტები არსებით სახელთა ფუძის კუთვნილებათა (გაქვეყნებული სახით შემონახული დეტერმინანტი-სუფიქსები, ან ამგვარ სუფიქსთა ნაშთი) და არა ერგატის ნიშანი.

3. ცალკე უნდა გამოიყოს სახელთა ბრუნების ის სახეობა, სადაც ბრუნვათა რთულ მაწარმოებლებად გამოიყოფა =ღირა (ერგ.), =ღიდღიდღ (ნათ.), =ღის (მიც.). აქ იგულისხმება, სახელდობრ, არაბა=ღირა (ურემმა), არაბა=ღიდ (ურმის), არაბა=ღის (ურემს) ტიპის ბრუნება (იხ. ზემ. მე-10 მუხლით გათვალისწინებული ნიმუშები).

როგორც ზემოთაც აღინიშნა, თითოეული ამ მაწარმოებელთაგანი რთული აგებულებისაა და უნდა იშლებოდეს ასე: დი=რ=წ|| ← დი=რ=ა (ერგ.), დი=ღ ← დი=ღღ (ნათ.), დი=ს (მიც.). აქ ბრუნვის სპეციალური სუფიქსებია =ა|| → =ა, =ღ ← ღღ, =ს. ამისი წინმდგომი =ღირ=, =ღი= ელემენტები ზემოთ უწყებულ ცნობების მიხედვით ბრუნვის ნიშნად არ გამოიყოფა და დგება კითხვა: რა წარმოშობისაა ეს მართლებელი ელემენტი, რა დანიშნულება აქვს მას? ერგატიული ბრუნვის მაწარმოებლის ხასიათი გვიჩვენებს, რომ იგი არ არის მარტივი აგებულებისა: დი=რ (დი=რ=?); აქედან =რ (=ირ?) იმ წყების ფუნქციონალი=ელემენტი უნდა იყოს, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.¹ ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ამგვარი ელემენტის დართვა დი=ზე უნდა თავისთავად გვაგულისხმებინებდეს, რომ იგი (დი=) რაღაც სახელური ფუძეა, რომელსაც მოსდევს სადეტერმინაციო ელემენტი + ბრუნვის ნიშანი (დი=რ+ა), ანდა სულაც - უშუალოდ ბრუნვის ნიშანი (დი=ღ ← დი=ღღ, დი=ს). როგორცა ჩანს, აქ უნდა იყოს ბრუნების ის სახეობა, რაც ზემოთ გამოვლენილ იქნა წახურ და ზოგი სხვა თვისტომი ენის (მაგალ., უდიურის) მონაცემთა მიხედვით გასუბსტანტივებულ მსაზღვრელ სახელებსა და მრავლობით რიცხვში დასმულ სახელებში; იგულისხმება, კერძოდ, ბრუნების თავისე-

1. თუ აქ =რ (=ირ?) კლას=კატეგორიის გაქვეყნებული სუფიქსი არ არის — (!?).

ბური, ანალიტიკური (ნაცვალსახელური) ტიპი, რომელიც განიმარტება ასე: საწარმოებელ ფუძეს დაერთვის ბრუნვის ამა თუ იმ ფორმაში დასმული ნაცვალსახელი, გამოყენებული სახელთა ფუძის ჰოსტ-დეტერმინანტად. საფიქრებელია, რომ გარკვეული ჯგუფის მუხადური სახელებიც ავლენენ ბრუნების ამ სახეობას და ამას მიეკუთვნება სწორედ არაბა=დირა (ერგ.), არაბა=დიდ (ნათ.), არაბა=დის (მიც.) ტიპის ბრუნებაც. ბ) ამავე ტიპისად უნდა მივიჩნიოთ ზემოთ მე-8 მუხლით ნაჩვენებ სახელთა ბრუნებაც, სახელდობრ, მახჷა=ღერა (ერგ.), მახჷა=ღდჯ ← მახჷა=ღლჯ, მახჷა=ღლს სახის წარმოება. აქ =ღერა, =ღდჯ ← =ღლჯ, =ღლს ისევე უნდა დახასიათდეს, როგორც - =დირა, =დიდ, =დის (იხ. ზემ.): =ღგრა ელემენტიც ისევე იშლება, როგორც „დირა“: ლჯრა: (ლჯრა=?), სადაც რ (=ჯრ?) ისეთივე ფუნქციონალი= ელემენტი ჩანს, როგორც „დირა“-ში რ (ირ?), ხოლო ამის მომდევნო =ჲჲს იგივეობა „დირა“=ჲსა და „ღჯრა“=ჲში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაშასადამე, ლჯრა და მისთ. უნდა იყოს აგრეთვე რაღაც სახელური ფუძე + ფუძის სადეტერმინაციო ელემენტი + ბრუნვის ნიშანი. ამის კვალობაზე =ღდჯ → ლჯდ და =ღლს დახასიათება იმგვარივე იქნება, როგორც =დიდჯ → დიდ და =დის რთული ელემენტებისა (იხ. ზემ.). სხვა შენიშვნები ამგვარ ელემენტთა შესახებ იხ. ქვემ.: - კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება; ბრუნების თავისებური (ანალიტიკური) ტიპი.

კილოებში არსებით სახელთა ბრუნების მორფოლოგიური თავისებურება არ შეინიშნება; აქ შემჩნეული ზოგი სხვაობა აიხსნება ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილებით, რაც არსებითად არაფერს ცვლის. ერთადერთი, რამაც ამ მხრივ შეიძლება ყურადღება მიიპყროს, ესაა „ძმის“ აღმნიშვნელი სახელის ბრუნების თავისებურება იხრეკულ-მუხრეკულსა და შინაზურ კილოებში: შდრ.

რუთულური, ბორჩული: ინრეკულამუხრეკული, შინაზური :

სახ. შუ	შუ=გუ
ერგ. შუ=რაა	შუ=გუ=რა=ა
ნათ. შუ=ღ-შუ=ღჯ	შუ=გუ=ღ←შუ=გუ=ღჯ
მიც. შუ=ს	შუ=გუ=ს

გუ ელემენტი წარმოქმნილი უნდა იყოს გა=საგან, აქვს „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობა: შუ=გუ←შუ=გო←შუ=გა „ძმაც“.¹ აქ საინტერესო ის არის, რომ ბრუნვის ნიშანს წინ უსწრებს ნაწილაკის გამოყენება: შუ=გუ=რა=ა, შუ=გუ=ღ და ა.შ.,² თუმცა ბრუნების ამგვარ წესს სისტემატური ხასიათი არა აქვს და იგი მუხადურის კილოთა სპეციფიკა არ არის.

ნაცვალსახელთა ბრუნება

პირის ნაცვალსახელისა

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ძირითადი ბრუნვების პარადიგმები³

I პირისა:

მხ.რ.	მრ.რ.
სახ. ზგ „მე“	ში

1. შდრ. ზგ=გა „მეც“, ლუ=გა „შენც“, თინდი=გა „ისიც“, ში=გა „ჩვენც“, უუ=გა „თქვენც“, თიმბჯრ=გა „ისინიც“. ასეთი (გა) ნაწილაკი იხმარება ინრეკულ კილო-ში. სხვა კილოებში სხვაგვარი ვითარებაა ამ მხრივ. - იხ. ქვემ. ნაწილაკები.

2. აქ დაახლოებით ისეთი წარმოებაა, როგორც, მაგალითად, ქართულ ნაცვალსახელებში: რა=ღა=ცა=მ, რა=ღა=ცა=ის, რა=ღა=ცა=ს; იმავემ, იმავე=სი, იმავე=ს (იმა=სავე, იმან=ვე, იმის=ვე, ამას=ვე და მისთანათა პარადელურად).

3. აქ მოცემულია ცნობები აულ რუთულის მეტყველების მიხედვით. სხვა კილო=კილოკაცთა მიხედვით ზოგი ცნობა იხ. ქვემ.: ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებანი კილოებში.

ერგ. ზაა|| ზაად
 ნათ. ისაღჯ.
 მიც. ზაა=ს

ააა||←აააღღ←-ჟი=ად
 იშაღჯ
 ჟეაჰ←-ჟიააჰს

II პირისა

მხ.რ.
 სახ. ცგ „შენ“
 ერგ. ცა # ცაად
 ნათ. ცგაღჯ
 მიც. ცაა=ს

მრ.რ.
 შიუ←-ჟიუნ „თქვენ“
 ჟიაა||←-ჟიააზღ
 ცგაჰაღჯ
 ჟიააჰ=ს

შენიშენები და განმარტებები I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით: I) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში ¹ ერთნაირად - ერთი პრინციპითა და ერთნაირი ნიშნებით იბრუნვიან. ამასთან: ამ ნაცვალსახელებშიც გამოიყოფა ბრუნვის იგივე ნიშნები, რაც - არსებით სახელებში: აა||→ა (ერგ.), ააღჯ(ნათ.), აა (მიც.). ოღონდ ერგატული ბრუნვის მაწარმოებელი ამ ნაცვალსახელებში შესაძლოა ბოლოში „გართულებული“ იყოს აა ელემენტით. მაშასადამე, მუხადურში, წახურის მსგავსად, ერგატის საწარმოებლად გამოიყენება ორვარიანტიანი ნიშანი: აა||→ა და ააღჯ ერგატული ბრუნვის ამგვარი ორვარიანტიანი მაწარმოებელი (სპორადულად) სხვა სახელებშიც, კერძოდ, ატრიბუტიულ სახელებშიც გამოიყენება (იხ. ქვემ.). ასეთი ვითარება უფრო მკა-

-
- 1 რიცხვს ეს ნაცვალსახელები განარჩევენ სემანტიკურად. მრ. რიცხვის მორფოლოგიური წარმოება დამახასიათებელია მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელისათვის (იხ. მრავლობითი რიცხვი).
 2. შტრ. წახური ერგატის (აგრეთვე) ორვარიანტიანი მაწარმოებელი: აა||→ა და აა, აა. მუხადური ააღ და წახური ააღ სუფიქსი ფონეტიკური თვალსაზრისით ერთმანეთს კანონზომიერად ეფარდება (იხ. ემგ. ჯეირანიშვილი, წახური და მუხადური ენები, I-ფონეტიკა: ... ბგერათფარღობა).

ფიოდ ჩანს სხვა კილოებში და, თანაც, უპირატესად - ნაცვალსახელებში (იხ. ქვემ.). 2) სახელობითი და ერგატიული ბრუნვის ფორმები, გარჩეულია მუხადურ პირის ნაცვალსახელებში: შდრ. ზგ (სახელობ.) — ზა, ზად (ერგატ.) „მე“; ეი (სახელობ.) — აა, აად (ერგატ.) „ჩვენ“; ეა (სახელობ.) — ეა, ეად (ერგატ.) „შენ“; ეე (სახელობ.) — ეა, ეად (ერგატ.) „თქვენ“, - რაც უნდა მიჩნეულ იქნეს, როგორც შედარებით უფრო ახალი მოვლენა. ამასთან: 3) მიცემით ბრუნვას საყრდენად აქვს ერგატივის ფუძე-ფორმა: შდრ. ზგ „მე“: ზა (ერგ.) — ზააა (მიც.), ეა „შენ“: ეა (ერგ.) — ეააა (მიც.). ასეთი საყრდენი არა ჩანს ნათესაობით ბრუნვაში: შდრ. ისაღ „ჩემი“, ეაღ „შენი“, იაღ „ჩვენი“, ეააღ „თქვენი“. მიცემითის მსგავსად იყო თუ არა აქაც ერგატივის მაწარმოებლით გართულებული ფუძე, ამის თქმა ამჟამად ძნელია. დადებით პასუხს ამ მხრივ ისიც აძნელებს, რომ არც სხვა კილოებში ჩანს ასეთი ფუძე (იხ. ქვემ.). მაშასადამე, საწარმოებელი ფუძის ხასიათის მიხედვით მუხადურ პირის ნაცვალსახელებში არ არის ერთნაირი მდგომარეობა: ერგატიული და ნათესაობითი ბრუნვა „წმინდა“ ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება, ხოლო მიცემითი - სახელთა ბრუნების „ორფუძიანობის“ წესით. როგორ გავიგოთ ასეთი სიტყვები? - აქ დასაშვებია ორი ასეთი ალტერნატიული ვარაუდი: ა) თუ დავყრდნობით მუხადურის დღევანდელ ვითარებასა და იმას რომ სხვა (მონათესავე) ენებშიც არის „ორფუძიანობის“ პრინციპით ნაწარმოები ბრუნვის ფორმები (საყრდენად ყველა ბრუნვას აქვს ერგატივი დასმული ფუძე),¹ მაშინ ოდითგან

I. ისე, როგორც მაგალითად, ხუნძურშია.

მუხადურ ნათესაობით ბრუნვასაც უნდა ვქონოდა ამგვა-
რივე წარმოება. დღეს კი მისი უქონლობა უნდა მივაწეროთ
ფუძის კუჭშვის შედეგად წარმოქმნილი გამარტივების
პროცესს. ანდა: ბ) მიცემითშიც უნდა გამოირიცხოს ორ-
ფუძიანობის წესი, ე.ი. რაც ახლა ერგატრისად მიგვა-
ჩნია, უნდა იყოს მოჩვენებითი: ერგატრისეული =₂ და
მიცემითის ფუძეში ნავარაუდევია =₂ (ამ ბრუნვის =₂
ნიშანს რომ უდგას წინ) დახასიათებულ იქნეს როგორც
სხვადასხვა წარმომავლობისა და, მაშასადამე, განსხვა-
ვებული ფუნქციის ელემენტები. თუ მეორე განმარტებას
დავეყრდნობით, მაშინ წახურის (და უდიურის) მსგავსად²
მუხადურშიც პირის ნაცვალსახელთა ბრუნების ერთი,
წმინდა-ფუძიანი, ტიპი უნდა ვიგულისხმო.

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა
ბრუნების თავისებურებანი სხვა კილოებში

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნე-
ბის შესახებ ზემოთ მოწოდებული ცნობები შეეხება აუ-
ლების — რუთლის, ამსარლურეჟყინას მეტყველებას და
იგი გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ეხებოდეს მუ-
ხადურზე მოლაპარაკე სხვა აულთა მეტყველებასაც, თუმცა
შეინიშნება ზოგი სხვაობა შინაზურში, იხრეკ-მუხრეკულ-
სა და ბორჩულში.

ამ კილოთა მონაცემების მიხედვით პირის ნაცვალ-
სახელთა ბრუნების პარადიგმები ასეთია:

1. საგულისხმებელია აქ მანვილის ფაქტორიც: იხ. ზემ.
მანვილი და მასთან დაკავშირებული ბგერათცვლილე-
ბები.
2. წახურ პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმები
იხ. ზემოთ. შდრ. უდიური პირის ნაცვალსახელთა ბრუნება:
ზუ „მე“ — ზუ (ერგატ.), ბე=ზი (ნათ.), ზაბ (მიც.); უნ
„შენ“ — უნ (ერგ.), ვა←ფი (ნათ.), ვაბ (მიც.);
აბს „ჩვენ“ — აბს (ერგ.), ბე=ში (ნათ.), აბს (მიც.);
ვაბს „უფა“ — ვაბს (ერგ.), ეფა (ნათ.),
ეფააბს (მიც.).

1) „მე“ ნაცვალსახელისა:

<u>შინაზური</u>	<u>იხრეკ-მუხრეკული</u>	<u>ბორჩული</u>
სახ. ზგ /	ზგ	გი
ერგ. ზგან	ზგა	გიჯ
ნათ. ზგდგ	ისდგ	გიხ~დი
მიც. ზას	ზას	ჯინას

2) „ჩვენ“ ნაცვალსახელისა:

<u>შინაზური</u>	<u>იხრეკ-მუხრეკული</u>	<u>ბორჩული</u>
სახ. ჟი	ჟი	ჯუჟენარ
ერგ. ჟიან	ჯედი	ჯუჯა
ნათ. იშდგ	ჰვხ~დგ	ჰუჰმუშდგ
მიც. ჟესაჟეც	ჯეს	ჯახჩუს

3) „შენ“ ნაცვალსახელისა:

<u>შინაზური</u>	<u>იხრეკ-მუხრეკული</u>	<u>ბორჩული</u>
სახ. ლოაღუ	ღუ	ღუ
ერგ. ლუანაღუა	ღუა	ღუჯ
ნათ. ეგდგ	აუღუდ	ღუღუ
მიც. ვას	ღჟას	ღუას

4) „ექვენ“ ნაცვალსახელისა:

<u>შინაზური</u>	<u>იხრეკ-მუხრეკული</u>	<u>ბორჩული</u>
სახ. ჟუ	ჟუ	ევა
ერგ. ჟუან, ჟუა	ჟუედი	ევუჯ
ნათ. უშდღ	აუშუდ	ევხ~დი
მიც. ჟუს	ჟუნსაჟუნს	ჯვავს

კილოურ მონაცემებზე დაყრდნობით ამ ნაცვალსახელთა ფონეტიკური შედგენილობისა და ფუძის აგებულების ხასიათზე უკვე ითქვა ზემოთ (იხ. პირის ნაცვალსახელები მუხადურში). აღინიშნა, რომ I და II პირის

მუხადური ნაცვალსახელი - თვისტომ ენათა მსგავსად-
ამუამად მეტისმეტად ფუძე-გაცვეთილი და გამარტივე-
ბულია, მისი შედარებით უფრო სრული, ძველი, სახე ასე
თუ ისე დაცულია შინაზურსა და იხრეკულ-მუხრეკულში;
მაგალ., ზგ←*ზენ (მე), ლუ←*ლუნ (შენ), ჟი←*ჟინ
(ჩვენ) ჟუა←*ჟუნ (თქვენ). თავისებურება ჩანს
ბრუნვათა მაწარმოებლების ხასიათის მხრივაც, -
კერძოდ, 1) მხოლოდითი რიცხვის პირველი და მეორე პი-
რის იხრეკულ და მუხრეკულ ნაცვალსახელში მოკვეცილია
ერგატიული ბრუნვის ნიშანი, რის შედეგად ეს ბრუნვა
წარმოდგენილია ფუძის სახით, თუმცა იგი სახელობითი-
საგან (წრფელობითოსაგან) განირჩევა იმით, რომ მასში
შემორჩენილია ფუძის ბოლოკიდური სადეტერმინაციო =
ელემენტი = რეფლექსის სახით: ზგა, ლუა; 2) ნათე-
საობითი ბრუნვის ფორმა, მართალია, ყველა კილოში თით-
ქმის ერთნაირად იწარმოება, მაგრამ მაინც საგულისხმოა.
შემდეგი ა) ბორჩულში შენ ნაცვალსახელსა და ჩვენ ნაც-
ვალსახელში, ხოლო შინაზურში თქვენ ნაცვალსახელში ამ
ბრუნვის სუფიქსი საწარმოებელი ფუძის ხმოვანთა ხასი-
ათის მიხედვით წარმოდგენილია - „ლუა“ ან „ლუა“
სახით: ლუ=ლუ←ლუ=დჯ; ჰუჰლუ=ლუ←ჰუჰლუ=ლუ←ჰუჰ-
ლუ=დჯ; უშ=ლუ←უშ=დჯ←ვუშ=დჯ. ბ) ამ ბრუნვის სუფიქ-
სი გამარტივებულია, მოკვეცილი აქვს ხმოვანი იხრეკულსა
და მუხრეკულში, სამაგიეროდ აქ საწარმოებელი ფუძის ხმო-
ვანი არ სუსტდება და არ იკუმშება. როგორც ჩანს, ამ კი-
ლოებში მახვილი დაცულია თავის კანონიერ ადგილზე, - ბოლო-
დან მეორე მარცვალზე, რითაც შეპირობებულია ამ ბრუნვის ფუ-
ძე=ფორმის ასეთი ხასიათი. ამის შედეგად „შენ“ ნაცვალსახე-
ლის იხრეკული და მუხრეკული ფორმა ნათესაობითი ბრუნვისა
არსებითად განსხვავდება ამ ნაცვალსახელის სხვა კი-
ლოთა ფუძე-ფორმებისაგან: შდრ. ულუდ←ულუ=დჯ (იხრ.=
მუხრ.), ლუდუ (ბორჩ.), ვჯდჯ (რუა., შინაზ.). გ) ში-
ნაზურში სხვაობა ჩანს მიცემითი ბრუნვის წარმოების

მხრივაც. თუ სხვა კილოებში ამ ნაცვალსახელთა მოცე-
 მიითი ბრუნვის სუფიქსსა და საბრუნებელ ფუძეს შორის
 ყოველთვის =ა= ხმოვანი დგას, შინაზურ „თქვენ“ ნაცვალ-
 სახელში მიცემითი ბრუნვის =უ ნიშანი უშუალოდ მოსდევს
 საწარმოებელ ფუძეს: უ-ს. დ) თავისებურება შეიმჩნევა
 ბორჩულშიც, რომელიც სხვა ყველა კილოსაგან არსებითად
 განსხვავდება ამ ნაცვალსახელთა ფუძის წარმოქმნისა
 და ბრუნვათა ფორმირების მხრივ. პირველის შესახებ ზე-
 მოთ იტყვა (იხ. პირის ნაცვალსახელები მუხადურში). რაც
 შეეხება ბრუნვათა ფორმებს, აქ ყოვლის უწინარეს ყურად-
 ლებას იქცევს ერგატიული ბრუნვის მაწარმოებელი: აი=ჟ
 (მე), ლე=ჟ (შენ), ვუზ=ჟ (თქვენ), აუკ=ჟა (ჩვენ).
 დასახელებული ბრუნვის ნიშნად აქ გამოიყოფა =ჟ და
 =ჟა. ბრუნვის ასეთი მაწარმოებელი არ იცის მუხადური
 ენის არცერთმა სხვა კილომ, არ იცის არც წახურმა და
 არც რომელიმე სხვა თვისტომმა ენამ. ზემოთ ნაცვალსახე-
 ლთა ფუძის აგებულებაზე მსჯელობის დროს ბორჩულის მო-
 ნაცემთა მიხედვით აღინიშნა: პირის ნაცვალსახელთა
 მართულბლად ხომ არ არის გამოყენებული უკუქცევითი
 ნაცვალსახელი? საკითხის ამგვარად დასმის საფუძველია
 მუხადურსა და წახურში ჯ ძირიანი უკუქცევითი ნაცვალ-
 სახელის არსებობა და ამასთან დაკავშირებით სამეცნი-
 ერო ლიტერატურაში არსებული ცნობები.¹ ეს შესაძლებლ-
 ბა თავისთავად მრავლის მეტყველია, ანგარიშგასაწევი.

1. კერძოდ, აკად. ივ. ჯავახიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას
 იმის თაობაზე, რომ შთის იბერიულ-კავკასიურ ენებში
 ხშირად ხდება ნაცვალსახელთა წარმოება პირისა და
 უკუქცევითი ნაცვალსახელების ფუძე-ფორმათა კომბი-
 ნაციით (იხ. ზემ. პირის ნაცვალსახელთა აგებულება).
 შე ნ ი შ ე ნ ა: მუხადური ჯა||ჟ სუფიქსური ელემენ-
 ტი და წახური ჯა უკუქცევითი ნაცვალსახელი იწვევს
 უდიურში (ნიჯურ კილოში) დაცულ სა=ჟა, პაზ+ჟა და
 მისთ. ფუძე-ფორმათა ასოციაციას: უდიურში (ნიჯურში)
 =ჟა ელემენტს აქვს ორმაგი დანიშნულება: ასუბსტანტი-
 ურებს რიცხვით სახელს და გამოხატავს კატეგორიულობას
 (აღნიშნავს დაახლ. ქართ. =ვე ნაწილაკის მნიშვნელობას):

მაგრამ შეიძლება განვმარტოთ ასეც: ჯ||ჯ ელემენტი წარმოსდგება დ/დ^ლ-საგან და ეტიმოლოგიურად მესამე პირის ნაცვალსახელს უკავშირდება. ამგვარი წარმომავლობის ჯ (←დ←დი) ელემენტი თანდათან კარგავს თავდაპირველ მნიშვნელობას და ფონეტიკურად სახეცვლილი (გამარტივებული) აღიქმება ბრუნვის, ზღჟ^ქ ერგატიული ბრუნვის ნიშნად. ჯ რომ მართლაც, დ-საგან მოდიოდეს, ამის დამამოწმებელი საბუთი იხრეკულსა და მუხრეკულს მოეპოვება: შდრ. ამ კილო-კილოკავთა „ჩვენ“ და „თქვენ“ ნაცვალსახელთა ერგატივის თავისებური ფორმა: ღე=ღი, ჟიე=ღი||ღეღ=ღი (←^ღენ=ღი?); ჟიედ=ღი (←^ღჟიენ=ღი?). ამის კვალობაზე ბოროტი ფარიანტი მიღებული უნდა იყოს ასე: ლე=ჯ←ლე=ჯი←^ღლე=ღი, ვუ=ჯ←ვე=ჯი←ვე=ღი.¹ თუ ეს ასეა, მაშინ რამდენადმე უცნაური ჩანს „აუქ=ჯა“ში „ჯა“=ს არსებობა ამავე ფუნქციით(1). აქ შესაძლოა საგულისხმო იყოს შემდეგი: „ჯი“=ს გამარტივების შემდგომ (=ღი→ჯი→ჯ) დაერთვის ერგატიული ბრუნვის =ა სუფიქსი: დი^ღ→ჯი→ჯა+ა=ჯა. ხოლო იხრეკულ-მუხრეკულში პირშებრუნებით ხდება: მარტივდება და იკვეცება ბრუნვის ნიშანი (აეღ=ღი=ა→აეღ=ღი→აეღი). მაშასადამე, ბოროტ ღი=ჯ, ლე=ჯ, აუქ=ჯა ნაცვალ-

სა=ჯა „ერთი“, „თვით ერთი“, „სწორედ ერთი“ (სუბსტანტიურად) - სა „ერთი“ (ატრიბუტიულად) ... ამდენად ამ =ჯა ელემენტი უდიურში (ნიჯურში) აქვს „თვით“ ნაცვალსახელის მნიშვნელობაც და ის დანიშნულებაც, რაც მსაზღვრელ სახელებში უდიურსავე მასუბსტანტივებელ =ა სუფიქსს მოეპოვება. ამ =ა სუფიქსის შესახებ იხ. ქვემოთ. თუ მუხრეკულ (ბორო.) ღი=ჯ, ლე=ჯ, აუქ=ჯა=სა და მისთ. წახურ ჯა+რ, ჯა=ბ, ჯა=დ და მისთ. და უდიურ სა=ჯა და მისთ. ერთ რკალში მოვაქცევთ, მაშინ მუხრეკული (ბოროტი) ღი=ჯ, ლე=ჯ, მჯ უნდა რეკონსტრუირებული იყოს ასე: ღი=ჯ←ღი=ჯა, ლე=ჯ←ლე=ჯა და ა.შ.

- I. შდრ. აგრეთვე ერგატივის ლეზგიური მაწარმოებელი =ღი. პ.უსლარი (1896, გვ.23...) აღნიშნავს: „მხოლოდითი რიცხვის მოქმედებით (ღჟჟ^ქ ერგატიულ - ე.ჯ.) ბრუნვას შეიძლება აქონდეს დი, ნი, რა, რე, ა, ე, ი, უ... დაბოლოება.“

სახელთა ერგატიული ბრუნვის ფუძე-ფორმებში =ჟ, =ჯა ელემენტთა გენეზისს უნდა მივყავდეთ ისევ ბრუნების ანალიტიკურ-ლექსიკურ (ნაცვალსახელურ) ტიპამდე (იხ. ქვემ.).

კითხვის ნაცვალსახელთა ბრუნება მუხადურში

მუხადურ კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმები:

სახ.	ეგში „ვინ“	შივი „რა“
ერგ.	ჰა=ლ	ჰა=დირაჲ →ჰი=დირაჲ
ნათ.	ჰა=ლ=დღ	ჰა=დიდი →ჰი=დიდი
მიც.	ჰა=ლ=ჯ=ს	ჰა=დის →ჰი=დის

ამ პარადიგმებიდან ჩანს, რომ მუხადურ კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნვითა ფორმებს მონაცვლე ფუძეები აქვთ: „ვინ“ ნაცვალსახელს - ეგში (სახელობ.), ჰა=ლ (ერგ.)...; „რა“ ნაცვალსახელს - შივი (სახ.) - ჰა=დირა (ერგ.)... „ირიბ“ ბრუნვებში შენაცვლებული ფუძე-ფორმა იგივეა, რაც მე-3 პირის ნაცვალსახელი; შდრ.: ჰა, ჰად „იგი“ (I.2.კლ.) - ჰანიჯა (ერგ.), ჰანი-დღ (ნათ.), ჰანიჯის (მიც.); ჰად „იგი“ (3.4.კლ.) - ჰა=დირა (ერგ.), ჰადიდღ (ნათ.), ჰადის (მიც.). აღსანიშნავია, რომ ვინ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვითა ფუძე-ფორმებად გამოყენებულია მე-3 პირის ნაცვალსახელი - ნიშანდობლივი ადამიანის კლასისათვის, ხოლო რა ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვითა ფუძე-ფორმებად ნივთის კლასისათვის ნიშანდობლივი მე-3 პირის ნაცვალსახელი. აღსანიშნავია ამ მონაცვლე ფუძეთა რთული აგებულებაც: „ვინ“ ნაცვალსახელისა - ჰა=ლ (ერგ.), ჰა=ლღღ←ჰა=ლღღღ (ნათ.), ჰა=ლჯს (მიც.) - შდრ. მე-3 პირის ნაცვალსახელის ფუძე-ფორმები: ჰა=ნიჯა (ერგ.) და ა.შ. „რა“ ნაცვალსახელისა - ჰა=დირა (ერგ.), ჰა=დიდი←ჰა=დიდიღ (ნათ.), ჰა=დის (მიც.) - შდრ. მე-3

პირის ნაცვალსახელის ფუძე-ფორმები: ჰა=ღირა (ერგ.)
და ა.შ.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში საერთოა ჰა=
ნაწილი, რაც მე-3 პირის ნაცვალსახელის ფუძეა (იხ.
ზემ. მესამე პირის ნაცვალსახელი. მითითებითი ნაცვალ-
სახელი). ამ ნაწილის ჩამოცილების შემდეგ „ვინ“ ნაც-
ვალსახელს „ირიბ“ ბრუნვათა მაწარმოებლად რჩება =ლ
(ერგ.), =ლღ←ლღღ (ნათ.), =ლჯს (მიც.), ხოლო „რა“
ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვებისად - =ღირა (ერგ.),
=ღიდღ (ნათ.), =ღიდჯს (მიც.). მუხადურში ზემოთ ფუძედ
გამოყოფილ ჰა-სთან შერწყმული ყველა ეს ნაწილი საწარ-
მოებელი ფუძის მადეტერმინატებელ-მაბრუნებელი ელემენ-
ტია. ამგვარად, კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნვათა
ნიშნებად გამოიყოფა =ლ (ერგ.), =ღჯ (ნათეს.), =ს
(მიც.). ორ უკანასკნელს წინ მოუდის =ლ←ლჯ ელემენტი:
ერგ. ჰა=ლ - ნათეს. ჰა=ლღ←ჰა=ლღღ, მიცემ. ჰა=
ლჯს (ჰა=ლ=ჯს?) და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს აქ
იყოს ერგატივის ფორმაზე აგებული წარმოება. ასეთი მო-
ნაცვლე ფუძიანი ფორმები მოეპოვება თაბასარანულ კით-
ხვით ნაცვალსახელსაც; შდრ., მაგალითად, „ვინ“ ნაც-
ვალსახელი:

ა.ღირის (1905,
გვ.36) მიხ.

ლ.უირკოვის (1948,
გვ.103) მიხ.

აღ.მაჰომეტოვის
(1965, გვ.180) მიხ.

სახ. ჭუჷ	ჭუჷ	უჷ
ერგ. შიღ=ე	შღი	შიღლი
ნათ. შიღენ	შღინ	შიღლინ
მიც. შიღენზ	შღინზ	შიღლიზ

თაბასარანულში „ვინ“ ნაცვალსახელის მონაცვლე
ფუძეა ჭუჷ - შიღ=, ში=. ა.ღირს, ლ.უირკოვისა და
აღ.მაჰომეტოვის „ირიბ“ ბრუნვათა ეს ფუძეები სხვადასხ-
ვანაირად აქვთ ნაჩვენები (შდრ. პარადიგმები). აღ.მა-
ჰომეტოვი, ითვალისწინებს რა ამ ენის კილოურ მონაცე-

მებს - სახელდობრ. ჩრდ.დიალ. ხანაგური კილოკავ-
 თქმის ქუჟ (ვინ) - შიჟლი (ერგ.), შიჟლიან (ნათ.),
 შიჟლიზ (მიც.); ჭი (რა) - ჭიჟლი (ერგ.), ჭიჟლიან
 (ნათ.), ჭიჟლიზ (მიც.); აგრეთვე სამხრ.დიალ.ხივური
 კილოკავ-თქმის ქუ (რა) - ჭჷჩი (ერგ.), ჭჷჩიან
 (ნათ.), ჭჷჩიზ (მიც.) და სხვა ფორმებს (1965, გვ.
 180, 181...), - განმარტავს: „ირიბი“ ბრუნვები იწარ-
 მოებიან ერგატივისაგან (ნათ.ბრ.ჭიჟლიან, მიც.ჭიჟ-
 ლიან), ე.ი.კითხვის ნაცვალსახელებიც იბრუნვიან „ორ-
 ფუძიანობის პრინციპით“ (1965, გვ.182).სინქრონიუ-
 ლად,რა თქმა უნდა,ეს ასეა.მაგრამ საფიქრებელია,რომ
 თაბასარანულშიც და ჩვენთვის ამჟამად საინტერესო მუ-
 ხადურშიც კითხვის ნაცვალსახელთა „ირიბი“ ბრუნვები
 ისევე (ანალიტიკურად) იწარმოებიან,როგორც (ზემოთ გან-
 ხილულ) წახურში.მაშასადამე,ის,რაც აქ შეიძლება ერგა-
 ტივის ნიშნად იყოს მიჩნეული,წარმომავლობით ნაცვალსა-
 ხელური ფუძე-ძირია,რომელსაც მოკვეცილი აქვს ბრუნვის
 (ერგატ.) ნიშანი.ამას მოწმობენ თუნდაც „რა“ ნაცვალ-
 სახელის „ირიბი“ ბრუნვათა მუხადური ფორმები: შღრ.
 ჰაჟლიან (რამ), ჰაჟლიან←ჰაჟლიანღ (რისა), ჰაჟლიან
 (რას).როგორც ვხედავთ,ის,რაც ერგატივისად შეიძლებო-
 და ყოფილიყო მიჩნეული,თავადაა გაფორმებული ბრუნვის
 ან (ანა) ნიშნით. ეს კი უკვე იმის მიმნიშნებელია,
 რომ ეს ბრუნვისნიშნისეული (რანაან?) ელემენტის წინ-
 მდგომი დიამარცვალის ბრუნებადი ფუძეა,წარმოშობით ნა-
 ცვალსახელი,ხოლო ფუნქციით პოსტ-დეტერმინანტი.ეგრევე
 უნდა დახასიათდეს,ერთი მხრით,თაბასარანული ლი,ლიან,
 ლიან, ხოლო მეორე მხრით,მუხადური ლ, ლღანღ←ლღანღ,
 ლღან. აქედან,როგორც ზემოთაც აღინიშნა, ლი (თაბა-
 სარ.) და ლ (მუხად.),ამჟამად ერგატივს რომ აფორმებს,
 ეტიმოლოგიურად ნაცვალსახელის ფუძე-ძირია,რომელსაც
 უნდა აკლდეს ბრუნვის დაბოლოება (ისევე,როგორც,მაგა-
 ლითად,ქართული მოთხრობათის ამ←მა მაწარმოებელში:

მა←მაჲ.სხვანაირად რომ ვთქვათ: თაბასარანული და მუხადური ლი და ლ (ლჲ) ისევე არ არის ბრუნვის ნიშანი, როგორც ქართული მ= და მა=, ანდა როგორც ვინ ნაცვალსახელში - „ვი=“. ლი და ლ (ლჲ) რომ ნაცვალსახელური წარმომავლობის პოსტ-პოზიციური ელემენტია, ამის ფაქტობრივი დადასტურება უნდა იყოს, კერძოდ, ალუღურში პრაქტიკულად არსებული და ამავე ძირიდან წარმოებული ნაცვალსახელები: ლე (ის - ზემოთ მყოფი), ლი (იმან, იმით), ლინ (იმისა), ლიჲ, ლის (იმასა), ლურ (ისინი - ზემოთ მყოფნი)¹.

- სხვა ნიმუშები და არგუმენტები იხ. ზემ. კითხვითი ნაცვალსახელი წახურში. მესამე პირის ნაცვალსახელი წახურში. იხ. აგრეთვე ბრუნების ლექსიკურ-ანალიტიკური ტიპი წახურსა და მუხადურში.



სხვა კილოები კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების ხასიათით არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ ხაზით თავისებურება ვლინდება უფრო თანდებულიან ბრუნვებში, რის შესახებაც ცნობები მოწოდებული იქნება ქვემოთ (იხ. თანდებულიანი ბრუნვები მუხადურში). კილოებში არაარსებითი ხასიათის ცვლილება კი ის არის, რომ ვინ ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ლჲ=ს პარალელურად (ფაკულტატურად) გამოიყენება ლდი ვარიანტიც: ჰალ=დი (მაგალ., შინაზურში...), ხოლო „რა“ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე-ფორმებად უპირატესად ჰი=დირჲ, ჰი=დიდ, ჰი=დის ვარიანტი გამოიყენება (მაგალ., შინაზურში, ბორჩულში...).

 1 მაგალითები ამოღებულია ა. დ ი რ ი ს „ალუღური ენიდან“, გვ. 21...

უკუქცევით ნაცვალსახელთა ბრუნება მუხადურში

მუხადურ უკუქცევით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმები აულ რუთულის მეტყველების მიხედვით:

	I კლ.	II კლ.	III კლ.
სახ.	ჰა=ფუჯ	ჰა=რიჯ	ჰა=ვიჯ
ერგ.	ჯუ	ჯი	ჯი
ნათ.	ჯუ=დუ<ჯუ=დჯ	ჯი=დჯ	ჯი=დჯ
მიც.	ჯუ=ს	ჯი=ს	ჯი=ს

1. ამ ნაცვალსახელის საბრუნებელი ფუძის აგებულების დახასიათება მოცემულია ზემოთ (იხ. უკუქცევითი ნაცვალსახელები მუხადურში). გავიმეორებთ, რომ საწარმოებელი ფუძე ერთიმეორისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ გრამატიკულ კლასს გამოხატავს იგი: პირველი გრ. კლასის ყველა ბრუნვის ფუძედ გამოყენებულია ჯუ, ხოლო ერთობლივ დანარჩენი კლასებისად – ჯი (იხ. ზემ.).

2. ბრუნვის ნიშნებად, გარდა ერგატივისა, ამ ნაცვალსახელებშიც ისეთივე სუფიქსები გამოიყენება, როგორებიც – სხვა სახელებში (არსებით სახელში, პირისა და კითხვის ნაცვალსახელებში. იხ. ზემ.): ნათ. =დჯ, მიც. =ს. ყველა გრ. კლასის აღმნიშვნელი ამ ნაცვალსახელის ერგატიული ბრუნვა ფუძითაა წარმოდგენილი: ჯუ (I კლ.), ჯი (ყველა სხვა კლ.). საფიქრებელია, რომ აქ ბრუნვის ნიშანი (აღბათ, =ა სუფიქსი) მოკვეცილია: ჯუ←ჯუ=ა. ამ ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა ხდება აღბათ ბოლოდან მეორე მარცვლის მახვილიანი ხმოვნის გაღლენით. შდრ. შინაზური, სადაც ერგატიული ბრუნვის ფუძე-ფორმაში გრძელი ხმოვანი მონაწილეობს: ჯუ ხმოვნის სიგრძე აქ ორი ხმოვნის შერწყმის ეფექტი უნდა იყოს: ჯუ←ჯუ=ა←ჯუ=ა; ბოლოკიდური ხმოვანი უნდა იყოს სწორედ ერგატივის მაწარმოებელი.

3. მრავლობით რიცხვში დასმული ეს ნაცვალსახელი იბრუნვის ასე: სახ. ჰაბჯრ=ჯუარ¹ (I.-4. კლ.) – ჯუარ (ერგ.), ჯუჰდუ (ნათ.), ჯუარ=ში=ს (მიც.) || ჯუ, ჯუ=დუ, ჯუ=ს. როგორც ვხედავთ, მრავლობით რიცხვში ამ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა გამოსახატავად (ფაკულტატურად) მრავლობითსა და მხოლოდობით რიცხვში დასმული ფორმები იხმარება. მრ. რიცხვის გამოხატვა ამ ნაცვალსახელში საერთოდ მეორეული, ახალი მოვლენა უნდა იყოს (ზოგი სხვა ნაცვალსახელის ანალოგიით გარეწილი). ბ) საყურადღებოა, რომ ერგატრივი მრავლობითშიც სუფიქს-მოკვეცილია: ჯუ=არ ჯუ=არ: ჯუ ფუძე=ძირია, =არ მრ. რიცხვის სუფიქსი; არა ჩანს ბრუნვის ნიშანი. როგორც ჰგავს, აქაც ბრუნვის =დ სუფიქსია მოკვეცილი; ნათესაობითი ბრუნვის ფუძეში თავს იჩენს =ჰ= ელემენტი, რომლის დანიშნულება ნათელი არ არის. დ) მიცემითი ბრუნვის ფუძე-ფორმა გართულებულია =ში= „ჩანართით“, რომელიც მოსდევს მრავლობითი რიცხვის სუფიქსსა და წინ უძღვის ამ ბრუნვის =ს დაბოლოებას: ჯუ=ა რ=ში=ს (იხ. ქვემ. ახელთა ბრუნება მრავლობითში).

უკუქცევით ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურება მუხადურ კილოებში

საბრუნებელი ფუძის ზოგი კილოური თავისებურების შესახებ ზემოთ ითქვა. ამ ნაცვალსახელის ბრუნების მხრივ კილოებში არ შეიმჩნევა დიდი სხვაობა. გამონაკლისებია იხრეკულ კილოში ხმარებული მე-3 გრ. კლასის აღმნიშვნელი ფუძე-ფორმები: თინდჯ=ვიჯ (სახ.), ჯიჯი (ერგ.), ჯიჯიდჯ (ნათ.), ჯიჯის (მიც.). =დჯ (ნათ.) და =ს ნიშანთა ჩამოცილების შემდგომ ფუძედ რჩება ჯი-ჯი=, რაც ამავე დროს ერგატრიული ბრუნვის „ფორმაცაა“. აქაც ამ ბრუნვის ნიშანი არა ჩანს და იგი მთლიანად ემთხვევა ფუძეს (ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. ზემ.: უკუქცევითი ნაცვალსახელის აგებულება მუხადურში,

მუხადურ სახელთა ბრუნება მრავლობით რიცხვში

ზემოთაც აღინიშნა, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშანი დაერთვის ფუძეს (წრფელობითს), რომელსაც ბრუნების დროს მოსდევს მხოლოდობითში დასმული ბრუნვის ესა თუ ის ნიშანი, რაც ზოგჯერ გართულებულია შ (ში) ელემენტით (წინ უძღვის ბრუნვის დაბოლოებას). ისე რომ: მრავლობითში დასმულ სახელებს ბრუნების ორი მოდელი მოეპოვება: I - საწარმოებელი ფუძე + მრ.რიცხვის სუფიქსი + „ჩანართი“ + ბრუნვის ნიშანი; II - საწარმოებელი ფუძე + მრ.რიცხვის სუფიქსი + ბრუნვის ნიშანი („უჩანართოდ“). მაშასადამე, მრავლობით რიცხვში დასმულ სახელთა ბრუნება მუხადურში ორ ძირითად პარადიგმს ქმნის: ისეთი სახელები, რომელთა ფუძე-ფორმები გართულებულია ბრუნვისა და რიცხვის სუფიქსებს შორის „ჩართული“ (შ, ში) ელემენტით (იხ. ქვემ. I ტიპის ბრუნების პარადიგმები) და ამისი უქონელი ფუძე-ფორმები (იხ. ქვემ. ბრუნების II ტიპის პარადიგმები). ბრუნების ამ ორ სახეობას პირობით შეიძლება ეწოდოს „რთულ-მაწარმოებლიანი“ და „მარტივ-მაწარმოებლიანი“ ფორმები.

I. მრავლობით რიცხვში არსებით სახელთა ბრუნების

პარადიგმები და განმარტებები

I ტიპი

I. ა) ნინა=ბარ „დედები“ (ნინ „დედა“)

ერგ. ნინაბაშა←ნინა=ბარ=შა←ნინა=ბარ=ში=ა

ნათ. ნინა=ბა=შედ←ნინა=ბარ=შედ←ნინა=ბარ=ში=დ

მიც. ნინა=ბა=შის←ნინა=ბარ=ში=ს

ასევე იბრუნვის: დიდა=ბარ „მამები“ (დიდ „მამა“),

ბ) სიბაშ „დათვები“ (სი „დათვი“)

ერგ. სიბაშა←სი=ბა=ში=ა

ნათ. სიბაშედ←სი=ბა=ში=დ

მიყ. სიბჭვის←სიბა=ში=ს

ასევე იბრუნვის: შუ=ბა (შუ „ძმა“).

2. რჯშბა „ქალიშვილები“ (რჯშ „ქალიშვილი“)

ერგ. რჯშბი=შნ←რჯშბი=ში=ა

ნათ. რჯშბი=შ=დჯ←რჯშბი=ში=დჯ

მიც. რჯშბი=ში=ს

3. ა) ზნბჯრ „ფურები“ (ზნრ „ფური“)

ერგ. ზნბიშნ←ზნრ=ბი=შნ←*ზნრ=ბი=ში=ა

ნათ. ზნბიშიდ←ზნრ=ბი=ში=დჯ←ზნრ=ბი=ში=დჯ

მიც. ზნბიშის←ზნრ=ბი=შის←ზნრ=ბი=ში=ს

ბ) რიშნმარ „დები“ (რიშნ „და“)

ერგ. რიშიმაშნ←რიშ=ირ=მაშნ←*რიშირ=მარ=ში=ა

ნათ. რიშიმაშდჯ←რიშირ=მა=შდჯ←*რიშირ=ბარ=ში=დჯ

მიც. რიშიმაშის←რიშირ=მა=შის←*რიშირ=ბარ=ში=ს

4. ა) დუხრწ ←*დუხ=არ=არ „ცაყები“ (დუხ „ცაყი“)

ერგ. *დუხრეშა←დუხრწშნ←*დუხ=არ=არ=შნ←

←დუხ=არ=არ=ში=ა

ნათ. დუხრეშდჯ←დუხრწშდჯ←*დუხ=არ=არ=შდჯ←

←დუხ=არ=არ=ში=დჯ

მიც. დუხრეშის←დუხრწშის←*დუხ=არ=არ=ში=ს

ბ) ჭაბალჰარ „ცხვრები“ (ჭაბალ „ცვარი“)

ერგ. ჭაბალაშნ||ჭაბალწშნ←ჭაბალ=არ=შნ←*ჭაბალ=

არ=ში=ა

ნათ. ჭაბალაშდჯ||ჭაბალწშდჯ← ჭაბალ=არ=შდჯ

ჭაბალ=არ=ში=დჯ

მიც. ჭაბალაშის||ჭაბალწშის←*ჭაბალ=არ=ში=ს

გ) ყუნწ|| ყუნწრ „ყოჩები“ (ყუნ „ყოჩი“)

ერგ. ყუნწშნ←ყუნწ=არ=შნ←*ყუნწ=არ=ში=ა

ნათ. ყუნწშდჯ||ყუნწშდჯ←ყუნწ=არ=შდჯ←*ყუნწ=არ=

ში=დჯ

მიც. ყუნწაშის||ყუნწშის← ყუნწ=არ=ში=ს

ბ) ტატალზერ „ჯოხები“ (ტატალ „ჯოხი“)

ერგ. ტატალ=მერა←ტატალ=ზერა

ნათ. ტატალ=მეღ←ტატალ=მეღღ←ტატალ=მეღღღ

მიც. ტატალ=მეღს←ტატალ=მეღს

გ) ლუბზერ←ლუბა=ზერ „ფესვები“, „ძირები“ (ლუბა „ფესვი“, „ძირი“)

ერგ. ლუბზერმერა←ლუბა=ზერ=მერა←ლუბა=ზერა=ზერა(?)

ნათ. ლუბზერმეღ←ლუბა=ზერ=მეღღ←ლუბა=ზერა=მეღღ(?)

მიც. ლუბზერმეღს←ლუბა=ზერ=მეღს←ლუბა=ზერა=მეღს(?)¹

დ) დამზერ „ტყეები“ (დამ „ტყე“)

ერგ. დამმერა←დამა=ზერა

ნათ. დამმერმეღ←დამა=ზერა=მეღღ←დამა=ზერა=მეღღღ

მიც. დამმერმეღს←დამა=ზერა=მეღს←დამა=ზერა=მეღს²

ე) ხუქბერ „ხეები“ (ხუქ „ხე“)

ერგ. ხუქუმერა←ხუქ=ერ=მერა←ხუქ=ერა=მერა←
←ხუქ=არა=მერა

ნათ. ხუქუმეღ←ხუქ=ერ=მეღღ←ხუქ=ერა=მეღღ←ხუქ=ერა=
ბეღღ(?)

მიც. ხუქუმეღს←ხუქ=ერ=მეღს←ხუქ=ერა=მეღს←ხუქ=ერა=
ბეღს(?)

შენიშვნები და განმარტებები:

1. მრავლობით რიცხვში ფონეტიკურ ცვლილებათა გამო საბრუნებელი ფუძისა და ბრუნვათა ნიშნების პირვანდელი სახე შეცვლილია მომეტებულ წილად და საფუძვლიანად (პარადიგმებში ნაჩვენებია ამ ფუძე-ფორმათა რეკონსტრუქცია, ფონეტიკური ევოლუცია).

2. მხოლოდითი რიცხვის მსგავსად მრავლობითშიც არ შეიმჩნევა ბრუნვათა ფორმების სხვაობა იმისდა მიხედვით, ფუძე ხმოვანზეა დაბოლოებული თუ თანხმოვანზე, ადამიანის კლასს გამოხატავს თუ ნივთისას. ბრუნების

I. შდრ. მხოლ. რ. ლუბა=ზერა (ერგატ.), ლუბა=ზერაღღ (ნათ.)
ლუბა=ზერაღს (მიც.).

2. შდრ. მხოლ. რ. ერგატ. და მ=ზერა.

პროცესში, როგორც ითქვამს, სხვაობა ელინდება მხოლოდ ფონეტიკური ცვლილებების ნიადაგზე (ხდება ასიმილაცია, შერწყმა, კუმშვა, ზოგჯერ — კმეცვა=გამარტივება... , გარკვეულ რაღს თამაშობს მახვილიც: ბოლოდან მეორე მახვილიანი ხმოვანი იწვევს ფუძისა თუ მაწარმოებლის უმახვილო ხმოვნის ნაწილობრივ ან სრულ რედუქციას, ბოლო ხმოვნის დასუსტებას, მოკვეცას (იხ. ზემ. პარადიგმები). 3. ამ ცვლილებების მიუხედავად, მრავლობით რიცხვში ნაბრუნებ სახელთა უმეტესობაში შემონახულია საწარმოებელი ფუძის უფრო ძველი სახე, ვიდრე — მხოლოდობით რიცხვში; კერძოდ, საყრდენი ფუძის სადეტერმინაციო სუფიქსები ან ოდინდელი ბოლო ხმოვნები შემონახულია აქ; შდრ.: მაგალ.: ჭილ←ჭილი („ძელი“, „მორი“) — მრ.: ჭილიაბჯრ (სახ.), ჭილიაბჯრა (ერგ.); რუბ←რუბა („ნემსი“) — მხ.ნათ. რუბაადიარა (ერგ.), რუბაადიდ (ნათ.), რუბაადის (მიც.), მაგრამ, რუბააბჯრ, რუბაამჯდ III რუბაალამჯდ←რუბალაბჯად... (შდრ. ა. დირი — 1911, გვ. 20). 4. მხოლოდობით რიცხვში დასმულ სახელთა ბრუნების დროს ერთ (საერთო) პარადიგმაში მოქცეული სახელები შორდებიან ერთმანეთს მრავლობითში, წარმოგვიდგებიან არა რიცხვისა და ბრუნვის ფორმათა განსხვავებული მაწარმოებლებით, რის გამო ექცევიან სხვადასხვა პარადიგმაში. შდრ., მაგალ., მხოლ. რ.: ზარ (ფური), ზირრა (ერგ.), ზირდჯ (ნათ.) ზირის (მიც.); ხნდ (წყალი), ხიდირა (ერგ.), ხიდიდ (ნათ.), ხიდის (მიც.); რაქჟ (კარი), რიგირა (ერგ.), რიგიდ (ნათ.), რიგის (მიც.)... — მრავლ. რ.: ზარბჯრ (ფურები), ზარბიშჟ (ერგ.), ზაბიშიდ (ნათ.), ზაბიშის (მიც.); ხიდბჯრ (წყლები), ხიდმჯრა II ხიდმჯრა (ერგ.), ხიდმჯდ (ნათ.), ხიდმჯს (მიც.), რაქბჯრ (კარნი), რიგიმჯრა (ერგ.), რიგიმჯდ (ნათ.), რიგიმჯს (მიც.)... 5) მრავლობით რიცხვში დასმულ სახელთა ერთი ნაწილი გვირგვინებს ბრუნების თავისებურ ლექსიკურ-ანალიტიკურ სახეობას (იხ. პარადიგმები). აქ ბრუნვის ნიშანს, როგორც

ითქვა, ახლავს მართულებელი ელემენტი, რომელიც, წარმოშობით მესამე პირის ნაცვალსახელის ფუძეა. იგულისხმება შ←ში ელემენტი, რომელიც წინ უძღვის ბრუნვის სუფიქსს: =შა←შია (ერგ.), =შდგა←შიაღ←შიაღ (ნათ.), შის←შია (მიც.).

წახურისა (იხ. ზემ.) და ზოგი სხვა თვისტომი ენის სათანადო მონაცემთა შედარების საფუძველზე ზემოთ მოცემულია ამ შ←ში (შე=?.) ელემენტის ეტიმონიის დადგენის ცდა. მუხადურშიც ეს შ←ში ელემენტი უნდა მიჩნეულ იქნეს ნაცვალსახელური წარმოშობის ფუძე-ძირად, ხოლო =შა, =შდ, =შის სადეტერმინაციო დანიშნულების ბრუნვაცვალებად ნაცვალსახელად. ნ. არსებით სახელთა ბრუნების ორგანული წარმოება უნდა მიჩნეულ იქნეს ადრინდელი, უფრო ძველი, ვითარების გამომხატველად, მეორე, ლექსიკურ-აღწერიითი (ნაცვალსახელით გართულებული) კი ახალ, გვიანდელ სახეობად. აქ არ არის უგულებელსაყოფი მორფოლოგიური ანალოგიის შესაძლებლობა: არსებით სახელთა მრავლობით რიცხვში ბრუნების მეორე სახეობა წარმოიქმნა ალბათ გასუბსტანტივებული მსაზღვრელი სახელის ბრუნვათა ფორმების (იხ. ზემ.) ანალოგიით. აქ უნდა საგულისხმო იყოს ბრუნვათა საწარმოებლად გამოყენებულ მორფოლოგიურ-ლექსიკურ საშუალებათა განზოგადების, ერთ საერთო პარადიგმაში მოქცევის ტენდენციაც.¹

7. ერთი უგუფის სახელთა წრფელობისა (სახელობითსა) და „ირიბ“ ბრუნვებში მრ. რიცხვის საწარმოებლად სხვადასხვა სუფიქსი გამოიყენება; შდრ. მაგალ.:

მაცაბზრ (სახელობ.) - მაცამზრა←მაცაალამზრა (ერგატ.)...

ხალაბზრ (სახელობ.) - ხალამზრა (ერგატ.)...

ღუაბაზრ (სახელობ.) - ღუაბამზრა (ერგატ.)...

(იხ. ბრუნების „მეორე ტიპის“-ს პარადიგმათა).

¹ ამის შესახებ დამატებითი ცნობები იხ. ქვემ. ბრუნების თავისებური, ლექსიკურ-ანალიტიკური ტიპი.

ამასთან დაყავშირებით დგება კითხვა: რით აიხს-
 ნება, ან რით არის შეპირობებული ფორმანტთა ამგვარი
 შენაცვლება? ბ და შ-ს ცვლა სპონტანური ხასიათისა ხომ
 არაა (და, მაშასადამე, აქ ხომ არა გვაქვს ერთი-მეორის შე-
 ხატვისი, კორელაციური ელემენტები)? თუ ასეთი მონაც-
 ვლება უნდა აიხსნას კომპინაცირ-პოზიციური პროცე-
 სებით? - ერთი და მეორე შესაძლებელი ვარაუდია;
 მუხადურისა თუ საერთოდ თვისებრივ ენათა რეალიზების მი-
 ხედვით შეიძლება ამისი დამოწმება. ზოგი ცნობა ამის
 თაობაზე მოცემულია ზემოთ (იხ. „მრავლობითი რიცხვი“).
 აქ წარმოდგენილ ბრუნვათა ფორმების მიხედვით კი შე-
 იძლება აღინიშნოს შემდეგი: ზოგ შემთხვევაში „მ“
 გარიანტი შეიძლება, მართლაც, მეორეული, ბ-დან მიღებუ-
 ლი, იყოს: მ←ბ. ეს პროცესი შეიძლება შეპირობებული
 იყოს ბ-ს წინამდებელი თანხმოვნის ხასიათით. ასეთ თან-
 ხმოვნებზე უნდა ვიგულისხმოთ რეალურად არსებული ან
 თეორიულად ნაგარაუდები (იხ. ზემ.) ნ, ლ და რ, რომელ-
 თა მეზობლობაში ბ რამდენადმე სუსტდება (ხდება მისი
 არტიკულაციის ერთგვარი მოშლა) და გვაძლევს მ-ს.
 სხეანაირად რომ ვთქვათ: ნბ, ლბ ან რბ კომპლექსი
 ნაწილობრივ ასიმილაციის შედეგად სახეს იცვლის, იქ-
 ცევა ნმ, ლმ, რმ კომპლექსად. ამ შემთხვევაში მრ. რიცხ-
 ვის ბ-ს შემცველი აფიქსი გარეგნულად ემთხვევა „მ“-
 გარიანტიან აფიქსს, რომელიც ბ-გარიანტიანის გვერდით
 (სხვა შემთხვევებში) მუხადურსა და ზოგ ახლო მონა-
 თესავე ენაში შეიძლება არსებობდეს კიდევ, როგორც
 „ცალკე“, პარალელურად (სპორადულად) ხმარებული ფორ-
 მანტი.



კვლევებში მრავლობით რიცხვში დასმულ არსებით სა-
 ხედთა ბრუნება დიდი თანისებურებებით არ ხასიათდება.

სხვაობა ძირითადად ლექსიკურ¹ და ფონეტიკურ ცვლილებებში ჩანს, რაც არსებითად არაფერს ცვლის მორფოლოგიის თვალსაზრისით. შდრ. მაგალითად:

რუთულური, იხრეკული, შინაზური	ბორჩული
I. სახ. დუხრჷ (დუხ „ცაჷიშვილი“)	დუხრჷ (მხ. დიხ.)
ერგ. დუხრჷშჷ → დუხრეშჷ	დუხრჷშჷ
ნათ. დუხრჷშეშჷ → დუხრეშეშჷ	დუხრჷშეშჷ
მიც. დუხრჷშის → დუხრეშის	დუხრჷშის

რუთულური, იხრეკული-მუხრეკული	ბორჩული, შინაზური
სახ. რეშეშჷ (მხ. რეშე „ქალიშვილი“)	რიშეში (მხ. რიშე)
ერგ. რეშეშიშჷ	რიშეშიშჷ
ნათ. რეშეშიშეშჷ	რიშეშიშეშჷ
მიც. რეშეშიშის	რიშეშიშის...

რუთულური:	იხრეკული, ბორჩული
სახ. წჷჷჷ „ნერბები“ (მხ. წიჷ)	წიჷილარ წჷჷილარ (მხ. წიჷ)
ერგ. წჷჷჷშჷ	წიჷილარჷშჷ ← წიჷილარშია
ნათ. წჷჷჷშეშჷ	წიჷილარჷშეშჷ ← წიჷილარშიშე
მიც. წჷჷჷშის	წიჷილარჷშის ← წიჷილარშის

იხრეკული და ბორჩული ვარიანტი საყურადღებოა იმით, რომ ა) აქ სახელობითი მრავლობითი რიცხვის =ჷ ← =ჷ სუფიქსი დაცულია გამარტივების გარეშე - არ არის დაყვანილი ოდენ ხმოვნამდე, როგორც ეს სხვა კილოებში, კერძოდ, რუთულურში ხდება (ხდება აგრეთვე იხრეკულისა

 I. გამოიყენება სინონიმური მნიშვნელობის სხვა ფორმები: შდრ., მაგალითად, ჭაბალ (რუთ.) - ტეჷ (ბორჩ.) „ცხვარი“; თანაც ეს კილოები მრავლობით რიცხვში დასმულ ამ სახელთა ბრუნების დროს ამჟღავნებენ განსხვავებულ ბრუნების ტიპის მიხედვით: ჭაბალარ (რუთულურში) იბრუნვის I ტიპის მიხედვით, ხოლო ტეჷმარ (ბორჩულურში) - II ტიპის მიხედვით. „ჭაბალარ“-ის ბრუნვათა ფორმები იხ. ზემოთ. ტეჷმარ-ის ბრუნება კი ასეთი იქნება: ტეჷმარა (ერგ.), ტეჷმარმჯდ (ნათ.), ტეჷმარმჯს (მიც.)...

და ბორჩულის „ირიბ“ ბრუნვათა ფორმებშიც. იხ. ნიმუ-
შები). ბ) საწარმოებელი ფუძეც იხრეკულსა და ბორჩულში
უფრო ძველი სახითაა შემონახული, ციფრე სხვა კილოებ-
ში; შდრ. წაჰ- (მრ.), წია (მხ.) - წიჰილ (იხრ.,
ბორჩ.).¹

2. მრავლობითში დასმულ მითითებით ნაცვალსა-
ხელდა ბრუნების პარადიგმები და განმარტე-
ბები. კილოური თავისებურებანი ამ მხრივ

რუთულური

I. - 2. კლ.

სახ.ჰაბზრ „ისინი“ (მხ.ჰა,ჰად)

ერგ.ჰაბიშა←ჰა=ბი=ში=ა

ნათ.ჰაბიშდგ←ჰა=ბი=ში=დგ

მიც.ჰაბიშჰს||ჰა=ბი=ში=ს

||სახ.თიმბზრ||←თინბზრ „ისინი“

(მხ.თინ)

ერგ.თიმბიშა←თინ=ბი=შა

3. - 4. კლ.

ჰაბზრ

ჰამზრა||←ჰამრა

ჰამგდ||ჰამგდგ

ჰამგს²

თიმბზრ||თინბზრ

||თიმბზრა=თინ=

ბზრა←თინ=ბზრა

1. - ილ ელემენტური ვარიანტი უფრო ძველია. რუთულურსა
და ზოგ სხვა კილოში დაცულ ვარიანტებში $\text{ჰა} = \text{ჰ}$ ამ
თვლ დებრმ. = სუფიქსის ანარეკლი უნდა იყოს: წია =
=აჰ (ნათ.) ← წია = აჰილ = დგ (ნათ.), წია = აჰი = წია =
აჰილ = ს (მიც.)... ხოლო მედიალური $\text{ჰა} = \text{ჰ}$ შეიძლება
იყოს პალატალიზაციის შედეგად მიღებული $\text{ჰ} - \text{ს}$ რეფ-
ლექსი. პირებრუნებითაც შეიძლება ვიმსჯელოთ: ჰ შე-
იძლება სულაც $\text{ჰ} = \text{ჰ}$ გაფშვინვიერების შედეგი იყოს,
ხოლო თავად ეს რადაც ფორმანტის ნაშთი. რადგანაც ეს
ფუძეთა აგებულებას ეხება და ლექსიკური ძიების სა-
ქმება, ამასზე ამ აღარ შევიჩინებთ. ამის შესახებ -
ცალკე.

2. ჰამგრა ← ჰამ = გრა = ჰამ = ბგრა (?) ჰამგდ ← ჰამ = გდ
← ჰამ = გდ = დგ?, ჰამგს ← ჰამ = გს ← ჰამ = გს (?) (შდრ. | აქვე
ქვემოთ დასახელებული თინბზრ → თიმბზრ, თიმბგრა
და მისთ. ფუძე-ფორმათა ფონეტიკური ვარიანტები).
შდრ. აგრეთვე იხრ. = მუხრეკ. ჰან (იხ. აქვე ქვემ.).

ნათ.თიმბიშედ←თინ=ბი=შიდგ თიმმედ←თინაბუად
 მიც.თიმბიშის←თინ=ბი=ში=ს თიმმეს←თინ=ბუს

შინაზური

სახ.ჰაბბერ||→ჰაბბურ (მხ.ჰად) ჰააბგურ||ჰაბბურ
 ერგ.ჰაბიშე||←ჰაბიშე←*ჰა=ბი=ში=ა ჰაამგურა||ჰაამგურ
 ნათ.ჰაბიშედ←ჰა=ბი=ში=დგ ჰაამგედ←ჰაამგედგ
 მიც.ჰაბიშის←ჰა=ბი=ში=ს ჰაამგეს

იხრეკულ-მუხრეკული

სახ.თიმბერ||ჰაბბურ (მხ.თინ,ჰან)^I ჰაბბურ
 ერგ.თიმბიშე←*თინ=ბი=ში=ა ჰაბიშე
 ნათ.თიმბიშედ←*თინ=ბი=ში=დგ ჰაბიშედგ
 მიც.თიმბიშის←თინ=ბი=ში=ს ჰაბიშის

ბორჩული

სახ.ჰავავაბბერ (მხ.ჰავადი) ჰავებერ||ჰაუბურ
 ერგ.ჰავამერა ჰავებერა||ჰაუმერა
 ნათ.ჰავამედ ჰავემდე||ჰაუმედ
 მიც.ჰავამეს ჰავემეს ||ჰაუმეს

...თიმბერ←თინბერ (მხ.თინ) და ნაცვალსახელური წარმომავლობის ჰა=, ჰე= თავსართოვანი ნაწილაკით გართულებული ჰეთიმბერ←ჰეთინბერ→ჰეთიმბურ („აი ისინი“) ნაცვალსახელები,რაც ზოგი გამონაკლისის გარდა, მოწმდება თითქმის ყველა კილოში და იბრუნება ასე: 1) I და II კლ.: ჰეთინბერ→ჰეთიმბერ (სახ.), ჰეთინბიშე (ერგ.), ჰეთიმბიშე||←ჰეთინბიშედგ (ნათ.), ჰეთინბიშის (მიც.); 2) III და IV კლ.: ჰეთინბრა(ერგ.), ჰეთინმედ (ნათ.), ჰეთინმეს (მიც.).ამ ფუძე-ფორმებს ბორჩულაზინაკურ კილოში შეესაბამება რიმბერ←რინბერ (სახ.), რიშერა←რიმმერა←რინმერა (ერგ.); რიმმედ←რინმედ (ნათ.); რიმმეს←რინმეს (მიც.).

I ჰამბერ ფორმა „თიმბერ“ის სინონიმად იხმარება და იბრუნვის ამ ნაცვალსახელთა შინაზური ვარიანტის ცვალბაზე (იხ.ზემ.)

ასევე იბრუნვის ჰემიბზრ „აი ესენი“ (მხ.ჰემი-
მი, ჰემიდ) ნაცვალსახელი: ჰემი=ბზრ (სახ.), ჰემი-
ბიზნ, (ერგ.), ჰემიბიზტ←ჰემი=ბი=შდღ (ნათ.), ჰემი-
მი=ბი=შის (მიც.). ამ ნაცვალსახელთა „ჰემ“-ს ჩამო-
ცილების შედეგად დარჩენილი „მარტივი“ ვარიანტიც
ცოცხალია ამჟამინდელ მუხადურში, ოღონდ იხმარება კა-
ტეგორიულობის, დაბეჭდვითი მიითების გარეშე.

აღნიშნულ ფუძე-ფორმათაგან რუთულური და შინაზური
ვარიანტები აღნიშნული აქვს ა. დირსაც, რომელსაც ბრუნე-
ბის პარადიგმები და ზოგი განმარტება მოცემული აქვს
სწორედ (1911, გვ. 38-41):

პარადიგმებად წარმოდგენილი ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ: I. ა) მითითებითი ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში იბრუნვიან არსებით სახელებში დამოწმებული ტიპების მიხედვით: რთული მაწარმოებლით (I ტიპი) და მარტივი მაწარმოებლით (II ტიპი). მაშასადამე, ამ ორი სახეობის მაწარმოებლის ერთნაირი გამოყენებით იქმნება მრავლობითში დასმულ სახელთა ბრუნების საერთო ტიპი. ამასთან: ბ) დასახელებული ნაცვალსახელების ბრუნვათა წარმოების მოდელიც მთლიანად ემთხვევა არსებითი სახელის ზემოთ ნაჩვენებ მოდელს: საწარმოებელი ფუძე+მრ. რიცხვის სუფიქსი+იგივე მართულებელი ელემენტი, რაც არსებით სახელებშია (ან უამისოდ)+ ბრუნვის ნიშანი; მაგალ., ჰა=ბი=შა←*ჰა=ბი=ში=ა, ჰა=ბი=შ=დღ←ჰა=ბი=ში=დღ... (იხ. ზემ.). 2. ბრუნების ორი ტიპის — რთულმაწარმოებლიანისა და მარტივმაწარმოებლიანის — გამოყენება ხდება აღნიშნულ ნაცვალსახელთა ფუძე-ფორმების კლას-კატეგორიათა მიხედვით გასარჩევად: პირველი (რთულმაწარმოებლიანი) ტიპი გამოიყენება პირველი და მეორე კლასის გამოსახატავად, ხოლო მეორე (მარტივმაწარმოებლიანი) — მესამე და მეოთხე გრ. კლასისა (იხ. პარადიგმები). გამონაკლისია ბორჩული კილო, სადაც გრ. კლასთა გარჩევა ამ ნი-

შნების მიხედვით არ ხდება (იხ. ზემ. ნიმუშები); ამ კილოში ყველა ამ კლასისათვის იხმარება ბრუნების მარტივმაწარმოებლიანი ტიპი; სხვანაირად რომ ეთქვათ, აქ მოწმდება მხოლოდ ბრუნვათა ორგანული წარმოება; ოღონდ აღსანიშნავია ამ კილოს (ბორჩულის) ერთი თავისებურება: ამ კილოში ერთი და იმავე ფუძე-ფორმის სრულ ასონანსიანი ვარიანტი გამოიყენება ადამიანის (I და მე-2) კლასის გამოსახატავად, ხოლო ამისი შეკუმშული ვარიანტი - ნივთის (მე-3 და მე-4) კლასისად: შდრ., მაგალ., ჰავამჯრ←ჰაჟამჯრა (ერგ.-I-2. კლ.) - ჰავამჯრა←ჰაჟამჯრა (ერგ. -3-4. კლ.) და ა.შ. (იხ. ზემ. პარადიგმები). როგორცა ჰგავს, ამ შემთხვევაში ხდება ფონეტიკური პროცესის გრამატიზაცია; თუ ეს საერთოდ მოჩვენებითი არ არის და გრ. კლასების გარჩევა აქ არ ხდება - ვ←ჟ ელემენტით, რომელიც გამოიყოფა ამ ნაცვალსახელის საყრდენი ფუძის სუფიქსად: ჰა=ვ←ჰა=ჟ. ეს (ვ←ჟ) სუფიქსი პირველ შემთხვევაში (ადამ. კლ.) ლოგიკურად, კანონზომიერად ზის, ხოლო მეო. ე შემთხვევაში (ნივთ. კლ.) ამგვარივე მაწარმოებლის არსებობა რამდენადმე უცნაური ჩანს; თუმცა ნივთის კლასის აღმნიშვნელ ნაცვალსახელში შესაძლოა ვ←ჟ ელემენტი ან პირველს რეინტერპრეტაციით იყოს ხმარებული, ანდა იგი იყოს სულ სხვა წარმოშობის (ბ-დან მომდინარე) სუფიქსი.¹ ვ. ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმები გვიჩვენებენ, რომ მრავლობითი რიცხვის მითითებით ნაცვალსახელთა ბრუნების ხასიათის მიხედვით კილოები შეიძლება დავყოთ ასეთ ჯგუფებად: ერთ ჯგუფში თავს იყრიან კილოები (რუთულური, შინაზური), რომელთაც მოეპოვებათ ზემოთ უწყებული ორივე ტიპის (რთულმაწარმოებ-

1. იხ. აგრეთვე: გრამატიკული კლასები. ნაცვალსახელთა ფუძის აგებულების საკითხები.

ლიანი და მარტივმაწარმოებლიანი) ბრუნება; მეორე ჯგუფს ქმნიან ის კილოები, რომელთაც აბადიათ მხოლოდ რთულმაწარმოებლიანი ტიპი (ამ ჯგუფს ეკუთვნის იხრე-კულ-მუხრეკული) და ბოლოს, კილოთა ის ჯგუფი, რომელშიაც მოწმდება მარტივმაწარმოებლიანი ტიპი (ბორჩული კილო ხინატი-შინური კილოკაცებით). ამ ჯგუფის კილო-კილოკაცებში ბრუნვათა რთულმაწარმოებლიანი სახეობაც იხმარება, ოღონდ - იშვიათად.



მუხადურის შედარება წახურთან გვიჩვენებს, რომ მრავლობით რიცხვში დასმული სახელები ერთგანაც და მეორეგანაც ერთნაირად; ერთი და იმავე პრინციპითა თუ ხერხებით, ფუძე-ფორმათა ერთნაირი მოდებებითა და თითქმის ერთნაირი მაწარმოებლებით იბრუნვიან. სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ წახურში გაბატონებულია ოდენ რთულმორფემიანი წარმოება, ე.ი. აქ უცვლელად რჩება ბრუნების ასეთი მექანიზმი: საყრდენი ფუძე+მრავლ. რიცხვის აფიქსი + ნაცვალსახელური წარმოშობის (შ, ში) ელემენტი. + ბრუნვის ნიშანი; თანაც უცვლელია იგი ყველა ჯგუფის სახელთა მრავლობით რიცხვში - მაშინ, როდესაც მუხადურმა ამის გვერდით (კილოთა უმრავლესობაში) მარტივმორფემიანი წარმოებაც იცის (იხ. ზემ.).

თანდებულიანი ბრუნვები მუხადურში

წახურის მსგავსად მუხადურშიც მეორეული ანუ თანდებულიანი ბრუნვები ორ ჯგუფად იყოფა - ცალთანდებულიან და ორთანდებულიან ბრუნვებად. ერთიცა და მეორეც ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამასთან: ერთი წყების თანდებულიანი ბრუნვები ოდენ ლოკატივებია, მეორე წყებისანი კი აღნიშნავენ მოქმედების იარაღს, მიზეზ-მიზანს, შეფარდება-შედარებასა და სხვ.

მუხადურ თანდებულიან ბრუნვათა წარმოების წესი

ასეთია: საყრდენი ფუძე-რომელიმე „ირიბი“ ბრუნვის ნი-
შანი + მასთან შერწყმული თანდებული. თანდებულად აღ-
ქმული ბოლოკიდური ელემენტები ბგერითი შედგენილობი-
სა და ფუნქციის (სემანტიკის) მიხედვით გამოძახილს
პოულობენ ადვერბიალური მნიშვნელობის ზოგ სიტყვაში,
ზმნაში გამოყენებული ლოკატიური მნიშვნელობის თავ-
სართოვან ელემენტებში, ზოგ მითითებით ნაცვალსახელში;
შესაბამისი ფუძე-ფორმები მოეპოვებათ თვისტომ ენებ-
საც.

მუხადური (რუთულური) თანდებულიანი ბრუნების
შესახებ ცნობებს იძლევა ა. დირიც (1911, გვ. 10-19...),
რომელიც ჩამოთვლის ცხრამეტი სახის ასეთ ბრუნვასა
და განმარტავს მათ მნიშვნელობას; ამ ცნობების საი-
ლუსტრაციოდ დართული აქვს ფრაზეოლოგიური ნიმუშებიც.
ა. დირი ყველა ამ ბრუნვას ერთ პარადიგმაში აქცევს
და არაფერს ამბობს მათი წარმოების პრინციპისა და
შაწარმოებელთა მორფოლოგიური ხასიათის შესახებ; თა-
ნაც ზოგჯერ სწორედ არ განსაზღვრავს ზოგი ამ ბრუნვის
უორმას; მის მიერ დასახელებული ზოგი სხვა ფორმა კი
ააერთოდ არ მოწმდება მუხადურში.

მუხადური თანდებულიანი ბრუნვები და მათი მაწარ-
მოებლები (განმარტება და საილუსტრაციო ნიმუშებით):

I. ცალთანდებულიანები (რვა ფორმაა ასეთი) ადგილ-
პყოფობითი - (სად? რაში? სადმე-რამეში): $\underline{=}$, $\underline{=}$, $\underline{=}$;

მაგალ.: ნინი, ნინ $\underline{=}$ (ნინ „დედა“), დიდი, დიდ $\underline{=}$
(დიდ „მამა“), ზირი, ზირ $\underline{=}$ (ზირ „ფური“),
დამ $\underline{=}$ (დამ „ტყე“), ხუქა (ხუქ „ხე“)...

ადგილ-მიმართულებითი (ქვემოდან ზევით, ქვეშ მყოფისა
ზემოთკენ მოძრაობით) $\underline{=}$, $\underline{=}$, $\underline{=}$;

მაგალ.: ნინ $\underline{=}$, ნინ $\underline{=}$, დიდ $\underline{=}$, დიდ $\underline{=}$, ზირ $\underline{=}$,
ზირ $\underline{=}$, დამ $\underline{=}$, ხუქ $\underline{=}$...

ადესივ-ინესივ-სუბესივი (საშინაო: ვინმეში, რამეში;

შიგ-ქვეშ): $\underline{=}$, $\underline{=}$, $\underline{=}$.

მაგალ.: ნინიქ, დიდიქ, ზირიქ, დამექ, ხუქაქ...
კომიტატივ-ადესივი (ვისთან, რასთან არის, იმყოფება,
ინახება): =ღა;

მაგალ.: ნინღა; დიღა←დიდღა, ზირღა, დამღა,
ხუქაღა...

მიმართ.=დაშორებით=დაწყებითი (საიღან? რა აღვილიღან?):
=ღა;

მაგალ.: ნინღა, დიღა, ზირღა, დამღა, ხუქაღა...
კომიტატივ-მოქმედებითი (ვისთან, რასთან? ვისით? რით?):
=ღაქან←ღაქან, =ღაქან||=ღაქან;

მაგალ.: ნინჯან (ნინჯან~ქან|| ნინ ჯქან), ზირჯან
(ზირჯან~ქან, ზირჯქან, დამჯან (დამ-
ჯან~ქან), ხუქან (ხუქანქან...))...

აბლატ.=მოქმ.=უფრ.=მიზეზობითი (ვისგან? რისგან?
ვისგან უფრო, რისგან უფრო? ვის, რის გა-
მო, გამოისობით?): =ღა, =აღა;

მაგალ.: ნინღა, დიდღა, ზირღა, დამღა, ხუ-
ქაღა...

ადგილ.-მიკუთვნებითი (ლოკატივ-კაუზატივი: სად და
რისთვის, ვისთვის? სად, სადმე რას ან
ვის მიაკუთვნებენ? სად და ვისთვის, ვის
გულისთვის?): =ღა=ღა←ღაღა, =ინღა←
ინღა, =ასღა←ასღა;

მაგალ.: ნინღა, დიდღა, ზირიღა, დამღა,
ხუქაღა...

2) ორთანდებულიანები (ხუთია ასეთი):

კომიტატივ-პოსესივი (თანაობით-კუთვნილებითი: ვის-
თან არის და ვის ეკუთვნის? ვისი ვის
აბარია?..): =აბღა→აბღა, =ჯაღა;

მაგალ.: ნინჯაღა, დიდჯაღა, ზირიჯაღა, დამჯაღა,
ხუქაჯაღა...|| ნინჯაღა და ა.შ.

კომიტატივ-სუბესივი (თანაობით-საქვეშაო: ვისთან,
რასთან და ქვეშ არის, იმყოფება, ინახე-

ბა?...): =იჰ= =და, =ეჰ=დას, =ჰჰ=და;

მაგალ.: ნინიჰდა, დიდიჰდა, ზირიჰდა, დამეჰდა, ხუ-
ქაჰდა...

სუბესივ-გამოსვლითი-დაშორებითი (რის ან ვის ქვე-
მოღან სხვა მიმართულებით? რის, ვის ქვეშ,
ქვემოთ მოქცეულისაგან იქით, აქეთ?):

=იქ=ლა, =გქ=ლა;

მაგალ.: ნინიქლა, დიდიქლა, ზირიქლა, დამექლა,
ხუქაქლა...

სუპერესივ-მომსგავსებით-მიბაძვითი (ვის, რის. (ვის-
ზე, რაზე) მსგავსად? ვის, რას, - ვისზე
რაზე - ჰგავს? ვისავეთ, რასავეთ? როგორც
ვინ, რა?): აქ=ალ (აქა=ლ?);

მაგალ.: ნინაქალ, დიდაქალ, ზირაქალ, დამჯრაქალ,
ხუქარაქალ...

მიმართ.-შედარვბ. (ვისკენ ან რისკენ უფრო? რაზე ან
ვისზე უფრო?): =აჰკა, =რჰკა, =გჰკა;

მაგალ.: ნინაჰკა, დიდაჰკა, ზირიჰკა (← ზარჰკა),
დამჯჰკა, ხუქაჰკა...

სხვა ჯგუფის სახელებსაც (ნაცვალსახელებსა და სხვ.)
ცალთანდებულიანი და ორთანდებულიანი ბრუნვები ისევე
ეწარმოებათ, როგორც არსებით სახელებს; შდრ., მაგა-
ლითად: ზგ(მე) - I ზა (ადგილმყოფ.), ზნ (ადგილ-
მიმართ.), ზა-ქ (ადეს.-ინეს.-სუბ.), ზადა (კომიტ.-
ადეს.), ზადან (მიმართ.დაშორ.), ზალა (აბლატ.),
ზასტჲ (ადგილ.-მიკუთენ.), ზახუნ, ზაქტან (კომიტ.-
მოქმ.); 2) ზახდა → ზახ=ტა (თანაობ.-კუთენ.), ზაჰდა
(თანაობ.-საქვეშ.), ზაქლა (სუბეს.-გამოსვლ.-დაშორ.),
ზაქალ (სუპერ.-მომსგ.-მიბაძვ.), ზაჰა (მიმართ.-
შედარ.)...

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი. თანდებულიანი ბრუნვათა
წარმოებასთან დაკავშირებით: I. ზოგჯერ დასახელებულია
ორგარიანტიანი ნიმუში; აქედან პირველი გაგრძელებული

ვარიანტია, აოლო მეორე სპორადულად იხმარება. ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილი ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ ა) მუხადურს ემჩნევა დასახელებულ ფუძე-ფორმათა ფონეტიკურ-მორფოლოგიური გამარტივების ტენდენცია; ბ) აღნიშნულ ფორმებში ხდება არსებითი ხასიათის ფონეტიკური ცვლილებები - ისე, რომ საწარმოებელ ფუძესაც და მაწარმოებელსაც შეცვლილი აქვს თავდაპირველი სახე. მიუხედავად ამისა, გ) ძირითად („ირიბ“) ბრუნვათა მსგავსად აქაც საყრდენი ფუძის თავდაპირველი ხასიათი უფრო კარგად ჩანს, ვიდრე სახელობითში (წრფელობითში); შდრ. - თუნდაც, ა) ღუხ←ღუხარ (ვაუი) - თანდ. ბრ.: ღუხ=არ=ჯქ, ღუხ=არ=ჯ; ღუხ=არ=ჯხადა, ღუხარ=ჯჰან, ღუხარ=ჯქლა და ა.შ. ბ) ღუაბ←ღუაბერ (ფესვი) - თანდ. ბრ.: ღუაბ=ჯრ=ჯქ, ღუაბ=ჯრ=ა, ღუაბ=ჯრ=ჯხადა, ღუაბ=ჯრ=ჯჰან, ღუაბ=ჯრ=ჯქლა და სხვ. 2. პარადიგმები გვიჩვენებენ, რომ თანდებულები დაერთვიან რომელიმე „ირიბი“ ბრუნვის ფორმას; შდრ., მაგალ., ნინ=ჯს=ტჯ←ნინ=ჯს=დჯ, მიც. ნინ=ჯს... 2) ესა თუ ის თანდებულებიანი ბრუნვის ფორმა ეფინება თანდებულებიანი ბრუნვის სხვა ფორმას; შდრ., მაგალ., ნინი=ქ, ნინჯულა და ნინი=ქლა||ნინჯულა (იხ. ზემ.). მაშასადამე, ბრუნების ასეთი სახეობა იძლევა საფუძველს, ცალკე თანდებულებიანის გვერდით გამოვყოთ ორთა თანდებულებიანი ბრუნვები (იხ. პარადიგმები).

თანდებულებიანი ბრუნვათა წარმოება მრავლობით რიცხვში

მრავლობით რიცხვში თანდებულები დაერთვის როგორც რთულ მაწარმოებლიან (ანალიტიკური წარმოების), ისე მარტივმაწარმოებლიან (ორგანული წარმოების) ძირითად ბრუნვათა ფორმებს. ამასთან ყველა ის ფონეტიკურ-მორფოლოგიური პროცესი, რაც ძირითად ბრუნვებში ხდება, მეორდება აქაც.

კილოებში ამ ხაზით არსებითი ხასიათის სხვაობა არ არის. თავისებურება უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისაა.

ნიმუშები:

ა) ნინაბარ „დედები“ (მხ.ნინ)

ცალთანდებულიანები

I) ადგილ.-მყოფ. ნინაბაშე

ადგილ.-მიმართ. ნინაბაშე

ადეს.-ინეს.-სუბეს. ნინაბაშიქ

კომიტ.-ადეს. ნინაბაშდა

მიმართ.-დაშორ.დაწყ. ნინაბაშდნ

კომიტ.-მოქმ. ნინაბაშიქან||←ნინაბაში=ხ~ქან

ადგილ-მიკუთვნ. ნინაბაშისტჯ||←ნინაბაშისტჯ

ორთანდებულიანები

კომიტ.-პოსეს. ნინაბაში=ხ=და

კომიტ.-სუბეს. ნინაბაში=ჰ=და

სუბეს.-გამოსვ.-დაშორ. ნინაბაში=ქ=ლა

სუბერ.-მიმსგ.-მიბაძვ. ნინაბაშე=ქ=ალ

მიმართ.-შედარ. ნინაბაშე=ქა¹

თანდებულიან ბრუნვათა წარმოების ზოგი

თავისებურება კილოებში

ზემოთ წარმოდგენილი ცნობები ძირითადად აულ რუთულის მეტყველების² მონაცემებს ეყრდნობა. თანდებულიან ბრუნვათა წარმოების მხრივ კილოებში (განსაკუთრებით არსებით სახელებში) დიდი სხვაობა არ არის; თავისებურება უპირატესად ფონეტიკური ხასიათისაა. მაშასადამე, თანდებულიან ბრუნვათა პარადიგმები, რაც ზემოთაა წარმოდგენილი, ასახავენ მუხადურის

I ასევე იბრუნვის დიდაბარ „მამები“ (მხ.დიდ).

2. და კილო კილოკავურად მასთან ახლოს მდგომ აულთა - ამსარის, გუფას, ლუჩქისა და სხვ. მეტყველების ...

საერთო მდგომარეობას. ამასთან: ა) ყურადღებას იპყრობს მხოლოდ თანაობით-მოქმედებითის (კომიტატივის) ფორმა კილოებში (შინაზურში, ბორჩულში, იხრეკულ-მუხრეკულში), სადაც რუთულურ კილოში მოდიფიცირებულ და გავრცელებულ ჭან=ს სცვლის არქაული ხ[~]ჩან მაწარმოებელი: ჭან←ხ[~]ჩან¹. ბ) საინტერესოა მიმსგავსებით-მიბაძვითი-სა-ზედაო ბრუნვის ბორჩული ფორმა, მაგალ., ყუნა=სქაქალ, ნინ=ჯსქაქალ და მისთ. რაც თავის მხრივ იმის დადასტურებაა, რომ ამ რიგის ბრუნვათა საყრდენია მიცემითის ფორმა: შდრ., მიც. ყუნა=ს, ნინ=ჯს... (სხვა კილოებში იხმარება ყუნა ქაქალ, ან სულაც ყუნარაქაქალ, ნინგ-ქაქალ... - იხ. ზემ.). გ) იხრეკულში (ზოგჯერ მუხრეკულშიც), ძირითად ბრუნვათა ფორმების მსგავსად, ნაცვალ-სახელთა თუ ზედსართავ სახელთა თანდებუდიან ბრუნვათა ფუძე-ფორმები გართულებულია გრ. კლასის ნიშნით. მაგალ.: ა) ბატრად („ლამაზი“) - თანდებ.: ბატრან=უქ (I კლ.), ბატრან=იქ (2.-4 კლ.), ბატრანა=უქალა (I კლ.), ბატრანა=ქალა||→ბატრანილა (2.4 კლ.); ბატრან=უქან (I კლ.), ბატრან=იქან (2.-4 კლ.); ბატრან=უქალა (I კლ.), ბატრან=იქალა (2.4 კლ.) და სხვ. ბ) თინ (ის) - თანდ. ბრუნვ.: თინ=უქ (I კლ.), თინ=იქ (2, 4 კლ.), თინ=უქალა||→თინქალა→თინულა (I კლ.), თინი=ქალა||→თინილა→თინილა (2-4 კლ.); თინ=უქალა||→თინქალა||→თინუქალ (I კლ.), თინი=ქალა||თინიქალა||→თინიქალ (2.4 კლ.) და სხვ.²

1. ხ[~]ჩან→ჭ პროცესის შესახებ განმარტებები მოცემულია მონოგრაფიის პირველ წიგნში („ფონეტიკა“); იხ. ლაბი-ალიზებული თანხმოვნები და მათი ცვლა წახურსა და მუხადურში.

2. ამ თავისებური (კლას-კატეგორიანი) წარმოების შესახებ იხ. ზემ. ნაცვალსახელთა ბრუნების ზოგი თავისებურებანი კილოებში. ზედსართავ სახელთა ბრუნების თავისებურებანი კილოებში. იხ. აგრეთვე გრამატიკული კლასები

მუხადურის წახურთან შედარება გვიჩვენებს, რომ თანდებულის ბრუნვათა წარმოების პრინციპი და ხერხები ორივეგან ერთნაირია; ერთნაირადვე გამოიყოფა აქ ცალდა ორ=თანდებულის ბრუნვები; ზოგჯერ ფარდია, ან ემთხვევა კიდევ ბრუნვათა ესა თუ ის მაწარმოებელი; ამასთან: არის შემთხვევები ამა თუ იმ თანდებულის ბრუნვის ფუნქციის რეინტერპრეტაციისა. ის ფონეტიკურ-მორფოლოგიური პროცესები, რაც მუხადურში ამ ბრუნვათა წარმოების დროს შეიმჩნევა, თიქმის მეორდება წახურში. შდრ., მაგალ. ზგ (მე) ნაცვალსახელის ბრუნვა:

წახური	მუხადური
აბლატ. ზა-ქა	ზალა
თანაობ. ზა=ქჟა	ზაქჟან ზახუნან → ზაჟან
ადგილ. = მყოფ. ზა ← ზაა	ზა ზა
სუბს. ზაქ...	ზაქ...

საინტერესოა, რომ კომიტატივის ქჟან ვარიანტი წახურისა შემონახული აქვს მუხადურსაც: არსებით სახელებში - სპორადულად და ნაცვალსახელებში - ფაკულტატურად (იხ. ზემ. ნიმუშები). საერთო მონაცემებში მუხადურთან შედარებით უფრო ძველ მდგომარეობას წახური გვიჩვენებს, ხოლო მუხადურში ასეთ შემთხვევებში არქაულობა ელინდება ახალის, მეორეულის გვერდით (სპორადულად); საყურადღებოა, რომ მეტწილად ასეთ მოვლენებს იგი ავლენს ნაცვალსახელებში, რიცხვით სახელებში და მისთ. უნდა შეინიშნოს ისიც, რომ, მაგალითად „ქჟან“ არქაულ ვარიანტს უპირატესად მოხუცების მეტყველებაში ვხვდებით.

ბრუნების ლექსიკურ-ანალიტიკური (ნაცვალსა-
ხელური) ტიპი მუხადურში

წახურისა და სხვა თვისტომი ენების მონაცემთა მიხედვით უკვე აღინიშნა, რომ მსაზღვრელი სახელები (თვისეუა-გვარობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, კუთვნილებითი და მითითებითი ნაცვალსახელები) არ იცვლიან ფორმას ბრუნებისა და რიცხვის მიხედვით. ზოგჯერ მორფოლოგიური ცვლილება ხდება მხოლოდ გრ. კლასების მიხედვით - იმის შესაბამისად, თუ რას საზღვრავენ ეს სახელები. მეტყველების ეს ნაწილები იბრუნვიან და რიცხვის მიხედვით ფორმას იცვლიან, თუ ცალკე დგანან და გაიგებიან სუბსტანტივად. „ირიგ“ ბრუნვებში და ზოგჯერ სახელობითში დასმულ ამ სახელთა გასუბსტანტივება ხდება სპეციალური ელემენტებით, რომლებიც წარმოშობით ბრუნვაცვალებადი ნაცვალსახელებია. ამგვარი პოსტ-დეტერმინანტები მრავალფეროვნებით ხასიათდებიან; დაერთვიან აგრეთვე მრავლობით რიცხვში დასმულ არსებით სახელებსაც. ეს პოსტ-დეტერმინანტები ქმნიან ბრუნების თავისებურ - აღწერით-ანალიტიკურ ტიპს. ეგრეთვე იბრუნვიან მუხადური მსაზღვრელი სახელებიც; აქაც გამჩიყოფა ნაცვალსახელური წარმოშობის პოსტ-დეტერმინანტები, რაც ატრიბუტულ სახელებს ბრუნების ერთ საერთო პარადიგმაში აქცევს.

1) ზედსართავ სახელთა ბრუნების პარადიგმები

I.-2 კლ. ^I

3.-4 კლ. ²

სახ. ირდგ, წითელი, „ქერა“ (ვინმე) ირდგ, წითელი (რამე)“

I როდესაც საზღვრული I ან II გრ. კლასის სახელია და დგას სახელობით ბრუნვაში.

2 როდესაც საზღვრული III ან IV კრ. კლასის სახელია და დგას სახელობით ბრუნვაში.

ერგ. ირღუაჩი
 ნათ. ირღუაჩიღ|←ირღუაჩიღღ
 მიც. ირღუაჩიღ←ირღუაჩიღის

ირღუაჩიღ
 ირღუაჩიღ←ირღუაჩიღღ
 ირღუაჩიღის

I კლ.

II კლ.

სახ. რულუდ „მრგვალი“
 ერგ. რულუდანიღ
 ნათ. რულუდანიღღ
 მიც. რულუდანიღის

რულუდ
 რულუდანიღ
 რულუდანიღღ
 რულუდანიღის

სახ. ჭუქუდ „მრუდე“
 ერგ. ჭუქუანიღ
 ნათ. ჭუქუანიღღ
 მიც. ჭუქუანიღის

ჭუქუდ
 ჭუქუანიღ
 ჭუქუანიღღ
 ჭუქუანიღის

3 კლ.

4 კლ.

სახ. რუცლუდ
 ერგ. რუცლუდ/დ/ღირწ
 ნათ. რუცლუდ/დ/ღიღღ
 მიც. რუცლუდ/დ/ღის

რულუდ
 რულუდღირწ
 რულუდღიღღ
 რულუდღის

სახ. ჭუცუქუდ
 ერგ. ჭუცუქუანიღ
 ნათ. ჭუცუქუანიღღ
 მიც. ჭუცუქუანიღის

ჭუქუდ
 ჭუქუდღირწ
 ჭუქუდღიღ
 ჭუქუდღის

ასევე იბრუნვის: ჭუბტუ (კარტი), ბუტრად (ლა-
 მაზი), კაყდუ (პატარა) და სხვ.

2. კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნების

პარადიგმები

ღიზღუ „ჩემი“

I.-2 კლ.

ერგ. ღიზღუანიღ
 ნათ. ღიზღუანიღღ|←ღიზღუანიღღ

3.-4. კლ.

ღიზღუღირწ
 ღიზღუღიღ|←ღიზღუღიღღ

მიც. მიზღუდნილი ← მიზღუდნილის მიზღუდლის

ასევე იბრუნვის: ვეღუ (შენი), მიხდუ (ჩენი),
ქუხდუ (თქვენი) და მისთ.

შენიშვნები და განმარტებები:

I. ზედსართავი სახელისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე-ფორმები სახელობითის მსგავსად ორ ჯგუფად იყოფა: ა) კლას-ნიშნიანი ფუძე-ფორმები და ბ) უკლასნიშნო ფუძე-ფორმები (ზედსართავ სახელებში). 2. ყველა ზედსართავი სახელი და კუთვნილებითი ნაცვალსახელი იბრუნვის მართულბელი ელემენტების დართვით. ეს ელემენტებოც თავის მხრივ ორი სახეობისაა: ა) ნი-გარიანტიანი და ბ) ნი-გარიანტიანი; ამათ მოსდევნ ბრუნვის ნიშნები; სახელდობრ ასე: ა) ნი ← ნი ← ნი (ერგ.), ნი ← ნი (ნათ.), ნი (მიც.); ბ) ნი ← ნი (ერგ.), ნი ← ნი (ნათ.), ნი (მიც.) ეს ორ-გარიანტიანი მაწარმოებლები ზედსართავ სახელებში იხმარებიან გრ. კლასების სადიფერენციაციო ნიშნად: ამათგან პირველი უთუოდ გამოიყენება ადამიანის კლასის აღმნიშვნელად, ხოლო მეორე - ნივთის კლასისა. 3. გასათვალისწინებელია ამ მაწარმოებლებში მომხდარი ზოგი ასეთი ფონეტიკური ცვლილება: ა) ერგ. ნი ← ნი ← ნი (ნი = რა?); ნათ. ნი ← ნი ← ნი ← ნი ← ნი (ნი = რა?); მიც. ნი ← ნი ← ნი (ნი = რა?);^I ბ) ერგ. ნი ← ნი (ნი = რა); ნათ. ნი ← ნი ← ნი, მიც. დის...

I. ნი ← ნი ← ნი და მისთ. რეკონსტრუქცია ხდება ნი ელემენტის ანალოგიით. შესაძლოა აქ სულაც ფონეტიკური ჩანართი იყოს - ეპენთეზური ელემენტი. ამის შესახებ ამჟამინდელი ვითარების მიხედვით ძნელია დაბეჭდვით მსჯელობა. სრულის უეჭველობით ეერც ის ითქმის, ფუძის ეს აღდგენილი ელემენტი ერგატორული ბრუნვის ნიშანია, თუ სხვა ფუნქციონალი-ელემენტი. ამას სჭირდება შემდგომი ძიება.

ამ რეკონსტრუქციების მიხედვით ნი და დი რაღაც ფუძეა, ერთვის ბრუნვის ესა თუ ის მაწარმოებელი, რომელსაც ფონეტიკური ცვლილებების შედეგად დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. 4. ზედსართავ სახელთა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნებაში საყურადღებო ისიც არის, რომ „ორიბ“ ბრუნვათა ზემოთ ჩამოთვლილ რთულ მაწარმოებლებს ყოველთვის წინ უძღვის ნათესაობითი ბრუნვის =დჟ||→დ ნიშანი (ასევე იწარმოება წახური ზედსართავიცა და კუთვნილებითი ნაცვალსახელიც).

ზედსართავ სახელსა და კუთვნილებით ნაცვალსახელში არსებული ეს მორფოლოგიური შებლანი მუხადურისა (და წახურისა) იმის მარცენებელია, რომ ლექსიკონ-ანალიტიკური წარმოება ეყრდნობა ორგანულს, ეს კი იმის დადასტურება უნდა იყოს, რომ ორგანული წარმოება წინ უსწრებს ანალიტიკურს.

ზედსართავ სახელთა ბრუნების ზოგი თავისებურება კილოებში

ის ცნობები, რაც ზედსართავ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით ზემოთ იყო მოწოდებული, შეეხებოდა აულ რუთულისა და კილო-კილოკავურად მასთან ახლოს. მდგომ სხვა აულთა მეტყველებას. სხვა კილოებში შეიმჩნევა საბრუნებელი ფუძისა და ამა თუ იმ მაწარმოებლის ზოგი თავისებურება (უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისა). ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ბატრად, ბატრად^I („ლამაზი“) ზედსართავი სახელი; შდრ. სახელდობრ:

ბორული	შინაზური
სახ. ბატრად	ბატრად ბატრად

I. რედუცირებული ვარიანტი ბატრად=ფუძისა. ამგვარი ასონანსიანი ფუძე დაცულია, მაგალითად, ალუღურში: ბატრად ხ[~]ირ „ლამაზი ქალი“ (მაგალითი ამოღებულია ა. დირის „ალუღური ენიდან“ - გვ. 17; 106).

ერგ. ბატრანაა	ბატრანაა
ნათ. ბატრააღჯ	ბატრაად
მიც. ბატრააღაანას	ბატრააღაანის

იხრეკული

სახ. ბატრაად	ბატრაად
ერგ. I	
ნათ. ბატრააანუდ	ბატრააანიდ
მიც. ბატრააანუს	ბატრააანის

ზორჩულისა და შინაზურის კილოური თავისებურება ამ ზედსართავი სახელის ბრუნვათა ფორმების გამარტივებაა: გამარტივებულია საწარმოებელი ფუძეცა და ბრუნვათა მაწარმოებლებიც. ამასთან: თვალსაჩინოა ადიექტივისა და არსებითი სახელის ბრუნვათა ფორმალური გატოლების ტენდენციაც. ამ კილოებში თითქოს იზღება ზღვარი არსებით სახელთა და ზედსართავ სახელთა ბრუნების ტიპებისა, - საბრუნებელ ფუძეს უშუალოდ ერთვის ბრუნვის ნიშანი: ბატრანაა, ბატრააღჯ, ბატრააან; ზოგჯერ კი იზღება ზღვარი მაადიექტივებელ აღჯ→ად მაწარმოებელსა და ფუძეზე დართული პოსტ-დეტირმინანტის გამარტივებულ სახეობას შორის: ბატრანაა←ბატრაანა(?)←ბატრანაანა←ბატრააანაა(?)². იხრეკულში კუ-

1. ერგატივის ფორმა მთხრობელებმა არ დამიმოწმეს: „არ ვიტყვით“, - საერთო წესის მიხედვით კი აქ უნდა ყოფილიყო ბატრაანურა (I კლ.), ბატრაანირა (2.-3 კლ.).
2. საინტერესოა, რომ აქ ერგატივის ფორმა ემთხვევა ადვერბიალურ ბატრანა ფორმას („ლამაზად“, „მშვენივრად“, „ჩინებულად“). ერგატივისა და ადვერბის ფორმათა დამთხვევის სხვა შემთხვევები არ იცის მუხბაღურმა (არც წახურმა). ზოგი ასეთი მოვლენა შეინიშნება უდიდრ ენაში, სადაც ერგატიული ბრუნვის ფორმანტიც წარმოიქმნება ადვერბიალურ-ადიექტივური მნიშვნელობის სიტყვა: შდრ., მაგალ., ადამარაენ „ადამიანმა“, ჰემენ „ჰუჰყმა“, ტამენ „გემომ“... მაგრამ: ჰემენ „ჰუჰყანი“, „ჰუჰყანად“, „ბინძურად“ (ჰემ „ჰუჰყი“) ტამენ „გემრიელი“, „გემოიანი“

რადღებას იპყრობს აგრეთვე ნათესაობითი და მიცემით ბრუნვათა მაწარმოებლების გარჩევა გრამ.კლასების მიხედვით (ამასთან გარჩევა ხდება ხმოვანთა შენაცვლებით); სახელლობრ, I კლ., ბატრა=ნუდ (ნათ.), ბატრა=ნუს(მიც.); მაგრამ II-IV კლ.: ბატრა=ნიდ (ნათ.), ბატრა=ნის (მიც.). ხმოვანთა ამგვარი ალტერნაციის ახსნა უნდა დაეყრდნოს ასეთ ვარაუდებს: აქ ან ფუძის შინაგანი ფლექსიის გამოვლინებაა (რაც საერთოდ მუხადურის თვისება არ არის), ანდა უნდა მომხდარიყო აფიქსისა და საწარმოებელი ფუძის ხმოვნის შერწყმა. ბოლო განმარტების საბარგუმენტაციოდ გამოდგება იხრეკულსავე კილოში გავრცელებული კლას-სუფიქსიანი ფორმები აბლატივის ინსტრუმენტალისისა: ბატრანა-ჟი-ლა (I კლ.) - ბატრანა-ჟი-ლა (2, 3 კლ.) „ლამაზისაგან“, „ლამაზით“. ამის მიხედვით ზემოთ უწყებული ბატრანუდ (ნათ.) და ბატრანუს (მიც.) ფორმათა ევოლუციის გზა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ა) ბატრან-ჟი-ლა ← ბატრან-ო-ჟი-ლა ← ბატრანა-ჟი-ლა ← ბატრანა-ჟი-ლაჟ, ბატრან-ჟი-ლა ← ბატრანო-ჟი-ლა ← ბატრანა-ჟი-ლა (I კლ.), ბ) ბატრა=ნიდ ← ბატრა=ნი-ლა ← ბატრა=ნი-ლაჟ ← ბატრა=ნი-ლაჟ ← ბატრა=ნი-ლაჟ; ბატრა=ნი-ლაჟ ← ბატრა=ნი-ლაჟ ← ბატრა=ნი-ლაჟ (2-3-4 კლ.).¹ ისე, რომ იხრეკული კილას რეალიების მიხედ-

„გემრიელად“, „გემოიანად“, „გემოით“ - შდრ., აგრეთვე იქნენ „ზამთარი“ (იქ „თოვლი“). . . უფიქროსი ხდება ამ ერგატრიული ბრუნვის მაწარმოებლის ერთგვარი რეინტერპრეტაცია: როგორც ჩანს, მას ეკისრება ჯერ მოქმედებითი ბრუნვის ფუნქცია (ასეთი პროცესი შეინიშნება ნივთის კლასის გამოშვარტვლ სახელებში), ხოლო ამ გზის გავლით იგი ზოგჯერ სადერივაციო ელემენტადაც გამოიყენება. მუხადურშიც (კილოებში) ასეთი მოვლენაა სავარაუდო.

1. ამის კვალბაზე ერგატრიული ბრუნვის ბატრა=ნურა ფორმაც ასე უნდა განიშარტოს: ბატრან-ჟი-რა ← ბატრა=ნი-ლაჟი-რა ← ბატრა=ნი-ლაჟი-რა. თუმცა, როგორც ზემოთაც ითქვა, ადგილზე მასალის ჩაწერის დროს ეს ფორმა ინფორმატორებში არ დაადანსტურეს: არ ვიტყვი (1?). ესეც ამ კილოს თავისებურებებს უნდა მიეთვალოს (თუ მართლა არ ამბობენ!).

„პატრანუდ-პატრანიდ“, „პატრანუს-პატრანის“ ფორ-
მებში უ-ი ხმოვანთა შენაცვლება შეიძლებოდა მომხდა-
რიყო კომბინაციური ბგერათცვლის შედეგად.

3. რიცხვით სახელთა ბრუნების პარადიგმები

სა,სად „ერთი“

I.-2 კლ.

ერგ. სჯ=ნიჲჲ

ნათ. სჯ=ნიჲდღ

მიც. სჯ=ნიჲის

3.-4 კლ.

სჯნ=ღირჲ

სჯნ=ღიდღ←სჯნ=ღიდღ

სჯნ=ღის

ყუეჲდ „ორი“

I-2 კლ.

სახ. ყუეჲჲ

ერგ. ყუეჲჲ=ნიჲჲ

ნათ. ყუეჲჲ=ნიჲდღ

მიც. ყუეჲჲ=ნიჲის

3-4 კლ.

ყუეჲბ (3კლ.), ყუე დ (4 კლ.)

ყუეჲნ=ღირა

ყუეჲნ=ღიდღ←ყუეჲნ=ღიდღ

ყუეჲნ=ღის

ბ~იბ „სამი“

I-2 კლ.

სახ. ბ~იბგრ||ბ~იბჲურ

ერგ. ბ~იბნიჲჲ

ნათ. ბ~იბ=ნიდღ

მიც. ბ~იბ=ნის

3-4 კლ.

ბ~იბ: ბ~იბგდ||→ბ~იბჲდ

ბ~იბ=ღირა

ბ~იბ=ღიდღ←ბ~იბ=ღიდღ

ბ~იბ=ღის

შენიშვნები და განმარტებები: რიცხვით სახელთა
საბრუნებლად გამოიყენება იგივე მართულბელი ელე-
მენტები,რაც ზედსართავი სახელისა და კუთვნილებითი
ნაცვალსახელის მიხედვით გამოიყო.ყველაფერი ის,რაც
ამ ელემენტთა შესახებ ითქვა ზემოთ,ვრცელდება რიცხ-
ვით სახელებზეც.ოღონდ აქ შეინიშნება ერთი ასეთი
თავისებურება: აღნიშნული პოსტ-პოზიციური ელემენტე-
ბის წინ ნივთის კლასის გამომხატველ საწარმოებელ ფუ-
ძეს თითქმის ყოველთვის ახლავს =ღ ელემენტი.ასეთი

ელემენტი არა ჩანს ადამიანის კლასის აღმნიშვნელ რიცხვით სახელში: შღრ., მაგალ. სჯ=ნიჰჷ, სჯ=ღირჷ (ერგ.)... საფიქრებელია, რომ ასეთი (=) ელემენტი პირველ ფორმაც იყო და გამარტივების შედეგად დაიკარგა: სჯ=ნიჰჷ←სჯ=ნიჰჷ. ამასთან: ეს =ნი ამ ნაცვალსახელში ღ დეტერმინანტი=სუფიქსის კორელაციური ელემენტი უნდა ყოფილიყო: სა/სად←სან. მაგრამ იმ ფონეტიკური კანონზომიერების მიხედვით, რაც მუხადურისთვისაა დამახასიათებელი, აქ =ნი არ უნდა ყოფილიყო (იგი ნიშანდობლივია წახურისათვის)¹. ეს იძლევა საბაბს, ვიფიქროთ: ხომ არ არის აქ ორი ენობრივი ან ორი დიალექტური ფენის დანალექები? ანდა: ხომ არ არის იგი (= სუფიქსი?) ლეზვიურ ენათა საერთო კუთვნილება?

რიცხვით სახელთა ბრუნების თავისებურებანი
კილოებში

რიცხვითი სახელი მუხადურის ყველა კილოში თითქმის ერთნაირად იბრუნვის, მაგრამ შეინიშნება ზოგი თავისებურებაც; შღრ., მაგალ., „ერთის“ (სა,სად) ფორმები:

	შინაზური	ბორჩული	იხრეკულ-მუხრეკული	
ერგ. სჯნა	სინარა	სანჷურა	სანიჰარჷ	
ნათ. სჯნად	სანად	სანჷულუ	სანიჰდუ	
მიც. სჯნას	სინას	სანუს	სანიჷს ²	

ამ რიცხვითი სახელის შინაზურ და ბორჩულ ფორმებს მარტივი სახე აქვთ: საწარმოებელ ფუძეს უშუალოდ ერთვის ბრუნვის ნიშანი; ზოგ შემთხვევაში ხდება

I. იხ. ევგ. ჯვირანნიშვილი, წახური და მუხადური ენები,

I-ფონეტიკა: ... ბგერათფარლობა.

2. ნიმუშად დასახელებული ამ რიცხვითი სახელის მსგავსად - ზოგჯერ „გამარტივებული“ სახით - იბრუნვიან სხვა რიცხვითი სახელებიც; შღრ., მაგალ., „ორის“ (სახ. ყჷეჷჷდ-ყუნა, ყჷეჷჷანა (ერგ.), ყუნად, ყჷეჷჷნად (ნათ.)

ფონეტიკური ცვლილება: სუნაა, სუნააღ, სუნააჰ
 (შინაზ.); სინაარა (სინაარა?), სუნააღ, სინა
 ააჰ (ბორჩ.) „სინარა“=სა და „სინას“-ში, ისევე რო-
 გორც „სუნადჰა და „სუნას“ ფორმებში თუ რა იწვევს
 სა,სად რიცხვით სახელის ო ხმოვნის ცვლას (სუნა=
 სინა) მთლად ნათელი არ არის.შესაძლოა,აქ მოქმედებს
 მახვილი: მახვილიანი მარცვლის მეზობლობაში უმახვილო
 ხმოვანი სუსტდება,ვიწროვდება: სუნადჰ+სანადღ, სინა-
 რა→სუნარაჰ+სანარაჰ: აქ სხვა კითხვაც ჩნდება.შინაზურ
 და ბორჩულ რიცხვით სახელებში დამოწმებული მარტივი
 (ორგანული) სახეობა ბრუნვათა ფორმებისა რა მიმართე-
 ბაშია ნაცვალსახელური პოსტ-დეტერმინანტით (ანალიტი-
 კურად) წარმოებულ (რთულ) სახეობასთან (სხვა კილოე-
 ბისთვის რომაა დამახასიათებელი)? - პასუხი ასეთია:
 თუ ვიგულისხმებთ,რომ ბრუნების ორგანული წარმოება სა-
 ერთოდ წინ უსწრებს ლექსიკურ-ანალიტიკურს,უნდა ვი-
 ლაპარაკოთ ამ მარტივი სახეობის ადრინდელობაზე,არქა-
 ულობაზე.ამასთან: თუ გავითვალისწინებთ ატრიბუტულ
 სახელთა ბრუნების ერთიან (ტრადიციულ) მოდელს,არსე-
 ბულს ლეზგიური ჯგუფის თითქმის ყველა ენაში,მათ შო-
 რის - მუხადურსა და წახურშიც, - მაშინ უნდა ვიფიქ-
 როთ შინაზურ და ბორჩულ დიალექტებში მომხდარ ატრი-
 ბუტიულ სახელთა ბრუნების საერთო წესიდან გადახვე-
 ვაზე.

უფრო საინტერესოდ გამოიყურება იხრეკულ-მუ-
 ხრეკული კილო,სადაც რიცხვითი სახელების ბრუნვათა
 ფორმებში მეორდება თითქოს ის სურათი,რაც ზემოთ ზედ-
 სართავი სახელის მიხედვით აღინიშნა: რიცხვითი სახე-
 ლის ბრუნების. პროცესშიც ვლინდება კლას-კატეგორიანი
 წარმოება: პირველი (მამაკაცის) კლასი აღინიშნება

 ყუნას,ყჩეუნას (მიც.); „სამის“ სახ. ხ~იბუღ -
 ხ~იბნა(ერგ.), ხ~იბნად(ნათ), ხ~იბნას (მიც.) და ა.შ.

=ქ სუფიქსით, დანარჩენი სამი კლასი კი =ქ სუფიქსით; სახელდობრ: ა) სანუურწ←სანა=ქრა (ერგ.), სანუქდე←სანა=ქდე (ნათ.), სანუს←სანა=ქუს (მიც.); ბ) სანი-რა←სანა=ქრა (ერგ.), სანიად←სანა=ქად (ნათ.), სანის←სანა=ქუს... მიცემითის ფორმაში ასიმილაციის შემდეგ ხდება დამსგავსებულ ბგერათა შერწყმა-კონტრაქცია: სანა=ქუს→სანუუს→სანუს (I კლ.); სანა=ქუს→სანიის←სანა=ქუს (2-4 კლ.). აღსანიშნავია ისიც, რომ შინაზურ და ბორჩულ კილოთა მსგავსად იხრეკულ-მუხრეკული რიცხვითი სახელიც გვიჩვენებს ბრუნების „მარტივ“ სახეობას. როგორც ჩანს, ბრუნვათა ფორმების გამარტივება მუხადურ კილოთა საერთო თვისებაა.

4. მითითებით ნაცვალსახელთა ბრუნების
პარადიგმები

მიდ||ვიმიდე „ის“

I-2 კლ.
ერგ. მიქნიად ||ვიმიქნიად
ნათ. მიქნიდე ||ვიმიქნიდე
მიც. მიქნის ||ვიმიქნის

3-4 კლ.
მიდირწ ||ვიმიდირწ
მიდედე ||ვიმიდედე
მიდისს ||ვიმიდისს

ჰადე „ის“

I-2 კლ.
ერგ. ჰაქნიად
ნათ. ჰაქნიდე
მიც. ჰაქნიის

3-4 კლ.
ჰადირწ
ჰადიდე ||ჰადიდე
ჰადისს

თიდე||ვეთიდე „ის“

ერგ. თიქნიად ||ვეთიქნიად
ნათ. თიქნიდე ||ვეთიქნიდე
მიც. თიქნიის ||ვეთიქნიის

თინდირწ ||ვეთინდირწ ||
ვეთინირწ
თინდედე ||ვეთინდედე
თინდისს ||ვეთინდისს

[იხმარება იშვიათად (ჩაწერილი გვაქვს თითო-ორჯად ნიმუში მოხუცებისაგან).

შენიშვნები და განმარტებები: მითითებით ნაცვა-
ლსახელთა ბრუნების პარადიგმები შედგენილია აულ რუ-
თულისა და კილო-კილოკავურად მასთან ახლოს მდგომ
სხვა აულთა მეტყველების მიხედვით.

აქაც ბრუნვის ფორმათა ის მოდელებია, რაც სხვა
მსაზღვრელი სახელების მიხედვით ზემოთ არის ნაჩვენ-
ები. ოღონდ აქ საინტერესო ის არის, რომ (ზოგი რიც-
ხვითი სახელის მსგავსად) ბრუნების დროს ამ მითითე-
ბითი ნაცვალსახელის საყრდენ ფუძეს ბოლოში =ნ დეტე-
რმინანტი=სუფიქსი ხან მოუდის და ხან არა: შდრ., მა-
გალ., თი=ღღირწ — თინიწ და ა.შ. (იხ. ზემ.). მეორე
შემთხვევაში, როგორც ჩანს, მოხდა გამარტივება: თი=
ნიღწ←თინ=ნიღა...

ზემოთ =სან რიცხვით სახელთან დაკავშირებით
ითქვა, რომ =ნ ელემენტი შესაძლოა იყოს ლეზგიური
ჯგუფის ენათა საერთო კუთვნილება, ანდა: მუხალურში
„ღ“=ს („სად“) გვერდით მისი (=ნ სუფიქსის) არსე-
ბობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ორი დიალექტუ-
რი წრის დანალექი. ეგვემე შეიძლება ითქვას თინ||თიდ
მითითებითი ნაცვალსახელის ფინალური თანხმოვნების
შესახებაც.

მითითებით ნაცვალსახელთა ბრუნების თავისე-
ბურება კილოებში

ეს თავისებურება პარადიგმებით ასე აისახება:

შინაზური

I-2 კლ.	3-4 კლ.
1) სახ. ჰად „ის“	ჰად
ერგ. ჰანა	ჰაჟღირწ
ნათ. ჰანაღჯ	ჰაჟღიდ
მიც. ჰანას	ჰაჟღის
2) სახ. ჰე=თინ „ის“, „სწორედ ის“	ჰე=თინ

ერგ. ჰეჰინა	ჰეჰინ დირზ
ნათ. ჰეჰინადგ	ჰეჰინ დიდ
მიც. ჰეჰინას	ჰეჰინ დის

3) საბ. ჰეჰიდ „სწორედ ეს“	ჰეჰიდ
ერგ. ჰეჰინა	ჰეჰინ დირზ
ნათ. ჰეჰინადგ	ჰეჰინ დიდ
მიც. ჰეჰინას	ჰეჰინ დის

ბორჩული

I-4 კლ.	I-4 კლ.
სახ. ჰავადი-ჰაჰადი „ის“	ჩინ
ერგ. ჰავანარა	ჩინარა
ნათ. ჰავანად	ჩინადგ
მიც. ჰავანას	ჩინას

იხრეკული

I-2 კლ.	3-4 კლ.
1) საბ. ჰად	ჰავად
ერგ. ჰანუჰრა ჰანუჰრა	ჰანიჰრზ ←ჰანირზ
ნათ. ჰანუჰდუ თინუდუ	ჰანიჰდგ ←ჰანიდგ
მიც. ჰანუს	ჰანის
2) საბ. თინდგ	თინდგ
ერგ. თინუჰრა	თინიჰრზ ←თინირზ
ნათ. თინუჰდუ	თინიჰდგ ←თინიდგ
მიც. თინუს	თინიჰის ←თინის

მუხრეკული

I-2 კლ.	3-4 კლ.
სახ. თინ	თინ
ერგ. თინუ	თინ დგრზ ←თინ დრა
ნათ. თინუდგ →თინუდუ	თინ დდგ

2) სახ.ჰანა

ერგ. ჰანოო||←ჰანოლტი||→ჰანოლ

ნათ. ჰანრდჯ||←ჰანოლდჯ||→ჰანულუ

მიც. ჰანულს

მითითებით ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებუ-
ლება მუხადურ კილოებში თვალსაჩინოა: ა)კერძოდ, შეიმრ-
ნევა ამ ნაცვალსახელთა ბრუნების „გაპარტივებული“
სახეობა, მისი ორგანულ წარმოებამდე „დაყვანა“(I):
ჰანა, ჰანად, ჰანას; ჰეთინა, ჰითინად, ჰეთინას; ჰემი-
ნა, ჰემინას (შინაზურში); ჩინარა, ჩინად, ჩინას (ბორ-
ჩულში), რაც თავისი ხასიათით უპირისპირდება ლექსი-
კურ-აღწერით წარმოებას (ამგვარ ფორმათა შესახებ ზოგი
შენიშვნა იხ. ზემ.).

ბ)იხრეკულში მოწმდება მითით.ნაცვალსახელთა კლას-
ნიშნიანი წარმოება: თინუ=ჟ=რა, თინუ=ჟ=დჯ, თინუს
(I და 2 კლ.). თინი=ჟ=რა, თინი=ჟ=დჯ, თინი=ჟ=ს (3 და
4 კლ.); რაც ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ გრ.კლას-
ები დაყოფილია აქ მხოლოდ ორ - ადამიანისა და ნივ-
თის - კლასად, ამათი ოთხ (ორ=ორ) კლასად ბიფურკაცი-
ის გარეშე.საგულისხმოა, რომ კაცის და ქალის კლასი
წარმოდგენილია ერთი საერთო =ჟ ნიშნით, ხოლო ნივთისა-
ჟ ნიშნით. გ)მუხრეკულში და იხრეკულში ყველა კლასი-
სათვის გამოყენებულია ფორმები: ჰანოო←ჰანოლტი→ჰა-
ნოლ (ერგ.), ჰანრდ←ჰანოლდჯ→ჰანულუ (ნათ.) და ჰა-
ნულს (მიც.).ამგვარი წარმოება არ გვხვდება მუხადურ-
რის სხვა კილოებში.ერგატის მანარმოებლად გამოი-
ყოფა =ჟ←ლტი→ლ, ხოლო ნათესაობითისა =რ=დ←ლ=დჯ→
ულუ და მიცემითისა უ=ს. ბოლო ორ ფორმას საკუთრივ
ბრუნვის ნიშნები რომ ჩამოვაცვილოთ, დარჩება =რ||=ლ=||
=ჟ=, =უ=. როგორც ითქვა, მუხადურმა ამგვარი ფორმან-
ტი არ იცის.აქ საჭირო იქნება წახური მონაცემების

I. მუხრეკული ვარიანტები იხრეკულშიც გამოიყენება
სპორადულად.

გახსენება: ზემოთ წახურ ატრიბუტოულ სახელთა, მათ შორის მითითებით ნაცვალსახელთა, ბრუნების შესახებ მოწოდებულ ცნობებში ნათქვამია, რომ ამ ჯგუფის სახელთა ბრუნებისათვის გამოიყენება ბრუნვაცვალეზადი ნაცვალსახელების მთელი სერია, მათ შორის =ლქ←წყუ(ერგ.) =ლუნ←წყუნ(ნათ.), =ლუს←წყუს(მიც.) — პირველი კლასისათვის; ლქ←წყ←წყია (ერგ.), ლინ←ყინ (ნათ.), =ლის←ყის (მიც.) — მეორე კლასისათვის. ¹ მუხრეკუღსა და იხრეკულ კილოში უნდა იყოს სწორედ ამისი ანარეკლები. ოღონდ იმ ვარაუდით, რომ აქ (ამ კილოებში) ა) პირველი კლასისათვის კონკრეტულად ვარიანტი ზოგადდება და, როგორც აღინიშნა, გამოიყენება ყველა კლასისათვის; თანაც: ამ მაწარმოებელში ხდება არსებითი ხასიათის ფონეტიკური ცვლილებები: ლქ→ლქულ; ჰანოლქ→ჰანოლქულ→ჰანოლ; ანდა იგი გავლენას ახდენს წინამავალ ხმოვანზე (ხდება ასიმილაცია), თვითონ კი სუსტდება და იკარგება (ლქ→ჟ→ნული); შდრ., მაგალ., ჰანა „ის - ჰანოლ←ჰანოლ←ჰანოლქ←ჰანა=ლქ←ჰანა=ლქე „მან“...

ამ ნაცვალსახელური წარმოშობის მაწარმოებლის არსებობა მუხადურ კილოებში კიდევ ერთი მოწმობაა ამ ენისა და წახურის ერთიანობისა.

ამგვარ ელემენტთა ანარეკლები უნდა ჰქონდეთ თვისტომ ენებსაც; შდრ., კერძოდ: ა) თაბასარანული ლქულ („ის“) ნაცვალსახელის ბრუნვითა ფორმები: ლქულ=ლქულ (ერგ.), ლქულან (ნათ.), ლქულან (მიც.); ² ბ) უდიური ენის ნიჯურ კილოში გავრცელებული ლქულ=სოლქულ←სოლქულ←სა=ლქულ←სა=ლქულ (სა=ლქულ?) „ერთი“ (გასუბსტ) —

I. საყრდენ ვარიანტში წ ასო-ნიშანი ფარინგალურ მკლერ ხშულს აღნიშნავს, ხოლო ლ (როგორც ეს მიანიშნებულობა) ამის ალტერნანტია.

2. ნიმუშები ამოღებულია ა. დირის „თაბასარანული ენი - დან“ (გვ. 33)...

„ჰარსა“ ნაცვალსახელის ბრუნებაში ყურადღებას იპყრობს საბრუნებელ ფუძესა და ბრუნვათა მაწარმოებლებს შორის ჩართული =ჰ= (1-2 კლ.) და =ჰნ= (3-4 კლ.) ელემენტები: შდრ. ჰარს=ჰ=ნიჰჰ, ჰარს=ჰნ=დირჰ და ა.შ. უეჭველია, რომ =ჰ= მიღებულია =ჰნ= მარცვლის გამართივების შედეგად. მაგრამ იმ მორფოლოგიური ინვენტარის მიხედვით, რაც მუხადურს აბადია, ასეთი ელემენტი ჩვეულებრივი, ნიშანდობლივი არ უნდა იყოს აქ: =ჰნ ფორმანტი მოეპოვება წახურს (გავრცელებულია ყველა კილოში): შდრ., თუნდაც, ჰარ=ჰნ „ყოველი“ - ჰარ=ჰნ=ჰრე (კილოებში: ჰარ=ჰნ=ლრე) „ყოველმა“ და ა.შ.; ჰიზ=ჰნ „ჩემი (რამე)“, ჰიზ=ჰნ=ჰრე „ჩემმა (მაგ., ცხენმა)“, ჰიზ=ჰნ=ჰრინ „ჩემმა (მაგ., ჯიშმა)“ და ა.შ. მუხადურის შესაძლებლობათა მიხედვით აქ უნდა ყოფილიყო =ჰ, ან სულაც ჰ → ღ გარიანტი. სხვადასხვა ფუძე-ფორმაში ფინალურ =ნ და =ღ ელემენტთა ურთიერთობის შესახებ განმარტებები მოცემულია ზემოთ: იხ. ნაცვალსახელთა აგებულება.¹

I. ზოგი დამატებითი ცნობა ამ ნაცვალსახელის აგებულებისა და მნიშვნელობის შესახებ: როგორც ზემოთ აღინიშნა, „ჰარსა“ ნაცვალსახელი რთული აგებულებისაა და იშლება ასე: ჰარ=ს; აქედან ბოლოკიდური =სა ნაწილი რიცხვითი სახელია - „ერთის“ აღმნიშვნელი; პირველი ნაწილი - „ჰარ“ ცალკეც იხმარება და „ყოველს“, „ყველას“ ნიშნავს. როგორცა ჩანს, -სა („ერთი“) სიტყვის დართვით ამ ნაცვალსახელს უძლიერდება მნიშვნელობა, ექმნება კატეგორიულობის ელემენტი (შდრ. ქართლ... რომელი ერთი ფუძეა, რომელი ერთი ჩამოვითვალ...). ეტყვიან ამ ამგვარივე ნაცვალსახელი მოეპოვება ზოგ სხვა (თვისტომ) ენასაც, სახელდობრ, უდიურს: ჰარ||ჰარსა (ატრიბუტ.) - ჰარ||ჰარსო||ჰარსათ (გასუბსტ.), აღურს: ჰარ, ჰარი (მაგალ., ჰარი მაღა „ყოველდღე“), ლეზგიურს: ჰარ, ჰარსა (სად), ჰარმა... ყველა ამ ენაში უწყობული ნაცვალსახელი ნასესხებია: შდრ. სპარს. ჰარ „ყოველი“, „თითოეული“ (მაგალ., ჰარ რუხ „ყოველი ღვე“, „ყოველდღე“), თურქ. - აზერბ. ჰარ||ჰარ ბირ, ჰანსუ „ყოველი“, „ყოველნაირი“, „ყველანაირი“... მუხადური (და წახური - იხ. ზემ., უდიური, აღურსი, ლეზგიური) ჰარსა (ეტიმ. „ყოველი“ + „ერთი“) თურქ. - აზერბ. „ჰარ ბირ“ - ის კალკია („ბირ“ იმართებურად „ერთს“ ნიშნავს და იგი იქვე კატეგორიულობას ანიჭებს წინამდებელ სიტყვას).

ზოგადი

წახური და მუხადური ზმნის ფინიტურ ფორმათა სისტემა ძირითადად გრამატიკულ კლასებსა და დრო-კილოს მორფოლოგიურ კატეგორიებს მოიცავს; აქ შეიძლება აგრეთვე ასპექტის კატეგორიის (ექსტემპორალური ფორმის) დამოწმება. წახურ და მუხადურ ზმნაში გამოიყოფა მოქმედების ადგილმდებარეობებისა და გამეორების, უკუმოქმედების, გამოხატველი თავკიდური ელემენტები („ბრეგებები“). ამ ენათათვის დამახასიათებელია აგრეთვე უარყოფისა და კიბვის გამოხატვა ზმნაში. როგორც წახურში, ისე მუხადურში ზმნათა გარჩევა ხდება გარდამავლობისა და გარდაუვალობის მიხედვით (გარჩევა ხერხდება ზმნის ფუძის შინაარსით); გვარის კატეგორია იწარმოება მხოლოდ ლექსიკურ-ანალიტიკურად.

მუხადურისაგან განსხვავებით წახურ ზმნაში მრავლობითი რიცხვი გამოიხატება სპეციალური აფიქსით. ამასთან: წახურში შეინიშნება პირის კატეგორიის ზოგი ჩანასახიც (იხ. ზემ.).

წახური და მუხადური ზმნა სტრუქტურულად

სტრუქტურის მიხედვით წახური და მუხადური ზმნა ორ ძირითად ჯგუფად იყოფა - „მარტივი“ აგებულებისა (ორგანული წარმოების) და რთული აგებულების (ლექსიკურ-ანალიტიკური წარმოების) ზმნებად. წახური და მუხადური ზმნის მორფემული შედგენილობა (უფრო სწორედ - ფუძეფორმები) ასეთია:

I) გრ. კლასის პრეფიქსი + საყრდენი ძირი (ერთი მარცვალი, ან ერთი თანხმოვანი) + დრო-კილოს მარჯვ-მომხდელი. შესაბამის სახელზმნურ ფორმებში კი - გრ. კლასის პრეფიქსი + საყრდენი ძირი + რომელიმე ამ

(სახელზმნური) ფორმის¹ მაწარმოებელი.

2)თავკიდური ხმოვანი, ან ხმოვანი + თანხმოვანი² + გრ. კლასის პრეფიქსი (ან უამისოდ) + საყრდენი ძირი + დრო=კილოს მაწარმოებელი; ანდა-სახელზმნურ ფორმებში: + (სახელზმნის) მაწარმოებელი.

3)თავკიდური თანხმოვანი ან ხმოვნით დამთავრებული („დახურული“)³ მარცვალი + გრ.კლასის პრეფიქსი (ან უამისოდ) + საყრდენი ძირი + დრო=კილოს მაწარმ.; ანდა-სახელზმნურ ფორმებში: + სახელზმნის მაწარმოებელი.

4)რაიმე ნაწილაკოვანი ელემენტი + გრ.კლასის პრეფიქსი (ან უამისოდ) + საყრდენი ძირი + დრო=კილოს მაწარმოებელი, (ანდა-სახელზმნურ ფორმებში: + სახელზმნის მაწარმოებელი.⁴

გრამატიკული კლასის აღნიშვნა ზმნაში (დამატებითი ცნობები)

კლას-კატეგორიის შესახებ ვრცელი ცნობები მოწოდებულია ზემოთ (იხ. „გრამატიკული კლასები“). აქ კი ზმნის ფუძეფორმათა სტრუქტურულ ანალიზთან დაკავშირებით (დამატების სახით) მოცემული იქნება ზოგი სხვა ცნობა; კერძოდ, წარმოდგენილი იქნება კლას=კატეგორიის პრეფიქსთა სქემები და ამასთან დაკავშირებით - განმარტება=შენიშვნები, რაც ზემოთ ამ კატეგორიაზე მსჯელობის დროს არ მოგვიცია შეჯამების სახით.

1. ინფინიტივ=მასდარის, მიმლეობის, აბსოლუტივებისა თუ გერუნდიუმების.

2. არა=ფუძე=ძირისეული ელემენტი, ამგვამად უფუნქციო.

3. არა=ფუძე=ძირისეული ელემენტი, ამგვამად უფუნქციო.

4. შდრ., ა. დ ი რ ი, 1911, გვ. 52-109; 1913, გვ. 58, 59... (სადაც საინტერესო და სწორ ცნობებთან ერთად მოცემულია ზოგჯერ უმართებულო განმარტებები, გამოთქმულია ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებები). შდრ. აგრეთვე ნ. ტ რ უ ზ ე ც კ ო ი, 1929; ბ. თ ა - ლ ი ბ ო ვ ი, 1967, გვ. 600-601.

ეს სქემებია:

I. წახურის მიხედვით

	Iკლ.	IIკლ.	IIIკლ.	IV კლ.
პირველი სქემა:	რ=	რ=	ბ(->მ)	დ=(->თ) ^I
მეორე სქემა:	(-)	ა-	შ(->ვ)	(-) ²
მესამე სქემა:	შ(ვ)	შ(->ვ)	(-)	(-)
მეოთხე სქემა:	ბ(->მ)	ბ(->მ)	დ(->თ)	დ(->თ)

2. მუხადურის მიხედვით

	Iკლ.	IIკლ.	IIIკლ.	IVკლ.
პირველი სქემა:	ა-	რ=	შ(ვ)	-
მეორე სქემა:	(-)	რ=	შ=(ვ)	-
მესამე სქემა:	ბ=(->ფ)	რ=	შ=(ვ)	- შ (ვ)
მეოთხე სქემა: (საერთო) ³ :		დ=(თ)		(-)

შენიშვნები, განმარტებები, დასკვნები: I. როგორც წახურ, ისე მუხადურ ზმნაში კლას=კატეგორიის მაწარმოებელი თითქმის ყოველთვის წინ უსწრებს საწარმოებელ ფუძეძირს და ყოველთვის მოსდევს ლოკატიური („პრევერბული“) თუ სხვა დანიშნულების თავსართოვან ელემენტს. ამასთან: ამ კატეგორიის წახური და მუხადური მაწარმოებლები თითქმის ემთხვევა ან ეფარდება ერთმანეთს.

-
1. თანხმოვნების სახით ნარჩენებ ექსპონენტებს მეტწილად წმოდანი ახლავს, რაც ქმნის იმის ეფექტს, რომ ეს მაწარმოებლები მარცვალს წარმოადგენენ. მაგრამ მაინც მთლად წათელი არ არის, ეს ხმოვანი ფუძეძირისაა, თუ ფორმანტისა, ამისი გამოკვლევა თვისტომენათა სათანადო მასალის ერთობლივად ძიების საქმეა; ეს კი მომავლის ამოცანაა.
 2. ნაზი(-)ნიშნავს ნულფორმას, ფორმანტის უქონლობას ამჟამად.
 3. მეოთხე (საერთო) სქემის მიხედვით აღნიშნული კლას=კატეგორიის ეს ექსპონენტი აერთიანებს ოთხივე კლასს და გამოხატავს მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობას. სხვა შენიშვნები იხ. ზემ. ივ. გრამ. კლასები.

2. ზმნაში გრ. კლასის აღნიშვნის დროს ხდება არსებითი ხასიათის ფონეტიკური ცვლილებები. ¹სახელდობრ, გრ. კლასის ნიშანი ნაწილობრივ ან სრულად იმსგავსებს მეზობელ ხმოვანს, შემდეგ შეერწყმის მას; ამის შედეგად წარმოიქმნება დიფთონგი ან გრძელი ხმოვანი. ფონეტიკური ევოლუციის ეს გზა პირვანდელ სახეს უკარგავს როგორც საწარმოებელ ფუძეფორმას, ისე თავად გრ. კლასის პრეფიქსს.

3. საგულისხმოა წახურის მიხედვით შედგენილ სქემებში (განსაკუთრებით კი მესამესა და მეოთხეში) ასახული ვითარება: ამ სქემების მიხედვით ადამიანის კლასი და ნივთის კლასი წარმოდგენილია, ერთი მხრივ, კაცისა და ქალის, ხოლო მეორე მხრივ, ცხოველისა და საგნის კლასებად დაყოფის გარეშე. ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ კაცის და ქალის, resp. ადამიანის კლასი ასახება ერთობლივ ჟი (გ) პრეფიქსით (იხ. მესამე სქემა), რაც თავის მხრივ უნდა გვიჩვენებდეს მეორე და განსაკუთრებით პირველ სქემაში ასახული ვითარების ანომალიურ (?) ხასიათს, მის შემთხვევეითობას.

4. ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით როგორც წახურ, ისე მუხადურ ზმნაში ადამიანის კლასის ორივე წარმომადგენელი - მამაკაცი და ქალი - მეტწილად ერთნაირად - ერთი და იმავე აფიქსითაა გამოხატული (იხ. ზემ. სქემები), თანაც ისე, რომ ამ კლასის, resp. ქვეკლასების ექსპონენტებად, გარდა ზემოთ აღნიშნული ჟი (გ) ელემენტისა, გამოყენებულია ნივთის კლასიდან გადმოღებული რ, ჟ, ბ პრეფიქსები. ამ ორი კლასის ერთნაირი მაწარმოებლით გამოხატვა (თუნდაც ნივთის კლასის ნიშანთა რეინტერპრეტაციით) მაინც ადამიანის (მამაკაცის და ქალის) კლასის ოდინდელი ერთიანობის გამოძა-

I. ამას ზოგი მაგალითის ჩვენებით ა. დირიც აღნიშნავს (1913, გვ. 61...).

ხილი უნდა იყოს.

5. გრ. კლასთა ნიშნების ზემოთ წარმოდგენილ სქემებში ასახული სიჭრელე, კერძოდ, ადამიანის კლასისათვის გამოყენებულ ნიშანთა მთელი ციკლი გვიჩვენებს, რომ ამჟამინდელ წახურსა და მუხადურში ერთიმეორის გვერდით, ერთნაირი დანიშნულებით (ადამიანის კლასის ექსპონენტად) გამოიყენება მაწარმოებლები - ძველი ქ → ც = პრეფიქსის სახით და გვიანდელი ბ, რ, დ პრეფიქსთა სახით. ამასთან: ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ გრ. კლასთა გამოხატვის კანონიერი სახე დაცულია წახურ ზმნათა მრავლობითი რიცხვის ფორმაში, მუხადურში კი - სპორადულად მხოლოდით რიცხვში დასმულ ზოგ ზმნასა და სახელზმნაში (შდრ., მაგალ., ცაწად „მცოდნე“ და მისთ.). ამ ცნობებს ისიც უნდა დაემატოს, რომ გვიანდელ ხანაში ადამიანის კლასისათვის წახურსა და მუხადურში რეინტერპრეტაციით გამოყენებულ ნივთის კლასის ნიშანთა სიჭრელე (ბ, დ, რ) შეპირობებული უნდა იყოს ჯერ ნივთისა და შემდეგ ადამიანის კლასში რამდენიმე ქვეკლასის გაჩენით; ამას შეიძლება დაემატოს ადამიანის კლასში სრულასაკოვანობისა და მცირეწლოვანობის მიხედვით მომხდარი დიფერენციაცია - დაახლოებით ისე, როგორც, მაგალითად, ამჟამინდელ ხუნძურშია: აქ მამაკაცი, resp. I გრ. კლასი ც||ქ ნიშნითა და ქალის, resp. მე-2 გრ. კლასი ქ აფიქსით აღინიშნება, მაგრამ უასაკო, არასრულწლოვანი ადამიანები, ე. ი. სქესის განურჩევლად ბავშვები ნივთის კლასის ბ მაწარმოებლით აღინიშნებიან. ასევე უნდა მომხდარიყო წახურსა და მუხადურშიც. ამისი ანარეკლი უნდა იყოს სწორედ ერთისა და იმავე კლასისათვის ზემოთ ნაჩვენებ ნაირსახეობან ნიშანთა არსებობა. იბერიულ-კავკასიური წრის ენათა მონაცემების ერთმანეთთან შეჯერების გზით გა-

I. იხ. ზემ. გრამატიკული კლასები.

მოთქმულია მოსაზრება, რომ კერძოდ, აფხაზურ-ადიღურ ენებში, თაბასარანულში, წახურში, ქართველურ ენებში წარმოშობით ნივთთა კატეგორიის დ, რ, ჯ ნიშანი - გამოყენებული ადამიანის კლასისათვის - ერთ დროს უნდა ყოფილიყო ქალის კატეგორიის გამომხატველი.¹

ამასთან: ძირიანი უღვლილების თანდათანობით ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველზე კლასიანი უღვლილების თანდათანობით გამარტივების პროცესში ქალის კატეგორიის ნიშანი (დ, რ, ჯ) უნდა განზოგადებულიყო ადამიანის ერთიანი კლას-კატეგორიის გამოსახატავად. ისე, რომ ნივთთა კლას-კატეგორიის ნიშანი ადამიანის კატეგორიის ნიშნად იქცა ქალის კლასის გაშუალებით (გ. როგავა, 1953).² ეს მოსაზრება გასაზიარებელია - იგი არსებითად ეყარება ჩვენს მიერ წახურ-მუხადურის მიხედვით ზემოთ მოცემულ განმარტებას.

ყველა ის ცნობა, რაც წახურ-მუხადურის მონაცემთა კვალბაზე მოწოდებულ იქნა ზემოთ, თავის მხრივ გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, რომ ადამიანები, მოვლენები, საგნები ორჯორი (ადამიანისა და ნივთის, გონიერთა და არაგონიერთა) კლასის მიხედვით დაჯგუფდება თუ სამი ან ოთხი გრ. კლასის მიხედვით, სულერთია, აქ უნდა იყოს სოციალურ თვალსაზრისთა და რელიგიურ წარმოდგენათა ენობრივი ასახვა (ა. დირი; არნ. ჩიქობავა).

ნ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, კლას-კატეგორია წახურსა და მუხადურში ძირითადად ერთნაირად (თითქმის ერთნაირი ნიშნებით და ერთი და იმავე პრინციპით) იწარ-

1. საარგუმენტაციოდ დასახელებულია დარგულისა და ლაკურის ნიშნები - სახელდობრ ის, რომ დ გათხოვილი ქალის გამომხატველია ლაკურში და საერთოდ ქალისა-დარგულის კილოებში.

2. შტრ. ა. დირი (1907), პ. უსლარი (1892), ლ. ყირკოვი (1948)...

მოება. შენიშნული სხვაობა გამონაკლისის ფარგლებს არ სცილდება, ამასთან იგი თავს იჩენს მხოლოდ მეორეულ მოვლენებში - ისეთებში, რომლებიც ასახავენ განვითარების შემდგომ, გვიანდელ საფეხურს და, მაშასადამე, იგი უნდა დახასიათდეს - როგორც ამ კატეგორიის მორფოლოგიური ევოლუციისა თუ ფონეტიკური სახესხვაობის შედეგი. ყოველივე აქ თქმული იძლევა იმის საფუძველს, ამ მხრივაც თვისტომ ენათა შორის წახური და მუხადური ყველაზე ახლოს მდგომ ენებად მივიჩნოთ, შდრ., მაგალ., თაბასარანული, რომელსაც გრ. კლასს კატეგორიის გვერდით მოეპოვება პირის კატეგორია. უდიუროც ბევრად დაშორდა წახურსა და მუხადურს: აქ კლასოვანი უღვლილება შეცვლილია პიროვანი უღვლილებით.¹ ამჟამინდელ აღუღურსა და ლეზგიურს არ მოეპოვება არც კლასისა და არც პირის მორფოლოგიური კატეგორია.² ეხლანდელი მდგომარეობის მიხედვით გრ. კლას-კატეგორიის წარმოების ხაზით მხოლოდ ბუღურის და შახდაღის ზოგი სხვა ენა იჩენს გარკვეულ სიახლოვეს წახურთან და მუხადურთან. თუმცა ამ ენებშიც აღნიშნული კატეგორიის მორფოლოგიურ-ფონეტიკური ევოლუციის გზები მაინც განსხვავდება წახურისა და მუხადურისაგან.³ ეს სხვაობა, რასაკვირველია, ახლომონათესავე ენათა ურთიერთობის ფარგლებს

1. გრ. კლასის ნიშნები აქ შემონახულია მხოლოდ გაქვავებული სახით სახელში, ზმნაში, სახელზმნურ ფორმებში (ეპგ. ჯეირანიშვილი, 1956 წ.).
2. პირის კატეგორიის კვალი არ ჩანს; გრ. კლასთა დანაშრეგები კი შეიძლება დაძებნილ იქნეს გრ. კლას-კატეგორიის გადმონაშთების სახით (რ. შაუმიანი, 1936; შ. შაჯიევი, 1958).
3. ბუღურის ვითარების შესახებ იხ. ვლ. ფანჩვიძის (1941) და იუნ. დეშერიევის (1967) შრომები, თაბასარანულისა - პ. უსლარის (1) და ალ. მაჭომეტოვის (v) შრომები, კრიწულისა (კრიწულ-ჯეკურისა) - გ. თოფურიას და შ. საადიევის (1967) შრომები, ხინალღურისა იუნ. დეშერიევის შრ. (1959).

არ სცილდება; მაგრამ ამ ჯგუფის ცალკეულ არსებული მდგომარეობის ურთიერთ შედარება გვარწმუნებს, რომ ჩვენთვის ამჟერად საინტერესო მორფოლოგიური კატეგორიის ხაზითაც წახურისა და მუხადურის სტრუქტურის დიფერენციაცია ყველაზე გვიან დაიწყო.

მოქმედების ადგილ-მიმართულების აღნიშვნა
წახურ და მუხადურ ზმნაში, პრევერბის საკითხი

წახური და მუხადური გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის ამა თუ იმ ფუძე-ფორმას დაერთვის მოქმედების ადგილ-მიმართულების გამომხატველი, ზმნისწინის დანიშნულების, ელემენტები.

აღნიშნული თავკიდური ელემენტები წახურსა და მუხადურში არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: მეტწილ ემთხვევიან კიდევ ერთიმეორეს, ხოლო შემჩნეული სხვაობა აიხსნება ან ფონეტიკური ცვლილებით, ანდა რომელიმე ამჟთგანის ფუნქციის მოშლით. ამ მხრივ ცალკე წახურ და ცალკე მუხადურ კილო-კილოკავებში არსებითი სხვაობა არ არის. ზოგი თავისებურება გზადაგზა აღნიშნული იქნება ქვემოთ.

ადგილ-მიმართულების გამომხატველი თავკიდური ელემენტები:

I. წახური

1) ა=აა, ა=აა, ა=აა, ა=აა; 2) უა=, ალ=აააა, ალ=; 3) გი=აააა, ლა=აა<აა=აა->აააა, კ=(კა=, კე=, კი=, კ =); 4) ალ=აა; ალ=ი, აააა(?), ალ=აა; ილ=კე=; ალ=ე, ილ=ი.

2. მუხადური

1) ა=I I ა ხ=, ა=I I ე=; 2) გ= / გა=, გწ=, გი= /, ღი=ი=, კ=(კა=, კე=, კი=, კე=); I ს ე I ს ა ყ=; ლ= / ლა=, ლწ, ლე=, ლი=; 3) ალწ=; გი=კი=; წაქწ=(წკ=წ?)

ადნიშნული თავკიდურ ელემენტთა გამოყენების ნიმუშები ასეთი იქნება:

1. წახური²

1) ა=ა=ტალწს (მხ.რ.ობ. I, 2 და 4 კლ.), ა=ე=ტა-
ლწს (მხ.რ.ობ. 3 კლ.); ა=ვ=ტალწს (მრ.რ.ობ. I.-2 კლ.);
ა=ა=ტალწს (მრ.რ.ობ. 3.-4.კლ.) „დაბმა“, „შებმა“;
ა=რ=ჩი, ა=ფ=ჩი->ა=ბ=ჩი, ა რ ი<-ა=თ=ჩი<-ა=დ=ჩი;
ა=რ=ჩწს, ა=ფ=ჩწს<-ა=ბ=ჩწს, ა=ჩწს<-ა=თ=ჩწს<-ა=დ=
ჩწს (ობ.კლას.მიხ.) „გაგზავნა“, „გაშვება“. ა=ხ=ჩას
(I.კლ.), ე=ხ=ჩას<-ა=ა=ხ=უს (2. კლ.), წ=ხ=ჩას<-ა=ვ=
ხ=ჩას (3.კლ.) „დარჩენა“. წ=კი<-ა=ა=კი, წ=კას<-წ=
ა=კას, ა=ვ=ა=კას „გაღება“... 2) ე=ჭ=წს (I. კლ.), ე=ა
=ჭ=წს (2.კლ.), ე=ვ=ჭ=წს (გ.კლ.) „შესვლა“... 3) ი=
ა=ჭ=ჩი (მხ.რ.ობ. 4. კლ.), ი=ვ=ა=ჭ=ჩი (მხ.რ.ობ. 3 კლ.);
ი=ა=ჭ=ჩას, ი=ვ=ა=ჭ=ჩას (ობ.კლას.მიხ.) „შეკერვა“. ი=
ქ=ჭ=ჩი, ი=ქ=არას „სიარული“, „სვლა“... 4) ო=დ=კ=უნი,
ო=კ=ანას „დაწერა“. ო=ზ=ა=კი=ზ=ს „ადგომა“, უვ=ა=ა=ქი,
უვ=ა=ა=ქას „ბოვნა“... 5) ალ=ა=ყას<-ა=ლ=ა=ყას „ზე=
კეთება“, - ა) „რაცმა“, ჩუკაა აღაყას „ჩოხის ჩაცმა“,
ბ) „აგება“, „აშენება“; ხაჭ აღ~აყას „სახლის აგება“;
აღ~აჭ=ჩი, აღ~აჭ=ბ=ჩი; აღ~აჭ=ბ=ჩას, აღ~აჭ=ბ=ბ=ჩას (ობ.კლას.
მიხ.) „აწვევა“, „აზიდვა“, „აღება“; 6) გა=ა=ყი, გი=



I. ნიმუშები დასახელებულია აულ წახურის მეტყველებების მიხედვით.

2. ამ წახურულ და კილო=კილოკავურად მასთან ახლოს მდგომ აულთა მეტყველების ფორმებს სხვა კილოებში (მაგ., მიქიქურში...) შეესაბამება იჭეს, იჭეს, იჭეს; იჭენა, იჭენა, ოჭენა; იჭურა, ეჭურა, ეჭურა (შესაბამისად - ინფინიტივის, აწმყოსა და წამყოს) ფორმები, ნარჩენები გრ.კლასების მიხედვით.

ყი, გააყასა-გიჰაყას „გასხმა“, „გადაღერა“;¹ გიჰ
 ხნი, გიჰას „დაღება“, „რადება“. გააჟჰჰი-გიჰ
 აბჰჰი, გააჟჰჰას-გიჰაბჰჰას „მოჰარსვა“, „გა-
 პარსვა“ (თავისა, წვერჟღვასისა“). გააწაყასა-გიჰაწა-
 ჰაყას, გააწაყასა (ობ.კლას.მიხ.) „გაგსება“; „და-
 ტენა“. გააწაყასა გაწაყასა (ობ.მე-ჟ.კლ.) „მოწველა“,
 „რადება“; გააწაყასა (სუბ.ი.კლ.) გააწაყასა
 (2.კლ.), გააწაყასა (გ.კლ.), გააწაყასა (4.კლ.)
 ა) „დაკიდება“, „რამოკიდება“; გააყას, გაააყას (ობ.
 კლას.მიხ.) „რამოგხატვა“, „დახურვა (ქუდისა, ფაფახი-
 სა)“; გაააყას, გაააყას გაააყას, გაააყას-გაააყას-
 თი; გაააყას, გაააყას-გაააყას, გაააყას-გააა-
 ეაყას (ობ.კლას.მიხ.) „ცემა“. 7) დაჰჰი (ობ.ი., 4.
 კლ.), დაააჰჰი (ობ.2.კლ.), დაააჰჰი (ობ.3.კლ.) „არ-
 რევა“, „შერრევა“. დაააჰჰი, დაააჰჰს „გახსნა“, „შეხ-
 სნა (ღილ-კილოსი)“ - შდრ. აააჰჰს, ააააჰჰს, აააა-
 რჰჰს „შეკვრა (ღილ-კილოსი)“...; დაააჰჰს-დაააჰჰს
 (ობ. III კლ.) „გააჰჰა“, „გამოაჰჰა“; დაააჰჰი, დაააჰჰ-
 ში; დაააჰჰს, დაააჰჰს-დაააჰჰს (ობ.კლას.მიხ.)
 წართმევა“, „გამოგლეჯა (ხელიდან)“; „გამორთმევა“-
 შდრ. ააააჰჰს „აღება“, „ყიდვა“; ააააჰჰი, ააააჰჰ-
 შს „გამოძრობა“, „გამოღება“, „გამოყვანა“, „გამორ-
 თმევა“. 8) ყიჰაბელჰსა|ყიჰაბელჰსა, ყიჰაბელჰსა, ყიჰაბელჰსა,
 ყიჰაბელჰსა-ყიჰაბელჰსა (ობ.კლას.მიხ.) „გაგზავნა“². ყიჰა-
 ააჰჰი, ყიჰაააჰჰი, ყიჰაააჰჰს, ყიჰაააჰჰს „გაააჰჰ-
 ბა“³. 9) ა) კაააჰს (ობ.4.კლ.), კაააჰს-კაააჰს

1. შდრ. ააააჰჰი - 1913, გვ. 145: გ (+ხმ.) ელემენტი ზმნის ფუძეძირიააა.
2. მიქიქურ კილოსი: დაააბელჰს, დაააბელჰს, დაააბელჰს... მიშლეშურში: ყაააბელჰს, ყაააბელჰს, ყაააბელჰს|ყააა-ხივლას...
3. მიქიქურში დაააჰჰს, დაააჰჰს; მიშლეშურში: ყააა-ააჰჰს, საააჰჰს...

(ობ. 3.კლ.) „წამოღება“, „დაბრუნება (წადებულისა, გამორთმეულისა)“. 10) კა=ბლი, კა=დლი, კა=ბლას, კა=დლას (ობ.კლას.მიხ.) „წასმა“, „წაცხება“, კა=ფში<-კა=ბში, კა=ფშის<-კა=ბშის (ობ.კლას.მიხ.) „გახდა“, „გაძრობა“. კა=ქი=ფშის „მოხდა (ქულისა)“, „გახდა (ტანსაცმლისა, ფეხსაცმლისა)“. 11) კე=ჰი, კე=ჰარას (ინფ.) „ხლება“, „დაკარება (ხელისა), „მოხვედრა (ნიშანში, მიზანში ამოღებულისა)“. 12) კი=კას (სუბ. I.კლ.), კი=კას<-კი=კას (სუბ. 2.კლ.), კი=გკას (სუბ. 3.კლ.) „მოკვდომა“, „გარდაცვალება“, „აღსრულება“. 13) კაზაზ, კაზლანს „მოსვლა“, „წამოსვლა“. - კაზაზ „მოდის“. 14) აღ=ეში<-აღ=შში<-აღ=ში, აღ=იშის „ამოძრობა“, „ამოთრევა“; „გამოძრობა“, „გამოთრევა“. 15) ილ=კე=ჰი, ილ=კე=აჰი, ილ=კე=გჰი; ილ=კე=ჰანს, ილ=კე=აჰანს, ილ=კე=გჰანს (სუბ.კლას. მიხ.) „ასვლა“. შდრ.: ე=ჰანს, ე=ჰანს, ე=გჰანს (სუბ.კლას. მიხ.) „შესვლა“. შდრ., ილ=ი=ჰანს (<-აღ=ი=ჰანს?) „გამოსვლა“, „გასვლა“. 16) აღ=ლა=რ=ჰანს (ობ. I., 2.კლ.), აღ=ლა=ბ=ჰანს (ობ. 3.კლ.), აღ=ლა=დ=ჰანს (ობ. 4.კლ.) „გადაყვანა“, „გადატანა“, „გადაზიდვა“. ილ=ღე=გ=ჰანს (სუბ. 3.კლ.) „გადასვლა (ერთი მხრიდან მეორეზე, გადამაგამოღება)“. 17) აღ=ი=ში, აღ=ნი=ში, აღ=ი=გ=ში, აღ=ი=შანს, აღ=ნი=შანს, აღ=ი=გ=შანს (ობ.კლას.მიხ.) „აღება“, „ყიდვა“. 18) აღ=ი=ბ=ყაღანს „ამღრევა“. აღიბყღან დამა „ამღრეული წყალი, მდინარე“; აღიბყღან ბან „ამღრეული წყალი“. 19) ილ=კე=ბ=ჰი||ილ=კე=გ=ჰი-> ილ=ჰი „ჩასვლა (მზისა, მთვარისა)“.

2. მუხადური ნიმუშები

1) აბ=გენ, გ=გგენ||ა=გგენ (სუბ.კლას.მიხ.) „დარჩენა“. 2) აზ=გუნ, აზ=რ=გუნ, უზ=გგუნ<-აზ=გგუნ (ობ.კლას.მიხ.) „შეხედვა (ხედავს)“, „ყურება“. აზ=ტუნ (ობ.მე=4.კლ.), აზ=პ=ტუნ<-აზ=ბ=ტუნ (ობ.მე=3.კლ.) „ჭრა (მოჭრა, გაჭრა, წაჭრა, ამოჭრა)“. აზ=ხგუნ (სუბ. I.

4 კლ.), აშრ=ხჯზნ (სუბ.2.კლ.), აშფ=ხჯზნ<-აშპ=ხჯზნ (სუბ.3.კლ.) „წასვლა“. 3) წლწ=ჭუნ „გადასვლა“, „გასვლა“. შდრ.: წახ. ილი=ჭწს, ილი=გჭწს „გასვლა“; 4) ა=ჭუნ||ე=ჭუნ; წ=ჭუნს||ე=ჭუნს „შესვლა“; 5) სე=ჭუნ, სე=ჭუნს „ჩასვლა“, „დაშვება“. საშ=კა=ჭუნ „ხელმოკრედ ჩასვლა“. საშ=აა=კა=არ=ინ, საშ=აა=კა=პ=ინ, საშ=სა=კა=ტ=ინ (ობ.კლას.მის.) „ჩაშვება“.² 6) ლა=შუნ||ლე=შუნ, ლუ=გ=შუნ||ლგ=გ=შუნ<-ლა=გ=შუნ (ობ.კლას.მის.) „ადება“, „მიღება“; „ყიდვა“. ლა=პინ, ლა=ტინ (ობ.კლას.მის.) „დადება“; „ადება“. 7) ლი=პინ, ლი=რ=ხინ, ლი=გ=პინ (ობ.კლას.მის.) „გადაგდება“. ლი=ხინ, ლი=ვიარ=ხინ (ობ.კლას.მის.) „დადება, მოთავსება (რახედ-მე)“³. ლი=ჩინ, ლა=არ=ჩინ, ლი=გ=ჩინ (სუბ.კლას.მის.) „ფრენა“, „აფრენა“, „გადაფრენა“; „გადახტომა“.⁴ 8) ლგ=გ=პენ<-ლგ=ჰგ=პენ<-ლა=ჰგ=პენ⁵, ლგ=გ=გ=პენ<-ლგ=გ=ჰგ=პენ<-ლა=გ=ჰგ=პენ (ობ.კლას.მის.)⁵ „ჩაბმა“; „აცმა (მწვადისა)“, „ასხმა (მძივისა)“⁶. 9) გა=კენ, გა=რ=კენ, გგ=გ=კენ<-გა=გ=კენ (კლას.მის.) „ყურება“; „ლოდინი“; „მოვლა=პატრონობა“. 10) გა=ჭუნ, გა=პ=ჭუნ<-

1. შინაზურში ამ რთულთავკიდურელემენტთან წარმოებას ზოგჯერ მარტივი წარმოება ეფარდება: ლა=ჭუნ (ინფ.), მაგრამ - ნამყო: აშლ=აჭური.
2. შდრ. უდ. სა=ქეს, სა=ქსუნ „დაგდება“, „ჩაგდება“; სა=ნექე „ჩაბგლო“, სა=ნექსა „აგდება“...
3. შდრ. უდ. ლა=ხსუნ „დადება“; ლა=ნექხე „დალო“, „დალო“. შინაზურსა და მუხრეკულში ამ მნიშვნელობით იხმარება სი=ხინ. აქ თავკიდურ ლი=ს ნაცვლად გამოყენებულია სი=შდრ., მუხადურივე ზემოთ დასახელებული სე=, სა= თავკიდურელემენტთან იგნები.
4. შდრ., ამავე მნიშვნელობის შინაზური ლე=ჩინ, ლი=ჩინ, ლე=გ=ჩინ, ლა=ჩინ ლა=გ=ჩინ. შდრ., რუთულურსა და სხვა კილო=კილოკავებში დაცული ლა=არ=ჩინ (სუბ.2.კლ. იხ. ზემ.) და მუხრეკულში შემონახული ლა=ა=შინ („ფრენა“ - სუბ. 3. კლ.).
5. შდრ. ჰგ=პენ „კეთება“.
6. სიტყვა=სიტყვიტ: „ზე=ქმნა“, „ზე=ყოფა“. შდრ. ქართ. „ზემოქმედება“...

ვა=ბ=წუნ (სუბ.კლას.მიხ.), „განზე გადგომა“, „იქით გაწევა“; ¹ გა=პ=ინ<-გა=პ=ყინ<-გა=ბ=ყინ, გა=ტინ<-გა=ტ=ყინ<-გა=დ=ყინ (ობ.კლას.მიხ.) „გამოღება“. – შდრ.გი=ყ=ლა=პ=ინ, გი=ყ=ლა=ტ=ინ „ხელმეორედ, უკან გამოღება“. II) გი=ხინ, გი=ვ=ხინ<-გი=ვი=ხინ (ობ.კლას.მიხ.) „დადება“ (რისამე ქვეშ, ქვემოთ)“, „შედება“. ბრძან.გი=ვი=ხ<-გი=ვი=ხა! ² გი=პინ „ჩუმიად ყოფნა, გარუმება“. შდრ.გი=ქი=პინ, გი=ქი=პის, „ისევე გარუმება“. გი=პინ<-გი=პ=ყინ<-გი=ბ=ყინ „გაშლა, გადენა (მარცვლეულისა)“... გი=პ=ტინ<-გი=ბ=ტინ, გი=ტინ (ობ.კლას.მიხ.) „შებმა (ცხენისა...)“. I2) ღი=კენ „მოპოვება“, „შოვნა“. შდრ.უარყ.ფორმა: ღი=ჯი=კენ<-ღი=დი=კენ. ³ I3) ჯა=ცუნ (რუთ.და სხვა კილ.); ჯა=სუნ (მუხრეკ.): უბურ ჯაცუნ (ჯასუნ) „ყურის მიპყრობა“, „მოსმენა“. ჯა=ჯინ, ჯა=ბ=ჯინ || ჯა=ვ=ჯინ; ჯა=ჯას, ჯა=ბ=ჯას || ჯა=ვ=ჯას „გახდა“, „გაძრობა“. ⁴ I4) ქე=ვ=ყენ<-ქა=ვ=ყენ<-ქა=ვ=ყენ „დამწიფება“, „მომწიფება“. I5) ქვ=ყენ<-ქვ=ჰყენ „მკურნალობა“.⁵ ქვ=

I. მუხრეკულში ნამყოს ფორმად „გაალაჭური“=ც იხმარება: გა=ა=ლა=ჭური. ადგილ=მიმართულების აღმნიშვნელი თავკიდური ელემენტი აქ სამი ნაწილისაგან შედგება: გა (<-გი) + ა + ლა =. რთული შედგენილობის ამგვარი ზმნისწინები დამოწმებულია თაბასარანულსა და ალუ-ლურშიც (ა. დირი, ა. მამოქოტოვი).

2. მუხრეკულში: გი=ფხ<-გი=ბხ<-გი=ბხა!

3. პირველი ვარიანტი (ღიჯიკენ) რუთულურში, შინაზურში და ზოგ სხვა კილო=კილოკავშია გავრცელებული; ხოლო მეორე (ღი=დი=კენ) მუხრეკულში, სპორადულად – იხრეკულშიც. შინაზურში ამ უარყოფითი ფორმის პარალელურად იხმარება ლა=ჯა=ა=ყენ ფორმაც (იხ. ქვემ.:

1 ზმნის უარყოფითი ფორმა).

4. მუხრეკულში: კია=ჯინ.

5. სიტყვა=სიტყვით „ხელახლა ქმნა“, „ხელმეორედ კეთება“, ე. ი. „დაბრუნება ჯანმრთელობისა“. იხ. ქვემ. მოქმედების გამეორების, უკუმოქმედების აღნიშვნა ზმნაში.

ლობის ელემენტთა გამოყენების შესახებ. შდრ., მაგალითად, ა) წახური: ო, ო (ზემოთ, ზედ, ზე) - ო=ზა=კიხას (ადგომა); ო=კანას („დაწერა“ - ო=კანან „აწერს“...); და=ლა (ქვე=), დჰკა<- და=ლა=კა, და=ლა=ა=კა (ქვე-მოთ, ქვემოთკენ), და=ლა=ან=ჩო (ქვემოდან) - და=ა=ში, და=ვ=ში (წართმევა, გამოგლეჯა), ა=ლე=ში<-ა=ლან=ში<-ა=ლა=ში (ამოძრობა, გამოძრობა; ამოთრევა, გამოთრევა); ავ=ქჰანა (უკან), კენა, კრდა (შემდეგ, შემდგომ) - გრ. კლას. მიხ. - ჰაჰ აჰ ს (წამოსვლა, უკან მოსვლა, დაბრუნება - შდრ. აჰ აჰს „წასვლა“), ჰაჰას (ხელახლა, ხელმეორედ კეთება - შდრ. ჰაჰას „კეთება“)... ბ) მუხადური: უ (ზემოდან) - უ=ლანიიდი (ზემოდანაა); ლაჰ (ზემოთ, მაღლა) - ლა=შუნ (აღება), ლან=ჰუნ<-ლა=ჰუნ (ასვლა), ლიჰინ<-ლა=ხინ (დადება)...; ლა, ლაჰ (გარე), ლა=რა=ჰა (გარედან შიგნით) - ა=ლან=ჰუნ<-ა=ლა=ჰუნ (გასვლა, გადასვლა) - შდრ. წახ. ალ=ლა=არ=ჰანს (გადაყვანა); გიჰნი (ქვემოთ) - გი=ხინ, გი=ჰანინ (დადება რისამე, ან ვისიმე ქვეშ, ქვემოთ; ამოღება რისამე ქვემოთ, ქვეშ)... - სხვა ადგებრიალურ სიტყვათა მაგალითები იხ. ქვემ.: „უფორმო“ სიტყვები.

თუნდაც ისეთი ფორმების დაპირისპირება, როგორებიცაა, მაგალ., მუხადური ლა=ლუნ („დასმა რაზედმე“)-სა=ლუნ („დასმა რისამე ქვეშ, ქვემოთ“) - ა=ლუნ („დასმა რაიმეში“) და მისთ. ზემოთ დასახელებულ სხვა ნიმუშებთან ერთად საკმაოდ ასაბუთებენ საანალიზო ენებში პრევერბთა არსებობას.¹

ანალოგიური მდგომარეობაა თვისტომ ენებშიც, მაგალ., უდიურში, სადაც ზოგი ზმნის ფუძე=ფორმათა

1. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ისე მწყობრად და სისტემებრ არ არის განვითარებული, როგორც ვთქვით, ქართულ ენასა თუ ქართველურ ენებშია.

აბსოლუტურ დასაწყისში გამოიყენება ისეთი ელემენტები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების მიმართულებას ზემოდან ქვემოთ, ქვემოდან ზემოთ, აქედან. (მოლაპარაკე პირისაგან) იქით, ან იქიდან აქეთ (მოლაპარაკე პირისაკენ) და სხვ. შდრ., მაგალ., I) ე=სუნ (მოსვლა)-თა=სუნ (წასვლა); ლა=სუნ (ასვლა) - ცი=სუნ (ჩასვლა); ბა=სუნ (შესვლა) - ჭე=სუნ (გასვლა)... 2) ე=ჩესუნ (მოტანა) - თა=შესუნ (წაღება); ლა=ჩესუნ (ატანა, აყვანა) - ცი=ვეკესუნ (ჩატანა, ჩაყვანა); ბა=ჩესუნ (შეტანა, შეყვანა) - ჭე=ვეკესუნ (გაყრა, გაგდება). ზმნათა ზოგი ამგვარი თავკიდური ელემენტი უდიურშიც გამოძახილს პოულობს თანდებუდიან („ლოკატიურ“) ბრუნვათა მაწარმოებლებსა და ზმნისზედებში. (ეგვ. ჯეირანი შვილი, 1971, გვ. 100...). თაბასარანულ ზმნაში პრევერბები ქმნიან სისტემას, რომელიც ანალოგიურია სახელთა თანდებუდიანი ბრუნვების სისტემისა. ამასთან: თანდებულებისა (ლოკატიური ბრუნვებისა) და პრევერბების მატერიალური ერთიანობა ადასტურებს მათ წარმომავლობას ერთი საერთო წყაროდან. ალულურ ენაში თაბასარანულის მსგავსად განვითარებულია მოქმედების ადგილის გამოხატველ პრევერბთა სისტემა, რომელიც ეფარდება თანდებუდიან ბრუნვათა სისტემას. გარდა მოქმედების ადგილის (სივრცის) განსაზღვრისა, ალულურ ზმნაში არის შესაძლებლობა, გამოიხატოს მიმართულება ზემოთ და ქვემოთ. ამ ენათა პრევერბებიც აგებულია მიხედვით დაჯგუფებულია აგრეთვე ორად: მარტივ პრევერბებად და რთულ პრევერბებად და მითითებულია, რომ თაბასარანულსა და ალულურს მოეპოვება პრევერბთა სისტემა (ა. დირი - 1905; 1907; ლ. ჟირკოვი - 1948; ა. მაჰომეტოვი - 1956; 1965; 1970).

წახურ, მუხადურ და სხვა თვისებები ენათა აღნიშნული მდგომარეობა საინტერესოა იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონზე, რამდენადაც ამ წრის ერთი ჯგუფის ენებს,

მაგალითად, ქართველურ ენებს, ¹ აფხაზურს...² მოეპო-
 ვებათ პრევერბები (სისტემებ); ერთი ჯგუფის ენებს
 კი, მაგალითად, ლაკურს, ხუნძურს, ³ არ მოეპოვებათ;
 ამასთან: პრევერბების მქონე ენებშიც არ არის ერთნა-
 ირი მდგომარეობა: ზოგი ასეთი ენის ზმნაში გამოიყოფა
 როგორც მოქმედების მიმართულების, ისე ადგილმდებარე-
 ლებისა თუ ადგილმყოფობის გამომხატველი ზმნისწინები,
 ზოგ ენაში კი მოქმედების სივრცესთან დამოკიდებულე-
 ბის გამომხატვის ეს ორი მხარე - მიმართულება და სივრ-
 ცეში ადგილმდებარეობა - გარჩეულია ერთმანეთისაგან;
 თანაც, არისაა აქ პრევერბოა სისტემა, ამ მორფოლოგი-
 ური საშუალებით გამოიხატება ადგილმდებარეობა და-
 პირისპირებულ მხარეთა აღნიშვნით: აქედან (მოლაპარაკე
 პირისაგან) იქით, იქიდან აქეთ (მოლაპარაკე პირისაგან),
 ზემოდან ქვევით, ქვემოდან ზევით და ა.შ. ამასთან აქ
 პრევერბს, ამ ძირითადი დანიშნულების გარდა, ეკისრება
 სხვა ფუნქციებიც (სრული ასპექტის გამომხატვა, დროის
 ცვლა, ობიექტის რიცხვის ცვლა, მნიშვნელობის ცვლა; აქ
 საგულისხმებელია, კერძოდ, ქართულში არსებული ვითარე-
 ბა). ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ისეთი ენები, როგო-
 რიცაა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო წახური და მუხა-
 დური, სადაც, მართალია, ადგილმდებარეობის გამომხატველ
 წინსართ ელემენტთა ჩამოყალიბებული (ქართულისებური)
 სისტემა არ არის, მაგრამ ამგვარი ფუნქციით აღჭურვი-
 ლი ასეთი თავსართოვანი ელემენტები მაინც თვალსაჩინ-
 ნოდ გამოიყოფა. ეს კი, როგორც ზემოთაც ითქვა, უკვე
 იმის მანიშნებელია, რომ აქაც ასეთ ელემენტებს თან-

-
1. ნ. მარი - 1910; ი. ყიფშიძე - 1914; ვ. თოფურია -
 1931; ა. შანიძე - 1930; 1953; არნ. ჩიქობავა - 1950.
 2. ქეთ. ლომთათიძე - 1953
 3. ბ. უსლარი - 1889; 1890; არნ. ჩიქობავა, ილ. ცერც-
 ვაძე - 1962.

დათან ენიჭება „გრამატიკული კატეგორიის“ მნიშვნელობა. ოღონდ ამ ხაზით არსებული განსხვავებების მიხედვით წახური, მუხადური და სხვა თვისტომი ენები უნდა დაჯგუფდნენ ასე: 1) ენები, სადაც მოწმდება პრევერბთა სისტემა. (თაბასარანული, ალუღური...), 2) ენები, სადაც არის პრევერბთა ჩანასახები (უდიური) და 3) ენები, სადაც ამ ორი საფეხურის შუათანა მდგომარეობაა (წახური, მუხადური): აქ ზმნისწინის განვითარება ჩანასახ მდგომარეობას საკმაოდ გასცდა, თუმცა ჯერ კიდევ არა აქვს მკაფიოდ გამოხატული სისტემის ხასიათი.

მაგრამ ამ ენებსა და იბერიულ-კავკასიური წრის იმ ენებს შორის, სადაც კი პრევერბები სისტემებრ იხმარება, მაგალითად, ქართულში, რომელსაც „ძალიან უხვად აქვს ზმნისწინები“, აკ. შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი რამ მაინც რჩებათ საერთო: „ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის. ერთიცა და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ სახელს ან ზმნას. მსგავსება ამით არ ამოიწურება. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა (ოდესლაც დამოუკიდებელი) სახელთან თანდებულად არის გამოყენებული, ზმნასთან კი - პრევერბად.“¹

როგორც ვხედავთ, პრევერბთა წარმოქმნის წყარო თუ წარმოების თავდაპირველი ხასიათი ყველა დასახელებულ ენაში ერთნაირია, მაგრამ განვითარების დონე - სხვადასხვა. ეს დონე წახურისა და მუხადურისა ერთ სიბრტყეზე ან თითქმის ერთ სიბრტყეზეა: ამ ენებში ვლინდება პრევერბთა როგორც მატერიალურ-ფონეტიკური,

I. აკაკი შანიძეს (1953; გვ. 267) ამ განმარტების საილუსტრაციოდ დასახელებული აქვს, მაგალითად, ში თანდებული და შე პრევერბი: ქალაქ=ში, შე=ვიდა; გან თანდ. და პრევერბი: ქალაქი=გან, გან=ვიდა და სხვ.

ისე წარმოება=გამოყენების ერთგვაროვნება.

მოქმედების გამეორების, უკუმოქმედების აღნიშვნა წახურ და მუხადურ ზმნაში. წახურ და მუხადურ ზმნაში გამოიყოფა თავსართოვანი ელემენტი, რომელიც გამოხატავს მოქმედების გამეორებას, ხელახალ, ხელმეორე მოქმედებას, უკუმოქმედებას. ერთგვანაც და მეორეგვანაც ამ დანიშნულებით გამოიყენება თავსართი ქ=, რომელიც შესაძლოა გართულებული იყოს ამა თუ იმ ხმოვნით (ძირითადად უ ხმოვნით). ამასთან: ეს თანხმოვანი შეიძლება დაერთოს ისე, რომ საწარმოებელი ზმნის ფუძეს მოუდიოდეს პრევერბული მნიშვნელობის სხვა ელემენტიც; ასეთ შემთხვევაში გამეორება=უკუმოქმედების გამოხატველი ქა= და მისთ. მოსდევს მიმართულების გამომხატველ თავკილურ ელემენტს; ამის შედეგად იქმნება რთულპრევერბიანი ფორმები.

მოქმედების გამეორებისა თუ უკუმოქმედების გამომხატველი თავსართი გამოიყოფა გარდამავალ ზმნაშიც და გარდაუვალშიც, - როგორც ზმნის ფინიტურ (დრო=კილას გამომხატველ), ისე სახელზმნურ (ინფინიტის=მასდარის, აბსოლუტივის, მიმლეობის) ფორმაში; დაერთვის როგორც დადებით, ისე უარყოფით ფორმას.

ნიმუშები:

I. წახური

1) კალას (ობ.4.კლ.), ჭუვალას<-ქავალას (ობ.3.კლ.) „უკან, ხელახლა მოტანა“, „წამოღება“, „დაბრუნება (წადებულისა)“.

2) ჭუვი (მასდ.), ჰილწს (ინფ.=სუპინ) „მოცემა“, „მოღება“; „ხელმეორედ ძღვევა“; „უკან ძღვევა“-შდრ. ჰუგო (მასდ.), ჰილწს (ინფ.=სუპინ) „მიცემა“ და „მოცემა“, „ძღვევა“ (საერთოდ)... 3) ჰიყი, ჰბყას „ხელახლა, ხელმეორედ კეთება“, „ისევ კეთება“ - შდრ., ჰიყი, ჰბყას „კეთება, ქმნა (საერთოდ)“. შდრ. აგრეთვე: სემისჰიყი „წყენინება (ე.ი. წყენინების უკუ ქმნა,

უკუ კეთება)“ - შდრ. იმ ჰიცი „მუშაობა (ე.ი.საქმის კეთება საერთოდ)“... 4) კინას „ხელმეორედ, ხელახლა, ისევ ყოფნა, გახდომა“ - შდრ. ინას „ყოფნა“, „გახდომა“...

2. მუხადური

1) ქვავუნ||<-კვა=ვუნ¹ „უკან ძღვევა, უკუ=მიცემა“, „დაბრუნება“ - შდრ. ვუნ „ძღვევა“, „მიცემა“... 2) კვავუნ||<-კვა=ვუნ „ხელმეორედ მითანა“, „ისევ წამოღება“. აიკი ქვავსი „მოაგონდება“, „მოიგონებს“ („გულში ხელმეორედ მოიტანს“)... 3) ქვავუნ<-ქვავჰვავუნ ა) „მორჩინა“, „მკურნალობა“; ბ) დახურვა, დაკეტვა („მეორედ ქმნა, ისევ ხელმეორედ კეთება, ხელმეორედ მოხდენა, კვავუნა“ - შდრ. ჰვავუნ „კეთება“, „ქმნა“... 4) ქვავუნ, ქვავუნ (სუბ. I კლ.), ქვავუნ, ქვავუნ (სუბ. 2. კლ.), ქვავუნ<-ქვავჰვავუნ, ქვავუნ (სუბ. 3. კლ.) „ხელმეორედ მოსვლა“, „დაბრუნება“... 5) ქვავუნ, ქვავუნ<-ქვავუნ, ქვავუნ<-ქვავუნ (სუბ. კლას. მიხ.) „გამოჯანმრთელება“, „კარგად გახდომა“ (ხელახლა, ისევ ყოფნა, გახდომა)“. - შდრ. აიუნ, რიუნ, ვიუნ „ყოფნა“ (სუბ. კლას. მიხ.)... 6) აჰ=კაჰ=ჰუნ (სუბ. I. და 4. კლ.) „ხელახლა, ხელმეორედ შესვლა“ - შდრ. ეჰუნ „შესვლა“... 7) ლი=კ=ინ (ლი=კი=ხინ?)<-ლი=კა=ინ „უკუ, უკან დაღება, აღებულია ხელმეორედ (თავის ადგილზე) დაღება“ - შდრ. ლიხ=ინ „დაღება“... 8) ლა=კა=შუნ „უკან მიღება, წაღება“, „გამორთმევა“ - შდრ. ლეშუნ<-ლან=შუნ „აღება“... 9) ლან=კან=ჰუნ<-ლან=კან=ჰუნ „ასვლა, ზეასვლა ხელახლა, ხელმეორედ“ - შდრ. ლან=ჰუნ<-ლან=ჰუნ „ასვლა“...

თვისტომ ენებსაც მოეპოვებათ განმეორებით, ხელმეორედ მოქმედებისა თუ უკუმოქმედების გამომხატველი „მორფოლოგიური“ საშუალებები, რაც ეფარდება ან სულაც ემთხვევა წახურ=მუხადურისას; შდრ., კერძოდ, ლეზგიური

I. მუხრეკულშია დაცული ეს (არქაული), კვა=ვარიანტი.

ჭინ „წასვლა“ - კიჭინ „კვლავ, უკან წასვლა“; ტიპინ „გადაგდება“, „გადასროლა“ - კიჭინ „კვლავ, ისევ გადაგდება, გადასროლა“...; ყუნ „ჭერა“ - ხყუნ „კვლავ, ხელმეორედ ჭერა“. (ბ.უსლარი-1896; ლ.ჟირკოვი - 1941; გ.თოფურია - 1959). აღუღური (სადაც მოქმედების გამეორება შეიძლება გამოხატულ იქნეს ქ(ა)= ელემენტით და რომელიც წახურ=მუხადურის მსგავსად, მოსდევს ხოლმე სხვა პრევერბს): რუხას „წაკითხვა“- ჭურუხას<-ჭაურუხას „ხელმეორედ წაკითხვა“ (ა.მაჰომეტოვი - 1956; 1965; 1976) შდრ.აგრეთვე უდიური ჭააბაქსუნ „დაბრუნება (=უკუ=ყოფნა, უკუ=ქცევა); ჭააღესუნ „დაბრუნება (უკუ ქმნა, უკუ=ყოფა, უკუ=კეთება)“ ჭაააესუნ „გაღება(=უკუ=სვლა)“...

თუ აღნიშნულ მაწარმოებელში ფონეტიკურ ნიადაგზე მომხდარ ცვლილებებს არ ვიგულისხმებთ, წახური, მუხადური და თვისტომი ენები მოქმედების გამეორებისა თუ უკუმოქმედების გამოხატვის მხრივ ავლენენ ერთიანობას, თუმცა წახურისა და მუხადურის ურთიერთ სიახლოვე ამ შემთხვევაშიც უფროა თვალსაჩინო.

უარყოფის გამოხატვა წახურ და მუხადურ ზმნაში

წახურსა და მუხადურში ზმნის უარყოფითი ფორმები იწარმოება ორი სახით - ორგანულად და აღწერით: 1)გამოიყენება ნაწილაკები, ანდა 2)ზმნის ამა თუ იმ დადებით ფორმას დაერთვის „არის“ მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმა.

უარყოფის გამოხატვა წახურ ზმნაში. I.წახურ ზმნაში უარყოფის გამოხატველი ნაწილაკებია დ, მ. ერისაც და მედრესაც შეიძლება მოსდევდეს (უპირატესად) დ და ე ხმოვანი და ჰქონდეს ასეთი სახე: და, დე; მა, მე. ეს ნაწილაკები გამოიყენებიან დრო-კალთა სხვადასხვა ფორმაში (დაერთვიან ან ჩაერთვიან საწარ-

მოებელი ზმნის ფუძე-ფორმას), - დაერთვიან აგრეთვე მიმღეობის, მასდარ=ინფინიტივისა და აბსოლუტივის ფორმებს. ამ ნაწილაკთაგან ღ (მა, მე) იხმარება უპირატესად ბრძანებითის (აქრძალვითისა და უკუტყვევითი ბრძანებითის) ფორმებში, ხოლო ღ (და, დე) - დრო=კილოთა სხვა ფორმებსა და სახელზმნურ ფორმებში. მაგალითები: I) ჰი=მე=კტი „ნუ თამაშობ!“ „ნუ უკრავ!“ „ნუ ცეკვავ!“ (ჰეკტი! „ითამაშე!“ „დაუკარი!“ „იცეკვე!“). კი=მა=ხტი „არ დარჩე!“ „ნუ დარჩები!“ (ახტი „დარჩი!“). კი=მა=დალტი „არ წაუხხო!“ „არ წაუსვა!“ „ნუ წაუხები!“ „ნუ წაუსვამ!“ (ქადლუა „წაუხები!“ „წაუსვი!“). კი=მე=კტი „არ მოკვდე!“ (კიკტი „მოკვდი!“). გი=მე=თა „არ დაარტყა!“ „არ სცემო!“ „ნუ დაარტყამ!“ „ნუ სცემ!“ (გეთა! „დაარტყი“, სცემე!“). 2) დე=ზარახი „არ იქნებოდა!“; ხახდე კი=დე=ზარახი „არ სწავლობსარა!“; დე=წანა „არ იცის“ (აწანა „იცის“) დე=წანა „არ მცოდნე, უფიცო“ (აწანა „მცოდნე“); დე=წანა „არ იცისარა“ (აწანა „იცისარა“); კი=და=კტი || - > კი=დე=კტი „არ კვდომა“ (კიკტი „კვდომა“); კი=დე=კუნა „არა მკვდარი (კაცი)“, კი=დე=კუნა „არა მკვდარი (ქალი)“, კი=დე=კუნა || კიდრკუნა „არამკვდარი (ცხოველი)“...² 3) ყოფნა (არის) მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმაა დეშ. ეს ფუძე=ფორმა იშლებება ასე: დე=ში (<-დე=ში); სადაც ბოლოკიდური =ში (<-ში) საყრდენი ფუძე=ძირია, ხოლო თავკიდური დე - უარყოფის ნაწილაკი. ეს ფორმა დადებითი შინაარსის ზმნის ამა თუ იმ ფორმას მოუღის ბოლოშიც, თავშიც და აქვს დაახლოებით ის მნიშვნელობა, რაც ქართულ „არ“ ნაწილაკსა და

1. ასეთ (დე=წან და მისთ.) ფორმებში იკვლისხმება უარყოფის ნაწილაკის ხმოვნის ამოგარდნის (ელჩოის) პროცესი.

2. შდრ. კიკუნა, კიკუნა, კოკუნა „მკვდარი“ (გრ. კლას. მიხ.).

(სახელში) უ - ლ კონფიქსი¹. მაგალითები: ზე
ჰაყან=დემ „არ ვაყებ“; ზას ჯქჰან=დემ „არ მსურს“;
მანა ჰაჰაჰ=დემ „არ მოდის“; ჰაჰანაჰად დემ=ვოდ „აქ
არ არის“; ვაკაბ ზმარ დემ=ვომანა (<-დემ=ვომანა) „შენ-
თან ფური არ არის (ფური არ გყავს)“; ზაკარ ჰედ
დემ=ვორან „ჩემთან დედა არ არის (=დედა არ მყავს)“;
ეებ~ი=დემ „არ იყო“, „არა იყო=არა“... .

წახური ზმნის უარყოფით ფორმათა შესახებ ცნო-
ბებს გვაწვდის ა.დირიყ. მისი ცნობები ძირითადად
ეფარდება წახურის სინამდვილეს, თუმცა იგი არ არის
სრული, ზოგჯერ სიზუსტეც აკლია. ა.დირი უარყოფის ელე-
მენტებად გამოჰყოფს მხოლოდ შ, ლ თანხმოვნებს, თანაც
მხოლოდ ზმნის ფუძის შიგნით - მაშინ, როდესაც ეს ელე-
მენტები (ამასთან უმთავრესად მარცვლის სახით და არა
ოღენ თანხმოვნისა) გამოიყენება სიტყვის თავშიც (იხ.
ზემ.).

წახურ კილო=კილოკავებში, თუ არ ვიგულისხმებთ
ფონეტიკურ ცვლილებებს, ზმნის უარყოფით „ფორმათა“ წარ-
მოების მხრივ სხვაობა არ არის.

უარყოფის გამოხატვა მუხადურ ზმნაში. I. უარყო-
ფის მუხადური ნაწილაკებია: დ=(დი), შ=(მა=, მე=,
მე=), რომელთა გამოყენებაც ხდება ისევე, როგორც წა-
ხურში (აღსანიშნავია, რომ ეს ელემენტები ფონეტიკურა-
დაც თითქმის ემთხვევიან უარყოფის წახურ ნაწილაკებს):
დაერთვიან ან ჩაერთვიან დრო=კილოთა ფორმებს (აგრეთვე-
მიმღეობას, მასდარ=ონფინიტივს, აბსოლუტივს).

უარყოფის ფორმათა წარმოების მხრივ მუხადურ კი-
ლო=კილოკავებში არსებითი სხვაობა არ არის. შ (მა, მშ,
მე, მი, მე) ნაწილაკი ყველგან ერთნაირად გამოიყენება.

I. ოღონდ სახელთან დემ „ნაწილაკი“ გართულებულია და
ელემენტით (ნათეს.ბრ.ნიშნით): ხან=დემ=და „უწ-
ყო“, „უწყო“, ჩოჯ=დემ=და „უძმო“, „უძმოდ“... .

ხოლო დ¹ონიან (და, დე-დი, დე) ნაწილაკთა გამოყენების თავისებურება ასეთია: მუხრეკულსა და იხრეკულში, რომლებსთვისაც დამახასიათებელია საერთოდ მეტი არქაიზმი, უარყოფის ნაწილაკად და, დე, დე||დი იხმარება (ეს ვარიანტი ზოგჯერ ბორჩულშიც მოწმდება) - მაშინ, როდესაც სხვა კილო-კილოკავებში, მათ შორის რუთულურში, შინაზურში და ზოგჯერ (სპორადულად) ბორჩულში, ამის ადგილს პალატალიზებული ჯა, ჯე, ჯი ვარიანტი იჭერს. ¹ ზოგ კილოში, მაგალითად, ბორჩულში, შეინიშნება ზოგჯერ ჯი->ჩი პროცესიც (პოზიციის მიუხედავად). ზოგი სხვა თავისებურება, რომელიც ცალკეული შემთხვევის სახით გვხვდება დიალექტებში, გზადაგზა აღნიშნული იქნება ქვემოთ.

I. ე=სთან და მეტადრე ი=სთან დ->ჯ პროცესი გასაგებია, მაგრამ ასახსნელი რჩება ა=სთან და->ღ=ს პალატალიზაციისა და აფრიკატიზაციის საკითხი. ამის პასუხი შეიძლება დაეყრდნოს ასეთ ვარაუდს: ან მუხადურს უნდა მოეპოვებოდეს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული თვისების ა, რომელთაგან ერთ-ერთის თავისებურება უნდა იყოს ნაკლებად დაბალი დაწვევა და ნაკლებად უკან წაწევა (ნაკლები ველარიზაცია), რის გამო ამგვარი ა თავისი ბუნებით უნდა უახლოვდებოდეს ე=ს. ასეთი ხასიათის ა=ს კი შეეძლო გამოეწვია სწორედ უარყოფის დ ნაწილაკის პალატალიზაცია. შეიძლება ასეც განიმარტოს: მუხადურის ა განსხვავდება თავისი ბუნებით ჩვენთვის სხვა ენებიდან (მაგ., ქართულიდან...) ცნობილი ა=საგან და იგი თავისი ხასიათით უფრო უახლოვდება ე=ს, თუნდაც იმით, რომ მას შესაძლოა ჰქონდეს რაღაც თავისებური (იოტიზებული) შემართვა და წარმოთქმის ამგვარი ხასიათით იგი გავლენას ახდენს მეზობლად მდგომ, წინამაველ დ=ზე და აქედნეა ჯ=დ. საკითხი, რასაკვირველია, მოითხოვს ექსპერიმენტულ შესწავლასაც და სხვა თვისებებთან ერთად მასალის გათვალისწინებას. ამ შემთხვევაში არ შეიძლება უგულებელყოთ გარემომცველი თურქულ-აზერბაიჯანულის გავლენაც.

მე-2: იოტიზებული=შემართვიანი ა ხმოვნის არსებობა დ-ლისტის სხვა(კერძოდ, ანდიურ) ენათა მონაცემების მიხედვითაც ივარაუდება (ტ. გულდავა).

ლი=ჯი=ბ~ინ (<-ლი=დი=ბინ) „არ დადება“ (ლი=ბ~ინ „დადება“); ლე=ჯე=შენ (<-ლა=დე=შენ) „არ ალება“ (ლე=შენ „ალება“); ლი=ქ=ჯი=ბ~ინ (<-ლი=ქ=დი=ბ~ინ) „ხელახლა, უკან არ დადება“ (ლიკიბ~ინ „უკან დადება“); ლა=ქ=ჯა=შენ (<-ლა=ქ=და=შენ) „უკან არ წალება, ხელმეორედ არ ალება“ (ლაკაშენ „უკან, ხელმეორედ, ხელახლა ალება“). ჯი=ქის (<-დი=ქის), ჯი=რი=ქის, ჯი=ვი=ქის „არ ყოფნა“. აქედან - მყოფადის მიმღეობის უარყოფითი ფორმები (გრ.კლას.მიხ.): ჯი=ქისტე (<-დი=ქისტე), ჯი=რიქისტე (<-დი=რიქისტე), ჯი=ვიქისტე (<-დი=ვიქისტე). ჯი=რ=ყენ (<-დი=რ=ყენ), ჯი=ბ=ყენ (<-დი=ბ=ყენ), ჯი=ტყენ (<-ჯი=დ=ყენ<-დი=დ=ყენ) - სუბ.კლას.მიხ. - „არ მოსვლა“ (აირყენ, აიბყენ, აიტყენ<-აიდყენ „მოსვლა“). აქედან ნამყო მიმღეობის უარყოფითი ფორმები: ჯი=რ=ყედ (<-დი=რ=ყედ) (<-ჯი=ბ=ყედ<-ჯი=ბ=ყედ (<-დი=ბ=ყედ) „არ მოსული“, „მოუსვლელი“ (აიბყედ „მოსული“)...

ჯი=ში=არი (<-დი=ში=არი) „არ იყო“. დი=შინაქენ (<-დი=შინაქენ) „რომ არ ყოფილიყო“; ჯი=ქისნაქენ (<-დი=ქისნაქენ) „არ იქნებოდა“...; ჯი=ბ=ყედ „არ მოსული“ - მაგ., ჯიბყედ აიგან „არ მოსული (ვთქვათ, შინ მოუსვლელი) ცხენი“ (აიბყედ „მოსული“)...

2) მუხადურშიც „არის“ მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმაა დიშ->ჯიშ¹¹->(ასიმინლაციის შედეგად) ჩიშ; ყვე-

1. ბორჩულში: ჩი=რ=ყენ, ჩი=ბ=ყენ, ჩი=ტ=ყენ - გრ.კლას. მიხ. - „არ მოსვლა“ (ირყენ, იბყენ, იტყენ „მოსვლა“).
2. იხრეკულშიც: ჯი=რ=ყედ, ჯი=ბ=ყედ; ბორჩულში: ჩი=რ=ყედ, ჩი=ბ=ყედ.
3. ბორჩულში: აიშირ=დიშ „არ იყო“.
4. საინტერესოა, რომ ზოგ ამ ფორმაში უარყოფის ნაწილაკი დი=ს სახითაც ჩრება იშ-კილოებშიც, სადაც დი->ჯი ჩვეულებრივია.
5. ბორჩულში: ჩი=ბ=ყედ; ჩიბყედ ბალქან „(შინ) მოუსვლელი ცხენი“; ჩიბყედ თელავგამა“ (ჯერ) არ მოსული, არ მოღწეული ტელავგამა“.
6. მაგალითად, შინაზურ კილოში; სპორადულად - სხვა კილოებშიც, მათ შორის - რუთულურ კილოშიც.
7. უპირატესად - ბორჩულში.

ლა ეს ვარიანტი გამოიყენება ზმნათა უარყოფითი „ფორ-
მის“ საწარმოებლად. მაგალითები: ზას ღიგარ=დიშ←-ღი-
გარა=დიშ „არ მიყვარს“, „არ მსურს“ (ღიგარა „მიყ-
ვარს“, „მსურს“).

3. წახურისაგან განსხვავებით მუხადურს მოეპო-
ვება უარყოფის გამომხატველი ტიპი → ვაც სიტყვაც -
„არა“; მაგალ., ვაც ჰალა „ჯერ არა“. ეს შენიშნული
აქვს ა. დირსაც (1911; გვ. 187). იგი ცალკე, ჩანართ სიტ-
ყვად, იხმარება (დაახლოებით ისე, როგორც ქართული „არა“)
და, მაშასადამე, უარყოფის გამოსახატავად სხვა სიტყ-
ვებს (ზმნას, სახელზმნას) არ დაერთვის. ამ სიტყვის
წარმომავლობა სარკვევია. შესაძლოა, იგი (ვაც←-ტიაც)
წარმომავლობით „არის“ ზმნის უარყოფითი ფორმა იყოს
და მიეკუთვნოს თავისებური წარმოების ისეთ ზმნებს,
როგორებიცაა ა) მუხადურშივე დამოწმებული დადებითი
წარმოების ჭუყ („არის იქითა მხარეს ან უკან“) ლყ
(„არის ზევით“) და მისთ. ფორმები, ანდა ბ) წახურში (გილ-
მიწურ კილოში) დამოწმებული დიყ („არა“ ეტიმოლ.: „არ
არის“). თუ ეს ასეა, მაშინ იგი (ვაც) შეიძლება დაიშა-
ლოს ასე: ვაც←-ტიაც (უ=აც?), აქედან ბოლო ნაწილი
=ყ (=აყ) უნდა მიჩნეულ იქნეს ზმნის ძირად, ხოლო თავ-
კიდური ვ←-ტი (ვაც←-ტია?) ელემენტი - დანიშნულებით მ
(მა, მე), ანდა ღ (და, დე, დი) ნაწილაკთა შესაბამის
ელემენტად. ²

1. შინაზურში: ღიგარ=ჯიშ. ბორჩულში მოწმდება კონტამი-
ნირებული ვარიანტიც: ღიგარშ←-ღიგარაშ←-ღიგარ=იშ←-
ღიგარა=იშ←-ღიგარა=ჯიშ←-ღიგარა=დიშ. ამის გვერდით
უარყოფის ფორმა სრული სახითაც აღინიშნება: ღიგარ=
დიშ... ასევე: ღიშირ=დიშ („არ იყო“)... იხრეულ-
შიც მოწმდება ორგვარი სახეობის წარმოება - საული და
კონტამინირებული, მაგალ.: ჯგ შარ=დიშ || ჯგ შაჰ. იშ...
2. შტრ. ქართ.: ღარ „არმყოფი“ (საბა), უარი „არას თქმა“
(საბა)...

სხვა მანიშვნები წახურსა და მუხადურში ზმნის
(და სახელზმნის) უარყოფითი ფორმის წარმოებას-

თან დაკავშირებით

I. თუ დადებითი მნიშვნელობის ზმნა (ან სახელზმნა) არ იწყება რაიმე სხვა ნაწილაკოვანი ელემენტით ან პრევერბის დანიშნულების მორფემით, უარყოფის ნაწილაკი, როგორც წესი, გამოიყენება ინიციალურ ელემენტად, შდრ., მაგალითად, მუხად. ჰაყას, ჰეჰჰუნ (კეთება) - დაყას, დეჰუნ (არ კეთება, გაუკეთებლობა)... მაგრამ: თუ ზმნაში (ან სახელზმნაში) პრევერბის მნიშვნელობის რაიმე ელემენტი იხმარება, უარყოფის ნაწილაკი ყოველთვის მოსდევს მას: შდრ., მაგალ., ა) მუხად.: ქი=ყუნ „დაკარება (ხელისა)“, „შეხება“, „ხლება“ - მაგრამ: ქი=ჟი=ყუნ < - ქი=დი=ყუნ „არ დაკარება (ხელისა)“, „არ შეხება“, „არ ხლება“... 2) წახ.: კი=კიი „კვდომა“ - მაგრამ: კი=დე=კიი „არ კვდომა“... ამ მხრივ გარკვეული სხვაობაა წახურს=მუხადურსა და ზოგ ახლ=მონათესავე ენაში, კერძოდ, უდიურში, სადაც აღნიშნული წესი ყოველთვის არ არის დაცული: აქ უარყოფის ნაწილაკი და ამის მიმყოფი პირის ნიშანი ზოგჯერ შეიძლება აღმოჩნდეს „პრევერბის“ წინ (I). შდრ., მაგალ.: ჭე=ნე=სა (გადის) და თე=ნე=ჰესა (არ გადის), ცი=ნე=სა (ჩადის) და თე=ნე=ჟისა (არ ჩადის)... მაგრამ „პრევერბიანი“ ზმნის უარყოფითი ფორმა უდიურში ასეც იწარმოება: ჭე=თე=ნე=სა (არ გამოდის), ცი=თე=ნე=სა (არ ჩადის)... რომელია აქ წესიერი და რომელი ანომალური წარმოებისა, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, აქ ხდება ზმნის ფუძე-ფორმის შემდგენილობაში შემავალ ელემენტთა (მარცხელთა) მეტათეზისი. ამასაც შემდგომი დაკვირვება დასჭირდება. მუხადურში პრევერბული მნიშვნელობის ელემენტი, როგორც ითქვამს, ყოველთვის წინ უსწრებს ზმნის ყველა

მორფემას, მათ შორის უარყოფით ნაწილაკსაც და გრ. კლასის პრეფიქსსაც; იგი უთუოდ თავკიდეური ელემენტია.

2) შედარება გვიჩვენებს, რომ წახურსა და მუხადურ-ში ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოების პრინციპი და საშუალებები ერთნაირია; ერთნაირია მათი გამოყენების ტექნიკაც; სხვაობას ქმნის მხოლოდ მაწარმოებლებში მომხდარი ფონეტიკური ცვლილება.

უარყოფის მ(+ხმ) ნაწილაკი წახურისა ემთხვევა მუხადურ მ(+ხმ) ნაწილაკს; დ(+ხმ) ნაწილაკიც მეორდება ორივეგან, მაგრამ უარყოფის მაწარმოებლად გამოყენებულ „ყოფნა (არის)“ ზმნაში თავს იჩენს სხვაობა ხმოვნების მხრივ: შდრ., დეშ (წახ.) – დეშ (მუხად.). აქედან პირველი ვარიანტი უფრო ძველი ჩანს, მეორე მისგან უნდა მომდინარეობდეს (ალბათ შ=ს მიმყოფ ელემენტად ოდიტგან ე ხმოვნის გაელენით – ასიმილაციით): დეშ<– დეში<– დეში<–>დეშ. ამასთან: მუხადურში დამოწმებული (დ=საგან მიღებული) ჯ||–>ჩ ვარიანტები არ იცის წახურმა. ამ უკანასკნელს დაცული აქვს მხოლოდ ერთი (დ) სახეობა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, მუხადურში წარმოქმნილი ეს ფონეტიკური ვარიაციები (ჯ, ჩ) შეპირობებუ-ლია ე (ე–ი) ხმოვნის ხასიათით.¹

მუხადურს არ მოეპოვება აგრეთვე წახურის ზოგ კილოში (კერძოდ, გილმიწურში) დამოწმებული დიქ, რომელიც მნიშვნელობით უდრის დეშ (მუხად.) და დეშ (წახურ.) „მაწარმოებლებს“. შდრ., მაგალ., ზაზ ექჷან=დიქ „არ მსურს“; ჰაყაზდა=დიქ „არ გააკეთებს“ (დიქ ელემენტის შესახებ ზოგი სხვა ცნობა იხ. ყოფნა ზმნა).

3. თვისტომ ენათა სათანადო მონაცემებთან შედარება ცხადჰყოფს, რომ წახური და მუხადური, ზოგი განსხვავების მიუხედავად, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოების

1. მართალია, თავად ე ხმოვანსაც შეეძლო გამოეწვია ამგვარი ცვლილება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მხრივ მისი შესაძლებლობები უფრო ნაკლებია: შდრ. წახური დეშ(!).

მხრივ განმარტოებით არ დგას: თვისტომთა ენებშიც ვლინდება თითქმის ასეთივე ან ფარდი მაწარმოებლები; წარმოების პრინციპიც ანალოგიურია. უფრო სწორედ: 1) ამ ენებში უარყოფის ნაწილაკები მატერიალურად (ფონეტიკურად) ერთნაირია ან შესაბამისი, მაგრამ რამდენადმე განსხვავდება გამოყენების ტექნიკით (გამოყენების ადგილის მიხედვით), ანდა: 2) უარყოფის ნაწილაკთა ერთი ნაწილი ევარდება ან ემთხვევა ერთი=მეორეს, ერთი ნაწილი კი არა, წარმოების პრინციპისა თუ ტექნიკის მხრივ კი მათ შორის დიდი განსხვავება არ არის.

ამ განმარტებათა საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ: 1) ალუღური ზმნა, სადაც უარყოფის ელემენტებად გამოიყოფა დ, მ; ერთსაც და მეორესაც შეიძლება ახლდეს ხმოვანიც (ჩვეულებრივ ღ ხმოვანი). პირველს

სიტყვის ბოლოში მოუდის უ(ა) სუფიქსიც (და+ჟა), ხოლო მეორე იხმარება მხოლოდ აკრძალვით ბრძანებითში. მაგალ.: 1) უხაა=და=ჟა „არ სვამს“ (უხარაა „სვამს“), უხასტავა<—უხას=და=ჟა „არ დაღევს“ (უხასე „დაღევს“)... 2) ბრძან.: მა=ღივა (ღივას „წვივა“); ბრძან.: ა=მა=უჭა (უჭას „შესვლა“); ბრძან.: ა=მა=უჭა, ა=მა=უჭტა (ატტას „წასვლა“) — (ა. დირი, 1907; ალ. მაჰომეტოვი, 1970). 2) უდიურში გამოიყენება ა) მა, ბ) თე და გ) სრულიად განსხვავებული ნჯ, ნუ ნაწილაკები. ამ ნაწილაკთა გამოყენების არე ასეთია: ა) მა ნაწილაკი იხმარება აკრძალვით ბრძანებითის ფორმასთან, ანდა ბრძანებითად გამოყენებულ კატეგორიულობის გამომხატველ კავშირებითთან; მაგ., მა ექე „არ მოხვიდე!“ მა ბა „არ გააკეთო!“ მა უფა „არ თქვა!“... მა=ყა=ნ=არი „არ მოვიდეს!“ მა=ყა=ნ=ბი „არ აკეთოს!“ ბ) თე ნაწილაკი იხმარება ტემპორალურ ფორმებთან; მაგ., თე=ნე=ესა „არ მოდის“, თე=ნე=არე „არ მოვიდა“; თე=ნე=ბესა „არ აკეთებს“, თე=ნე=ბე „არ გააკეთა“... გ) ნჯ, ნუ ნაწილაკები იხმარება მოდალურ ფორმებთან; მაგ., ნუ ელა=ნ „არ მოხვიდე“, ნუ

ელაზბ „არ მოვიდე“, ნუ ბა=ნ „არ აკეთო“, ნუ ბა=ზ „არ ვაკეთო“, ნა=გი=ნ=არე „რომ არ მოსულიყო“, ნა=გი=ნ=ბე „რომ არ გაეკეთებინა“... უდიურს აქვს აგრეთვე ერთი კომბინირებული ნაწილაკიც: ნუთ (ნუთ=ნ-ნუთ=თ), რომელიც გამოიყენება მასდარ=ინფინიტივის, მიმღობის, სუპინუმის, გერუნდიუმის ფორმებთან და მიმღობური წარმოების მყოფადის ფორმასთან; მაგ., ნუთ=ესუნ „არ მოსვლა“, ნუთ=ბესურ „არ კეთება“; ნუთ=არი „არ მოსული“, ნუთ=ბი „არ ნაკეთები“, „გაუკეთებელი“; ნუთ=ესან „არ მოსასვლელად“, ნუთ=ბესან „არ გასაკეთებლად“; ნუთ=ელახუნ „არ მოსვლისას“, ნუთ=ბახუნ „არ კეთებისას“, ნუთ=ელაღ „არ მომსვლელი“, ნუთ=ელაღღე „არ მოვა“; ნუთ=ბაღ „არ მკეთებელი“, ნუთ=ბაღღე „არ გააკეთებს“... ამ ცნობების მიხედვით ჩანს, რომ უდიურში ზმნის უარყოფითი ფორმა ორგვარად იწარმოება: ა) ანალიტიკურად: ზმნის ფუძე=ფორმებთან ნაწილაკთა შერწყმის გარეშე; ამ რიგისაა ზმნის ფორმები, რომლებთანაც გამოიყენება მა და ნუ ნაწილაკები. ბ) ორგანულად: ზმნის ფუძე=ფორმასთან ნაწილაკის შერწყმით (აქ კი უდიურში მეორდება წახურ=მუხადურის მდგომარეობა); ასეთებია, მაგალითად, უდიური ზმნის ფორმები, რომლებთანაც გამოიყენება თე ან ნჯ ნაწილაკი. ამგვარად, უდიურში უარყოფის ნაწილაკთა ერთი ნაწილი მატერიალურადაც (ფონეტიკურად) და წარმოების ადგილის მიხედვითაც ემთხვევა ან ეფარდება წახურ და მუხადურ ნაწილაკებს, ერთი ნაწილის მიხედვით კი რამდენადმე სცილდება მას. ვ) თაბასარანულში უარყოფის გამოსახატავად იხმარება: ა) დარ, დაღ, დირ, დიღ, ღურ, ღულ; ბ) არ, ირ, ურ, ორ, ურ; გ) მი, მე. აქედან პირველი და მესამე წყების ნაწილაკებს აქვთ „არ“ ნა-

I. ნუთ ნაწილაკი იხმარება უდიურ სახელებთანაც, კერძოდ, არსებით სახელთან და აქვს ის მნიშვნელობა, რაც ქართ. უ- პრეფიქსს=სუფიქსს, მაგ., ნანა=ნუთ „უდელო, უდელოდ“; უკ=ნუთ „უგულო“, „უგულოდ“... .

წილაკის მნიშვნელობა: შდრ., მაგალ., აბუზ „კეთება“-
 დარაბაზუზ „არ კეთება“; მეორე წყების ნაწილაკები კი
 გამონატარევი დაახლოებით იმას, რასაც, მაგალ., რუს.
 беа(обезоружать) საინტერესოა ისიც, რომ ამ რიგის
 ნაწილაკებს აქვთ რუს. вы-თავსართის მნიშვნელობაც
 вы-ливать ასეთ შემთხვევაში უარყოფის გამოსახა-
 ტავად ზმნები ასეთ ნაწილაკს დაირთავენ მრჩობლად:
 შდრ., მაგალ., უბტუზ „შესხმა выхват - ურუბტუზ „გა-
 სხმა“, მაგრამ: ურუბტუზუბტუზ „არ გასხმა“. ჩამოთვლილ
 ნაწილაკებში თავის მხრივ ყურადღებას იპყრობს ხმოვან-
 თა ცვლა; დარ-დარ-დარ და ბოლოკიდურ რ და ლ თანხმო-
 ვების შენაცვლება: (დარ-დალ). ა.დირი აქ ხედავს
 ხმოვანთა ჰარმონიის ტენდენციის გამოვლენას, ხოლო რ-ლ
 ბგერათა შენაცვლება ახსნილი აქვს რ ელემენტისა და
 საწარმოებელი ფუძის ლ ელემენტის დამსგავსების პრო-
 ცესით (ა.დირი, 1905, გვ.48...). პირველი წყების ნა-
 წილაკები (დარ...) საინტერესოა აგებულების თვალსაზ-
 რისითაც. ა.დირი ამის შესახებ არაფერს ამბობს; არა-
 ფერი აქვს ნათქვამი აგრეთვე ამ წყებისა და მეორე
 („არ“ და მისთ.) წყების ნაწილაკთა ურთიერთ მიმართე-
 ბის შესახებაც. შდრ. დარ-და-რ (და-არ?) და არ.კ.ბო-
 უდა აღნიშნავს, რომ „უარყოფის გამომხატველია ანლაუ-
 ტური დენტალი; მაგრამ ის, თუ რა დანიშნულებისაა „დარ“
 ში რ ელემენტი, მე არ ვიცი-ო, შემდეგ კი დასძენს:
 „შესაძლებელია, აქ იყოს გაქვავებული კლასიანი“.
 კ.ბოუდა იმასაც შენიშნავს, რომ დ- როგორც უარყოფის
 ელემენტი - სრულიად ეფარდება კიურულს“ (კ.ბოუდა,
 1939, გვ.86, 96). თაბასარანულსა და ადულურში უარყო-
 ფითი და აკრძალვითი ფორმები ძირითადად ერთნაირად
 იწარმოება. ამ ენათა ზმნაში უარყოფა გამოიხატება მე-
 შველი ზმნის უარყოფითი ფორმით - დარ („არ არის“)
 ზმნის საშუალებით: შდრ., დუმუშუ „ის არის“ - დუმუ
 დარ „ის არ არის“. თუ ზმნას თავკიდურ ელემენტად გრ.

კლასის პრეფიქსი მოუდის, უარყოფის მორფემა მოსდევს მას; ასეა ეს, კერძოდ, თაბასარანული ენის ჩრდილოურ დიალექტში: ბი=კუზ „წერა“ - ბი=რი=კუზ „არ წერა“.

სამხრულ კილოში კი უარყოფის ელემენტი აბსოლუტურ დასაწყისში დაერთვის: შდრ., ბირხუზ „კერვა“ - დი=ბრი-ხუზ<-დი=ბირხუზ „არ კერვა“. პრევერბიან ზმნებში უარყოფითობის მაწარმოებელი მოსდევს პრევერბს: შდრ., ქი=ფუზ „დადება რისამე ქვეშ“ - ქი=დრ=იფუზ „არ დადება“. ალ= („ზე=“) პრევერბიან ზმნას უარყოფითობის ორი მაწარმოებელი მოეპოვება: ერთი იწარმოება ჩვეულებრივი წესით, ე.ი. „დარ“ის მეშვეობით, ხოლო მეორე - პრევერბის გამეორებით: ალახუზ „ჩაცმა“ - ალ=დრ=ახუზ ან ალ=ალ=ახუზ „არ ჩაცმა“. სამხრულ კილოში აკრძალვითი ნაწილაკი ყოველთვის წინ უძღვის ზმნას; ჩრდილო დიალექტში კი აკრძალვითი ფორმები იწარმოება უარყოფითი ფორმების მსგავსად. აღუღურში ანალოგიური მდგომარეობაა (ალ. მაჰომეტოვი - 1957; 1965; 1970).

4) ლეზგიურში (კიურულში) უარყოფითი ფორმა იწარმოება ორგვარად: თავსართოვანი და ბოლსართოვანი ელემენტებით. უარყოფის ლეზგიური პრეფიქსებია დ, თ, თთ, რომელთაგან უკანასკნელი გამოიყენება ყველაზე უფრო ნაკლებად. ამ პრეფიქსებით იწარმოება ზმნის ყველა ფორმის უარყოფითობა (ლ. ჟირკოვი, 1941). ლეზგიურში თუ ზმნა უშუალოდ თანხმოვნით იწყება, მაშინ უარყოფის ელემენტებს ჩვეულებრივ რომელიმე ხმოვანი მოსდევს და ასე წარმოგვიდგებიან: და=, დე=, თთა=, თთუ=, თთე=, თთუ=. „თუ თანხმოვნის (დ, თ, თ) გამოყენებაში გარკვეული კანონზომიერების დადგენა ასე თუ ისე ხერხდება¹, ხმო-

1. იგულისხმება ლ. ჟირკოვის მიერ დადგენილი წესი ამ ელემენტთა გამოყენებისა: დ=ხორხუდა ან ყრუ თანხმოვნით დაწყებულ ზმნასთან; თთ=გემინირებული ან მტლერი თანხმოვნის წინ; თ= ვიწრო ხმოვნების წინ.

ვანთა საკითხი უფრო რთულია. როდის რა ხმოვანი იხმარება, ამის გარკვევა ჭირს. საერთო პრინციპის გამოძებნა არ ხერხდება. ერთი წესის გამოტანა მაინც შეიძლება თითქოს: ყველა ზმნა, რომელსაც ფუძეში ღ ხმოვანი აქვს, უარყოფითობისას ე ხმოვანს იყენებს: თეჴინ || დეჴინ (ჴინ „წასვლა“), დეჴინ || თეთრეჴუნ (ჴინ „მოკვლა“). ამასთან აღსანიშნავია, რომ ღ, თ = ერთმანეთის პარა-ლეღურადაც იხმარება ერთსა და იმავე ზმნასთან, თანაც ისე, რომ ამ თანხმოვნებს ახლავს ღ ხმოვანი, ხოლო საწარმოებელი ზმნის ფუძე, რომელსაც უარყოფის ასეთი ელემენტები მოუდის, ღ ხმოვნის ნაცვლად ჟ ხმოვანს შეიცავს: შღრ., მაგალ., ღაგუნ || თთაგუნ „არ მიცემა“, ღაჴუნ || თთაჴუნ „არ ჳრა“, ღაჴუნ || თთაჴუნ „არ სმა“. I საგულისხმოა ისიც, რომ „სალიტერატურო ლეზგიურის ორთოგრაფიაში მხოლოდ თ = პრეფიქსია მიღებული“ (გ. თოფურიანი, 1959). მაშასადამე, 1) უარყოფის ლეზგიური მაწარმოებლებიც წარმოგვიდგებიან მარცვლის სახით და არა ოდენ თანხმოვნისა. ამ მარცვლებში დამოწმებულ განსხვავებულ ხმოვანთა საკითხი კი შეიძლება აიხსნას ასიმილაციით ან ხმოვანთა ჰარმონიის კანონით (შღრ., ა. შენკო, 1929): შღრ., მაგალ., თეჴინ || დეჴინ („არ წასვლა“), მაგრამ: ღაგუნ || თთაგუნ („არ მიცემა“). საყურადღებოა, რომ სალიტერატურო ლეზგიურის ორთოგრაფიაში მიღებულია მხოლოდ ერთი - თ = ვარიანტი, რადგანაც იგი მიჩნეულია ძირითად სახეობად. საინტერესოა, რომ ლეზგიურში უარყოფითი ფორმების აღწერითი წარმოების

I. თუ ზოგჯერ ისე ჩანს, თითქოს აქ მხოლოდ ერთი განხმოვანი უნდა გვექონდეს (შღრ., მაგალ., აქქუნ „ახვანა“-თთაქქუნ; აყახუნ „აძრომა“-თთაყახუნ...), ეს შეიძლება მოჩვენებითი იყოს: ორ ხმოვანთაგან ერთი უნდა ჩავარდნილი იყოს (ელიზიის პრეფიქსი): თთაქქუნ <- თთაჴქქუნ, თთაყახუნ <- თთაჴყახუნ... ამგვარი პროცესი და მანასისათებელია ლეზგიური ჯგუფის ენების სათაფის.

გამოყენებულ „კეცება“ შემდეგ ზმნას „თაჟუნ“=ს თავში უარყოფის თ ნაწილაკი უზის მხოლოდ (გ.თოფურია, 1959).


როგორც ითქვამს, ლეზგიურს უარყოფითი ფორმები სუ-ფიქსებიდაც ეწარმოება. ასეთია სახელდობრ: ჰ, რომელიც ემატება მხოლოდ აწმყოს, მყოფადს, ნამყო ძირითად პირ-ველსა და ნამყო შედეგობითს. ჭიზუაჰ („არ მოღის“), ჭიდაჰ („არ წავა“), ჭენაჰ („არ წავიდა“), ჭენუაჰ („არ წასულა“). ლეზგიური ენის კუბის დიალექტში და ყურახის რაიონის ზოგი სოფლის მეტყველებებაში დასტურ-დება უ სუფიქსი. იგი რ-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს: ჭიდაჰ „არ წავა“, აჟაჰ „არ არის“ (გ.თოფურია, 1959).

შენიშვნა: ჰ სუფიქსს რ. შაჟმიანი (1935) სომ-ხურიდან ნასესხებად მიიჩნევს და უკავშირებს სომხურ რე („არ“) ნაწილაკსა და რეკაჰ („არ არის“). ჯერ ერ-თი: რე, რეკაჰ=ს წარმომავლობა თავად სომხურშია დასადგენი. მეორეც: ეს ჰ შესაძლოა აფრიკატიზაციის შედეგად მიღებული იყოს ზემოთ დასახელებული უთ(თხ) ან უ ნაწილაკისაგან ისევე, როგორც უ წარმოსდგება უ=საგან (იხ. ზემ.). ამას შემდგომ რა თქმა უნდა, დასჭირ-დება გულდადებული დაკვირვება.

ამ ცნობებიდან კარგად ჩანს უარყოფით ფორმათა წარმოების მსგავსება=სხვაობა წახურში, მუხადურსა და სხვა თვისებში ენებში; თანაც ისე, რომ ამ ენათა შორის წახური და მუხადური გვიჩვენებს ერთნაირ ან თითქმის ერთნაირ მდგომარეობას, სხვა ენებში კი ანალოგიური ვითარებაცაა და განსხვავებულიც. საერთო ხასიათის ამ ცნობებს უნდა დაემატოს შემდეგი: I) ოდენ თანხმოვნების სახით უარყოფის ნაწილაკთა გამოყოფის საკითხს დაზუსტე-ბა ესაჭიროება: აქ უნდა გვემინდეს მარცვალის (თანხმოვანი + ხმოვანი) და არა მხოლოდ თანხმოვანი (იხ. ზემ. შნშ).

2) ლეზგიური ჯგუფის ენათა უარყოფითი ნაწილაკები წარ-მოქმნიან მრავალფეროვან ვარიანტს: მ (+ხმ); დ, რ, ჯ, თ,

თხ, ჯ, რ. (+ესა თუ ის ხმოვანი). წახურისა და მუხადუ-
რის მიხედვით ზემოთ აღინიშნა, რომ ბოლო ორი სახეობა
მეორეულია: დ->ჯ||->ჩ (იხ. ზემ.). ადელურ-თაბასარანუ-
ლისა და ლეზგიურის მიხედვითაც აღინიშნა, რომ არც სხვა
ვარიანტები გამოხატავენ პირველად მდგომარეობას. ყვე-
ლა ამ ნაწილაკის საყრდენ ვარიანტად ითვლება დ (იხ.
ზემ.) ამა თუ იმ ფუძე-მორფემის ყრუ თანხმოვანთათვის
არქეტიპად მუდერის მიჩნევას შესაძლებლად თვლიდა ჯერ
კიდევ ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი (1930; 1931). ეს თავის-
თავად საგულისხმოა და, მაშასადამე, შეუძლებელი ვარაუ-
დი არ არის. მაგრამ ლეზგიურ ენათა შესაძლებლობათა
კვლობაზე ამ ენებში არსებულ უარყოფის თხ (ნახევრად-
ფშვინც. ინტენს., მყოვარი თ), თ, დ, რ, ჯ, ჯ, ჩ (+ხმ.)
ნაწილაკთა ერთიანობისა და ფონეტიკური ცვლილების გზა
შეიძლება ასეც წარმოვიდგინოთ:



ზემოთაც გვქონდა ციტირებული და აქაც, - პოსტუ-
ლატ-ვარიანტად თხ=ს მიჩნევასთან დაკავშირებით, -
უნდა გავიმეოროთ ლეზგიურ მონაცემთა მიხედვით გ. თოფუ-
რიას შრომიდან (1959, გვ. 62, 63) ამოღებული ერთი ასე-
თი ცნობა: სალიტერატურო ლეზგიურის ორთოგრაფიაში მი-
ღებულია მხოლოდ ერთი - თთ (=თხ - ე.ჯ.) ვარიანტი,
რადგანაც იგი მიჩნეულია ძირითად სახეობად. ეს ინფორ-
მაცია ბევრის შეტყვევია.

კითხვის ფორმები წახურ და მუხადურ ზმნაში . . .

როგორც წახურ, ისე მუხადურ ზმნას მოეპოვება
კითხვის ფორმები. კითხვის გამოსახატავად გამოიყენე-
ბა ნაწილაკოვანი ელემენტები. ასეთი ფორმა აქვს უარ-

ყოფის გამომხატველ ზმნასაც (კითხვით=უარყოფითი ზმნე-
ბი).

კითხვის გამოხატვა წახურ ზმნაში

კითხვის გამოსახატავად წახურ ზმნაში გამოიყე-
ნება ნაწილაკოვანი ელემენტები: ი||->ჟ, ნა||->ნჯ->||
ნე, ნი->ჟი. ამათგან ზოგი იხმარება კითხვით ნაცვალ-
სახელსა და ზმნისსართშიც, ზოგჯერ სხვა სიტყვებშიც;
უფრო კი დაერთვის შესიტყვების იმ წევრს, რომელსაც
ეხება კითხვა (დაახლ. ამასვე აღნიშნავს ა. დირიც).

დასახელებულ ნაწილაკათგან ყველაზე გავრცელე-
ბულია =ნა->ნჯ->ნე; მოწმდება თითქმის ყველა კილო-
კილოკავში, უმთავრესად კი - წახურულში, მიშლეშურსა და
მიქიქურში; გილმიწურ=ლექურში ამას ენაცვლება ჟ<-ი
(სპორადულად - ნე და ჟე, ჟი ელემენტებიც იხმარება).
მაგალითად:

წახურული^I

გილმიწური, ლექური:

1) შავეუს=ნა=ჰვევ აიღენ თურსბე I) შავეუზ=ჟი=ჰვევო
აიღენ თურსბი?
შავეუს=ი აუღენ
თურსბი ჰოუვა?

„ვის მიეცი შენი წინდები?“

2) შინა ჰიჯოო=ნა? 2) შინა ჰაჯიგო=ჟ? (გილმიწ.)
ჰაინ ჰაჟუე=ი? (ლექ.)

„რა არის ეს?“

3) ნიშის=ნა ლუ არა? 3) ჰაიზ დაზღაზნა=ჟ ლუ? (გილმიწ.)
ნაყას=ი=ბარჯ ლუ? (ლექ.)

„რისთვის (რატომ) მოხვედი შენ?“

4) აიზდა დექჰ ჰაშუ=ჟი? 5) აიზნა დქჰ ჰაშუ=ი?

„ჩემი მამა ვინ არის?“

I. თითქმის ასევეა მიქიქურში, მიშლეშურში.

გარდა ღ და ნ ნაწილაკთა შენაცვლებისა, არის შემთხვევები, როდესაც ა) წახურულ კილოშიც და გილ-მიწურშიც იხმარება ნა||ნე ნაწილაკი; შდრ., მაგალ., შაუს=ნე=ყანატა ლე მიჰმან აჰკაზ? (გილმიწ.) - შაუს=ნდ ლე მიჰმან ოხკვაზ? (წახურულ.) „ვისთან მიდიხარ სტუმრად?“ ბ) ლექურ კილოში დამოწმებულ ღ (ნ) ნაწილაკს გილმიწურში ზოგჯერ ენაცვლება ნ, წახურულში კი - =ნდ ნაწილაკი, შდრ., მაგალ., ნაყას=ღ (ნალას=ნ) ლე იტემრა ხარაბ=ჰაყე? (ლექ.) - ნიში=ნღ ლე მახჰქა-შმრა ხარაბ=აყე? (გილმიწ.) - ნიში=ნღ ლე მახჰქაშმრა ხარაბ=ჰაყე? (გილმიწ.) - ნიშინ =ნა ლე ეტემრა ხარაბ=ეყე? (წახურულ.) „რამ გაწყინა (გაგაფუჰვა) ასე მაგრად?“

წახურს მოეპოვება კითხვის =ა->წ||->ღ ნაწილაკიც, რაც =ნა->ნწ ნაწილაკის პარალელურად (ეპირატესად ზმნასთან) გამოიყენება (მეტადრე-გილმიწურ კილოში) - შდრ. ა.ღირი - 1913, გვ.108,109.

გილმიწური

წახურული:

1) ვასხანა ვოლ=ღ დავთარ? 1) ვასხანა ვოლენ=ნდ (ვოლენ=ნ=ღ) დავთარ?

„შენ გაქვს წიგნი?“

2) ვატა ჯედ ვორ=ღ? 2) ვატარ ჯედ ვორ=ნა=ნდ?

„შენ ღედა გყავს?“

3) ვატა უშახ ვორ=ა? 3) ვატარ უშახ ვორ=ნა=ნდ?

„შენ შვილი გყავს?“

მაგრამ - ასეც:

4) ვატა დიყ=ნა=ნდ? „არ გყავს?“ 4) ვატარ დეშ=ნა=ნდ „არ გყავს?“

გილმიწურში დამოწმებულ „ღ“=სა და წახურულ =ნა||=ნდ ნაწილაკს ლექურში ენაცვლება =ღ შდრ., მაგალ., ვატა ჯედ ვორნა=ღ? „შენ ღედა გყავს?“ ვატა დქ~ვორნა=ღ? „შენ მამა გყავს?“ ვატა ნაბაღო ვორნა=ღ „შენ შვილი გყავს?“

თვისტომ ენათაგან კითხვის = ნაწილაკი მოეპო-
 ვება უდიურს.ოლონდ აქ ეს ნაწილაკი საკითხავ სიტყ-
 ვას დაერთვის ბოლოში,თუკი ასეთი სიტყვაა: ა)მხოლ.
 რიცხ.მესამე პირის (პიროვნების) ნაცვალსახელი, ბ)
 მსაზღვრელი სახელი (უპირატესად - გასუბსტანტივებული).
 გ)ადვერბი: დროისა, ადგილისა,კითხვისა,ვითარებისა;
 დ)მხოლოდით რიცხვში დასმული ზმნის მესამე პირის
 ფორმა და,რასაკვირველია, ე)„ვინ“ და „რა“ ნაცვალსა-
 ხელი. თანაც უნდა შენიშნულ იქნეს,რომ უდიურში ეს
 ნაწილაკი მოუდის მარტოოდენ მხოლ.რ. მ ე ს ა მ ე
 პ ი რ ი ს კითხვის „ფორმას“. ამასთან: ეს უ ნაწილა-
 კი ეწევა მესამე სუბიექტური პირის ნიშნის მაგივრობას
 (ამ ნაწილაკის დართვის შემთხვევაში ზმნას პირის ნი-
 შანი აღარ მოუდის); გარკვეულ შემთხვევაში იგი „არის“
 ზმნის მნიშვნელობასაც გამოხატავს. შდრ., მაგალ.:
 1) შუ „ვინ“ - შუა „ვინაა? ეკა „რა?“ - ეკაა „რა
 არის?“; მანო „რომელი“ - მანოა „რომელია?“ ქა
 „მანდ“ - ქაა „მანდაა? მა „სად?“ - მაა „სადაა?“
 შელ „კარგი“, „კარგად“ შელა „კარგია?“ „კარგადაა?“
 2)ფენე „თქვა“ - ფენე „თქვა?“ არენე „მოვიდა“ -
 არენე „მოვიდა?“... 3)არის უდიურში ისეთი შემთხვე-
 ვებიც,როდესაც კითხვის = ნაწილაკი საკითხავი სიტყ-
 ვის ბოლოში კი არ ზის,არამედ - თავში,შუაში. შდრ.,
 მაგ.: უნენქე „ჭამა“, „შეჭამა“ - უუნქე „შეჭამა
 კია?“ თანენქე „წავიდა“ - თანენქე „წავიდა კი?“

ეს უდიური მონაცემები საინტერესოა ორმხრივ: ერ-
 თი - იმით,რომ კითხვის = ნაწილაკი მარტოოდენ წახუ-
 რის კუთვნილება არ არის: იგი მოიცავს „ლევგიურ“ ენა-
 თა სხვა არეალსაც; მეორეც - ამ ნაწილაკის დანიშნულე-
 ბა აქ (უდიურში) გაცილებით უფრო მრავალფეროვანია,ვიდ-
 რე წახურში: აქცს პრედიკატული მნიშვნელობა,ენაცვლე-
 ბა პირის ნიშანს,გამოხატავს მოქმედების რითიმე შეპი-
 რობებას,ერთგვარ დაეჭვებას და სხვ. ეს კი ისეთი ფაქ-

ტორებია, რომლის გათვალისწინების გარეშე ძნელი იქნება ამ ნაწილაკის თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენა. I

თავისთავად დგება კითხვა წახურში გამოყენებულ მრავალფეროვან ნაწილაკთა ურთიერთმიმართების საკითხი: ნჯ რომ ნას პალატალიზებული სახეობაა, ეს წახურის საერთო ფონეტიკური ტენდენციის მიხედვით ნათელია. ნდ->ნ->ა ნაწილაკთა ფონეტიკური ევოლუციის ამგვარად გათვალისწინებასაც თითქოს არაფერი აბრკოლებს; მაგრამ ძნელდება ნდ, ნა=სა და ა ნაწილაკის ურთიერთობის ახსნა. გამარტივების (ნა->ა) პროცესი, შეიძლება საგულისხმებელი იყოს, მაგრამ ის, რომ ეს ნაწილაკი მაინცდამაინც ამ (ა=ს) სახით მოეპოვება გილმიწურ კილოს ნა=სა და ა კილოს პარალელურად, ამასთან - ეგვევ ა ნაწილაკი მოწმდება თვისტომ უდიურშიც, სადაც (ვართაშნულ კილოს მიხედვით მაინც) მოსალოდნელი არ არის ასეთი გამარტივება, საფიქრებელს ხდის, რომ აღნიშნული (ა) ნაწილაკი მაინც სხვა წარმოშობისაა. ა ნაწილაკის სხვა წარმომავლობაზე უნდა მეტყველებდეს უდიურში მისი გამოყენების განსხვავებული არე თუ დანიშნულების მრავალფეროვნებაც.

კითხვის გამოხატვა მუხალურ ზმნაში

ეს „ფორმა“ მუხალურში გაცილებით ღარიბია, ვიდრე წახურში. ა. დირსაც აქვს აღნიშნული, რომ ამ ფუნქ-

I. შდრ. ქართ. (ძვ. ქართ., დიალ.), სადაც კითხვის ნაწილაკი ა საკითხავ სიტყვას დაერთვის ბოლოში: „უწყი-ა, ხუცეს“; „არა მისი გაზრდილი ხარ-ა“; „გნახა-ა შენ როსტომ ლახვარ-ხეული“... (აკ. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე - 1937). უდიურში კითხვის ა ნაწილაკის არსებობა შენიშნული აქვთ სხვა მკვლევარებსაც (ა. შიფნერს - 1863, ა. დირს - 1903; ელ. ფანიჩიძეს, რომელსაც შეფარდებული აქვს ქართულ ა ნაწილაკთანაც - 1946). მაგრამ ამ ნაწილაკის გამოყენების ყველა შესაძლებლობა, სამწუხაროდ, არა აქვთ გათვალისწინებული.

ციმ გამოყენება მხოლოდ მაშინ ნაწილაკები, რაც ბო-
 ლში მოუდის საკითხავ სიტყვას (ზმნას). ამ ნაწილა-
 კის შემცველი ზმნა ზოგჯერ იცვლება ფონეტიკურად: კით-
 ხვის ფორმიანი ზმნა ხშირად კონტამინაციის წესით შე-
 ერწყმის წინამდებელ სიტყვას (მაგ., სახელს), ზოგჯერ კი
 თავად ზმნაშივე ხდება ამგვარი ცვლილება, როდესაც მას
 ბოლოში ეს კითხვის ნაწილაკი მოუდის. კითხვის ნაწილა-
 კი ზმნას არ დაერთვის, თუკი შესიტყვებაში ნახმარია
 კითხვის გამომხატველი რაიმე სიტყვა. აღნიშნული მდამდ
 ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ზმნის უარყოფით ფორმა-
 საც, რის შედეგად წარმოიქმნება კითხვით-უარყოფითი
 ფორმები (იხ. ქვემოთ). მაგალითები: 1) ყა=მა „არის?“
 (ყა „არის“); აიშირი=მშ „იყო?“ (აიშირი „იყო“); აი-
ქისი=მშ „იქნება?“ (აიქისი „იქნება“)... 2) აიკ=ი-
მშ<-აიკ=ი=მშ<-აიკ=აიყი=მშ „გული არის?“ „არის კი
 ხალისი, გუნება?“ (აიკ „გული“, აიყი „არის“); 3) ჰის
ჰეყერი ჰა ქარ ვა „რატომ გააკეთე ეს საქმე?“ „რა-
 ტომ ჩაიდინე ეს?“ ვგ ჰილიყა „სად იყავი?“ ჰად ჰი-
ლნდვ ედემი აიყი „საიდან არის ის კაცი?“ „სადაურია
 ის კაცი?“ ვუშ აირყრა „ვინ მოვიდა?“ ჰაღდვ ჰემიდ
ჰეჟან ვიყი „ვისია ეს ცხენი?“¹. 4) ჰაყარ=დიშ=მშ<-
ჰაყარა=დიშ=მა „არ აკეთებს?“; აწერ=დიშ=მშ<-აწერა=
დიშ=მა „არ იცის?“ (აწერ=დიშ „არ იცის“, აწერა
 „იცის“)...

დასასრულ, გასარკვევი რჩება, წახურში დამოწმე-
 ბულ და, და ნაწილაკებისა და მუხადურ მდამდ ნაწილა-
 კის ურთიერთობის საკითხი (შდრ. აგრეთვე უდიური და ნა-
 წილაკი). ყველა იმ შესაძლებლობის მიხედვით, რაც ამ
 ენებს მოეპოვებათ, უნდა ციფიქროთ, რომ ჩამოთვლილ ნა-

I. როდესაც კითხვის გამომხატველი ესა თუ ის სიტყვა
 იხმარება, ზმნას კითხვის ნაწილაკი აღარ მოუდის. ეს
 მაგალითები ამის საილუსტრაციო ნიმუშებია.

წილაკებს სხვადასხვა წარმომავლობა აქვთ.¹ წახურისა და მუხადურის ერთიანობა აქ დარღვეულია.

შესაძლოა, მუხადური მამამ წაწილაკი ალუღურში დატული კითხვის ვა (ჟა) წაწილაკის ფარდი იყოს: შდრ. ალულ.ათარა=ვა (ათარა=ჟა) „ცეცემ კი?“ არჰასაე=ვა (არჰასაე=ჟა) „განა დავარტყამ?“.² მაშასადამე, ამ მხრივ მუხადური თვისტომ ენათა შორის განმარტობით მაინც არ დგას; თუმცა, როგორც ითქვა, წახურთან უფრო მოსალოდნელი მისი სიახლოვე დარღვეულია.

შენიშვნა: შეიძლება დაისვას ასეთი კითხვაც: მამამ წაწილაკი ხომ არ არის ნასესხები სხვა ენობრივი წრიდან, კერძოდ, თურქულ=აზერბაიჯანულიდან? შდრ. მუხად. მამამ და თურქ. =აზერბ. მამ, მამ, მი: ბეს, მახში=დირ=მი (დირ=მი)? „მამ, კარგი იყო?“ „მამ, კარგი რამ მოხდა?“ ბელა, იმ ოლარამ? „მამ, ასე შეიძლება ყოფილიყო, მომხდარიყო?“... თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მუხადურსაც ოდესღაც ჰქონდა კითხვის ისეთივე ან ფარდი წაწილაკები, როგორც წახურსა და სხვა მონათესავე ენებს მოეპოვებათ ამჟამად, - მუხადურში ამ წაწილაკებმა შემდეგ გზა დაუთმეს უცხო ელემენტებს. (1?).

„ყოფნა (არის)“ ზმნა წახურსა და მუხადურში

ზოგადი

1. „ყოფნა (არის)“ ზმნის აგებულება წახურსა და მუხადურში თითქმის ერთნაირია: I) დრო=კილოთა ფორმები სწარმოებლად გამოიყენება სუბლექტური ფუძე=ძირი;

2) ზოგჯერ აკლია, ნულამდეა დაყვანილი ძირისეული ელემენტები.

1. ფონეტიკური კანონზომიერების მიხედვით, კერძოდ, წახურ „ნა“-ს კორელაცია მუხადურში უნდა ყოფილიყო „და“ და არა „მა“. მაშასადამე, ფონეტიკური დეაქსანზისით მათი დაკავშირება ვერ მართლდება.

2. ალუღური მაგალითები ამოღებულია ა. დირის „ალუღური ენიდან“ (1907, გვ. 54). მუხადურ მამასა და ალუღურ ვა (<—ჟა)=ს დაკავშირების ფონეტიკური შესაძლებლობის საბუთად შეიძლება გამოდგეს, მაგალ., მრავლ.: რიცხვის აფიქსის ასეთი ვარიაციები: =მარ (მუხად.) =ვარ (ალუღ.): შდრ. მაგალ., მუხად. რეშ=მარ „ქალიშვილები“ (მხ. რეშ) და ალუღ. შა=ვარ „ცხვრები“ (მხ. შა)...

მენტი; ამის მაგივრობას ეწევა ფორმანტი ან ფორმანტთა კომპლექსი;¹ რაც როგორც წახურში, ისე მუხადურში, მეორეულია; - ძირისეული ელემენტის დასუსტება=მოშლის შედეგია. ეს საარწმუნო ხდება კილოური მონაცემებით და თვისტომ ენათა მასალის მოზიდვა=შედარებით. სხვანაირად რომ ითქვას: წახური და მუხადური „ყოფნა (არის)“ ზმნის ფორმათა პარადიგმები აგებულია ასე: I - ძირნაკლი ფუძე=ფორმები; II - სუბლექტურ (შენაცვლებულ) ფუძე=ძირიანი ფორმები; III - ერთგვაროვან ფუძე=ძირიანი ფორმები. ამგვარი წახური და მუხადური ფორმების გასაგებად (ტიპოლოგიურად) შეიძლება გამოგვადგეს ის ახსნა, რაც ინდოევროპულ ენათა მიხედვით შ.ჰირტს (1912) აქვს: ინდოგერმანულ ენათა დასაწყის სტადიაში ზოგი ზმნური ფუძით გამოიხატებოდა ზმნის მხოლოდ ერთი სახეობა და ამ ზმნიდან არ შეიძლებოდა ყველა სხვა სახეობის წარმოება. ამგვარ შემთხვევაში დამატებით გამოიყენებოდა სხვა ფუძეები; ამ სხვადასხვა ფუძეს შემდეგ გრამატიკა (გრამატიკული აზროვნება) თანდათან ერთ ყალიბში, ერთ პარადიგმაში აქცევს, თუმცა ფაქტიურად ეს ფუძეები ერთი და იგივე არ არის.

2) ლეზგიური ჯგუფის სხვა ენათა მსგავსად წახურ და მუხადურ ზმნაში აღნიშნულ დრო=კილოთა ფორმების გამოსავლინებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს „ყოფნა“ („არის“) ზმნის წინასწარ შესწავლას, რამდენადაც აქ

1. „ყოფნა (არის)“ ზმნის ფორმათა ერთი ნაწილი ძირნაკლია თვისტომ ენებშიც. ამის თაობაზე გამოითქმულია მოსაზრება, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში ამ ზმნის მნიშვნელობა ეყრდნობა მორფოლოგიურ ელემენტთა თავისებურ თავმოყრას: გრ. კლასის ნიშანი+პირის ნიშანი ან ნაცვალსანელოური წარმოშობის ფორმანტი (დეტერმინანტი); ეს ქმნის სათანადო ზმნურ შინაარსს - ისე, რომ უგულებელყოფილია თავიდანვე ლექსემურ=ძირეული ელემენტის არსებობა. ამის საილუსტრაციოდ დასახელებულია: ა=უ=პ (აფხაზ.), ვ=უ, ა=უ, ბ=უ, დ=უ (ჩარ.), ვა=უ, აა=და=ა, ბა= (ბაცბ.); ვუ=გო, აი=გო, ბუ=გო, რუ=გო (ხუნძ.), აუ=რა, ბუ=რა, დუ=რა (ლაქ.), აუ=ურ (თაბას.), ბუ=ე (უდ.), ვო=დენ (წახ.), ლა= (სევან.)... „ნ. ანდლულაძე („არის“) ზმნა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ - ხელნაწ.).

როგორც ამას ა.დირიც აღნიშნავს, ძირითადად ამ ზმნის გამოყენებით ხდება ამა თუ იმ ტემპორალურ=მოდალური ფორმის წარმოება.

„ყოფნა“ („არის“) ზმნა წახურში

უკვე აღინიშნა, რომ წახურში „ყოფნა (არის)“ ზმნის ფორმებს ალტერნაციული ფუძე=ძირები აქვთ. მომეტებული წილი ამ ფუძე=ფორმისა ისეა ფონეტიკურად ტრანს-ფორმირებული, რომ შეცვლილი აქვს თავდაპირველი სახე:

ეს ზმნა წახურში საყრდენ ფუძე=ძირთა ხასიათის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფში თავს იყრის ვო<-ჟო<-უა ძირიანი, ხოლო მეორეში =ხ~=, =ჰ=ძირიანი ფორმები. ამ ორ ჯგუფში მოქცეულ ფუძე=ფორმებში მორფოლოგიურ ელემენტთა განლაგებაც განსხვავდება ერთ-მანეთისაგან, - გარდა იმისა, რომ ამ ფუძე=ფორმათა გამოყენების არც განსხვავებულია: ჟა->ჟო->ჟო ფუძე=ძირიდან იწარმოება მხოლოდ დრო=კილოთა ზოგი ფორმა; =ხ~=, =ჰ= ძირიანები კი მეტია: აქედან იწარმოება დროკილოთა თითქმის ყველა ფორმა. სახელდობრ, ასე:

1) ვო<-ჟო<-ჟა->ვა ფუძე=ძირიდან იწარმოება „ყოფნა (არის)“ ზმნის ორგვარი ფორმა: 1) მოკლე (კმეცილი) და 2) ბოლოში „თემატური“ ელემენტით გართულებული ფორმები. ერთიც და მეორეც გარჩეულია გრ. კლას=კატეგორიის მიხედვით (გრ. კლასის ნიშნები საწარმოებელ ფუძეს სუფიქსად მოუღის და არა პრეფიქსად).¹ „არის“ ზმნის ჟა->უა ვარიანტი დატულია გილმიწურ კილოში; იგი სპორადულად (მოხუცთა მეტყველებაში) ლექსურშიც გვხვდება. გილმიწურისთვის, როგორც უკვე ითქვა, არქაულობაა დამახასიათებელი და ამ შემთხვევაშიაც მას ძველი სახეობა აქვს შემონახული; სახელდობრ, ასე ჟა=რ||→ გ=არ, ან და:

1. შდრ. მეორე (=ხ~=, =ჰ=) ძირიდან ნაწარმოები ფორმები, სადაც კლას=კატეგორია უთუოდ პრეფიქსით გამოიხატება. შდრ. აგრეთვე „ყოფნა (არის)“ ზმნის მუხადური ფორმები, სადაც ეს კატეგორია პრეფიქსაციით აღინიშნება (იხ. ზემ.). გრ. კლასები პრეფიქსით გადმოიციემა სხვა (მონათესავე) ენებშიც; შდრ. „კერძოდ, ხუნძური (ვუეგო, ჰუეგო) ...

ჭიარნა||-გუარნა (I და II კლ.), ჭიარნა||-გუარნა, ანდა: ჭიარნა||-გუარნა (III კლ.), ჭიარნა||-გუარნა (იშვითად) ->გოად, ანდა: ჭიარნა||-გუარნა (4.კლ.) „არის“. ამ ფუძეფორმებში თავკიდური ჭი||-გ ელემენტის მნიშვნელობა მთლად ნათელი არ არის. იგი უნდა იყოს ან ძირისეული ელემენტი (შდრ. უდ. ბჟუანე „არის“, ბჟუტა „აქვს“; ლეზგ. ჭიარნა: აჟიარნა აჟიარტა „არის“; თაბას.: ჭიარნა „არის“; ჩარნ. ვჟუ, ჰჟუ, ბჟუ, დჟუ „არის“ ლაკ. ჰჟუარა, ბჟუარა, დჟუარა „არის“; შდრ., აგრეთვე ქართ. მიჟუარს, გიჟუარს, უჟუარს... ამ ზმნაში უ->ჟ-გ შესაძლებელია ლაბიალიზებული ხშულის დაშლის შედეგად მიღებული ლაბიალური რეფლექსი იყოს (იხ. ქვემ.); ან არაა და, ეს ჭი->გ უნდა დახასიათდეს თავკიდურ ფუნქციონალ ელემენტად: შდრ. ბაცბ. გჟა, ჰჟა, დჟა, ბჟა „არის“ (გრ. კლას. მიხ.); შდრ. აგრეთვე უდ. ბჟუანე „არის“ (იხ. ქვემ.). ფუძეძირისეული ელემენტი იქნება, თუ პრეფიქსეული, სულ ერთია, ჭი->გა უნდა იყოს ბგერათკომპლექსი, სადაც $\underline{\text{ჰ}} \Rightarrow$ მორფოლოგიური ელემენტი, აწმყო დროის გამომხატველი; შდრ. წახ. მუხად. ჰჟა (აკეთებსარა), $\underline{\text{ჰ}} \rightarrow \underline{\text{ჰ}}$ (არის)... - იხ. ზემ. ხოლო თუ ძირისეულ ელემენტად მიჩნეულ „ $\underline{\text{ჰ}}$ “ს ლაბიალიზებული თანხმოვნის ნაშთად ფიგურისხმება, შესაძლოა ამ ფუძეფორმის ფონეტ. ევოლუციის ასეთი გზაც გაცივალისწინოთ: $\underline{\text{ჰ}} \leftarrow \underline{\text{ჰ}} \rightarrow \underline{\text{ჰ}} \rightarrow \underline{\text{ჰ}} \rightarrow \underline{\text{ჰ}} \rightarrow \underline{\text{ჰ}}$. ამგვარ რეკონსტრუქციას დასჭირდება შემდგომი დასაბუთება. $\underline{\text{ჰ}} \leftarrow \underline{\text{ჰ}} \leftarrow \underline{\text{ჰ}} \rightarrow \underline{\text{ჰ}}$ ფუძეძირიდან ნაწარმოებ ფორმათა პარადიგმები ასეთი იქნება:

1) მოკლე („ყვეცილი“) სახეობა: 2) გაგრძობილი სახეობა

I. კლ. ჭიარნა	„არის“
II. კლ. ჭიარნა	„არის“
III. კლ. ჭიარნა	„არის“
IV. კლ. ჭიარნა	„არის“

ამ ორი სახეობის ფორმათაგან პირველზე დაყრდნობით და სპეციალური მანარმოებლის დართვით წარმოიქმ-

ნება აწმყოს თურმეობითისა და აწმყო=ერთდროულის (მო-
მენტობრივის) ფორმა, ხოლო მეორეზე დაყრდნობით - აწ-
მყო ზოგადისა (ერთთავალობისა), რომელიც წახურის ყვე-
ლა კილო=კილოკავში ნამყო უწყვეტელის მნიშვნელობითაც
იხმარება. ეს ფორმებია:

1) აწმყოს თურმეობითი 2) აწმყო=ერთდროული (მომენტობ-
რივი)¹

I კლ. ვორაოხურ „არის თურმე“ ვორაქან „ვიდრე არის
აი ახლა“

II კლ. ვორაოხურ ვორაქან

III კლ. ვობაოხურ ვობაქან

IV კლ. ვოდაოხურ ვოდაქან

3) აწმყო=ზოგადი, resp. ნამყო უწყვეტელი (პირველი)²

I კლ. ვორნაანი|ვორნი „არის საერთოდ“; „იყო ხოლმე“

II კლ. ვორნაანი|ვორნი

III კლ. ვობნაანი->ვობნაანი|ვობანი->ვობნი³

IV კლ. ვოდჯნანი->ვოდჯანი->ვოდანი

დრო=კილოთა სხვა ფორმები, როგორც აღინიშნა, იწა-
რმოება მონაცვლე ფუძის გამოყენებით (იხ. ქვემო.).

- I. ამ ფორმას შეიძლება ეწოდოს „აწმყო ვიდრეობითი“=უ.
ა. დირი აწმყო ერთდროულის („ვიდრეობითის“) ამ ფორ-
მათა სინონიმად ასახელებს ვორაღედი (I, II კლ.), ვობა-
ღედი (III) და ვოდაღედი (IV კლ.) ფორმებს. ჩვენს ჩანა-
წერებში ეს უკანასკნელები ფიქსირებულია ეგრე: ვორა-
ღაღი, ვობაღაღი, ვოდაღაღი. უნდა შევნიშნოთ, რომ სი-
ნონიმური მნიშვნელობის ამ ფორმათაგან (ვორაქან და
მისთ.) გავრცელებულია პირველი, იგი ყველა აულის მე-
ტყველების კუთვნილებას, ხოლო მეორე (ვორაღაღი და
მისთ.) მიქიქურში ჰმოვებს უფრო მეტ გავრცელებას;
აქ სპორადულად ვორქან ფორმაც იხმარება; სხვა კილო-
კავებში (სპორადულად) „ვორ ლაღი“ გამოიყენება.
2. როგორც ქვემოთაც იქნება აღნიშნული, ნამდვილი ნამყო
უწყვეტელი წახურს და მუხადურს (თვისტომ ენათა მსგა-
ვსად) არ მოეპოვება. აქ ნ. უწყვეტლის ფორმა იგივეა,
რაც აწმყო=ზოგადი, გამოყენებული ამ (უწყვეტლის)
მნიშვნელობით.
3. ბნ->მნ პროუესი ჩვეულებრივია წახურში; იგი უპირა-
ტესად აუღ წახურის მეტყველებაში (წახ. კილოში) შე-
იმჩნევა. მეტწიანად (სპორადულად) - სხვა კილო=კილო-
კავებშიც, - გილმიწურის გარდა.

ჭირაა, ჭობაა, უოდაა ფორმებში გამოყენებულ
აა და აა ბოლოკიდურ ელემენტთა და აწმყო თურმეობი-
 თის წარმომქმნელ (და გრ.კლასების მიხ.გარჩეულ) აა-
აა, აა, აა ელემენტთა შესახებ ქვემოთ იქნება
 ლაპარაკი. რაც შეეხება აწმყო ზოგადის ვორააა, ეობაა
 ნი, ეოდაა¹ ფორმებს, წარმოებულს აა სუფიქსით, აა-
 უამინდელ წახურში გაიგება ორგვარად: აწმყო ზოგადისა
 და ნამყო უწყვეტლის მნიშვნელობით. მეორე მნიშვნელობა
 პირველის რეინტერპრეტაცია უნდა იყოს. დროთა ფორმების
 ამგვარი წარმოება და რეინტერპრეტაცია დამახასიათებე-
 ლია ლეზგიური ჯგუფის სხვა ენებისთვისაც.² კერძოდ ლე-
 ზგიურში „ნამყო უსრული იწარმოება აწმყო ფორმაზე აა-
 ს დართვით. ასევე უსრულია თავისი ბუნებით მყოფადისა-
 გან ნაწარმოები დრო იმავე აა სუფიქსის მეშვეობით...
 ორივე ფორმა მიუთითებს მოქმედების უწყვეტლობაზე, იმა-
 ზე, რომ მოქმედება მიმდინარეობდა, მაგრამ არ დასრულე-
 ბულა. (ფუნქციურად ორივე დრო უდრის ქართულ ნამყო უწ-
 ყვეტელს)³ შდრ., მაგალ., ააამიშ ეეზა (ცხოვრობს) -
 ააამიშ ეეზა (ცხოვრობდა), ქქანაზაა (უყვარს) -
 ქქანაზაა (უყვარდა), ჭქირაა (ფიქრობს) -
 ჭქირაა (ფიქრობდა). თითქმის ამგვარივე მდგომარეო-
 ბაა უდიურშიც: შდრ., მაგალ., ბუნე (არის) - ბუნე (იყო
 ხოლმე), ბესანე (აკეთებს) - ბესანე (აკეთებდა), ქარ-
 რებსა (ცხოვრობს) - ქარრებსა (ცხოვრობდა)... უდიურ-
 შივ ნამყო უსრული ისტორიულად იგივეა, რაც აწმყო=ზოგა-
 დი; ნამდვილი (ვთქვათ, ქართულის ფარდი) ნამყო უსრულის

1. წარმოდგენილს გრ.კლასების მიხედვით.
2. გარდა პრინციპული ერთობისა და ფორმათა წარმოების ტექნიკის ერთგვაროვნობისა, თავად მანაწარმოებელიც ერთი და იგივე ან ფარდი აქვთ ამ ენებს.
3. გ.თაფურია - ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, 1959; გვ.34.
4. ი ქ ვ ე, გვ.34, 35...

უდიურს არა აქვს. ამის მაგივრობას ეწევა აწმყოზოგადი, - უწყვეტლობის გამომხატველი ფორმა. წახური ვორნა=ნიივორნა და აქ დასახელებული ლეზგიური და უდიური მონაცემები ერთიმეორის ანალოგიურია.

უწყვეტლობის (ზოგადობის) გამოსახატავად ბოლოში დართული =ნიი=ი მაწარმოებლის შესახებ ქვემოთ იქნება მსჯელობა. აღსანიშნავია, რომ ჭორნა, ჭობნა, ჭოდუნ ფორმებში გამოყენებული =ნა, =უნ სუფიქსები ეწყობა გრ.კლასების მიხედვით დიფერენცირებულ ასეთი ფორმების დაბოლოებას: ღიზნა (ჩემი), ღილნა (შენი),¹ იზუნ, (ჩემი), ღიდუნ (შენი).² დაბოლოებათა ამგვარმა დამთხვევამ გარდა მატერიალური ერთობისა, თავის მხრივ შეიძლება დაბადოს მოსაზრება მისი შესახებ, რომ ჭორნა, ჭობნა, ჭოდუნ წარმოშობით სახელზმნური (მიმდებარი) ფორმებია, მათი ბოლოკიდური ელემენტები კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებია.

წახურს მოეპოვება რთულფუძიანი ფორმები, რომლის შედგენილობაში შედის ჟა (არის) ზმნიდან წარმოებული ესა თუ ის ფორმა. ესენია: 1) აწმყოპირობითი და 2) აწმყოს გერუნდიუმი.

1) აწმყო პირობითი

- I. კლ. ვორნა<-ვორ=ჯზა („თუ არის“, „თუკი არის“)
- II. კლ. ვორნა<-ვორ=იზა<-ვორ=აიხა||ვორ=ჰა<-ვორ=აიხა
- III. კლ. ვობნა<-ვობ=ჯზა<-ვობ=ვეჯზა<-ვობ=ვეჯზა||
ვობ=ვეჰა
- IV. კლ. ვოდნა<-ვოდ=ჯზა

2) აწმყო გერუნდიუმი

- I კლ. ვორნა=ლაჰ<-ვორნა=ყაჰ („რამდენადაც არის“, „ვიდრე არსებობს“)
- II კლ. ვორნა=ლაჰ<-ვორნა=ყაჰ

- 1. როცა საზღვრული I, II და III კლასს გამოხატავს.
- 2. როცა საზღვრული IV გრ.კლასს გამოხატავს.

III კლ. ვობნა=ლაზ-ვობნა=ყაზ

IV კლ. ვოდენ=ლაზ-ვოდენ=ყაზ

ამ ფორმათაგან პირველი (აწმყო პირობითი) წარ-
მოდგენილია ტა=დან ნაწარმოები არის "ზმნის მოკლე
(„კვეცილი“) ფორმისა და ხ[~]|| ჯ/ ძირისეული ელემენტი-
დან ნაწარმოები აწმყოს აბსოლუტივის (იხ. ქვემ.) კონ-
ტამინაციით. ხოლო აწმყოს გერუნდიუმი მიღებულია ამა-
ვე ტა=დან ნაწარმოები არის "ზმნის გავრცობილ ფორ-
მაზე ლაზ-ყაზ ელემენტის დართვით. ბოლოში შეზრდილი
ამ ლაზ-ყაზ მარცვლის თავდაპირველი მნიშვნელობის ახ-
სნა წახური მონაცემებით ვერ ხერხდება. აქ შესაძლოა,
შემოგვეშველოს მუხადური, რომელსაც მოეპოვება არის
ზმნის მნიშვნელობით გამოყენებული აწმყოს აბსოლუტი-
ვის ლა ფუძე=ფორმა. ¹ აღნიშნული წახური გერუნდიუმის
ნაწარმოების ეტიმოლოგიური ძიება შეიძლება ამ მუხა-
დურ ზმნამდე მივიდეს. ეს ელემენტი თავიდან რომ სრული
მნიშვნელობის ფუძე=ფორმა უნდა ყოფილიყო, ამას თვით
ამ ვორნა=ლაზ და მისთ. ფორმის ხასიათიც გვიჩვენებს. ²
ეს ვორნა, ვობნა||-ავომნა, ვოდენ წარმოშობით მიმდებარა,
ამის მიმყოლი ლაზ-ყაზ შეიძლება იყოს სწორედ დამხმა-
რე ზმნა. აქ ამგვარი ზმნის პრაქტიკულად არსებობის
დადასტურებაა სწორედ მუხადურში დღესაც ცალკე, პრაქ-
ტიკულად, ხმარებული ლა ზმნა. ჩვენს მიერ ამის ფარდად
მიჩნეულია ლა წახურ დიალექტებში სხვადასხვა ვარიან-
ტიანია; ³ ერთი ასეთ ვარიანტაგანი დასახელებულია

1. ოღონდ ეს ზმნა იხმარება უფრო კონკრეტული მნიშვნე-
ლობით: არის "ზემოთ" არის "რა ზემოთ". იხ. ქვემ.
"ყოფნა (არის)" ზმნა მუხადურში.
2. იხ. ზემ. ცნობები ვორნა, ვობნა, ვოდენ ზმნათა ბო-
ლოკიდური ელემენტის ოდინდელი მნიშვნელობის (ამ
ფორმის მიმდებარასთან დაკავშირების) შესახებ.
3. ყა||-ლა (წახურულში) ყა||-ყა (მიშლეზურში), ლა (მი-
ქიქურში), გილმიწურ=ლექურში. ამ უკანასკნელ კი-
ლოკილოკავში სპორადულად ყა ვარიანტიც იხმარება.

კიდევ პარადიგმებში (ღა<-ყა) და მითითებულია, რომ ღაჰ მიღებულია ყაჰ=საგან; ერთიცა და მეორეც წახურულ დიალექტში ერთი=მეორის პარალელურად გამოიყენება. ამ ვარიანტთა ხმარება ფაკულტატურია, თუმცა უფროსი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში უპირატესობა ყაჰ ვარიანტს ეძლევა.

დასასრულად აღინიშნოს კიდევ ერთი ტემპორალური ფორმა, რომელიც წარმოიქმნება „არის“ ზმნის ჰ~||
ჰ და ჰ<-ჰო<-ჰა ფუძე=ძირების კომბინაციით - მათი კონტამინაციით; ოღონდ ისე, რომ ამგვარი ფუძე=ფორმის პირველ შემადგენელ ნაწილად გამოიყენება ჰ~||ჰ=დან ნაწარმოები „არის“ ზმნის ნამყოფს აბსოლუტივის ფორმა, ხოლო მეორე შემადგენელ ნაწილად ჰა->ჰო=დან ნაწარმოები „არის“ ზმნის მოკლე ფორმა. ამ გზით წარმოიქმნება სახელდობრ, ნამყოფ ერთდროული. მაგალითად: გჰორ<-გჰუ=ორ<-გჰჰ=ვორ (1.კლ.) მიჰორ<-მიჰუორ<-მიჰჰ=ვორ (2.კლ.), ვუჰობ<-ვგჰუჰობ<-ვგჰჰ=ვობ (3.კლ.), გჰოდ<-გჰუოდ<-გჰჰ=ვოდ (4.კლ.).

შენიშვნა: ამ რთულ ფუძე=ფორმაში ჰ ელემენტი, პირველ კომპონენტში რომ გამოიყოფა, „ყოფნა“ ზმნის მეორე, სუბლექტური, ძირის ჰ~ჰ ფარდია. ზოგჯერ ამათი გარჩევა ძნელდება. ალბათ ამიტომაც, რომ ა.დირიც ხან პალატალიზებული ჰ~თი აღნიშნავს, ხან ჰ~თი (სულაც მაგარი ჰ~თი). ცოცხალ წახურ მეტყველებაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ აქ მეტია პალატალიზებული „ჰ~ჰ“ ეფექტი, თანაც უპირატესად დ, ე, ჰ ხმოვნებისა და ზოგჯერ ჰ ხმოვნის მეზობლობაში; თ და უ ხმოვნანთან კი ეს ძირეული თანხმოვანი უფრო ჰ~დ გამოიკვეთება ხოლმე.² ამათ შორის რომელია უწინარესი, ამის თქმაც ამჟამად ძნელდება. შესაძლოა ორივე ეს ვარიანტი რომელიღაც არქეტიპის მოდიფიკაცია იყოს. იხ. ქვემო. „ყოფ-

1. ეს ფორმა გაიგება ააჰ, ლუსტ გჰორ „ქვეობარი განდა“ „დაუმეგობრდა“; ხათა გჰორ „ხათა განდა“, „ხათაბა-ლად გაუხდა“...
2. ეს მოვლენები შენიშნული აქვს ა.დირსაც.

ნა (არის)“ ზმნა მუხადურში.

2. ხ~ ძირიდან იწარმოება I) ნამყოს აბსოლუტივი; მაწარმოებელია ჰ; აბსოლუტივის ფუძე=ძირი გაფორმებულია აგრეთვე გრ.კლასის პრეფიქსით: ჯხ~ჰა (I. და 4. კლ.), ჰიხ~ჰა (I.2.კლ.), ეუხ~ჰა (3.კლ.). გამოიყენება ზოგჯერ აორისტის მნიშვნელობით, - მის კვეცილ ფორმად. მთელი ამ ფორმის გამოყენებით და =ჰ (<—ჰ) სუფიქსის დართვით იწარმოება მასდარი: ჯხ~ჰა, ჰიხ~ჰა, ეუხ~ჰა (გრ.კლასების მიხ.), ხოლო ჰუ სუფიქსის დართვით - ინფინიტივი (რომელიც შესიტყვებაში სუბინუმის ფუნქციითაც გამოიყენება): ჯხ~ჰაჰ, ჰიხ~ჰაჰ, ეუხ~ჰაჰ (გრ.კლას.მიხ.). ეს ფორმა გამოიყენება მყოფადის მნიშვნელობითაც (მყოფადის კვეცილი ფორმა, რომელსაც უპირატესად უარყოფის ნაწილაკი მოუდის: ჯხ~ჰას=დემ „არ იქნება“...), აბსოლუტივის აღნიშნული ფორმა იხმარება ბრძანებითის გამოსახატავადაც, ოღონდ ისე, რომ ბოლოკიდური ჰუ პალატალიზებულია: ჯხ~ჰ! ჰიხ~ჰ! ეიხ~ჰ! ჯხ~ჰ! (გრ.კლას.მიხ.). ამავე (ხ~) ძირიდან =ჰ სუფიქსის დართვით იწარმოება ნამყოს მიმღეობა, რაც ფუნქციით იგივეა, რაც აორისტი: ჯხ~ჰანა, ჰიხ~ჰანა, ეუხ~ჰანა, ჯხ~ჰან (<—ჯხ~ჰანა?). 2) ხ~ ძირიდან იწარმოება აგრეთვე აწმყო=ზოგადის ერთ-ერთი ფორმა, რაც ძალიან ჰგავს აორისტის ზემოთ აღნიშნულ წარმოებას; ოღონდ საგულისხმოა, რომ ამ (აწმყოს) ფარმაში კლას=კატეგორიის თავკიდურ ნიშანს მოსდევს გრძელი ხმოვანი: ეხ~ჰანა (I.კლ.), ჰეხ~ჰანა (2.კლ.), ეოხ~ჰანა (3.კლ.), ეხ~ჰან (4.კლ.); მრ. ეოხ~ჰაჰე<—ეოხ~ჰან=მე<—ეოხ~ჰან=ბე (I. და 2.კლ.), ეხ~ჰამე<—ეხ~ჰან=ბე (3. და 4. კლ.). ზემოთ დასახელებულ (ალტერნაციული ფუძით ნაწარმოები) აწმყოს ფორმისაგან განსასხვავებლად ამ ფორმას შეიძლება ეწოდოს მეორე აწმყო. 3) აორისტის დასახელებულ ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება დრო=კილოთა რამდენიმე ფორმა: ა) ნ.წინარე=წარსული — =ჰ სუფიქსიანი: ჯხ~ჰანა=ნი (I.კლ.), ჰიხ~ჰანა=ნი (2.კლ.) ეუ-

ხანაანი (3.კლ.). დროთა ეს ფორმა რამდენადმე თავი-
 სებურად იწარმოება, როცა იგი IV გრ. კლასსა და მრავ-
 ელობითში დასმულ ყველა კლასს გამოხატავს: შდრ. ზხ-
 ანანი (მხ.რ.4.კლ.) ვუხაამენი<-ვუხაამემენი<-ვეუ-
 ხაანამენი<-ვუხაანამენი (მრ.რ.1. და 2.კლ.),
 ზხამენი<-ვუხაანამენი<-ვუხაანამენი (მრ.რ.3. და
 4.კლ.). ამ განსხვავებულ წარმოებათა ურთიერთმიმარ-
 თება უნდა აიხსნას ასე: მხ.რ. I-III გრ. კლ. ფორმებ-
 შივ საყრდენი ფუძე (აბსოლუტივი) ოდითგან გართულეუ-
 ლი უნდა ყოფილიყო ან ელემენტით და იგი დროთა გან-
 მავლობაში ფონეტიკურ-მორფოლოგიური გამარტივების შე-
 დეგად მოეშალა ამ ფორმებს: ზხანანი<-ვუხანანი;
 აიხანანი<-ვიხანანი; ვუხანანი<-ვეუხანანი. ასე-
 ვე უნდა წარმოქმნილიყო თავად აორტის ფორმაც. ფორმი-
 რების ეს გზა ჩანს, კერძოდ, მრავლობითში: ვუხაამე<-
 ვუხაამემ<-ვეუხაანამ<-ვეუხაანამ (1. და 2.კლ.);
 ზხამე<-ვუხაამემ<-ვუხაანამემ<-ვეუხაანამემ (3. და
 4.კლ.). აორისტშიაც და ნამყო წინარე=წარსულშიც, აღდ-
 გენილი თუ ცოცხლად შემონახული ეს ან (<-ან) სუფიქსი
 გენეტურად უნდა იყოს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი,
 რომელიც გამოიყენება აბსოლუტივისაგან მიმღეობის სა-
 წარმოებლად; ხოლო ეს მიმღეობური ფორმა განვითარების
 შემდგომ საფეხურზე, ერთი მხრივ, რეინტერპრეტირებულია
 აორისტის ფორმად, ხოლო მეორე მხრივ, საყრდენად ედება
 ნამყო წინარე=წარსულის წარმოებას. მაგრამ შეიძლება
 თავი იჩინოს კითხვამ: თუკი ამ პარტიციპულ ფორმას და-
 ერთვის დროის (ნ.წინარე=წარსულის ან აორისტის) მა-
 წარმოებელი, მაშინ სადღა ვეძებოთ ამ ფორმის ზმნურობა,
 მისი ვერბალური ხასიათი? (დრო ხომ ზმნის კატეგორიაა)
 - ამის თაობაზე ზოგი განმარტება იხ.ქვემოთ.) ბ)პირო-
 ბითანატვრით=კავშირებითი - ხ ელემენტისანი: ზხანა=
 ხნი, აიხანა=ხნი, ვუხანა=ხნი, ზხანა=ხნი (მრ.ვეუხ-
 აანამე=ხნი; ზხანამე=ხნი); ამ ფორმას აქვს ასე-
 თი გაგება: „იმ შემთხვევაში, თუ იქნება,“ „რომ ყოფი-

ლიყო". 4) აბსოლუტიზმის ზემოთ აღნიშნულ მხა და მისთ. ფორმაზე დაყრდნობით წარმოიქმნება ტემპორალურ=მოდალურ ფორმათა მთელი სერია, სახელდობრ. ა) პირობით=დაბეჭდითებით=კატეგორიული ("რომ იყოს უთუოდ") - „შინ“ მაწარმოებლიანი: ინაშინ, აინაშინ, ეუნაშინ, ინაშინ. ბ) ნამყოთანადროული („იმ დროს, როცა იყო“ „ვიდრე იყო“) - იწარმოება რთული მეგა „მორფემით“, რომელიც შესაძლოა გამარტივდეს: მოექვეცოს ბოლოკიდური =ა ნაწილი: გნაშინ-ამეგა||->გნაშინ, აინაშინ-ამეგა||->აინაშინ, ეუნაშინ-ამეგა||->ეუნაშინ, გნაშინ-ამეგა||გნაშინ (მრ.რ. ეუნაშინ-ამეგა||->ეუნაშინ; გნაშინ-ამეგა||->გნაშინ). გ) მიზეზ=შედეგობითი („თუკი იყო“, „რადგანაც იყო“, „იმის გამო, რომ იყო“): გნაშინ, აინაშინ, ეუნაშინ, გნაშინ (მრ.რ. ეუნაშინ; გნაშინ). ამ მოდალური ფორმის მაწარმოებლად გამოიყოფა ხე. დ) ნამყო შედეგობით=თურმეობითი („ოდესდაც იყო თურმე“, „ყოფილა გარდასულ დროს“): გნაშინ, აინაშინ, ეუნაშინ-აშინ, გნაშინ-აშინ (მრ.რ. ეუნაშინ; გნაშინ). ამ ფორმის საწარმოებლად, როგორც ჩამოთვლილი ნიმუშები გვიჩვენებენ, გამოიყენება გრ.კლასის სუფიქსით გართლებული ანაშინ და (ბ=ს მეზობლობაში) თხუ მაწარმოებელი. 5) აწმყოს ზემოთ დასახელებული (ნაშინა და მისთ.) ფორმისაგან იწარმოება: ა) ნ.უწყვეტილი (მეორე). მაწარმოებლად აქვს ნა სუფიქსი: ნნაშინა, ანაშინა, ენაშინა, გნაშინა (გრ.კლასების მიხ.) მრ.: ენაშინა-ანაშინა-ბნაშინა (1. და 2. კლ.), ნნაშინა-ანაშინა-ბნაშინა (3. და 4. კლ.). აქედან იწარმოება ბ) უწყვეტლის თურმეობითი („ყოფილა ხოლმე“=ს, „ყოფილა მრავალგზის“); მაწარმოებლად აქვს გრ.კლასების მიხედვით გარჩეული (რთული)=თხე: მხოლ.რ. ანაშინა (1. და 2. კლ.), თხე (3. კლ.),

1. იგივე მაწარმოებელი, რაც ნამყო=შედეგობით=თურმეობითს აქვს (ინ.ზემ.).

ახგედ (4.კლ.); მრავლ.რ. ახუბ (1. და 2.კლ.),
 ოხგედ (3.და 4.კლ.); სახელდობრ: ეხანაახზრ, ეხანა-
 ნაახზრ, ეხანაახზუბი<-ეხანაახზუბ, ეხანა ხგდ.
 (გრ.კლას.მიხ.); მრ.: ეხანამგახზუბ<-ეხანაახზუ
 ხუბ (1.და 2.კლ.); ეხამგახზუბ<-ეხანამგახზუბ<-
 ეხანაახზუბ<-ეხანაახზუბ (3.და 4.კლ.).¹ 6) =ან
 სუფიქსით გართულებული აორისტიის ფუძეფორმაზე დაყრდ-
 ნობით იწარმოება მოდალურ ფორმათა რამდენიმე სახეო-
 ბა: ა) ბოლოში =შ ელემენტის დართვით - მიზეზ=შედე-
 გობით=კავშირებითი (აქვს ასეთი გაგება: „იმის გამო,
 რომ იყო“, „რადგანაც იყო, იმყოფებოდა“); ეხანა=შ, ახ-
 ანა=შ, ეხანა=შ, ეხანა=შ (გრ.კლას.მიხ.);
 მრ.: ეხანა=შ (1.და 2.კლ.); ეხანა=შ (3. და
 4.კლ.).² ბ) ბოლოში =ქ ელემენტის დართვით - ნამყო-
 შედეგობით=მომდევნობითი (ასეთი გაგებები: „როგორც=
 კი იყო“, „როგორცკი მოხდა“; „მაშინვე, როცა კი იყო,
 როცა კი გახდა“); ეხანა=ქ, ახანა=ქ, ეხანა=ქ
 ქ, ეხანა=ქ (გრ.კლას.მიხ.); მრ.რ.: ეხანა=ქ
 ქ (1.და 2.კლ.); ეხანა=ქ (3. და 4. კლ.). გ) ბო-
 ლოში =ყ ახგედ მარჯობლიანი გერუნდიუმი, სათანადო
 ფორმა (აბსოლუტივის ერთ-ერთი სახეობა): ხანა=ყ,

-
1. საინტერესოა, რომ თურმეობითის ეს ფორმა პირველ (მო-
 ლაპარაკე) პირზე არ ითქმის, ე.ი. მოლაპარაკე პირი
 თავის თავზე არ იტყვის „ეხანაახზრ, ან „ეხანაა-
 ხზრ“=ს („ეყოფილვარ ხოლმე“, „ეყოფილვარ მრავალგ-
 ზის“). ფორმათა ხმარების ამგვარი შეზღუდულობა გა-
 მოხატავს ტენდენციას პირთა ერთმანეთისაგან გარჩევი-
 სა. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ამჟამინდელ წახურში
 გლინდება პირის კატეგორიის ჩანასახები. აქაც ხომ
 არ პრის ამის ანარეკლები?
 2. მაგალ., ყაჰჰჰ ახ ანაშ ხანან ყაჰიშ=ჰჰჰჰ
 იმის გამო, რომ შეძავი (როსკიპი) იყო, სახლიდან
 გააგედეს“; კანანა მახალიმ ეხ ანაშ ჰაჰიშ=ჰაჰას
 დახვანანა იმის გამო, რომ გვერდით(იქვე) მასწავლე-
 ბელი იმყოფებოდა), ვერაფერი თქვა“...
 3. აქედან პირველი(ყაჰ) წახურულსა და მასთან ახლს
 მდგომ სხვა კილოკავთქმებშია დამოწმებული; მეორე
 ვარიანტი (ლახ) მიქიქურის კუთვნილებათ; გილმიწურ-

აიხან=ყაზ, ეუხან=ყაზ, ჳხან=ყაზ. - მხ.რ.(გრ. კლ.მიხ.); მრ.რ.: ეუხან=ყაზ (I.და 2. კლ.); ჳხან=ყაზ (3. და 4.კლ.). „ყოფნის დროს“, „როდესაც იყო“, „ყოფნისთანავე“. მაგრამ დ)წახურს მოეპოვება =,ყაზი->ღაზთი წარმოებული გერუნდიუმის ისეთი ფორმაც,რომელიც დროის მიხედვით აწმყოს უკავშირდება.ამ შემთხვევაში საყრდენად აწმყოს მიმღეობა გამოიყენება: ეხანანანა=ყაზ(3.კლ.) და ა.შ. „ყოფნის დროს“, „როდესაც არის“, „ყოფნისთანავე“ (აწმყოში)“. ე)აქედან ნაწარმოები ნამყო უწყვეტლისაგან იწარმოება უწყვეტლის გერუნდიუმი: ეხანანი=ყაზი->ეხანან=ღაზ „როდესაც იყო ხოლმე“. ეს ფორმა ფონეტიკური გამარტივების შედეგად ხშირად ემთხვევა ჳემოთ აღნიშნულ აწმყოს გერუნდიუმის ფორმას: ეხანანი=ყაზ->ეხანან=ყაზ->ეხანან=ყაზ... 7)ეხ პირველადი ფუძე=ძირიდან (რომელიც გართულებულია კლას=კატეგორიის პრეფიქსით: ეხ, აეხ, ეოხ) => სუფიქსის დართვით იწარმოება აწმყო=ზოგადის ფორმა: ეხი, აეხი, ეოხი.ფაქტიურად ეს არის „აწმყოს“ აბსოლუტივის ფორმა,რომელსაც კონკრეტული დროის გაგება არ ჰქონდა (და ჳოგჯერ ასეთად რჩება ამჟამადაც).ესაა,ასე ვთქვათ,ექსტემპორალური ფორმა,რომელსაც აქვს ერთთავადობის,დროის მხრივ განუსაზღვრელობის მნიშვნელობა.მაშასადამე,ამჟამად აწმყოს (ზოგადი,პროცესობრივი აწმყოს) გაგებით ხმარებული ეს ფორმა ოდინდელი ვითარების მიხედვით ასპექტის ცნებას გამოხატავდა და არა დროის კატეგორიას. დროთა კატეგორიის ჩამოყალიბების ისტორიის თვალსაზრისით ეს ფორმა ყველაზე საგულისხმოა წახური ჳმნის უღვლილების სისტემაში.ამჟამად,რასაკვირველია,ამ ფორ-

 სა და ლექურში ორივე იხმარება თითქოს ფაკულტატურად, თუმცა ხვედრითი წონა პირველზე მოდის). მიმღეობაში ორივე ეს ვარიანტი შეცვლილია =ყაზ ვარიანტით,თუმცა სპორადულად =ყაზ-ც გამოიყენება.წარმოების პრინციპი კი ყველგან ერთნაირია.

რმის თავდაპირველი მნიშვნელობა (ასპექტის გაგება) თანდათან სუსტდება და იგი ერთგვარად უთანაბრდება დროის (აწმყო ზოგადის) მნიშვნელობას. მ) აღნიშნული ზმნიდან ღეშ ელემენტის დართვით იწარმოება აწმყოზოგადის უარყოფითი ფორმა: ნებ იღეშ, აენებ იღეშ, ენებ იღეშ¹ და ა.შ. ნებ, აენებ, ენებ და მისთ. ფორმები გამოიყენება მყოფადი=განუსაზღვრელის მნიშვნელობითაც (იქნება ხოლმე“, „იქნება მრავალჯის“); ხოლო აქედან ბოლოში ხე მაწარმოებლის დართვით იწარმოება აწმყოს პირობით=კავშირებითი (რომელიც ზოგჯერ მყოფადის პირობითის ფორმაც გაიგება): ნებ იხე, აენებ იხე, ენებ იხე||ენებ იხე - გრ.კლას.მის.; მრ.ენებ იხე||ენებ იხე (I. და 2.კლ.); ნებ იხე (3. და 4.კლ). ამ ფორმას კი ასეთი გაგება აქვს: „როცა კი არის“, „ათუკი იქნება ხოლმე“.² 9) ინფინიტივის იხ^ას, აიხ^ას, ეუხ^ას და მისთ.ფორმებიდან იწარმოება: ა) მყოფადის მიმღეობა, რომელსაც ამავე დროს მყოფადი=განსაზღვრული (კონკრეტული) ფუნქციაც ეკისრება, ოღონდ ისე, რომ იხ^ას, აიხ^ას, ეუხ^ას და მისთ. ფუნქციონირებს დაერთვის და||და (I.-3.კლ.) და და (4. კლ.) მაწარმოებელი³;

-
1. ლექსურში: ენებ იღეშ; გილმიწურში: ენებ იღეშ; მაგალ.: გვინე ენებ იღეშ ჩე და იხ^ას და „პური თუკი იქნება (როცა კი არის) ხოლმე, ჩაიც იქნება“, ე.ი. „სადაც პურია, პურის ჭამაა, იქ ჩაიცაა, ჩაის სმაც არის“.
 2. რომელიც ზოგჯერ მყოფადის მნიშვნელობითაც იხმარება-მეტადრე, თუ ანლავე უარყოფითის მაწარმოებელია: შდრ. იხ^ას და იღეშ „არ იქნება“, „არ შეიძლება იყოს“, გარდა იმისა, რომ ეს ფორმა იხმარება მიზან=მიზნის დამატების ფორმად: შდრ., მაგალ., შენ და და და და და იხ^ას იხ^ას „მას სურს, იხ^ას იხ^ას (იხ^ას რად ყოფნა)“...
3. აქედან = სუფიქსი საერთოა ყველა კილო=კილოკავისათვის, ხოლო და||და სუფიქსთა გამოყენების არც ასეთია: წახურულში ორივე იხმარება: „და“, როგორც წესი, ხოლო „და“ სპორადულად; მიქიქურში მეორე ვარიანტს ენიჭება უპირატესობა (იშვიათად, ალბათ წახურულის გავლენით, „და“ და იხმარება). გილმიწურსა და ლექსურში კი გაბატონებულია „და“.
ყველა ეს სუფიქსი, როგორც ეს შენიშნული აქვს

იხ~ას=ტა<-იხ~ას=და (I.კლ.) ღიხ~ას=ტა<-ღიხ~ას=და
 (2.კლ.) ვუხ~ას=ტა<-ვეხ~ას=და (3.კლ.), იხ~ას=ჯნ
 (4.კლ.). მრავლობით რიცხვში თავისებური მდგომარეობაა
 იმ მხრივ, - ის, რომ აქაც მხოლოდითი რიცხვის მე=4
 გრ.კლასის მსგავსად =ჯნ სუფიქსია ნახმარი: ვიხ~ას-
 ჯმგ<-ვიხ~ასჯმმგ<-ვიხ~ასნ=ბჯ (I. და 2 კლ.); იხ~ას-
 ჯმგ<-იხ~ასჯმმგ<-იხ~ასჯნ=ბჯ (3. და 4. კლ.)^I ბ) მყო-
 ფადის პირობით=კავშირებითი =ხე მაწარმოებლიანი (აქვეს
 ასეთი მნიშვნელობა: „თუ იქნება“, „თუკი იქნება“):
 იხ~ას=ხე, ღიხ~ას=ხე, ვუხ~ას=ხე, იხ~ას=ხე (გრ.კლას.
 მიხ.); მრ.: ვიხ~ას=ხე||ვეხ~ას=ხე (I. და 2.კლ.);
 იხ~ას=ხე (3. და 4.კლ.). გ) მყოფადის თურმეობითი -
 იწარმოება გრ.კლასების მიხედვით გარჩეული =ახზრ,
 =ახუბ, =ახუდ ელემენტთა დართვით (აქვეს „იქნება თურ-
 მე“=ს გაგება): იხ~ას=ახზრ, ღიხ~ას=ახზრ, ვუხ~ას=
ახუბ, იხ~ას=ახუდ (გრ.კლას. მიხ.); მრ.რ.: ვიხ~ას=
ახუბ, იხ~ას=ახუდ. IO) თითქოს ცალკე დგანან მყოფადის
 პირობით=თურმეობითის ასეთი ფორმები: ჯხ~ენი, ღიხ~ენი-
 ნი, ვუხ~ენი, ჯხ~ენი (გრ.კლას. მიხ.); მრ.: ვუხ~ენი
 (I. და 2.კლ.); ჯხ~ენი (3. და 4.კლ.) „თუ იქნება“,

 ა. დირსა და ნ. ტრუბეცკოის, გენეტიურად ნათესაობითი ბრუნ-
 ვის მაწარმოებელია. აღსანიშნავია, რომ კუთვნილებით ნაც-
 ვალსახელშიც ამ სუფიქსთა ალტერნაცია ისევე ხდება, რო-
 გორც აქ აღნიშნულ ზმნურ=მიმღებობურ ფორმებში: შდრ.,
 მაგალ., ღიხ~და, ღიხ~დი (წახურ.) - ღიხ~ნა, ღიხ~ნი
 (სხვა დიალ.) „ჩემი“ (თუკი საზღვრული I.3 კლასს გა-
 მოხატავს); ღიხ~ჯნ (ყველა კილოში) „ჩემი“ (საზღვრ.
 4.კლ.)... (იხ. ზემ.).

I. ფონეტიკური ცვლილებები (ასიმილაცია=შიერწყმა=გემი-
 ნაცია), რაც ამ ფორმებში ხდება, დამოწმებულია წახუ-
 რულ კილოში. სხვა კილოებში ფონეტიკური ევოლუციის ეს
 ჯნა ასე შორს არ მიდის; მაგ., მიქიქურში იგი ამ დონე-
 ზე ჩერდება: იხ~ას=ჯნ=მჯ||იხ~ას=ჯნ=ბჯ. გელმიწურსა და
 ლექურში კი ეს ცვლილებაც არ ხდება: იხ~ას=ჯნ=ბჯი
 (გილმიწ.), იხ~ას=ჯნ=ბი||->(იშვიათად) იხ~ას=ჯმ=ბი(ლექ.)

თუკია“^I. აქ სარკვევია საყრდენი ფუძისა და აღნიშნული მოდალური ფორმის გამოსახატავად გამოყენებული მაწარმოებლის ხასიათი. აქ, როგორც ჩანს, საყრდენ ფორმად გამოიყენება ისევე აბსოლუტივის ზხ^{ნი}, აიხ^{ნი}, გუხ^{ნი} და მისთანებზე \underline{a} ($\leftarrow -$) სუფიქსდართული მასდარი, რომელსაც ერთვის ჯერ \underline{a} ($\leftarrow -$ ინ?), ხოლო შემდეგ \underline{a} ($\leftarrow -$ ნი?) სუფიქსები: \underline{a} აიხინი \rightarrow \underline{a} ააინი \rightarrow \underline{a} ეანი \rightarrow \underline{a} ინი და ასე გრ, კლასების მიხედვით გარჩეულ ყველა სხვა ფორმაში. ამ საწარმოებელ ფუძეში გრძელი (წ)ხმოვანი (აიხ^{ნი}= \underline{a} ნი...) უნდა წარმოქმნილი იყოს ერთგან თავმოყრილ ხმოვანთა შერწყმის შედეგად. აქ, რასაკვირველია, შესაძლო იყო, გარჩენილიყო აზრი იმის შესახებ, თითქოს ამ ფორმის საყრდენი იყოს აორისტის ზემოთ დასახელებული ფორმა, რომელსაც მყოფადის პირობით=თუბითის მნიშვნელობის გამოსახატავად ბოლოში მოუდის \underline{a} , მაგრამ ასეთი, განმარტება ბათილდება იმით, რომ აორისტის ფუძე=ფორმაში (შდრ. ზხ^{ნი}ანა, აიხ^{ნი}ანა...) არ არის გრძელი ხმოვანი და არც არის აქ მისი გარჩენის მიზეზი. II) ყურადღებას იქცევს აწმყო=ზოგადის ეხ^{ნი}, აეხ^{ნი}, ეხ^{ნი}, ეხ^{ნი} ფუძე=ფორმისა და =ვორ, =ვობ, =ვოდ ფუძე=ფორმის შერწყმით წარმოქმნილი რთულ-ფუძე=ფორმიანი ზმნები: ეხ^{ნი}=ვორ (I. კლ.), აეხ^{ნი}=ვორ (2. კლ.), ეხ^{ნი}=ვობ (3. კლ.) და ეხ^{ნი}=ვოდ (4. კლ.), რომელსაც აქვს ასეთი მნიშვნელობა „ხდება“. ზმნათა ამგვარი წარმოება მეტად გავრცელებულია ამჟამინდელ წახურში; ეს წახური ზმნის ანალიტიკური წარმოების ტიპიური სახეობაა.

1. მაგალ.: ხ^{ნი}ან გე^{ნი}დ მჯადა ზხ^{ნი}, იღმოღწა! „წყალი ძალიან ცივი თუ იქნება, ნუ დაღვე!“.
2. რომელიც მიმლეობის შესავსად გამოიყენებოდა ზმნის ამა თუ იმ ფორმის წარმოსაქმნელად. მასდარი და მიმლეობა წარმოებით და ფუნქციით დიდად არ განსხვავდება ერთიმეორისაგან (მასდარისა და მიმლეობის ისტორიულ ურთიერთობაზე მიუთითებენ კიდევ სხვა ენათა მიხედვით - იხ., კერძოდ, არნ. ჩიქობავა - „მასდარისა და მიმლეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში“ (იბერ. =კავკ. ენათმეცნ., V, 1953).

ანალოგიური მდგომარეობაა მუხბაღურში (იხ. ქვემ.), აგრეთვე - სხვა თვისებებშიც: ლეზგიურში, უდიურში... (იხ. ქვემ.). 12) აორისტის, *resp.* აწმყოს აბსოლუტივის, ინფინიტივ=მყოფადისა და =ან სუფიქსიანი ნამყოს ფორმებიდან იწარმოება ნაწილაკოვანი კავშირებითი:

ა) აწმყოს ნაწილაკოვანი კავშირებითი: ზ^ა=ა^ა, ა^ა=ა^ა, ა^ა=ა^ა, ა^ა=ა^ა, „რომც იყოს (ეხლა)“, „მართალია, არის (კიდევ)“, „არის და იყოსმცა“. ბ) ნამყოს ნაწილაკოვანი კავშირებითი: ზ^აან=ირ, ა^აან=ირ, ა^აან=ან=იბ, ა^აან=იდ „მართალია, იყო (კიდევ)“, „რომც იყო“.

გ) მყოფადის ნაწილაკოვანი კავშირებითი: ა^აან=ა^აან (1. კლ.), ა^აან=ა^აან (2. კლ.), ა^აან=ა^აან (3. კლ.), ა^აან=ა^აან (4. კლ.) „იქნება კიდევ“, „რომც იქნეს“, „თუცა იქნება“. ბოლო სამი მუხლით დასახელებულ ზმნათა ფორმები იწარმოება გრ. კლასების მიხედვით გარჩეულ =ირ, =იბ, =იდ ნაწილაკებით. ეს ნაწილაკები, რომელთაც აქვე დაახლოებით ქართული „ცა“ ანდა „მცა“ ნაწილაკთა მნიშვნელობა, იხმარებიან სახელთანაც: შდრ., მგალ., ა^აან=ა^აან (?), ა^აან=ა^აან (?), ა^აან=ა^აან (?), „მეც“ (ა^აან=ა^აან „მე“); ა^აან=ა^აან, ა^აან=ა^აან, ა^აან=ა^აან „შენც“ (ა^აან=ა^აან „შენ“)!...

მაშასადამე, აღნიშნულ წახურ ნაწილაკთა გამოყენების არე არ არის შეზღუდული მარტოდენ ზმნით. 13) წახურს მოეპოვება აგრეთვე =ა^ა=ძირიანი „ყოფნა“ ზმნის ისეთი ფორმა, რომელიც წარმოქმნილია აორისტისა და მყოფადის პირობით-თურმეობითის ფუძე=ფორმათა კონტამინაციით და რომელსაც აქვს ასეთი მნიშვნელობა: „თუ გახდება“, „თუ იქნება“ რომ ყოფილიყო (ეხლა, გუშინ, ხვალ)“; ეს ფორმებია: ა^აან=ა^აან (1. კლ.), ა^აან=ა^აან (2. კლ.), ა^აან=ა^აან.

I. იხ. ზემ. პირის ნაცვალსახელთა აგებულება.

ნი «-ცუხ~ ანა=ფუხ~ენი (3.კლ.), ზხ~აანხ~ენი<-ჭხ~
აან=ჯხ~ენი (4.კლ.). 14) ხ~ ძირიდან იწარმოება
„არის“ ზმნის მოკლე (=ხე) ფორმა, რომელსაც აქვს ზოგა-
დობის, ერთთავადობის მნიშვნელობა, ამასთან ეს ზმნა
ამა თუ იმ კონტექსტში იძენს დრო=კილოს იმ ფორმათა
მნიშვნელობას, რა ფორმითაც წარმოგიდგება ამის წინა-
მავალი შემასმენელი. =ხ~ი ცალკე არ იხმარება, გამოი-
ყენება მხოლოდ დამხმარე ზმნად; მაგალ., აუგრა=ხ~ი
(1. და 2.კლ.), უგრა=ხ~ი (3.კლ.), აუგრა=ხ~ი (4.კლ.)
„კარგია (საერთოდ),“ მაგრამ სათანადო კონტექსტში აქ
აქვს ასეთი მნიშვნელობაც: „კარგი იქნებოდა“. პირვე-
ლი მნიშვნელობის მიხედვით კი ამ ფორმას სტატიკური
აწმყოს გავება აქვს.

შენიშვნა: ა.ღირი (1913, გვ.103) ჰე ძირიდან
ნაწარმოებ ზმნურ ფორმებად ასახელებს ასეთებსაც:
იჰააღჴკიდა (1.კლ.), აიჰაილა კიდა (2.კლ.), ვიჰჰ-
ილჴკიდა, არასაც ასე თარგმნის: „მას შემდეგ, რაც
გახდა, რაც იყო“. ჯერ ერთი: ეს ფორმები უნდა დაიშა-
ლოს (ორ თუ სამ ნაწილად დაიყოს); მეორეც: ფონეტიკუ-
რად უნდა გაიმართოს ასე: ზხ~ააღა კიდა; აიხ~ააა-
ლა კიდა, ვიხაააღა კიდა. აქედან ზხ~აა, აიხ~აა და
ვიხ~აა სახელზმნური ფორმაა (მასდარია) და არა ზმნი-
სა, ერთვის =ლა თანდებული, რომელსაც მოსდევს (შეურწყ-
მელად) ადვერბი კიდა („შემდეგ“). ისე რომ: იხ~აი-
ლჴკიდა (ა.ღირის მიხ.: იჰაილჴკიდა) და მისთ. ზმნუ-
რი ფორმა კი არ არის ზმნისა, არამედ - გამოთქმა.

„ყოფნა(არის)“ ზმნა მუხადურში

წახურის მსგავსად მუხადური „ყოფნა(არის)“
ზმნის ფორმებშიც მონაცვლე ფუძე=ძირები გამოიყოფა;
ამასთან ზოგი ამ ფუძე=ძირთაგანი ფონეტიკურად მოშ-
ლილია და ფორმანტამდე ან ფორმანტა კომპლექსამდეა
დაყვანილი.

მუხადურ „ყოფნა“ ზმნას კლას=კატეგორიის მაწარმოებელი უფოდ პრეფიქსად მოუღის; თავშივე დაერთვის უარყოფის ნაწილაკიც (ზმნათა უარყოფით ფორმებში); ამ ელემენტებს მოსდევს ძირი (თუ იგი ნულამდე დაყვანილი არ არის); სხვა მორფოლოგიურ კატეგორიათა გამოსახატავად სუფიქსები იხმარება.

ძირთა ხასიათის მიხედვით მუხადური „ყოფნა“ ზმნა შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად: 1) ძირ=ნაკლი, 2) ც-ყ ძირიანი, 3) შ ძირიანი და 4) ქ ძირიანი ზმნები. ყველა ამ ძირეულ ელემენტს წინ მოუღის კლას=კატეგორიის პრეფიქსი: ა(აი=), რ(რი=), ვ(ვი=), ა(აი=), - მოსდევს დრო=კილოთა ფორმანტები (შდრ., ა.დირი - 1911, გვ.52 და შმდ).

1) ც(-ყ)ძირისაგან იწარმოება დრო=კილოთა აწმყოს ჯგუფის ფორმები: ა) აწმყო=ზოგადი, resp. აწმყოს აბსოლუტივი: აიყი, რიყი, ვიყი (გრ.კლას.მიხ.) „აარისა“ „არის, არსებობს საერთოდ“. მაწარმოებელია ე: აიყ=ე, რიყ=ე, ვიყ=ე...² ამ ფორმიდან იწარმოება ბ) აწმყოს მიმღეობა აღ-ღე სუფიქსის³ დართვით: აიყიდ, რიყიდ, ვიყიდ, აიყიდ (გრ.კლას.მიხ.); მრ.დიყიდ; გ) აწმყო პირობითი - ნა=ქუნ რთული მაწარმოებლის გამოყენებით: აიყინა=ქუნ, რიყინა=ქუნ, ვიყინა=ქუნ..., ხოლო აქედან იწარმოება დ) აწმყო=პირობით=დათმობითი ბოლოში ქი ელემენტის დართვით: აიყინაქუნ=ქი, რიყინაქუნ=ქი, ვიყინაქუნ=ქი;⁴ ე) აწმყო=ზოგადის, resp. აწმ-

1. მრავლობითის ერთიანი ფორმაა დიყი.
2. რაც ხშირად მარტივდება და წარმოკვიდგება ასე: აი, რი, ვი, დი, ი. ზემოთ სწორედ ამის მიხედვით აღვნიშნეთ, რომ ზოგჯერ ფორმანტი ან ფორმანტები ეწევიან მთელი ფუძე=ფორმის (სიტყვის) მაგივრობას. (იხ. ზემ. შმშ.).
3. რაც გენეტურად ნათესაობით ბრუნვის მაწარმოებელია (იხ. ზემ. სახელთა ბრუნება: ძირითადი ბრუნვები).
4. ქი თურქულ=აზერბაიჯანულიდან ნასესხებ მაკავშირებელ სიტყვას შვაცას, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქაა მაწარმოებლად ქცეული „ყოფნა“ ზმნის ერთ-ერთი მონაცვლე (ქ-ძირიანი) ფუძე=ფორმის (იხ. ქვემ.) ცარიანტი. ამის კვალობაზე შეიძლება დადგეს მრჩობლად აღებული „ყოფნა“ ზმნის ფუძე=ფორმათა კონტამინაციით წარმოებულ ფორმის საკითხი.

ყოს აბსოლუტიკოს გამოყენებით იწარმოება იმპერფექტუ-
 მის ასეთი ფორმაც: ღიყრ, რიყრ, ვიყრ და ა.შ. იმპერ-
 ფექტუმის ეს ფორმა გარეგნულად თითქოს იგივეა, რაც აწ-
 მყო=ზოგადის (აწმყოს აბსოლუტივის) ფორმა, მაგრამ ამ
 ორი ფორმის დაბოლოებაში შეიმჩნევა ერთგვარი სხვაობა:
 პირველ შემთხვევაში ფინალურ ელემენტადაა ჰ ხმოვა-
 ნი (ფორმანტი), ხოლო მეორეში ეს ჰ გრძელ ხმოვნად
 ისმის (ჰ). ხმოვნის სიგრძის ეფექტი ამ პოზიციაში
 დაკარგული ჰ ხუფიქსის შედეგი უნდა იყოს: ღიყრ<-ღი-
 ყირ, რიყრ<-რიყირ, ვიყრ<-ვიყირ (შდრ., ღიშირ, რიშირ,
 ვიშირ და მისთ. ფორმები - იხ. ქვემ.).¹ იმპერფექტუ-
 მის ამ ფორმიდან იწარმოება აწმყო შეპირობებითი, -
 მაწარმოებლად დაერთვის ზემოთ დასახელებული ნაქუნ
 ელემენტები; ამასთან: ამ მაწარმოებლის დართვის დროს
 ხდება ფონეტიკური ცვლილებები: ნაქუნ ფორმანტის თავ-
 კიდური ჰ იმსგავსებს საყრდენი ფუძე=ფორმის ბოლოკი-
 დურ ჰ თანხმოვანს, ხოლო დამსგავსებული თანხმოვნები
 შეერწყმიან ერთმანეთს, წარმოქმნიან გემინირებულ ნაქ
 (ნ): ღიყრნაქუნ<-ღიყრნაქუნ<-ღიყრნაქუნ (1.კლ.),
 რიყრნაქუნ<-რიყრნაქუნ<-რიყრნაქუნ (2.კლ.), ვი-
 ყრნაქუნ<-ვიყრნაქუნ<-ვიყრნაქუნ (3.კლ.).² (შდრ.,
 ა.ღირი - 1911, გვ.55. ეს უფრო ასპექტის (ზმნის ექს-
 ტემპორალური ფორმების) ჯგუფია, ვიდრე კონკრეტული დრო-
 ისა. აქედან დროთა ფორმის მნიშვნელობა უნდა დავიკოთ,
 როგორც ერთთავად ვისიმე ან რისამე ყოფნის გამოხატუ-
 ლება, ხოლო აქედან ნაწარმოები პირობითი თუ შეპირობები-
 თი ფორმებისა კი - როგორც ვისიმე ან რისამე ამჟამად
 და საერთოდ ყოფნისა, არსებობისა რითიმე ან ვინმეთი
 შეპირობებით, რისამე ან ვისიმე გამოისობით. ამ ზოგა-
 დობის, ექსტემპორალურობის გამოხატველია სწორედ ჰ

1. შდრ., ა.ღირი, (1911, გვ.54): აწმყოდან იწარმოება
 იმპერფექტუმი: ღიყრჰ, რიყრჰ...
 2. აქვეს ასეთი აზრი: „არის იმიტომ, რომ“ ანდა: „იმის
 გამო, რომ“...

სუფიქსიანი ფორმა: აიყ და მისტ., რომელიც ამჟამად ფაკულტატურად აწმყოს აბსოლუტივის მნიშვნელობითაც იხმარება. აქ საგულისხმებელია ფორმათა მნიშვნელობის რენინტერპრეტაცია; ეს კი შესაძლებელი გახდებოდა იმიტომ, რომ ამ ორი (აბსოლუტივის და ასპექტის) ცნება ერთმანეთთან შინაგანს კავშირშია: ერთიცა და მეორეც მდგომარეობა, = მოქმედების ერთთავადობას, უსრულობასა და უწყვეტლობას გამოხატავს.

2) ყ (<-ყ) ძირისაგან =ა სუფიქსის დართვით იწარმოება: ა) აწმყო = კონკრეტული: ყ~||->ა. ეს ფორმა არ იცვლება გრ. კლასების მიხედვით და გამოხატავს ასეთ მნიშვნელობას: „არის“, „ხელთაა“, „იმყოფება“, „არსებობს ამჟამად, თქმის დროს“. ა. დირი სრულიად მართებულად დასძენს, რომ ეს ზმნა, თამაშობს გარკვეულ როლს მუხადური (რუთულური) ზმნის უდვლილების სისტემაში, რადგანაც დროთა ზოგი ფორმა იწარმოება ამის მოშველიებით (გამოიყენება მეშველ ზმნად).

აწმყოს ამ ფორმიდან იწარმოება ბ) =ა სუფიქსის დართვით ნამყო უწყვეტელი: ყაა||->აა, ბ) =ა, =ა, =ა სუფიქსით - აწმყოს მიმღეობა: ყანა, ყანი||ყარი („მყოფი“, „არსებული“), დ) აწმყო = პირობითი - მიმღეობის ყანა ფორმაზე აქუნ მაწარმოებლის დართვით: ყანა =აქუნ; ე) აწმყო დათმობითი - აწმყო პირობითის ფორმაზე =, ქი =ა დართვით: ყანაქუნ =ქი. 3) აბსოლუტივის ყა ფორმიდან ნაწარმოები ყანი და ყანა მიმღეობის ფორმებზე აიყ და აიშირ ზმნათა დართვით იწარმოება: 3) აწმყო = აღწერითი (პირველ შემთხვევაში) და ზ) პერფექტუმ = მაკავშირებელი (მეორე შემთხვევაში); სახელდობრ:

I. შდრ. ა. დირი - რუთ. ენა, გვ. 55: აქ ა - ისევე, როგორც წინა მუხლში გათვალისწინებულ ფორმებში - ა (ინ. ზემ.) მიჩნეულია ძირად. ა. დირს, რა თქმა უნდა, ორსავე შემთხვევაში შეცდომა მოსდის, რადგანაც =ა და =ა ფორმანტია და არა ძირისეული ელემენტი.

ყანი=აიცი, ყანი=რიცი, ყანი=ვიცი (გრ.კლას.მის.)¹ და
 ყანი=აიშირ, ყანი=რიშირ, ყანი=ვიშირ (გრ.კლას.მის.)²
 თ) ყა- > ზ ფორმიდან დე- > ჯ სუფიქსის დართვით იწარმოება
 მიმღეობა: ად- < ყა დ- < ყად, რომელიც თავის მხრივ წარ-
 მოქმენის ი) ნამყო წინარე=წარსულის ფორმას: ადამ- <
 ყმდ=აიცი (1. და 4. კლ.), ყმდ=რიცი (2. კლ.), ყად=ვიცი
 (3. კლ.). მეშველ ზმნად ამ შემთხვევაში გამოყენებუ-
 ლია აწმყო ზოგადის ან- < აიცი (რიცი, ვიყა...) ფუძე=
 ფორმა. ამ ფორმათაგან ყველაზე მეტი ფონეტიკური ცვლი-
 ლება ხდება 1 და 4 კლასისათვის გამოყენებულ ფორმაში:
 ყა დ- < - ყა დ=ან- < - ყად=აიცი. მაგრამ ამ ფორმაში მომხ-
 დარი ცვლილება უფრო შორს მიდის (განსაკუთრებით ახალ-
 გაზრდების მეტყველებაში), რის შედეგადაც იგი ასეთ
 სახეს იღებს: ატ- < - ყატ=აი- < - ყად=აი- < - ყად=აიცი (იხ. ქვემ
 დიალექტური ვარიანტები).

მუხადური ნამყო წინარე=წარსული უნდა გაგებულ
 იქნეს ისეთ ფორმად, რომელსაც აქვს „ოდესდაც ყოფნის“
 მნიშვნელობა და ახლავს უწყვეტობის, დაუსრულებლობის
 გაგებას. საინტერესოა, რომ აღნიშნული ფორმის პარალელუ-
 რად ნამყო წინარე=წარსულის მნიშვნელობით მუხადურში გა-
 მოიყენება =ა- < - ი მწარმოებელდართული აწმყო=ზოგადის
 რთული ფორმაც: ანი=აიყი=ი=ა, ყა ნი=ვიყი=ა; მრ. ყანი=
 დიყი=ა- > ანი=დიყ „არის ხოლმე“, „მყოფობს ერთადაცად“.
 ამ ფორმების გათვალისწინებას მნიშვნელობა აქვს მუხა-

1. ეს ფორმა იხმარება აწმყო=ზოგადის მნიშვნელობით („არის ხოლმე“), ხან აწმყო=კონკრეტულისა. ასეთი აღრევა გამოწვეული უნდა იყოს ამჟამინდელ მუხადურში ასპექტისა და დროთა ფორმების თავდაპირველი გაგების მოღუნებით.
2. ამ ფორმას აქვს ასეთი აზრი: „რომელიც იყო“, „ვინც ან რაც იყო“.
3. ამ ფორმის განვითარების გზა ასეც შეიძლება წარმოვიდგინოთ: ანი=აიყნ- < - ანი=აიყნი=ა- < - ყანი=აიყნი (შდრ. იმპერფექტი აიყნ- < - აიყნი; აგრეთვე - აწმყო შეპირობებითი: აიყნაქუნ- < - აიყნი=აქუნ) იხ. ზემ.

დური ზმნის დროთა ჩამოყალიბების ისტორიისათვის (ამას-
 თან დაკავშირებით ზოგის-ხვა განმარტება იხ. ქვემოთ).
 კ) ა-ყ ფორმაზე დაყრდნობით წარმოებული ნამყო უწყ-
 ვეტლის გამოყენებითა და ამაზე =დინ ელემენტის დართ-
 ვით მუხადურში (რუთულურ დიალექტში) იწარმოება ნამ-
 ყოს პირობით=კავშირებითი: ზე აადინ „მე რომ ეყოფი-
 ლიყავი“, ეგ აადინ||ლუ აადინ „შენ რომ ყოფილიყავი“,
 თინდღ(ჰად) აადინ||თინ აადინ „ის რომ ყოფილიყო“...
 ეს ფორმა ყველა „პირისა“ და ყველა კლასისათვის ერთ-
 ნაირად გამოიყენება; ეს გაურჩევლობა იმით არის სა-
 ინტერესო, რომ აქ მაწარმოებლად გამოყენებულია =დინ
 ელემენტი, რაც წარმოშობით დამხმარე ზმნა უნდა იყოს
 და მიმდინარეობდეს დიცი ფორმიდან: აადინ<-ყაა=დინ<-
 ყაა=დიცი=ნ. ეს საინტერესოა იმით, რომ აქ დიცი=ნ მე-
 შველი ზმნის აღდგენილი ფორმა უნდა ეყრდნობოდეს =ნ
 სუფიქსით გართულებულ მეშველ ზმნას „დიცი“=ს, ხოლო
 ცალკე აღებული ეს ფორმა მუხადურში (ყველა კილო=კილო-
 კავში) იხმარება მრავლობით რიცხვში დასმული ყველა
 კლასის ერთიან ფორმად და აქვეს „აწმყო=ზოგადის“ ასე-
 თი გაგება: „არიან ხოლმე“, „არიან ერთთავად“...
 ნამყოს პირობით=კავშირებითი კილოს აღნიშნული აად
 ინ<-აადიცი=ნ. ფორმა იმის დამამოწმებელი უნდა იყოს,
 რომ დიცი (<-დიც=ნ) ფორმაში თავკიდური დ=, რომელიც
 დღეს მრავლობით რიცხვში დასმული ყველა გრ.კლასის
 საერთო პრეფიქსია, ისტორიულად იგი მხოლოდითი რიცხ-
 ვის პრეფიქსად იხმარებოდა და მისი აღქმა მუხადურში
 ძველთაგან ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც, მაგალითად,
რ აფიქსისა ხუნძურში: დ (მუხადურში) და რ (ხუნძურში)
 წარმოშობით IV კლასის ნიშანია, რომლის გამოყენება
 შემდეგ განზოგადდა და იგი, როგორც საერთო ნიშანი ყვე-
 ლა კლასისა, მრავლობითში გამოყენებულ იქნა უნიფიცირე-
 ბულ ფორმად. თუ მაშასადამე, ეს (დ) კლას=კატეგორიის
 ნიშანია, მაშინ მისი მომდევნო ელემენტები ფუძისეული
 მასალა უნდა იყოს: ასეთ ფუძისეულ მასალად კი უნდა

მიჩნეულ იქნეს სწორედ „არის“ დამხმარე ზმნა - რო-
გორც წინამავალი ფორმის (აღ=ეღემენტის) განმსაზღვ-
რელი ნაწილი: აღ („იყო ხოლმე“) + დინ<-დიციჲ („იქ-
ნებოდეს საერთოდ“). ეს =დინ<-დიციჲ აწმყო=ზოგადის
ფორმიდან ნაწარმოები. პირობით-კავშირებითა, რომლის
მაწარმოებლად გამოიყენება სწორედ ბოლოკიდური =ღ ეღე-
მენტი. ამ განმარტებას რამდენადმე უფრო ნათელს ხდის
დიალექტებში არსებული მდგომარეობა (იხ. ქვემ.).

ღ) ად<-ადღ<-ცადღ მიმღეობა საფუძვლად უდევს აგ-
რეთვე თურმეობითის ფორმას. ამ კატეგორიის გამოსახა-
ტავად გამოიყენება რთული მაწარმოებელი =ქალი (მხოლ.
რ. ყველა კლასისათვის) + =ქალდიცი (მრავლ. რ. ყველა
კლასისათვის): ადქალი „ყოფილა“; ადქალდიცი „ყოფილან“.
მრავლობითში ასეთი (ადქალ=დიცი) უნიფიცირებული ფორ-
მის გამოყენება გასაგებია: ამჟამად მეშველი ზმნა
დიცი („არის“) ყველა კლასის ერთიანი ფორმაა (იხ. ზემ.).
და ამ შემთხვევაში სხვა წარმოება არც იყო მოსალოდ-
ნელი. ოღონდ მხოლოდობითში დასმული ადქალია ფორმის ყვე-
ლა კლასისათვის ერთნაირად გამოყენება შეუფერებელი
ჩანს მხოლოდობით რიცხვში არსებული ოთხკლასიანი სის-
ტემის ფონზე. როგორც ითქვამს, =ქალია რთული მაწარმოე-
ბელია და უნდა დაიშალოს ასე: ქალ=იჲ; აქედან ცალკე
პირველი (=ქალ) ნაწილის მნიშვნელობა ცოცხალი არ არ-
ის; მეორე (=იჲ) ნაწილი კი ფონეტიკურად გამარტივე-
ბული (ფორმანტამდე დაყვანილი) და ფუძესთან ბოლოკიდურ
ელემენტად შეზრდილი მეშველი ზმნა უნდა იყოს. ამ ნა-
რჩენი ელემენტის ფონეტიკური ცვლილების გზა ასე უნდა
წარმოვიდგინოთ: ადქალიჲ<-ცადქალ=ჲიჲ<-ცადქალ=ჲიციჲ
= ჲ (I. და 4. კლ.)... თურმეობითის დასახელებული ფორმა
იხმარება კვეცილი სახითაც: ადქალი (მხ. რ. ყველა კლა-
სისათვის); ადქალდიცი (მრ. რ. ყველა კლასისათვის). ცხა-
დია, ორივე ეს ფორმა ზემოთ წარმოდგენილ ფორმათა გამა-

I. ამის შესახებ ზოგი შენიშვნა იხ. ქვემოთ.

რტივებული ვარიანტია (შესაბამისად); აქედან „ადქა-
 ჰი“-ს ყველა კლასის საზიარო ფორმად გამოყენებაც მე-
 ორეულია - ისევე, როგორც ზემოთ დასახელებული "ადქა-
 ლიჰ"ასა: ადქალცი-ადქალცი-ცადქალჰიცი (1. და
 4. კლ.); ადქაჰი-ადქალცი-ცადქალჰიცი-ცა დქალჰ-
 რიცი (2. კლ.); ადქაჰი-ადქალცი-ადქალჰიცი-ცა დქალჰ-
 ვიცი (3. კლ.)."

ამგვარად, მე-2 მუხლში წარმოდგენილი ყველა ამ
 ფორმის საყრდენია ჰი-ცა, რომელიც აწმყოს აბსოლუტი-
 ვის ფორმაა და აქვს ასეთი მნიშვნელობა: „არისაა
 ამჟამად“. მაგრამ ამჟამინდელ მუხბაღურში, მოდუნებულია
 ააბსოლუტივის ეს მნიშვნელობა, ჰი-ცა ფორმა იხმა-
 რება ჩვეულებრივ აწმყო დროის მნიშვნელობით - იგი, რო-
 გორც ზემოთაც ითქვა, გამოიყენება გარდამავალ და გარ-
 დაუვალ ზმნათა მეშველ ზმნად.

2. შ ძირიდან წარმოებული ფორმებია: 1) ნამყოს
 აბსოლუტივი (მაწარმოებელია ჰი სუფიქსი): ჰი=შიირ,
 რიშაირ, ვი=შაირ, ჰი=შაირ (გრ. კლას. მიხ.); მრ. დი=
 შაირ (ყველა კლ.). 2) ჰი სუფიქსიან ფორმაზე (ჰი-
შირ და შისტანებზე) დაყრდნობით წარმოიქმნება დრო=
 კილოთა რამდენიმე ფორმა: ა) აორისტი (ნამყო წყვეტილი
 უსრული ასპექტისა) - იწარმოება ჰი სუფიქსის დართვით:

1. ამ მნიშვნელობით გამოიყენება ორ=ვარიანტიანი წარმო-
 ება: ჰი სუფიქსიანი და ჰი ელემენტით გართულებული ვა-
 რიანტი: ჰიში|ჰიშირ, რიში|რიშირ, ვიში|ვიშირ; აქედან
 მეორე (ჰიშირ...) ვარიანტი ნამყო დროის (აორისტი)
 მნიშვნელობითაც იხმარება ფაკულტატურად.

2. მუხბაღურისა და წახურის მიხედვით ტერმინი „აორისტი“
 უნდა გაგებული იქნეს ისე, როგორც ეს ძველ ბერძენ
 გრამატიკოსებს ესმოდათ. როგორც ქვემოთაც იქნება აღ-
 ნიშნული, ეს ფორმა, მართალია, გამოიყენება ნამყოს მნი-
 შვნელობით, მაგრამ არსებითად (თავდაპირველი მნიშვნე-
 ლობის მიხედვით. ამაში არ აისახებოდა მოქმედების ლოკა-
 ლიზაცია დროში. ამ ფორმით გადმოიცემა სწორედ ის კომპლექ-
 სური, კონცენტრირებული აორისტის მნიშვნელობა, რაც და-
 კავშირებულია „განგრძობითობის, განუსაზღვრელობის ცნე-
 ბასთან (= a -oristos.)“

აიშირ=ი, რიშირ=ი, ვიშირ=ი (გრ. კლას. მიხ.); მრ. დიშირ=ი (ყველა კლას.); ბ) ნამყოს პირობითი - ანაქუნ მანა-რმობელის გამოყენებით: აიში=ანაქუნ <-აიშინ=ანაქუნ <-აიშირ=ანაქუნ, რიშინ=ანაქუნ <-რიშინ=ანაქუნ <-რიშირ=ანაქუნ, ვიშინ=ანაქუნ <-ვიშინ=ანაქუნ <-ვიშირ=ანაქუნ (კლას. მიხ.); მრავლ. რ.: დიშინ=ანაქუნ <-დიშინ=ანაქუნ <-დიშირ=ანაქუნ.

გ) აიში, რიში, ვიში (გრ. კლას. მიხ.); დიში (მრ.) ფორმაზე ან სუფიქსის დართვით იწარმოება მასდარი: აიში=ან, რიში=ან, ვიში=ან (გრ. კლას. მიხ.), დიში=ან (მრ. ყველა კლას.), ხოლო დ) ამავე საყრდენ ფუძეზე ანდ სუფიქსის დართვით იწარმოება ნამყოს მიმღობა: აიში=ანდ, რიში=ანდ, ვიში=ანდ (კლას. მიხ.); მრ. დიში=ანდ.² 4) მასდარის ფორმაზე ან (<-ან) ფორმანტის დართვით იწარმოება ნამყოს სრული: აიშინ=ან, რიშინ=ან, ვიშინ=ან „იყო“ (კლას. მიხ.); დიშინ=ან „იყვნენ“.³ 3) აბსოლუტივის ან სუფიქსიან ფორმაზე (აიში და მისთ.) დაყრდნობით იწარმოება პირობითი=კავშირებითი კილოს რამდენიმე სახეობა - ისე, რომ ეს ფორმა ბოლოში გართულებულია ან-ან-ან-ან ელემენტით, რომელსაც მოსდევს რთული აგებულების ანაქუნ მანაქუნის ფორმები (ანაქუნ): აიში=ანაქუნ, რიში=ანაქუნ, ვიში=ანაქუნ, აიში=ანაქუნ, რიში=ანაქუნ, ვიში=ანაქუნ. (კლას. მიხ.), მრ. დიში=ანაქუნ. ამ ფორმას ზოგჯერ ეკვეცება ანქუნ ნაწილი და მარტივდება ასე: აიში=ანაქუნ, რიში=ანაქუნ, ვიში=ანაქუნ.

1. ა. დირი ამ ფორმას უწოდებს პერფექტუმს - პერფექტუმს მაკავშირებელს. (1911, გვ. 54). ამ მანაქუნის დართვის დროს ხდება ფონეტიკური ცვლილებები: ასიმილაცია და შერწყმა - რნ-ანან, რაც ნაჩვენებია რეკონსტრუირებულ ფორმებში.
2. მიმღობის ასეთ ფორმას, როგორც ამას ა. დირიც დასძენს, აქვს მიმართების, რელაციურობის გაგება, გამოხატავს ასეთ მნიშვნელობას: „ნამყოფი, რომელიც...“
3. ა. დირი, (1911, გვ. 53...) ამ ფორმას „ერთდროულს“, „იმავდროულს“ უწოდებს.
4. ან-ან-ან-ან დიალექტური ვარიანტებია აშინაზურსა და იხრეკულ=მუხრეკულში უფრო საყრდენი (ან-ან) ვარიანტია გავრცელებული; ხოლო რუთულურში ან-ან და ბორჩოლში ან ვარიანტს ეძღვნება უპირატესობა; თუმცა ყველგან სპორადულად ყველა ვარიანტი იხმარება; ან-ან ვარიანტი უმთავრესად მოხუცთა

და ა.შ. ამასთან: ამ ფორმათა გამარტივების პროცესი ხანდახან ისე შორს მიდის, რომ მას ბოლოკიდური \rightleftharpoons ელემენტის ეკვივება და მაწარმოებლად ოდენ ϕ ($\sim\psi$, $\sim\chi$) ელემენტია რჩება: იაში \rightleftharpoons , რიში \rightleftharpoons , ვიში \rightleftharpoons და ა.შ.¹

ერთი მხრივ, ერთობა (დამთხვევა, ფარლობა) ფორმებისა, ხოლო მეორე მხრივ, სხვაობა, რაც არსებობს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა სისტემაში, ამასთან ფორმათა ურთიერთობის ის საკითხი, რაზედაც ზემოთ იყო მითითებული, საყურადღებოა და დროთა ჩამოყალიბების ისტორიას ეხება. როგორც ჩანს, ეს კატეგორია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ბოლოებსა და ეს ფენები, ასე ცქცევით, ჯერ კიდევ ამ ენობრივ კატეგორიათა „გამონახვის“, ქმნადობის, სტადიაზე იმყოფებიან. წახურსა და მუხადურს სტრუქტურულ შესაძლებლობათა ამ უბანში ერთი დონე აქვს.

ნ. წახურსა და მუხადურში ნამყო უწყვეტლის ფორმა იგივეა, რაც აწმყო-ზოგადი (იხ. ზემ.), ამასთან აწმყო-ზოგადის მეორე ფორმა იგივეა, რაც ხოლმეობითი (ბერმანსივი); ეს სულაც ექსტემპორალური ფორმაა, რამდენადაც იგი „უდროობა“-ს უფრო გამოხატავს, ვიდრე

კონკრეტულად აღებული რომელიმე დროის, თუნდაც ზოგადი სახის, მნიშვნელობას. აქ იგულისხმება, კერძოდ, ზმნის ასეთი ფორმები: ა) წახური: ვორნა=ნი||ვორნა=ი „იყო“, „არსებობდა“, ზღჟ. „არის საერთოდ“, „არსებობს ხოლმე“ (ზღრ.ვორნა „არის“, „არსებობს“, „მყოფობს“); ჰაყანი<-ჰაყანი=ნი „აკეთებდა“, ზღჟ. „აკეთებს საერთოდ“, „აკეთებს ხოლმე“ (ზღრ.ჰაყანი||ჰაყანი „აკეთებს“)... ბ) მუხადური: აა||<-ყაა „იყო და არის საერთოდ“; ჰაყრაა||<-ჰაყრაა=ყაა „აკეთებდა“ - „აკეთებს ერთთავად, საერთოდ“ (იხ. ზემ. პარადიგმები, განმარტებები). ბ) წახური: ეხ~ი, აჟხ~ი, ვოხ~ი (გრ. კლას. მიხ.) „არის საერთოდ“, „არსებობს მუდამ“, „სულ მყოფობს“. თავად ეს თარგმანი იძლევა იმის განმარტებას, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს დროის გარეშე ცნების, სტატიკურობის, ერთთავადობის, პროცესულობის გამომხატველი ფორმა. ასევე გაიგება და განიმარტება აქედანვე ნაწარმოები ფორმები: ეხ~ი=ვორ, ჰაყრა=ვორ, ჟუგრა=ხ~ი (იხ. ზემ. პარადიგმები. განმარტებები), ამ ეხ~ი, ეხ~ი=ვორ, ჟუგრა=ხ~ი, ჰაყრა=ვორ<-ჰაყრა=ვორ და მისთ. ფორმებთან ერთად ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის, რომ გ) „არის“ ზმნის გამოსახატავად (კერძოდ, მუხადურში) ორი ფორმად გამოყენებული: ა<-ყა(<-ყა) და ი<-ყი(<-ყი). ამ უკანასკნელის ვრცელი სახეობაა გრ. კლასის პრეფიქსით გართულებული ასეთი ფორმები: აიყი (1. და 4. კლ.), რიყი (2. კლ.), ვიყი (3. კლ.). კომპოზიტ-ზმნებში დამხმარე ზმნად გამოყენების დროს ეს ფორმები ასეთ სახეს იღებენ: აი, რი, ვი (იხ. ზემ.). აქ დასახელებულ ორ ძირითად ფორმათაგან ა მაწარმოებლიანი ფორმა (ყა) კონკრეტულ აწმყოს გამოხატავს (არის, არსებობს ამჟამად), თუმცა იგი წარმოშობით აწმყოს აბსოლუტივის ფორმაა. მეორე, ი მაწარმოებლიანი, ფორმა (აი<-აიყი-აყი) კი განუსაზღვრელობის ცნებასთანაა დაკავშირებული და იგი დიურატიულ ასპექტს (საერთოდ - ასპექტს და არა დროს)

გამოხატავს. მაშასადამე, წახური წიხი და მისთ. მსგავსად იგი „უღრობის ფორმაა“. აღსანიშნავია, რომ მუხადურშიც „ყოფნა“ ზმნისა და სხვა ზმნათა აორისტი ფორმალურად ემთხვევა აწმყო ზოგადისა თუ სტატიკურ ზმნათა ამ ღ მაწარმოებლიან ფორმებს: შდრ., მაგალითად, აიცი (არის) და აიში ||ა-აიში^ა, აიში^ა (იყო), ჰეხერა-ი(აკეთა)...¹ საგულისხმოა, რომ წახურში აბსოლუტივის ერთეული ფორმა ჯხ^ა (ჯჰა) გამოიყენება აორისტის აბსოლუტივადაც და აწმყოს აბსოლუტივადაც (იხ. ზემ.). გამოიყენება აგრეთვე ბრძანებითის მნიშვნელობითაც. ა მაწარმოებლის საერთო ხასიათის მიხედვით აღნიშნული (ჯხ^ა||ა) ფორმა წარმოშობით მაინცდამაინც აწმყოს აბსოლუტივის ფორმაა; ნამყოს მნიშვნელობით იგი როგორც ჩანს, რეინტერპრეტაციის შედეგადაა ხმარებული. ამგვარი ინტერპრეტაცია, უნდა ვიფიქროთ, შესაძლებელი გახდა სწორედ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ამ ენათა აორისტის საერთოდ არა აქვს ფინალურ-რეზულტატიური აორისტის გაგება, იგი უფრო კომპლექსურ-კონცენტრირებული აორისტის მნიშვნელობით იხმარება, გამოხატავს არა მოქმედების ხანგრძლივობას, ხანგრძობას; მეორეც: თავად აბსოლუტივის ფორმა შინაგანად, თავისი შინაარსით, მჭიდროდაა დაკავშირებული ასპექტის ცნებასთან. - ისე, რომ მისი გამოყენება ხან ერთისა და ხან მეორე დროის აბსოლუტივად არ ქმნის ანომალიას, ან გაუგებრობას. ამ ფაქტსაც ისევე და ისევე მივყავართ დროთა ჩამოყალიბების ისტორიის სიღრმისაკენ. ყოველივე ეს განვითარების იმ სტადიის ანარეკლია, როდესაც წახურ-მუხადურ ზმნის სისტემას კონკრეტულ დროთა გამოხატვა არ ახასიათებდა. დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით ზემოთ განხილული ფორმებიც, ე.ი. ღ მაწარმოებლით ან ამ „ღ“^ა

-----¹

I. შდრ. ხოლმეობითის (პერმანსივის) წარმოების ტიპი ძვ. ქართულში: ვიდ^ა=ა, ყვ^ა=ა, აღილ^ა=ა და მისთ. ფორმები...

შემცველი მაწარმოებლით გამოსხატული დროის ყველა ფორ-
 მაც მაინცდამაინც განუსაზღვრელობის ცნებასთანაა და-
 კავშირებული: ი მაწარმოებლიანი ზმნა, რაზედაც ზემოთ
 იყო მსჯელობა, ისტორიულად (და ზოგ შემთხვევაში ამ-
 უამადაც) დიურატიულობის, ასპექტის გამომხატველია და
 არა კონკრეტული დროისა. მაშასადამე, ოდინდელი ვითარ-
 ტების მიხედვით აქ ჩვენ ხელთ გვაქვს უდროობის გა-
 მომხატველი, ექსტემპორალური, ფორმა. ამიტომაცაა, რომ
 ზმნის ერთი და იგივე ი მაწარმოებლიანი ფორმა გაიგე-
 ბა ხან სტატიკურ ზმნად, ხან აორისტად, ხან კი ნამ-
 ყო უწყვეტლისა თუ წინარეწარსულის, ანდა სულაც,
 ნამყო წყვეტილის ფორმად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძვე-
 ლი ენობრივი რესურსი ხელახალი ინტერპრეტაციის შედე-
 გად გამოიყენება ახალ მნიშვნელობათა (ამა თუ იმ კო-
 ნკრეტულ დროთა) გამოსახატავად. - ისე, რომ დროის მი-
 ხედვით ასპექტის კატეგორიის, ექსტემპორალური ფორმის,
 ამგვარი კონკრეტიზაცია უნდა მიჩნეულ იქნეს მეორეულ,
 გვიანდელ, მოვლენად.¹

წახური და მუხადური ზმნა გარდაუვალობა=
გარდამავლობის მიხედვით. ზმნის სინტაქსური
კონსტრუქციები. გვარის კატეგორიის საკითხი

ზოგადი

წახური და მუხადური ზმნები ერთმანეთისაგან
 განირჩევიან იმისდამიხედვით - ეწყობა თუ არა მათ სა-
 მოკმელო სახელი - უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი. უკა-
 ნასკნელის უქონლობა=მქონებლობა განსაზღვრავს ზმნის

I. ამგვარივე ენობრივ-მორფოლოგიური პროცესები მოწმ-
 დება თვისტომ ენებშიც. კერძოდ - უდიურში (იხ.
 ევგ. ჯეირახიშვილი - 1958¹; 1971).

ხასიათს გარდაუვალობა=გარდამავლობის თვალსაზრისით; ამასთან ეს ლექსიკურ=სემასიოლოგიური კატეგორიაა და არა მორფოლოგიური (თვისტომ ენათა შაბლონი). თანაც: წახურ და მუხადურ „მონოპერსონალურ“ ზმნაში პრეფიქსით ან (ზოგჯერ) სუფიქსით აღინიშნება ერთი „პირი“ (უფრო სწორედ - ერთი პირის კლასი) და ეს ერთი „პირი“ სუბიექტი გარდაუვალ ზმნაში, ან უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი გარდამავალ ზმნაში.

საგულისხმოა, რომ ერთი და იგივე ზმნა შეიძლება გაგებულ იქნეს გარდაუვალადაც და გარდამავალადაც. ზმნის ასეთი თვისება მიეწერება გვარის კატეგორიის უქონლობას (ამ ენებში მეორდება თვისტომ ენათა ურავლესობის მდგომარეობა).

გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები

წახურში

წახური გარდაუვალი ზმნებია, მაგალითად: ჯხას, ჯხაა (ყოფნა, არსებობა), ნაჩახ=ჯხას, ნაჩახ=ჯხაა (აგად გახდომა), ხაჯრ=ჯხას, ხაჯრ=ჯხაა (გაჯრდა);¹ კჯხას, კჯხაა (ხელახლა ყოფნა, ხელმეორედ არსებობა), ყურუ=კჯხაა, ყურუ=კჯხას (გაშრობა, გახმობა - ხელახლა ხმელად, მშრალად გახდომა), ოჯა=კჯხაა, ოჯა=კჯხას (ადგომა, წამოდგომა = ხელახლა ამდგარი გახდომა)...

გარდამავლებია: ჰიცი, ჰაჩყი; ჰაყას, ჰაჩყას (კეთება),² ტაბალ=ჰიცი, ტაბალ=ჰაყას (ძებნა), ბადალ=ჰიცი, ბადალ=ჰაყას (გამოცვლა, გადაცვლა), აკან=ჰიცი, აკან=ჰაყას (კარგვა), იშლამიშ=ჰიცი, იშლამიშ=

-
1. სუბ.კლას.მიხ.: ხაჯრ=ჯხას (1.კლ.), ხაჯრ=ჯხაა (2.კლ.), ხაჯრ=ჯხას->ხაჯრ=ჯხას (3.კლ.)
 2. ობ.კლას.მიხ.: ჰიცი (1. და 4.კლ.), ჰაყას (2. კლ.) ჰაჩყი (3.კლ.).

ჰაყას (მუშაობა, - საქმის კეთება)...

გარდაუვალი ზმნის სუბიექტი მუდამ სახელობით (წრფელობით) ბრუნვაში დგას; გარდამავალი ზმნისა კი დრო=კილოთა მიუხედავად - ერგატრეში (მაგალითები იხ. ქვემ.).

სხვა სინტაქსური წყობა აქვს აღქმა=გრძნობის აღმნიშვნელ ზმნას: აქ სუბიექტი (ისტორიულად - ირიბი ობიექტი) დაისმის მიცემითში, ანდა აფექტივში, ხოლო ობიექტის (ისტორიულად - სუბიექტის) ფორმაა სახელობითი (წრფელობითი); მაგალ.: 1) ზას ჩიქანან ჩიზდა ჩედ ჩემ (მიც.) მიყვარს ჩემი დედა“; ვას ჯქანანა იზდა დექჷ ჩვენ (მიც.) გიყვარს შენი მამა“... 2) ზაკლ მანან აწანანა ჩემ (აფექტ.) იგი (კაცო) ვიცი, - მე მას (კაცს) ვიციანობ“; ვაკლ მანანა ჩაწანანა ჩვენ (აფექტ.) იგი (ქალი) იცი, - შენ მას (ქალს) იციანობ“...

წახურს მოეპოვება აგრეთვე კლას=ნიშნიანი ლოკატორი კონსტრუქციაც; შდრ., მაგალ., ზა=კააჩ ჩოჯ ვორ (ვორნა) ჩემდა (ჩემთან) ძმა არის, - მე მყავს ძმა“; ვაკააბ ბალქან ვობ (ვობნა->ვომნა) ჩვენდა (შენთან) ცხენი არის, - შენ ცხენი გყავს“...

ზემოთაც ითქვა, რომ ერთი და იგივე ზმნა შეიძლება გაგებულ იქნეს გარდამავლადაც და გარდაუვლადაც; ამის წახური მაგალითებია: 1) ზე იზე გიბლელნა ჩემ (ერგატ.) საქმე დავიწყე“ - მაგრამ: ჩიზდი იზე გიბლელნა ჩემი საქმე დავიწყე“; 2) დამან ჯქანანა მამა ჩემდინარეს (მდინარემ) მიაქვს გვამი“ - მაგრამ: დამე (დამა) ჯქანანა ჩემდინარე მიდის, მიედინება“...

გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები მუხადურში

მუხადური გარდაუვალი ზმნებია: ჩიქის, ჩიშინ, (ყოფნა, გახდომა);¹ გიჭერა=ჩიშინ (შეშინება, ფრთხობა),

¹ სუბ კლას. მიხ. ჩიქის (1. კლ.), ჩიქის (2. კლ.), ვიქის (3. კლ.), ასევე: ჩიშინ, ჩიშინ, ვიშინ.

ლაზიმ=აჟინ (საჭიროდ გახდომა, საჭიროება), ლაღდჷ=
აჟინ (დამუნჯება), მჷქჷაჟინ (გაყინვა, - ყინულად,
ყინვად ქცევა)...

გარდამაცლებია: ჰაყას, ჰეყენ; ცაყას, ცეყენ¹
(კეთება); ქარჷჰაყას, გჷლაბჷვაყას (მუშაობა, -
საქმე კეთება), ლიკვაჷჰაყას, ლიკვაჷჰეყენ (ანთება),
მუჰრებჷჰაყას, მუჰრებჷჰეყენ (მოტყუება)...

მუხადურშიც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი მუდამ
სახელობით ბრუნვაში დგას, გარდამაცლისა - ერგატრიც-
ში (მაგალითები იხ. ქვემო). აღქმა=გარდნობის აღმნიშ-
ვნელ ზმნებს დატივური კონსტრუქცია აქვთ; მაგალ.:
1) ჰანის ჰემიდ რჷშ რჷგარაა „მას ეს ქალიშვილი უყ-
ვარს“; ჰანის უღდ ხენჯხ აოგარა „მას თავისი ბიჭუნა
უყვარს“, ჰანის ვეგარ ბალქან „მას უყვარს ცხენი“...

2) ზას აწარა „მე (მიც.) ვიცი“, ვას აწარა „შენ (მიც.)
იცი“, ჰანის აწარა „მან (მას) იცის“...

მუხადურშიც ერთი და იგივე ზმნა შეიძლება გაგე-
ბულ იქნეს გარდამაცლადაც და გარდაუვლადაც - შდრ.,
მაგალითად: ზა თეჭანჯ ახარა „მე (ერგატ.) თაფს (სა-
ხელობ.) ვისვრი“ - მაგრამ: ზე ახარა „მე მივრბივარს“;
ზა აქ უხარა „მე (ერგატ.) ხორცს (სახელობ.) ვხარ-
შავ“ - მაგრამ: აქ ჰააგა უხარა „ხორცი ქვაბში
იხარშება“...

საერთო ხასიათის შენიშვნები წახურ და მუხადურ
გარდაუვალ=გარდამაცალ ზმნებთან დაკავშირებით

I. თვალსაჩინო ერთიანობის მიუხედავად, წახური და
მუხადური გარდაუვალი და გარდამაცალი ზმნები მაინც
განსხვავდება კონსტრუქციათა მიხედვით: წახურში ექვ-
სი სინტაქსური კონსტრუქციაა: სახელობითი (ინდიფერენ-
ტულ=წრფელობითი), ერგატრიული, დატივური, აფექტივური და ლ-

1. ობჷკლას. მიხ.: ჰეყენ (I. კლ.), რჷყენ (2. კლ.),
ვეყენ (3. კლ.)...

კატორი (კლასნიშნიანი), მუხადურში კი სამია: ნო-
მინატორი, ერგატორი და დატორი.

2. როგორც წახურში, ისე მუხადურში შეინიშნება
ზმნის შინაარსის გაატორების ტენდენცია: გარდაუ-
ვალი ზმნის გარდამავლად ან გარდამავლისა ფატორიკი=
კაუზატორად გარდასატმენელად გამოიყენება მეორე (დამ-
ხმარე) ზმნა „კეთება“, ანდა „მიცემა“, „ძლევა“.
მაგალითები: 1) წახური: აგჟალას (კარგვა) - აგჟალ=
ჰაჟას (დაკარგინება); ოხანას (ჰამა) - ოხან=ჰაჟას
← ოხანას=ჰაჟას (ჰმევა); ილოლას (სმა) - ილოლას=
ჰაჟას (დაღვინება)... 2) მუხადური: სუგუნ (კარგვა:
იკარგება) - სუგუნ=ჰაჟას, სუგუნ=ჰმევენ (კარგვა: კარ-
გავს); გჟალას=ვაჟას (სატმის კეთება) - გჟალას=ვა-
ჟას=ფუს (სატმე=კეთება=ძლევა, მიცემა, - სატმის კე-
თებინება). ამის კვლობაზე შეიძლება ითქვას, რომ
წახურსა და მუხადურს მაინც მოეპოვება გვარის კატე-
გორიის ერთგვარი ჩანასახები, თუცა, როგორც ეს ნი-
მუშებიდანაც ჩანს, იგი არ სცილდება ლექსიკურ ანალი-
ტიკური წარმოების ფარგლებს (შდრ. ა. დირი - 1911, გვ.
96...; 1913, გვ. 109...).

ანალოგიური მდგომარეობაა თვისტომ ენებშიც.
თუცა ზოგი მათგანი, მაგალითად, უდიური რამდენადმე
განსხვავდება წახურისა და მუხადურისაგან. უდიურში ანა-
ლოგიურ მდგომარეობასთან ერთად შეიმჩნევა გვარის კა-
ტეგორიის შედარებით უფრო მრავალფეროვანი ექსპონენ-
ტები, მათ შორის - მორფოლოგიურიც. ეს კატეგორია უდი-
ურში, რა თქმა უნდა, სისტემებზე არ განვითარებულა,
მაგრამ ამის ჩანასახები აქ უფრო ადრე დაიწყო და უფ-
რო მეტადაც მიუახლოვდა მორფოლოგიურ ღონეს (ეფგ. ჯე-
ირანიშვილი, 1971, გვ. 97-99).

„ლუგური ჯგუფის“ სხვა ენებში კი სწორედ ისეთი
მდგომარეობაა, როგორც - წახურსა და მუხადურში. კერ-
ძოდ, ხინალულურში ზმნები ერთმანეთს უპირისპირდებიან
გარდამავლობისა და გარდაუვალობის მიხედვით. ამასთან

ეს დაპირისპირება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ზმნურ ფუძეზე სემანტიკით (ი.დეშერიევი, 1959, გვ.40...).

ასეთივე ვითარებაა ლეზგიურშიც: „ფუძის მხრივ ლეზგიური ზმნა თავისი ბუნებით ნეიტრალურია - ერთი და იგივე ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალიცა და გარდაუვალიც, რაც კონტექსტით ირკვევა“ (გ.თაფურიან, 1959, გვ. 13). თუმცა თანამედროვე ლეზგიურში ზმნის ფუძის ნეიტრალობა დარღვეულია. ზოგი ზმნა მხოლოდ გარდამავალი შინაარსით იხმარება, ზოგი კი გარდაუვალით; ზოგჯერ სხვაობა მორფოლოგიური საშუალებითაა შეტანილი. იგულისხმება კაუზატივის კატეგორია (მ.ჰაჯიევი - 1954; გ.თაფურიან - 1959). ხუნძურშიც „გარდამავალი ზმნა მოქმედებით გვარს არ გულისხმობს. არც მოქმედებითი გვარი და არც მისი საპირისპირო ცნებითი ხუნძურმა გარდამავალმა ზმნამ არ იცის. ასეთ პირობებში სხვაობა გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებს შორის, ცხადია, ისე მკვეთრი ვერ იქნება... , როგორც იქნებოდა გვამრთა გარჩევის შემთხვევაში“. ხუნძურშიც „გარდამავალი (ან ლაბილური კონსტრუქციის გარდამავალი) ზმნისაგან შეიძლება გაწარმოთ გარდამავალი ზმნა სტაბილური კონსტრუქციისა. ეს დაკავშირებულია კაუზატივის წარმოებასთან“... კაუზატივის საწარმოებლად კი აქაც „იხმარება მეშველი ზმნა ჰაბიზე („კეთება“), რომელიც დაერთვის ძირითადი ზმნის ინფინიტივის ფორმას“ (არნ.ჩიქობავა, ილ.ცერცვაძე - 1962).

განმარტებები, მოცემული, ერთი მხრივ, წახურისა და მუხადურის, ხოლო მეორე მხრივ, უდიურის, ლეზგიურის, ხინალლურისა და ხუნძურის მონაცემთა ცვალობაზე, ასახავს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდამავალ-გარდაუვალ ზმნათა ხასიათის ერთიანობას, - გვარის კატეგორიის უქონლობის (ან მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობის) ერთნაირ ვითარებას (შდრ. პ.უსლარი - 1888, 1889; პ.შუხარდტი - 1895; ა.დირი - 1908, 1928

და სხვ.). ზემოთ აღნიშნულ ენებში ისევე, როგორც სხვა თვისებებში ენებში, არსებული მდგომარეობა ილუსტრაციითაა დებულებისა, რომ მთის კაცების ენათა გარდასახული ზმნის ხასიათი არ ეფარდება მოქმედებითი გვარის ცნებას, მაგრამ არც ვნებითი გვარისა; იგი თავისი ბუნებით გვარის კატეგორიის მიმართ საერთოდ ინდიფერენტულია, ნეიტრალურია (არნ. ჩიქობავა - 1942, 1948, 1950).

სახელზმნური ფორმები წახურსა და მუხადურში

ზოგადი

თუკი ტემპორალურ და მოდალურ ფორმათა საყრდენად გამოყენებულია აბსოლუტივის, მასდარის, ინფინიტივუსუპინისა და მიმდებარის ფორმები, დროჰილთა კატეგორიის შესახებ მსჯელობის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო სწორედ ამ ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხთა განხილვა, მათი დახასიათება, - გაუგებარი რომ არ ყოფილიყო, თუ რატომ გამოიყენებიან „ნაზმნარ სახელად“ წოდებული ეს ფორმები ზმნურ კატეგორიათა წარმოების საყრდენად. I ამასთან დაკავშირებით დაისმის ასეთი კითხვა: წახურ, მუხადურ და თვისებები ენათა სინამდვილის მიხედვით არის თუ არა თითოეული ასეთი ფორმა ნაზმნარი სახელი? ყოველი ეს ფორმა ხომ არ წარმოიქმნება პირველადი, ნეიტრალური ფუძიდან, რომელიც თავისი ბუნებით არც ზმნა არის და არც სახელი; თუცა მორფოლოგიურ თვალსაზრისზე რომ დავდგეთ, მას შეუძლია დაირთოს სახელისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის წარმოებელი, მაგალ., ბრუნვის ნიშანი, რიცხვის ნიშანი,

I. ეს პრინციპი საერთოა ლეზგიური ჯგუფის თითქმის ყველა ენისათვის. ამიტომაც სულაც მართებული იქნებოდა, ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების, კერძოდ, დროჰილთა შესახებ მსჯელობამდე განხილულიყო აბსოლუტივის, მასდარის, ინფინიტივისა და მიმდებარის საკითხი (ამის თაობაზე უფრო ვრცელი შენიშვნები იხ. ენგ. ჯეირანიშვილი - გ. თაფურიანი. ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები (რეცენზია)“. - იბერ. კავკ. ენათმეც., ტ. XII, 1960).

(ასეთია სახელდობრ, მიმღეობა, მასდარი და ინფინიტრი). მაგრამ წახურში, მუხალურში და სხვა, თვისტომ, ენებში ეს ფორმები ზმნის ფუძიდან კი არ წარმოქმნილან, არამედ - პირველად, ნეიტრალურ, ფუძეზე დაყრდნობით წარმოებული აბსოლუტივისაგან. ამიტომაც უფრო სწორი იქნებოდა, ამ ფორმებისათვის ნააბსოლუტივარი ფორმები გვეწოდებინა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათ აქვეთ ევრბალური მნიშვნელობაც, რამდენადაც ესენი შინაარსობრივ გამოსხატავენ მოქმედებას ან მდგომარეობას, ხოლო შესიტყვებაში აქვეთ პრედიკატის დანიშნულება (მართავენ სახელთა ფორმას ისე, როგორც ზმნა), საფუძველი გვექნება, მათ სახელზმნური ფორმები ვუწოდოთ.

აბსოლუტივი წახურში

I. წახურს მოეპოვება აბსოლუტივის რამდენიმე ფორმა, რაც საწარმოებელი ფუძის ხასიათის მიხედვით უნდა დაჯგუფდეს ასე: 1) პირველადი „წმინდა ფუძეზე სუფიქს=დართული) აბსოლუტივი, 2) მეორეული (ნაწარმოებ ფუძეზე სუფიქს=დართული) და 3) მიმღეობისა და ზოგი სხვა ელემენტის კომბინაციით წარმოებული აბსოლუტივი (გერენდიუმი). ყველა ამ ჯგუფში შედის როგორც აწმყოს, ისე ნამყოს აბსოლუტივი.

აწმყოს აბსოლუტივი. მაწარმოებელია აა, რომელიც დაერთვის ა) „წმინდა“ (პირველად) ფუძეს, ბ) =ან, =ალ, =არ სუფიქსით გართულებულ ფუძეს. I ნიმუშები: I) „მარ-

I. ა. დირსა (1913) და ამის კვალად ბ. თალიბოვს (1955; 1967) გამოყოფილი აქვეთ უღვლილების რამდენიმე ტიპი - იმისდამიხედვით, თუ ინფინიტრისა და სხვა ფორმებში გადასული რომელი. ამ ელემენტთაგანი მონაწილეობს. ამის კვალბაზე ეს მკვლევრები მიუთითებენ წახურში I, II და III უღვლილების ტიპზე. სინამდვილეში უღვლილების განსხვავებული ტიპები არ იქმნება არც წარმოების პრინციპისა და არც საუღვლებელი ფუძის და დროაკილოთა მაწარმოებლების ხასიათის მიხედვით. თუ არ ვიგულისხმებთ აპოფონიურ ფუძეებს და ამ ფორმებში მომხდარ. (ზოგჯერ არსებითი ხასიათის) სხვა ფონეტიკურ ცვლილებებს.

ტივ“ ფუძეზე უა მაწარმოებლის დართვით ნაწარმოები აწმყოს აბსოლუტივისა: ჰაყა, ჰწყწ-ჰააყა, ჰააყა-ჰაყა, „აკეთებსა“; იხწ-იხწ, აიხწ, ვუხწ. „არისა“;¹ აჰა, ეჰჰ-ეჰჰ-აჰჰ, აჰა-აჰა „აგ-დებსა“, „ისერისა“; ახჟა, ეხჟა-აჰაჟა, ახჟა-აჰაჟა „არჩებაა“; არჩა, აჟჩა-აჰაჟა, არჩა-აჰაჟა „უშეებსა“; ილღჟა, ილღჟა-ილღჟაჟა, ილღჟა „გადადისა“; აბლა, ადლა „უსვამსა“, „გოზავსა“; ჰიხჟა, ჰიხჟა, ჰიხჟა „მირბისა“... აწა, აწა, ვაწა „იცისა“).² 2) აან, აალ, აარ სუფიქსით „გართულებულ“ ფუძეზე აა||-აა მაწარმოებლის დართვით წარმოქმნილი აწმყოს აბსოლუტივისა: ა) გწუვაა= ანაა, გწივანაა, გწუვანაა „აკიდებსა“... ბ) ჰოდალწ-ჰოდალაა, ჰედალწ-ჰეადალაა, ჰედალწ-ჰეადალაა „რეცხავსა“... გ) ჰასაარა= აა, ჰენაარა-ჰაააა, ანაარა-ჰაააა (→ ვასაარა) უშეებსა“...

შენიშვნა: ამ ფუძეფორმებში აან, აალ, აარ ელემენტები საწარმოებელი ფუძის სუფიქსებად გამოიყობიან და აქვთ ერთგვარი სადეტერმინაციო დანიშნულება; ეს ელემენტები დაახლოებით ისე გამოიყურებიან, როგორც, მაგალითად, ქართული =ედ (სხ=ედ, ჯ=ედ, ქმ=ედ, ხვ=ედ...), =ალ (ც=ალ, კრძ=ალ...), =ერ (ჭ=ერ, ბღვ=ერ...), =არ (ყვ=არ, ღვ=არ...), აან (ყვ=ან, ბრძ=ან) და მისთ.

ნამყოს აბსოლუტივი. მაწარმოებელია =ა, =უ, =ო; ზოგჯერ =ი, =ინ, =ენ, =უნ. დაერთვის მარტივ ფუძეს. ნიმუშები: I) =ა მაწარმოებლიანი ნ. აბსოლუტივისა: ჰაყა=ა, ჰააყა=ა, ჰაჟა=ა (ობ. კლ. მიხ.) „აკეთაა“; არა=ა (ობ. I. 2. კლ.), აბა=ა (ობ. 3. კლ.), ადაი (ობ. 4. კლ.)

-
1. ეს ფორმა გაიკვება აორისტის აბსოლუტივის ფორმადაც, რაც რეინტერპრეტაციის შედეგი უნდა იყოს. იხ. ზემო „ყოფნა“ ზმნა წაზარში.
 2. აქაც, ქვემოთაც ფორმები ჩამოთვლილია ობიექტისა და სუბიექტის გრ. კლასის მიხედვით, მომეტებულწილად ფორმათა რეკონსტრუქციით.

„მოიყვანა=რა“, „მოიტანა=რა“; არ=ჲ (სუბ.1.2.კლ.), აბ=ჲ (სუბ.3.კლ.), ად=ი (სუბ.4.კლ.) „მოვიდა=რა“... 2) ჟ მანარმოებლიანი ნ.აბსოლუტივისა: ოფჰ=უ<—ობჰ=უ, ოთჰ=უ<—ოფჰ=უ „ჭამა=რა“; გიკ=უ „მოკლა=რა“; ავჰ=უ „გადააგდო=რა“, „ისროლა=რა“; უხ=უ, ჟუხ=უ, ვუხ=უ „იშვა=რა“; საეკ=უ „დაბრუნდა=რა... 3) ზ მანარმოებლიანი (იხმარება იშვიათად): უვჰ=ო || უვჰ=უ „თქვა=რა“, უხ=ო || უხ=უ „იშვა=რა (ვაჟი)“... 4) =ჲნ (=უნ) მანარმოებლიანი: ოფჰ=უნ || ოფჰ=ჲნ<—ობჰ=ჲნ „ჭამა=რა“, არკჲნ, აბკჲნ „მოვიდა=რა“; ახუნ „დარჩა=რა“, 5) =ინ მანარმოებლიანი (იხმარება იშვიათად): ჰიყ=ი||ჰიყ=ინ „აკეთა=რა“ (ობ.4.კლ.; ობ.მრ.3.და 4.კლ.)“, ად=ი||ად=ინ (იხ.ზემ.) „მოვიდა=რა (4.კლ.)...“

ნამყოს აბსოლუტივის ნიშანთა მრავალფეროვნება მეტწილ ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგია. ძირითადი მანარმოებელია =ჲ და =ჲნ; დანარჩენები ფონეტიკური ვარიანტებია: ჟ (უნ)<—=ჲ (ჲნ) (ხმოვანთა ასიმილაციის შედეგად, ან - ამის ანალოგიით): უხუ<—უხჲ, ჟუხუ<—ჟუხჲ, ვუხუ<—ვუხჲ „იშვა=რა“, „დაიბადა=რა“; ობჰუ<—ობჰჲ „ჭამა=რა“... ზ ვარიანტიც ასევე აიხსნება. კიდევ უფრო მარტივად დგას =ჲ, =ჲნ და =ი, =ინ ვარიანტთა ურთიერთმიმართების სტკითხი. =ჲ და =ი ხმოვანთა ჰომორგანულობა სადავო არ არის და, მაშასადამე, მათი ურთიერთშენაცვლების ახსნაც ადვილად შეიძლება: შდრ. ჲ/ი სუბსტიტუციის სხვა მაგალითები: გჲნე||გჲინე (პური), ჲღ||ღიდ (ღღე), ჰამჲშა||ჰამიშა (ყოველთვის, მუდამ)... ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ორ ძირითად მანარმოებლამდე დაყვანილი =ჲ და =ჲნ (ანდა: =ი და =ინ) მანარმოებელთა ურთიერთობის საკითხიც. აწყოს აბსოლუტივისა და აქედან ნანარმოები მიმდებობის ფორმასთან შედარება საშუალებას იძლევა, მეორე ვარიანტი ნ.აბსოლუტივისა მივიჩნიოთ აგრეთვე მიმდებობის ფორმად; სხვანაირად რომ ვთქვათ: =ჲნ და =ინ რთული სუფიქსია,

იშლება ასე $2^{\alpha} \cdot 3^{\beta}$; 3^{α} . აქედან 2 იგივეა, რაც პირველი ტიპის ნ.აბსოლუტივის სუბიქსი, ხოლო მასთან შეზრდილი \neq წარმოშობით მიმდებარის: ესაა - მიმდებარის ფორმა, გამოყენებული აბსოლუტივად, ხოლო \neq აწმყოს ზოგადისაა, ამაზე დართული \neq ელემენტი კი ისევე მიმდებარის: შდრ. 3^{α} (აწმყოს აბსოლ.), $3^{\alpha} \neq 3^{\alpha}$ (აწმყოს მიმდებარე), $3^{\alpha} 2^{\beta}$ (ნამყოს აბსოლ.) - $3^{\alpha} 2^{\beta} \neq 3^{\alpha} 2^{\beta}$ (ნამყოს მიმდებარე, $2^{\alpha} 3^{\beta}$. ნამყოს აბსოლუტივი). მანასადა-მე, წახურს მოეპოვება ერთი ტიპის წარმოება როგორც აწმყოს, ისე ნამყოს აბსოლუტივისა, თუ არ ვიგულისხმებთ ერთ შემთხვევაში (აწმყოს აბსოლუტივის საწარმოებად) განსხვავებულ საწარმოებელ ფუძეთა გამოყენებას (იხ. ზემ.), ხოლო მეორე შემთხვევაში (ნამყოს აბსოლუტივის ხაზით) იმას, რომ ამ აბსოლუტივის სინონიმალ (რენტერპრეტაციის შედეგად) გამოიყენება აწმყოს ზოგადის \neq (ინ) სუფიქსიანი ფორმა.

2. წახურს მოეპოვება მასდარის, ან მიმდებარისა და ნაწილაკოვან ელემენტთა კომბინაციით წარმოქმნილი აბსოლუტივის კიდევ რამდენიმე ფორმა. ამ აბსოლუტივს აქვს აწმყოს, ნამყოს და მყოფადის გერუნდიუმის მნიშვნელობა. ზოგი ამათგანი ამუამინდელუ წახურში „ორგანული“ წარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს, ზოგი კი გარკვევით ანალიტიკური (დექსიკური) ხასიათისაა. აბსოლუტივის ამ სახეობას მიეკუთვნება: 1) \neq \neq \neq \neq \neq ელემენტის აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის მიმდებარე დართვით წარმოებული გერუნდიუმის ფორმები: ა) აწმყოს გერუნდიუმი: მაგალ.: $3^{\alpha} 2^{\beta} \neq 3^{\alpha} 2^{\beta}$ (კეთების დროს, კეთებისას), $3^{\alpha} 2^{\beta} \neq 3^{\alpha} 2^{\beta}$ (ყოფნის დროს, ყოფნისას), ვორნა = $3^{\alpha} 2^{\beta}$ ვორნა = $3^{\alpha} 2^{\beta}$ < - ვორნა = $3^{\alpha} 2^{\beta}$, ვოდჯნ = $3^{\alpha} 2^{\beta}$ (ყოფნის, მყოფობის დროს); ბ) ნამყოს გერუნდიუმი: მაგალ.: $3^{\alpha} 2^{\beta} \neq 3^{\alpha} 2^{\beta}$

I. ამ მაწარმოებლის ყაა||-ჯლახ და სხვა ვარიანტთა შესახებ იხ. ზემ. ყოფნა ზმნა წახურში.

2. გრ. კლასების მიხედვით.

ეახ (კეთებისას, როდესაც აკეთეს), იღვიწინ=წყახ (გა-
 შოსვლისას, - როდესაც გამოვიდა); უეჰოინ=წყახ (თქმი-
 სას, - როდესაც ითქვა)... გ) მყოფადის გერუნდიუმი:
 იხ²ასჯნ=ყახ (როდესაც იქნება), ჰაყასჯნ=წყახ (როდე-
 გააკეთებენ)... 2) მყოფადის მიმღეობაზე =სა ელემენ-
 ტის დართვით იწარმოება გერუნდიუმი, რომელსაც შეიძ-
 ლება ეწოდოს გერუნდიუმ-მომღევენობითი, სხვანაირად:
 მომღევენობით=ერთდროული; მაგალ.: ჰაყას=სა (როცა=კი,
 როგორც=კი გააკეთებს, მაშინვე), ოჰხანას=სა (როცა=კი,
 როგორც=კი შეჰამს, მაშინვე)... 3) მასდარის ფორმის¹
 აბლატივსაზედაო ბრუნვაში დასმითა და კნლა („შემდეგ“)
 ადვერბიალური თანდებულის მართვით იწარმოება გერუნ-
 დიუმთან მიმღევენობითი; მაგ.: ოთჰუილა=კნლა (ჰამის
 შემდეგ მაშინვე; სადილის, ვახშმის, საუზმის უკან),
 გეთუილან=კნლა (ცემის შემდეგ, ცემის უმალ), ახტილან=
 კნლა (როგორც ეს დარჩება, მაშინვე; დარჩენის შემდეგ)...
 4) აბლატივში დასმული მყოფადის მიმღეობა, რომელსაც
 ახლავს ადვერბიალური თანდებული ჰიკა (უწინ, ადრე),
 ან ოხჯან (წინ, წინა), გაიგება ისეთ გერუნდიუმად, რო-
 მელსაც აქვს ასეთი მნიშვნელობა: მოქმედება, რომელიც
 წინ უსწრებს მეორე მოქმედებას; ამა თუ იმ მოქმედებამ-
 დე მომხდარი. ამ ფორმას ა.დირი „წინამავალს“ უწოდებს.
 ამას შეიძლება დავარქვათ „ვიდროობითი“ „დასწრებითი
 (დაასწრებს)“...² მაგალ.: ჰაყასჯნ=ჩილან ჰიკა (კეთე-
 ბამდე, ვიდრე გააკეთებდეს), ოჰხანასჯნ=ჩილან ჰიკა (ჰა-
 მამდე, ვიდრე შეჰამდეს), გეთასჯნ=ჩილან ჰიკა, ოხჯან
 (ცემამდე)... 5) მყოფადის მიმღეობა + „არის“ ზმნა
 წარმოქმნის გერუნდიუმის ანალიტიკურ ფორმას, რომელსაც

1. და არა ნამყოს აბსოლუტივისა, როგორც ეს ა.დირს
 ჰგონია (1913, გვ. 81):

2. ეს დაახლ. ისეთი წარმოებაა, როგორიც მუხადურსა
 და უდიურში აწმყოს აბსოლუტივზე =მა ელემენტრიანი
 ფორმა (იხ. ქვემ. აბსოლუტივი მუხადურში).

შეიძლება ეწოდოს გერუნდოუმევევიელობითაჲთუთობითი; მაგალ. : შახასდაჲგორნა (უთუოდ გააკეთების დროს, უთუოდ გააკეთებს), კიკასდაჲგორნა (როცაჲკი უძველ-
ლად, ნამდვილად მოკვდება) . . .

3. წახური აბსოლუტივის ყველა ფორმას წინადადე-
ბაში ის ადგილი უჭირავს, რაც ზმნას: იგი მასთან დას-
მულ სახელთა ფორმას ისევე მართავს, როგორც ზმნა:
გარდაუვალი ზმნის შინაარსის აბსოლუტივთან ქვემდებარე
დაისმის სახელობით ბრუნვაში; აღქმამგზრძობელაბის
გამომხატველი აბსოლუტივის ქვემდებარედამატება და-
ისმის მიცემით და სახელობით ბრუნვაში, ხოლო გარდა-
მავლის ქვემდებარე -ერგატიულ ბრუნვაში, მასთან შეწყუ-
ბილი უახლოესი (პირდაპირი) დამატება კი სახელობითში.
სახელთა ფორმის მართვის ხასიათი აქ სწორედ ისეთივეა,
როგორც ზმნასთან. ამგვარად, წახური აბსოლუტივი წინა-
დადებაში შემასმენელია. ამასთან: გრ. კლასის მიხედვით
აბსოლუტივი ისევე ეწყობა სახელს, ისევე იმართვის
მისგან, როგორც ზმნის ესა თუ ის „პირიანი“ ფორმა. მა-
გალითები: 1) ახმადე გუნეა შახაჲთუოდ ახმადეა ბური
აკეთებსჲრა არის (ახმადე ბურს ამზადებს)“; 2) ხე ხეჲ გ
თა
„მე ძაღლს ცემ (ძაღლი ცემჲრა)“; 3) აიზდი ღუბჲ კჯრჲ
ჲუვეუ შახმახხეჲთუოდ ჲეჲჲ „ჩემმა შეიღმა ყური დაუგლო
და ასე მოიქცა (ჩემმა ვაჲმა ყური მისცაჲრა, ასე მო-
იქცაჲრა)“; 4) ჲე ბაღულ თჲჲჲ „მე თეგზი ვჲემე
(მეჲემეჲრა)“; 5) აიზდი ჩოჲ ბაკეჲბა არჲჲჲ „ჩემი ძმა
ფარებში მოვიდა (მოვიდაჲრა)“ . . . 3) ჲე მანღლს ქითაბ
ჲუვოანჲახ, შენჲჲე ჲაკა აღბჲჲ ჲეჲჲჲ „მე მას როდე-
საც წიგნი ვარჲქე (წიგნის ჩუქებისას), მან მე მაღლობა
გადამიხდა (მან ჩემდა მაღლიერება გააკეთაჲრა)“ . . .
4) ჲე იჲ შახასჲნჲახ კიღჲჲჲ შახა, ჲიჲჲჲ შახას „შენ
ვიღრე საქმის გააკეთებ (საქმე კეთებამდე), იკითხე,
რა გააკეთო“ . . . 5) ჲე თჲჲანასჲჲ, ჲე ჲიკუანდა

„სანამ შენ შევამ, მე ვითამაშებ“... 6) მანყუს ქითაბ პუროილან კილა, აღიშუ არკერა ამას წიგნი რომ ვარუქი (ჩუქების შემდეგ, აილორა (აილოდა) წავიდა“... 7) ოქსანასჯნჩილან ჰიკა (ოხვან) პოლან ხელობზე - „ჭამამდე წინ (ჭამის წინ) დაიბანე ხელები!...“

4. სხვა ცნობები წახური აბსოლუტივის შესახებ

1) წახური აბსოლუტივის ფორმას, მეტადრე აწმყოს აბსოლუტივის, მოუდის გრ. კლასების მიხედვით გარჩეული დადასტურების (ქითა. „ც“, „მცა“ ნაწილაკის მნიშვნელობის) ნაწილაკოვანი ელემენტები: არ, არ (1. და 2. კლ.), არ, არ (3. კლ.), არ, არ (4. კლ.). მაგალითად: ახლიპაარ, ახლიპაარ, ახლიპაარ „მოუდისარა=მცა“, „მოდისარა“, „მოდის კიდევ“. - ხან ახლიპაარ არაბიენი მუგლან „ძალი მიდისარა ურმის გვერდით, სიხლოვეს (მიდის კიდევაც, სწორედ რომ ურემთან)“... აქვე თურს პოხარა=გდ „დედა წინდას ქსოვსარა კიდევ (ქსოვს კიდევ, სწორედ რომ ქსოვს)“...

2) აწმყოს აბსოლუტივის შეიძლება დაერთოს „არის“ მეშველი ზმნა და თუ ამ აბსოლუტივის გარდამავალი ზმნის შინაარსი აქვს, მომდევნო დამხმარე ზმნაში აღინიშნება ობიექტის კლასი. ასე კომბინირებული ფორმები კარგავენ კონკრეტული დროის ვაგებას; არ აღინიშნება ის, თუ ვისთვის ხდება მოქმედება. ეს ფორმებია, მაგალ., პაყა=გო=დ „აკეთებსარა=არის (ობ. 4. კლ.); პაყა=გო=ბ „აკეთებსარა=არის (ობ. 3. კლ.); პაყა=გო=რ „აკეთებსარა=არის (ობ. 1. კლ.); პაყა (<-პაყა)=გო=რ „აკეთებსარა=არის (ობ. 2. კლ.)... ეს ფორმა სანიტერესოა წახურში დროთა ფორმების ჩამოყალიბების ისტორიის თვალსაზრისით და გრ. კლასის მიხედვით სუბიექტ-ობიექტის აღნიშვნის მხრივაც.

3) გრ. კლასების მიხედვით გარჩეული ნაწილაკები დაერთვის ნამყოს აბსოლუტივის ფორმასაც: ეს ნაწილაკებია: არა (1., 2. კლ.), არა (3. კლ.), არა (4. კლ.). ამ

ნაწილაკთა დარღვივით აბსოლუტიციის ფორმას ენიჭება „ჩვე-
ულბრივი“ შეიშენების მნიშვნელობა ასეთი ნიუანსით:
„კიდევაც“, „დაიხაც“, „სწორედ რომ“ და მისა. რაგორც
ჩანს, თითოეულ ამ ნაწილაკს კატეგორიულობის, პრეტენ-
ზიულობის გამოხატვის ის ფუნქცია აკისრია, რაც ზემოთ,
პირველ მუხლში, დასახელებულ შირ, შიბ; შილ ნაწილა-
კებს. შირ., მაგალ., ზე მიჰმანის შირაც გრძელდება „შე
სტუმარს ცხვარი დიხაც დავუკალი“; ში ილღებშია
სამურაქა ჩრენ გადავედიო კიდევაც სამურზე“; ზე შე-
ნა ბღეშუა და მენჩიზ „შე ის ამოვათრიო კიდევაც, დი-
ახაც, მდინარიდან“; ღინშე იღვეაა დეშ დენია „ღმერ-
თმა არ შექმნა (რა თქმა უნდა) ქვეყანა“...

აბსოლუტიცი მუხადურში

მუხადურს მოეპოვება აბსოლუტიციის ორი ფორმა:
აწმყოს აბსოლუტიცი, ნამყოს აბსოლუტიცი. ორივე ფორმა
იწარმოება მარტივ (პირველად) ფუძეზე სათანადო მანა-
რმოებლის დარღვივით (დროის გაგება მანარმოებლით გამო-
იხატება და არა მანარმოებელი ფუძით).

აწმყოს აბსოლუტიცს თითქოს ორი ნიშანი აქვს: შა,
შარა. მაგრამ საფიქრებელია, რომ „შარა“ სუფიქსი იშლე-
ბა შარად - შარა“ და შარა“ ნაწილად, რომელთაგან ბოლო-
კიდური შა აბსოლუტიცისაა, ხოლო წინმდგომი შარ მარც-
ვალი მანარმოებელი ფუძის ისეთივე სადებტრინინგო
სუფიქსია, რაგორც წახურის მონაცემთა მიხედვით ზე-
მოთ გამოიყო. მაშასადამე, წახურის მსგავსად მუხა-
დურშიც აწმყოს აბსოლუტიციის ფორმანტად უნდა გამოიყოს
თდენ შა ნიშანი.

ნიმუშები: I) მარტივ შა მანარმოებლიანი აბსოლუ-
ტიციის ფორმებისა: შ) ლაქაა (იცვამსა - მბ. 4. კლ.),

I. ნიმუშები დასახელებულია აულ რუთულის მეტყველებთ
მიხედვით; სხვა აულთა მეტყველებათში პრინციპული
სხვაობა არ არის.

ქანაა (აღვიძებსაჲს [იღვიძებსაჲს] - ობ. I. და 4.კლ.), ქაჲსა (აღვიძებსაჲს - ობ. 2.კლ.), ქვეა (აღვიძებსაჲს - ობ. 3.კლ.)... ღაღა (ამბობსაჲს); შაგუა შარგუა, შუგუა - შაგუა (ხედავსაჲს, ნახავსაჲს - ობ. კლას. მიხ.); გირხა, რირხა, ვირხა (მიღისაჲს - სუბ. კლას. მიხ.)... 2) "რთული" [არა] მანა-რმოებლიანი აბსოლუტივის ფორმები: ქანაჲსა, ქარხაჲსა, ქვხაჲსა (აღვიძებსაჲს), შაჲსა, ვახაჲსა, (აკეთებსაჲს), შაღაჲსა (ამბობსაჲს); შაგუაჲსა, შარგუაჲსა (ხედავსაჲს)... - შდრ. ა. დი-რი, 1911, გვ. 70...

ნამუს აბსოლუტივი იწარმოება მარტივ (პირველად) ფორმებში =გ, =ი; =ჯრ, =ორ, =ურ მანარმოებელთა ღართვი. ნიმუშები: 1) =გ მანარმოებლიანებისა: ღირხა, რირხა, ვირხა (წავიდაჲს - სუბ. კლას. მიხ.), შჯხა, ვჯხა ("აკეთაჲს" - ობ. კლას. მიხ.)... 2) =ი მანარმოებლიანი: ქნაჲ, ქარჲ, ქავი (გააღვიძაჲს - ობ. კლას. მიხ.), ქინა, ქირხა, ქევინა (წაიღოჲს - ობ. კლას. მიხ.)... 3) =ჯრ მანარმოებლიანი: ქირხა, ქირხა, ქევინა (ახლოჲს, შიხლოჲს - ობ. კლას. მიხ.) სახა, სარხა, სევინა (იძინაჲს - სუბ. კლას. მიხ.)... 4) =ორ სუფიქსიანი: ღორხა, რორხა, ვორხა (იყარხა - სუბ. კლას. მიხ.)... 5) =ურ სუფიქსიანი: ვურხა, რჯურხა (მისცაჲს - ობ. კლას. მიხ.), აპტურხა, ატურხა - ატტურხა - ადტურხა (გაჭრაჲს - ობ. კლას. მიხ.). ლურხა, ლურხა, ლევინა (იღვაჲს - სუბ. კლას. მიხ.)...

=ი, =ჯ მანარმოებლები გამოიყენება მასდარისა (შდრ. აბსოლ. შჯხა - მასდ. შჯხა "კეთება" - იხ. ქვემ. "მასდარი") და ნამუს მიმღობის სანარმოებლადაც (შდრ. შჯხა - მიმღ. შჯხა "აკეთები" - იხ. ქვემ. "მიმღობა"); =ორ, =ჯრ, =ურ მანარმოებლები ამ დანიშნულებით არ გამოიყენება; იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ ღრთვილად ზოგ ფორმას, მაგადაც, ნამუს სრულის

წარმოებას, აორისტს, ანდა თავად გამოდოდე სანაწარმოს (ა. დირის მიხედვით - პერფექტუმ მკაცრშირება-ლის) ფუნქციით.

ჩამოთვლილ მანქანებზედა შორის უწინარესია =2 (=ჯრ), ხოლო დანარჩენი ორი - აი(ორ), აუ(ურ) ამის ფონეტიკური სახესხვაობა - ასიმინდის შედეგად მიღებული; შდრ., მაგალ., აიში<-აიშე...; აბტ<-აბტ... ან კიდევ: აბტურ<-აბტურ... ამ პრინციპით გათვალისწინებით ნამყოს აბსოლუტივის მანქანებზედა უნდა გამოიყოს მხოლოდ ერთი ძირითადი აფიქსი =2 (=ჯრ).

დგება =2 და =ჯრ აფიქსით ურთიერთობის საკითხიც. ის ფაქტი, რომ მეორე (=ჯრ) ცარიანტი საფუძვლად არ ედება შესაბამისი დროის მიმდევობის ფორმას, ამასთან მას ეკისრება ნამყო მკაცრშირების ფუნქცია¹, რაგორც ეს ა. დირსაც (1911, გვ. 75) აქვს აღნიშნული, ამასთან იმავე საბუთების მოზიდვით, რაც ზემოთ აწმყოს „რ“ ცარიანტიანი აბსოლუტივის დახასიათებას დაედა საფუძვლად. შეიძლება დავასკვნათ, რომ ესეც ისტორიულად იმავე ნამყო აბსოლუტივისაგან არ ნიშნის დარღვით წარმოებულ მიმდევობის ფორმაა. ისე, რომ აწმყოს აბსოლუტივის მსგავსად ნამყოს აბსოლუტივის სპეციალური ფორმანტია =2 სუფიქსი, ხოლო =ჯრ სუფიქსი ბირველის რეინტერპრეტირებული სახეობაა. სხვანაირად რომ ეთქვათ: ნამყო აბსოლუტივის =ჯრ სუფიქსი უნდა დაიშალოს =2 და არ ეღმენტებად, რომელთაგან ნ. აბსოლუტივისაა =2 ხმოვანი, ხოლო მიმდევობისა არ თანხმოვანი: ეს არ ეღმენტი ნამყო მიმდევობის წახურში გავრცელებული არ (ნა) სუფიქსის ფონეტიკურად ფარდი და ფუნქციით ტოდებული ეღმენტია (იხ. ქვემ. მიმდევობა წახურში). თუმცა წახურში არ (=ნა) დღესაც გავრცელებული აფიქსია, მუხადურში კი

I. და აქვს „მაგალითად, ასეთი ვაგება: აიშირ იყო, რომელიც, იყო და, აბტურ აბტურ ან აბტურ, რაც, აბტურ და, აბტურ და“...

ან ელემენტი ამ ფუნქციით სპორადულად იხმარება.

გერუნდიუმის ფორმები მუხადურში. მუხადურს მოეპოვება გერუნდიუმი, რომელიც იწარმოება აწმყოს აბსოლუტივისა და მზა ელემენტის კომბინაციით: ჰაჰა=მა (აქეთებამდე, ავიდრე გაკეთებოდეს ან გააკეთებდნენ), აიჰა=მა (აკვდამამდე, ავიდრე მოკვდებოდეს, ასანამ მოკვდება), კვლა=მა (მოსვლამდე, ადაბრუნებაამდე)... მზა ელემენტიანი გერუნდიუმი წახურს არ მოეპოვება; მოწმდება უდიურში, სადაც ამ ფორმის საწარმოებელი ფუძის ხასიათიც მუხადურის ანალოგიურია: შდრ., მაგალ.უდა: ბა=მა (კეთებამდე), ბი=მა (კვდამამდე), ელა=მა (მოსვლამდე)... მზა ელემენტის ეტიმოლოგია სარკვევია. ამჟამად იგი გამოიყენება ქართული „ამდე“თანდებულისა და „ვიდრე“ (ადვერბიალური) სიტყვის ფუნქციით. აბსოლუტივის ყველა ფორმა, მათ შორის გერუნდიუმიც, მუხადურ შესიტყვებაშიც შემასმენლის ადგილს იჭერს: იგი სახელთა (ქვემდე, დამატ.) ფორმას ისევე მართავს, როგორც ზმნა. მაგალითები: I) ქარ ჰაჰარა (ჰაჰა) „საქმე აკეთებსან“ = „საქმეს აკეთებს“; ზა რჯხარა (რჯხ) ისდჷ ჯუხ „მე(ერგატ.) ცეემან (ცეემ) ჩემი შვილი (ჩემს შვილს)“...; ნინარა ჩეჷ ჰეჰერ (ჰეჰე) „დედამ ჩაი აკეთან (აკეთა, მოამზადა)“...; ცა გჷალახ ვაჰა=მა „შენ (ერგატ.) საქმე კეთებამდე (ვიდრე საქმეს გააკეთებდე)“...

ფრჩხილებში მოქცეული აბსოლუტივის პირველი (ამართივი) ფორმა ამჟამად თითქმის გამოდევნილია მუხადურ მენტყველებში, მის ადგილს მეორე აბსოლუტივი ზეჷრ. მიმდევრობა იჭერს. პირველი ტიპი უფრო ტანტოლოგიურად იხმარება, თანაც მშინ, როდესაც ზმნის დიურატიულ ფორმას აბსოლუტივის უნაცვლებენ. მაგალ., ასე: ზა ბალა გჷალახ ეჰეჷ=ეჰეჷ, ყახსდჷ აიხირი „მე ბევრი საქმე ვაკეთან, ვაკეთან, დავბერდი (ბებერი გავხდი)“... .

I. ამის სინონიმად უდიურში (ფაქულტატურად) იხმარება აგრეთვე (ასეთივე საწარმოებელ ფუძეზე დართვით) მინ

მასდარი წახურში

I. უკვე ითქვამს, რომ მასდარის წარმოება წახურში ეყრდნობა აბსოლუტივის ფუძეფორმას. თუმცა ზოგ შემთხვევაში იწარმოება პირველადი ფუძიდანაც (თუ ეს მორცენებითი არ არის) და მაწარმოებლად აქვს =ა||-=ი სუფიქსი. ნიმუშები: I) ჯბა („არისა“, „იყოა“) - ჯბა=ა<-ჯბა=ი („ყოფნა“). ასევე - აქედან ნაწარმოები კომპოზიტიზმები: წჯწა=ჯბა (აბსოლ.) - წჯწა=ჯბა=ა („წვეა“, „ზიდვა“); ბადალ=ჯბა (აბსოლ.) — ბადალ=ჯბა=ა („გამოცვლა“, „შეცვლა“)... უგჰოა<-უგჰ-ჰაა||უგჰი „თქმა“; 2) ჰიყი=ი (ობ. I და 4. კლ.), ჰაყი=ი — (ობ. 2. კლ.), ჰაჰყი=ი (ობ. 3. კლ.) „კეთება“. ასევე კომპოზიტიზმებშიც: ბადალ=ჰიყი=ი (გამოცვლა), ტაბალ=ჰიყი (ძებნა, პოვნა), ილაქჰი (შეხედვა)... მასდარში კლას=კატეგორია ისევე აისახება, როგორც სხვა სახელმწიურ ფორმებში და ზმნაში.

წახური მასდარიც მასთან შეწყობილი სახელის ფორმას ისევე მართავს, როგორც ზმნა; მაგალითად ასე: იმ ჰაჰყი „საქმე კეთება“ (შდრ. ქართ. „საქმის კეთება“. წა ჰიყი „ცეცხლი კეთება“ (დანთება, გარადება ცეცხლისა); გენეა ჰიყი „პური კეთება“ (=პურის ცხავში გატარება; ანდა: პურის მომზადება, ცხობა); ქარ ჰუევი „რამე მიცემა“; ხან ილლდეჰი „წყალი (=წყლის) დაღება“...

ზემოთ შენიშნულია, რომ მასდარი წახურში ზოგჯერ პირველადი ფუძიდან იწარმოება და არა აბსოლუტივის ფუძეფორმაზე დაყრდნობით; იგულისხმება მაგალითად, ჰიყი (კეთება), ილაქჰი (შეხედვა), კიკჰი (კვლამა, სიკვდილი) და მისა. ზემოთ დავსძინეთ, რომ შეიძლება მინ ელემენტიც; შდრ. მაგალ., ბა=მინ (კეთება=ღე), ბია=მინ (კვლამა=ღე), ელა=მინ (მოსვლა=ღე)...

ბა ეს მოჩვენებითი იყოს, რადგანაც ამ შემთხვევაშიც შესაძლოა საწარმოებელ ფუძეს აბსოლუტივის ფორმა ჰქონდა, შემდეგ კი მოიშალა ამისი (=ა) ნიშანი და დაემთხვა პირველად, მარტივ, ფუძეს: *ჰიჰააჰი->ჰიჰჰი (კეთება), *ჰუჰააჰი->ჰუჰჰი (მიცემა)... - ისევე, როგორც ეს „ქემის“ აღმნიშვნელ ფორმაში მოხდა: შდრ. უგჰააჰა<-უგჰააჰი->||უგჰჰი...

მაშასადამე, წახურს მოეპოვება ა) მარტივ (პირველად) ფუძიანი (ჰიჰჰი და მისთ. ტიპისა), ბ) აწმყოს აბსოლუტივზე დაფუძნებული (ჯხააჰ და მისთ. ტიპისა) და ვ) ნაამყოს ნააბსოლუტივარ მიმდევობაზე აგებული (ჰარკაჰნი და მისთ. ტიპის) მასდარი. ეს ფორმა, გარდა სახელმწიფო მნიშვნელობისა, გამოიყენება აბსტრაქტულ სახელადაც; მაგალითად: კიკჰი „კვდომა“; „სიკვდილი“; ჯჰიკჰნი „შეყვარება“; „სიყვარული“; „მოსურვება“, „სურვილი“... (შდრ. ტიპოლოგიურად ძვ. ქართული სიკვდილი, სიხარული, სიყვარული და მისთ.).

მასდარი მუხადურში

მუხადური მასდარის ნიმუშები: I) ჰეჰჰენ (კეთება), ჰიგჰენ (ნდობა, წადილი; სიყვარული), ჰიჰჰენ (წასვლა, მისვლა), ჰალგჰენ (ლაპარაკი), სახჰენ (დაძინება, ძილი), ჰაწჰენ (ცოდნა), ჰიხჰენ (ცემა, რტყმა)...; 2) ჰიყინ (კვდომა); ლიხინ (დაღება), ქიხინ (წერა), ვიჰინ (სროლა)...; 3) ჰაგჰენ (დანახვა)...

თუ არ ვიგულისხმებთ ფონეტიკურ ცვლილებებს, დიალექტებში მასდარის წარმოების მხრივ სხვაობა არ შე-

I. ნიმუშები დასახელებულია რუთულური დიალ. მონაცემთა მიხედვით I გრ. კლასის ფორმათა კვალობაზე. უმეტეს შემთხვევაში ამას ემთხვევა IV გრ. კლასის ფორმა. შდრ. რეჰჰენ (ობ. II კლ.), ვეჰჰენ (ობ. III კლ.) და ასე - სხვა შემთხვევებშიც.

იმჩნება. I

აბსოლუტივისა და აქედან წარმოებული მიმღობისა და ნამყო დროის ფორმასთან მასდარის ჩამოთვლილ ფორმათა შეჯერება შესაძლებლობას იძლევა, მუხადური მასდარის ნიშნად გამოვყოფთ \neq , რომელსაც წინ მოუდის უ, ი და მეტადრე ზ ხმოვანი; ეს ელემენტები (ხმოვნები) მასდარის მწარმოებლის კუთვნილება არ არის: 2) შდრ., მავალ., I) „კეთება“ ზმნის ფორმები: ჰეხეჯ (ნ. აბსოლ.), ჰეხეჯორი (აორისტი), ჰეხეჯე (ნ. მიმღობა) - ჰეხეჯან (მასდარი); 2) „ყოფნა“ ზმნის ფორმები: ჰიშიჯ (ნ. აბსოლ.), ჰიშიჯანი (აორისტი), ჰიშიჯე (მიმღ.) - ჰიშიჯან (მასდარი); 3) „ადანახვა“ ზმნის ფორმები: ჰავეჯორ (აბსოლ.), ჰავეჯე (ნ. მიმღ.) - ჰავეჯან (მასდ.)... ამ ფორმათა შედარება გვარწმუნებს, რომ მუხადური მასდარის ნიშნად უნდა გამოიყოს \neq , ხალხისი წინამავალი ხმოვანი საწარმოებელი ფუძის კუთვნილებად მივიჩნიოთ. წახური მასდარის მსგავსად (იხ. ზემ.) მუხადური მასდარის საყრდენად (როგორც ამას შედარებული ფორმებიც გვიჩვენებენ) გამოყენებულია ნამყო აბსოლუტივი.

მუხადური მასდარი სახელთა ფორმას მართავს ისევე, როგორც ზმნის ესა თუ ის („პირიანი“) ფორმა.

მუხადური მასდარის გამოყენების ნიმუშები: 1) ქარ ჰეხეჯან „რამე (საქმე) კეთება“ (=საქმის კეთება), ვე-ალახ ვეხეჯან „საქმე კეთება“ (=მუშაობა, გარჯა); 2) ველ ჰავეჯან, ველეჯორ დალეჯან „სიტყვა თქმა“, „სიტყვები თქმა“

1. შდრ. იხრეკ. ჰავეჯან, რავეჯან (კეთება); იხრეკ. = მუხრეკ. ჰეხეჯან, რეხეჯან, ვეხეჯან (ხალხი, წადილი); ვეხეჯან (წასვლა, მოსვლა); ბორჩ. იხრეკ. ლავეჯან (დანახვა)...
2. ა. დირი „რუსულურ ენაში“ მასდარის მწარმოებლად მარცვალს გამოჰყოფს და არა ოდენ \neq სუფიქსს. იგი დასძენს, რომ კიურულშიც (ლეზგიურში) გამოიყენება ხმოვანი \neq დაბოლოება; მასდარის ასეთივე (უნდაბოლოება აქვს უდიურსაცო (გვ. 68).

(ჰიტყვის, სიტყვების თქმა, - ლაპარაკი); ჰად ჰა-
გუნ „ის დანახვა“ (=ისი დანახვა), დარს ჰაწუნ „გა-
კვეთილი სწავლა“ (=გაკვეთილის დასწავლა); ბ) ზას ჰად
ჰაგუნ „მე(მიცემ.) იგი დანახვა, ე.ი. „ჩემ მიერ მისი
დანახვა“. ზას დარს ჰაწუნ „მე(მიცემ.) გაკვეთილი სწავ-
ლა“, ე.ი. „ჩემ მიერ გაკვეთილის დასწავლა(ცოდნა)“...
მუხადურში (თითქმის ყველა კილო=კილოკაცში) მას-

დარის =ნ სუფიქსი ხშირად იკვეცება და წარმოგვიდგე-
ბა, მაგალითად, ასე: ჰიყი<-ჰიყინ (კვდომა), ჰიში<-
ჰიშინ (ყოფნა)... მაგრამ აქ, ამ ფონეტიკური გამარტი-
ვებით წარმოქმნილ ვარიანტში, ერთი საგულისხმო რამ
იჩენს თავს: მასდარის ფორმა დაიყვანება აბსოლუტივის
ფორმამდე, ეს უკანასკნელი კი იქცევა პირველის (მა-
სდარის) მაგიერობის გამწევე ფორმად. ფორმათა ასეთი
„შენაცვლება“, ე.ი. აბსოლუტივის ფორმის გამოყენება
მასდარის მნიშვნელობით უნდა შეპირობებული იყოს ამ
ფორმათა შინაგანი კავშირით, მათი დანიშნულების ერთგ-
ვაროვნებით. ამგვარივე კავშირი, ფორმალურ=ფუნქციური
ფარლობა, შეინიშნება მიმდებარის ხაზითაც. საგულისხმოა,
ისიც, რომ მუხადური მასდარის ფორმა ემთხვევა ნამყო
მიმდებარის წახურ ფორმას: შდრ., მაგალ., წახ. ჰეცჷნ
(ნაკეთები) და მუხად. ჰეცჷნ („კეთება“)... ხოლო
წახური მასდარის ერთ-ერთი ფორმა ემთხვევა მუხადურ
ნამყო აბსოლუტივს. შდრ. მაგალ., წახ. ჰიყჷი (კეთება)
და მუხად. ჰიყჷი (ხელახლა არის=რა, ბრუნდება=რა).

მუხადურ მასდარს აქვს განყენებული სახელის მნიშ-
ვნელობაც: მაგალ., ჰიყინ „კვდომა“; „სიკვდილი“; გიბ~
ინ „გარეშება“; „სირეშე“; სილჷნ „დასიცხვა“, „სიცხის
დადგომა“; „სიცხე“, ტჷხჷხჷნ „დასიგება“; „სიმსივნე“...
სხვა შენიშვნები წახური და მუხადური მასდარის

წარმოება=გამოყენებასთან დაკავშირებით. I. ზემოთ

წარმოდგენილი ცნობებიდან ისე ჩანს, თითქოს მასდარის
ფორმებში დარღვეული ყოფილიყოს წახურისა და მუხადურის

ერთიანობა: წახურში მასდარს აწარმოებს ან II>A (ჯბააჲ
 შიყჲ...), მუხადურში ან (აიშიან, ჰეჰჰან...) მავრამ წახურ-მუხადურისადე რეალიები გვარწმუნებენ, რომ ამ მხრივაც ეს ენები არ ემიჯნებიან ერთმანეთს: მოეპოვებათ ერთგვაროვანი ნიშნები, თუცა ისინი გამო-
 იყენებიან ერთგვარი რეინტერპრეტაციით: შდრ., მაგად., მასდარის წახური ფორმები: შიყჲ (ობ. I. და 4. კლ.), ჰაჰჰჲ (2. კლ.), შაჰჰჲ (3. კლ.) „კეთება“, ჰარჰი (მოსვლა, დაბრუნება) და მუხადური ზოგადი აწმყოს აბ-
 სოლუტივის ფორმები: ჰიყჲ (სუბ. I. და 4. კლ.) ჰირჰჲ (II კლ.), ჰიყჰჲ (III კლ.) „ბრუნდება“, „ბრუნდე-
 ბა“ და პირშებრუნებით: შდრ. წახური ნააბსოლუტივარი ნამყოს ფორმები: ჰეჰჰჰან||შიყჲ (ნაცემები), ჰეჰჰჰან (მიცემული), გჷთჰჰან (ნაცემი), იღეჰჰან (გამოსული), ჰოჰჰჰჰან (მთხარშული) და მუხადური მასდარის ფორმე-
 ბი: ჰეჰჰჰან (კეთება), აიჰჰან (ნდობა, სურვილი...), ჰაჰჰჰან (დანახვა), აიყჰან (კვდობა), ჰიხიან (წერა) და სხვ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ მონაცემთა მიხედ-
 ვით იქმნება ერთმანეთთან შინაგანს კავშირში მყოფ
 სახელზმნურ ფორმათა ერთიანი რგოლი როგორც სტრუქტურ-
 რული მიმართების, ისე დანიშნულების თვალსაზრისით;
 სხვანაირად: ფორმათა ამ საერთო რგოლის მიხედვით შეგ-
 ციძლია გამოვყოთ ისეთი ფორმანტები, რომლებიც თავის
 მხრივ მაინც გვიჩვენებენ წახურისა და მუხადურის ერ-
 თიანობას.

ინფინიტივსუბინუმი წახურში

ყოფნა ზმნის ფუძეფორმათა და სხვა სახელზმნურ
 ფორმათა შესახებ ზემოთ მოწოდებულ ცნობებში აღინიშნა,
 რომ წახური ინფინიტივი, რომელსაც სუბინუმის მნიშვნე-
 ლობაც აქვს, იწარმოება აწმყოს აბსოლუტივის ფორმაზე
 ან აფიქსის დაწვით. ასეთი ფორმებია, მაგალითად, ჰა-

ყაჲს (კეთება), გიღაჲს (დაწყება), ოჲჲანაჲს (ჰვა-
 მა); ყაჲჲსჲ-ყაჲჲს (დანახვა), ჰიღაგაჲს (თამაშობა),
 ჰიხჲაჲს (გაქცევა), ოკანაჲს (წერა), ჰეჲაჲს (მღე-
 რა)... ამ ფორმათა გამოყენების ნიმუშები ასეთი იქნე-
 ბა: ზას იჲ გიღაღას ვუქჲან „მე საქმე (ჲ საქმის)
 დაწყება მსურს“, ე.ი. „მინდა, საქმე დავიწყო“, ბალქან
 უღეკლჲ ყაჲჲჲს ვუქჲან=დემე „ცხენი თვალით დასანახა-
 ვად არ მინდა“...

ნიმუშებიდან ჩანს; ამ ფორმის ფუნქციაა, გამოხა-
 ტოს მიზნის დამატება, უფრო სწორედ - მოქმედების მი-
 ზანი; მას აქვს დაახლოებით ის მნიშვნელობა, რაც მა-
 გალითად, ინფორმაციულ ენებში ინფინიტისა თუ სუბი-
 ნტის მოებოება.¹ ძველ ქართულში ასეთი მნიშვნელობით
 ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი გამოიყენებოდა,
 ხოლო ახალ ქართულში ამის ადგილს ამავებ ბრუნვაში დას-
 მული მყოფადის მიმღეობა იჭერს (არნ.ჩიქობავა - 1942;
 1953).

წარმოების ხასიათისა და ფუნქციის მიხედვით ეს
 ფორმა შეიძლება მიგვეჩინოთ ისევე მასდარად - მეორე
 მასდარის ფორმად და მოგვექცია ზემოთ აღნიშნული მას-
 დარის რიგში, მით უმეტესად, სახელთა მართვის მხრივაც
 ამ „ჲს“ ნიშნიან ფორმასაც ისეთივე სინტაქსური ძალა
 აქვს, როგორც მასდარის ზემოთ უწყებულ ფორმას. მაგ-
 რამ ამის მიუხედავად, ჩვენ ეს ფორმა ცალკე გამოვყა-
 ცით და სუბინტუს ამოვუყენეთ გვერდით. მეორე მასდარად
 ამ ფორმის მიუჩნეველობას აქვს ორგვარი საფუძველი:
 მორფოლოგიური და ფუნქციური (სინტაქსური). ჯერ ერთი -
 ზემოთ მასდარად დახასიათებული ფორმა იბრუნვის,² ჲს

1. ისეთი, როგორც; მაგალითად, რუს. *идти сюда*, *идти на-
 стою*, *идти сюда* და მისა. *mirabile visū*
 „სასუქნობა საყურებლად“ *რეჩა უაჲჲემი*; *facile dictu*
 „საქმელად ადვილია“ *„levo en azaim“*... (ნიმუშები
 ამოღებულია ა. ერნუს წიგნიდან *„Учителинская тетрадь
 для учащихся начальной школы“*, 1950, გვ. 269)...

2. მაგალითად, ასე: სახელბ. ჰიყი (კეთება) - მოქმ. ჲაბლატ.

ნიშნის ფორმა კი არა. ამ ფორმას დაერთვის მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსი და წარმოქმნის მყოფადის მიმღეობას. ¹ ამ შემთხვევაში ხელთა გვაქვს უფრო ერთი მნიშვნელობის ფუძე-ფორმიდან მეორე მნიშვნელობის ფუძე-ფორმის წარმოქმნა (დერივაცია) და არა გრამატიკული მნიშვნელობის აფიქსაცია. ² მაშასადამე, მას-დარს აქვს სახელის უფრო მეტი თვისება, ³ ვიდრე ჩვენ მიერ ინფინიტის სუბინუნუმად მიჩნეულ ფორმას. მეორეც - მასდარის ზემოთ დასახელებული ფორმა, იშვიათი გამოწე-კლისის გარდა, ⁴ მოქმედების მიზნის ძღმნიშვნელად, სუ-ბინუნუმად, არ გამოიყენება.

ინფინიტის სუბინუნუმი მუხადურში

ზემოთაც აღინიშნა, რომ წახურის მსგავსად მუხადურშიც ინფინიტის ფორმა იწარმოება აბსოლუტივის ფორმაზე =ს ნიშნის დართვით და რომ ამ ფორმას მუხადურ შესიტყვებაშიც სუბინუნუმის დანიშნულებაც აქვს.

ნიმუშები ⁵: ა) ჰაყაჰს (აბსოლ.: ჰაყა), გაყაჰს

.ჰიციქა, კომიტ.ჰიციქასანა, მიცემ.ლოკატ.(ზედუკენ) ჰიციქა და ა.შ.

1. იხ. ქვემ. მიმღეობა წახურში.

2. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სადერივაციო ფუნქციით ფართოდ გამოიყენება როგორც წახურში, *ლესა*. წახურ-მუხადურში, ისე თვისებში ენებში, კერძოდ, უღურში... (იხ. ზემ. სახელთა წარმოქმნა. ზედსართავი სახელი, იხ. აგრეთვე ქვემ.: მიმღეობა).

3. ამიტომაც ასეთი ფორმა გამოყოფილია მასდარად, თუმცა იგი წარმოების მიხედვით ნაზმნარის სახელი არ არის (იხ. ზემოთ).

4. ეს გამოწეკლისებოც უფრო ახალგაზრდობის მეტყველებ-ბაში შეიმჩნევა, და ისიც ინფინიტის სუბინუნუმის ანალო-გიით, - მავალ.: ზას ისიმა ჰაბი (მასდ.) ჭქჰან-დუშუ „მე (მიც.) ციება არ მინდა, ე.ი. არ მინდა, რომ მაციკებდეს“... თუმცა ასეთ შემთხვევაშიც მასდარი დამა-ტების, *ლესა*. (ისტორიულად) სუბინუნუმის ფორმა უფროა, ვიდრე სუბინუნუმის მნიშვნელობისა.

5. დასახელებულია ობიექტის (გარდამ.), ან სუბიექტის (გარდაუმ.) გრ. კლასის მიხედვით გარჩეული ფორმები.

(აბსოლ.: ცაყა) „კეთებად“; ჰალგაჲს, დაღაგაჲს „ლა-
 ბარაკი“ (აბსოლ.: ჰალგა, დაღა); ცუჲრჲქაჲს, ცუჲბჲ
 ქაჲს (აბსოლ.: ცურქა, ცუბქა) „გაჭრად“; სახას, საჲრჲ=
 ხაჲს, საჲფაჲხაჲს (აბსოლ.: სახა, სარხა, საცხა) „და-
 ძინება“, „ძილად ყოფნა“ ბ) აეთჲჲჲს<-აეთაჲს, რეთჲჲჲს,
 ცეთჲჲჲს || აეთეჲს, რეთეჲს, ცეთეჲს (აბსოლ.: აეთე<-
 აეთა<-აეთა) „ცემად“, „საცემად“; ლიჲჲჲს<-ლიჲაჲს,
 ლიჲჲჲჲჲს<-ლიჲჲჲჲჲს<-ლიჲჲჲაჲს „ადებად“; ყიდებად“...
 გ) ჲიქიჲს, რიქიჲს, ციქიჲს (ყოფნა), ქიჲიჲს (წერა),
 ჲიყიჲს, რიყიჲს (კვლემა) დ) ცუჲს, რუჲჲჲს (ძლევა, მი-
 ცემა); ცუჲჲჲს (თქმა) ატუჲს, ამტუჲს (ჭრა); სუჲჲჲს,
 ჲსურჲჲჲს, სუჲჲჲს (ჲლემა)...

საილუსტრაციო ნიმუშები დასახელებულია ოთხი („ა“,
 „ბ“, „გ“, „დ“) მუხლის სახით მათ შორის შენიშნული
 იმ სხვაობის გამო, რასაც საწარმოებელი ფუძის ბოლოკი-
 ღური ხმოვანი ქმნის: ა) =ა ხმოვნიანი (ჰაყაჲს...),
 ბ) აჲ, აჲ ხმოვნიანი (ლიჲჲჲს || ლიჲჲჲს...), გ) =ი
 ხმოვნიანი (ჲიქიჲს, ჲიყიჲს...); და აქ დგება საკით-
 ხი: ინფინიტივის ფორმის აღმნიშვნელ ვარიანტებში გან-
 სხვავებული ბოლო ხმოვნების არსებობა ხომ არ არის იმის
 მიმნიშნებელი, რომ აქაა წარმოების სხვადასხვა ტიპი:
 ერთ შემთხვევაში - აწმყოს აბსოლუტივისაგან წარმოებუ-
 ლი (ჰაყაჲს, ცურქაჲს), მეორეში - ნამყოს აბსოლუტივისა-
 გან (სუჲჲჲს, ატუჲს, ამტუჲს), ხოლო მესამე შემთხვევაში
 აბსოლუტივის ნაცვლად - აწმყოს ზოგადი (ექსტემპორალუ-
 რი) ფორმა (ჲიქიჲს, ქიჲიჲს). მაგრამ აჲ || აჲ (ლიჲჲჲ->
 ლიჲჲჲ და მისთ.) ვარიანტი „ა“ ჲდან მოდის ასიმილაციის
 გზით, ისე რომ, აქაც საყრდენად აწმყოს აბსოლუტივისა
 გამოყენებული. ასეთივე ფონეტიკური პროცესებია საგუ-
 ლისხმებელი სხვა ვარიანტებშიც; მაგალ., ატუჲს<-ატჲჲჲ
 უს<-ატჲჲჲჲს<-ატჲჲჲაჲს; ამტუჲს<-ამტჲჲჲჲს<-ამტჲჲჲაჲს<-
 ამტჲჲჲაჲს; სუჲჲჲს<-სუჲჲჲჲს<-სუჲჲჲჲს<-სუჲჲჲაჲს...
 ისე, რომ ინფინიტივის ყველა ამ ვარიანტში საყრდენია

აწმყოს აბსოლუტიზმის ფორმა, I

ამ განმარტებისა და ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშების მიხედვით ცხადი ხდება მუხადური და წახური ინფინიტივის სტრუქტურული და ფუნქციური ერთგვაროვნება. მუხადური შივ არ იბრუნვისაჲა ეს ფორმა, შესიტყვებაში ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც ვთქვათ, ინდოევროპული ინფინიტივის უპირისუპირი: იგი, როგორც აღინიშნა, მართავს მასთან მდგომ სახელს ისევე, როგორც ზმნა; მაგალითად: ზას აიგარა ჰემი ქარ ჰაყას „მსურს ეს საქმე კეთებად, საკეთებლად“ („მსურს ამ საქმის კეთება“, „ეს საქმე ცაკეთა“); ზას მი ჰეღ ჰაღვას აიგარა „მსურს ეს სიტყვა თქმად, სათქმელად“ („მსურს ამ სიტყვის თქმა“, „მსურს, ვთქვა ეს სიტყვა“); თანგაბურ გიჯიჰარა მი აიგან ლუჰის „ფული არ მყოფნის (არ კმარებს) ეს ცხენი ყიდვად, საყიდლად“ (ფული არ მყოფნის ამ ცხენის საყიდლად, — რომ ვიყიდო ეს ცხენი“).

ინფინიტივის ფორმა (წახურის მსგავსად) მუხადური შივ იხმარება მყოფადის მნიშვნელობითაც: შდრ. მაგალ., ჰეღ ღაღვა (ან: ჰაღვა), ზა ისთე გჰაღაბ ვაყას „თქვენ ილაპარაკეთ, მე ჩემი საქმე გავაკეთებ“, ე.ი. „მე კი ჩემს საქმეს გავაკეთებ“... მაშასადამე, მას აქვს ზმნური გავება და თავისი ბუნებით ამ მხრივაც უახლოვდება ევროპულ ენათა ინფინიტივს. ამასთან: მუხადური ინფინიტივი (მასდარის მსგავსად) სახელისაგან კლასკატეგორიის მიხედვით ისევე იმართვის, როგორც ზმნა; შდრ., მაგალ.: ჰა აიქისი „ის (კაცი) იქნება“ — აიქის (ინფინ.); ჰა რიქისი „ის (ქალი) იქნება“ — რიქის (ინფინ.); ჰა ლჰიქისი „ის (ცხოველი) იქნება“ — ვაიქის (ინფინ.)...

როგორც ცხედავთ, მუხადური ინფინიტივი ყველა მორ-

I. ან ამის ბადალი აწმყოზოგადის ფორმა, რომელიც წარმოებულია და მნიშვნელობით „შინაგანს“ კავშირშია აბსოლუტიზმთან.

ფოლოგიურ=სინტაქსური ნიშნის მიხედვით ეფარდება წა-
ხურის ინფინიტის. ერთადერთი, რაც ამ ორი ენის ინფი-
ნიტის ერთგვარად აშორებს, ის არის, რომ მუხადურში
ამ ფუძე=ფორმაზე ნათესაობითი ბრუნვის (=დ2) სუფიქ-
სის დათვით წარმოებული მყოფადის მიმღეობა არ გამო-
იყენება მყოფადი დროის გამომხატველი ზმნის (შემასმე-
ნლის) მნიშვნელობით. I სხვა მხრივ სხვაობა არ შეიმ-
ჩნდება.

სხვა შენიშვნები წახურ=მუხადური ინფინიტის
(ინფინიტის=სუპინუმის) ფორმასთან დაკავშირებით

ზემოთაც აღინიშნა, რომ წარმოებისა და დანიშნუ-
ლების მიხედვით, ერთი მხრივ, აბსოლუტივისა და აწმყო
ზოგადის (ექსტემპორალურ) ფორმასა და, მეორე მხრივ,
აბსოლუტივისა და ინფინიტის შორის არსებობს როგორც
ფორმალურ=სტრუქტურული, ისე სემასიოლოგიური კავშირი.
ამიტომაც ამ ფორმებს, როგორც წინადადების წევრებს,
შეუძლიათ ცვალონ ერთმანეთი.

აღსანიშნავია, რომ თვისტომ ენათაგან, მაგალითად,
ლეზგიური ენის აბსოლუტივის წარმოება ეფარდება აბსო-
ლუტივის წახურ=მუხადური და უდიური ინფინიტის წარ-
მოებას. ლეზგიური ენის მონაცემთა მიხედვით აბსოლუტი-
ვის მაწარმოებლად =ზ ფორმანტი გამოიყოფა (პ. უსლარი,
1896, გვ. 208...); შდრ., მაგალ.: ყაწუჷზ (აბსოლ.) -
ყაწუჷნ (მასდ.) „დასვრა“ (მასდ.); ლუჷჷზ (აბსოლ.) -
ლუჷჷნ (მასდ.) „აქმა“; გათა=ზ (აბსოლ.) - გათუჷნ (მასდ.)
“ცემა“; ეჷე=ზ (აბსოლ.) - ეჷიჷნ (მასდ.) „მარგვლა“...

I. თუ არ ვიგულისხმებთ მუხადურის ზოგ დიალექტურ თაფი-
სებურებას. მომავალი დროის ფორმა მუხადურში იწარმო-
ება ინფინიტის ფორმაზე =ი || =ჲ ელემენტთა დართ-
ვით. ეს =ი, =ჲ ელემენტები წარმოშობით დამხმარე
(„არის“) ზმნის ნაშთია (იხ. ზემ. დრო=კილოთა წარ-
მოების პრინციპი. იხ. აგრეთვე ცნობები ყოფნა ზმნის
ფუძე=ფორმათა შესახებ).

(პ.უსლარი - 1896; გ.თოფურია - 1959). გენეტურად აბსოლუტივის ზ იგივე ოდენობაა, რაც მიცემითი ბრუნვის =ზ ნიშანი; შდრ., აბსოლუტ. აკუელი=ზ და მიცემითი ბრ. თთარცვი=ზ („ხეს“). აღსანიშნავია, რომ ეგევე=ზ ფორმანტი ზედსართავი სახელებისაგან აწარმოებს ვითარებით ზმნიზედებს: აქვე „დიდი“ - აქვე=ზ „დიდად“; კჳსან „კარგი“ - კჳსან=ზ „კარგად“... ამგვარად, მიცემითის, აბსოლუტივისა და ვითარებითი ზმნისზედების ფორმებში დადასტურებული ზ ელემენტი საერთო მონაცემია. ამ ფორმათა კავშირი ისტორიულად და ფუნქციურად სავსებით მოსალოდნელია (გ.თოფურია, 1959, გვ. 18, 19...).

შესაძლოა ისიც, რომ ლეზგიური აბსოლუტივის ფორმა წარმოშობით (სტრუქტურულად და ოდინდელი მნიშვნელობით) ინფინიტივის ფორმა იყოს და ეფარდებოდეს წახურ=მუხადური ინფინიტივის ფორმას, რომლის =ს მაწარმოებელიც, როგორც ითქვა, უკავშირდება სწორედ მიცემითი ბრუნვის =ს ნიშანს. შდრ., მაგალ., ჰაყა=ს „კეთება“ (ინფ.) - ზა=ს „მე“, ვა=ს, „შენ“ (მიც.). ეგევე =ს გამოიყენება ადვერბიალური მნიშვნელობის ზოგ წახურ=მუხადურსავე სიტყვაშიც: შდრ., მაგალ., წახ. : დელა=ს (ახლოს), ნაყა=ს (რატომ, რისთვის)...; მუხად. : ჰი=ს (რატომ, რისთვის), მუ=ს (როდის)... ადლურშიც =ს ნიშანი აწარმოებს აბსოლუტივისაც და მიცემით ბრუნვისაც, ხოლო თაბასარანულში ორივე ამ ფორმის სუფიქსად

I. შდრ. ბაცვიური აბსოლუტივისა და ზმნისართის =ზ მაწარმოებლის ერთიანობა (რ.გაგუა „აბსოლუტივი ბაცვიურ ენაში“. სელენაწ., 1949); „მნიშვნელობითა და ფორმით აბსოლუტივი (დევტარკასკი), უფრო სწორედ - აბსოლუტივი=მნიშვნელობა და ზმნისართი საღიან აბლუს დე ას ერთმანეთთან“. შდრ., მაგალ., დაცვი „მეცადე“ - დაცუ=ზ „მოკლე“, ფიტ;=ზ „მიდგასარ“, ველე=ზ „სეირნობს=არა... (ი. დეშერიევი, 1953; გვ. 157, 158).

ლეზბიურისებური =ზ ვარიანტი გამოიყოფა. ამასთან: ამ სუფიქსის უფრო ძველ ვარიანტად მიიჩნევა =ს (გ.თოფურია, 1959, გვ.20; აგრეთვე: ა.ღირი, 1905; - 1907; კ.პოლუდა, 1939...),¹ ლეზბიური აბსოლუტივისა და წახურ-მუხადური ინფინიტივის ისტორიული იგივეობის საკითხთან დაკავშირებით ურადღებას იპყრობს თავ. ლეზბიურისავე აბსოლუტივის ფუნქციები: ა) გამოხატავს მოქმედების მიზანს, (ითარგმნება რუსული ინფინიტივით): ზუნ ქითთაბ კვარუზ ჭიზუა - „მე მივდივარ წიგნის საყიდლად“... ბ) გადმოსცემს რუსული აწმყოს აბსოლუტივის: ახადლი ჭუ კვარუზ ნეზუა - „ბავშვი პურს იღებს რა ჭამს“. ამის კვალბაზე ლეზბიური აბსოლუტივის ფორმა უნდა დაიშალოს ასე: ყაწუ=ზ, ლუჟუ=ზ; გათა=ზ, ყა=ზ... სადაც =ზ სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ რჩება ისეთი ფუძე-ფორმა, რომელიც თავისი ხასიათით შეიძლება შეეფარდოს წახურ-მუხადური ინფინიტივის ფუძეს, აბსოლუტივის ფორმას; შდრ., მაგალ., მუხად.სუჟუ=ს „ჯღომა“ - ლეზბ.ლუჟუ=ზ „ამბობს რა“... როგორც ჩანს, ამ ლეზბიურ ფუძე-ფორმაში ხდება ერთგვარი სემანტიკურ-გრამატიკული გადახრა, ხელახალი ინტერპრეტაცია: ინფინიტივის მნიშვნელობა ძანდათან უხას უთმობს ამ ფორმის აბსოლუტივად აღქმას გაავებას. ისე, რომ ლეზბიურ ენათა ურთიერთობა თუ ერთი-

1. საგულისხმოა, რომ წახური ენის გილმიწურ კილოშიც აღნიშნული ფუნქციით წახურის სხვა კილოებსა და მუხადურში ხმარებული =ს ნიშნის ნაცულად =ზ მაწარმოებელი გამოიყენება; შდრ., ინფინიტივის ფორმა: ჰაყა=ს (წახურული და სხვა კილ.; მუხად.) - ჰაყა=ზ (გილმიწ. კილო); კალა=ს - კალა=ზ (გილმიწ.) „მარჯემა“, „დაბრუნება“ (უბრუნებს); ჰეკუა=ს - ჰიკუა=ზ „დაკერა“... მიცემითის ფორმა: ვადა=ზ „ბიჭს“ ზა=ზ „მე (მიც.)... წახურ კილოთაგან ერთადერთი გილმიწურია, სადაც მიცემითისა და ინფინიტივის მაწარმოებლად =ზ გამოიყოფა; ამის გვერდით (სპორადულად) აქ =სს“-ც იხმარება. ლექსურ კილოშიც იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები „=ზ“ =ს ხმარებისა. არც ერთ მუხადურ კილოში არ გვხვდება ეს ვარიანტი. ისე, რომ წახურ-მუხადური სექტორებიდან მხოლოდ გილმიწური და ნაწილობრივ ლექსურ კილოებთან, რომლებსაც მიეზღოებათ მიცემითისა და ინფინიტივის მაწარმოებლის ლეზბიურთა და თაბასარანულთან საზიარო უარიანტი.

ნობა აბსოლუტივის, ინფინიტივის და სხვა სახელმწიფო ფორმათა წარმოება=გამოყენების ხაზით დარღვეული არ არის.

საინტერესოა, რომ სხვა მთის იბერიულ=კავკასიურ ენებშიც, მათ შორის მეტადრე დაღესტნის ჯგუფის სხვა ენებშიც, მიცემითისა და ინფინიტივის მაწარმოებლები ემთხვევა ერთიმეორეს. ასეთი მდგომარეობაა, სახელდობრ, ხუნძურ=ანდიურ=დილოურში, ლაკურ=დარგულში...

ინფინიტივის მაწარმოებელ წარმოშობით მიცემითი ბრუნვის ნიშანია (არამონათესავე) ინდოევროპულ ენებშიც; კერძოდ, ძველ სლავურსა და სერბიულში ინფინიტივის მაწარმოებლად გამოყოფილი = დახასიათებულია როგორც მიცემითი ბრუნვის უძველესი ნიშანი.² ეს ტიპოლოგიური შედარებაც თავის მხრივ ცხადყოფს აბსოლუტივზე დაყრდნობით წარმოებული წახურ=მუხადური ინფინიტივის =ს მაწარმოებლის მიცემითი ბრუნვის =ს ნიშანთან დაკავშირების საერთო შესაძლებლობას.

წახური და მუხადური ინფინიტივი ნააბსოლუტივარი ფორმაა და, ერთგვარი სხვაობის მიუხედავად, გვერდში უდგას მასდარს. (შღრ. ხუნძური, სადაც ინფინიტივი „ზმნის სხვა ფორმებთან შედარებით ყველაზე ზოგადი, განუსაზღვრელი, ფორმაა: იგი არ გამოხატავს გარკვეულ დროს ან კილოს, თუმცა გრამატიკული კლასის (და რიცხვის) მიხედვით ისევე იცვლება, როგორც ზმნური სხვა ფორმები...“ „განუსაზღვრელი შინაარსი... მასდარის ფორმასაც აქვს. მასთან, მასდარი (მოქმედების სახელი) ინფინიტივზე უძველესიკაა: ისტორიულად ინფინიტივი მასდარისაგან არის ნაწარმოები, მაგრამ მასდარს მოეპოვება სახელის ისეთი კატეგორია, როგორცაა ბრუნვის კატეგორია: მასდარი ნაზმნარი არსებითი სახელია“—(არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე - 1962, გვ. 251-252).

1. პ. უსლარი, 1890; ლ. ყირკოვი, 1926; არნ. ჩიქობავა, 1937; შ. გაფრინდაშვილი, 1948; დ. იმნაიშვილი, 1963; ილ. ცერცვაძე, 1955.
2. ანტ. მეიე, 1952; ა. სელიშჩევი, 1952; ა. ვაიანი, 1952; ს. ნიკიფოროვი, 1952.

ფორმაზე ანა, ან და ზოგ შემთხვევაში ან || ან სუ-
ფიქსის დართვით. ამ მაწარმოებლების გამოყენების
მხრივაც იგივე უნდა ითქვას, რაც აწმყოს მიმღეობის
წარმოება გამოყენებასთან დაკავშირებით ზემოთ აღი-
ნიშნა.

ნიმუშები: პეჟანა, პაჟანა, პნჟჟანა-პაჟ-
ჟანა (მხოლ.რ.- გრ.კლას.მის.); პაჟიან (მრავლ.
I. და 2. კლ.), პეჟიან-პიჟიან (მრავლ. 3. და 4. კლ.)
„ნაკეთები“, „მკეთებელი (წარსულში)“. - შდრ. აბსოლ.:
პეჟე, პაჟე, პაჟჟე; პიჟი (იხ. ზემ.), უეჟოან „ნათ-
ქვამი“, „მაქმელი (წარსულში)“. შდრ. აბსოლ. უეჟჟე (იხ.
ზემ.).

მყოფადის მიმღეობა. იწარმოება აწმყოს აბსოლუტი-
ვისაგან წარმოებული ინფინიტივის ფორმაზე ან || ანა
(მხოლ.რ. I, 2 და 3. კლ.), ან (მხოლ.რ. 4. კლ. და მრავლ.
რ. ყველა კლ.) სუფიქსთა დართვით. ნიმუშები: პაჟას-
ტა-პაჟასადა (I. კლ.), პაჟასტა-პაჟასაჟა-
და (2 კლ.), პაჟასტა-პაჟასაჟასადა (3. კლ.), პაჟასანა
(4. კლ.) „მკეთებელი (მომავალში)“, „საკეთებელი“;
იხ ანსტა-იხ ანსადა, აიხ ანსტა-აიხ ანსადა, ეუხ ა-
ნსტა-ეუხ ანსადა, იხ ანსანა (კლას. მის.) „მყოფი
(ვინც, რაც იქნება)“; ოჟანანსტა „მჭამელი“, ოჟანანს-
ანსტა „მესაჭმელი“; ახლჟანსადა, ახლჟანსანა „მომსცლელი“;
„მოსასცლელი“... .

მიმღეობათა აღნიშნულ ფორმებში მრავლობითი რიც-
ხვი გამოიხატება სპეციალური სუფიქსითაც. ამ სუფიქსის
დართვის დროს აღნიშნულ ფორმებში ზოგჯერ არსებითი
ხასიათის ფონეტიკური ცვლილებები ხდება. ამასთან:
მრავლობით რიცხვში დასმული მიმღეობა მსაზღვრელის
დანიშნულებით არ იხმარება, გაიგება სუბსტანტივად;
ასეთი ფორმებია, მაგალ. ა) აწმყოს მიმღეობა: პაჟანმე-
პაჟანმე-პაჟანანმე-პაჟანანმე „მკეთებელი“, „სა-

კეთებელნი“; ¹ ეაჰმ²მ²კ-გაჰმ²მ²კ-ეაჰმ²ნ²მ²კ-ეაჰმ²ნ²ნ² ბ ზ „მთქმელნი“, „სათქმელნი“... ბ) ნამყოს მიმღეობა: ჰეჰმ²მ²კ-ჰეჰმ²მ²კ-ჰეჰმ²ნ²მ²კ-ჰეჰმ²ნ²ნ² ბ ზ... ² გ) მყოფადის მიმღეობა: ჰაჰმ²ნ²მ²კ-ჰაჰმ²ნ²მ²კ-ჰაჰმ²ნ²ნ² მ²კ-ჰაჰმ²ნ²ნ² ბ ზ და ა.შ. შდრ., მაგალ.: იშ ჰაჰმ²ნ²ნ² ადამი „საქმე მკეთებელი ადამიანი (საქმის მკეთებელი ადამიანი, მომუშავე)“, იშ ჰაჰმ²ნ² (ჰაჰმ²ნ²) ადამიანი „საქმე მკეთებელი ადამიანები“ - მაგრამ: იშ ჰაჰმ²ნ² „საქმე მკეთებელი“, „მომუშავენი“ (იშ ჰაჰმ²ნ² ადამიანი „იტყვის მხოლოდ წახურ ენაზე ცუდად მოლაპარაკე ვინმე).

მიმღეობათა ყველა ამ ფორმის საწარმოებლად გამოყენებული სუფიქსი გენეტურად ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია; შდრ., მაგალ.: აიზ=და || აიზ=ნა „ჩემი“, აილ=და აილ=ნა „შენი“ - ჰაჰმ²ნ² || ჰაჰმ²ნ²ნ², ჰაჰმ²ნ²ნ², ჰაჰმ²ნ²ნ²ნ² || ჰაჰმ²ნ²ნ²ბ²კ-ჰაჰმ²ნ²ნ²ა: აიზ=ზნ ხაჰმ² „ჩემი სახელი“, აილ=ზნ ხეჰმ² „შენი ტვირთი“ - ოჰმ²ნ²ნ²ნ² ჰარ „საჭმელი (შესაჭმელი რამე)“... ე.წ. ირიბ ბრუნვებშიც ეს მაწარმოებლები სახელებსა და მიმღეობაში ერთნაირი სახით გამოიყენებიან; შდრ. მაგალ., აიზ=ნი (აიზ=დი) ჩოჯის „ჩემს ძმას“, აიზ=ნი (აიზ=დი) ჩოჯის „ჩემი ძმის“ - დიხაჰმ²ნ²ნ²ნ² ეახტალ „გაეჩი მოსული დროზე“, ე.ი. „გაეჩის მოსვლის დროს“... ესეც თავის მხრივ ცხადს ხდის მიმღეობის მაწარმოებელთა გენეტურ კავშირს ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტან.

წახური მიმღეობის სინტაქსური დამოკიდებულება სახელთან ისეთივეა, როგორც აბსოლუტივის, მასდარისა და ინფინიტივისა: მიმღეობა ისევე მართავს წინადადებაში მასთან მდგომ სახელთა ფორმას, როგორც ზმნა, მას პრედიკატის დანიშნულება აქვს. მაგალითები: ფლავ

-
1. დასახელებულია I კლ. ფორმა; მეორე კლასისა იქნება: ჰაჰმ²ნ²მ²კ-ჰაჰმ²ნ²მ²კ-ჰაჰმ²ნ²ნ² ბ ზ და ა.შ.
 2. აქაც, ქვემოთაც დასახელებულია I კლ. ფორმა; მეორე კლასი: ჰაჰმ²ნ²მ²კ-ჰაჰმ²ნ²მ²კ-ჰაჰმ²ნ²ნ² ბ ზ და ა.შ.

ოქსანა ადამი“ ფლავი მჭამელი (ფლავის მჭამელი) ადა-
მიანი“; გაღე ოქსანა ფლავი „ვაჟმა შესატყმელი ფლა-
ვი (ვაჟის საჭმელი ფლავი); ჰიზდა ხრწ გოთაჲნა „ჩე-
მი ძაღლი მცემელი (ჩემი ძაღლის მცემელი)“; ქარფჯრ
ჰეჰჰანა ადამი „აგური გამკეთებელი (წარსულში) ადამი-
ანი“; ოსბჰ ჰაჰსაჰმეჰ შა იხჲასჰმეჰ „შეშები გამკე-
თებლები იქ იქნებიან (შეშის გამკეთებლები, დამამზა-
დებლები, იქ იქნებიან)“... .

მიმღეობა მუხადურში

მუხადურსაც სამი: დროის - აწმყოს, ნამყოს და
მყოფადის მიმღეობათა ფორმები მოეპოვება. აწმყოს და
ნამყოს მიმღეობისათვის აქაც აბსოლუტივის ფორმაა საყ-
რდენი, ხოლო მყოფადის მიმღეობისათვის - ინფინიტივისა.

მუხადურ მიმღეობათა ფორმებშიც კლასიკატეგო-
რიის ექსპონენტები ისევე გამოიყენებიან, როგორც -
შესაბამის ზმნაში: გარდამაცალი ზმნის მიმღეობაში
აღინიშნება ობიექტის კლასი, გარდაუცალი ზმნის მიმ-
ღეობაში კი - სუბიექტისა. სახელთა ფორმების მართ-
ვაც მუხადურ მიმღეობას ზმნის კვალობაზე შეუძლია.

გვარის მიხედვით არც მუხადური მიმღეობაა გარ-
ჩეული, თუ არ ვიგულისხმებთ იმას, რომ შესამჩნევია
ნამყოს და ზოგჯერ მყოფადის მიმღეობა მაინცდამაინც
გაგებულ იქნეს ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმად,
ხოლო აწმყოს მიმღეობა - მაინცდამაინც მოქმედებითი
გვარისად; მიმღეობის ფორმათა ამგვარი გააზრება, რა-
საკვირველია, მეორეულია, ახალია.

აწმყოს მიმღეობა. იწარმოება აწმყოს აბსოლუტივზე
ან აწმყოზოგადის ფორმაზე და სუფიქსის დართვით. ნი-
მუშები: ¹ ა) ჰაჰსაჰმეჰ, ვაჰსაჰ „მკეთებელი“, „საკეთებე-

I. ნიმუშები დასახელებულია რუთულური კილოს მიხედვით.
სხვა კილოში ძირითადად (და პრინციპულად) ასეთივე
მდგომარეობაა. კილოთა თავისებურება განისაზღვრება
ფონეტიკური ცვლილებებით.

ლი (ამუბამად)“, ილწდ-ილად, ციცილწდ-ციცილად „მჭამელი“, „საჭმელი“; ვულწად, რუევლწად „მიმცემი“, „მისაცემი (ამუბამად)“; სილყად, სივილყად „მწმენდელი“, „საწმენდი“ (ამუბამად)“. ღიყიდ, რიყიდ, ციყიდ „მყოფი“.¹

ნამყოს მიმღეობა. იწარმოება ნამყოს ორივე ტიპის აბსოლუტივის ფუძე-ფორმებზე ზღ სუფიქსის დართვით. ნიმუშები: ა) ჰეხჰ=ღ; ვეხჰ=ღ; ჰეხჰრად, ვეხჰრად „გამკეთებელი (წარსულში)“, „ნაკეთები“; ღირხჰ=ღ, რირხჰ=ღ, ვირხჰ=ღ „მოსიარულე (წარსულში)“, „ნავალი“; ლეხჰ=ღ, ლეხჰჰ=ღ „ნაჭამი (ვინც, რაც შეჭამეს; ვინც, რამაც შეჭამა)“; სიხჰყ=ღ-სიხჰჰ=ღ, სიტყ=ღ-სიღყ=ღ „მწმენდავი (ვინც, რამაც გაწმინდა)“, „საწმენდი“... ბ) ქაა=ღ, ქარი=ღ, ქავი=ღ „გაღვიძებული (ვინც, რამაც გაიღვიძა, ვინც, რაც გააღვიძეს)“; კაჰი=ღ, კაბჰი=ღ „გახადილი (ვინც, რაც გახადეს; ვინც, რამაც გაიხადა)“... გ) ეუ=ღ, რეუ=ღ „მიმცემი (წარსულში)“, „მიცემული“; ატუ=ღ, რატუ=ღ აბტუ=ღ-აბტუ=ღ, „გამჭრელი (ნამყოში)“, „გაჭრილი“; აღჰ=ღ, არღჰ=ღ, უღლუ=ღ „შესული“...

მყოფადის მიმღეობა. როგორც აღინიშნა, იწარმოება ინფინიტის ფუძე-ფორმაზე ზღ-ტჰ სუფიქსის დართვით. ნიმუშები: ჰაყას=ტჰ-ჰაყას=ღჰ, ვაყას=ტჰ-ვაყას=ღჰ² „გამკეთებელი“, „გასაკეთებელი“; ილწს=ტჰ-ილწს=ღჰ, ვიილწს=ტჰ-ვიილწს=ღჰ „შემცემელი“, „შესაჭმელი“; ღიყის=ტჰ-ღიყის=ღჰ, რიყის=ტჰ-რიყის=ღჰ, ვიყის=ტჰ-ვიყის=ღჰ „მომაკვდავი“, „მოკვდავი“; ღი-

1. დასახელებულია ობიექტისა და სუბიექტის კლასის მიხედვით გარჩეული მიმღეობის ფორმები, რომლებიც დისაც, როგორც ითქვა, საყრდენია აწმყოს აბსოლუტივის ფორმები: ჰაყა, ვაყა; ილწ-ილა, ციცილწ-ციცილა; სილყა, სივილყა; ღიყი, რიყი, ციყი...

2. აქაც, ქვემოთაც დასახელებულია ობიექტის ან სუბიექტის კლასის მიხედვით გარჩეული ფორმები.

ქის=ტჯ<-აიქის=დჯ, რიქის=ტჯ<-რიქის=დჯ, ვიქის=ტჯ<-
ვიქის=დჯ „მყოფი“, „მყოფელი“ (ვინც, რაც იქნება),
„სამყოფელი“.¹

მიმღეობის ზემოთ დასახელებულ ფორმათა შორის
ყურადღებას იპყრობენ, ერთის მხრივ, ჰაყად, ვაყად
და ჰაყარყად, ვაყარყად და, მეორეს მხრივ, ჰეყად,
ვეყად და ჰეყარყად, ვეყარყად ვარიანტები. ზემოთ
აღინიშნა, რომ მუხადური, ოსაჟ. წახურ=მუხადური მიმღე-
ობა გვარის კატეგორიის მიხედვით არ განირჩევა. ამ
პარალელურ ფორმებში „ჰაყარყად“=სა და „ვეყარყად“
ტიპის წარმოებაში კი საგულისხმო სწორედ ის არის, რომ
ეს ფორმები გამოხატავენ ოდენ მოქმედებითი გვარის
მნიშვნელობას. მიმღეობის ეს ფორმა რთული შედგენილ-
ობისაა და იშლება ასე: ჰაყარ+ყად, ვეყარ+ყად; პირვე-
ლი კომპონენტი მეორე ტიპის აწმყოს (ჰაყარ=) და ნამ-
ყოს (ვეყარ=) აბსოლუტივის ფორმაა, ხოლო მეორე კომპო-
ნენტი მასთან შეზრდილი „არის“ ზმნის აწმყოს მიმღეო-
ბის ფორმაა: ყა-> ა „არის“ - ად->ყად<-ყადჯ „მყოფი“
(იხ. ზემ. ყოფნა ზმნის ფუძე-ფორმები მუხადურში). ამ
განმარტების მიხედვით მიმღეობის დასახელებული ფუძე=
ფორმები უნდა გაგებულ იქნეს ამგვარად: ჰაყარყად<-
ჰაყარყადჯ „აკეთებს=რა + მყოფი“, ე.ი. „ვინც, რაც
აკეთებს, გამკეთებელი“, ვეყარყად<-ვეყარყადჯ „აკე-
თარა მყოფი“, ე.ი. „ვინც, რამაც აკეთა, გამკეთებელი
იყო“... მიმღეობის ამ მუხადურ ფორმაში უნდა იყოს წარ-
მოების ის წესი, რაც ზემოთ აღნიშნულ წახურ ჰაყა=გორ,
ჰაყა=გობ, ჰაყა=გოდ-ფორმებისათვისაა დამახასიათებელი:
ჰაყა აწმყოს აბსოლუტივის ფორმაა, მასთან შეზრდილი
=გორ, =გობ, =გოდ ნაწილი კი - გრ. კლასების მიხედვით
გარჩეული „არის“ ზმნა, რომელიც წარმოშობით უნდა იყოს
აგრეთვე მიმღეობის ფორმა (იხ. ზემ. ყოფნა ზმნის ფუძე=

1. ამ მიმღეობათა საყრდენია ინფინიტივის ფორმა: ჰაყას,
ვაყას; ილას, ვიყილას; აჯხჯს, რჯხჯს; აიყის, რიყის,
ვიყის; აიქის, რიქის, ვიქის...

ფორმები წახურში; იხ. აგრეთვე: აბსოლუტივი წახურში).¹

x x მუხადურს მოეპოვება აგრეთვე აწმყოს მიმღობის თავისებური ფორმა „ყოფნა“ ზმნისა: ანა<-ყანა<- (ყანა), ანი<-ყანი<- (ყანი), არი<-ყარი<- (ყარი) „მყოფი“.² აქ საყრდენი ფუძეა. ა<-ყა (ყა) „არის“, „არის=რა (ამჟამად)“, ხოლო მაწარმოებლად გამოიყოფა =ნა, =ნი, =რი. მიმღობის ასეთი წარმოება მხოლოდ ამ ფუძე=ფორმით იფარგლება. მაშასადამე, ამ მაწარმოებლებს არა აქვთ ისეთი ფართო გავრცელება, როგორც ზემოთ აღნიშნულ =დ<-=დჯ სუფიქსს. აღნიშნულ სუფიქსთაგან პირველი ორი =ნა და =ნი ემთხვევა მიმღობის წახურში დამოწმებულ =ნა (=ნი)³ სუფიქსს; =რი მაწარმოებლის წარმომავლობა მთლად ნათელი არ არის. აქ შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: მიმღობის არი<-ყარი<- (ყარი) ფორმის წარმოება ხომ არ ეყრდნობა მუხადურშივე დამოწმებული აბსოლუტივის მეორე, „რ“ მაწარმოებლიან ტიპს? შდრ., სახელ-დობრ, მუხადურში „ჰაყა“-ს პარალელურად ხმარებული აბსოლ. ასეთი ფორმა: ჰაყარ, ჰაყარა („აკეთებს=რა“) და მისთ. თუ ეს ასეა, მაშინ არი<-ყარი დაიშლება ამგვარად: არ=ი<-ყარ=ი, სადაც =არ<-ყარ იქნება „არის“ ზმნის აბსოლუტივი: „არის=რა“, ბოლოკიდური ი ელემენტი კი - მიმღობის მაწარმოებელი, ან ამგვარი მაწარმოებლის ნაშთი.⁴

1. შესაძლო იყო, აქ „ყად“ ნაწილის მნიშვნელობა ეტიმოლოგიურად „ქეთების“ ცნებისათვის დაგვეკავშირებინა: ჰაყად-> (კონტამინაციით) ყად „მკეთებელი“ და ამისი ხელმეორედ დართვაში ფუძის გააქტიურების მომენტი გვეგულისხმნა. ასეთი ტენდენცია როგორც მუხადურში, ისე წახურსა და სხვა მოძმე ენებში შეიმჩნევა საერთოდ; მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ ენათა რეალიების მიხედვით უპირატესობა მაინც პირველ განპარტუბას ენიჭება: შდრ. დოჰკილოთა წარმოების პრინციპი წახურში, მუხადურში.

2. იხ. ზემ. ყოფნა ზმნის ფუძე=ფორმები მუხადურში.

3. მეორე (=ნი) სუფიქსი „ირიბ“ ბრუნვებში დასმულ საზღვრულთან გამოიყენება (იხ. ქვემ. მიმღობა წახურში)

4. შდრ. უდიდური მიმღობის ფორმები: ბ=ი „ნაკეთები“, ჰყ=ი „აღებული“, ცამფ=ი „დაწერილი“, არ=ი „მოსული“,

მუხადური მიმღეობის მაწარმოებლად გამოიყოფა: =დ (აწმყოსა და ნამყოს მიმღეობაში) და =დგ (მყოფადის მიმღეობაში). უეჭველია, რომ პირველი მეორის გამარტივებული სახეობაა: ღგ->დ. აქედან =დგ აფიქსი იხმარება თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეფორმასთან: ჰაყას=დგ („ს“ ბგერის მეზობლობაში დაყრუების შედეგად)->ჰაყას=ტგ და ასე ყველა ამგვარ ფორმაში; ხოლო ბოლხმოვნიან ფუძეს დაერთვის =დ: ჰაყა=დ, ჰგყგ=დ... სწორედ ამ ფაქტორით უნდა იყოს შეპირობებული =დგ სუფიქსის ბოლოკიდური ხმოვნის კვეცა: ბოლოდან მეორე მარცვლის მახვილიანი ხმოვანი იწვევს მახვილის უქონელი ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცას: ჰაყა=დგ->ჰაყა=დ, ჰგყგ=დგ->ჰგყგ=დ...

მუხადური მიმღეობის =დგ-> დ მაწარმოებელი წარმომავლობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია: შდრ., მაგალ., ხალ=დგ „სახლისა“ (ხალ „სახლი“), მაგრამ: ღაზ=დ „ხიდისა“ (ღაზ „ხიდი“).¹

მუხადურ მიმღეობას, გარდა თავისებური (დეფექტური) ანა, ანი, არი ფორმისა, დაერთვის მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ოღონდ² ისე, რომ საწარმოებელ ფუძეფორმას ზოგჯერ ეკვეცება თავისი =დ, =დგ სუფიქსი; ამასთან, კარგავს მსაზღვრელის დანიშნულებას, გაიგება სუბსტანტივად; მიმღეობის ისეთი ფორმებია, მაგალითად, ჰაყა=ბურ „მკეთებელნი“, „საკეთებელნი (ამჟამად)“; კიდგა=ბურ||< კიდგად=ბურ „სასურველნი“, „საყვარელნი“ და სხვა.

ზემოთ აღინიშნა, რომ სხვა სახელზმნურ ფორმათა მსგავსად, მუხადური მიმღეობა მასთან შეწყობილ სახელებს ისევე მართავს, როგორც ზმნის „პირიანი ფორმა; მაშასადამე, წინადადებაში მას უჭირავს შემასმენლის ადგილი; ამასთან: ამ ფორმაში გრ.კლასის ნიშნით სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა ისევე ხდება, როგორც

ჭერ=ი „გასული“...; არც=ი „მჯდომარე“, „დამჯდარი“, ბასკ=ი „მწოლარე“, „დაწოლილი, ჩურფი „მდგომარე“, „დამდგარი“...

1. იხ. ზემ. სახელთა ბრუნება: ძირითადი ბრუნვები.

ზმნაში. მაგალითები: ღუბარა ვურჯხედ თლა „ვატმა(ვა-
ტის მიერ) ნაცემი ძალი“; ვაჰაყად ქარ ჯხტე=აი
„შენ (ერგ.), ე.ი. შენ მიერ (ამჟამად) საკეთებელი
საქმე კარგია“...

ე.ნ.უფორმო სიტყვები წახურსა და მუხადურში¹.
დამატებითი ცნობები ზოგ ზედსართავ სახელთა
წარმოება=გამოყენების შესახებ

ზოგადი

წახური და მუხადური მდიდარი არ არის ე.წ.უფორ-
მო (არაბრუნებადი, არაუღვლილებადი) სიტყვებით.² ამას-
თან ამ ჯგუფის საკუთარ სიტყვათა გვერდით ერთსაც და
მეორესაც - თვისტომ ენათა მსგავსად - მოეპოვება უც-
ხო ენებიდან, მეტადრე თურქულ-აზერბაიჯანულიდან, ნა-
სესხები სიტყვები.

უცხო ენებიდან შემოსული „უფორმო“ სიტყვების
ერთი ნაწილი გადმოღებულია საკუთარი ფონეტიკური შე-
საძლებლობის მიხედვით, ერთი ნაწილი კი აღქმულია ტრა-
ფარეტიულად, უცვლელად. ეს მომენტაც საერთოა წახურისა
და მუხადურისათვის.

„უფორმო“ სიტყვათა წარმოქმნა=გამოყენების მხრივ
ახურ კილო=კილოკავებსა და მუხადურ კილო=კილოკავებში
იხილავდად ერთნაირი მდგომარეობაა. სხვაობა უმთავრე-
ად ფონეტიკური ხასიათისაა.

1. ცხადია, მეტყველების ამ ნაწილთა საკითხი სცილდება
მორფოლოგიის ფარგლებს, რადგანაც ასეთი არაბრუნებადი
და არაუღვლილებადი სიტყვების საკითხთა რკვევა უცე-
სიკური ან სინტაქსური ძიების საქმეა. მაგრამ მიუ-
ხედავად ამისა, მიკვებებით:რა ენობრივ მასალათა გრა-
მატიკული შესწავლის ტრადიციას, ამ საკითხებს მოკლედ
მაინც ვიხილავთ მონოგრაფიის ამ ნაწილში, რამდენადაც
აქაც გასათვალისწინებელია სიტყვის მორფეზული შედ-
გენილობის საკითხი.

2. სახელდობრ, - ადგილისა და დროის საგარემოებო სიტყ-
ვებით, ადვერბიალური თანდებულებით, ნაწილაკოვანი სი-
ტყვებით...

როგორც წახურში, ისე მუხადურში ესა თუ ის ად-
ვერბიალური სიტყვა იმავე დროს ზედსართავ სახელადაც
იხმარება, თუკი ასეთი სიტყვა სახელს წინ მოუდის და,
მაშასადამე, იგი მსაზღვრელად გაიგება. თუმცა ამის
გვერდით წახურსა და მუხადურს მოეპოვება იმავე ადვერ-
ბისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები (მაწარმოებ-
ლად გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსი).

„უფორმო“ სიტყვები წახურში

I. საგარემოებო სიტყვები. 1. ადგილისა: ო||ᄀ
„ზემოთ“. აქედან იწარმოება: ა) ოკა || <- ᄀკა „ზემოთ-
კენ“, „ზემო მიმართულებით“; ოღან=ჩჰ || -> (ვამარტი-
ვების შედეგად) ᄀნ=ჩჰ „ზემოდან“; ბ) „ო“=დანვე
იწარმოება გრ. კლასების მიხედვით გარჩეული ლოკატიუ-
რი მნიშვნელობის ასეთი სიტყვები: ოყა=ჩ (I. და 2. კლ.,
ოყა=ბ (2. კლ.), ოყა=დ (4. კლ.) „ზემოთ“.² მაგალითე-
ბი: სტოლენ ო „მაგიდაზე“, ხალო „სახლზე“, „საბღს
ზემოთ“. 2) ამ ადვერბიალური თანდებულის სინონიმია
კლასნიშნიანი ალი, ალი=ჩ, ალი=ბ, ალი=დ. ამ სიტყვას,
რომელსაც საყრდენად აქვს *ალი= (თანდ. „ზე“ - იხ. ზემ.
თანდებულნიანი ბრუნვები წახურში), წინ ვაკსკველავი
უზის, რადგანაც ამჟამინდელ წახურში იგი მხოლოდ ზოგი
ზედსართავი სახელის საწარმოებელ ფუძედ გამოიყენება:
ალინა<-ალინ=ნა<-ალირ=ნა, ალიდ=ჟნ „ზემო“. ეს საზედაო
ადვერბიალური თანდებული „პრევერბის“ დანიშნულებითაც
იხმარება წახურსავე ზმნებში (იხ. ზემ. ადგილ=მიმარ-
თულების აღნიშვნა ზმნაში. 3) საპირისპირო მნიშვნე-
ლობას გამოხატავს დალა („ქვე“, „ქვემოთ“); საიდანაც
იწარმოება ა) კლას=ნიშნიანი ლოკატივი: დალა=ა: =ჩ,

1. გამარტივებული ვარიანტი უფრო მიქიქურშია გავრცელებ-
ული. სხვა კილოებში უპირატესად პირველ ვარიანტს
იყენებენ.
2. ამ სიტყვაში საკვევია ყ ელემენტის ხასიათი: იგი
ფონეტიკური ხასიათისაა (გამყარია, ეკვეთეზურია), თუ
ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი?

წახურულში, მიქიქურსა და მიშლეშურში. (საინტერესოა, რომ სწორედ ასეთივე ელემენტები გამოიყენება პრევერ-ბული მნიშვნელობით როგორც გარდამავალ, ისე გარდაუ-ვალ ზმნებში).¹ 7) მუგ = ფუძე = ძირზე = ლ ელემენტის დართვი იწარმოება მუგლ ზმნიზედა = ანდებული („იქ-ვე“, „გვერდით“, „სიახლოვეს“). ხოლო აქედან იწარ-მოება მუგლქა „გვერდითკენ“, „სიახლოვისკენ“ (ხანი მუგლქა „სახლის გვერდითკენ, „სახლის სიახლოვისკენ“, „სახლთან“...), მუგლქა „გვერდიდან“, „სიახლოვი-დან“ (ხანი მუგლქა „სახლის გვერდისკენ“, „სახლის სიახლოვისკენ“, „სახლთან ახლოს“...). მუგლქა მიღე-ბულია მუგლ = ა = კა ფორმიდან, ხოლო მუგლქა = მუგლ = ენ = ჰა = მუგლ = ან = რ. ² თავად მუგლ ხმოვანამოვარდნილი ვარიანტია: შდრ. წახ. მუგულ „გვერდი“, „ფერდი“ მუგულ-ლინ, მუგლან = მუგულან „გვერდისა“, „ფერდისა“. 8) და-ბოლოების მიხედვით ერთი ტიპისაა მუს, მუსა (რო-დის); დელ = მს (ახლოს); ნაც = მს (რატომ). ეს დროის, ადგილისა და კითხვის ზმნიზედები იწარმოება მიცემითი ბრუნვის = ს (= ას?) ნიშნის გამოყენებით. აქედან ცალ-კეა გამოსაყოფი მუსა („როდის“) სიტყვის ბოლოში შეზრ-დილი = ა ხმოვანი. იგი ბრუნვის ნიშნის კუთვნილება არ არის, - კითხვისაა. ეს სიტყვა კითხვის მნიშვნელობით შეიძლება განმტკიცებული იყოს მეორე კითხვითი ნაწილა-კითაც: მუსა = ანა „როდის“? „რა დროს?“; მუსანა ახახს ჰაჟენჩა „როდის წახვალ აქედან?... „მუსა“ ფუძე = ფორმა-ზე გრ. კლას ნიშნით გართულებული უარყოფის ჯა (< -და)

1. ინ. ზემ. მოქმედების ადგილ = მიმართულების, გაძეორების, უკუმოქმედების გამომხატველი ელემენტები წახურ ზმნაში
 2. ინ. ზემ. სანკლთა ბრუნება * თანდებულიანი ბრუნვები.
 3. დასახელებულია ნათეს. ბრ. ფორმის კილოური ვარიანტე-ბი: პირველი (მუგულინ) მიქიქურის კუთვნილებაა, ხოლო მეორე (მუგულან) - სხვა კილოებისა. უკანასკნელი ვარი-ანტი მიღებულია გამარტივების გზით: მუგულან = მუგუ-ლან = ი... (ინ. ზემ. სანხელთა ბრუნება).

ნაწილაკის დართვით წარმოიქმნება უარყოფითი ზმნიზე-
და: მუსა=ჯაჲ (I, II კლ.), მუსა=ჯა=ბ (III კლ.),
მუსა=ჯა=დ (IV კლ.) „არასდროს“... 9) ნაცვალსახე-
ლური წარმოშობის ადგილ=მიმართულების გამოშხატ-
ველი ზმნიზედები (ადვერბ. თანდებულები): ა) კლას=
ნიშნით გართულებული: ჰანაჲ=ჲ-ჰანა=აჲ (I.2. კლ.),
ჰანა=ა=ბ (3. კლ.) ჰანა=ა=დ (4. კლ.) „აქ“. ბ) უკლას-
ნიშნოდ: ჰანაჲა „აქეთ“, „აქეთკენ“; ჰანაჲნ „აქე-
დან“. საყრდენ ფუძედ გამოიყენება პირველი პირის ჰა-
ანა, ჰაინ („ეს“) ნაცვალსახელი.

კლას=ნიშნითაა გართულებული აგრეთვე ნაცვალსა-
ხელური წარმომავლობის ასეთი ზმნიზედებიც: მაჲაჲ
(I.2. კლ.), მაჲა=ბ (3. კლ.), მაჲა=დ (4. კლ.) „იქ“||
მანა=ჲა=ჲ, მანა=ჲა=ბ, მანა=ჲა=დ (გრ. კლას. მიხ.)
„იქ“ - შდრ. მანა „ის“. ბ) უკლასნიშნოდ: მაჲა || <-მან-
ჲა „იქით“, „იქითკენ“; მანაჲ „იქიდან“. ამ ნაცვალსა-
ხელს სინონიმად აქვს შე=: შენა, შენ („ის“), საიდა-
ნაც იწარმოება აგრეთვე ადვერბიალური სიტყვები: შა
„იქ“, შაჲა „იქით“, შაბაჲა „იქ, რისამე უკანა, იქითა
მხარეს“. ადგილ=მიმართულების გამოშხატველი ეს სიტ-
ყვები ზოგჯერ რთულდებიან კლას=ნიშნით: შაჲაჲ, შაჲა=ბ,
შაჲა=დ სინონ.: მაჲაჲ, მაჲა=ბ, მაჲა=დ. ფორმათა
ასეთ ცვლას ენიჭება კატეგორიულობის, დაბეჯითებით
თქმის, უეჭველობის მნიშვნელობა, რის განსამარტებლად
საჭირო ხდება „ც“ ნაწილაკის მოშველება („იქითაც“,
„იქითკენაც“). საინტერესოა, რომ კლას=ნიშნიანი წარ-
მოება მხოლოდ მოკლე ფუძე=ფორმას აქვს. II) ადგილის
გარემოების აღმნიშვნელი სხვა სიტყვები: ა) ნაადიექ-
ტივარი: აყანაჲა „შორს“, აყანანაჲ „შორიდან“ (შდრ.
აყანანა, აყანან „შორი“, „შორეული“; ბ) განუსაზღვრ.
ნაცვალსახელზე =ჲაჲ || -> დაჲ ელემენტისა² და =ჲ³ თან-

I. ხმოვნებს შორის „ეპენთეზის“ სახით ჩნდება =ჲ= ელე-
მენტი.
2. შდრ. გერუნდიუმის წახური ფორმა (იხ. ზემ.).

დებულის დართვით წარმოქმნილები: გზრგჯნჴაჰ || -> გზრ
 გჯნდაჰ „ყველაგან“; გზრგჯნჴანჩჴ || -> გზრგჯნდანჩჴ „ყო-
 ველი მხრიდან“ - შდრ. გზრგჯნა, გზრგჯნ „ყველა“, „ყო-
 ველი“, „ყველაფერი“, „სუყველა“. გ) რიცხვითი სახელი-
 სა და არსებითი სახელის ფუძეთა კომბინაციით წარმოქ-
 მნილი ზმნიზედა: ჰოყსურალ („ირგვლივ“, „გარშემო“,
 „ოთხმხრივ“), რაც რთული ფუძეა და იშლება ასე: ჰოყ+სურ-
 რალ; ჰოყ („ოთხი“) +სურალ („მხარეზე“). დ) მწეა და მი-
 სი გამარტივებული (I) მწე ვარიანტი გამოხატავს იმას,
 რასაც ქართ. „მდე“ თანდებული; მაგალ., გალანქვა მწე-
 გა „გალანამდე (ე.ი. აზერბაიჯანამდე)“; მუთურბიშეეკა
 მწეა „ქართველებამდე“, „საქართველომდე“... - შდრ.
 „მე“ - ფუძე=ძირიდან ნაწარმოები წახური ფორმები: მე=
 რ=ნა, მე=ბ=ნა, მე=დ=ინ (გრ. კლას. მიხ.) „სხვა“; ა) მ
 ფუძე=ფორმათა შედარება გვარწმუნებს, რომ მწეა რთული
 აგებულებისაა და იშლება ასე: მწე=გა, სადაც მწე=სა-
 წარმოებელი ფუძეა, ხოლო =გა მაწარმოებელი. გრამატი-
 კული მნიშვნელობის ამგვარი ფუნქციონალი =ელემენტი
 სხვა ფორმაშიც გამოიყოფა: მა=გ || <-მა=გა („ისე“).

2. ნაჰ= ფუძე=ძირზე დაყრდნობით იწარმოება ა) ლ-
 კატორი მნიშვნელობის კითხვის ზმნიზედები: ნაჰნა ||
 ნაჰყაჰნა „სად?“, ნაჰჴაჰნა „სად, საით“; ნაჰჩენა
 -> ნაჩენა -> ჩენა „საიდან“; ბ) კითხვის (მაკავში-
 რებელი) ზმნიზედები: ნაჰყასტა<-ნაჰყაჰსდა || ნაჰყაჰსნა^I
 „რატომ“, „რისთვის“; გ) კლას=ნიშნითა და „ჰა“ ელემენ-
 ტით გართულებული კითხვის ზმნიზედა: ნაჰჴაჰ, ნაჰჴაჰ=ბ
 და ნაჰჴაჰ=დ „როგორ“.

3. დროის გარემოების გამოხატველი სიტყვები:
 ა) წინა, წინა || -> ღწინა, ღწინა „დღეს“ (სიტყვა=სიტყვით:
 დღეისა); წიკა, წიკა || -> ღწიკა, ღწიკა „ხვალე“; ყინილწ ||

I. ფაქულტატურად გამოიყენება ყველა კილო=კილოკავში,
 თუქვა წახურულსა და მასთან ახლოს მდგომ სხვა კილო-
 ში უპირატესობა I ვარიანტს ენიჭება; მეორე ვარიან-
 ტი კი უფრო გილმიწურულქურშია გავრცელებული.

დინილჷ კრლა^I „დღეის (დღეისაგან, დღეისაზე) შემდეგ“, „დღეის იქით“ || სინონ: ჰინჩილჷ კრლა „ამის (ამისგან, ამისაზე) შემდეგ“, „დღეის იქით“, „ამიერიდან“ - შდრ. ჰილ „დღე“, ჰილბჷ „დღეები“, ჰილინ||ჰილგნ || ჰღღჷნ „დღისა“, „დღისით“; ჰარჰილგს „ყოველდღე“. „ხვალის“ აღმნიშვნელი „ჴრკჷა-ჰღრკჷაჷს“ თავდაპირველი მნიშვნელობაჷ „დღის (ჰილ-ჰილი-ჰიჴრ)“ ცნებას უნდა უკავშირდებოდეს: ჴრკჷა-ჴრინ=კჷა-ჰღინ=კჷა-ჰღრ=კჷა, სადაჷ ჴრინ-ჰღი საჴრდენი ფუძეა, ხოლო =კჷა მაწარმოებელი.

ბ) სანჯჷჷა „გუშინ“. ა. დირი ამ სიტყვას ორად შლის და „ერთისა“ (სან=) და „სალამოს“ (=ჯჷა) ცნებას უკავშირებს („წახ.ენა“, გვ.200), რაჷ საეჭვოა. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ნათელი არ არის. გ) ხაჷმდაჷ-ხაჷმდა „ღამე,ღამით“; ხაჷმდა=ხაჷმდა „ყოველ ღამე (ღამეს)“ - შდრ. ხაჷმ ჰღამე ჰიჯჷ (ხაჷმდა ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია - შდრ. ჰიზჷდა „ჩემი“, ჰილდა „შენი“...). დ) ჩიკჷანა „გუშინწინ“. ჩილჷ = ჩიკჷანა „გუშინწინისწინ“; ჩიკჷ+ჷანა; ჩილჷ+ჩიკჷ+ჷანა. მეორე კომპოზიტის ბოლო ორი ნაწილი პირველი კომპოზიტის გამეორებაა, თავში „ჩილჷ=ს“ დართვით წარმოქმნილი. ამ ფუძეთა ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის. ერთადერთი, რაჷ შეიძლება ითქვას, ის არის, რომ თითოეული ნაწილი ამ სიტყვებისა შეიძლება დაუკავშირდეს თანდებულიან ბრუნვაში დასმულ ნაცვალსახელს, ანდა ამგვარივე წარმოშობის „ადვერბს“; შდრ. ჩიკჷ „მისგან“, ჩილჷ „მისაზე“, ²კანა „უკან“ ³- ჩიკჷ=ჷანა „მისგან უკან“, ე.ი. „გუშინწინ“; ჩილჷ = ჩიკჷ=ჷანა მისაზე + მისგან + უკან“, ე.ი. „გუშინწინისწინ“. ე) ნრკჷა „უწინ“ „გარდასულ დროს“;

I. მიქიქურში მოწმდება აგრეთვე ღეჷნილჷ კრლა ვარიანტიც.
2. იხ. ზემ. სახელთა ბრუნება; თანდებულიანი ბრუნვები.
3. შდრ. აგრეთვე ალულ. კანი „შემდეგ“; უღ. კაჷ „უკუ“, „უკან“ - კომპოზიტ=ზმნებში: კაჷ=ბაქსუნ „უკუჷზნა“, „დაბრუნება (ბრუნდება)“, კაჷ=ღესუნ „უკუჷზნა“, „დაბრუნება (აბრუნებს)“ ...

შაცა „შარშან“ სინონ. (აღწერ): შაცინა სენ „შარშან-
 დელი (ნათესა. „შარშან“-ის) წელი“. ეს ორი სიტყვა
 შეიცავს ერთსა და იმავე ბოლოკიდურ ჰუბა ელემენტს:
 ნოჰუა, შაჰუა¹... არცერთი ამათგანის ეტიმოლოგია ნა-
 თელი არ არის. 3) ჰაჰშდჷ || ჰაშდილჷ „ახლა“. აქედან
 პირველი (ჰაჰშდჷ) ნაწარმოები ფუძეა: ჰაშშდჷ, რომლის
 ბოლოკიდური ჯდა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო
 ჰაშშსაწარმოებელი ფუძე; შეიძლება დაუკავშირდეს უდი-
 ურ ზმნიზედას: იშა „ახლოს“, - ტიპოლოგიურად შდრ.
 ქართ. ახლოს/ახლა. 4) ჰიკა „უწინ“, „ადრე“; „ოდით-
 გან“. ეს სიტყვაც ზემოთ დასახელებულ ჰა ელემენტთან
 რმებს მოგვაგონებს (შდრ. მაგალ., შიკაჷ || ->ლიკაჷ
 ა მისთ.); ეტიმოლოგია არ არის ნათელი. თ) გონი „შემ-
 გომ“, „შემდეგ“, „მერე“; მაგალ., გონი ვახტალჷ „შემ-
 ეგ დროს“, „სხვა დროს“. ი) მარტივ ფუძეზე კლას=კატე-
 ,ორიის ნიშნის დართვით ნაწარმოები დროის ზმნიზედას:
 ჩაჰქჷრაჷ, ჩაჰქჷბჷა, ჩაჰქჷდჷა „ადრე“, „დიდი ხნის
 წინ“, „დიდხანია“. ჩაჰქჷ ფუძის თავდაპირველი მნიშ-
 ვნელობა ნათელი არ არის.²

4. ვითარების (თვისება=გვარობის) გამომხატველი
 სიტყვები: 1) მარტივ ფუძეზე კლას=ნიშნის დართვით ნა-
 წარმოები ავერბიალური სიტყვები: ა) გერ || გერ<-გე=
 ერ? (I.2.კლ.), გეჷბ || გეჷბ (3.კლ.) გეჷდ || გეჷდ (4.
 კლ.) „ძალიან“, „ძლიერ“, „ფრიალ“, „მეტად“. ამ სიტ-
 ყვას, თუკი იგი წინ მოუდის სახელს, აქვს მსაზღვრე-
 ლის მნიშვნელობა („ბევრი“, „მრავალი“); მაგალ., გეჷბ
 (გეჷბ) ადამერ, აედარ „ბევრი კაცი (კაცები), ქალი
 (ქალები, დედაკაცები)“, გედ მეფებაჷ „ბევრი ხილი“...;
 ხოლო თუ ზმნას უზის წინ, ადვერბია; მაგალ., ზას გერ
 მიქსან აედ „მე ძალიან მიყვარს დედა“. 3) 2) ეკჷრა

I. ასეთივე (=ჰა) ელემენტი გამოიყოფა ზოგ სხვა სიტყვა-
 შიც: შდრ., მაგალ., სუნოცა („მღვიძარე“)...

I. შდრ. ქართ. ჩქარა (?). <-თურქ. ჩაგ || ჩალ „დრო“, „ასაკი“ (? I)

2. ანალოგიურია უდიურისა: შდრ. გოლჷ ადამარ „ბევრი
 ადამიანი“, მაგრამ: გოლჷ შელ „ძალიან კარგი“...

(I.2.კლ.), ეკ=ბა (III კლ.), ეკ=დ=ა (IV კლ.) „ჩქარა“, „სწრაფად“, „მაღლ“. რა ეკრა „მოდრი ჩქარა(კა-ცო)!“ კერა (კიჲერა) ეკრა „მოდრი ჩქარა (ქალ)!“ ეკრა=ეკრა, ეკბა=ეკბა, ეკდა=ეკდა „ჩქარა=ჩქარა“, „მაღლ=მაღლ“, „ხშირად“, „ხშირ=ხშირად“. 3) აუგ=რა (I, II. კლ.), აუგ=ბა (III კლ.), აუგ=დ=ა (IV კლ.) „კარგად“, „კეთილად“; მაგ., ნახპარნა? როგორ (ხარ)?“ - აუგ-რა! „კარგად!“ ნახპარნა შუ როგორ (ხართ) თქვენ? - უგბა! „კარგად!“ - ვითარების გარემოების გამოხატველი ეს სიტყვაც გამოიყენება ზედს რთავ სახელდაც: შდრ. მაგალ., აუგდა=ვოდ „კარგია“. ასევე იწარმოება საპირისპირო (აუღის“) ნიშნელობის (ნახესხები) „ფის“: ფის=რა, ფის=ბა, ფის=დ=ა; მაგალ., ვაკლწ წახხბიშდა მია ფისბა ვაწა „შენ წახური ენა ცუდად იცი“...; ეს ფორმებიც გამოიყენება ზედსართავი სახელის მნიშვნელობითაც: ფისრა ადამი აუღი ადამიანი“... 4) შად (ნახესხ.): შად=რა, შად=ბა, შად=დ=ა „მხიარულად“, „ლაღად“, (შდრ. აგრეთვე შადნა, შადინ „მხიარული“, „ლაღი“)... 5) ნაცვალსახელურ ფუძეთა გამოყენებით წარმოებული ვითარების გამოხატველი სიტყვები: ა) მაგა, მაგ „ისე“, „იმგვარად“, „იმნაირად“. იხმარება აგრეთვე I და II პირის პოზიციის მიხედვითაც: „ასე“, „ამგვარად“, „ამნაირად“, „მასე“, „მაგრე“, „მაგნაირად“ (I); მაგალ. შენწმე მაგ ყაწატკუნ=ვობ „მან ძსე გადაწყვიტა“... - შდრ., წახ. მა=ნა, მა=ჩ „ის“, „იგი“; „ეს“, „ეგე“. ამ ნაცვალსახელთან შედარება გვიჩვენებს, რომ მა=გა, მა=გ ადგერბში პირველი (მა=) ნაწილია სწორედ ნაცვალსახელის ფუძე=ძირი, რომელთანაც შერწყმულია ჯგა ელემენტი. შესაძლოა ეს, მეორე (=გა), ნაწილიც ნაცვალსახელური წარმოშობისა იყოს. ამის ფარდი ნაცვალსახელური ფუძე თავად წახურს არ აბადია, მაგრამ შდრ., მუხად. გი „ის - ქვემოთ მყოფი“ (გადატ. ის, რაც, ვინც ქვემოთა...“, ალულ. გე „ის - ქვემოთ მყოფი“... (იხ. ზემ.) ჯგა ელემენტი გამოიყენება აგრეთვე მუხადუ-

ჩისავე სხვა საცვალსახელებთან, ოღონდ „ც“ ნაწილა-
კის მნიშვნელობით: შდრ., მაგალ., ზუგა „მეც“ (ზუ
„მე“), ლუგა „შენც“ (ლუ „შენ“), თინდიგა „ისიც“,
თუგა „მქვენც“... შესაძლოა, ეტიმოლოგიურად ამის
ფარდი იყოს უდიური „გარ“ ნაწილაკიც რომელიც ქართ.
ღვე ნაწილაკის მნიშვნელობით იხმარება (გამონათბავს
კატეგორიულობას); შდრ., მაგალ., ზუგარ „მევე“, „მე
თვითონ“, „თავად მე“ (ზუ „მე“)...; შეღვარ „კარ-
გადვე“, „მთლად კარგად“ (შელ „კარგი“, „კარგად“);
ტააგარ „იქვე“ (ტაა „იქ“)... ჩამოთვლილ წახურამუ-
ხადურმაღულურადიურ მონაცემებს ერთი, საერთო, სათა-
ვე უნდა ჰქონდეს, ან ნაცვალსახელურადვერბილური,
ანდა - ზმნური (!). აღსანიშნავია, რომ ჯგა ელემენტი
ამავე სახით ან მცირეოდენი ფონეტიკური სხვაობის გა-
მოყოფა გარემოების გამომხატველ სხვა ჯგუფის წახურ-
სავე სიტყვებშიც: შდრ., მაგალ., ოშგე, ოშგა|| ოშგა
„წინ“ (იხ. ზემ.), მეგა „მდე“ (იხ. ზემ.)...

4. გარემოების გამომხატველი ნასესხები სიტყვები:

- 1) ადგილისა: აზრე, აზრაშ „შორს“, „შუა“; მაგალ., დი-
ვარგნ-ჩიხსტოლჯნ აზრე „კედლისა და მაგიდის შუა“...
- 2) დროისა: საზამანაილ (ჟერო დროზე) „ოდესღაც“ „ერთ
დროს“. ჰამმიშე „მუდამ“, „ყოველთვის“. ჰალაქი² „ჯერ-
ჯერობით“, „ჯერხნობით“. საჰსა ცახტალ~ (ჟერო-ერო
დროზე) „ზოგჯერ“. მანი ცახტალ~ (ჩიმი დროზე) „მამინ“
- 3) ვითარებისა: ა) ბარაბარ „თანაბრად“. ყასდენ (<-
არაბ. ყასდან) „განგებ“; ბ) დუზზარა, დუზზა, დუზდა
(გრ. კლას. მიხ.) „პირდაპირ“, „სწორედ“; აცაშზარა,
აცაშზაბა, აცაშზადა „წელა“, „მძიმედ“ „წყნარად“.

წახურს (ისევე, როგორც მუხადურს - იხ. ქვემო.)

ადვერბილური სიტყვები თურქულაზერბაიჯანულიდან, არა-
ბულიდან, სპარსულიდან³ გადმოაქვს, ერთი მხრივ, თავისი

1. დამოწმებულია იხრეკულ ქილოში.

2. მიქიქურსა და სოფ. ხუშის მებრძოლებში (აზსსრ, კა-
ხის რ.).; ჰალაქი.

3. ღნ თურქ. აზერბაიჯანულის გზით ამ ენებიდან.

ფონეტიკური და მორფოლოგიური შესაძლებლობის კვალობაზე, ხოლო მეორე მხრივ - იმათებურადვე, უცვლელად (შდრ. ნიმუშები).

II. ნაწილაკები. ნაწილაკად გამოყენებული სიტყვები წახურში

I. უარყოფის ნაწილაკები. უარყოფის ნაწილაკები წახურში საწარმოებელ სიტყვას თავშიც მოუდის და ბოლოშიც, - ამასთან ერთად იგივე ნაწილაკი შეიძლება სახელსაც დაერთოს და ზმნასაც. ისე, რომ უარყოფის წახურ ნაწილაკს აქვს, ერთი მხრივ, ქართული „არ“, „ვერ“ „ნუ“ ნაწილაკთა მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, ქართულივე უარყოფის უ. პრეფიქსისა და უ- ცირკუმფიქსის მნიშვნელობაც; შდრ., მაგალ., ექვან=დეშ „არ უნდა“ (ექვან „უნდა“), ჰაყას=დეშ „არ, ვერ გააკეთებს“ (ჰაყას, ჰაყასჯან „გააკეთებს“) - მაგრამ: დედ=დეშ=ნა „უდედო“ (დედ „დედა“), მავშ=დეშ=და „უტყინო“, „სულელი“. ამასთან: უარყოფის გამოხატვა წახურ სიტყვებში ორგანული წარმოების წესითაც ხდება და აღწერილიც: შდრ., მაგალ., დაწან „არ მცოდნე“, „უცოდინარი“, უციცი“ (აწან „მცოდნე“); მაგრამ იგივე მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს ასეც: აწან=დეშ (მცოდნე = არ არის) „უციცი“, „არ მცოდნე“; ერთი=მეორის გვერდით ამგვარი, ორ=წესიანი, წარმოება, თვისტომ ენათა მსგავსად, ნიშანდობლივია წახურისათვის (ზღაპ. წახურ=მუხადური-სათვის).

სხვა ცნობები უარყოფით ნაწილაკთა შესახებ - იხ. ზემ. უარყოფის გამოხატვა წახურ ზმნაში.

2. კითხვის ნაწილაკები - იხ. ზემ. კითხვის გამოხატვა წახურ ზმნაში.

3. მაკავშირებელი ნაწილაკები. კავშირის გამოხატველი სიტყვები წახურს ძალიან ცოტა აქვს, თანაც

მეტი წილი ნასესხებია;¹ ასეთებია, მაგალ., ამმა „მაგრამ“, აგარ „თუკი“, მე||ჯანი „ან“, „ანდა“; ქი „რომ“. საკუთარი მაკავშირებელი ნაწილაკია =აი=||=ი=, რომელიც იხმარება წინადადების ორ ერთგვაროვან წევრს შორის, გამოსატაცს სინტაგმის წევრთა კავშირს, ამავე დროს აქვს ქართული „ც“ / „მცა“ ნაწილაკის მნიშვნელობაც; მაგალ.: ში=აი=შუ „ჩვენ და თქვენ (ჩვენც=თქვენც)“... „დინარუნ=ი=ისტორულენ არე „კედლისა და მაგიდის შუა...“ ამ წახური =აი=||=ი= ელემენტის ფარდია მუხადურში ამჟამად (იშვიათად) ხმარებული =ჰი და =ი მაკავშირებელი ელემენტი. აქაც ეს ნაწილაკოვანი ელემენტები გამოიყენება სიტყვათა ისეთსავე გარემოში, როგორშიაც - წახური =ი. ეს მუხადური =ი=, =ჰი= და ზემოთ დასახელებულ წახური აი-> მეორიულ ფონეტიკურ ვითარებას უნდა გვიჩვენებდეს და მიღებული იყოს გი= =საგან. ეს ვარიანტი წახურს არ მოეპოვება; ზოგ მუხადურ კილო=კილოვანში (იხრეკულში, მუხრეკულში...) კი ამ ვარიანტის დამოწმება შეიძლება (მოხუცთა მეტყველებასში): ხმარობენ სპორადულად, - თანაც მობოდიშებით: „აი“ უფრო სწორიაო, დამახინჯებით (!) კი გი=საც ვიტყვიოთ). საგულისხმოა, რომ გი ელემენტი მოეპოვება უდიურსაც, ოღონდ - მხოლოდ ზმნაში, პირობით=კავშირებითის ერთ=ერთ ფორმაში: შღრ., მაგალ., ბა=გი=ნ=ქეჲ „რომ ყოფილიყო“, ბი=გი=ან „რომ გაეკეთებინა“, „რომ მოეხდინა“; აშ=გი=ან =ბეჲ „რომ ემუშავნა“... წახური =აი= და უდიური =ჰი= ელემენტის ერთმანეთთან კავშირში უნდა იყოს ისტორიულად.

4. სხვათა სიტყვის ნაწილაკი. ასეთად წახურში =ვა ნაწილაკი გამოიყენება, ერთგვარად ქართული = ო ნა

1. მაკავშირებელ სიტყვათა სიმკირე უნდა შეპირობებული იყოს იმით, რომ წახურისათვის დამახასიათებელი არ არის რთული შესიტყვებები. რთული წინადადების ნაცვლად აქ მარტივ=აბსოლუტივიანი, მარტივ=მიმღობიანი ან მარტივი სუბინუმი=ინფინიტივიანი წინადადებაები იხმარება (იხ. ზემ. აბსოლუტივი წახურში. ინფინიტივ=სუპინივი წახურში. მიმღობა წახურში). შემახვევით არ არის, რომ

წილაკის ფარდი. =ვა ნაწილაკის გამოყენების ნიმუში: ჭაბჭუხეე ჯაბაჰჰაჰჰი კალას=ვა=გოდ=ეჰჰი „ფარუხმა ჯაბაჰჰაჰჰი ჩამოვა=ჰ =ჰქვა“... ამ მაგალითის მიხედვით ჩანს, რომ „ვა“ ნაწილაკი იხმარება სახელთანაც და ზმნასთანაც (ისევე, როგორც ქართ. = ნაწილაკი). ამ წახურ ნაწილაკს აქვს სხვა დანიშნულებაც: გამოხატავს კატეგორიულობას, რაიმეზე დაბეჯითებით მიითვებას, გადაუთქმელად, უკომპრომისოდ რისამე ჩადენას; მაგალ., ზეჰჰინ მერაბბა ჩოჯჩის=ვა=ჰჰჰჰ „მე ეს მურაბა მაინც-დამაინც ძმისთვის (და არა სხვისთვის) გავაკეთე, მოვაშადაე“; ზეჰჰინაკა წახურნი მიზნნ გრამატიკა ოკანას=ვა=არ „მე აქ მაინცდამაინც (მხოლოდ და მხოლოდ) წახური ენის გრამატიკის საწერად მოვედი“.

ნ.სხვა ნაწილაკები. I) „ჰა“ ნაწილაკი გამოიყოფა სახელებში, მეტადრე - ნაცვალსახელებში; ზოგ ზედსართავ სახელში (იხ. ზემ.); ეს ნაწილაკი მოულის საგარემოებო სიტყვებსაც, სახელდობრ, ადგილ=მიმართულების, დროისა და სხვა გარემოების ზმნიზედებს (იხ. ზემ.); გამოიყოფა აგრეთვე ზოგ ზმნაში, მაგალ., „კეთების“ აღმნ. ჰაყას, ჰიყი ზმნაში (იხ. ზემ.) მეტყველების ყველა ამ ნაწილში „ჰა“ ნაწილაკი (რომელიც საწარმოებელი ფუძის ფონეტიკური შედგენილობის ხასიათის მიხედვით შეიძლება იცვალოს: ჰა->ჰჰ->ჰჰ->ჰი->ჰი), გამოხატავს დაბეჯითებით მიითვებას, კატეგორიულობას, უკომპრომისობას (იხ. ზემ.).

2) გრ. კლასების მიხედვით დიფერენცირებული =რ (=არ, =ირ, =არ...), =ბ, (=იბ, =აბ), =დ (=ად, =იდ, =ად ნაწილაკი, რომელსაც აქვს ქართ. „ვ“, „მცა“, „აგრეთვე“, „კიდევაც“ და მისთანაობა მნიშვნელობა; მოულის ზმნას, სახელს, ადვერბიალურ სიტყვებს; მაგალ.: იხ^ას=ხა=არ „იქნება კიდევაც“... (იხ. ზემ. დრო=კილოთა ფორმები).

 ა. დირი, მაგალფთად, მიმღეობის ფორმას მაკავშირებელს (ჩუარაჰჰაჰჰაჰ ზეჰჰინაჰჰაჰჰაჰ=ს) უწოდებს (იხ. ზემ.). მაგრამ ამაზე - სხვაგან, მონოგრაფის სპეც. ნაწილში, რომელიც მიეძღვნება წახური სინტაქსის საკითხებს.

ზენაჲს, ლენაჲს „მეტ“, „შენც“... (იხ. ზემ. პირის ნაცვალსახელი); ზაკაჲს, ზაკაჲს, ზაკაჲს „ჩემკენაც“... მაკაჲს, მაკაჲს, მაკაჲს „ჩქ“; ჰინაკაჲს, ჰინაკაჲს; ჰინაკაჲს „ჩქ“, „ჩქაც“... (იხ. ზემ. ადგილის გარემოების გამოხატველი სიტყვები). 3) ჰსა ნაწილაცი, რომეღოც წარმოშობით რიცხვით სახელს „სან“ „საჰს (ერთჰს) უკავშირდება, გამოხატავს განუსაზღვრელობას; შდრ., მაგალ., შენა „ის“-შენაჰსა||შენასსა (შენაჰსა) „ვილაც ის“; შენყჷმ „მან (კაცმა)“ - შენისაჰსაჷმ „მან ვილაცამ (კაცმა)“; შენწუნ „მის (კაცის)“-შენისაჰსაჷმ - „მის ვილაცის“ და ა.შ. 4) ჰსუმ ნაწილაცივანი ელემენტი გამოიყენება მხოლოდ ეთნონომიკურ სიტყვებთან და აქვს ქართ. საზედაო ან ვითარებითი ბრუნვის მნიშვნელობა; შდრ., მაგალ., მუთურ „ქართველი“ - მუთურჰსუმ „ქართულად“, „ქართულ ენაზე“; წახხ „წახხი (წახხურული)“ - წახხჰსუმ „წახხურად“, „წახხურ ენაზე“; ურუს „ურუსი“ - ურუსჰსუმ „ურუსულად“, „ურუსულ ენაზე“. 1) ჰსუმ ნაწილაცივანი ელემენტი ეცილება ნასესხები ჰჯა ნაწილაცი; თურქჷჯა „თურქულად“, აზერბაიჯანჷჯა „აზერბაიჯანულად“... ეს ნასესხები „ჰჯა“ ელემენტი ზოგჯერ გამოიყენება რიცხვით სახელთანაც და აქვს ასეთი მნიშვნელობა: „მხოლოდ“, „მაინც“; საჰჯა „ერთი მაინც“, „მხოლოდ ერთი მაინც“. ასეთივე ფუნქციით ამ ნაწილაკს დიდი გავრცელება აქვს უდიურშიც, მტადრე ამ ენის ნიჯურ კილოში: საჰჯა „სწორედ ერთი“, „მხოლოდ ერთი“, ჰახჰჯა „სწორედ ორი“, „ორადჷორი“ - შდრ. თურქ. ჰახერბ. ბირჰჯა „მხოლოდ ერთი“ (ბირ „ერთი“); ბირჰჯა = დანასი ვერ! „ერთი მაინც მომეცი!“ 5) ჰჯი ნაწილაცი - იხმარება ზმნის გარკვეულ ფორმებთან და აქვს ის მნიშვნელობა, რაც ქართულ „დაე“, „დე“, „გაუშვი!“ და მისთ., მაგალ.: ჰახჰჯი „დაე, აკეთოს!“ „გაუშვი, აკეთოს!“, ჰელჷჯი „გაუშვი, დაე, მისცეს!“ ჯი

1. ასეც იტყვიან: მუთურბიში მიზალ „ქართველების ენაზე“, წახხბიში მიზალ „წახხების ენაზე“, ურუსბიში მიზალ „ურუსების ენაზე“...

ელემენტი, რომელიც დაერთვის ზმნის ბრძანებითის ფორ-
მას, ანიჭებს მას ერთგვარი ნებართვის, სანქციის მიცე-
მის ელფერს. ორიოდ ნიმუში მოწმდება გილმიწურ კილოში
ჯი=ს გვერდით დი=ს (სპორადულად) ხმარებისა.¹ ეს
გვაძლევს შესაძლებლობას „ჯი“ ნაწილაკი დი=საგან მი-
ღებულად მივიჩნიოთ (დი=ჯი პროცესი დამახასიათებელია
წახურისა, ოსპ. წახურ=მუხადურისა და თვისტომი ენები-
სათვის). 6) წახურს მოეპოვება აგრეთვე ნასესხები ნა-
წილაკოვანი სიტყვებიც: ჰამ ოსიეე“, ოთან“, ბეს
„მამი“ „მამ, როგორ!“ „ძლივსლა!“ „ოლონდ“, მანი
„განა“ (იხმარება ოან“, ოანდა“-ს მნიშვნელობითაც, -
იხ. ზემ.).

„უფორმო“ სიტყვები მუხადურში

I. საგარემოებო სიტყვები

I. ადგილისა I) ჭიუ „ზე“, „ზემოთ“. მაგალ.:
ხალალა ჭი ოსახლის ზემოდან“, ოსახლის ზემოთ“; აქე-
დან იწარმოება: ა) ულა „ზემოდან“,² ულა საყ „ზემოდან
ქვემოთ“. ჭიბა „ზემოთ“, „ზევით“. მუხადური ჭიუ, რ-
მელიც კანონზომიერად ეფარდება ამავე მნიშვნელობის
წახურ ოსი=ს (იხ. ზემ.), ისტორიულად სახელის ფუძეა
ან ამის ნაშთი. ეს საბუთდება, თუნდაც, აქედან წარმო-
ებული ულა ფორმით, რაც ერთ=ერთი თანდებულობის ბრუნ-
ვის - აბლატივის=მოქმედებითის ფორმისა. ადსანიშნავია
ისიც, რომ (წახურის მსგავსად) ამ ადვერბიალური მნიშვნე-
ლობის სიტყვაზე ნათესაობითი ბრუნვის =დ<-დგ ნიშნის

I. ერთი მოხუცი ქალისაგან აულ გილმიწურში ჩაწერილ მასა-
ლაში ფიქსირებული მაქვს ორი ასეთი მაგალითი: ოსანა=
ჯი||კანა=დი ოდაბრუნე, რალა!“ „უნდა დამბრუნო“; ოსანა=
ჯი||ქეეანა=დი ომიცი, რალა!“ „უნდა დაბრუნო!“ რამდე-
ნადმე განსხვავებული ეს განმარტება შესაძლოა სწო-
რედ ზემოთ აღნიშნული განმარტების უკუფენა იყოს: ჯი/დი
ნაწილაკის ერთ-ერთი სხვა მნიშვნელობის გამოხატულება.

2. მუხრეკულ კილოში სპორადულად, ოსი=ს იხმარება ოლან („ზემოდან“)

დართვით იწარმოება ზედსართავი სახელი: უდ|| <-უდ2 „ზემოთა“, „ზემო“. ყურადღებას იპყრობს „უ“=ს პარა-
 ლელურად ხმარებული უ (გრძელხმოვნიაანი) ვარიანტი. ხმოვნის სიგრძე ამ ფუძეში რაღაც დაკარგული თანხმოვ-
 ნის რეფლექსი უნდა იყოს. ამ რეფლექსის გამომწვევი ფაქტორი მუხადურის კილოებში არ ჩანს; არ ჩანს წახურ-
 შიც. თუმცა ამ უკანასკნელში ასეთად შეიძლება ჩავთვა-
 ლოდ ყ (<-ყ?) ელემენტი, რომელიც თავს იჩენს კლას=
 ნიშნით. გართულებულ ფუძე=ფორმებში: შდრ. წახ. ოყარ
 (1.2.კლ.), ოყაბა (3.კლ.), ოყად (4.კლ.) „ზემოთ (იხ.
 ზემ.)“: ყ (<-ყ) თავის მხრივ შეიძლება დაუკავშირდეს
 „ყოფნა“ ზმნას, ხოლო აქედან ნაწარმოები საზედაო ფორ-
 მა განიმარტოს როგორც „ზე=მყოფი“-> „ზემოთ“. 2) ლაც
 „ზედა“; „ზემოთ“: მასჯნა ლაც „კედელზე (კედლის) ზე-
 ვით (აყოლებით)“. ალა ლაც¹ „ქვემოდან ზემოთ“. თითქმის
 ამავე მნიშვნელობისაა ყწლ=ი<-|| ყალი² „ზემოთ (დევს,
 ძევს, არის...)“. ბოლო მაგალითი საყურადღებოა იმიტ,
 რომ აქა ჩანს მისწრაფება ადვერბიალური თანდებულისა
 და ზმნის შერწყმისა, ამასთან - პირველის (ადვერბ. თანდ.)
 პრევერბად ქცევისა. ამ საგარემოებო სიტყვიდანაც (ნათეს.
 ბრ. =დ2 ნიშნის დართვით) იწარმოება ზედსართავი სახე-
 ლი: ყალ=ი=დ2->ყალ=დ2 „ზემო“, „ზემოთ“. 3) საპირისპი-
 რო მნიშვნელობას გამოხატავს ა, ა „ქვემოთ“ (მაგალ.,
 ა გრ „ქვემოთა“). ალა „ქვემოდან“: ალაღაც „ქვემო-
 დან ზემოთ“. აბაა, ადაა (კლას. მიხ.): აბაა აივან ვი-
 ყი „ქვემოთ ცხენი არის“. ადაა ხალ აიყი „ქვემოთ სახ-
 ლი არის“. საც „ქვემოთ“ „ქვემოთკენ“. მაგალ.: საც ლა-
 მუშ „ქვემოთ ნუ მიგაქვს!“ შდრ. ვირიდ სევიან (<-სა-
 ვინ<-საცვინ) „მზე=ჩრასვლა“. ეს მაგალითი გვიჩვენებს
 იმას, რომ ზმნის ინგრედიენტად ქცეული ადვერბიალური
 თანდებული იკავებს ადგილ=მიმართულების გამოხატველი

1. მუხრეკულში: ალალაც, შინაზურში ალა ლაც.
 2. ა. დირი ამ სიტყვას ასე აღნიშნავს: ელ, ელი.

ელემენტის - პრეცედენტის - ადგილს. ეს ჩანს, თუნდაც, ასეთი ტავტოლოგიური წარმოებებიდან: ჰად საა=ჰური (-საყ+საყ=ჰური...) „ის ქვემოთ ჩავიდა (=ქვემოთ, ქვე=ვიდა)“. გი, გინი (რუთულ. და სხვა კილ.), გინა (მუხრეკ.) „ქვემოთ“ - ამის შესახებ იხ. ზემ.: ყოფნა ზმნის თავისებური ფუძე ფორმები მუხადურში. 4) ლაყ, ლა „გარეთ“. აყ || აყ „შიგ“; ღარაყა „გარედან შიგნი“. ბოლო ნიმუშში ღა=ს ახლავს ზ ელემენტი; რომლის წარმოშობა სარკვევია. „ღა“ ელემენტი თავკიდურ ნაწილად გვხვდება აგრეთვე ზმნაში, შდრ., მაგალ., ღა=ღურა (იხრეკ.) „გამოფიციარ“; აღა=ჰური (რუთ. და სხვა კილ.) „გაგვიფიციარ“, „გადაფიციარ“ (იხ. ზემ. ადგილ=მნიშვნელობის გამთხატვა ზმნაში). 5) ადვერბ=ანდეზულის მნიშვნელობით იხმარება ა) იდიომური სიტყვა ულიჰდა (რუთულ., შინაზ. და სხვა), ულიჰგიდ (მუხრეკ.) „წინ“. ა. ღირი „ულიჰდა“=ს მართებულად უკაცშირებს „თვალის“ აღმნიშვნელ მუხადურსავე „ულ“=ს და განმარტავს: „თვალქვეშ“. მუხრეკული ვარიანტი ულიჰგიდ ისევე „თვალის“ ცნებას უკაცშირდება, ოღონდ აქ „ულიჰ“ ნაწილს შეზღვეული აქვს მეორე ფუძე =გიდ. ეს მუხრეკული ვარიანტი უნდა იყოს ტავტოლოგიით (და კონტამინაციით) წარმოქმნილი სიტყვა: ულიჰგიდ=ულიჰდა=გიდ=ულიჰდაგიდა „თვალქვეშ=ქვემოთ“- შდრ. გი, გინი, გინა (იხ. ზემ.). ბ) ჰუყ || ჰუ „წინ (მომართულ.)“ აქედან იწარმოება მეორე ზმნიშვნელოვანი თანდებული: ჰური || ჰურ „წინ (მდგომარ.)“ ამას მუხრეკულ კილოში ცვლის ჰურიგინა - შდრ. რუთულურსა და სხვა კილო=კი კილოკაცებში ხმარებული გამოთქმა: ჰად ჰურიგი -> ჰურ=გი „ის ზემოთა“. ამ სიტყვათა ურთიერთ შეფარდება გვიჩვენებს, რომ ჰუ კვეცილი ფორმაა: ჰუ=ჰურ (შდრ. ჰურ=ი). მუხრეკულში დამოწმებული „ჰურიგინა“ ფუძეთა კომბინაციით წარმოქმნილი სიტყვაა: ჰურ+გინა. შდრ. ზემოთ დასახელებული გამოთქმა ჰად ჰურიგი („ის ზემოთა“). - გი/გინა სიტყვის შესახებ იხ. ზემოთ: საპირისპირო მნიშვნელობისაა: ჰხალა || ჰხალაბა „უკან“, „უკნიდან“;

„შემდეგ“. =ბაა მართლმადიდებელი ელემენტის მნიშვნელობა ნათელი არ არის. ჰხალა=ბაა შესაძლოა იყოს კლას=ნი- შან=შეზრდილი ადევრები: შდრ. უ=ბაა; ა=ბაა; ა=დაა აა (იხ. ზემ.). დასახელებული ჰხალა სიტყვიდან ნათე- საობითი ბრუნვის სუფიქსის დართვით იწარმოება ზედსარ- თავი სახელი: ჰხალადე->ჰხალდე „უკანა“, „ბოლო“, „შემ- დგომი“; ეს ფორმა გამოიყენება დროის გარემოების გა- მომხატველ გამოთქმაში: ჰხალდე აილა „ზეგ“ „ხეალზე- ვით“ (=სიტყვა-სიტყვი: „უკანა, ანუ შემდგომ დღეს“). ეგვიე ჰხალდე||->ჰხალდე გამოიყენება სხვა მნიშვნელო- ბითაც: „უკანასკნელი“. 5) ნაცვალსახელური წარმოშობის ადგილის გარემოების გამომხატველი სიტყვები: ა) ჰემიჯან; ჰემიდ, ჰემი; მიდი || მწ, მი „აქ“ (შდრ. მი, ჰემი, ჰე- მიდ „ეს“). ამ ვარიანტთან პირველი (ჰემიჯან) გავრცე- ლებულია მუხრეკულსა და შინაზურში, მეორე (მიჯან) უბი- რატესად იხრეკულში გვხვდება, სპორადულად - რუთულურ კილოშიც; ამ უკანასკნელში გავრცელებულია უფრო ბოლო (მიდი, მია, მი) ვარიანტები. რუთულური მი ფონეტიკური გამარტივების შედეგად ემთხვევა საყრდენ ნაცვალსახელს (შდრ. მი „ეს“). ლოკატივის „მიჯან“ ფორმა მიუგებს კითხ- ვას: „სად?“. ამის ჰე თავსართოვანი ნაწილაკით გართუ- ლებული ვარიანტი ჰემიჯან, რასაც აქვს იმავე „მიჯან“=ს მნიშვნელობა, თუმცა აქვს კატეგორიულობის ნიუანსი: „აი აქ“, „მიანიცდამიანც აქ“, „სწორედ აქ“ - ისევე, როგორც - საყრდენად გამოყენებული მითითებით ნაცვალსახელში: შდრ. ჰემი, ჰემიდ „აი ეს“, „სწორედ ეს“, სარკვევი რჩება == ელემენტის რაობა, ლოკატივის =ა- ა მაწარ- მოებელსა და საწარმოებელ ფუძეს რომ უძევს შუაში: ჰე- მი=ააან, მი=ააან. „ა“ ელ- სუსტი რეფლექსის სახით აბსო- ლუტურ დაბოლოებაშიც იგრძნობა: ჰემი=, მი=ა. ეს „ა“ ელემენტი უნდა იყოს საწარმოებელი სიტყვის რაღაც მორფემის კვალი (ფუნქცია საძიებელია). მუხადურში (მეტადრე შინაზურ და რუთულურ კილოებში) ჩნდება ტენ- დენცია, ლოკატიური მნიშვნელობის ამ ფორმას გაუჩინონ მიმართულების ფორმაც: მიან „აქედან“, მიც „აქეთ“. ეს

ფორმები დასახელებული აქვს ა. დირსაც, ოღონდ მია სიტყვის ბოლოკიდური =ა მას გრძელი ხმოვნის სახით არა აქვს აღნიშნული; ამ ხმოვნის სიგრძით კი ხდება სწორედ ლოკატივისა (ადგილისა) და მიმართულების მიხედვით მნიშვნელობათა გარჩევა: შდრ. მია|| მიჯ „აქ“ - მიჯ|| მიჯ „აქედან“.¹ მიყ („აქეთ“) სიტყვის ბოლოკიდური ყ ნაწილის მნიშვნელობაც მთლად ნათელი არ არის (შეიძლება დაუკავშირდეს „არის“ ზმნის ყა|| ყი ფუძე= ფორმას).² ამ საგარემოებო სიტყვების გამოყენებით ითხზევა ადგილისა თუ დროის გარემოების აღმნიშვნელი სხვა სიტყვები და გამოთქმები, მაგალ.: მიჯილქუყ „ამიერიდან“, „ამის შემდეგ“; მიდიჯყამა „აქამდე“, „დღევანდლამდე“ (სიტყვა=სიტყვით: „აქ=ზურგამდე, ამ=წელამდე“). ჰადი „იქ“; ამის კილოური ვარიანტებია: მუხრეკული ჰაჰ|| სინონ.: თინჯ|| ჰათინჯ; იხრეკული თი-ჯაჰ ჰათიჯაჰ; შინაზური თინა „იქ“; თიჯაჰ „იქიდან“; თინაყ „იქით“; თინიყ „იქით“, „იქ“; ბორჩული ჰავნა-და; ჰავნა|| სინონ.: ჩინდა|| ჩინდი. აქედან იწარმოება თინა „იქიდან“, ქინი „იქით“; ეს ფორმები საერთოა თითქმის ყველა კილო=კილოკავისათვის. ბორჩულში გაცრეცელებული ჩინა, ჩინი ამისი ფონეტიკური სახესხვაობაა: ჩა-თ. (შდრ. მესამე პირის ნაცვალსახელი. მიითეები თი ნაცვალსახელები. იხ. კილოური თავისებურებები ამ მხრივ). ამ სიტყვებიდან იწარმოება აგრეთვე სადაურობის აღმნიშვნელი სახელი: თინდიდა-თინდიდე „იქაური“ (ბორჩულში - ჩინადე-თინადე). 6) ადგილის გარემოების გამომხატველი სხვა სიტყვები: ა) ხჯრჯდ „ზოროს (მიმარ-

1. თუ რა ქმნის აქ ხმოვნის სიგრძის ეფექტს, ნათელი არ არის. საეარაუდოა მჩრობლად წარმოდგენილი =ა მა-წარმოების შერწყმა და გრძელი ხმოვნის წარმოქმნა: მია=ა->მიჯ. შდრ. ხალა „შინ“, „სახლში“, „ოთახში“, მაგარამ: ხალა „სახლიდან“, „ოთახიდან“, „შინიდან“, ჰილა „სად“, ჰილა „საიდან“...

2. თუ აქ ხმოვნის მაგარი ღამართვა არ არის.

თულ.)“, ხვრედა „შორს (ადგილობ.)“; ბეგედნ „ახლოს“, „იქვე“. ნათეს.ჭრუნვის =დ || <-დღ სუფიქსის მოშველიე- ბით იწარმოება ზედსართავი სახელები: ხვრედა=დ || <- ხვრედად „შორს“, ბეგედნ=დ || <-ბეგედნ =დ „მახლობელი“.

ბ) აიყა „შუაში“, „შუა (ალაგას)“ - შდრ. აიყ, მრავლ. აიყბურ „ზურგი“, „წელი“ „შუაწელი“; აქედან იწარმოე- ბა: აიყნდ<-აიყა=დღ „შუა“, „შუათანა“, „საშუალო“; აიყად მაქთაბ“¹ „საშუალო სკოლა“. აიყნდ ხალ „შუა ოთახი“. აიყად ფორმიდან კი იწარმოება აიყადიჰთად „შუათანა“; აიყადიჰთად შუ „შუათანა ძმა“. გ)ბადნა „ნაცვლად“, „მაგივრად“; იზდღ ბადნა ორენს მაგივ- რად“... დ)სტანა->სტნა (<-“სატანა) „ერთად“, „ერ- თიანად“, „ერთად აღებული“ (შდრ.სა „ერთი“). ამ მნიშ- ვნელობის გამოსახატავად ზოგ კილოში ამაცე სა („ერთი“) სიტყვის გამოყენებით სხვაგვარ კომპოზიციასაც მიმარ- თავენ; სახელობრ: საჯიგჟა (მუხრეკ.), საჯიგია (ში- ნაზ.) - შდრ. ჯიგა (ნასესხ.) „ადგილი“.

